

# დასტავი

საქართველოს  
საბავშვო ლიტერატურის  
ცენტრი

675 /  
1970/2

96

1.1970



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

---

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР



1970

# МАЦНЕ

*Вестник*

ОРГАН ОТДЕЛЕНИЯ  
ОБЩЕСТВЕННЫХ НАУК

1

52

ИЗДАТЕЛЬСТВО · МЕЦНИЕРЕБА ·  
ТБИЛИСИ 1970

# მეცხნე

---

სამოქალაქო პეტნიკებათა  
განყოფილებას მკვანო

11676

1  
52

გამომცემლობა · პეტნიკება ·  
თბილისი 1970

ს ა რ მ ე ჯ ა ტ ც ი ო კ ო ლ მ ე ბ ი ა

ა.ლ. ბარამიძე (მთავარი რედაქტორი), პ. გუგუშვილი, გ. მელიქიშვილი,  
ე. მეტრეველი, ვ. ფანჩიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე),  
ა.ლ. ფრანგიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე),  
გ. ჩუბინაშვილი, გ. წერეთელი, ნ. ჭავჭავაძე

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Барамидзе А. Г. (главный редактор), Гугушвили П. В., Меликишвили Г. А.,  
Метревели Е. П., Панчиძე В. Н. (заместитель главного редактора),  
Франгвишвили А. С. (заместитель главного редактора), Чавчаваძე Н. З.,  
Чубинашвили Г. Н., Церетели Г. В.

პასუხისმგებელი მდივანი ნ. ებრაღიძე  
Ответственный секретарь Н. Эбралидзе

რედაქციის მისამართი: თბილისი, 60, კუტუშოვის ქ. № 15  
ტელეფონი: 37-24-07

---

შეკვ. პ უც 01240 ტირაჟი 1500

გადამცემის წარმოებას 4.1.70; ხელმოწერილია დასაბეჭდად 19.2.70,  
ქალაქის ზომა 70×1081/16; ნაბეჭდი თაბახი 20,3;  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 18,06;  
ფასი 1 მან.

---

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 60, კუტუშოვის ქ. 15  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

---

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი 60, კუტუშოვის 15  
Типография Академии наук ГССР, Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

## ს ა რ ჩ ე ვ ი

შემოქმედების უშრეტო წყარო (მოწინავე) . . . . .	7
<b>წიგნი</b>	
რ. თხარაძე, სოფელი და ზესთანოფელი ქართულ მწერლობაში . . . . .	9
მ. ახობაძე, რევოლუციური აგიტაციის გაძლიერება საქართველოს სოფელში XIX საუკუნის 60 — 70 წლებში . . . . .	23
პ. ბიორაძე, საგლეხო რეფორმის გატარება და მისი შედეგები ახალციხის მაზრაში . . . . .	35
ბ. ყორანაშვილი, ანტიუარი ქვეყნების ეკონომიკის ხასიათის საკითხისათვის . . . . .	47
დ. ბაბნიძე, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის აღმავლობა და მშრომელთა ანაზღაურების ზრდა . . . . .	59
მ. გომარაძე, ძირითადი ეკონომიური მაჩვენებლების ზრდის ტემპების გამოანგარიშება ქრონოლოგიური მწკრივების ანალიზური მოსწორების მეთოდით . . . . .	69
მ. ჩიქოვანი, შუა საუკუნეების სამი რომანის — „ტრისტან და იზოლდას“, „აბესალომ და ეფრის“ და „ვისი და რამინის ტიპოლოგიური ურთიერთობის პრობლემა“ . . . . .	75
მ. გუგუშვილი, ტექსტოლოგიური შენიშვნები . . . . .	93
თ. ჩხენკელი, დევური და ღვთაებრივი . . . . .	103
მ. ჯაფარიძე, თურქული სატირის ჩასახვისათვის . . . . .	129
მ. იშვილი, წინადადების კომუნიკაციური პერსპექტივა . . . . .	145
დ. მილიჩივილი, ბერძნულენოვანი იოანე პეტრიწის ენაში . . . . .	155
ნ. შალვაშვილი „დაბადებისათვის კაცისას“ გიორგი მთაწმიდლისეული თარგმანის საბუნებისმეტყველო-სამედიცინო ტერმინოლოგია . . . . .	171
ნ. რეზიაშვილი, ქართულ-კავკასიური რკინის გრებილი „ხელადი“ . . . . .	181
<b>ტროვაჟი და შინაშინაჟი</b>	
ბ. ფონაქიძე, მასალები შუა საუკუნეების ბერძნულ ბიბლიოთეკების ისტორიისათვის . . . . .	193
<b>ქრონიკა და ინფორმაცია</b>	
საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ინსტიტუტები 1969 წელს . . . . .	195
<b>პრიტიკა და ბიბლიოგრაფია</b>	
ახალი წიგნები . . . . .	228

## ОГЛАВЛЕНИЕ

Неиссякаемый источник творчества (передовая) . . . . .	7
--	---

### СТАТЬИ

Р. ТВАРАДЗЕ, «Сопели» (мир) и «Зестасопели» (сверхмир) в грузинской литературе . . . . .	9
М. АХОБАДЗЕ, Усиление революционной агитации в селах Грузии 60—70-х гг. XIX в. . . . .	23
П. ГЕОРГАДЗЕ, Проведение крестьянской реформы и ее результаты в Ахалцихском уезде . . . . .	35
Г. КОРНАШВИЛИ, К вопросу о характере экономики античных стран . . . . .	47
Д. ГАГНИДЗЕ, Рост благосостояния Советского народа и увеличение взносов трудящиеся . . . . .	59
М. ГОМАРЕЛИ, Исчисление темпов роста основных экономических показателей методом аналитического выравнивания хронологических рядов . . . . .	69
М. ЧИКОВАНИ, Проблема типологической взаимосвязи трех романов средних веков — «Тристан и Изольда», «Абесалом и Этери» и «Вис и Рамин» . . . . .	75
М. ГУГУШВИЛИ, Текстологические заметки . . . . .	93
Т. ЧХЕНКЕЛИ, Дьявольское и божественное в поэмах Важа-Пшавела . . . . .	103
Э. ДЖАВЕЛИДЗЕ, К зарождению турецкой сатиры . . . . .	129
В. ИВШИН, Коммуникативная перспектива предложения . . . . .	145
Д. МЕЛИКИШВИЛИ, Грецизмы в языке Иоанна Петрици . . . . .	155
Н. ШАЛАМБЕРИДЗЕ, Естествоведческая и медицинская терминология в переводе Г. Мтацмидели произведения Г. Нисского «О рождении человека» . . . . .	171
Н. РЕХВИАШВИЛИ, Грузино-кавказские изделия из скрученного железа . . . . .	181

### СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

Б. Л. ФОНКИЧ, Материалы для истории греческих средневековых библиотек . . . . .	192
---	-----

### ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

Институты отдела общественных наук АН ГССР в 1969 г. . . . .	195
--	-----

### КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Новые книги . . . . .	228
-----------------------	-----

## შემოქმედების უზრეტი ფყარო

წელს მსოფლიოს მოწინავე კაცობრიობა ზეიმობს დიად თა-  
რიღს — ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების ასი წლისთავს.  
„ლენინის სახელთან და მოღვაწეობასთან — ვკითხულობთ სკკპ ცენ-  
ტრალური კომიტეტის თეზისებში „ვლადიმერ ილიას ძე ლენინის  
დაბადების 100 წლისთავისათვის“ — დაკავშირებული კაცობრიობის  
ცხოვრების მთელი რევოლუციური ეპოქა. ლენინმა პასუხი ვასცა  
ყველაზე აქტუალურ საკითხებზე, რომლებიც ისტორიული განვითარების  
მსვლელობამ დააყენა, ყოველმხრივ განავითარა სოციალის-  
ტური რევოლუციისა და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის  
თეორია, შეაიარაღა რუსეთის, მთელი საერთაშორისო რევოლუციური  
მოძრაობა მეცნიერულად დასაბუთებული სტრატეგიითა და ტაქტი-  
კით, სათავეში ჩაუდგა მუშათა კლასის ბრძოლას სოციალიზმის იდე-  
ების განხორციელებისათვის“.

ვ. ი. ლენინის სახელთან დაკავშირებულია ის ღრმა ძვრები, რომ-  
ლებმაც მსოფლიოს ძალების ახალი გადანაწილება გამოიწვია, ძვრები,  
რომელთა შედეგი იყო მძლავრი სოციალისტური ბანაკის წარმოშო-  
ბა ჩვენი პლანეტაზე. ვ. ი. ლენინის სახელთანაა დაკავშირებული ის  
დიდი გამარჯვებები, რომლებიც მოაპოვა მარქსისტულ-ლენინურმა  
იდეოლოგიამ, პროლეტარიატის მსოფლმხედველობამ. ვ. ი. ლენინმა  
შემდგომ განავითარა და გაამდიდრა მარქსისა და ენგელსის მოძღვრე-  
ბა თანამედროვე ეპოქაში — კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ  
გადასვლის ეპოქაში.

ვ. ი. ლენინი, მხვადად მარქსისა და ენგელსისა, განასხივრებდა  
ზოაზროვნის სრულიად ახალ ტიპს — მასში ორგანულად იყო შერ-  
წყმული თეორიული მოღვაწეობა და პრაქტიკული საქმე. თეორიისა  
და პრაქტიკის უმაღლესმა სინთეზმა, რომელიც ვ. ი. ლენინის ნაო-  
ღვაწეობაში განხორციელდა, მარქსისტულ მსოფლმხედველობას არნა-  
ხული სიმტკიცე და ზეგავლენის უნარი მიანიჭა.

ვ. ი. ლენინის მოღვაწეობა მრავალი მხრით არის ხაინტერესო და  
მნიშვნელოვანი. ლენინი გვასწავლის ისტორიული პროცესებისადმი  
ღრმა მიდგომას, მათს დიალექტიკურ-მატერიალისტურ ანალიზს, უკომ-  
პრომისო ბრძოლას ყველაფერ იმასთან, რაც ეწინააღმდეგება მარქ-  
სიზმ-ლენინიზმს, კომუნისმის დიადი მშენებლობის საქმეს. როულ  
ისტორიულ პირობებში ვ. ი. ლენინმა შეძლო დაეცვა მარქსიზმი  
რევოლუციონისისა და მემარცხენე ცენტრ-რევოლუციონერთა შემოღვევ-  
ბისაგან, შეძლო სწორად შეეფასებინა თანადროული ეპოქის სოცია-  
ლურ-პოლიტიკური და სულიერი სიტუაცია და მარქსისტულ პრინ-  
ციპებზე დაყრდნობით სწორად განეჭვრიტა პერსპექტივა. ლენინი  
გვასწავლის პრობლემებისადმი შემოქმედებითს მიდგომას, დიალექ-  
ტიკურ შეფასებას, მტკიცე პარტიულობას, პრინციპულობას, შერეო-  
ვებლობას საკუთარი და სხვისი ნაკლოვანებებისადმი.

ვ. ი. ლენინმა დაგვიტოვა დიდი და ღრმა თეორიული მემკვიდ-  
რეობა, მისი შრომები ფილოსოფიის, პოლიტეკონომიის, მეცნიერუ-  
ლი სოციალიზმის დარგში ყოველი მეცნიერის შემოქმედების უმრავლეს  
წყაროს წარმოადგენს. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა

ენიჭება ლენინის ფილოსოფიურ შრომებს. ლენინმა ნათლად აჩვენა ფილოსოფიის მსოფლმხედველობითი და მეთოდოლოგიური როლი ყველა სპეციალური დისციპლინისათვის. ლენინი გვასწავლიდა, რომ ღრმა ფილოსოფიური მიდგომის, ფილოსოფიური პოზიციის გამომუშავების გარეშე შეუძლებელია მეცნიერების ნებისმიერი დარგის განვითარების შინაგანი ლოგიკის გაგება, ამა თუ იმ მეცნიერული დისციპლინის უკუშარიტი ადგილისა და ფუნქციის გარკვევა. მარქსისტული ფილოსოფია იძლევა იმის საშუალებას, რომ მეცნიერების ფაქტობრივი მასალა სწორად იქნეს შეფასებული და განზოგადებული, რომ ფაქტების ზღვა მასალის უკან არ დაიფაროს მთავარი და ძირითადი — ისტორიული პროცესების სიღრმეში მდებარე უზოგადესი კანონზომიერება. ვ. ლენინის თანახმად, მხოლოდ ფილოსოფიის — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის — ღრმა ცოდნით შეიარაღებულ მეცნიერს ძალუძს თანამიმდევრულად გაატაროს თავისი თვალსაზრისი, ებრძოლოს იდეალიზმსა და ხუცობას.

„...უნდა გავივით, — გვასწავლიდა ლენინი შრომაში „მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ“, — რომ საფუძვლიანი ფილოსოფიური დასაბუთების გარეშე ვერავითარი საბუნებისმეტყველო მეცნიერება, ვერავითარი მატერიალიზმი ვერ გაუძლებს ბრძოლას ბურჟუაზიულ იდეათა თავდასხმისა და ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის აღდგენის წინააღმდეგ, ამ ბრძოლას რომ გაუძლოს და იგი ბოლომდე სრული წარმატებით ჩაატაროს, ბუნებისმეტყველი უნდა იყოს თანამედროვე მატერიალისტი, შეგნებული მიმდევარი იმ მატერიალიზმისა, რომელიც წარმოდგენილია მარქსის მიერ, ესე იგი დიალექტიკური მატერიალისტი უნდა იყოს“.

ლენინმა კოლოსალური შრომა გასწია, რათა ახალ სიმაღლეზე აეყვანა მარქსიზმის ფილოსოფიური იდეები. მან ბრწყინვალე ფორმულები ჩაწერა დიალექტიკის თეორიის, გნოსეოლოგიის, სოციოლოგიის დარგში. ლენინის დიდი შემკვიდრება იყო და იქნება მძლავრი იარაღი ჩვენი მეცნიერების განვითარებისა და ბურჟუაზიულ მსოფლმხედველობასთან ბრძოლის საქმეში.

ლენინიზმის დიდი იდეები დაედო საფუძვლად ქართული საბჭოთა მეცნიერების მძლავრ განვითარებას. შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან დაიწყო ქართული მეცნიერების ყველა დარგის არნახული გაფურჩქვნა. ეს არც შეიძლება უგებოდა ყოფილიყო სხვაგვარად, რადგან მარქსიზმი, შემოქმედებითად განვითარებული ლენინის მიერ, ის ერთადერთი მსოფლმხედველობაა, რომელიც ყველაზე ღრმად და ობიექტურად სწვდება ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების უზოგადეს კანონებს, იძლევა მძლავრ იარაღს ბუნებისა და საზოგადოების მიმდინარე პროცესების ღრმა მეცნიერული ინტერპრეტაციისათვის. ლენინის იდეები უკვდავია. ლენინის მიერ დატოვებული მდიდარი თეორიული შემკვიდრება არის და იქნება ქართული მეცნიერების შემდგომი წინსვლის ყველაზე მძლავრი ფაქტორი, მეცნიერული შემოქმედების უშრეტო წყარო.

რევაზ თხარაძე

სოფელი და ზესთასოფელი ქართულ მწერლობაში

(საკითხის დაქვნივა)

I

ის, რასაც „სინამდვილეს“, „ცდის სამყაროს“ ან უბრალოდ „სამყაროს“ ვუწოდებთ, და აგრეთვე ისიც, რაც ამას უპირისპირდება — „იდეალური სამყარო“, „მეტაფიზიკური სამყარო“, „ცდის მიღმური სამყარო“, ხშირად სხვადასხვა სინონიმებით გამოიხატებოდა და გამოიხატება ყოველდღიურ სიტყვათმარებასა თუ წიგნის ენაში. და ეს სინონიმები გაცილებით მეტია, ვიდრე შეიძლება მოგვეჩვენოს თვალის ერთი გადავლებით.

აი არასრული ნუსხა დაწყვილებული სინონიმებისა:

სააქაო — საიქიო  
 ეს ქვეყანა — ის ქვეყანა  
 ამქვეყნიური — იმქვეყნიური  
 მიღმური

ქვეყანა — ცა, ზეცა  
 მიწა — ცა, ზეცა,  
 ზესკნელი

მიწიერი — ზეცაური  
 ეს სოფელი — ის სოფელი  
 სოფელი — მერმე სოფელი  
 ზესთასოფელი  
 მერმე  
 მომავალი

წუთისოფელი — საუკუნო სოფელი  
 საწუთრო — საუკუნო  
 სასოფლველი  
 სასოფლველი ღვთისა  
 სასოფლველი ცათა

წარმავალი — წარუვალი  
 მარადიული

უამიერი — უუამო  
 ხრწნადი — უხრწნელი  
 მედინი — წარუდინებელი  
 მყოფი — ნამდვილმყოფი  
 ოთხთა ნივთთაგან  
 შედგმული, ნივთი — უნივთო

ამას დაეუმატოთ „მსოფლიო“, „ბუნება“, „არსებობა“, „ყოფნა“, „ყოფიერება“, „მყოფობა“, „შეგრძნებათა სამყარო“, „შეგრძნებადი სამყარო“, „ემპირიული სამყარო“, „ემპირიული სინამდვილე“ (ურთიერთსინონიმებად ხმარებული ლიტერატურაში).

სინონიმთა ამგვარი სიუხვე და სიჭრელე (რაც სიტყვაკავშირულ მწერლობაში საესეებო კანონზომიერია, მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში — შეუწყნარებელი) წინასწარვე მეტყველებს, რომ აღნიშნულ ტერმინთა შინაარსი ერთიმეორეს ზუსტად არ თანხვედება და არ ფარავს.

ეს რომ მართლაც ასეა, ორიოდ მაგალითი ცხადყოფს.

„ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონში“ ტერმინს „სოფელი“ ამგვარი დეფინიცია ახლავს: „სოფელი — ქვეყანა, მსოფლიო“. ხოლო რა არის „ქვეყანა“ და „მსოფლიო“?

„**ქვეყანა** — დედამიწა, დედამიწის სფერო, ჩვენი პლანეტა || დედამიწა და ყველაფერი, რაც მასზედ არსებობს, — დედამიწის ზურგი, **ბუნება**, მსოფლიო“.

„**მსოფლიო** — მთელი ქვეყანა, ქვეყნიერება, დედამიწა“.

ამ განმარტებებში გაჩნდა ახალი ტერმინი — „ბუნება“. ვნახოთ მისი მნიშვნელობა:

„**ბუნება** — რეალურად, ობიექტურად არსებული ორგანული და არაორგანული სამყარო (დედამიწა, ჰაერი, წყალი, ცის სხეულები, მცენარეები, ცხოველები)“.

მაშასადამე, თავდაპირველი ტერმინის („სოფელი“) მნიშვნელობა, შინაარსი უზომოდ გაფართოვდა — დედამიწის სფეროს გარდა ცის სხეულებიც მოიცვა. მაგრამ რას ნიშნავს „ცის სხეულები“, რა არის „ცა“?

„**ცა** — დედამიწის ზემოთ (?) არსებული სივრცე (რომელიც გუმბათის ფორმისა ჩანს), — **ზეცა**“. მაშასადამე, „ცა“ და „ზეცა“ ერთი და იგივეა.

„**ზეცა** — იგივეა, რაც ცა (საპირისპ. ქვეყანა)“.

ამჯერად თავდაპირველი ტერმინის მნიშვნელობა კვლავ ვიწროვდება, რადგან, თუკი „ქვეყანა“ „ცის“ საპირისპიროა, „სოფლის“ შინაარსში „ცა“ და „ცის სხეულები“ ვეღარ შევა.

ნულარაფერს ვიტყვით იმის თაობაზე, რომ თუკი ტერმინ „მსოფლიოს“ შინაარსი დედამიწის სფეროს არ სცილდება (იხილეთ „მსოფლიოს“ განმარტება აქვე, ზემოთ), მაშინ მისგან ნაწარმოები კომპოზიტი „მსოფლმხედველობა“ ვერ უნდა იჩემებდეს ისეთ ფართო მნიშვნელობას, როგორც ლექსიკონის თანახმად მიეწერება: „**მსოფლმხედველობა** — შეხედულებათა, წარმოდგენათა სისტემა **სამყაროსა** და მის კანონზომიერებებზე, **ბუნებისა** და საზოგადოების მოვლენებზე“ (რადგან „ბუნება“, როგორც ვნახეთ, „ცის სხეულებსაც“ მოიცავს, ხოლო „სამყაროს“ უპირველესი მნიშვნელობა ყოფილა „დედამიწისა და სხვა ციური სხეულების ერთიანი სისტემა“).

მსგავს სურათს მივიღებთ, თუკი მოვიწადინებთ ლექსიკონის მიხედვით დავაზუსტოთ მნიშვნელობა ტერმინებისა „საწუთრო“, „სააქაო“, „წუთისოფელი“ („**საწუთრო** — ეს ქვეყანა, სააქაო. წუთისოფელი“; „**სააქაო** — ეს ქვეყანა, წუთისოფელი, საწუთრო“; „**წუთისოფელი** — ეს ქვეყანა, ამქვეყნიური ცხოვრება“).

ამგვარი ვითარების მიზეზი განმარტებითი ლექსიკონის მესვეურთა უფულისყურობა კი არ არის, არამედ ის ტერმინოლოგიური ქაოსი, რომელიც სუ-

ფევს წიგნის ენაში (ხოლო განმარტებითს ლექსიკონს უწინარეს ყოვლისა ამ ენის ასახვა აქვს მიზნად).

ამ თვალსაზრისით V-XVIII საუკუნეთა ქართულ მწერლობაში მეტი სიმწყობრე და სიზუსტე შეინიშნება, მაგრამ რაიმე ერთიანი და გამოკვეთილი პრინციპი (რაც ტერმინს ცნებად აქცევდა და თან საყოველთაოდ მიღებული იქნებოდა) ვერც იქ არის მონახული, ტერმინთა სიტყვებისგან არც ეს მწერლობა დაზღვეული.

ასე რომ, წინამდებარე ნაშრომის ავტორი იძულებული შეიქნა თვითონვე შეერჩია ის ტერმინები, რომლებიც უკეთ გამოხატავდნენ მისი კვლევის სავანს. ამავე დროს, რამდენადაც ნაშრომი ქართულ მწერლობას შეეხება, ავტორს (გარდა იმისა, რომ ზემოთ მოტანილ დაპირისპირებულ წყვილთაგან რომელიმე ერთი უნდა შეერჩია მხოლოდ) მართებდა თავისი არჩევანი მიესადაგებინა გარკვეული ეპოქის საერთო სულისკვეთებისათვის, ძველად არარსებული და ოდენ დღესდღეობით ხმარებული ტერმინები (და, ამდენად, დღევანდელი თვალთახედვა) არ მოეხვია თავს გარდასულ საუკუნეთა ძეგლებისთვის.

ასეთ ვითარებაში ზემოთ მოტანილ წყვილთა პირველი ცალებიდან („სინამდვილის“, „ცდის სამყაროს“ აღმნიშვნელ ტერმინთაგან) იმთავითვე გამოირჩება ისეთები, როგორცაა „ყოფიერება“, „ამქვეყნიური“, „ემპირიული“ და მისთანანი. ზოგიერთი ტერმინი უარყოფილ იქნა მათი ემოციური შეფერილობის გამო („საქაქაო“, „წუთისოფელი“, „საწუთრო“...), ნაწილი — მათი შინაარსის არასაკმარისი სიფართვის გამო („ქვეყანა“, „მიწა“...), ზოგიც — მათი ზედსართავული წარმომავლობის გამო, რაც სიტყვახმარებაში გარკვეულ უზრუნველბებს ქმნის („წარმავალი“, „უამიერი“, „ხრწნალი“, „მედინი“, „მყოფი“...). რაც შეეხება ტერმინებს „მსოფლიო“ და „სამყარო“, უნდა ითქვას შემდეგი: „მსოფლიო“ თავისთავად „სოფლიდან“ ნაწარმოები სიტყვაა, ძველ მწერლობაში დღევანდელი გაგებით არ იხმარებოდა, არამედ ნიშნავდა „იმას, ვინც (ან რაც) სოფლისაა, სოფელშია“. ასევე გაცილებით ვიწრო მნიშვნელობა ჰქონდა „სამყაროს“ — მიწის ირგვლივ განფენილი ეთერისა და ცხრა ცის შემომგარსველ სფეროს ეწოდებოდა.

დაგვრჩა „სოფელი“ და „ნივთი“ (მატერია), რომელთაგან უპირატესობა პირველს მიენიჭა თუნდაც იმ მიზეზით, რომ, ჯერ ერთი, ქართულ ქრისტიანულ მწერლობაში ეს არის ყველაზე მეტად გავრცელებული ტერმინი იმის აღსანიშნავად, რაც ჩვენ გვაქვს მხედველობაში, და, მეორეც, „ნივთი“ მხოლოდ და მხოლოდ მატერიას არ ნიშნავდა ამავე მწერლობაში.

მაგრამ არის თუ არა „სოფელი“ სწორედ ის, რადაც ვაპირებთ ვიგულისხმობთ ამ შრომაში, ფარავს თუ არა ერთიმეორეს „სოფლისა“ და „სინამდვილის“, „ცდის სამყაროს“ შინაარსი?

„დასაბამად ქმნა ღმერთმან ცაჲ და ქვეყანა“, — ამ სიტყვებით იწყება ქრისტიანობის საღვთო წერილი — „დაბადება“ (ბიბლია). „დაბადება“ ნიშნავს შექმნას. ღმერთმა შექმნა ცა და მიწა („ქვეყანა“, დედამიწა), შემდეგ ცაში შექმნა მზე, მთვარე და ვარსკვლავები, ხოლო მიწაზე — ყოველივე არსებული. ხოლო ამ აქტს ეწოდება „სოფლის დაბადება“, „შექმნა სოფლისა“, „სოფლისა შესაქმე“<sup>1</sup>. ეს კი მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ტერმინი „სოფელი“ მოიცავს მთელ

<sup>1</sup> შტრ. იოანე, 17, 24. უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა“..., თბ., 1964, გვ. 31 და მომდევნო. სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ტერმინი „დაბადება“.

სინამდვილეს, მთელ ყოფიერებას, მთელ მატერიალურ სამყაროს, ცდის სამყაროს (დღევანდელი გაგებით).

საქმეს არ ცვლის ის გარემოება, რომ „სოფელს“ ზოგჯერ „ყოველი“ დაერთვის ხოლმე: „ყოველი სოფელი“<sup>2</sup>. ეს ხდება მეტი სიზუსტისთვის, რადგან კონტექსტის მიხედვით „სოფელი“ ხან აქვე ზემოთ წარმოდგენილი მნიშვნელობით იხმარება, ხან აღნიშნავს მხოლოდ დედამიწას, ქვეყნიერებას, ხან ქვეყანას (მხარეს), ხანაც უბრალოდ სოფელს დღევანდელი გაგებით (деревня, село), დაბოლოს — არსებობას, კაცის ცხოვრებას<sup>3</sup>.

მთავარი ის არის, რომ თავისი უზოგადესი მნიშვნელობით „სოფელი“ („ყოველის“ გარეშე) მოიცავს არა მხოლოდ დედამიწას და მასთან დაკავშირებულ სინამდვილეს<sup>4</sup>, არამედ ყოველსავე იმას, რაც თავისი ბუნებით არის მატერიალური, ოთხი კავშირისაგან ანუ ოთხი ელემენტისაგან შეთხზული, „ნივთიერი“.

ცხადია, აქ შედის აგრეთვე ცა<sup>5</sup>. და ამასთან დაკავშირებით, როგორც ჩანს, ერთი გაუგებრობა აღიძვრდა. ჩვეულებრივს, არაფილოსოფიურ სიტყვახმარებაში „ცა“, „ზეცა“ ღმერთის, ღვთაებრივის, არამატერიალურის სინონიმად მიიჩნეოდა (აქედან შემორჩა დაპირისპირებული წყვილები: მიწა — ცა, მიწიერი — ზეციური და სხვა). ამგვარი გაგებით ეს სიტყვა ბიბლიაშიც ხშირად იხმარება: „...უფალო ღმერთო ცათაო“ (წიგნი ნემიასი, 1, 5); „მეუფე ზეცისა“ (მეორე ეზდრასი, 4, 58); „ცანი უთხრობენ დიდებასა ღმრთისასა“ (ფსალმუნნი, 18, 1); „სიპართლე ზეციი გამოჩნდა“ (ფსალმუნნი, 84, 12); „ძალნი მალაღნი ცისანი“ (ისო ზირაქისა, 17, 27); „სასუფეველი ცათა“ (მათე, 3, 2; 5, 3; 19, 24...) და სხვა.

მაგრამ ამგვარ გაგებას ეწინააღმდეგება ის უმთავრესი დებულება, რომ ცაც (მნათობებითურთ), ისევე როგორც დედამიწა, არ არის მარადი ბუნებისა. რადგან: „შენ ჰქმენ ცანი და ქვეყანა და ყოველნი საკვირველნი ცასა ქვეშეთსა შინა...“ (წიგნი ესთერისა, 4, 16), ხოლო ამ ქმნილ ცასა და ქვეყანას „წარხდომა“ მოელის: „დასაბამსა შენ, უფალო, ქვეყანა დაამყარე, და ქმნულნი ხელთა შენთანი ცანი არიან. იგინი წარხდენ, ხოლო შენ ეგო უკუნისამდე. ყოველნი ვითარცა სამოსელნი დაძველდენ, და შენ ვითარცა შესამოსელნი სცვალენ იგინი, და იცვალნენ. ხოლო შენ თავადი იგივე ხარ და წელიწადთა შენთა არა მოაკლდეს“ (ფსალმუნნი, 101, 26—28); „ამინ გეტყვი თქვენ: ვიდრემდე წარხდეს ცა და ქვეყანა, იოტა ერთი, გინა რქა ერთი არა წარხდეს სჯულისაგან...“ (მათე, 5, 18); „ცანი და ქვეყანა წარხდენ, ხოლო სიტყვანი ჩემნი არა წარხდენ“ (მათე, 24, 35).

ეს მოჩვენებითი წინააღმდეგობა იმით აიხსნება, რომ ტერმინი „ცა“ ბიბლიაში იხმარება ორგვარი მნიშვნელობით: ერთი არის იგივე ხილული ცა მნათობებითურთ, რომლის შექმნის ამბავიც არის მოთხრობილი ბიბლიის პირველ-

<sup>2</sup> უძველესი რედაქციები... 31,8 და სხვა.

<sup>3</sup> შტრ. ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, 1958, ტერმინი „სოფელი“.

<sup>4</sup> შტრ. „ვიდრე მთანი არა დაბადებულ იყვნეს და შექმნულ ქვეყანა და ყოველი სოფელი...“ (ფსალმუნნი, 89, 2). საგულისხმოა, რომ სხვა ხელნაწერში იკითხება: „...შექმნად ქვეყნისა და სოფლისა“. შეადარეთ: „...Ты образовал землю и вселенную“.

<sup>5</sup> შტრ.: „სოფელი — ცა და ქვეყანა და სავსება მათი“. ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი.

სავე სტრიქონებში<sup>6</sup>; მეორე არის ცა, როგორც არამატერიალური, უხილავი, მეტაფიზიკური, ტრანსცენდენტური რამ (და არა სივრცული განფენილობა; ცხრა ცისა და მნათობთა დასის შემცველი), რომელიც გაიფიქრებულია ღვთაებრივთან. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ უქანასკნელი მნიშვნელობის გამოსაკვეთად გაჩნდა ბიბლიაში ტერმინი „ცანი ცათანი“: „აჰა ესერა, უფლისა ღვთისა შენისა არიან ყოველნი ცანი ცათანი, ქვეყანა და ყოველი, რაჲ არიან მას შინა“ (მეორე სჯულისა, 10, 14); „...შენ შეჰქმენ ცანი და ცანი ცათანი და ყოველი მხედრობაჲ მათი, ქვეყანაჲ და ყოველი, რაოდენი არს მას ზედა...“ (ნემიასი, 9, 6); „ცანი ცათანი უფლისანი არიან, და ქვეყანაჲ მოსცა ძეთა კაცთასა“ (ფსალმუნნი, 113, 24).

ამგვარი გააზრების გარეშე სრულიად გაუგებარი დარჩებოდა ახალი აღთქმის „სასუფეველი ღვთისა გულთა შინა თქვენთა არს“.

ვფიქრობ, ყოველივე ზემოთქმული უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქართულ ქრისტიანულ მწერლობაში ხმარებულ ტერმინთაგან „სოფელი“ (თავისი უპირველესი და უზოგადესი მნიშვნელობით) ყველაზე სრულად მოიცავდა და უკეთ გამოხატავდა იმას, რასაც დღეს „მთელ სინამდვილეს“, „მატერიალურ სინამდვილეს“, „ცდის სამყაროს“ ან უბრალოდ „სამყაროს“ ვუწოდებთ. ხოლო ამგვარი დასკვნა იმის საფუძველია, რომ ქრისტიანული მწერლობის და, საერთოდ, შუა საუკუნეთა მწერლობის საკითხთა გამოძიებისას „სოფელი“ გამოვიყენოთ როგორც საცხები უფლებამოსილი, ზუსტი და მკაცრად მოხაზული ცნება, რომელიც ამ მწერლობაში იხმარებოდა ოთხი ელემენტისგან შეთხზული (მატერიალური) მთელი სინამდვილის გამოსახატავად.

ახლა ჩვენ წინაშე აღიძვრის კითხვა: შრომის დასაწყისში მოტანილ ურთიერთსაპირისპირო წყევლთა მეორე ცალებიდან რომელია ისეთი ტერმინი, რომელიც ზუსტად დაუპირისპირდება ცნებას „სოფელი“ და, ამასთან, შესატყვისი იქნება შუა საუკუნეთა რელიგიური და რელიგიურ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობისა?

თუ ამჯერადაც მივმართავთ ზემოთ გამოყენებულ პრინციპს, ამთავითვე უნდა გამოირიცხოს თანადროული ტერმინები — „იდეალური სამყარო“, „მეტაფიზიკური სამყარო“, „ტრანსცენდენტური“, „იმქვეყნიური“ და მისთანანი. უნდა უარვყოთ აგრეთვე ემოციური შეფერილობის, ბუნდოვანი შინაარსის მქონე ტერმინები — „ის ქვეყანა“, „საიქიო“, „ცა“, „ზეციური“, „მომავალი“, „მერმე სოფელი“, „ის სოფელი“. ასევე — ზედსართავული წარმომავლობის „საუკუნო“, „წარუვალაო“, „უჟამო“, „უზრწნელი“, „წარუდინებელი“. „ზესკნელს“ რაც შეეხება, ეს ტერმინი წარმართობის დროინდელი გადმონაშთია და ცნობიერების იმ საფეხურს მიუთითებს, როდესაც სამყარო სამ „სკნელად“ იყო მოაზრებული. ამგვარი მოდელი ქრისტიანულ მსოფლგაგებას ზოგად ხაზებში კიდევ რომ შეესაბამებოდეს, (ზესკნელი — ღმერთის, ღვთაებრივი სფერო, შუა სკნელი — დედამიწა, ქვესკნელი — ჯოჯოხეთი), „ზესკნელი“ მაინც არ გამოდგება „სოფლის“ საპირისპიროდ.

დაგვრჩა „სასუფეველი“ („სასუფეველი ცათა“, „სასუფეველი ღვთისა“), „საუკუნო სოფელი“, „სინამდვილმყოფი“, „უნიეთო“ და „ზესთასოფელი“.

<sup>6</sup> „ცოსასა რომელნიმე ოთხთა კავშირთაგან იტყვიან შემზადებასა, ხოლო რომელნიმე — გარეშე ოთხთა კავშირთაგან ქმნილსა“. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტერმინი „ცა“.

აქ საჭიროა ჩავუთოთ შენიშვნა: „სოფლის“ საპირისპირო ცნების დადგენისას უნდა მოვიძიოთ ისეთი ტერმინი, რომლის ზოგადობის ზარისხი „სოფლისას“ შეესატყვისებოდეს. უამისოდ რელიგიურ და რელიგიურ-ფილოსოფიურ საკითხთა კვლევისას არაერთ უხერხულობას გადავაწყდებით. ჩვენ უნდა გვჭონდეს ტერმინი, რომელიც აღნიშნავს იმას, რაც სცილდება ამ სინამდვილეს, ცდის სამყაროს, თოხი ელემენტისგან შეთხზულს (მატერიალურს), რაც ტრანსცენდენტურია და, ამავე დროს, შეიძლება გულისხმობდეს არა მხოლოდ ღმერთს (ერთს, აბსოლუტურს). რადგან ზოგადი რელიგიურ-ფილოსოფიური თვალსაზრისით შესაძლოა მყოფობა ჰქონდეს ისეთ რასმე, რაიც უკვე გამოვლენილია, არ არის ღმერთი, მაგრამ თავისი ბუნებით არის ღვთაებრივი, მარადიული, უხრწნელი, იმმატერიალური, ესე იგი სოფლის საპირისპირო, მისგან პრინციპულად განსხვავებული. ასე რომ არა, „სოფლის“ საპირისპირო ცნებად „ღმერთიც“ იკმარებდა და ამით მოთავდებოდა საქმე.

მაგრამ, ამასთან ერთად, საძიებელი ტერმინი „ღმერთსაც“ უნდა მოიცავდეს, ეს ტერმინი წინასწარ არ უნდა გულისხმობდეს ცალკეულ რელიგიურ-ფილოსოფიურ კვლევა-ძიებებს, რომლებითაც განისაზღვრება, თუ როგორ იერარქიებადაა განფენილი გამოვლენილი სამყარო ღმერთიდან ვიდრე სოფლამდე. რადგან „სიტყვა“ („ლოგოსი“), „მსოფლიო გონება“, „მსოფლიო სული“, „ანგელოსი“, „ქერუბინი“, „სერაფიმი“ და მსგავსი რელიგიურ-ფილოსოფიურ აზრთა წყობის ისეთი ნიუანსებია, რომელთა ირგვლივ ყოველთვის როდი თანხედება, ვთქვათ, ორთოდოქსული ქრისტიანობისა და ნეოპლატონიზმის თვალსაზრისი. ხოლო ჩვენ ვეძიებთ ტერმინს, რომელიც თანაბრად გამოსაყენებელი და მარჯვედ სახმარი იქნება ნებისმიერი რელიგიურ-ფილოსოფიური სისტემის შემთხვევაში, ნებისმიერი იდეალისტური (არამატერიალისტური) მოძღვრების შემთხვევაში. ამის აუცილებლობა ნაკარნახევია ქართული ქრისტიანული კულტურის მრავალწახანაგოვანი ბუნებით.

ამ თვალსაზრისით თუ შევხედავთ არსებულ ვითარებას, უნდა უკუვაგდოთ ტერმინები „სასუფეველი“ („სასუფეველი ცათა“, „სასუფეველი ღვთისა“) და „ნამდვილმყოფი“, როგორც არასაკმაოდ ზოგადი და ყოვლისმომცველი („სასუფეველი“ ანგელოსთა და წმიდა სულთა სამყოფელია მხოლოდ, „ნამდვილმყოფი“ პლატონური ფილოსოფიის გაზიარებას გულისხმობს). „საუკუნო სოფელი“ ასე თუ ისე შესაფერისი ტერმინი იქნებოდა, მაგრამ წყვილთა პირველ წევრად მას უპირისპირდება არა „სოფელი“, არამედ „წუთისოფელი“. რაც შეეხება „უნივერსოს“, ის სულაც არ გამოდგება „სოფლის“ საპირისპიროდ.

ყოველივე ამის გათვალისწინების შედეგად მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ საძიებელი ტერმინი არის მხოლოდ „ზესთასოფელი“.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ეს ტერმინი პირველად გამოიყენა ევრემ მცირემ ფსევდო-დიონისე არეობაგელის თხზულებათა თარგმნისას<sup>2</sup>. ევრემ მცირე ხმარობს ფორმას „ზეშთასოფელი“, მაგრამ „ზეშთა-“ და „ზესთა-“ ქართულში იმდენად ბუნებრივად მონაცვლეობენ, რომ „ზეშთასოფლის“ ნაცვლად „ზესთასოფლის“ ხმარება არავითარ გაუგებრობას არ უნდა იწვევდეს.

<sup>2</sup> იხილეთ პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეობაგელი), შრომები, ევრემ მცირის თარგმანი. გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთოთ სამსონ ენუქაშვილმა, თბილისი, 1961. 7, 11, 30, 15, 24, 30, 102, 20, 112, 31, 142, 4, და სხვა.

## 2

წინამდებარე ნაშრომის საბოლოო მიზანია იმის გამოძიება, თუ როგორ არის გაგებული შუა საუკუნეთა ქართულ მწერლობაში სოფლისა და ზესთასოფლის მიმართება და როგორი შედეგები ახლავს გაგების ასეთსა თუ ისეთს ნაირობას კულტურისთვის (ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ ხსენებულ ეპოქაში, გარკვეული იდეოლოგიის ფარგლებში, ეს არის ძირითადი მსოფლმხედველობრივი საკითხი და მისი გვერდის ავლით ამ ეპოქის ვერც ერთ კულტურულ მოვლენას ვერ შევაფასებთ ჭეროვანი სიღრმით). მაგრამ ამ საბოლოო მიზანთან მიახლებამდე საჭიროა ზოგადად მაინც გავისხენოთ, როგორი მემკვიდრეობა მიიღო ქართულმა ქრისტიანულმა კულტურამ ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ასპექტით, როგორი იყო ის წინამძღვრები, რასაც დაემყარა თვალსაზრისი სოფლისა და ზესთასოფლის მიმართების შესახებ ქართულ ლიტერატურაში.

რამდენადაც სოფლისა და ზესთასოფლის მიმართების საკითხი ანტიკურ ეპოქაში იღებს სათავეს, რამდენადაც ქრისტიანულმა ფილოსოფიამ გამოიყენა ანტიკური აზროვნების არაერთი დებულება, დაბოლოს, რამდენადაც ქართულ კულტურაში საკმაოდ ნათლად შეინიშნება იმავე ანტიკური ფილოსოფიის ნაცნობობის კვალი, აღნიშნულ ეპოქას ამჯერად გვერდს ვერ აუქვლით.

ოღონდ სულაც არ არის აუცილებელი მივმართოთ საკითხის უშუალო სათავეს, ესე იგი იმ ფილოსოფოსს, ვის ნააზრევშიც წარმოდგა პირველად სოფელი და ზესთასოფელი, როგორც პრინციპულად განსხვავებული და დაპირისპირებული ორი პოლუსი არსისა, ვინც ერთმანეთისგან ფილოსოფიურად გათიშა პირველსაწყისი და ემპირიული ყოფიერება (ქსენოფანე კოლოფონელი)<sup>8</sup>. არც ეს არის აუცილებელი, უეჭველად ვითვალისწინებდეთ, თუ როგორ ნიუანსებს დებულობდა ეს თვალსაზრისი მომდევნო ფილოსოფოსებთან. ამჟამად ჩვენთვის საინტერესოა საკითხის ფაქტობრივი და არა ისტორიული ასპექტი და, ამდენად, ჩვენი მიზნებისთვის სავსებით საკმარისი იქნება საკითხს მშერა მოვავლით იმ სტადიაზე, როდესაც მან საბოლოოდ ჩამოყალიბებული და ყოველმხრივ ღრმად მოაზრებული სისტემის სახე მიიღო. ეს კი განხორციელდა პლატონის ფილოსოფიაში.

„იმმატერიალიზმი პლატონის თავისთავადი ნააზრევია. წინარე სისტემებში, ანაქსაგორასეულის გამოუკლებლად, სადაც კი რაიმე ითქმოდა სულიერის, როგორც ცალკე არსებული პრინციპის გამო, ეს სულიერი მატერიალური სინამდვილის განსაკუთრებული სახეობად გვევლინებოდა ყველგან და ყოველთვის. და მხოლოდ პლატონმა მიაკვლია წმინდა სულიერ სამყაროს“<sup>9</sup>.

ამ თვალსაზრისში ზოგი რამ სადავო უნდა იყოს. მაგრამ ის კი უეჭველია, რომ ცვალებადი სინამდვილისა და არსის მიმართების საკითხი პლატონის ფილოსოფიაში უკვე ისეთი სისავსით გამოიკვეთა, იმდენად მრავალწახნაგოვნად ჩამოინაკეთა, რომ ანტიკურობიდან მოყოლებული დღემდე არსებულ რელიგიურ-ფილოსოფიურსა და იდეალისტურ სისტემებში მას ერთობ ცოტა რამ შეემატა პრინციპულად ახალი. ეს უკანასკნელი გარემოება კი უფლებას გვაძლევს პლატონიდან მოყოლებული გვიანტერესებდეს საკითხის არა მხოლოდ წმინდა ფილოსოფიური ასპექტი, არამედ აგრეთვე კულტურულ-ისტორიულიც.

<sup>8</sup> В и н д е л ь б а н д, История древней философии, СПб, 1902, стр. 40—44.

<sup>9</sup> იქვე, 23. 116.

ეს ნიშნავს შემდეგს:

მართალია, პლატონმა თავისი ძირითადი ფილოსოფიური საქმიანობა იქით-ქენ წარმართა, რომ უღრმეს ძირებამდე სწვდომოდა სოფლისა და ზესთასოფლის მიმართების რაობას, მაგრამ საამისოდ იგი იძულებული შეიქნა ვერ მთელი სიღრმე-სიგანით წარმოეჩინა მათი გამთიშველი უფსკრული და მხოლოდ შემდეგ ცდილიყო მათს შეერთებას, ვერ საბოლოოდ შეემუსრა მითოლოგიური აზროვნების ტრადიციებს დამყარებული ჰარმონიული მთლიანობა სოფლის და ზესთასოფლისა და მხოლოდ შემდეგ ეზრუნა ახალი, უკვე ფილოსოფიურად დასაბუთებული ჰარმონიისთვის. ფილოსოფიის ისტორიაში მიჩნეულია, რომ ეს ცდა თუ მარცხით არა, ყოველ შემთხვევაში არც გამარჯვებით დასრულებულა. უფსკრულის გარდევვა ფილოსოფიური თვალსაზრისით უფრო იოლი აღმოჩნდა, ვიდრე მისი შეერთება. ამას ის მოწმობს თუნდაც, რომ, თუ გათიშვის დასაბუთება ონტოლოგიის ფარგლებიდან გაუსვლელადაც ჩინებულად ხერხდებოდა, შეერთების დასასაბუთებლად ეთიკურ კატეგორიათა მოხმობა შეიქნა აუცილებელი. რა ერთხელ ვაირკვა, რომ სოფელი არა-არსი ყოფილა და ჭეშმარიტი რეალობა მხოლოდ ზესთასოფელს ჰქონია, შემდეგ ერთობ გაძნელდა არსისა და არა-არსის, „ერთისა“ და „სხვის“ შერწყმა თუ არა, მორიგება მაინც<sup>10</sup>.

ამას ჩინებულად ხვდებოდნენ (ყოველ შემთხვევაში — გრძნობდნენ) პლატონის მომდევნო მოაზროვნენი და, არისტოტელედან მოყოლებული, მათი მცდელობა (ცხადია, იდეალისტურ და რელიგიურ-ფილოსოფიურ სისტემათა ფარგლებში) აღნიშნული ხარვეზის ამოვსებისკენ იყო მიმართული მეტწილად, ვიდრე კანტმა უკვე გნოსეოლოგიური არგუმენტები არ მოიშველია უფსკრულის ხელახლა გასარღვევად.

ამგვარ ვითარებას თავისი გარკვეული შედეგები ახლდა მუდამ არა მარტო ფილოსოფიური საქმიანობის სფეროში, რაც წარუშლელ დაღს აჩნევდა ევროპული (და არა მხოლოდ ევროპული) კულტურის ხალხთა სულიერ ცხოვრებას.

საქმე ის არის, რომ განსაზღვრულ ისტორიულ პირობებში სოფლის არა-არსობის ფილოსოფიური დებულება ეთიკისა და ესთეტიკის სფეროშიც გადმოინერგა. განსაზღვრულ ისტორიულ პირობებში სოფლისა და ზესთასოფლის გამთიშველი უფსკრულის თავსატეხი პრობლემის გადაჭრა იმ გზითაც სცადეს, რომ, თუ საერთოდ არ გაუუქმებინათ, ყოველ შემთხვევაში უფულებელყოთ მაინც გამოღმა ნაპირი და მხოლოდ გაღმა მიეპყროთ მზერა. პლატონმა ონტოლოგიურად გათიშა სოფელი და ზესთასოფელი, მხოლოდ ბრძენთათვის მისაწვდომად სცნო მათი შემაერთებელი გზა, მაგრამ ეთიკის სფეროში იგი შერწყმის აპოლოგეტად დარჩა. ხოლო განსაზღვრულ ისტორიულ პირობებში გათიშვა ეთიკურადაც იქნა ნაკურთხი და ამით პრაქტიკულად დროებით მაინც გაუქმდა შერწყმის ყოველგვარი პერსპექტივა.

პლატონის ფუძემდებლური ფილოსოფიური დებულებები სოფლის არა-არსობისა და ზესთასოფლის ნამდვილმყოფობის შესახებ ხალისით იქნა გაზიარებული ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში თავდაპირველად გნოსტიკოსებისა და მისტიკოსი პლატონელების, შემდეგ — ნეოპლატონიკოსებისა და ქრისტიანული ფილოსოფიის წარმომადგენელთა მიერ. ამას დაერთო, როგორც ჩანს, მანიქეოზმის დუალისტური მოძღვრებისა და ბუდიზმის გარკვეული გავლენანი და მოხდა ძალზე ნიშანდობლივი რამ: წმინდა ფილოსოფიურმა,

<sup>10</sup> შტრ. საელე წერეთელი, ანტიკური ფილოსოფია, თბილისი, 1968, გვ. 230—377.



ეს ყოველივე უშუალოდ ეხება ქართულ კულტურასაც, მით უმეტეს, რომ საქართველო დაკავშირებული იყო ქრისტიანობის აღმოსავლურ ფრთასთან, ხოლო აქ, როგორც ჩანს, სხვა აღმოსავლურ მოძღვრებათა ზეგავლენითაც, სოფლის მოძაგების ისეთი ყოველმომცველი კულტი იყო დანერგული, რომ მისით სუნთქავდა მთელი კულტურული ატმოსფერო.

„...სიმდიდრე წარმავალ არს, და პატიოსნება ცუდ იქმნების, და სიკეთე შეიცვალვის, და შეენიერება განირყენების, და ყოველივე დიდება ამის სოფლისამ ამაო იქმნების, და ვითარცა სიზმარი დაივიწყების, და ვითარცა კვამლი განქარდების, და ვითარცა აჩრდილი წარვალს“<sup>13</sup>;

„...შეებანი და გემონი სოფლისანი სიკვდილსა შობენ, და სიკვდილით მოაკვდინებს შეენიერება მისი (სოფლისა) ტრფიალთა მისთა“<sup>14</sup>;

„ამისთვის ევლტიან სოფელსა ამას მონაზონნი განშორებულნი, რაათა არა შეიტყუენეს შეენიერებამან მისმან წარმავალმან და დაუღვრომელმან, რომელი მსგავს არს სიზმარსა და ვითარცა ჩვენება ღამისა განქარდების“<sup>15</sup>;

„კეთილ არს შენდა სოფელი საგლახაკოჲ, უღონოჲ და უპოარი. ესე უმჯობეს არს სამკვიდრებელსა სოფლისასა შეენიერებითა საესესა, რომლისა სამკვიდრებელი ცეცხლი და სატანჯველი არს“<sup>16</sup>;

„განვათავისუფლეთ სულნი ჩვენნი მონებისაგან სოფლისა ამის მყის წარმავალისა და ცუდისა, რომელი საესე არს ეკლითა და საფრხითა მაკვდინებელითა“<sup>17</sup>.

ამ რაფინირებულ შეგონებებს საყოველთაოობის პრეტენზია ჰქონდათ და სრულიად ვეღარ ითვალისწინებდნენ სახარებაშივე მოცემულ გაფრთხილებას, რომ „არა ყოველთა დაიტიონ სიტყვაჲ ეგე, არამედ რომელთა მიცემულ არს“ (მათე, 19, 11).

ამდენად, აღნიშნული ეთიკური კრედო იმავე ქრისტიანობის თვალსაზრისით ჭეშმარიტი შინაარსისგან დაკლილი იყო და ხელის შეწყობის ნაცვლად აფერხებდა ისტორიის ლოგიკურ მდინარებას. სოფლისა და ზესთასოფლის ამგვარი გათიშვა და შეურიგებელი დაპირისპირება (სოფელი — ბოროტება, ზესთასოფელი — სიკეთე) სრულიად შეუძლებელს ხდიდა რაიმე გამოსავალი მოქმენილიყო წარმოქმნილი მსოფლმხედველობრივი ჩიხიდან და ამას კულტურის სფეროშიც სავალალო შედეგები ახლდა ხშირად.

გამოსავალი მაინც დაისახა ფსევდო-დიონისე არეოპაგელის (პეტრე იბერის) ნააზრევის სახით.

არეოპაგეტიკა არ არის წმინდა ფილოსოფია, ეს არის რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება. მაგრამ ჩვენც ხომ საკითხის ოდენ ფილოსოფიური მხარე არ გვანტერესებს, არამედ, როგორც უკვე ითქვა, კულტურულ-ისტორიულიც.

<sup>13</sup> მამათა სწავლანი... გვ. 91.

<sup>14</sup> იქვე, გვ. 189.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 193.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 198.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 283.

ამ თვალსაზრისით კი ძნელია არეობაგეტიკის როლის გადაჭარბებით შეფასება კაცობრიობის სულიერი აღმასვლის ისტორიაში.

საქმე ის არის, რომ იმ კონკრეტულ ისტორიულ ეპოქაში, რომელსაც აქ ვეხებით, გამორიცხული იყო სოფლის მოაზრება ზესთასოფლის გარეშე (ცხადია, აქ არ იგულისხმებიან მატერიალისტურად განწყობილი ცალკეული მოაზროვნენი, ლაპარაკია ცივილიზაციისა და კულტურის შემოქმედთა ძირითად მასებზე). ასეთ ვითარებაში კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ცალკეულ ფილოსოფიურ და რელიგიურ-ფილოსოფიურ საკითხთა იმდენად გადაჭრას არა, რამდენადაც დაყენებას, ამ საკითხებისადმი მიდგომის მეთოდს, მზერის კუთხეს. კერძოდ, დიდი უპირატესობით უნდა ესარგებლა იმ სისტემას, რომელიც რელიგიური აზროვნების არსებულ პირობებში სხვებზე უფრო შესატყვისი აღმოჩნდებოდა რეალური ორიენტაციისთვის, სხვებზე უკეთ მიესადაგებოდა ადამიანის ბუნებრივ მიდრეკილებებსა და მისწრაფებებს, მისი შინაგანი სამყაროს თავისებურებებს.

ამ თვალსაზრისით უადგილო არ იქნება გავიხსენოთ, რა ბედი ეწია, მაგალითად, ბუდიზმს. ერთობ ფილოსოფიური, ერთობ აბსტრაქტული მოძღვრება მასებმა ვერ მოიხელეს და მოხდა ძალზე ნიშანდობლივი რამ: პიროვნულ ღმერთს მოწყურებულმა ბუდისტებმა ბოლოს თავად ბუდა დასახეს ღმერთად და თაყვანისცემის საგნად.

ეს მაგალითი გვიადვილებს იმის გაგებას, თუ რატომ ვერ იქცა ნეოპლატონიზმი მასების რელიგიად, ან რატომ ვერ შეასრულა ის როლი კაცობრიობის კულტურული განვითარების ისტორიაში, რომელიც შეეძლო შეესრულებინა ყველა ნიშნის მიხედვით: თავისი ერთობ განყენებული ხასიათის გამო. თუ ცალკეულ გამორჩეულ პიროვნებებს არ მივიღებთ მხედველობაში, კულტურის ძირითად ფასეულობათა შემოქმედნი ამ ქვეყნად მუდამ იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც, მართალია, ერთობ შორს სცილდებოდნენ გაუნათლებელი მასების დონეს, მაგრამ არც საიმისოდ ყოფილან მოწოდებულნი, რომ მთელი სიღრმით ჩასწვდომოდნენ ისეთ საკითხებს, როგორიც იყო, მაგალითად, ნეოპლატონიკოსთა „ერთის“ რაობა და გამოვლენილი სამყაროს ტრადუციული იერარქიის ნიუანსები. ეს ყოველივე ერთობ ზესთასოფლური იყო და აზროვნების ისეთ აბსტრაქციას მოითხოვდა, რომელიც არ შეუძრკებოდა, ვთქვათ, საკუთარი თავის მომაზრებელი გონების (პროკლე) მსგავს პრობლემათა გამოძიებას. „შვილნი სოფლისა“ უფრო იოლად მოსანელებელ საზრდელს საჭიროებდნენ და, გარდა ამისა, ნუგეშსა და სასოებასაც მიელტვოდნენ ცხოვრებაში. ზოლო იმ შეხედულებაში, რომ მატერია ბოროტებაა და „შემკული ლეში“ და რომ ამ ბოროტებისგან თავის დახსნის ერთადერთი გზაა ზეკაცური პიროვნული ძალისხმევა (პლოტინი) — ბევრი არაფერი იყო სახუგეშო. აბსოლუტურად შეუცნობელი ერთის, მსოფლიო გონების, მსოფლიო სულის, ეიდოსებისა და ემანაციის იდეის ანაბარა დარჩენილი პიროვნება უმწეოდ ისრისებოდა მთელი ამ თვალშეუდგამი სიმაღლის წინაშე და თავის შემწედ და მხსნელად ველარავის იგულვებდა.

მეორე მხრივ, ქრისტიანობის კრეაციონიზმი და პერსონიფიცირებული ლოგოსი ამ სატივარს თუ აუწყებდა, ადამიანის აღმასვლის ონტოლოგიურ გზას მკაფიოდ მიანიც ვერ წარმოაჩენდა. გარდა ამისა, როგორც აღინიშნა, კონფესიონალური ქრისტიანობა საკუთარი მოძღვრების ფაქტურად უმართებულო ინტერპრეტაციის შედეგად ისევ და ისევ მოსაძაგებლად და უარსაყოფად სახავდა იმ სოფელს, ურომლისოდაც მისთა შვილთ არ გაეძღვებოდათ.

ასეთ ვითარებაში სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენად წარმოისახა ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მოძღვრება — ნეობლატონიზმისა და ქრისტიანობის გენიალური სინთეზი.

ის, რაც ამ მოძღვრებაში წმინდა ფილოსოფიური თვალსაზრისით ახალია და უაღრესად საგულისხმო, ამჯერად არ შემოდის ჩვენი ინტერესის სფეროში. ეს საკითხი სპეციალურ საგულდაგულო კვლევას საჭიროებს. ჩვენი მიზნებისათვის საკვებით საკმარისი იქნება, თუ აღვნიშნავთ, რომ ამ მოძღვრებაში მეტი სიციხადით გამოიკვეთა ზესთასოფლისა და სოფლის იერარქიული წყობა და მისი საფუძველი — სიკეთის განფენა საფეხებზედად, აგრეთვე ამ საფეხებზედ აღმასვლის გეზი და სინათლის ყოვლისმომცველი ფილოსოფია. რაც მთავარია, ეს იყო მოძღვრება სოფლის და ზესთასოფლის შერწყმის, მათი ჰარმონიისა და, ამდენად, შუა საუკუნეთა ვითარებაში განსაკუთრებით ახლობელი უნდა ყოფილიყო მოაზროვნე ადამიანთა თაობებისთვის.

აქ სამყარო დასახულია საფეხებზედად განფენილ სიკეთედ, რომლის მწვერულს წარმოადგენს ღმერთი — გონებით მიუწვდომელი, შეუცნობელი და გამოუთქმელი ზესთასიკეთე. ღმერთი არის ყოველსავე შექმნილსა და გამოვლენილში, ამდენად, ბოროტებისთვის არსად რჩება ადგილი. მატერიაც კი არ არის ბოროტება (პროკლესთან დადასტურებული შეხედულება). ბოროტება საერთოდ არ არსებობს სუბსტანციურად. „ბოროტი არცა არსთა შორის არს, არცა არა-არსთა“ (45, 4<sup>18</sup>). ის, რაც გარკვეულ საფეხებზე ბოროტებად გვეჩვენება, არის მხოლოდ სიკეთის ნაკლებობა და არცოდნა იმისა, რომ ყოველივე არის სიკეთე.

ზესთასიკეთე, ღმერთი შეუცნობელია, მაგრამ შესაცნობია მის მიერ გარდამოფენილი ნათელი, სიკეთე, რომელიც, ისევე როგორც ხილუული მზე, თანაბრად მიეფინება ყოველ ქმნილებას (ხოლო რამდენად ეზიარება ამ ნათელს, სიკეთეს ესა თუ ის ქმნილება, დამოკიდებულია ნათლის მიმდებლობის მისსავე უნარსა და ძალაზე).

ღმერთი არის ყოველივეში, ოღონდ ყოველივე როდია ღმერთში. „იგი ყოველსა თანა არს, ხოლო ყოველი არა მის თანა არს... რამეთუ იგი არა ადგილსა შინა არს, რაჟთა შორვიდეს ვისმე. არცა სხვითი-სხვად მიიცვალების, არამედ ყოველთავე არსთა შინა ყოფაჲ მისი ითქმის ყოველთა უზეშთაესისა და ყოველთა გარე-შემცველისა უზომოჲსა მიუწდომელობისა მისისაგან“ (25, 18—26). მაგრამ ყოველი არსი ისწრაფვის მისკენ, ისწრაფვის მეტი და მეტი სინათლე, სიკეთე შეიმოსოს, თანდათანობით მიეახლოს ღმერთს. ეს აღმასვლა ანუ უკუსვლა (გამოვლენილი სამყაროს ერთისად მიბრუნება) სპირალური გზით ხორ-

<sup>18</sup> ფსევდო-დიონისე არეოპაგელის (პეტრე იბერის) ციტატები მომაქვს ზემოთ უკვე დამოწმებული გამოცემიდან.

ციელდება, ზემდგომ იერარქიათა წიაღ. ამასთან, ღმერთი კი არ დაბლდება ამ იერარქიულ საფეხურებზე, არამედ არსნი მადლდებიან თანდათანობით. არეობაგელს მოაქვს ამგვარი მაგალითი: ზღვის კიდეს მიახლოებული მენავენი კლდეს გამობმულ საბელს მოზიდავენ და მოიმოკლებენ. ამის შედეგად კლდე კი არ უახლოვდება ნავს, არამედ ნავი — კლდეს. „არა მას შთამოვიზიდავთ, რომელი ზეცა არს და ქვეცა, არამედ ჩვენ მის მიერ აღვიყვანებით...“ (26,1). და ეს სწრაფვა ამაღლებისკენ, სიკეთისკენ, სრულქმნისკენ იმდენად ყოველსომოცველია, რომ „სახიერებისა მიმართ ზეშთა ყოველთა არსთაჲსა თვით მას არა-არსსაცა სურის და იბრძოლების ვითამე კეთილისა მიმართ...“ (31, 36), „იკადროს ამისცა თქმაჲ სიტყვაჲმან, ვითარმედ არა-არსიცა მიიღებს კეთილისა და სახიერებისაგან“ (36, 19).

ამავე დროს, ის, რაიც ყოველივეს მიზეზია და რაც მოიხსენიება როგორც კატაფატიკური, ისე აპოფატიკური ტერმინოლოგიით, არის იგივე ქრისტიანული სამგვაშოვანი ღმერთი, რომლის მეორე იპოსტასი — ძე, სიტყვა ანუ ქრისტე იერარქიულ საფეხურებზე ადამიანის აღსვლის შემწე, უშუალო მფარველი და მისი მძიმე ტვირთის შემამსუბუქებელია (ფსევდო-დიონისე არეობაგელის მთელი მოძღვრება სხვა არაფერია, თუ არ ქრისტიანობის ფილოსოფიურად დასაბუთება ნეოპლატონიზმისა და უშუალოდ ანტიკური ფილოსოფიის ელემენტთა გამოყენებით). ხოლო ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მომდევნო სააზროვნო და კულტურული საქმიანობისთვის.

ასე დაუბრუნდა რელიგიურ-ფილოსოფიური აზრი მკაცრად მონისტურ საფუძვლებს, ასე წარმოისახა კვლავ პარმონიულ მთლიანობად საუკუნეთა განმავლობაში ზესთასოფლად და სოფლად გათიშული და გახლეჩილი სამყარო. და ამ სამყაროს იერარქიულ წყობაში არც ერთ ქმნილებას, რაგინდ დაბალ საფეხურზე მდგარი და უმნიშვნელოც უნდა ყოფილიყო, არ ეკარგებოდა პერსპექტივა სიკეთეს, სინათლეს და, ამდენად, ღმერთს ზიარებოდა, ყოველი ქმნილება თავისივე გვარის ფარგლებში ახერხებდა სრულყოფას. ერთის ნათელით შუქფენილ ამ სამყაროში ქარწყლდებოდა ზარდამცემი და, ამასთან, ბუნების საწინააღმდეგო შიში მატერიალურისა და ხორციელის წინაშე. ამგვარი სიღრმით გაგებული და ინტერპირებული ქრისტიანობა ადამიანს ათავისუფლებდა სოფლის მოძულების ფარისევლური და, საბოლოო ჯამში, ეგოისტური სწრაფვისგან და სამყაროს ნამდვილ თანაშემოქმედად სახავედა, რადგან ფორმულას — „კაცი ამაოებასა მიემსგავსა და დღენი მისნი ვითარცა აჩრდილი წარხდეს“, უპირისპირდებოდა გაგება ადამიანის, როგორც ერთის წილის და ერთისად აღმავალისა, რომლის ცხოვრებასა და საქმიანობას ღვთაებრივი ნათელი ეფინებოდა და არა სატანის შემადრწუნებელი აჩრდილი და, ამდენად, ჭეშმარიტ ღირებულებას იძენდა ეს ცხოვრება. პარმონიულ მთლიანობად დასახული სამყარო ძაწოლის მომგვრელი საშინელება კი აღარ იყო, არამედ მშობლიური, შუქდაფრქვეული ნავთსაყუდელი, სადაც ბოროტებად, სიზმრად, მოჩვენებად მიიჩნეოდა არა ცხოვრება, არამედ არცოდნა, არცოდნა იმისა, რომ სოფელი და ზესთასოფელი პირაშემული უფესკრულით არ არის გათიშული.

\* \* \*

თუ შევაჯამებთ ყოველსავე ზემოთქმულს, შეგვიძლია დავასკვნათ:

1. „სოფელი“ და „ზესთასოფელი“ არის ის ტერმინები, რომელთა მოუშველიებლადაც ერთობ ძნელია შუა საუკუნეების ქართული მწერლობის საკითხთა კვლევა.

2. შუა საუკუნეთა ქრისტიანული კულტურის, კერძოდ, ქართული კულტურის რაობა ბოლომდე შეცნობილი ვერ გვექნება, თუ არ გავითვალისწინებთ სოფლისა და ზესთასოფლის მიმართების ასპექტებს. ამ საკითხის გადაწყვეტაზეა უმთავრესად დამოკიდებული ის მსოფლმხედველობრივი საფუძველი, რომელიც განაპირობებს შუა საუკუნეთა ამა თუ იმ კულტურული მოვლენის ქეზმარიტ ღირებულებას ისტორიულ პერსპექტივაში. სახელდობრ, სოფლისა და ზესთასოფლის გათიშვის პოზიცია გარდუვალად იწვევს კულტურის კრიზისს, ხოლო სოფლისა და ზესთასოფლის შერწყმის, ჰარმონიული მთლიანობის პოზიცია კულტურის მძლავრი აღმასვლის უეჭველი საწინდარია. ეს ყოველივე, რაღა თქმა უნდა, მწერლობასაც თანაბრად ეხება.

ამიტომ შემდგომმა კვლევა-ძიებამ უნდა წარმოაჩინოს და ნათელყოს, თუ როგორ დგას აღნიშნული საკითხი შუა საუკუნეთა ქართულ სასულიერო და საერო მწერლობაში.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ  
მეცნიერებათა აკადემიის ფილ.-სოფიის  
ინსტიტუტმა)

მიხეილ ანობაძე

## რევოლუციური ავიტაციის პაქლირება საქართველოს სოფელში XIX საუკუნის 60—70 წლებში

რეფორმის მომდევნო ხანის საქართველოს სოფელში, კერძოდ XIX საუკუნის 70-იან წლებში, გლახთა მოძრაობამ ერთობ მწვავე და მასობრივი ხასიათი მიიღო. საჩივრები, ურჩობა, გაქცევა-გახიზვნა, იარაღსმული გლეხების ტყეში „ყაჩაღად“ ანუ, როგორც გურიისში უწოდებდნენ, „ფირალად“ გასვლა, მემამულეთა სახლ-კარის გადაწვა, ტერორისტული თავდასხმები, შეიარაღებული აჯანყებანი და სხვა ბრძოლის ჩვეულებრივი და გავრცელებული ფორმები გახდა.

ამ დროს გაშლილი რევოლუციური მოძრაობა, რომელიც სოციალურ ხასიათს ატარებდა, 1864—1871 წწ-ში ჩატარებული მძარცველური რეფორმის უშუალო შედეგია: ამ რეფორმამ ცხოვრებაში დატოვა ბატონყმობის ისეთი გადმონაშთები, როგორც იყო „დროებითი ვალდებულების“ ინსტიტუტი და ფეოდალური „ღალა“, „კულუხი“, რაც მნიშვნელოვნად აფერხებდა და ხელს უშლიდა საწარმოო ძალთა შემდგომ წინსვლასა და განვითარებას.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ შექმნილი ვითარება, რეფორმის მძარცველური ხასიათი, ქართველი გლეხის მდგომარეობა, მისი მომავალი არსებობისათვის გზების ძიების საკითხები არაერთხელ ყოფილა მოწინავე, რევოლუციურად განწყობილი ქართველი ინტელიგენციის მსჯელობის საგანი. ამ მხრივ განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ 70-იანი წლების ხალხოსნებს, რომელნიც გამოხატავდნენ სოფლის მწარმოებლური კლასის ინტერესებს, მისი იდეოლოგიის მატარებელნი იყვნენ და თავის მოღვაწეობის ასპარეზად სწორედ სოფელი აირჩიეს<sup>1</sup>. ხალხოსნები გლეხებს განუმარტავდნენ იმ მძიმე მდგომარეობის გამოწვევ მიზეზებს, რომელშიც სოფლის მშრომელები აღმოჩნდნენ რეფორმის შემდეგ, მოუწოდებდნენ არსებული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

ამჯერად ჩვენ არ გვინტერესებს 70-იანი წლების ხალხოსანთა საქმიანობის გარჩევა, შევეხებით მხოლოდ გლეხი-ავიტატორების მოღვაწეობას, რომელმაც ესოდენ ფართო ხასიათი მიიღო რეფორმის მომდევნო პერიოდის საქართველოს სოფელში.

ბატონყმობის გაუქმების დებულების გამოცხადებამ თავდაპირველად გლეხკაცობის დიდი სიხარული გამოიწვია. მაგრამ ამ დებულების ცხოვრებაში გატარების დროს გამოჩნდა მოწინავე იდეების მატარებელი ხალხი — მშრომე-

<sup>1</sup> ზ. შველიძე, ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის 70-იან წლებში, თბ., 1960.

ლი გლუხების წარმომადგენლები, რომლებიც თანამემამულეთა შორის უმაღლესი ხელისუფლების ღონისძიებათა საწინააღმდეგო აგიტაციას ეწეოდნენ. მათი ერთი ნაწილი საკმაოდ განათლებული და წერა-კითხვის მცოდნე იყო. ისინი თვითონ ადგენდნენ საჩივრის ტექსტს, კრიტიკული შენიშვნები ჰქონდათ დებულებისა და მანიფესტის შესახებ და მათს პროპაგანდას ეწეოდნენ სოფლის მოსახლეობაში. ბევრმა იცოდა რუსული ენა; ამ გლუხების მიერ მათი დაპატიმრების გამო შედგენილი ბევრი თხოვნა, რაც თავის მართლების ერთგვარ ცდას წარმოადგენდა, შემდგენელთა კარგ პოლიტიკურ მომზადებას და რევოლუციურ წრთობას მოწმობს.

აგიტატორ გლუხთა მოქმედების სარბიელი ძირითადად მშობლიური სოფლით ან უბნით შემოიფარგლებოდა, მაგრამ ხშირად მეზობელი სოფლიდან და შორი მაზრებიდან, ზოგჯერ სხვა გუბერნიიდან მოსულ აგიტატორებსაც ვხვდებით. ჩვენ ძალზე ძუნწი ცნობები გვაქვს მათი მოღვაწეობის საერთო ცენტრის არსებობისა და ხელმძღვანელობის შესახებ, მაგრამ ზოგაერთი მიკვლეული მასალის გულდასმით შესწავლა მაინც საყურადღებოა.

ქართლის სოფლებში მომუშავე აგიტატორთა გავლენა სოფლის მშრომელ მოსახლეობაზე იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ რეფორმის პროცესში საწესდებო სიგელების შედგენის დროს იგი ხელს უშლიდა მთავრობის კანონმდებლობათა ცხოვრებაში გატარებას. ერთ-ერთ დოკუმენტში, რომელიც წარმოადგენს გორის მაზრის მომრიგებელი შუამავლის მოხსენებითს ბარათს საგლეხო საქმეების საკრებულოსადმი, ვკითხულობთ: „ქ. გორის მაზლობლად მდებარე სოფლებში მცხოვრები გლუხები ე. წ. ბატონი ვეკილების ახსნა-განმარტების წყალობით სიგელების შედგენის საქმეს ყოველთვის უყურებდნენ უნდობლად, როგორც უკანონოს, თითქოს რაღაც ძალმომრეობაზე დაფუძნებულს. გლუხებმა — გამოფხიზლებულებმა... არაერთხელ გამომიცხადეს თავიანთი ეჭვი“<sup>2</sup>.

გორის მაზრაში თავისი მოღვაწეობით ყურადღებას იპყრობს სააკაშვილი, რომელიც დებულების საწინააღმდეგო აგიტაციას ეწეოდა. იგი სოფლის მშრომელებს მიუთითებდა: „სიგელებში მემამულეებს შეაქეთ ის მიწები, რომლებიც გლუხების საკუთრებას შეადგენს, ადიდებენ გადასახადებს სანაღლო მიწებზე და გლუხებს ნადელებში აძლევენ გაცულებით ნაკლებს, ვიდრე ამას დებულება ითვალისწინებს“.

საწესდებო სიგელების შედგენისა და ამ სიგელებზე ხელის მოწერის წინააღმდეგ მოუწოდებდა თანასოფლელებს არსენ ასლამაზიშვილი. „იგი ყალბ ხმებს ავრცელებს ხალხში საგლეხო რეფორმის შესახებ, ამახინჯებს დებულების აზრს, ურჩევს გლუხებს არ შეუთანხმდნენ მემამულეებს“<sup>3</sup> — აღნიშნულია მომრიგებელი შუამავლის წერილში მაზრის უფროსისადმი.

ამასთან, აგიტატორები მოითხოვდნენ გლუხსაცობას უარი ეთქვა დებულებით დაკისრებულ ბეგარა-ვალდებულებათა შესრულებაზე. სოფ. ბოლსა და გორგაშენში ფართო აგიტაცია გააჩაღეს ძმებმა გუჩაშვილებმა. მათ შესახებ მომრიგებელი შუამავალი წერდა: „ისინი ამხედრებენ თავის მეზობლებს და მოუწოდებენ მათ უარი თქვან ადგილობრივი დებულებით დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულებაზე“.

<sup>2</sup> ცსსა, საქ. სსრ ფ. 31, საქ. 7, ფურცელი 28.

<sup>3</sup> ცსსა, საქ. სსრ ფ. 5, საქ. 27, ფურც. 5.

„წამქეზებელნი“, როგორც მასალებში ვკითხულობთ, სოფლიდან სოფელში კარდაკარ დადიოდნენ და გლეხებს ბრძოლისაკენ უბიძგებდნენ. ამ მხრივ საინტერესოა ყორნისის (გორის მაზრა) მამასახლისის მოხსენება მაზრის უფროსისადმი. მამასახლისი ჭუტაშვილისა და კეხოშვილის შესახებ წერდა: „მათ ჩამოუარეს ყველა გლეხი და აშხედრებენ სხვადასხვა ცრუ ხმებით, არწმუნებენ, რომ ისინი ძალიან ბევრს აკეთებენ ხელისუფლების გასამდიდრებლად და არა საზოგადოების საჭიროებისათვის“ (ხაზგასმა ჩვენია, მ. ა.) — ურჩევნ გლეხებს „არ დაემორჩილონ სოფლის ხელისუფალთა მოთხოვნებს, როგორც უკანონოსა და შემაწუხებელს“<sup>4</sup>. მოტანილი დოკუმენტი ფრიად საინტერესოა. აქ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ გლეხი აგიტატორები საკმაოდ მომზადებული ჩანან. ისინი სოფლის მოსახლეობაში ეწევიან აგიტაციას არა მარტო მემამულეების, არამედ ხელისუფლების წინააღმდეგაც, გლეხებს უხსნიან, რომ მშრომელთა ოფლითა და შრომით შექმნილ დოვლათს კერძო პირები ითვისებენ და მთავარი ექსპლოატატორი სახელმწიფოა. ეს გაბედული აგიტაცია და აღრინდელთან შედარებით წინ გადადგმული ნაბიჯია. გლეხობა გრძნობს, ხედვს, რომ მის მიძიე მდგომარეობა, მარტო მემამულეთა თვითნებობით არ არის გამოწვეული. ამაში ძირითადი და მთავარი დამნაშავე სახელმწიფო მმართველობაა. გლეხთა მოძრაობაში ერთგვარი შეგნების ელემენტი ჩნდება. სხვას რას უნდა ნიშნავდეს ძმები გუჩაშვილების მიმართვა თანასოფელთადმი: „ისინი (გლეხები, მ. ა.) ბევრს აკეთებენ ხელისუფლების გასამდიდრებლად და არა საზოგადოების საჭიროებისათვის“. აქ ხომ პირდაპირაა მითითებული, რომ გლეხები მემამულეებისა და ხელისუფლების სასარგებლოდ შრომობენ, ხოლო თვითონ უმწეო მდგომარეობაში რჩებიან.

გლეხკაცობაში ასეთი შეგნების შეტანა თავისთავად ნიშნავდა როგორც მემამულეების, ისე ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოწოდებას.

თუ აგიტატორთა ერთი ჯგუფი მხოლოდ ბრძოლის იდეას შთააგონებდა თანასოფლელებს, მეორე ჯგუფი ამით არ კმაყოფილდებოდა. ისინი გლეხებს უწერდნენ საჩივრებს, თხოვნებს და გზავნიდნენ მმართველობის სხვადასხვა ინსტანციებში, ზოგჯერ კი, როგორც გლეხობის წარმომადგენლები, რწმუნებულების უფლებით აღჭურვილი სასამართლოს საშუალებით ებრძოდნენ მემამულეებს მთელი სოფლის სახელით.

გორის მაზრაში, ერთ-ერთი ასეთი აგიტატორი იყო იოსებ ელიოზიშვილი. მისი „დანაშაული“ ასეა აღწერილი: „მას ბრალად ედება ურთიერთობის გამწვავება მემამულეებსა და გლეხებს შორის, უთანხმოებისა და შუღლის ჩამოგდება, უსაფუძვლო საჩივრების შეთხზვა და ცილისმწამებლური წერილების წერა“<sup>5</sup>, ხოლო ბოლოთაშვილის შესახებ საბუთებში ვკითხულობთ: „იგი არა მარტო ბრძოლისაკენ მოუწოდებდა თანასოფლელებს, არამედ საჩივრებით გამგზავრა უმაღლეს მმართველობაში“<sup>6</sup>.

რეპრესიებმა, მუქარამ, მშობლიური კუთხიდან შორეულ მხარეში გადასახლება ვერ გატეხა რევოლუციურად განწყობილი გლეხების სტულისკვეთება. ასლამაზიშვილის შესახებ შედგენილ საქმეში ნათქვამია, რომ იგი გლეხებს შორის აგიტაციას ეწეოდა „თამამად და თავხედურად“, ხოლო როდესაც მომრი-

<sup>4</sup> ცსსა, საქ. სსრ ფ. 31, საქმე 7, ფურც. 3.

<sup>5</sup> ცსსა, საქ. სსრ ფ. 31, საქ. 7, ფურც. 126.

<sup>6</sup> იქვე, ფურც. 287.

გებელმა შუამავალმა გააფრთხილა, მან განაცხადა, რომ კვლავ გააგრძელებდა გლეხებს შორის აგიტაციას<sup>7</sup>.

გამბედაობითა და შეუპოვრობით, ექსპლოატატორთა მიმართ უსაზღვრო სიძულვილით, სოფ. ბროწლეთის გლეხებზე დიდი გავლენა მოახდინა გაბრიელ ნიკოლაიშვილმა. მას ჯერ კიდევ 1863 წელს შეუდგენია მემამულე სულხანიშვილის წინააღმდეგ წერილი, რომელსაც გლეხებში ავრცელებდა; საბუთებში ნიკოლაიშვილის მიერ შედგენილი ეს დოკუმენტი „წერილადა“ მოხსენიებული, მაგრამ, ვფიქრობთ, იგი უნდა წარმოადგენდეს პოლიტიკურ პროკლამაციას, სადაც მკაცრად იქნებოდა გაკრიტიკებული მებატონე. ნიკოლაიშვილი მაშინ დააპატიმრეს და გადაასახლეს. სასჯელის მოხდის შემდეგ იგი კვლავ განაგრძობდა ბრძოლას და ვერც ამჯერად ასცდა მეფის მოხელეების დევნას.

ფართო და მასობრივი ხასიათი მიიღო დებულებისა და მთავრობის ღონისძიებათა საწინააღმდეგო აგიტაციამ თელავისა და სიღნაღის მაზრებში.

სოფ. იყალთოში (თელავის მაზრა) მცხოვრებ გლეხებს შორის გაშლილ აგიტაციაში შენიშნული შათირიშვილის შესახებ მომრიგებელი შუამავალი წერდა: „მათე შათირიშვილი ჩემ მიერ შემჩნეულია უხეშ და არასწორ გამოთქმებში, როგორც დებულების, ასევე მემამულეების სამართლიან მოთხოვნების მიმართ“<sup>8</sup>.

კახეთის გლეხებს შორის დიდი პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობდა სოფ. კურდღელაურში (თელავის მაზრა) მომუშავე ნინიკო ჩარექუაშვილი. დებულების გამოცხადების პირველივე დღიდან იგი გლეხებში გავიდა და მემამულეების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდა მათ. „კურდღელაურში მცხოვრები ნინიკო ჩარექუაშვილი იძლეოდა ყალბ განმარტებებს თანასოფელთა შორის“ — წერს მომრიგებელი შუამავალი. შემდეგ იგი განაგრძობს: „ნინიკო ჩარექუაშვილის თანასოფლელებზე, რომლებიც შეადგენენ 300 კომლს, აქვს საკმაოდ ცუდი გავლენა“<sup>9</sup>.

თელავის მაზრაში მომუშავე გლეხ აგიტატორებს შორის სხვადასხვა დოკუმენტში მოიხსენიებიან კონსტანტინე ნათაძე (იგი ტრიალებდა სოფ. შილდის გლეხებს შორის), ანდრია ლაზარაშვილი, შერმაზან მამუკაშვილი, კირილე დათუნაშვილი და სხვები (სოფ. ურიათუბანში).

ურიათუბანში გაშლილ ფართო აგიტაციაზე არსებულ საბუთებში ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოება: ადგილობრივი აგიტატორების გვერდით მოიხსენიება წინანდლიდან ჩამოსული გიორგი ლუარსაბაშვილი. ჩვენი აზრით, ეს ფაქტი უფლებას გვაძლევს მივუთითოთ გლეხი აგიტატორების მოქმედების სფეროს გაფართოებაზე.

ჩვენს ხელთ არის ზოგიერთი ფრიალ საყურადღებო დოკუმენტი დასავლეთიდან აღმოსავლეთ საქართველოში ჩამოსულ აგიტატორთა მოღვაწეობაზე. ამ მხრივ ძალზე საინტერესოა ანტონ ჭიჭოძის პიროვნება.

კახეთის სოფლებში მომუშავე გლეხ აგიტატორთა შორის ანტონ ჭიჭოძე განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. იგი იანეთელი (ქუთაისის მაზრა) მღვდლის შვილი იყო; საინტერესოა, როგორ მოხვდა იგი კახეთში, ხომ არ ჰქონდა რომელიმე ფარული ორგანიზაციის დაეალება? ჩვენს ხელთ არსებული

<sup>7</sup> ცსსა, საქ. სსრ, ფ. 5, 7815, ფურც. 1.

<sup>8</sup> ცსსა, საქ. სსრ, ფ. 31, საქმე 7, ანაწ. 1, ფურცელი 65.

<sup>9</sup> იქვე, ფურც. 22.

მასალები ამ საკითხზე ჯერჯერობით პასუხს არ იძლევიან, მაგრამ ერთი კი უდავოა, რომ ანტონ ქიქოძეს გლეხებს შორის მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს. იგი ჯერ კიდევ 1866 წელს ყოფილა დაპატიმრებული და გასამართლებული.

როგორც მასალებიდან ჩანს ქიქოძეს არც პირველი პატიმრობის მერე შეუწყვეტია თავისი საქმიანობა. საპრობილიდან გამოსვლის შემდეგ იგი კვლავ კახეთის სოფლებში დაბრუნებულა. 1869 წლის 27 მარტს თბილისის გუბერნატორი მთავარი სამმართველოს უფროსისადმი გაგზავნილ წერილში წერდა: „დროებით ვალდებულ გლეხთა აღელვებაში, მათ მიერ კანონმდებლობის დარღვევაში... დამნაშავე აღმოჩნდა ქუთაისის გუბერნიაში მცხოვრები ანტონ ქიქოძე, რომელიც მსგავსი მოქმედებისათვის იჯდა ციხეში, ასევე მიესაჯა კიდევ, მაგრამ, სამწუხაროდ, ყოფილი სამოქალაქო და სისხლის სამართლის სასამართლოს გადაწყვეტილებით განთავისუფლებულ იქნა. ამის შემდეგაც იგი კვლავ გამოჩნდა კახეთში“<sup>10</sup>, მაგრამ ამჯერადაც — 1868 წლის 18 აპრილს — ქანდარმერიამ ისევ დააპატიმრა.

1869 წლის გაზაფხულისათვის ქიქოძე კახეთშია. იგი თელავის მაზრის დროებითვალდებულ გლეხებს მოუწოდებდა „უარი ეთქვათ გარიგების სიგელებზე“, დაერღვიათ ე. წ. „კანონიერი ურთიერთობა მებატონებთან“. ქიქოძე, როგორც დოკუმენტში ვკითხულობთ, ავრცელებდა ხმებს, რომ 9 წლიანი ვადის გასვლასთან დაკავშირებით გლეხები საესეებით უნდა განთავისუფლებულიყვნენ ყოველგვარი გადასახადისაგან და მათს სარგებლობაში არსებული მიწები, სრულიად უსასყიდლოდ დარჩენოდით. ამ ცნობის მიხედვით, ქიქოძე უნდა ეკუთვნოდეს რაზნოჩინელებს, რომელთა აგიტაციას ძირითადი თემაც სწორედ ზემოთ აღნიშნული საკითხი იყო.

ქიქოძეს დაპატიმრებისას, მაგალითად, უპოვნეს ნაფარულელი გლეხების საჩივრები და სასოფლო საზოგადოების მიერ გაცემული მინდობილობა, თუმცა საბუთში გლეხების რწმუნებულად მოხსენიებულია ოთხი კაცი, ქიქოძის გვარი კი არსადაა აღნიშნული. ისმის საკითხი, რატომ უნდა ყოფილიყო ეს დოკუმენტი ქიქოძის ხელში, როცა ოფიციალურად შედგენილი ცნობების თანახმად მას ამ საქმეებთან საერთო არაფერი აქვს?

უნდა ვიფიქროთ, რომ ქიქოძე, როგორც არაერთხელ პატიმრობაში ნამყოფი, რევოლუციური იდეების პროპაგანდაში შემჩნეული, მინდობილობაში საგანგებოდ არაა მოხსენიებული; ეს, რასაკვირველია, ქანდარმერიისათვის თვალის ახვევის მიზნით მოხდა.

საგამომძიებლო ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებას, რომ ქიქოძესთან აღმოჩენილი ყველა საბუთი, მათ შორის, სასოფლო საზოგადოების მიერ გაცემული მინდობილობა და თვით ქიქოძის მიერ უბის წიგნაკში შეტანილი ზოგიერთი შენიშვნა ერთი ხელითაა შედგენილი. ექსპერტთა დასკვნის საფუძველზე ქანდარმერიამ ეჭვი მიიტანა ქიქოძეზე, როგორც ამ დოკუმენტის შემდგენელზე. ქანდარმერიის ეჭვს ამაგრებდა ისიც, რომ ერთი და იგივე აღმოჩნდა ზემოთ მოხსენიებული საბუთებისა და ქიქოძის მიერ მათე ჩიტაშვილისაგან მიღებული 23 მან. 20 კაპ.-ის დახარჯვის საფინანსო ან-

<sup>10</sup> ცხსა, საქ. სსრ. ფ. 220, საქმე 71, ფურცელი 9 — 10.

გარიშის ხელი. ეს ანგარიში კი უცილობლად თვითონ ქიქოძის მიერ იყო შედგენილი<sup>11</sup>.

ა. ქიქოძე, ალბათ, კონსპირაციულ, არალეგალურ მუშაობასაც ეწეოდა. ეს საკითხის ერთი და ძირითადი მხარეა, მაგრამ საყურადღებოა ისიც, რომ ქიქოძეს ვილაციისაგან მიღებული აქვს გარკვეული თანხა და როგორც მასალებიდან ჩანს, ამ ფულის ანგარიში საღდაც უნდა ჩააბაროს. ეს გვაფიქრებინებს, რომ მას რომელიღაც ფარულ რევოლუციურ ორგანიზაციასთან უნდა ჰქონოდა კავშირი.

ამას გარდა, ქიქოძეს დაპატიმრებისას აღმოაჩნდა „ჩანაწერები, სხვადასხვა ენაზე დაწერილი წიგნები, აგრეთვე იანეთის ოქქის უფროსის მიწერილობა ყვარლის უბნის უფროსისადმი, აგრეთვე 12 სხვადასხვა ჩანაწერი რუსულ ენაზე“<sup>12</sup>.

ზემოთ მოტანილი ამონაწერებით ცხადი ხდება, რომ ქიქოძე განათლებული კაცია, იცის რუსული ენა, დებულების ირგვლივ აქვს შენიშვნები, აკეთებს ჩანაწერებს და სხვ. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ იგი უნდა მივიჩნიოთ რევოლუციონერ-რაზნოჩინელად, რომელსაც თავისი მოღვაწეობის ასპარეზად კახეთის სოფლები აურჩევია. იქნებ სწორედ რევოლუციური აგიტაციისათვისა იგი გამოგზავნილი დასავლეთ საქართველოდანა.

60 — 70-იან წლებში გაძლიერდა რევოლუციური აგიტაცია სიღნაღის მაზრის სოფლებში. განსაკუთრებით კარგად მუშაობდა კარდანახელი გლეხი ბალიაშვილი. იგი გლეხებს შორის ავრცელებდა „დებულებების საწინააღმდეგო მოსაზრებებს“<sup>13</sup>.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი გლეხებისა, კახეთის სოფლებში მთავრობის საკანონმდებლო ღონისძიებათა წინააღმდეგ აგიტაციაში შემჩნეული იყვნენ ყარალაშვილი, გოდაბრელიძე, ბაქრაძე, ჩიტაშვილი და სხვ. ფართო ხასიათი მიიღო, აგრეთვე, რევოლუციურმა აგიტაციამ თელავის მაზრის მუსულმანურ მოსახლეობას შორის.

დაუღალავად და გაბედულად მოქმედებდნენ აგიტატორები დასავლეთ საქართველოში. აქ ამ საქმეში გლეხების გვერდით თავად-აზნაურთა წარმომადგენლებიც არიან ჩაბმული. ეს ფაქტი უთუოდ საინტერესოა და ახსნას მოითხოვს. სოფლის მშრომელი კლასის წარმომადგენლების აქტიური მონაწილეობა მემამულეებისა და ხელისუფლების წინააღმდეგ გაშლილ სააგიტაციო მუშაობაში გასაგებია, მაგრამ თავდაზნაურობის წარმომადგენლების მონაწილეობა მათი კლასობრივი თანამომეგების წინააღმდეგ ბრძოლაში, თუ არა რევოლუციური იდეების თანაგრძნობით, სხვა არაფერით აიხსნება.

გურიის სოფლებში მომუშავე გლეხ აგიტატორთა შორის საბუთებში იხსენიებოან ბასილა ვაჩიეშვილი, გიორგი გიორგაძე, გაბილა ძნელაძე, ივანე მიქაშვიძე, ოტია და ბიძინა მალულარიები, მდიდარი ვაჩიეშვილი და ივანე კეშელაძე. მათ 1869 წელს სოფ. ნანეიშვილეთელში ფართო სააგიტაციო მუშაობა გააჩაღეს, გლეხებს მოუწოდებდნენ უარი ეთქვათ ბეგარა-გადასახადებზე და არ დაჰმორჩილებოდნენ საწესდებო სიგელების პირობებს<sup>14</sup>.

<sup>11</sup> ცსსა, საქ. სსრ. საქ. 452, ფურცელი 33 — 40.

<sup>12</sup> იქვე, ფურცელი 44.

<sup>13</sup> ცსსა, საქ. სსრ. ფ. 5, საქ. 2615, ფურცელი 1 — 2.

<sup>14</sup> ცსსა, საქ. სსრ. ფ. 5, საქმე 1122.

საბუთებში აგიტატორად იხსენიება გურიის თავადაზნაურობის წარმომადგენელი ივანე ერისთავი. ჭკუფში ზელმძღვანელი როლი ეკავათ გიორგი გიორგაძეს და ბასილა ვაჩიიშვილს, ერისთავი მათი საერთო წამქეზებელი იყო.

ივანე ერისთავი რევოლუციური ხალხოსნური ინტელიგენციის წარმომადგენელია. გლეხებს შორის მისი პროპაგანდა გარკვეულ რევოლუციურ მიზნებს ემსახურება. ცნობილია, რომ უფრო მოგვიანებით, 70-იან წლებში, ოზურგეთელი ერისთავების გვარიდან საქართველოს რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის არაერთი გამოჩენილი მოღვაწე გამოვიდა.

რეფორმის საწინააღმდეგო აგიტაციას გლეხები ფართოდ ეწეოდნენ იმერეთის სოფლებში. მაგალითად, წერეთლების მამულში (შორაპნის მაზრა) დროებით ვალდებულ გლეხებს მემამულეების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ აქეზებდნენ ლომიძეები<sup>15</sup>.

დასავლეთ საქართველოში წამქეზებელ გლეხთა შორის გამოირჩეოდა ნიკო გრიგოლია, რომელიც სოფ. თეკლათში (სენაკის მაზრა) ეწეოდა მთავრობასა და მებატონეების საწინააღმდეგო აგიტაციას. „მიუხედავად მისი არაერთგზის მკაცრი გაფრთხილებისა, — კვითხულობთ ერთ-ერთ დოკუმენტში, — იგი გამუდმებით ესაუბრება გლეხებს, რომ არ გადაიხადონ გადასახადები, რის გამოც განუწყვეტლოვ ადგილი აქვს უწყესობას და ირღვევა საერთო მყუდროება, არამარტო თეკლათის, არამედ მეზობელ სასოფალოებში“<sup>16</sup>.

სოფ. კირცხში (ზუგდიდის მაზრა) განსაკუთრებით აქტიურად მუშაობდა აზნაური ალექსი გოთუა. იგი გლეხებს ურჩევდა არ დაჰმორჩილებოდნენ მებატონეებს, უარი ეთქვათ გადასახადებზე, არწმუნებდა მათ, რომ „მიწა, რომელიც გლეხებს უკავიათ, მათ სრულ საკუთრებას შეადგენს და არავის არა აქვს უფლება მასზე გადასახადების დადების“.

1873 წლის 3 ნოემბერს ა. გოთუას ამგვარი მოქმედებით აღშფოთებული თავადი დადიანი მთავარმართებლისადმი გაგზავნილ ბარათში აღნიშნავდა: „უკვე სამი წელია ქუთაისის გუბერნიის ზუგდიდის მაზრის სოფ. კირცხის აზნაური ალექსი გოთუა ახედრებს გლეხებს ჩემს წინააღმდეგ, არწმუნებს მათ სხვადასხვა კანონის საწინააღმდეგო საქმეებში, ყოველივე ამას აქამდე იგი აკეთებდა ფარულად, ამიტომ მე თავს ვიკავებდი ოფიციალურად მოამბესენებინა ადგილობრივ მმართველობისათვის მისი საქმიანობის შესახებ. ახლა ალექსი გოთუამ საჯაროდ, სოფლის თავყროლობაზე მაზრის უფროსისა და მომრიგებელა შუამავლის თანდასწრებით განაცხადა, რომ მე სამეგრელოში არ მეკუთვნის არავითარი უძრავი ქონება, ყველაფერი ის, რაც აქვს ჩემს გლეხებს ნადლეგში მიღებული საწესდებო სიგელებით, ჩემი კი არა, გლეხების საკუთრებაა და გლეხები სრულიად ტყუილად მიხდიან მე სანადელო მიწებზე გადასახადებს“<sup>17</sup>.

XIX საუკუნის 70-იან წლებში გახშირდა არა მარტო მემამულეების, არამედ იმპერატორის შეურაცხყოფელი გამოსვლებიც.

1878 წელს სოფ. კობოულში (შორაპნის მაზრა) დროებით ვალდებულ გრიგოლ ხარშილაძე გლეხებს შორის წარმოთქვამდა „ხელმწიფის შეურაცხყოფელ სიტყვებს“<sup>18</sup>, ასეთივე ბრალდება წაუყენა ქანდარმერიაშ სოფ. ამაშუ-

<sup>15</sup> ცსსა, საქ. სსრ, ფ. 5, საქ. 2551, ფურცელი 9.

<sup>16</sup> ცსსა, საქ. სსრ, ფ. 5, საქ. 1302, ფურცელი 2.

<sup>17</sup> ცსსა, საქ. სსრ, ფ. 220, საქ. 241, ფურცელი 1 — 2.

<sup>18</sup> ცსსა, საქ. სსრ, ფ. 7, ანაწ. 3, საქმე 2579, ფურცელი 1 — 5.

კეთში მცხოვრებ ამაშუქელს<sup>19</sup>, ქუთაისელ ჩაგვიშვილის, იოსებ გაბუნიას და სხვებს. სენაკის მაზრაში მცხოვრებს გაბუნიას საქმის საბრალდებულო დასკვნაში ვკითხულობთ, რომ „იგი გლეხებს შორის წარმოთქვამდა სხვადასხვა აღმამფთობებელ და შეურაცხყოფელ სიტყვებს ხელმწიფე იმპერატორის მიმართ... სხვათა შორის მან თქვა... რომ მომცა იარაღი, პირველად დაეხრებოდა მეფე-იმპერატორს“<sup>20</sup>. ქუთაისელი მკედელი ა. მურუსიძე საქვეყნოდ ლანძღავდა სამეფო გვარს.

საქართველოს სოფელში რევოლუციურად განწყობილი აგიტატორების მოღვაწეობას უშედეგოდ არ ჩაუვლია. მშრომელმა გლეხობამ ირწმუნა მათი რჩევა და ბრძოლის გზას დაადგა, ეს ბრძოლა კი სხვადასხვა ფორმით გამოიხატებოდა.

სააკაშვილის რჩევით წაქეზებულმა ყინწვისელებმა „საბოლოოდ უარი თქვეს მემამულეებთან მოლაპარაკებაზე“<sup>21</sup>. 1867 წელს ასევე ბრძოლის გზას დაადგნენ სოფ. ქემერტის დროებით ვალდებული გლეხები. ეს მღელვარება ელიოზაშვილის აგიტაციის შედეგი იყო. გლეხებმა ჭერ უარი განაცხადეს გადასახადების გადახდაზე, შემდეგ კი მოითხოვეს მიწები, რომლებიც მემამულეებს ეკავათ. ერთი სიტყვით, ჩაებნენ მემამულეების წინააღმდეგ საადგილობრივ დავაში. სწორედ გლეხებს შორის სააგიტაციო მუშაობის გავლენას მიაწერდა ყორნისის მამასახლისი ამ სოფელში გლეხთა მღელვარების გაძლიერებას. იგაწერდა: „უკანასკნელ ხანებში შეიმჩნევა, რომ ჩვენს საზოგადოებაში მცხოვრებენ... ჩემს განკარგულებას უყურებენ უნდობლად, არ ცხადდებათ გამოძახებისას, უხალისოდ და ზოგჯერ სულ არ ასრულებენ ხელისუფლების განკარგულებას. დადის ხმები, რომ... გლეხები მეტს არ გადაიხდიან გადასახადებს. ყოველივე ამაში კი ბრალი მიუძღვის სხვადასხვა პირებს“<sup>22</sup>.

აგიტატორთა მოღვაწეობის უშუალო შედეგი იყო გლეხთა საყურადღებო მღელვარებანი 1867 წელს სოფ. კურდღელაურში, 1869 წელს — ურიათუბანში, ნაფარულში და სხვა სოფლებში.

მთავრობისა და მემამულეების საწინააღმდეგო აგიტაციამ დიდი გავლენა იქონია სამეგრელოს მშრომელ გლეხობაზე. „გოთუას ქადაგებამ, — წერდა ზემოხსენებული მემამულე, — 1873 წ... გამოიწვია ის, რომ მ. წ. აგვისტოს ბოლოს გლეხებმა სოფ. კირცხში (ზუგდიდის მაზრა, მ. ა.)... შეაჩერეს ჩემს მამულში მიწისმზომელის მუშაობა, განაცხადეს, რომ თუ ის გაბედავს განაგრძოს მუშაობა, მას ადგილზევე მოკლავენ.

... ალექსი გოთუამ სოფლის თავყრილობაზე განაცხადა, რომ ის არის ყველა გლეხის დამცველი, რომ ქუთაისის გუბერნიაში არაფერი საბატონო არ არის, ყველაფერი რაც არის ეკუთვნის გლეხებს (ხაზი ჩვენია, მ. ა.). გოთუას ქადაგება სწრაფად გავრცელდა სამეგრელოში, რის შედეგადაც: 1. ჩემი დროებით ვალდებული გლეხები არ მიხდიან არავითარ გადასახადებს, რომლებიც გათვალისწინებულია საწესდებო სიგელებში. 2. ელახან დროებით ვალდებული გლეხები ბრბოდ გამოცხადდნენ მაზრის უფროსთან და განაცხადეს, რომ ისინი არამცთუ არ გადაიხდიან ახალ

<sup>19</sup> ცსს, საქ. სსრ, ფ. 7, ანაწ. 3, საქმე 2659, ფურცელი 1.

<sup>20</sup> ცსსა, საქ. სსრ, ფ. 7, საქ. 2653, ანაწ 3.

<sup>21</sup> ცსსა, საქ. სსრ, ფ. 31 ანაწ. 1, საქმე 7, ფურცელი 87.

<sup>22</sup> ცსსა, საქ. სსრ, ფ. 48, საქმე 2179, ფურცელი 136.

გადასახადებს, არამედ მოითხოვენ უკან დაუბრუნდეთ წინა წლებში გადახდილი გადასახადები. გლეხები არ უშვებენ მიწისმზომელს ჩემს მამულში“<sup>23</sup>. (ხაზი ჩვენია, მ. ა.).

მწვევე ხასიათს ატარებდა გლეხთა მოძრაობა სოფ. ნანეიშვილისეულში, აქ გლეხმა-აგიტატორებმა მიაღწიეს იმას, რომ დროებით ვალდებული გლეხები მემამულეთა წინააღმდეგ აამხედრეს. „გლეხთა ასეთი თავგამოდებული წინააღმდეგობა მემამულეთა მიმართ არის შედეგი ზოგიერთი პიროვნების მოღვაწეობისა და ჩარევისა“ (ხაზი ჩვენია, მ. ა.), — წერდა მაზრის უფროსი<sup>24</sup>.

ამრიგად, XIX საუკუნის 60-70 წლებში საქართველოს სოფელში გაძლიერებულმა აგიტაციამ გლეხთა მოძრაობის ახალი აღმავლობა გამოიწვია. გლეხები მასობრივად უარს ამბობენ ბეგარა-გადასახადებზე, ახალი ურთიერთობის დამკანონებელ სიგელეზე და სხვ. მეფის ხელისუფლებას აწინებდა აგიტატორი გლეხების მოღვაწეობა. ერთ-ერთ დოკუმენტში, რომელიც შედგენილია უანდარმერიის მიერ, ნათქვამია, რომ საჭიროა მათს წინააღმდეგ კანონის მთელი სიმკაცრით ბრძოლა, რადგანაც „ისინი (აგიტატორები, მ. ა.) კიდევ უფრო ართულებენ საქმეს და ხალხი შეცდომაში შეჰყავთ“. სხვაგან მითითებულია: „სამომრიგებლო დაწესებულებათა გახსნის პირველსავე დღიდანვე მთავარ დაბრკოლების და საქმეების წარუმატებლობის მიზეზს წარმოადგენს ნახევრად განათლებული პირნი, რომელნიც თავის ბოროტ განზრახვით და ბოროტმოქმედებით ცდილობენ მღელვარება და უკმაყოფილება გამოიწვიონ ხალხთა ფართო მასებში“<sup>25</sup>.

და მართლაც, გლეხი აგიტატორების ასეთი მოღვაწეობა უსათუოდ ანგარიშგასაწიე იყო. ჯერ ერთი, საქართველოს მშრომელი გლეხობა აშკარად გამოთქვამდა მძარცველური რეფორმის გამო უკმაყოფილებას. ამ დროს მკირედ აგიტაციასაც კი შეიძლება სერიოზული მოძრაობა გამოეწვია და ერთ სოფელში დაწყებული ბრძოლა მთელ ქვეყანას მოსდებოდა. საამისო პირობები XIX საუკუნის 60-70 -იან წლების საქართველოში არსებობდა.

ცნობილია, რომ XIX საუკუნის 60-70-იან წლებში საქართველოს სოფელში ფართო მუშაობას ეწეოდნენ ხალხოსნები. ისინი გლეხების იდეოლოგიასა და ინტერესებს იცავდნენ.

ერთი სიტყვით, სოფლად გლეხთა რევოლუციური გამოსვლებისათვის სოციალური პირობები საესებით მომზადებული იყო.

იმ წრეებში, სადაც რუსეთის ცენტრალური გუბერნიებისათვის ბატონყმობის გაუქმების კანონპროექტი მზადდებოდა, თავიდანვე იცოდნენ, რა უნდა მოჰყოლოდა საგლეხო რეფორმას. ამიტომ იყო რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ 1861 წელს გამოსცა სპეციალური ცირკულიარი, რომელიც გუბერნატორებს ავალებდა: „1. ის პირი, რომლებიც გლეხებს ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ, გადაეცათ სასამართლოსათვის, 2. როდესაც ასეთი პირისათვის სასამართლოს წესით სასჯელის მისჯა ვერ ხერხდებოდა და ამ პირის დაუსჯელად დატო-

<sup>23</sup> ცხსა, საქ. სსრ, ფ. 220 საქმე 1241, ფურც. 1-2.

<sup>24</sup> ცხსა, საქ. სსრ, ფ. 31, საქმე 7, ფურც. 84.

<sup>25</sup> იქვე.

ეება კი საზიანო იქნებოდა, გუბერნატორებს ნება ეძლეოდათ გაესახლებიათ ისინი ადმინისტრაციული წესით არაუმეტეს ორი წლისა და ასეთი გლეხების უკან დაბრუნება მხოლოდ და მხოლოდ გუბერნიის საკრებულოს ნებართვით შეიძლებოდა. 3. გუბერნატორები ვალდებულები იყვნენ გასახლებულ პირებზე დაეწესებიათ პოლიციის მეთვალყურეობა“. მართალია, ეს ცირკულიარი 1861 წელს გამოიცა და მხოლოდ ერთ წელიწადს მოქმედებდა, მაგრამ ბარონი ნიკოლაი წერდა: „დებულება გლეხების განთავისუფლების შესახებ ამიერკავკასიის მხარეში გამოვიდა რუსეთში ასეთი დებულების გამოქვეყნების შემდეგ. ამიტომ ჩემის აზრით არავითარი დაბრკოლება არ არის, რომ ეს გარემოება მიღებულ იქნას სახელმძღვანელო დებულებად და აღნიშნული ბრძანების მოქმედების ვადა ამიერკავკასიაში გაგრძელდეს“<sup>26</sup>.

ამრიგად, 1861 წლის ზემოთ აღნიშნული ცირკულიარი უმაღლესი ბრძანებით საქართველოში შემდგომ წლებზეც უნდა გავრცელებულიყო.

იმ მიზნით, რომ საეკვო პირთა მიმართ ხელისუფლების ბრძოლა უფრო ოპერატიული და მოქნილი ყოფილიყო, კავკასიის მეფისნაცვლის განკარგულებით გაფართოვდა გუბერნიისა და მაზრის უფროსების უფლება-მოვალეობანი. „თუ რომელიმე სოფლის საზოგადოებაში, — ეკითხულობთ მეფისნაცვლის განკარგულებაში, — მისი რომელიმე წევრის ინტრიგების გამო ადგილი ექნება უწესრიგობას, ან იმ შემთხვევაში, თუ ასეთ პირებს მფარველობას გაუწევენ არაკეთილსაიმედო ადამიანები, გუბერნიის უფროსებს უფლება ეძლევათ, მთავარი დამნაშავენი თავისი შეხედულებით გადაასახლონ გუბერნიის სხვა რომელიმე კუთხეში. ხოლო თუ მათი გადასახლება საჭიროა გუბერნიის გარეთ, ამისათვის გამოთხოვილი იქნეს მეფისნაცვლის ნებართვა“<sup>27</sup>.

თავის მხრივ თბილისის გუბერნატორი მაზრის უფროსებს სწერდა: „ექვს გარეშეა, რომ ისეთი ვავლენიანი პირები (აგიტატორები, მ. ა.) თითოეულ საზოგადოებაში არის რამდენიმე კაცი, რომლებიც შთააგონებენ თანასოფლელებს სხვადასხვა წინადადებით და მოუწოდებენ ბრძოლისაკენ, ამიტომ საჭიროა მათი გამოვლენა, მათი მოქმედების აღწერა, და ჩემთან წარმოდგენა თავიანთი დანაშაულის მიხედვით დასაჯელად“<sup>28</sup>.

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანიზაციებზეც არ ზოგავდნენ ძალასა და ენერგიას რევოლუციურად განწყობილი გლეხების გამოვლენასა და დასჯაში, სოფლის „საეკვო“ პირებისაგან „გაწმენდაში“. მეფის ხელისუფლება თავდაპირველად მაინც ცდილობდა ე. წ. დამინების მეთოდით ემოქმედა. „გაფრთხილება შიშითა ელიოზაშვილს, რომ თავისი ცილისმწამებლური განცხადებებით არ აელეკება გლეხები“, გაფრთხილებულ იქნა შათირიშვილი (თელავის მაზრა). ასეთივე გაფრთხილება მიეცა ნიკო გრიგოლიას. ასეთი მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლებოდა.

მეფის მოხელეების ასეთ „სულგრძელ“ დამოკიდებულებაში სოფლად გაშლილი რევოლუციური აგიტაციის მიმართ ჩვენ ვხედავთ ერთგვარ შიშს და სიფრთხილეს, რადგან რაიმე სულ მცირე წინდაუხედავ ნაბიჯს შეიძლებოდა საქმე კიდევ უფრო გაერთულებინა. ამგვარ გაფრთხილებებს თითქმის ყოველთვის თან სდევს მასობრივი რეპრესიები, გლეხთა დაპატიმრება, გადასახლება,

<sup>26</sup> ცსსა, საქ. სსრ, ფ. 5, საქმე 837, ტურც. 6.

<sup>27</sup> იქვე, საქმე 119, ფურც. 4.

<sup>28</sup> იქვე, ფ. 31, ანაწ. 1, საქმე 287, ფურც. 100.

ეგზეკუციები. მაგალითად, გორის მაზრის მომრიგებელი შუამავალი მოითხოვდა თავის უბანში შემჩნეული გლეხ-აგიტატორთა სანიმუშო დასჯის შესახებ „რაც შეიძლება საჩქარო განკარგულებას ადმინისტრაციული ხელისუფლებით მიმართ, რომ კანონის მთელი სიმკაცრით დაესაჯა, მაზრის მოსახლეობის საჩვენებლად, თუ ყველა ცალ-ცალკე არა, უკიდურეს შემთხვევაში ძირითადი დამნაშავეები მაინც“<sup>29</sup>. უფრო საყურადღებოა მეორე დოკუმენტი: „მთავრობის ყურადღების ყოველგვარი შესუსტება გათამამებული გლეხების მიმართ, მით უმეტეს, როცა მათი განწყობა უკიდურესად აღზნებულია, გამოიწვევს მემამულეებსა და გლეხებს შორის ურთიერთობის კიდევ უფრო გამწვავებას და ხელს შეუშლის საქმის მშვიდობიანი გზით მოგვარებას. შეთანხმება მემამულეებსა და გლეხებს შორის ვერ მოხერხდება და მემამულეთა ყოველი ცდა წარუმატებლად დამთავრდება“<sup>30</sup>.

გუბერნიის მმართველობა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს ყოველშტრივ უჭერდა მხარს რევოლუციურად განწყობილი გლეხების წინააღმდეგ ბრძოლაში. 1868 წელს თბილისის გუბერნატორი თელავის მაზრის უფროსს სწერდა: „ჩემის მხრივ აუცილებლად მიმართა მიღებულ იქნეს უფრო მკაცრი ზომები იმ გლეხების მიმართ, რომელნიც შემჩნეული არიან დებულების ყალბ განმარტებაში, აგრეთვე ურჩობაში და სხვა“<sup>31</sup>. ხოლო მეორე ადგილას თელავის მაზრის უფროსს მიუთითებდა: „იმისათვის, რომ შევაჩეროთ ჩარექუაშვილის მსგავსი მოუსვენარი გლეხების ასეთი განმარტებები, რომელთაც შეუძლია ჩააყენოს ორვე კლასი (მემამულეები და გლეხები, მ. ა.) არასასურველ მდგომარეობაში მე მარტო ჩარექუაშვილის დაპატიმრება არ მიმართა საქმარის ღონისძიებდა“<sup>32</sup>, ხოლო თვითონ თელავის მაზრის მომრიგებელი შუამავალი გატარებულ ღონისძიებებს არ მიიჩნევს საქმარისად „იმ საზოგადოებრივი უმეყოფილების დასაწყნარებლად, რომლის დათესვაც მოასწრო ჩარექუაშვილმა თავისი განმარტებებით“.

აგიტატორები სოფლის მშრომლებს შორის დიდი პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობდნენ. გლეხოზა მათ ენდობოდა და საქაროების შემთხვევაში სიცოცხლის ფასად იცავდა. მიუხედავად დიდი სურვილისა, პირველ ხანებში მთავრობამ ვერ შეძლო ჩარექუაშვილის შეპყრობა, ხოლო შემდეგ, როცა იგი მაინც დააპატიმრეს, სასოფლო საზოგადოებამ 12 გლეხის ხელისმწიკრით შეადგინა შუამდგომლობა-თხოვნა საგლეხო საქმეების საკრებულოსადმი, ხელისუფლება იძულებული გახდა ჩარექუაშვილი გაეთავისუფლებინა, ასევე, იყალთოელმა გლეხებმა მათი წარმომადგენლის შათირიშვილის დაპატიმრების უფლება არ მისცეს მეფის მოხელეებს. მთავრობა მაინც ახერხებდა „დამნაშავეთა“ შეპყრობას და მკაცრად დასჯას. დააპატიმრეს აგიტატორ-გლეხთა დიდი უმრავლესობა, მათ შორის: არსენ ასლამაზიშვილი, სააკაშვილი, ელიოზაშვილი, ქიქოძე, გუჩაშვილები, გაბისაშვილი, ლაზარიშვილი, მამუკაშვილი, დათუნაშვილი, ლუარსაბაშვილი, გრიგოლია, ვაჩიშვილი, გიორგიძე, ძნელაძე, მიქაშვიდი და მალულარიები, ივანე კეშელავა, ვაჩიშვილი და სხვები. სიკვლეების შედგენამდე ხელისუფლების სათანადო განკარგულების გარეშე მათ ეკრძალებოდათ მშობლიურ სოფელში ჩასვლა.

<sup>29</sup> ცხსა, საქ. სსრ, ფ. 31, საქმე 7, ფურ. 22.

<sup>30</sup> იქვე, ფურც. 21.

<sup>31</sup> იქვე, ფურც. 22.

<sup>32</sup> იქვე, ანაწ. 1, საქმე 7, ფურც. 21.

3. „მაინე“, 1970, № 1

ისმის საკითხი, ჰქონდათ თუ არა ამ აგიტატორებს რაიმე კავშირი იმ დროს მომუშავე რევოლუციურ ორგანიზაციებთან?

სამწუხაროდ, დღემდე ცნობილი საარქივო მასალები ამის შესახებ არაფერს ამბობს, თუმცა დოკუმენტებში დაცული არაპირდაპირი ცნობებით ასეთი მოსახრება უსაფუძვლო მაინც არ ჩანს.

ცნობილია, რომ ხალხოსნები ძირითად რევოლუციურ ძალად გლეხობას აღიარებდნენ. თავისი მოღვაწეობის ასპარეზად მათ სოფელი აირჩიეს და აქ ეწეოდნენ რევოლუციური იდეების პროპაგანდას. ბუნებრივია, ამგვარ საქმიანობაში ნაროდნიკულ ინტელიგენციასთან ერთად ჩაბმული იქნებოდა გლეხობაც. ქუთაისის გუბერნატორი 1876 წელს თავის ანგარიშში წერდა: „შეუცდომლად შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ამ მოძღვრების (ხალხოსნური, მ. ა.) მქადაგებელნი გლეხურ მოსახლეობაში არიან ერთი მხრივ სოფლის მასწავლებლები და მეორე მხრივ, როგორც ერთეული შემთხვევები, თვით გლეხების წრიდან, რომლებსაც აქეთ ახლო ურთიერთობა პირველებთან<sup>33</sup>. ამ შემთხვევაში, ჩვენის აზრით, ლაპარაკია სოფლად მომუშავე ხალხოსნური ინტელიგენციისა და აგიტატორი გლეხების ერთობლივ მუშაობაზე.

ხალხოსნებისა და გლეხი აგიტატორების მასებში საუბროს თემა ერთმანეთს ემთხვევა. ერთნიც და მეორენიც 9 წლიანი ვადის შესახებ გავრცელებულ ხმებს იყენებდნენ გლეხების ასამხედრებლად (ქიქოძე, გოთუა და სხვები) მოუწოდებდნენ სოფლის მშრომელებს ბეგარა-გადასახადებზე უარის თქმის და შეიარაღებული ბრძოლისაკენ. ბოლოს, გლეხებთან ერთად სოფლად მუშაობდნენ განათლებული აგიტატორები (ქიქოძე, ბალიაშვილი, გაბუნია, გოთუა და სხვები), რომლებმაც იცოდნენ წერა-კითხვა, რუსული ენა, გამოირჩეოდნენ თავდადებითა და გამბედაობით, ჰქონდათ ქანდარმერიისა და მეფის მოხელეების შეთვალყურებისაგან თავის დაღწევის შემუშავებული და ჩამოყალიბებული ჩვევები. თუ დავუშვებთ, რომ ესენი არიან ხალხოსნების წარმომადგენლები და გავითვალისწინებთ მათი და გლეხი აგიტატორების ერთობლივ მოღვაწეობას. მაშინ გლეხი-აგიტატორების ხალხოსნობასთან კავშირის დაშვება სავსებით შესაძლებელია.

<sup>33</sup> იქვე, ფ. 5, საქმე 1814, ფურც. 4.

(წარმოადგინა საქართველოს "სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ჩიტაიამ)

### პატრე გორგაძე

## საგლეხო რეფორმის გატარება და მისი შედეგები ახალციხის მაზრაში

ოსმალეთი ორასზე მეტ წელიწადს ცდილობდა ახალციხის საფაშოს შექმნას და მხოლოდ XVII საუკუნის მეორე მეოთხედში დაასრულა სამცხის დაპყრობა.

აქ მან საბოლოოდ მოსპო ათაბაგების ადგილობრივი ხელისუფლება. სამცხე-საათაბაგოს ქართულმა ფეოდალურმა სამთავრომ პოლიტიკური არსებობა შეწყვიტა. ათაბაგის ადგილი აქ სულთნის მოხელემ — ფაშამ დაიჭირა. ეს 1628 წელს მოხდა<sup>1</sup>. ახალციხის პირველი ფაშა ანუ, როგორც ოსმალეთში უწოდებდნენ, „ჩილდირის ბეგლარბეგი“<sup>2</sup>, ბეჟა (საფარფაშა) იყო. ჯერ კიდევ ადრე, ახალციხის საფაშოს შექმნამდე, ოსმალეთის სახელმწიფო მოხელეებმა სამცხე-საათაბაგო აღწერეს და სოფლის მეურნეობის ყოველგვარი შემოსავალი ახჩებში<sup>3</sup> გადაიყვანეს. ამის შემდეგ დაწესდა, რომ ყოველი სახელობითი მამულიდან შემოსავლის 1/5 ნაწილი ხაზინას ეკუთვნოდა.

1595 წელს თურქეთის სულთნის ბრძანებით სამცხე-საათაბაგო კვლავ აღწერეს და შეადგინეს ვრცელი საგადასახადო წიგნი, რომელსაც „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ უწოდეს. ეს საბეგრო დავთარი ეხება შემდეგ ქართულ პროვინციებს: სამცხეს, ჯავახეთს, კოლას, არტანს (მტკვრის ხეობა) ტაოს (ჭოროხის ხეობა), აგრეთვე, ბორჯომის ხეობას, ვიდრე სოფელ ქვიშხეთამდე.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ შედგება 21 თავისაგან და შეიცავს კანონებს მიწათმფლობელობის, მიწათსარგებლობის, სხვადასხვა გადასახადისა და სოციალურ ფენათა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. აქვე მოცემულია სისხლის სამართლისა და აღებშიცემობის კანონები<sup>4</sup>. დაპყრობილ ქვეყანაში ოსმალები თავიანთი ადმინისტრაციული სისტემის შემოღებას შეუდგნენ. მას „გურჯისტანის ვილაიეთი“ უწოდეს და თავდაპირველად 8 ოსმალურ სანჯაყად ანუ ლოჯად (სადრომოდ) დაყვეს. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ამ ახალი სისტემის საბოლოო გამარჯვებას. ქართველი ხალხი, ცხადია, ადვი-

<sup>1</sup> საქართველოს ისტორია, თბ., 1958, გვ. 287.

<sup>2</sup> „ჩილდირის ბეგლარბეგი“ ანუ ახალციხის საფაშოს ბეგთაბეგი.

<sup>3</sup> „ახჩა“ ოსმალური ფულის ერთეულია. 1587 წელს თურქებმა სამხრეთ საქართველო აღწერეს და მთელი შემოსავალი ახჩებში გადაიყვანეს. ახჩა მცირე ერთეულის ხურდა ფულია. თურქეთში 120 ახჩა 7 კაპიკს უდრის. იხილეთ М. Н. Кучаев, Ахчевые и тапные землевладения в Ахалцихском уезде, „Свод материалов для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края, т. V. П., 1888, стр. 324.

<sup>4</sup> გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ს. ჭიჭას რედაქციით. ტომი II, წინასიტყვაობა, თავი VIII, თბ., 1939.

ლად არ იღებდა ხელს მიწათმფლობელობის შედარებით პროგრესულ, საუკუნეების მანძილზე გამომუშავებულ სისტემაზე. ქართველ გლეხს არ სურდა მძიმე სახელმწიფო ბეგრითა და გამოსაღებებით გაწამებულ ოსმალო გლეხად („რაითად“) ქცეულიყო; ასევე არც მის ექსპლუატატორს — ქართველ ფეოდალს სურდა მიწის მხოლოდ დროებითი და პირობითი მფლობელი ყოფილიყო<sup>5</sup>.

1628 წელს, სამცხე-საათაბაგოს საბოლოოდ დაპყრობისა და ახალციხის საფაშოდ გამოცხადების შემდეგ, ეს საფაშო — ე. წ. „ჩილდირის ვილაიეთი“ ადმინისტრაციულად 14 სანჯაყად დაიყო. ძველი ქართული ფეოდალური მიწათმფლობელობის ფორმების სრული მოსპობა სულთნის მთავრობამ ვერ შეძლო და ადგილობრივ ფეოდალთა ზოგი ძველი პრივილეგია ცნო<sup>6</sup>. ამით აიხსნება, რომ ახალციხის საფაშოს 14 სანჯაყიდან 4 ე. წ. „ოჯაკიკის“ წარმოადგენდა<sup>7</sup>.

ქვეყნის ვაოსმალების პოლიტიკის წარმატება, უპირველეს ყოვლისა, ოსმალური მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესების შემოღებაზე იყო დამოკიდებული, რადგან ისინი მკვეთრად განსხვავდებოდნენ ფეოდალური საქართველოს მიწათსარგებლობის წესებისაგან.

აესტრიელმა ორიენტალისტმა ჰამერმა (1774—1856) 1835—1843 წლებში შეადგინა მრავალტომიანი „ოტომანთა იმპერიის ისტორია“ და გვიჩვენა, რომ თურქეთსა და დაპყრობილ ქვეყნებში მიწათმფლობელობის ფორმები თითქმის არაფრით განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. უშუალოდ სამცხე-საათაბაგოში თურქეთის მიერ თავს მოხვეული მიწათმფლობელობის წესების შესახებ ზუსტი ისტორიული წყაროები ძალიან ცოტა მოიპოვება, რის გამოც ამ საკითხის განხილვა მიზანშეწონილად ვცანით თურქეთის ბატონობაში მყოფი სხვა პროვინციების მიწათმფლობელობის ფორმების მაგალითებზე დაყრდნობით.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სამცხე-საათაბაგოში თურქებმა ვერ მიაღწიეს მიწის თურქული მფლობელობის სისტემის სრულად, დანერგვას, ისევე როგორც ვერ შეძლეს სამცხის მოსახლეობის მთლიანი ასიმილაცია.

თურქული მიწათმფლობელობის ფორმები ვაშუქებულია სულეიმან დიდის (1520 — 1566) „კანუნ-ნამეში“, სადაც მიწათმფლობელობის სამი ძირითადი ფორმაა მოცემული.

1. „ერაზი-ააშირი“ („მოსავლის მეათედი“): ამგვარი მფლობელობის მიწებს შეადგენდა თურქეთის მიერ დაპყრობილ მხარეებში არსებული მამულეები, რომლებიც ეძლეოდათ მხოლოდ მუსულმანებს და ამ უკანასკნელთა სრული საკუთრება ხდებოდა. მიწათმფლობელობის ამგვარი ფორმის დროს მესაკუთრენი ვალდებული იყვნენ ეხადათ გადასახადი „ააშირი“.

მიწის ასეთი მფლობელობა, „ერაზი-ხარაჯისა“, და „ერაზი-მემლექეთის“ ფორმებთან შედარებით ხელსაყრელი იყო მებატრონისათვის, ვინაიდან იგი მცირე გადასახადის გაღებას ითვალისწინებდა.

<sup>5</sup> საქართველოს ისტორია I, გვ. 287.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 288.

<sup>7</sup> „ოჯაკიკებს“ იმ მიწებს უწოდებდნენ, რომელთაც ოსმალები სამეკვიდრეო სამფლობელოდ უტოვებდნენ ზოგიერთ ფეოდალს და რომლებიც არ ექვემდებარებოდნენ ოსმალეთის სახელმწიფო სავალსახადო სისტემას.

ეს ფორმა სხვა ხალხთა (არათურქ ხალხთა), კერძოდ ქართველთა, გამუსულმანებისათვის იყო გამოიხნული, ვინაიდან მიწის ამგვარი მფლობელი შეიძლებოდა გამხდარიყო ქართველიც, თუკი ქრისტიანულ სარწმუნეობას დაემოხებოდა და მაჰმადიანობას აღიარებდა.

2. მიწათმფლობელობის მეორე ფორმა — „ერაზი-ხარაჯი“ — ვრცელდებოდა იმ დაპყრობილ მიწებზე, რომლებიც არამუსულმანებს ეძლეოდათ.

მიწის ასეთი მფლობელობისათვის მეპატრონენი იხდიდნენ სხვადასხვა გადასახადს: სულადობის მიხედვით, მიწისას („ხარაჯ-მუკასემ“). ისინი სრულფუნქციანი მესაკუთრენი იყვნენ თავიანთი მიწებისა, ისევე როგორც ზემოხსენებული „ერაზი-ხარაჯის“ მფლობელები, ოღონდ გადასახადი შედარებით მეტი და სხვადასხვა სახისა ეწერათ პირველებთან შედარებით.

3. მესამე ფორმა — „ერაზი-მემლექეთი“ — ეხებოდა სახელმწიფოს განკარგულებაში არსებულ ანუ სახელმწიფო მიწებს<sup>8</sup>.

სახელმწიფო მიწები ყველას ეძლეოდა იმ პირობით, რომ მათი მფლობელნი ომიანობის დროს სამხედრო ვალდებულნი უნდა ყოფილიყვნენ. გლეხები („რაიათი“) მიწას იჯარით იღებდნენ ამგვარი მიწის მფლობელისაგან და მას უხდიდნენ შემოსავლის ნაწილს, ეგრეთ წოდებულ მეათელს<sup>9</sup>. იყო შემთხვევები, როცა ეს გადასახადი შეადგენდა მოსავლის არა მეათელს, როგორც თვით გადასახადის სახელწოდება აღნიშნავს, არამედ მეცხრედ, მერვედ ნაწილს და ზოგჯერ ნახევარსაც<sup>10</sup>.

თურქული მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ფორმები სამხრეთ საქართველოში ჩვენმა თანამემამულემ, გამოჩენილმა ისტორიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ დიმიტრი ბაქრაძემ შეისწავლა 1884 — 1889 წლებში და გადმოგვცა თავის ნაშრომებში — „Исторические очерки турецкой системы землевладения“, Археологическое путешествие по Гурии и Аджарии в 1878 г.“

„საერთოდ, — წერს დ. ბაქრაძე, — მე მივდივარ შემდეგ დასკვნამდე: თურქეთში, მისი არსებობის ისტორიაში, უკიდურეს შემთხვევაში, მის მიერ ბიზანტიის იმპერიის დაპყრობიდან, ეხვდებით მიწათმფლობელობის სამ ძირითად კატეგორიას. ესაა მიულქი, ვაკუფი და ერაზი-მირიე“<sup>11</sup>. „მიულქი“ უთანაბრდება ახალციხის მაზრაში გავრცელებულ კერძო საკუთრების ფორმას. „ვაკუფი“, როგორც რელიგიის მსახურთა კუთვნილება, ახალციხის მაზრის მუსულმანურ სოფლებში იყო გავრცელებული, ყველა სხვა სახის უძრავი ქონება შედიოდა „ერაზი-მირიეში“, რომელიც თავისი შინაარსითა და ფორმებით ძალზე ახლოს დგას სამხრეთ საქართველოში გავრცელებულ სახელმწიფო მიწებით სარგებლობის ფორმებთან. მაშასადამე, სრული უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ მიწათმფლობელობის ყველა ზემოხსენებული ფორმა თურქებმა შესაბამისად დანერგეს ახალციხის საფაშოშიც. იხილავდა რა მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის თურქულ ფორმებს სამხრეთ საქართველოში დ. ბაქრაძე აღნიშნავდა: „ჩემი აზრით, მიწათმფლობელობის ფორმები ყოფილი ყარსისა და ბათუმის ოლქებში, ისე როგორც ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში, რაიმე განსაკუთრებულ გამონაკლისს არ წარმოადგენდა“<sup>12</sup>.

<sup>8</sup> ა. ავალიანი, მიწათმფლობელობის ფორმები აჭარაში, ბათუმი, 1960, გვ. 17—21.

<sup>9</sup> Д. Ба к р а д з е. Исторические очерки турецкой системы землевладения, стр. 28-32.

<sup>10</sup> Приложение к протоколу Кавказского юридического общества, № 9, на 1889 г. стр. 5.

<sup>11</sup> დ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 31-32.

<sup>12</sup> იქვე, გვ. 32.

რუსეთი დიდი ხნის განმავლობაში ემზადებოდა ამერიკაეკსპიის სამხრეთი რაიონების დაპყრობისათვის. მაგრამ ამ მხარის თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლების (1828 წ.) და რუსეთის იმპერიასთან შეერთების შემდეგაც ახალციხის მაზრაში დიდხანს თითქმის ხელუხლებლად იყო შენარჩუნებული მიწათმფლობელობის აქ დამკვიდრებული თურქული ფორმები.

ახალციხის მაზრაში გაბატონებულ ზედაფენებს — ბეგებსა და აღებს პირადი სარგებლობისათვის ჰქონდათ მიწები, რომელთაც „ჩიფთლიქი“ (მიწის ნაკვეთი, რომლის დამუშავებასაც მფლობელი უღელი ხარით ერთ დღეში შეძლებდა) ეწოდებოდა. ამ მიწით სარგებლობისათვის გლეხები მიწათმფლობელებს უხდიდნენ „ბ ა გ რ ა ს“ — შემოსავლის ერთ მეხუთედს. საზოგადოდ, ხალხში „ჩიფთლიქის“ სახელით ცნობილია მიწის ნაკვეთი შენობებით, მუშა საქონლით, სათესლე მარცვლეულით, მიწის დასამუშავებელი და ექსპლოატაციისათვის საჭირო იარაღებით. „ჩიფთლიქი“ „მიუღქის“ კატეგორიის ფორმაა<sup>13</sup>.

ახალციხის მაზრის ზოგიერთ სოფელში (გორგულა, ზარზმა, ადიგენი, ვარხანი, ენთელი, ბენარა, ფარეხა და სხვა) გავრცელებული იყო ეგრეთ წოდებული „თაფუს“ წესი — როდესაც მიწები გაცემული იქნებოდა სულთნის მიერ სათანადო საბუთით დამოწმებული ბარათებით.

„თაფური“ მიწის მფლობელები აღნიშნულ ნაკვეთებს „კასრიადად“ წოდებული დოკუმენტით აძლევდნენ სხვა პირებს („თაფშიკი“), რისთვისაც ამ უკანასკნელთ შემოსავლის ნაწილი უნდა გადაეხადათ<sup>14</sup>. ახალციხის მაზრაში XIX ს-ის მიწურულს სულ 165 სახელობითი მამული არსებობდა. ამ მამულებს ფლობდა 85 ოჯახი, რომელთა შორის 14 ბეგისა იყო, 13 ადასი, დანარჩენი 58 კი ნაწილობრივ მემკვიდრეობითი მემამულეებისა, ნაწილობრივ — პირადი მესაკუთრეებისა.

ქალაქელ ვაჭრებს ეკუთვნოდათ 3 მამული, რომლებიც მათ ბეგებისაგან შეისყიდეს ხოლო 4 მამული მემამულე-გადამყიდველების საკუთრება იყო<sup>15</sup>.

რუსეთის მთავრობა ცდილობდა ახალციხის მაზრაში ბეგებსა და მათს მიწაზე მოსახლე გლეხებს შორის ურთიერთდამოკიდებულება რუსული კანონმდებლობის საფუძველზე მოეწესრიგებინა. ამ მიზანს ისახავდა 1836, 1840, 1844, 1847, 1851, 1859, 1865 წლებში შემუშავებული განკარგულება-კანონმდებლობები, რომელთაც არსებითად არ მიუღიათ კანონის ძალა და ხალხის ცხოვრებაში არ დამკვიდრებულან.

ახალციხის მაზრაში, მისი რუსეთთან შეერთებიდან 1870 წლის საგლეხო რეფორმამდე, ორი კატეგორიის მიწათმფლობელები იყვნენ: 1. მემკვიდრეობითი ბეგები — ქართველ მემამულეთა ჩამომავალნი და თურქი მოხელეები, რომელნიც მიწას სამსახურის პირობით ფლობდნენ. რუსეთის მთავრობამ ყველა მათგანს შეუხარჩუნა ბეგის წოდება და დასახლებული მამულების ფლობის უფლება. 2. არაპრივილეგიური წარმოშობის პირები, რომლებსაც, რუსეთის კანონების თანახმად, დასახლებული მამულების ფლობის უფლება არ ჰქონდათ, მაგრამ მაინც შეძლეს მიწების შეძენა და ფაქტიურ მფლობელებად იქცნენ.

<sup>13</sup> ა. ავალბანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 141.

<sup>14</sup> С. Л. Аваллиани, крестьянский вопрос в Закавказье, т. III, стр. 167.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 165.

„ახჩის“ უფლებით მიწათმფლობელობის გამორკვევა-დადგენის საკითხი დიდხანს ირჩეოდა მეფის მთავრობის ინსტანციებში. დაგროვილი მასალის საფუძველზე 1843 წლის 2 ნოემბერს გამოქვეყნდა უმაღლესი ბრძანება, რომელიც ახალციხის მაზრის მოსახლეობას 1844 წლის 24 იანვარს ეცნობა. ამ ბრძანება-განცხადების მიხედვით, ახალციხის მაზრაში მემამულეთა მიწებზე მცხოვრები სახაზინო გლეხები ვალდებული იყვნენ მიწათმფლობელთა სასარგებლოდ გადაეხადათ მოსავლის მეათედი ნაწილი. ყველა დანარჩენი გამოსაღები, რაც დაწესებული იყო პირუტყვის, ფრინველის, ყველის, ერბოსა და სხვა სახით, უნდა გაუქმებულიყო. ამის საზღაურად გლეხებს წელიწადში 6 დღეს უნდა ემუშავათ მემამულეთა მიწაზე.

პრაქტიკულად გატარების დროს ამ დადგენილებას დაბრკოლებები შეხვდა და საჭირო გახდა ზოგი დამატებითი განმარტება. დამატებითს წესებში ნათქვამი იყო, რომ მემამულეთა მიწაზე მცხოვრებ სახელმწიფო გლეხებს, რომლებიც დადგენილ ვალდებულებებს ასრულებდნენ, შეუზღუდავდ უნდა ესარგებლათ ყველა იმ მიწით, რითაც მანამდე სარგებლობდნენ. დანარჩენი მიწა კი მემამულეთა სრულ განკარგულებაში რჩებოდა. მემამულეებს შეუძლიათ საძოვრები გარეშე პირებზეც გასცენ, მაგრამ ამან საძოვრებით გლეხთა თავისუფალი სარგებლობის უფლება არ უნდა შეზღუდოსო. იმ სოფლებში, სადაც მემამულეთა მთელი მიწა გლეხთა სარგებლობაშია, მემამულეებს შეუძლიათ მოითხოვონ იმდენი მიწა, რამდენის მოხვნაც გლეხთა ჭუთნებით ორ დღეში შეიძლება, ზოლო თუ საკუთარი მეურნეობა უკვე აქვთ გამართული ამ ოდენობის მიწაზე, მეტის მოთხოვნის უფლება მათ არ ეძლევათო<sup>16</sup>.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ახალციხის მაზრაში საკმაოდ იყო გავრცელებული ე. წ. „თაფური“ მიწათმფლობელობაც<sup>17</sup>. „თაფშიკი“ ვალდებული იყო პირველ რიგში გადაეხადა ერთდროული გარკვეული თანხა, შემდეგ კი ყოველწლიურად ეხადა „ზაგრა“ „თაფშიკი“ მიწათმოქმედებს იშვიათად ეწეოდა. იგი მიწას გლეხებს აძლევდა წვრილ ნაკვეთებად, ეს უკანასკნელნი კი მემამულის სასარგებლოდ იხდიდნენ მოსავლის ერთ მეექვსედს. ამის შემდეგ მათ უბრუნდებოდა გახარჯული თესლი, დარჩენილი მოსავალი კი შუაზე იყოფოდა მიწის დამმუშავეებსა და „თაფუს“ მფლობელს შორის<sup>18</sup>.

მემამულის ნებართვით „თაფშიკს“ შეეძლო მიწა სხვისთვის დაეთმო, ისე კი სათაფო უფლება მემკვიდრეობით გადადიოდა. „თაფუს“ მფლობელის ყოველი გამოცელის დროს დგებოდა აქტი და მემამულე კვლავ იღებდა ერთდროულ თანხას. მემამულეთა მიწების გარდა „სათაფოდ“ გაიციმობდა სახაზინო და საეკლესიო მიწებიც, თურქთა ბატონობის დროიდან მომდინარე მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ეს ფორმა რუსული მმართველობის შემოღების შემდეგაც განაგრძობდა მოქმედებას.

1870 წლის დებულება ახალციხის მაზრაზეც გავრცელდა. კერძოდ, იგი შეეხო იმ ბეგების მამულებს, რომელთაც მიწაზე საკუთრება 1846 წლის 6 დეკემბრის უმაღლესი რესკრიპტით დაუმტკიცდათ. ახალი დებულების ძალით,

<sup>16</sup> Свод материалов для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края, т. V, ч. 2, 1888, стр. 327—328.  
<sup>17</sup> „თაფუ“ — მფლობელობის აქტი, რომელშიც იხდიდნენ მიწის ღირებულების 5 %-ს. იხილეთ ა. ავალიანის დასახ. ნაშრომი, გვ. 98.  
<sup>18</sup> Свод материалов... т. V, ч. 2, стр. 330-332.

გლეხებს მუდმივ სარგებლობაში უმტკიცდებოდათ სანადელო მიწები, მაგრამ ეს ნაკვეთები მემამულეთა იურიდიულ საკუთრებაში რჩებოდა. ამასთან, კანონის ძალით, მემამულეთა უშუალო განკარგულებაში უნდა დარჩენილიყო მიწების ერთი მესამედი. სანადელო მიწებით სარგებლობის საზღაურად გლეხებს უნდა გადაეხადათ მოსავლის მეათედი და, გარდა ამისა, ყოველ დესეტინაზე 15 კაპიკი ფულად.

მემამულეთა და გლეხთა საადგილმამულო ურთიერთობის ნორმები საწესდებო სიგელებით უნდა განსაზღვრულიყო<sup>19</sup>.

1870 წლის დებულების გატარების შემდეგ აღრე მიღებული ბრძანებ-განკარგულებანი გაუქმებულად გამოცხადდა. ახალი დებულება იქცა მიწათმფლობელობისა და საადგილმამულო ურთიერთობის ფორმათა განსაზღვრელ ძირითად დოკუმენტად. ამ ურთიერთობის ნორმები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საწესდებო სიგელებში უნდა ჩაწერილიყო.

„1870 წლის დებულების გამოქვეყნების შემდეგ, — გადმოგვცემს მ. კუჩავეი, — ყოველგვარი განცხადება მიწის ახსური კუთვნილების შესახებ საწესდებო სიგელის წარუდგენლად ფაქტიურ და იურიდიულ საფუძვლებს მოკლებულია“<sup>20</sup>.

ახალი დებულების გატარების დროს დაისვა „სათაფო“ მიწების საკითხიც. 1871 წელს მიღებული დადგენილების თანახმად, გლეხთა საზოგადოებას ნადელოში ეთვლებოდა, თუ ბეგის მამულში სულზე 5 დესეტინა „სათაფო“ მიწის ფლობდა და საზღაური უნდა გადაეხადა არა „სათაფო“ დოკუმენტის საფუძველზე, არამედ საწესდებო სიგელით განსაზღვრული ნორმის მიხედვით; ხოლო „სათაფო“ უფლებით გარეშე პირებზე გაცემული მიწები ასეთივე უფლებით მათვე რჩებოდათ და მემამულეთა საკუთარი მიწის ფონდის ნაწილად ითვლებოდა<sup>21</sup>.

ახალციხის მაზრის დამოკიდებულ გლეხთა მნიშვნელოვანი ნაწილი ცხოვრობდა იმ პირთა მიწებზე, რომელნიც პრივილეგიურ წოდებას არ ეკუთვნოდნენ და ამიტომ, რუსეთის კანონების თანახმად, დასახლებული მამულების ფლობის უფლება არ ჰქონდათ. ამ კატეგორიის მფლობელთა მიწაზე აღმოჩნდა 1730 კომლი გლეხი. მათი მიწათმოწყობისათვის 1870 წელს შეადგინეს დებულების დამატებითი წესები, რაც 1877 წლის სექტემბერში დამტკიცდა.

დამატებითი წესების თანახმად, არაპრივილეგიურ მფლობელთა მამულებში მცხოვრები გლეხები შედარებით უკეთეს პირობებში აღმოჩნდნენ. მათ საკუთრებად გამოსყიდვის გარეშე უმტკიცდებოდათ ეზოები. გლეხთა მუდმივ სარგებლობაში რჩებოდა მიწები, რომელთაც ისინი დამატებითი წესების შედგენამდე ფლობდნენ. თუ მხარეთა შორის ნებაყოფლობითი შეთანხმება არ მოხერხდებოდა, მომრიგებელი შუამავალი გლეხის საადგილმამულო ვალდებულებას მოსავლის მეათედის ოდენობით განსაზღვრავდა.

გლეხებს ყოველთვის შეეძლოთ მიწისა და ვალდებულების გამოსყიდვა. 1870 წლის 14 მაისის დებულება და მისი 1877 წლის დამატება შეეხო: ახალციხის მაზრაში 2571 კომლს, ახალქალაქის მაზრაში — 1184-ს, ბორჩალოს მაზრაში — 2156-ს, თბილისის მაზრაში 239 კომლს<sup>22</sup>.

<sup>19</sup> Свод материалов... т. V, ч. 2, стр. 221.

<sup>20</sup> იქვე.

<sup>21</sup> Свод материалов..., т. V, ч. 2, стр. 334-335.

<sup>22</sup> ა. ბენდიანი შვილი, აგარაული ურთიერთობანი საქართველოში 1900-1917 წლებში, თბ., 1965, გვ. 16-17.

1877 წლის დებულების გატარების დროს კვლავ დაისვა „სათაფო“ მიწების საკითხი. მთავრობა ამჯერადაც იძულებული გახდა ეცნო აქამდე შედგენილი „სათაფო“ დოკუმენტები და მათს საფუძველზე არსებული მიწათმფლობელობა, მაგრამ მომავლისათვის ამ დოკუმენტების გაცემა აიკრძალა.

„თაფუს“ მფლობელნი 1870-1877 წლების დებულებათა გატარების შემდეგაც განაგრძობდნენ გლეხობის ექსპლოატაციას. მაგალითად, ახალციხელი ვაჭრები, რომელთაც არავითარი კავშირი არ ჰქონდათ სოფლის მეურნეობასთან, „სათაფო“ დოკუმენტების ძალით მაზრის ბევრ სოფელში ფლობდნენ მიწებს და თავის სუბაშებს (მერუე) გზავნიდნენ იქ გადასახადის ასაკრეფად.

ეს უკანასკნელნი მოსავლის აღების პერიოდში გლეხთა ხარჯზე ცხოვრობდნენ და მათივე ხარ-ურმით ჩამოჰქონდათ ღალის სახით აღებული პროდუქტები ახალციხეში<sup>23</sup>.

საზოგადოების შედარებით მოწინავე ნაწილი „სათაფო“ მიწათმფლობელობის გაუქმებას და გლეხთა ფაქტიურ მფლობელობაში მყოფი „სათაფო“ მიწების მათს ნადელებზე მიწერას მოითხოვდა, მაგრამ ამ სამართლიანი ღონისძიების გატარება ძალიან დაგვიანდა.

ამ გარემოებას კიდევ უფრო შეუწყო ხელი რუსეთის მთავრობის კანონმა „მიწების ყიდვა-გაყიდვის ნებართვის შესახებ“, რომელსაც გაბატონებული წრეები ბოროტად იყენებდნენ. მათ ჯერ სახელმწიფო მამულები მიითვისეს. შემდეგ კი მიწებით ვაჭრობა დაიწყეს.

როგორც 1870 წლის დებულება, ასევე მისი 1877 წლის დამატება იყო დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც მეფის მთავრობის მოხელეებს საწესდებო სიგელები უნდა შეეღწინათ. ამ სიგელების შედგენა ახალციხის მაზრაში პრაქტიკულად დაიწყო 1817 წლის დამდგვიდან, ე. ი. სპეციალური დებულების უმაღლესად დამტკიცების შემდეგ, და მომდევნო წლებშიც გრძელდებოდა ამასთან დაკავშირებით საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში შევისწავლეთ და გავანალიზეთ 31-ე ფონდის დაახლოებით 4500-მდე საქმე. ჩვენთვის ცხადი გახდა, რომ საგლეხო საქმეთა კომისიებისა და მიწათმომწივობ პირთა მიერ შედგენილ ოქმებსა და აღწერებში ხშირად უგულვებელყოფილია მიწების აზომვა და შესამზადებელ სამუშაოთა შესრულება<sup>24</sup>.

ეჭვს გარეშეა ისიც, რომ საწესდებო სიგელები არსებითად არ ასახავს რეალურ მდგომარეობას, ხშირ შემთხვევაში ზუსტად არ არის შედგენილი. ეს განსაკუთრებით ითქმის სახელმწიფო გლეხთა ნადელების გაზომვა-გამოანგარიშებაზე, რადგან მიწისმზომელი პაიჭაძე მემამულეთა ზეპირ ჩვენებებსაც ეყრდნობოდა ხოლმე<sup>25</sup>.

საწესდებო სიგელი დგებოდა მიწათმფლობელებისა და მათს მამულებში დასახლებული გლეხებისათვის. სიგელს მობრივებელი შუამავალი ამტკიცებდა და ორივე მხარე ხელს აწერდა. არც ის არის გამორიცხული, რომ სიგელების დამოწმებისას მობრივებელი შუამავალი კმაყოფილდებოდა გარეშე პირით, რომელიც გლეხის ნაცვლად აწერდა ხელს, გლეხმა კი ამის თაობაზე არაფერი იცოდა. მაგალითად, 1817 წლის 3 დეკემბერს დაიწყო ერთ-ერთი სიგელის

<sup>23</sup> Свод материалов..., т. V, ч. 2, стр. 336—337.

<sup>24</sup> საქართველოს სსრ ცხიპ. ფ. 31, აღწერა 1, საქმე 21500.

<sup>25</sup> Э. К в а с н и к о в а, Изменение крестьянского надельного землепользования в восточной Грузии в результате реформы 1864 г. журнал „Исторические науки“, № 4, 1864, стр. 83.

შედგენა, რომელიც 1872 წლის ოქტომბერს შევიდა ძალაში. აღნიშნული სიგელით (№ 35) განსაზღვრულია სოფელ ადიგენის 50 გლეხური ოჯახისა და მიწათმფლობელთა — პროპორშიკ ფარად-ბეგის, იუსუფ-ბეგის, სულეიმან-ბეგის და მანსურ პანათ დადა-ბეგ-ზადეს (ერისთავების) უფლება-დამოკიდებულებანი. სიგელის ძალაში შესვლის შემდეგ უკმაყოფილო გლეხთა საჩივრები მოსვენებას უკარგავდა მაზრისა და გუბერნიის მესვეურებს<sup>26</sup>.

საარქივო მასალების ანალიზი იმასაც ადასტურებს, რომ გლეხთა უწიგნურობის გამო სიგელებზე თანხმობის ნიშნად ხელს აწერინებდნენ ვითომდა „კეთილსინდისიერი“ პირებს, რასაც შემდგომში დიდი უკმაყოფილება მოსდევდა. იმართებოდა დაუსრულებელი და გაჭიანურებული მიმოწერა სოფლის საზოგადოებასა, მაზრის უფროსსა და თბილისის გუბერნიის მაღალ მოხელეთა შორის. დებულებით მემამულეს უფლება ეძლეოდა გლეხის მონაწილეობის გარეშე შეედგინა საწესდებო სიგელი, ხოლო თუ თვითონ მემამულე მომრიგებელ შუამავალთან სათანადო საბუთს განსაზღვრულ ვადაში არ წარმოადგენდა, ამ უკანასკნელს უფლება ჰქონდა მის გარეშე შეედგინა<sup>27</sup>.

პრივილეგიური მუსლიმანური ზედაფენის წარმომადგენლები მოითხოვდნენ საწესდებო სიგელებში შეეტანათ „თაფუსა“ და ნასყიდობის წესით შეძენილი მიწები, რადგან კარგად იცოდნენ, რომ სიგელში შეტანილი მიწებით სარგებლობისას გლეხი ვალდებული იყო მემამულეებისათვის დაწესებული გადასახადი გადაეხადა<sup>28</sup>.

საარქივო საქმეებიდან ერთი მეტად საყურადღებო ფაქტი ვლინდება: თუ რეფორმამდე არ ჰქონდა, გლეხს არც ახალი დებულება აძლევდა მიწას<sup>29</sup>. დებულების 30-ე მუხლით ტყე და საძოვარი გლეხთა ნადელებში არ შედიოდა და, ამდენად, არც საწესდებო სიგელებში იქნა შეტანილი.

1870 წლის 14 მაისის დებულებათა და მისი 1877 წლის 4 აპრილის დამატებით ახალციხის მაზრის სახელმწიფო გლეხებს ფაქტიურად არაფერი მიუღიათ. ერთი კი უნდა ითქვას, რომ საწესდებო სიგელებმა დოკუმენტურად მანც მოაწესრიგეს გლეხებსა და მიწათმფლობელებს შორის მანამდე არსებული ქაოსური ურთიერთობა.

საგლეხო საქმეების მომწესრიგებელი ორგანოები უხეშ შეცდომებს უშვებდნენ აღრიცხვიანობის საქმეში, მაგალითად სიგელთა დანომვრაშიც.

1870 წლის 14 მაისის დებულებით გათვალისწინებული იყო არა მარტო გლეხთა მიწების ჩამონაჭრების („ონევკა“), არამედ თვით მაღალი მუსლიმანური პრივილეგიური ფენების მამულების მინაჭრების („პრიპევკა“) საკითხიც. „ადგილობრივი დებულებებისაგან“ განსხვავებით, რომელთაც ძალა ჰქონდა ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოში, მუსლიმანური სოფლები-სათვის, უპირველეს ყოვლისა, სავალდებულო იყო მიწის მიჭრა<sup>30</sup>, ხოლო მეორე მხრივ ნადელის უდამლევი ნორმა (მამაკაცებზე სულდობრივად 5 დესეტინა იანგარიშებოდა). აღმოსავლეთ საქართველოში ყმა გლეხების ძირითადი მასისათვის გლეხურ კომლზე ნაკლები მოდიოდა, რადგან დებულებით მემამულეებს თავიანთი მამულების ნახევარი რჩებოდათ<sup>31</sup>.

<sup>26</sup> საქ. სსრ ცნია. ფ. 31, აღწერა 1, საქმე 21503.

<sup>27</sup> ე. კ ვ ა ს ნ ი კ ვ ა, დასახ. სტატია..., გვ. 86—87.

<sup>28</sup> იქვე, გვ. 87.

<sup>29</sup> იქვე.

<sup>30</sup> იგივესმება მემამულეთა საკუთრებაში არსებულ მიწების ჩამოჭრა და უმალესი ნადელის ნორმის შესრულება გლეხებისათვის (5 დესეტინა).

<sup>31</sup> ე. კ ვ ა ს ნ ი კ ვ ა, დასახ. სტატია, გვ. 85, 90.

ჩვენს მიერ შესწავლილი ასზე მეტი საწესდებო სიგელიდან არც ერთში არაა დაცული ნადელის უმაღლესი ნორმა — 5 დესეტინა თითოეულ მამაკაცზე; როგორც ირკვევა, ეს მხოლოდ ილუზია იყო.

„ისტორიჩესკიე ნაუკის“ 1961 წლის მეოთხე ნომერში დაბეჭდილია ე. კვასნიკოვას სტატია — „საგლეხო სანადელო მიწათსარგებლობის შეცვლა აღმოსავლეთ საქართველოში 1864 წლის რეფორმების შედეგად“. ავტორის მიერ მოტანილი ცნობები — თითქოს ახალციხის მაზრაში 1867 წელს უკვე 102 საწესდებო სიგელი იყო შედგენილი — სინამდვილეს არ უნდა შეეფარდებოდეს. ჯერ ერთი, ახალციხის მაზრა ქუთაისის გუბერნიას სწორედ 1867 წელს გამოეყო და თბილისის გუბერნიაში შევიდა. ამას გარდა, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების მუსულმანური პროვინციებისათვის 1870 წლის 14 მაისს უმაღლესად დამტკიცდა და იმავე წლის 8 ნოემბერს დაიგზავნა სპეციალური დებულება. ესე იგი პრაქტიკულად საწესდებო სიგელების შედგენა დაიწყო დებულების დამტკიცების შემდეგ, 1871 წლის დასაწყისში<sup>32</sup>.

ახალციხის მაზრის 26 საწესდებო სიგელში გაერთიანებული იყო 651 ოჯახი 2526 მამაკაცით, რომელთა სარგებლობაშიც 1870 წლამდე იყო 5438 დესეტინა; რეფორმის შემდეგ კი 5951 დესეტინა მიწა დაუმტკიცდით ე. ი. მუსლიმანური ზედაფენების წარმომადგენლების მიწებს ჩამოეჭრა რაღაც 513 დესეტინა და სოფლის საზოგადოებებს გადაეცა, რითაც დაახლოებით 8%-ით გაიზარდა სანადელო მიწები<sup>33</sup>. გლეხთა სარგებლობაში არსებულ მიწებზე გაფორმდა 69 სიგელი, რომლებიც 1728 ოჯახის 6467 მამაკაცს ეხებოდა. აღნიშნული 69 სიგელი უცვლელად ასახავდა რეფორმამდე არსებულ გლეხთა მიწათმფლობელობას. ნაწილობრივ ცვლილებას ახდენდა 7 საწესდებო სიგელი, რომლებიც 403 ოჯახის 841 მამაკაცს ეხებოდა. მათ საკუთრებას ჩამოაჭრეს 9 დესეტინა და მცირემიწიან გლეხებს გადასცეს, რათა ნაწილობრივ მიინც დაეცვათ დებულების ერთ-ერთი პუნქტი<sup>34</sup> („თითოეულ მამაკაცზე უმაღლესი ნორმა 5 დესეტინა“).

სოფ. ბენარის სახელმწიფო გლეხებს (6 ოჯახი — 23 მამაკაცი) 1870 წლის რეფორმამდე 50 დესეტინა ყველა სახის სავარგული ჰქონდათ. რეფორმის შემდეგ აქ კამერალური აღწერით 6 ოჯახში 23 მამრობითი სქესის წევრი ირიცხებოდა. საწესდებო სიგელი დაიდო 1871 წლის 31 დეკემბერს პროპორშიკ ვეიზულა-ბეგ ათაბეგოვსა (ჯაყელი-ქობლანსკი) და გლეხებს შორის, რის საფუძველზეც ამ საბუთოში მხოლოდ მიწის ნაკვეთების მდგომარეობა, საზღვრები და სხვა უმნიშვნელო მონაცემები აღნიშნა. რაც მთავარია, უზარმაზარი ბაღჩა-ბაღები ბეგ-ქობლანსკის პირად საკუთრებად დარჩა<sup>35</sup>. ამ სოფლის გლეხებმა სიგელით თითოეულ მამაკაცზე დაახლოებით ორ დესეტინაზე ცოტა მეტი მიწა გაიფორმეს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მიწები თითქმის მთლიანად ურწყავი და მწირი იყო. საგულისხმოა, რომ საწესდებო სიგელების შედგენა მაზრაში XX საუკუნის ათიან წლებშიც გრძელდებოდა.

1870 — 1877 წლების რეფორმა მიუხედავად იმისა, რომ მან მაინცდამაინც რადიკალურად ვერ გადაწყვიტა მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის საქმე, დადებითი მოვლენა იყო მშრომელი გლეხობის ცხოვრებაში ქუთაისის

<sup>32</sup> ყველა საწესდებო სიგელი შედგენილია 1871 წელსა და მომდევნო წლებში.

<sup>33</sup> საქ. სსრ სახ. ცსია, ფონდი 31, აღწ. 1, საქმე 21509, ფურც. 3 — 5.

<sup>34</sup> ე. კ ვ ა ს ნ ი კ ვ ა, დასახ. სტატია, გვ. 97, ცხრილი № 6.

<sup>35</sup> საქ. სსრ ცსია, ფონდი 31, აღწ. 1, საქმე 21774, ფურც. 16.

გუბერნიაში 1865 წელს გატარებულმა საგლეხო რეფორმამ თითოეულ გლეხურ კომლს საშუალოდ 2.5 დესეტინა სანადელო მიწა მისცა, ხოლო 1864 წელს თბილისის გუბერნიაში შემავალი მაზრის თითოეულმა გლეხურმა კომლმა 3,7 დესეტინა მიიღო. მუსულმანური პროვინციებისათვის 1870—1877 წლების რეფორმა მეტად განსხვავებული იყო. საწელდობრ, ახალციხის მაზრის სანადელო მიწები კომლზე კი არ იყო განაწილებული, არამედ თითოეულ მამაკაცზე და ითვალისწინებდა საშუალოდ 5 დესეტინა მამულს<sup>36</sup>. ამ ახალი კანონის საფუძველზე უნდა მომხდარიყო სანადელო მიწების აღრიცხვა და საწესდებო სიგელებში შეტანა. მართალია, მაქსიმალური ნორმა უმეტესად დაუცველი რჩებოდა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სანადელო მიწა ახალციხის მაზრაში უფრო მეტი მიეცათ, ვიდრე ქართლსა და იმერეთში.

ჩვენს მიერ შესწავლილი სიგელების უმრავლესობა შედგენილია რუსულ და თურქულ ენებზე, ხოლო ნაწილობრივ — რუსულ-ქართულად. მეტად საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ქართველებით დასახლებულ დიდ სოფლებშიც (ვალე, არალი, უდე, ანდრიწმინდა, გორგწმინდა, ერკატა, ძველი, ასპინძა, მინაძე, სარო და სხვა მრავალი) სიგელები რუსულ-თურქულად არის შედგენილი.

რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ მეფის მთავრობის მიერ სამუსულმანო პროვინციებში 1870 და 1877 წლებში გატარებული რეფორმიდან? ამ კითხვაზე პასუხს იძლევიან 80-იანი წლების მეფის მთავრობის მოხელეები; მაგალითად ერთ-ერთი მოხელე აღნიშნავდა, რომ საწესდებო სიგელებმა ხელი კი არ შეუწყო გლეხს გამხდარიყო მიწის ნამდვილი პატრონი, არამედ კიდევ უფრო გააძლიერა სახელმწიფო მამულების დატაცება-მითვისება მემამულეთა მიერ<sup>37</sup>. სიგელების შედგენა სომხეთში, აზერბაიჯანში, თბილისის გუბერნიის ახალციხის, ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებში დავალებული ჰქონდათ ისეთ პირებს, რომლებიც გაბატონებული კლასების ინტერესებს იცავდნენ. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს სიგელის დანართები მუსულმანურ პროვინციებში, ე. ი. არაოფიციალური შეთანხმება („сделка“) მემამულესა და გლეხს შორის<sup>38</sup>. ამ შეთანხმების ძალით გლეხს აიძულებდნენ ეყისრა სიგელით ვალდებისწინებელი სხვადასხვა ვალდებულება. მაგალითად, ნატურალური ვადასახადი იქ მიეტანა და დაეზინავებინა, სადაც მემამულეს სურდა, საერთო არხით მოერწყო მისი მიწები და სხვა. მართალია, ვალდებულებებს გლეხები უმეტესად არ ასრულებდნენ, მაგრამ ზედაფენების წარმომადგენლები ზოგჯერ მაინც აღწევდნენ ამას<sup>39</sup>.

1870 წლის დებულების 110-ე მუხლის საფუძველზე, რომელსაც რამდენიმე ქვეპუნქტი ჰქონდა, საწესდებო სიგელის შედგენა ორი წლის ვადაში უნდა დამთავრებულიყო. იგი უნდა გადათარგმნილიყო გლეხის მშობლიურ ენაზე, რაც არ სრულდებოდა. გარდა ამისა, სიგელის ასლის დასახსნელად დადგენილი თანხა იმდენად მაღალი იყო, რომ ხშირად გლეხს ამ საბუთის გამოტანა არ შეეძლო. ამით სარგებლობდნენ სოფლის მმართველობა და მოპრიგებელი შუა-

<sup>36</sup> 1847, 1851 და 1870 წლების დებულებით 5 დესეტინა ნადელო იანგარიშებოდა 15 წლის და მეტი ასაკის მამაკაცებზე.

<sup>37</sup> В. Р ш т у н и, Крестьянская реформа в Армении в 1870 г., Ер., 1948, стр. 240.

<sup>38</sup> იქვე, გვ. 247.

<sup>39</sup> იქვე, გვ. 221.

მავალი, ისინი უხეშად არღვევდნენ დებულების მე-9 ნუბლს, რომლის თანახმადაც მემამულეს მიწის საერთო სავარგულის ერთი მესამედი უნდა დარჩენოდა, ხოლო წანამატი მცირემიწიან გლეხებს 5 დესეტინა (საშუალოდ) მიწა მიეღოთ. მომრიგებელ შუამავალთა თვითნებობამ და აშკარა მიკერძოებამ თავი იჩინა სიგელების შეცვების პირველსავე დღეს. მაგ., სოფ. ბენარის გლეხები მომრიგებელმა შუამავალმა კი არ დააკმაყოფილა ფეიზულა-ბეგის (ქობლანი-სკის) უზარმაზარი მამულის ჩამოჭრის ხარჯზე, არამედ სიგელში შეიტანა და მხოლოდ აღნუსხა ის მიწები, რომლებითაც ისინი რეფორმამდე სარგებლობდნენ<sup>40</sup>.

სოფლის „მზრუნველი მამებისა“ და ზედაფენებისაგან მოსყიდულმა მომრიგებელმა შუამავლებმა მოსამართლეთა მეცადინეობით გლეხთა ნადელების ნორმების შესრულება თავდაპირველად დაიწყეს იმ გლეხთა ხარჯზე, ვისაც საშუალოდ 5 დესეტინაზე მეტი მიწა ჰქონდა. როცა ყველა შესაძლებლობა ამოიწურა და მცირემიწიანი გლეხები მინიმალურადაც ვერ უზრუნველყვეს, მაშინ საკითხი ფორმალურად გადაწყდა: გლეხებს გამოუცხადეს, მემამულეთა ნორმას ვერ შეეცხებითო, თუმცა მათი მიწები არ აღუზომავთ<sup>41</sup>.

ამგვარად, გლეხთა მიწათმოწყობის საქმეში 1870 წლის დებულება უკან გადადგმული ნაბიჯი იყო 1847 და 1851 წლების დებულებებთან შედარებით. 1847 და 1851 წლების დებულებებით გლეხს უფლება ჰქონდა თითოეულ მამაკაცზე საშუალოდ 5 დესეტინა მიწა მიეღო. ამავე დებულებებში არაფერი ყოფილა ნათქვამი მემამულეთათვის მიწის ერთი მესამედის დატოვების შესახებ. 1870 წლის დებულებით სოფლის გამგებლობა მომრიგებელმა შუამავლებმა და მიწათმოფლობელებმა თავიანთი ძალაუფლების იარაღად გამოიყენეს.

1870 წლის 14 მაისის რეფორმა უშუალო კავშირშია 1861 წელს მეფის რუსეთში, ხოლო 1864 წელს აღმოსავლეთ საქართველოში გატარებულ რეფორმასთან. იგი დაკავშირებულია ნიკოლოზ I-ის 1846 წლის 6 დეკემბრის რესკრიპტთანაც, რომელმაც ფორმალურად ჩამოაყალიბა მუსლიმანურ პროვინციებში გაბატონებულ ზედაფენებსა და სახელმწიფო გლეხებს შორის ურთიერთდამოკიდებულება.

1870 წლის დებულება ტოვებდა და მთლიანად იცავდა მიწაზე ბეგების, ალბისა და მელიქების მემკვიდრეობითს კერძო საკუთრებას<sup>42</sup>.

1864 წელს აღმოსავლეთ საქართველოში ბატონყმობის გაუქმების დებულებით გათვალისწინებული იყო, რომ მიწათმოფლობელებს თავიანთი მამულების ნახევარი შეენარჩუნებინათ. სამუსულმანო პროვინციებში ბეგებს, ალებსა და მელიქებს, როგორც ყოფილ მემამულეებს, 1870 წლის 14 მაისის კანონი თავიანთი მამულების მხოლოდ ერთ მესამედს უტოვებდა. გარდა ამ განსხვავებისა, ბეგებს ნება ეძლეოდათ ჩამონაჭრებით სარგებლობისა, თუ გლეხს თითოეულ მამრობით სულზე 5 დესეტინაზე მეტი მიწა აღმოაჩნდებოდა<sup>43</sup>. სანტერესოა, რა სახით გატარდა სანადელო მიწების გამოყოფა, როგორი მიწები მიეცათ გლეხებს? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა თვით ცარიზმის სამსახურში მყოფი ზოგიერთი ჩინოვნიკის აღიარება, რომ გლეხები დააკმაყოფილეს იმ

<sup>40</sup> საქ სსრ ცსია, ფონდი 31, საქმე 21508.

<sup>41</sup> ვ. რ შ ტ უ ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 246 — 247.

<sup>42</sup> საქ. სსრ ცენტრ. სახ. ისტორ. არქივი, ფ. 416, საქმე 1008, ფურც. 9 — 11.

<sup>43</sup> Свод материалов... т. I. ч. 2, стр. 46 — 52.

სანადგლო მიწებით, რომლებიც მოსავლისათვის გამოუყენებელი იყო. გარდა ამისა, მათ მიეცათ ჩამონაჭრები და ამ სახის მიწის დასამუშავებლად სხვის: მამულზე უნდა გადაეტარებინათ ((ხენა-თესვისა და მოსავლის აღების დროს) სასოფლო-სამეურნეო იარაღებით. ამასთანავე ჩამონაჭრებ-ჩამონაგლეჯი მიწების პატრონს ისეთივე კულტურა უნდა დაეთესა, როგორც ეთესა მის ირგვლივ მყრფთ, რათა მოსავალი ერთდროულად აეღოთ<sup>44</sup>.

„როცა 1870 წლის რეფორმას ატარებდნენ (1883 წელს), მე 20 წლისა ვიყავი, — მოგვიტხრო სოფ. უდესი მცხოვრებმა 105 წლის მოხუცმა მიხეილ მალდოშვილმა (დაიბადა 1863 წ-ს, გარდაიცვალა 1968 წ-ს). მამაჩემს საწესდებო სიგელი გაუფორმეს 4 დესეტინა ვარგის და 1,5 დესეტინა სრულიად უვარგის მიწაზე. ეს მიწები შედგებოდა 9 ნაჭრისაგან: ფერდობებზე, ნაფუძვრებში, ურწყავებში, ჭალეში, პეიდანში... როცა ერთი მიმართულებით მივდიოდით მამულის დასამუშავებლად, ხშირად შუადღისას ვამთავრებდით სამუშაოს, მეორე ნაკვეთში წასასვლელად და იარაღ-ხელსაწყოების წასაღებად სიშორის გამოდრო არ გვეოფნიდა და ასე გვეკარგებოდა ფუჭად დღეები. ისიც კარგად მახსოვს, რომ მამაჩემის მაგივრად საწესდებო სიგელს ხელი მე მოვაწერე, რადგან მამაჩემმა წერა არ იცოდა. სიგელი შედგენილი იყო რუსულად. ჩვენ მოგვცეს ასლი, ხოლო დედანი კი გაგზავნეს საგუბერნიო გამგებლობაში“.

კიდევ უფრო საყურადღებოა დებულების 137-ე მუხლი, რომლის ძალითაც გლეხებს არსებული ნაღებების გამოსყიდვის ნება ეძლეოდათ. ნაღებების გამოსყიდვა გლეხს მხოლოდ შემამულის ნებართვით შეეძლო, მაგრამ გამოსასყიდი თანხა აშკარად კაბალური იყო და 10 წლის საერთო შემოსავლის საშუალო არითმეტიკულიდან გამომდინარეობდა<sup>45</sup>. ამასთან დაკავშირებით 14 მისის კანონის 72-ე და 77-ე მუხლების საფუძველზე დაწესდა ფულადი გადასახადები<sup>46</sup>. ნატურალური გადასახადები გაუქმებულად გამოცხადდა.

60-იანი წლების მთელმა „რეფორმათა ეპოქამ“ გლეხი გადატაკებული, დაბეჩავებული, მემამულე-მეზატონენების მორჩილი დატოვა სასამართლოში. შართვა-გამგებლობაშიც, სკოლაშიც, ერობაშიც, რამდენადაც თავს აღწევდა მეზატონის, ბეგებისა და აღების ძალაუფლებას, იმდენად იგი ფულის ბატონობას ემორჩილებოდა, სასაქონლო წარმოების პირობებში ვარდებოდა, ახლად აღმოცენებულ კაპიტალზე ხდებოდა დამოკიდებული. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „61 წლის შემდეგ კაპიტალის განვითარება ისეთი სისწრაფით წარიმართა რუსეთში, რომ რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ხდებოდა ცვლილებანი, რომლებსაც ევროპის ზოგიერთ ძველ ქვეყანაში მთელი საუკუნეები მოუწია“<sup>47</sup>.

ვ. ი. ლენინის ეს აზრი ამიერკავკასიის მაგალითზეც დასტურდება.

საგლეხო რეფორმის ისტორიული მნიშვნელობა ისაა, რომ მან დააჩქარა ყველაზე ნამდვილი, ყველაზე ძლიერი რევოლუციური კლასის—პროლეტარიატის ჩამოყალიბება, რომელსაც შემდგომში ეკისრებოდა უაღრესად დიდი, მსოფლიო მნიშვნელობის მისია — უკლასო საზოგადოების შექმნა.

<sup>44</sup> გ. ხ ა ქ ა პ უ რ ი ძ ე, გლეხთა მოძრაობა საქართველოში, თბ., გვ. 54-55.

<sup>45</sup> საქ.სსრ ცსია. ფ. 220, საქმე 94. ფურცელი 474-512.

<sup>46</sup> Ц. А. Гаян. Крестьянская реформа в Азербайджане, Б., 1956, стр. 264.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა)

## პურამ ყორანაშვილი

### ანტიკური ქვეყნების ეკონომიკის ხასიათის საკითხისათვის

გასული საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში გერმანულ მეცნიერებაში მწვავე დისკუსია წარმოებდა ანტიკური ქვეყნების ეკონომიკის ვარშემო. კარლ ბიუხერის აზრით, ძველი ბერძნების, რომაელებისა და სხვა ანტიკური ხალხების მეურნეობა ოიკოსური იყო<sup>1</sup>. ყველაფერი, რაც კი იწარმოებოდა *οἶκος*-ის — სახლის ფარგლებში — იქვე მოიხმარებოდა, ხოლო გაცვლას და ფულადს მიმოქცევას თითქოს უმნიშვნელო მასშტაბი ჰქონდა. კ. ბიუხერის მიხედვით, ანტიკური ხალხების ეკონომიკა ასეთი იყო ჯერ კიდევ მათი ისტორიული განვითარების ადრინდელ საფეხურებზე, ხოლო მონობის კლასიკურ განვითარებას მათთან თითქოს არავითარი ცვლილება არ შეუტანია. პირიქით, მონობის ფართო გავრცელებამ თითქოს კიდევ უფრო განამტკიცა ოიკოსური მეურნეობა. საწინააღმდეგოდ ამ შეხედულებისა, არსებობდა თვალსაზრისი, რომელსაც მტკიცედ იცავდნენ ედ. მაიერი, ი. ბელოხი, რ. პოელმანი და სხვანაირად. მათი აზრით, ანტიკური მეურნეობა იყო წმინდა კაპიტალისტური: აქ ადგილი ჰქონდა სასაქონლო წარმოების ძალიან მაღალ განვითარებას, კაპიტალს, დაქირავებული შრომის ყოველმხრივ გაშლას. მონობა კი მხოლოდ ანტიკური სამყაროს მცირე ნაწილში და ისიც დროის მცირე მონაკვეთებში თუ არსებობდა; იგი უმნიშვნელო სოციალ-ეკონომიურ ფაქტორად რჩებოდა.

როგორც დასავლეთის, ისე რუსულ ბურჟუაზიულ მეცნიერებაში გაბატონდა ედ. მაიერის, ი. ბელოხის და სხვათა თვალსაზრისი ანტიკური საზოგადოების ეკონომიკაზე. თუმცა უნდა ითქვას, რომ თანამედროვე დასავლურ მეცნიერებაში როგორც ანტიკური სამყაროს, ისე მისი ეკონომიკის ხასიათის გააზრებისას მოდერნიზაციის ისეთი ზომით აღარ აქვს ადგილი, როგორც ამ ზემოთ მოხსენიებულ მეცნიერებთან, მაგრამ მთავარ ხაზებში ბევრი რამ აქ უცვლელი რჩება.

კითხვა ისმის: როგორ შეიძლება ავხსნათ მოცემული საკითხი ისტორიის მატერიალისტური გაგების პოზიციებიდან? როგორ უნდა გადაწყდეს დავა კ. ბიუხერისა და ედ. მაიერის თეორიებს შორის? აღნიშნული საკითხის გადა-

<sup>1</sup> იხ. К. Бюхер, Возникновение народного х-ва, П-г, 1918, Очерки экономической истории Греции, Л., 1924, თავის მხრივ კ. ბიუხერმა ლოგიკურად დაასრულა კ. როდბერტუსის თვალსაზრისი. იხ., К. Родбертус, Исследования в области национальной экономики классической древности, Вып. 1—4, Ярославль, 1880—87, მთავარ ხაზებში ამ ავტორების თვალსაზრისზე იდგა მკაცრ ვებერტ.

<sup>2</sup> Эд. Мейер, Экономическое развитие древнего мира, М., 1910, Рабство в древнем мире М., 1907, Ю. Белох, История Греции, М., 1897-1899 т. 1—II, Р. Пельман, История античного коммунизма и социализма, СПб., 1910.



საპრელად საბჭოთა მეცნიერებაში უდავოდ ყველაზე მეტი გააკეთა ა. ტიუმენევი<sup>3</sup>. თავის შრომებში ავტორმა ხაზი გაუსვა საბერძნეთის ეკონომიკის მაღალ განვითარებას; აღნიშნავდა რა არა სამრეწველო, არამედ სავაჭრო კაპიტალის განვითარებას ამ ქვეყანაში, ავტორი ილაშქრებდა ანტიკური ეკონომიკის როგორც ოიკოსური გააზრების, ისე დასავლეთის მეცნიერებაში გაბატონებულ მოდერნიზაციის წინააღმდეგ. საპირისპიროდ უყანასკნელი შეხედულებისა, ა. ტიუმენევი ყურადღება მიაქცია ამ სამყაროს მონათმფლობელურ ბუნებას. მაგრამ მიუხედავად ასეთი დადებითი მხარეებისა, ა. ტიუმენევის ნაშრომებში არ იყო გარკვეული მთელი რიგი საკითხები. ლაპარაკობდა რა ვაჭრობის მაღალ განვითარებაზე ძველ საბერძნეთში, ავტორს აუხსნელი რჩებოდა, თუ რატომ მოხდა ასეთი უთანასწორობა გაცვლასა და წარმოებას შორის. ცხადია, თუკი ბერძნები ინტენსიურად ვაჭრობდნენ, ასევე ინტენსიურად აწარმოებდნენ, ისინი ამ მხრივ ძალიან განსხვავდებოდნენ მცირერიცხოვან ფინიკელთაგან, რომელთა კომერციული საქმიანობა ძირითადად ძველი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის საშუალო ვაჭრობით აიხსნებოდა<sup>4</sup>. გაუგებარია აგრეთვე ის გარემოება, რომ დიდი ფულადი სიმდიდრის დაგროვებისა და წვილ მწარმოებელთა მასობრივი ვალტაჟების მიუხედავად, საბერძნეთში, ისევე როგორც ანტიკურ სამყაროში საერთოდ, კაპიტალისტურმა წარმოებითმა ურთიერთობებმა ვერ პოვეს გავრცელება. დაბოლოს, გაურკვეველი რჩებოდა ის პუნქტი, თუ რატომ მოხდა მაღალგანვითარებული ანტიკური ეკონომიკის დეგრადაცია, სასაქონლო წარმოების დაბრუნება ადრინდელი შუა საუკუნეების ხანის ნატურალური წარმოებისაკენ.

ეს გაურკვეველობანი ვერ იქნა გადალახული სხვა საბჭოთა მეცნიერების მიერაც. ამაში გარკვეული როლი ითამაშა შემდგომმა ზოგადთეორიული ხასიათის მოსაზრებებმა: 1) ანტიკური და ძველი აღმოსავლეთის საზოგადოებანი გაერთიანებული იქნენ ერთ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციაში. აქედან უკვე კეთდებოდა დასკვნა ანტიკური ქვეყნების ეკონომიკის ნატურალურობის შესახებ, სწორედ ისევე, როგორც ამას ჰქონდა ადგილი ძველი აღმოსავლეთის მიმართ. 2) წარმოება განიხილებოდა როგორც ყოველთვის განვითარებადი ფაქტორი. ამ შემთხვევაში ადრინდელი შუა საუკუნეების ნატურალური მეურნეობის მხედველობაში მიღებისას ძალზე გაძნელებული იყო ანტიკური ქვეყნების ეკონომიკის ხასიათის გააზრება. თუ ეს ეკონომიკა სასაქონლო იყო, მაშინ რატომ არსებობდა ადრინდელი შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში ნატურალური მეურნეობა და არ იყო შრომის მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი დანაწილება? მეორე მხრივ, გამოდიან რა ადრინდელი შუა საუკუნეების ნატურალური მეურნეობიდან, როგორც წანამძღვრიდან, გამოაქვთ დასკვნა ანტიკური ეკონომიკის მიმართაც, განსაზღვრავენ რა მას, როგორც აგრეთვე ნატურალურს.

<sup>3</sup> А. И. Т ю м е н о в, Очерки экономической и социальной истории древней Греции, т. I—III, ПБ, 1920-22, Существовал ли капитализм в древней Греции, Петербург, 1923, История античных рабовладельческих обществ, М.—Л., 1935, об. ავტორის ბოლოისტყვაობა, კ. ბიუხერის წიგნზე «Византиковенние народи го х'зйства» ПГ, 1923, стр. 241-56.

<sup>4</sup> საბერძნეთში ფინიკიის მსგავს როლს ასრულებდა ეგნა, რომლის ეკონომიკის ძირითად დარგი საშუალო ვაჭრობა იყო.

<sup>5</sup> ძვ. საბერძნეთისა და რომის ისტორიების ზოგადი კურსების გარდა იხ. А. В. Мишулин, О воспроизв дстве в античной общественн й ф рмации, Л., 1932, К. К. Островитянов, Очерки экономки декапиталистических ф рмаций, М., 1945, стр. 42-89, О натуральном хозяйстве и товарном производстве в раб владельческом обществе, ВДИ—მოწინავე სტატია.

ამის გამო მოხდა ის, რომ როცა კონკრეტულად ეხებიან საბერძნეთის ისტორიის ძვ. წ. VIII—IV საუკუნეებს, ან რომისას, განსაკუთრებით ძვ. წ. III—ახ. წ. II საუკუნეებს და ამასთან გამოდიან რა ფ. ენგელსის შეხედულებებიდან ამ საკითხზე, ყოველთვის აღნიშნავენ სასაქონლო წარმოების თვალსაზრისით განვითარებას ამ ხალხებთან. მაგრამ როცა განაზოგადებენ ანტიკური სამყაროს ეკონომიკურ განვითარებას, თითქმის ყოველთვის აღნიშნავენ მის ნატურალურ ხასიათს, რამდენადაც წარმოების მიწათმფლობელური წესის პირობებში ადგილი ჰქონდა სამუშაო ძალის მითვისებას გაცვლის გარეშე. ასეთი მტკიცებისას ჩვეულებრივ ეყრდნობიან ადგილს „კაპიტალიდან“, სადაც ნათქვამია: „მაგრამ მონობის სისტემასაც, რამდენადაც იგი მწარმოებლური შრომის გაბატონებულ ფორმას წარმოადგენს მიწათმოქმედებაში, მანუფაქტურაში, ნაოსნობაში და სხვა, როგორც ეს იყო საბერძნეთის განვითარებულ სახელმწიფოებსა და რომში, შენარჩუნებული აქვს ნატურალური მეურნეობის ელემენტი. თვით მონების ბაზარი მუდამ ლეზულობს თავისი საქონლის — სამუშაო ძალის შევსებას ომის, მეკობრეობისა და სხვ. საშუალებით, და ეს მეკობრეობა, თავის მხრივ არ საჭიროებს მიმოქცევის პროცესის მოსაშუალოებას, არამედ წარმოადგენს სხვისი სამუშაო ძალის ნატურალურ მითვისებას პირდაპირი იძულების გზით“<sup>6</sup>. კ. მარქსი აქ ლაპარაკობდა მონების ბაზრის ნატურალურ შევსებაზე სამუშაო ძალით (რაც ხდებოდა მონათვაჭრობის მეშვეობითაც) და არა თვითონ მეწარმე მონათმფლობელის მიერ მონების უშუალო მითვისებაზე. მონათმფლობელის მიერ კი მონის მითვისება ყიდვა-გაყიდვის გზით ხდებოდა. თვითონ მარქსი ამის შესახებ პირდაპირ წერს: „მონების ყიდვა-გაყიდვაც მისი ფორმის მიხედვით საქონელთა ყიდვა-გაყიდვას წარმოადგენს“<sup>7</sup>. ეს პუნქტი უფრო ნათლად სტატიის ბოლოს გაირკვევა.

ამრიგად, ჩვენს მიერ აღძრული საკითხის ისტორიოგრაფიის ძალზე მოკლე მიმოხილვაც კი საკმარისია იმის დასაწახავად, რომ ჩვენს მიერ დასმული კითხვა: როგორ უნდა გადაწყდეს დავა კ. ბიუხერისა და ედ. მაიერის — დასავლეთის მეცნიერების ორი ავტორიტეტის თეორიებს შორის არაა გადაჭრილი მარქსისტულ ლიტერატურაში<sup>8</sup>. იმის გარკვევა კი, თუ როგორი იყო ანტიკური ეკონომიკის ხასიათი უდავოდ საჭიროა, რადგან იგი წარმოადგენდა ბაზისს ამ საზოგადოების ზედნაშენის ბრწყინვალე განვითარებისათვის. მაშინ, როდესაც მონობა იყო „სამუშაულება სხვათა (ე. ი. მონათმფლობელთა გ. ყ.) სრული ადამიანური განვითარებისათვის“<sup>9</sup>, ყმა გლეხობაზე დაფუძნებულმა საზოგადოებამ თვით ანტიკური კულტურაც კი ვერ შეითვისა, რომ აღარაფერი ვთქვათ მის შემდგომ განვითარებაზე. ეს მხოლოდ კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერ-

1953, № 3, И. Н. Бондарь, О товарном производстве в условиях рабовладельческой формации, Киев, 1955, Я. А. Ленцман, О возникновении товарного производства в древней Греции, ВДИ, 1953, № 3 и В. Д. Кузовков, Об условиях, породивших различие в развитии рабства и его высшее развитие в античном мире, ВДИ, 1954, № 1, А. И. Юмашев, Рабовлад. способ производства, М., 1957, М. В. Колганов, Собственность, Докапиталистические формации, М., 1962, стр. 167—299.

<sup>6</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. II, 1957, გვ. 601.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 36.

<sup>8</sup> რაც შეეხება კ. კაუცკისა და გ. სალივილის ცდას, თავისებურად გავივით ანტიკური ეკონომიკა მარქსის მოძღვრების საფუძველზე, იგი არ იძლევა აზრის შემდგომ განვითარებას ამ საკითხზე და წარმოადგენს ორი თვალსაზრისის ეკლექტიკურ შეერთებას.

<sup>9</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. II, გვ. 518.



თობების საფუძველზე გახდა შესაძლებელი. ამ გარემოებათა გაგებას კი მრეკავართ ანტიკური ეკონომიკის ბუნების გარკვევის აუცილებლობასთან და ერთი შეხედვით მხოლოდ ეკონომიური საკითხის გარკვევა აშუქებს გაცილებით ფართო პრობლემას: ესაა ანტიკური ცივილიზაციის „საიდუმლოების“ ახსნა. ამ მიზნისათვის ჩვენ განვიხილავთ ანტიკურ ეკონომიკას.

ძვ. წ. I ათასწლეულამდე საბერძნეთის ეკონომიკა ნატურალური იყო. ფუფუნების საგნების წარმოება და გაცვლა, რასაც ადგილი ჰქონდა საბერძნეთის სამეფო გავრთიანებებსა და მაშინდელ შედარებით განვითარებულ ახლო აღმოსავლეთს შორის, სულაც არ ცვლიდა საბერძნეთის ეკონომიკის ნატურალურ არსს.

ფუფუნების ამ საგნების წარმოება შეადგენდა ქვეყნის საერთო წარმოების უმნიშვნელო ნაწილს და მისი მოხმარება მოიცავდა მხოლოდ საზოგადოების მცირერიცხოვან ზედაფენას. ბერძნების მასას შორის კი გაცვლას თითქმის არ ჰქონია ადგილი. ამის მიზეზი ის იყო, რომ თავისუფალი ბერძნის შრომის მწარმოებლურობა ისეთ დაბალ დონეზე იდგა, რომ მას სრულიად არ რჩებოდა ნამეტი უშუალო მოთხოვნილებების ზემოთ. შრომის საზოგადოებრივი დანაწილება, ხელოსანთა, ვაჭართა, მეზღვაურთა და ა. შ. მასის გაჩენა ამდროინდელ ბერძნულ საზოგადოებაში შეუძლებელი იყო. ეს აგრეთვე მოსახლეობის სიმცირითაც იყო გამოწვეული. ასე რომ, საბერძნეთის ისტორიის კ. ბიუხერის თეორიული მეტურნეობის თეორია ამ პერიოდისათვის გამოსადევია.

ძირეული გარდატეხა ძველი საბერძნეთის ეკონომიკის განვითარებაში დაიწყო დაახლ. ძვ. წ. I ათასწლეულიდან. იგი დაკავშირებული იყო რკინის მეტალურგიის გავრცელებასთან. რკინის შრომოთმა იარაღებმა გაზადეს შესაძლებელი ტყიანი ბალკანეთის ნახევარკუნძულის ათვისება მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობისათვის, მოსახლეობის მნიშვნელოვანი მატება. ამ დროიდან მოყოლებული, საბერძნეთში ოჯახმა უფრო მეტის წარმოება დაიწყო, ვიდრე ეს საჭირო იყო მკაცრად განსაზღვრულ უძირითადეს საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის. გაცვლამ ბერძენ მწარმოებლებს შორის რეგულარული სახე მიიღო. ხდებოდა შრომის საზოგადოებრივი დანაწილება სოფლის მეტურნეობის დარგებს შიგნით, საერთოდ სოფლის მეტურნეობასა და ხელოსნობას, ზღვაოსნობას, ვაჭრობასა და სხვ. შორის<sup>10</sup>. ინტენსიური ხდებოდა ეკონომიური ურთიერთობანი სხვადასხვა ბერძნულ სახელმწიფოებსა და სხვა ქვეყნებს შორის. გაცვლის გაფართოებას ხელი შეუწყო აგრეთვე ძვ. წ. VIII—VI სს-ის ბერძნულმა კოლონიზაციამ სიცილიაში, სამხრეთ იტალიაში, თრაკიის სანაპიროებზე, შავიზღვისპირეთში და ა. შ. აწარმოებდნენ რა სოფლის მეტურნეობის პროდუქტებს გასაცვლელად და ყიდულობდნენ რა ხელოსნურ პროდუქტებს მეტროპოლიებისაგან, ამით კოლონიებმა საგრძნობი იმპულსი მისცეს უკანასკნელთა სამრეწველო და სავაჭრო განვითარებას. საბერძნეთის მოწინავე ნაწილში უკვე ამ საუკუნეებში მოხდა ნატურალური მეტურნეობის დაშლა, ფულადი ურთიერთობის მნიშვნელოვანი განვითარება; ხოლო საბერძნეთის ისეთმა მხარეებმა კი, როგორც იყო ეტოლია, აკარნანია, ებირი, მაკედონია და სხვ. მსგავსი ეკონომიური ევოლუცია უფრო მოგვიანებით განიცადეს.

<sup>10</sup> საბერძნეთის ეკონომიური განვითარების ეს სურათი კარგადაა დახატული ფ. ვნგელის მიერ, იხ. „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“, 1953, გვ. 147—164.

ეკონომიკური განვითარების სურათი ძველ საბერძნეთში ყველაზე კარგად შეიძლება ატიკის სახელმწიფოს მაგალითზე დაინახოთ.

ძვ. წ. IX—VII საუკუნეებში ატიკის წარმოება დაახლოებით იმ დონისა იყო, როგორც დასავლეთ ევროპაში — ადრინდელი ფეოდალიზმის ხანაში. წარმოების საფუძველს ქმნიდნენ თვით თავისუფალი გლეხები და ხელოსნები. გაცვლა ატიკის ფარგლებშივე ხდებოდა, ხოლო ატიკისა და სხვა ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთობანი ძალზე უმნიშვნელო იყო. ამ ქვეყნის მოსახლეობის იმდროინდელ რაოდენობას<sup>11</sup> შრომის მწარმოებლურობის არსებულ დონეზე მხოლოდ აუცილებელი პროდუქტების წარმოება შეეძლო შინაგანი მოხმარებისათვის. მას სხვა ქვეყნებთან გასაცვლელი ჯერჯერობით არაფერი ჰქონდა<sup>12</sup>. მაგრამ მომდევნო საუკუნეებში ატიკის საწარმოო ძალებმა, ეკონომიკამ და გაცვლამ მძლავრი წინსვლა განიცადეს. ამოა იქნებოდა ამ მოვლენის მიზეზი ტექნიკისა და ტექნოლოგიის განვითარებაში გვეძებნა. მიზეზი მონობის კლასიკური ფორმით გაერთელება იყო, ე. ი. ის ფაქტორი, რამაც კ. ბიუხერის მიხედვით, გამოიწვია ოიკოსური მეურნეობის განმტკიცება, ხოლო ედ. მაიერის თანახმად — მცირე როლი ითამაშა ბერძნების, როგორც საერთოდ ანტიკური ხალხების განვითარებაში.

ამ გარემოებას ხაზს უსვამდა, ფ. ენგელსი, როცა შენიშნავდა: „ერთი რამ ცხადია: სანამ ადამიანის შრომა იმდენად ნაკლებ პროდუქტიული იყო, რომ მცირეოდენ ნაჰარბს იძლეოდა ადამიანისათვის აუცილებლად საჭირო საარსებო საშუალებებზე ზევით, **საწარმოო ძალების გაძლიერება, კავშირურობის გაფართოება** (ხაზგასმა ჩვენია — გ. ყ.), სახელმწიფოსა და სამართლის განვითარება, ხელოვნებისა და მეცნიერების დაფუძნება მხოლოდ გაძლიერებული შრომის დანაწილებით იყო შესაძლებელი... ამ შრომის დანაწილების უმარტივესი, სტიქიურად აღმოცენებული ფორმა სწორედ მონობა იყო“<sup>13</sup>.

განვმარტავთ ამ აზრს დაწვრილებით. როგორც უკვე შევნიშნეთ ძვ. წ. VII საუკუნის ბოლოს ატიკის მოსახლეობა 60—70 ათასს თუ აღწევდა. მიწათმოქმედების იმ დროისათვის შესაძლებელი პროგრესის პირობებშიც კი ამ რიცხვს არ შეეძლო 100 ათასისთვის<sup>14</sup> გადაეჭარბებინა. ე. ი. ამ შემთხვევაში ძირითად წარმოებაში დასაქმებული იქნებოდა დაახლოებით 25 ათასი ასაკოვანი მამაკაცი. ამ რაოდენობას მხოლოდ ძირითადად ექსტენსიური მიწათმოქმედებისა და წვრილი ხელოსნობის განვითარება შეეძლო. წარმოების შემდგომი განვითარება კი შეუძლებელი იქნებოდა. რჩებოდა ორი გზა ეკონომიკისა და მის საფუძველზე ცივილიზაციის მნიშვნელოვანი განვითარებისათვის. ერთი მათგანი მდგომარეობდა იმაში, რომ განვითარებულიყო ტექნიკა და მის საფუძველზე საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლობა ისე გაუმჯობესებულიყო, რომ 25 ათასი მშრომელი ტოლფასი ყოფილიყო 100—150 ათასისა. ამასთანავე,

<sup>11</sup> ერთი ძველი ბერძნული წყაროს თანახმად, გვაროვნულ წყობილების აყვავების ხანის მოსახლეობის რაოდენობა—44 ათასს აღწევდა, იხ. *Аристотель, Афинская полиция*, 1937, გვ. 96. ძვ. VII ს. ბოლოს, მიწათმოქმედებაში ორმინდვრიანი სისტემის არსებობისას—სამინდვრიანობა საბერძნეთში გაჩნდა ძვ. V ს. (იხ. *История древней Греции*, ч. 1, М., 1936, გვ. 278) ძლივს აღწევდა ალბათ 60—70 ათასს.

<sup>12</sup> ეს კარგად შენიშნა სოლონმა, იხ. *Plut. Solon*. 22.

<sup>13</sup> ფ რ ი დ რ ი ხ ე ნ გ ე ლ ს ი, *ანტი-დიურნივი*, 1952, გვ. 214.

<sup>14</sup> ევროპაში 1000—1500 წლების მანძილზე საშუალო წლიური ტემპი მოსახლეობის მატებისა იყო 0,09%, ნახეთ: *Б. П. Ур л а н и с, Рост населения в Европе*, 1941, გვ. 388 ე. ი. მოსახლეობას რომ ცხრა პროცენტით მოემატებინა ამას სჭირდებოდა თითქმის მთელი საუკუნე.

ტექნიკის განვითარების პირობებში, კონკურენციის შედეგად, წვრილმწარმოებელთა დიდი მასა მოსწყდებოდა წარმოების საშუალებებს და დასაქმებულნი იქნებოდა მსხვილ წარმოებაში. ეს იქნებოდა რთული და ხანგრძლივი გზა. მაგრამ არსებობდა მეორე გზა, რომლითაც შეიძლებოდა მომხდარიყო სწრაფი პროგრესი ეკონომიკასა და ზედნაშენის ყველა ელემენტში.

ეს გზა იყო ჩამორჩენილი ქვეყნებიდან სამუშაო ძალის იძულებითი თავმოყრა. ამ მხრივ სამუშაო ძალის რეზერვი უზარმაზარი იყო. სწორედ ეს გზა გაიარეს როგორც ბერძნებმა, ისე საერთოდ ყველა ანტიკურმა ხალხმა<sup>15</sup>.

აღნიშნული გარემოების გარდა, მონურ შრომას თავისუფალ შრომასთან შედარებით ჰქონდა კიდევ შემდეგი უპირატესობა: შრომის მწარმოებლურობის იმ საფუძველზე თავისუფალ უშუალო მწარმოებელს არ შეეძლო ზედმეტი პროდუქციის რამდენადმე თვალსაჩინო რაოდენობით მოცემა (მის მიერ შექმნილი პროდუქციის ძირითადი ნაწილი საჭირო იყო საკუთარი ოჯახის შესანახად). ეს მხოლოდ მონობას — ექსპლოატაციის ამ საშინელ ფორმას შეეძლო<sup>16</sup>. ფეოდალური განვითარების პირობებში ატიკის ტერიტორიაზე<sup>17</sup> მცხოვრებ გაბატონებული ფენის წარმომადგენელთა რაოდენობა რამდენიმე ასეული თუ იქნებოდა. ქვეყნის მონათმფლობელობის გზით განვითარების შედეგად კი მათი რაოდენობა ბევრად უფრო მეტი იყო<sup>18</sup>.

ჰყავდა რა სულ ცოტა 100—150 ათასი მონა, რომელთაგან დიდი ნაწილი შრომისუნარიანი იყო, ატიკამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ეკონომიკის განვითარებაში. მოხდა წარმოების გაფართოება ყველა იმდროინდელ დარგში. ინტენსიურად განვითარდა სოფლის მეურნეობა, წვრილი ხელოსნობის ადგილი დაიკავა მსხვილმა ხელოსნობამ, განვითარდა სამთო საქმე, ზღვაოსნობა, ვაჭრობა. დაბეჭდვითი შეიძლება ითქვას, რომ ატიკის მოსახლეობა — ძვ. წ. V—IV სს.—ში იგი 300 ათასამდე აღწევდა — საკუთარი წარმოების პურით 3 თვის განმავლობაში თუ იცხოვრებდა<sup>19</sup>. ერთი სიტყვით, ვაჭრობამ, ხელოსნობამ და სამთო საქმემ ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში უფრო მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა, ვიდრე სოფლის მეურნეობამ<sup>20</sup>. კონკრეტულად ეს გამოვლინდა შემდეგში: პური შემოჰქონდათ სიცილიიდან, ეგვიპტიდან, ბოსფორის სამეფოდან და, საეარაუღებელია, აგრეთვე სამხრეთ იტალიიდან, ბეოტიიდან, ეგვიტიდან,

<sup>15</sup> რა თქმა უნდა, ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან თითქმის ბერძნებმა ეს გზა შეგნებულად აირჩიეს, ეს შედეგი მათთან გამოწვეულ იქნა მთელი რიგი ობიექტური გარემოებებით.

<sup>16</sup> თუ რას წარმოადგენდა მონის აუცილებელი პროდუქტი ამასვე კარგ წარმოდგენას იძლევა კატონ უფროსის ტრაქტატი სოფლის მეურნეობის შესახებ, მონისათვის დღეში უნდა მიეცათ: დაახლ. 1 ძვ. პური, ნახევარი ლიტრი ცული ღვინო, ზეთისხილის, მისი ზეთის (18 გრ), ძმრის, მარისის (24გრ) შეზღუდული რაოდენობა, წლის განმავლობაში 1 ტუნეკა, მოსასხამი (segum) და ყველი ხისძირიანი ფეხსაცმელი, იხ. მისი Земледелие, М.-И., 1950, 56, 59 თ. ი.

<sup>17</sup> ატიკის ტერიტორია უდრიდა დაახლ. 2,5 ათას კმ<sup>2</sup>, აქედან მიწათმოქმედებისათვის გამოსადეგი ნაწილი შეადგენდა დაახლ. 1/4-ს.

<sup>18</sup> ძვ. წ. V ს, ბოლოს ატიკაში იყო 9 ათასი პოპლტი მოქალაქე და არანაკლებ 30000 მეტეკი, მათ აბსოლუტურ უმრავლესობას, რა თქმა უნდა, მონათმფლობელები შეადგენდნენ და მათი ქონება აღმატებოდა 2000 დრაქმას (20 მინა), Diod. Sic. t. IX, XV, 18, Plut, Ploc, 28.

<sup>19</sup> ელევსინის წარწერიდან (329 წ. ძვ. წ.) ირკვევა, რომ ატიკამ სალამინის ჩათვლით ამ წელს აწარმოა დაახლ. 22 ათასი ტონა მარცვლეული იხ. H. M. Michell, The economics of Ancient Greece, Camb, 1950, გვ. 50.

<sup>20</sup> ამას აღნიშნავდა კ. მარქსი იხ. Архив Маркса и Энгельса, 1941, გვ. 157, იხ., აგრეთვე, ფ. ე. ნ. გ. ე. ს. ი., «ოჯახის... წარმოშობა», გვ. 159.

მაკედონიდან; თევზეული, საქონელი, ტყავეული შემოჰქონდათ შავი ზღვის ოლქებიდან და სიცილიიდან; ორკნა — მცირე აზიიდან და ილირიიდან; პაპირუსები ეგვიპტიდან, სპილენძი — ევბეიდან, კვიპროსიდან და ეტრურიაიდან; ქსოვილები და მატყლი — მილეთიდან, ტანსაცმელი მოწებებისათვის — მეგარიადან, სურნელებანი — არაბეთიდან. შემოჰქონდათ აგრეთვე სპილღოს ძვალი, ოქრო, ბრინჯაო, სელის ქსოვილები ტანსაცმლისა და იაღუნებისათვის, ფისი, ქერელი, სანთელი. იმპორტის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ შონები და ატიკა თავისი წარმოებით ვერ იკმაყოფილებდა საკუთარ მოთხოვნილებას ბოსტნეულსა და ხილზეც კი: ისინი შემოჰქონდათ მეგარელ და ბეოტიელ გლეხებს.

სხვა ქვეყნებში ამ პროდუქტების სანაცვლოდ ატიკას გაჰქონდა ზეთუნის ზეთი, ღვინო, ვერცხლი — ექსპორტის ერთ-ერთი უმთავრესი საგანი, მარმარილო, ტყვია, თაფლი, მრავალრიცხოვანი მსხვილი ერგასტერიების ლითონის კერამიკული, საიუველირო ნაწარმი<sup>21</sup>. მხოლოდ ათენის I საზღვაო კავშირის სახელმწიფოთა შორის — ესენი კი მოიცავდნენ ბერძნული სამყაროს მცირე ნაწილს — სავაჭრო მიმოქცევა აღწევდა 35—40 ათას ტალანტს<sup>22</sup>, ხოლო პელოპონესის ომის ბოლოს, როცა ვაჭრობის აყვავებისათვის სულაც არ ყოფილა ხელსაყრელი პირობები, პირვის — ატიკის მთავარი ნავსადგურის მიმოქცევა აღწევდა 2000 ტალანტს<sup>23</sup> ე. ი. 12 მილ. მანეთს.

მხედველობაში გვაქვს რა ატიკის მონათმფლობელური მეურნეობის ასე მაღალი განვითარება, შეუძლებლად მიგვაჩნია დავეთანხმოთ კ. ოსტროვიტიანოვის აზრს: „მაგრამ მონათმფლობელურ მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის დიდი ნაწილი იქვე მოიხმარებოდა. მონათმფლობელთა მოთხოვნილებები უმეტესწილად იკმაყოფილებოდა საკუთარი წარმოების პროდუქციით“<sup>24</sup>. ბერძენი, როგორც საერთოდ ანტიკური ხანის მონათმფლობელი, ფლობდა რა მონეტებს, შედიოდა ინტენსიურ ეკონომიურ ურთიერთობაში თავისუფალ ბერძნებთან — როგორც ქალაქი სახელმწიფოს, ისე სხვა ტერიტორიების ფარგლებში. გაცვლის მეშვეობით ისინი იკმაყოფილებდნენ როგორც პირად, ისე საწარმოო მოთხოვნილებებს.

აქ შევჩერდებით ზოგიერთი ატიკელი მონათმფლობელის მეურნეობის დახასიათებაზე, რათა წარმოვადგინო ვიქონიოთ მონათმფლობელურ წარმოებითს ურთიერთობაზე. ცნობილი ორატორის — დემოსთენეს მამას ჰქონდა ორი სახელოსნო: იარაღებისა, სადაც დასაქმებული იყო 32 თუ 33 მონა, და საწოლები-სა, სადაც 20 მონა მუშაობდა. ვაჭრობასა და მევაზნეობაში მას დაბანდებულა ჰქონდა 4 ტალანტი (24 ათასი მანეთი). უძრავი ქონებიდან დემოსთენეს მამას ჰქონდა სახლი 30 მიწის (3 ათასი მანეთი) ღირებულებისა, ხოლო მიწის ნაკვეთი იმდენად უმნიშვნელო, რომ დემოსთენე არც იხსენიებს მას. წლის განმავლობაში ამ მეურნეობის წმინდა შემოსავალი აღწევდა 1 ტალანტს და 22 მინას<sup>25</sup> (დაახლ. 8 ათასი მანეთი). ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ინტენსიურ ეკონომიურ ურთიერთობაში შედიოდა აღნიშნული მონათმფლობელი. იგი აწარმო-

<sup>21</sup> ატიკის ექსპორტსა და იმპორტზე იხ. გ. ყორანაშვილი, ანტიკური სამყაროს და ეკონომიკის მუხის შესახებ, «მაცნე», 1967, № 1, გვ. 75—76.  
<sup>22</sup> ეს უდრის 210—240 მილიონ მანეთს. ფულის ახლანდელი საბჭოთა კურსით.  
<sup>23</sup> Ю. Белох, История Греции, М., 1897, т. I, стр. 316.  
<sup>24</sup> К. К. Островитянов, Очерки эконсмики докантич. формаций, М., 1946, стр. 53—54, აგრეთვე—გვ. 66—72.  
<sup>25</sup> ნახეთ Demosth., (XXV), Cont. Afob, 4-5, 9-10, ეს შემოსავალი 5, 5-ჯერ აღემატებოდა 5 წევრისაგან შემდგარი ოჯახის საკრებობას, იხ. Lys (XXX) Cont. Dicit, 28.

ებდა მხოლოდ ორი სახის პროდუქციას: საომარ იარაღებსა და საწოლებს — მთლიანად მზა საქონლის სახით. როგორც ოჯახის, ასევე მონების მრავალი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ხდებოდა ყიდვით და არა პირდაპირ უშუალო წარმოებით. ასევე უხდებოდათ კევალოსს, ტიმარქოსს, სოფოკლესა და ისოკრატეს მამებს და სხვებს, რომელნიც ძირითადად მსხვილი სახელოსნოებიდან მიღებული შემოსავლით ცხოვრობდნენ.

ასევე ინტენსიურ ეკონომიური ურთიერთობების პირობებში ცხოვრობდნენ მიწათმფლობელებიც. ასე მაგალითად, IV ს-ის ერთ-ერთი მიწათმფლობელის — ფენიპეს მამული აღწევდა 3200 პლეთრს (300 ჰა). აქ მიღებული პროდუქტებიდან ხორბლის, ღვინისა და ხე-ტყის ნაწილი იქცეოდა საქონლად, რის რეალიზაციის შედეგად ფენიპე იღებდა 110 მინას (დაახლ. 11 ათას მან.)<sup>26</sup>. დიდი მიწათმფლობელი პერიკლე ჰყიდდა მთელ მოსავალს და შემდგომ ყიდულობდა ყველაფერს, მათ შორის მიწათმოქმედების პროდუქტებსაც<sup>27</sup>.

ყოველივე ამის შემდეგ ნათელია, რომ როცა წარმოებაში დასაქმებული იყო თვითონ ბერძენი მწარმოებელი, იგი პროდუქციას შეზღუდული ზომით აწარმოებდა, რასაც თავის მხრივ არ შეეძლო ეკონომიური ურთიერთობების ინტენსიურად განვითარება. კლასიკურმა მონობამ კი საგანთა ამ მდგომარეობაში გადატარება მოახდინა. სწორედ ეს გარემოება ხდის გასაგებს ანტიკური ცივილიზაციის აყვავების ფაქტს<sup>28</sup>. და აგრეთვე იმას, რომ ყმა გლეხობის საფუძველზე ფეოდალურმა საზოგადოებამ ანტიკური საზოგადოების კულტურის მიღწევებიც კი ვერ აითვისა.

ანალოგიურ ეკონომიკურ განვითარებას ჰქონდა ადგილს მიღეთსა, ფოკეასა, სიკიონსა, მეგარასა, ქიოსსა, სამოსსა, სირაკუზსა, როდოსსა<sup>29</sup> და სხვა ბერძნულ პოლისებში<sup>30</sup>.

კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ ასეთი მაღალი ეკონომიკური განვითარების მიზეზი კლასიკური მონობა იყო, ხოლო თავის მხრივ მონობის კლასიკური გავრცელება — შედარებით მაღალი ეკონომიკური განვითარების შედეგი. მაგრამ იგივე კლასიკური მონობა ქვეყნის ეკონომიური სტაგნაციის მიზეზი გახდა. როგორ გავიგოთ ეს გარემოება?

გახანდა რა შესაძლებელი წარმოების, გაცვლის მაღალი განვითარება საბერძნეთში, მონობა იქცა საზოგადოებისათვის შინაგანად გადაულახავ დაბრკოლებად საწარმოო ძალებში, ეკონომიკის შემდგომი განვითარების გზაზე. თავისუფალი ბერძენი მოსახლეობის თვალში წარმოება მეორეხარისხოვან საქმედ იქნა მიჩნეული; იგი ძირითადად მონების საქმიანობა გახდა. თუკი გვხვდებოდა თავისუფალი ბერძნის მონაწილეობა წარმოებაში, იგი იმდენად უმნიშვნელო იყო,

<sup>26</sup> Demosth., XLII, 5, 20, 31.

<sup>27</sup> Plut., Pericl., XV.

<sup>28</sup> ფ. ენგელსი წერდა: «...პირველად მონობამ გახადა შესაძლებელი შრომის დანაწილება დიდი მასშტაბით მიწათმოქმედებასა და მრეწველობას შორის და ამით ნიადაგი მოუშხადა ანტიკური ქვეყნის, ბერძნული კულტურის აყვავებას», ანტი-დიურიჩი 1952, გვ. 213, პირველ რიგში ეს მომენტი და არა თავისუფალ ბერძენთა გათავისუფლება ფიზიკური შრომისაგან, - როგორც ამას ჩვეულებრივ ხსნიან, — ხდის გასაგებს ანტიკური საზოგადოების ზენდნაშენის განვითარებას.

<sup>29</sup> პოლიბიოსის თანახმად (40 მლნ მან.) ძვ. წ. 165 წ. როდოსის საგარეო ვაჭრობის მოცულობა 6550 ტ. აღწევდა, იხ. Polyb., XXXI, 7.

<sup>30</sup> აკად. ა. ტუმინიევის მიხედვით კლასიკური ხანის ბერძნული პოლისების ვაჭრობა ისეთივე დონეზე იდგა, როგორც გვიანი შუა საუკუნეების იტალიის განვითარებულ ქალაქებში და ბევრად აღემატებოდა ჰანზის კავშირის ქალაქების ვაჭრობას, იხ. „Существовал ли капитализм в древней Греции“. стр. 130—131.



რომ არ შეეძლო გავლენა მოეხდინა საზოგადოების არსებობის ამ უმთავრეს საფუძველზე. მონებსაც, მათი ადგილის გამო, არ შეეძლოთ წარმოების განვითარება. ასევე არ შეეძლოთ ეს ჩამორჩენილი მხარეების გლახება. ყოველივე ამის შედეგად საბერძნეთის ეკონომიკური განვითარების გზა, ძვ. წ. IV ს-დან მოყოლებული, დაიკეტა. ელემენტარულ ტექნიკურ და ტექნოლოგიურ პროგრესსაც კი ამ ქვეყნის შემდგომ სინამდვილეში ადგილი არა ჰქონდა. ქარის წისქვილი, წყლის ბორბლის გამოყენება სამთო საქმეში, თუჯისა და ფოლადის გამოდნობა, კომპასი, თოფის წამალი, საფანჯრე მინა სულაც არ წარმოადგენდნენ ტექნიკური და ტექნოლოგიური აზრის დიდ სირთულეს, მაგრამ ამ მიღწევებსაც კი ძველ ბერძენებთან ადგილი არა ჰქონია. მით უფრო ნათელი ხდება ის გარემოება, რომ ენერჯის ახალი სახეების გამოყენებისა და მანქანებისაკენ მიმავალ ხანგრძლივ და რთულ გზაზე ბერძენები არ შემდგარან. ეს გასაგებიცაა. მათ არ დასჭირებიათ დიდი გონებრივი დაძაბვა იმისათვის, რათა მოეყვანათ მეტი პური, დაეყენებინათ მეტი ღვინო, აეშენებინათ მეტი სახლები, გადაეზიდათ მეტი ტვირთი და ა. შ. ყველაფერი ამის მიღწევა ბერძენებმა კლასიკური მონობის გავრცელებით მიადწიეს.

ბერძენები მოექცნენ საშინელ *circulus vitiosus*-ში. წარმოების შემდგომი განვითარებისათვის საჭირო იყო მონობის მოხსნა, მაგრამ ტექნიკის პრიმიტიული დონის არსებობისას ბერძენების თვალში მონობა აუცილებელი ფაქტორი იყო ეკონომიკისა და კულტურის მაღალი განვითარებისათვის. სინამდვილეში არ მომხდარა მატერიალური წარმოების შემდგომი განვითარება, რაც თანდათანობით მოხსნიდა მონათმფლობელურ წარმოებითს ურთიერთობებს. ეს გასაგებს ხდის იმ ფაქტს, რომ მიუხედავად ძვ. წ. IV ს-ში დამდგარი საშინელი კრიზისისა და მოწინავე ბერძენთა ინტენსიური ფიქრისა — ენახათ გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან, არცერთი ბერძენი, — თვით პლატონი და არისტოტელეც კი, — არ მისულან მონობის გაუქმების იდეამდე. ეს სოციალური ინსტიტუტი მათს თვალში მუდმივ და ნორმალურ მოვლენას წარმოადგენდა. არისტოტელე მონათმფლობელური წარმოებითი ურთიერთობების მოსპობას დასაშვებად თვლიდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, „თუკი მაქოები თვითონ მოქსოვდნენ, ხოლო პლეეტრები თვითონ დაიწყებდნენ კითარაზე დაკვრას“<sup>31</sup>.

ამრიგად მონობა იყო ის მიზეზი, რამაც საბერძნეთის ეკონომიკური განვითარება ჩიხში შეიყვანა. ამო იქნებოდა ცდა, გვეძებნა ახალი საწარმოო ძალები, რამაც ევოლუტური ურთიერთობების ჩასახვა გამოიწვია საბერძნეთში. უკანასკნელის ეკონომიკური განვითარება, — განსაკუთრებით ხელოსნობისა და ეაჭრობისა, — იმდენად მაღალი იყო, რომ კოლონატის გაჩენა, რასაც შემდგომ რომის განვითარებაში ჰქონდა ადგილი, აქ შეუძლებელი იყო. მეორე მხრივ, თუმცა კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობანი ეჭვს გარეშეა საბერძნეთში გაჩნდნენ, ისინი მხოლოდ სპორადულად იყვნენ გავრცელებული. მონობის მასობრივი გავრცელების პირობებში თავისუფალი დაქირავებული შრომის გან-

<sup>31</sup> Arist. Politica, Lib. I, Cap. II—12.

ძვ. წ. I ს. ბერძენი პოეტი ანტიპატრე მიესალმებოდა წყლის წისქვილის გამოყენებას—ეს მექანიზმი საბერძნეთში პონტოდან გავრცელდა—როგორც პურისმჭექელი მონა ქალების განმათავისუფლებელ მექანიზმს. ბერძენებს რომ წარმოების ყველა დარგში დაენახათ მონის შემცველი მექანიზმი, მამინ ისინი მივიდოდნენ მონის გაუქმების იდეამდე, როგორც ეს გასულ საუკუნეში მოხდა.

ვითარება შეუძლებელი იყო<sup>32</sup> და არა მარტო იმიტომ, რომ თავისუფალი მოქალაქე ფიზიკურ შრომას ზიზღით უყურებდა. ეს მოხდა, იმის გამოც, რომ შრომის მწარმოებლურობის განვითარების იმ დონეზე თავისუფალი მუშის შრომა ოდნავ უფრო მეტ პროდუქციას იძლეოდა, ვიდრე მისი ოჯახის შესანახად იყო საჭირო. ამ ვითარებაში მონათმფლობელისათვის გაცილებით უკეთესი იყო მონის ექსპლოატაცია. ესაა ის მთავარი პუნქტი, რის გაგებაც ბურჟუაზიულ მეცნიერებაში ვერ მოხერხდა; ანტიკურ სამყაროში ძირითადად თავისუფალი დაქირავებული შრომის არსებობას და მონობის სპორადულად გავრცელებას რომ ამტკიცებს, ეს მეცნიერება ამით გამოუვალ მდგომარეობაში ექცევა; თუკი თავისუფალი სამუშაო ძალის ყიდვა-გაყიდვა შეადგენდა ანტიკური ეკონომიკის საფუძველს, მაშინ რატომ მოხდა მისი დეგრადაცია და თანდათანობითი დაბრუნება ნატურალური მეურნეობისაკენ, შუა საუკუნეების დაწყება ეკონომიკის ამ საფეხურიდან? განვითარების ასეთი მსვლელობა, მონობის თანდათანობითი გაქრობა კარგად ჩანს დასავლეთ რომის იმპერიის მაგალითზე.

ძალზე მოკლე გავაღვენით თვალი ანტიკური იტალიის ეკონომიკის განვითარების მსვლელობას.

უკვე ძვ. წ. V საუკუნის დასაწყისისათვის იტალიის ეკონომიკა სასაქონლო იყო. სოფლის მეურნეობის განვითარების იმ სტადიაზე თავისუფალ გლეხთა მიერ წარმოებული პროდუქტის ნაწილი საქონლად იქცა. მთლიანად საქონლად იქცეოდა ხელოსანთა შრომის პროდუქტი. სასაქონლო წარმოება მაღალ დონეზე იდგა ბერძნულ კოლონიებში, შედარებით დაბალი იყო ეტრუიის მეურნეობა, მაგრამ იტალიის არათუ ამ ნაწილებში, არამედ თვით იტალიეების მიერ დასახლებულ უმეტეს მხარეებშიც კი, გაცვლა არ ჩამოუვარდებოდა. XI — XII ს-ის დასავლეთ ევროპის დონეს.

თვით რომში უკვე VI საუკუნეში არსებობდა შემდეგი ამქრები: ოქრო-მჭედლებისა, დურანებისა, მღებრებისა, ხარაზებისა, მთრიშლავებისა, მჭედლებისა, მეთუნეებისა, ფლეიტისტებისა, დანარჩენი ხელოსნები კი გაერთიანებული იყვნენ ერთ ამქარში<sup>33</sup>. ვითარდებოდა გაცვლა ბერძნებთან, ეტრუსკებთან და კართაგენთან.

სასაქონლო წარმოების მნიშვნელოვანი პროგრესი ძვ. წ. III საუკუნიდან დაიწყო, რაც დაკავშირებული იყო შემდეგ გარემოებასთან.

უზარმაზარი ფულადი სიმდიდრეების<sup>34</sup> შემოზიდვისა და მონათა დიდი მასების შემოყვანის შედეგად რომის ეკონომიკამ ძვ. წ. III — ახ. წ. I ს-ში საგრძობად განვითარებას მიაღწია. განვითარდა ინტენსიური სოფლის მეურნეობა, ხელოსნობის სხვადასხვა დარგები, ვაჭრობა და სხვა. თუ ძვ. წ. III ს-მდე გაცვლა ძირითადად ქალაქ-სახელმწიფოს შიგნით წარმოებდა, ამ პერიოდიდან გაცვლამ მოიცვა არა მარტო იტალიის ქალაქები<sup>35</sup>, არამედ იტალია და სხვა ქვეყნები. ეკონომიური აღმავლობა გრძელდებოდა ახ. წ. I ს-ის ჩათვლით. შემდეგი საუკუნიდან მოკიდებული კი იტალიის ეკონომიკური განვითარება რეგრესის ხაზით წავიდა. თუმცა ამ ხანებში გაჩნდა კოლონატი, მაგრამ ახალი წარმოებითი ურთიერთობების პირობებში არათუ ახალი საწარმოო ძალების

<sup>32</sup> ამას აღნიშნავდა კ. მარქსი იხ. კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები 1952, გვ. 58, Сочинения, т. 19, стр. 120—121. Теория прибавочной стоимости, ч. III, стр. 396.

<sup>33</sup> Plut. Numm. Pomp. XVII—1.

<sup>34</sup> რომმა დაპყრობილი ქვეყნებიდან კონტრიბუციების, ნაძარცვის, გადასახადების სახით შემოზღობდა არახალკებ 100 ათასი ტალანტისა, რაც ფულის ჩვენი კურსით უდრის დაახლ. ნახევარ მილიარდ მანეთს.

<sup>35</sup> იტალიის წარმოებისათვის შინაგანი ბაზარი გაფართოვდა მონების მოთხოვნის გამოც.

განვითარება, არამედ კლასიკური მონობის საფუძველზე მიღწეული უწინდელი საწარმოო ძალების დაცემაკი მოხდა. იტალიის ეკონომიკის დეგრადაცია გრძელდებოდა საუკუნეების განმავლობაში, მიუხედავად მონების თანდათანობით ყმა გლეხებად ქცევისა.

კიდევ მეტი: თვითონ კოლონატის წარმოშობა სულაც არ ყოფილა დაკავშირებული ახალ საწარმოო ძალებთან, მონობის წყაროების შეწყვეტასთან, ანდა იმ გარემოებასთან, რომ იტალიელი მონათმფლობელი დარწმუნდა ყმა-გლეხის შრომის გამოყენების უპირატესობაში მონის შრომასთან შედარებით. როგორც ამას საბჭოთა ისტორიკოსები მ. სერგეენკო, ე. შტაერმანი და ვ. კუზნიშინი აღნიშნავენ<sup>36</sup>, იტალიის ეკონომიური დაცემა, კოლონატის გავრცელება დაკავშირებული იყო დიდი მამულების კომპლექსების — ლატიფუნდიების გავრცელებასთან, რაც ძირითადად ახ. წ. I საუკუნიდან დაიწყო.

თუ ამ ხანამდე სოფლის მეურნეობაში გაბატონებულ ფორმას წარმოადგენდა შედარებით მცირე ზომის მეურნეობები, რომლებიც ძირითადად სოფლის მეურნეობის პროდუქტებს აწარმოებდნენ; ხოლო მრავალრიცხოვან მოთხოვნილებას ხელოსნურ პროდუქტებზე იკმაყოფილებდნენ ქალაქთან გაცვლის გზით<sup>37</sup>, (მიწის ფართობებისა და მონების შეზღუდული რაოდენობა არ იძლეოდა შესაძლებლობას მომხდარიყო შრომის დანაწილება მეურნეობის შიგნით) სულ სხვა მდგომარეობა შეიქმნა ლატიფუნდიური მეურნეობის პირობებში. მრავალრიცხოვანი მამულებისა და მონების თავმოყრით ქალაქთან კავშირი უმეზრო გახდა. შექმნილ პირობებში მოთხოვნილებათა უმეტესი ნაწილი, მათ შორის ხელოსნურ პროდუქტებზე, ადგილობრივ წარმოებით იკმაყოფილებოდა. ერთი სიტყვით, მოხდა შრომის დანაწილება სოფლის მეურნეობასა და ხელოსნობას შორის თვით ლატიფუნდიების ფარგლებში, რამაც იტალიის ეკონომიკური განვითარება, საქალაქო მეურნეობის დონე-სავარძნობლად დააქვეითა. იტალიის ქალაქების შედარებით ნაკლები განვითარება, გარშემო პრიმიტიული ეკონომიკის მქონე ხალხების არსებობა, ლუმპენპროლეტარიატის თავმოყრა იტალიის ქალაქებში, ე. ი. მსყიდველობითი უნარის დაბალი დონე, უაზროს ხდოდა ხარჯებს მსხვილი წარმოებისათვის. მონობის საფუძველზე არ შეიძლებოდა სოფლის მეურნეობაში მსხვილი წარმოების ისეთი განვითარება<sup>38</sup>, როგორც ამას თანამედროვე სამყაროში გვხვდებით დიდი ქალაქებისა და მსყიდველობითი უნარის მაღალი დონის არსებობისას. ერთი სიტყვით, თუ თეორიულად მონური

<sup>36</sup> М. Е. Сергеевко, Очерки по сельскому хозяйству древней Италии, М.-Л., 1958. Е. М. Штаерман, Расцвет рабовладельческих стншений в Римской республике, М., 1964. В. И. Кузишин, Очерки по истории земледелия Италии II в. до н. э. в I—II в. н. э., М., 1966.

<sup>37</sup> თუ რა ინტენსიურ გაცვლის ურთიერთობებში შედიოდა კატონ უფროსის მასშტაბის მიწათმფლობელი, ამაზე წარმოდგენას გვაძლევს მისი ტრაქტატი. იხ. თავები: 2, 11, 14—16, 21, 23, 113, 135—137, 142, 144—150, 154, 162. იხ. აგრეთვე, Plut., Cato M. T. XXI.

<sup>38</sup> აქვე უნდა აღნიშნოთ, რომ თ. მომზენიდან მოყოლებული ფართოდ გავრცელებული აზრი ვენაების, ზეითინის ბღების და მესაქონლეობის დიდ მეურნეობათა მაქსიმალური გავრცელების შესახებ მოკლებულია საფუძველს, იტალიაში შემოტანილი პურით იყვებებოდა მხოლოდ ქ. რომისა და მისი მახლობელი ადგილების მოსახლეობა. შემოქმონდა დაახლ. 560 ათასი ტ. პური. ეს შეიძლებოდა დავაცენათ შემდეგი წყაროებიდან: Ioseph. Flavius. Bell. Iud. II, 16, 4. Aurelius Victor, Epit. I—6, Cicero, Cent. Verr. 11—17, ასე რომ, პურის მოყვანა იტალიის სოფლის მეურნეობის მთავარ დარგს შეადგენდა, მსხვილ მეურნეობათა გავრცელებას თუმცა ჰქონდა ადგილი მაგრამ იმ ზომით არა, როგორც ეს თ. მომზენს, მ. როსტოცევს, ტ. ფრანსსა და სხვ. ეკონათ, სხვათა შორის, უკვე კ. მარქსი აღნიშნავდა იტალიის ლატიფუნდიებში პროდუქტის საქონლად გადაქცევის უმნიშვნელობას. იხ. კაპიტალი, ტ. III, ნაწ. II, გვ. 405—406, 419.

შრომის საფუძველზე თითქოს შეიძლებოდა წარმოების კიდევ შემდგომი გაფართოება სასაქონლო წარმოების შემდგომი პროგრესი, ეს პრაქტიკულად არ შეიძლებოდა წარმოების ამ წესის პირობებში შექმნილი მოხმარების დონის გამო. ამიტომ მონობის შემდგომი გავრცელება შეუძლებელი აღმოჩნდა<sup>39</sup>.

მონობამ ვერ გახადა შესაძლებელი ტექნიკის შემდგომი განვითარება, ახალი პროდუქტების წარმოება, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების შემდგომი განვითარება. ამ პირობებში ზედმეტი პროდუქტის მაქსიმალურად გაზრდა მსხვილი მონათმფლობელისათვის უმიზნო გახდა. თუმცა მონობის საფუძველზე უფრო მეტი პროდუქტი იწარმოებოდა<sup>40</sup>, ვიდრე ყმა გლეხობის საფუძველზე, მაგრამ მოთხოვნილებათა იმდროინდელი რაოდენობისათვის ზედმეტი პროდუქტის მაქსიმალურად გაზრდა უაზრო იყო<sup>41</sup>.

ვაჯაშვიტ რა ჩვენნი წერილის შინაარსს, ჩვენ ვაღიარებთ, რომ საწინააღმდეგოდ როდებერტუს-ბიუხერის თეორიისა, ანტიკური საზოგადოების ეკონომიკა შეიძლება გააზრებულ იქნეს როგორც მალაღვანეთარებული სასაქონლო. მეორე მხრივ, საწინააღმდეგოდ ედ. მაიერისა და სხვ. თვალსაზრისისა, ასეთი მალაღვანეთარებული სასაქონლო წარმოება არ შეიძლება შეფასებულ იქნეს, როგორც კაპიტალისტური. იმ ეკონომიკური და პოლიტიკური წანამძღვრებიდან, რომლებიდანაც დაიწყო განვითარება ანტიკურმა საზოგადოებამ, გამომდინარეობდა მონობის სოციალური ინსტიტუტის პროგრესი. ფულადი სიმდიდრეებისა და წარმოების საშუალებათაგან უშუალო მწარმოებლის მოწყვეტის პროცესი ამ საზოგადოების შიგნით მონობის განვითარების დაწყებისას უმინშენლო იყო. ისინი განვითარდნენ ამ სოციალური მოვლენის აღმავლობასთან ერთად. მართალია, ანტიკურმა საზოგადოებამ თავისი განვითარება დაასრულა დიდი ფულადი სიმდიდრეებისა და წარმოების საშუალებათაგან მოწყვეტილი თავისუფალი მოქალაქეების დიდი მასით, მაგრამ ეს ორი წანამძღვარი სხვა არახელსაყრელი წანამძღვრების პირობებში უძლური აღმოჩნდა კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარებისათვის. შექმნილ ისტორიულ სიტუაციაში მოხდა დიდი ფულადი სიმდიდრეებისა და თავისუფალი სამუშაო ძალის გაქრობა, კაპიტალისტური წარმოების წესის ნაცვლად ფეოდალური წარმოების წესის გენეზისი. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ ანტიკური ეკონომიკა თავისუფალი სამუშაო ძალის კი არა, არამედ მონური შრომის ექსპლოატაციას ეფუძნებოდა.

<sup>39</sup> ეს ჩანს უკვე ავგუსტეს ხანის კანონმდებლობით, იხ. Lex Furia Caninia (ძვ. წ. 2 წ.) და Lex Aelia Sentia (ძვ. წ. 4 წ.), რომლებიც ლიმიტირებდნენ მონათა განთავისუფლებას. არ შეეჩერებოდა იმ თვალსაზრისების დაწყებით კრიტიკაზე, რომელთა თანახმად მონის შრომის არარენტაბელის მიზეზი იყო მონათა გაძვირება (საბჭოთა მეცნიერებმა უფროდ გავრცელებული თვალსაზრისი), ან წარმოების გაძვირება მონათა ადმინისტრაციის გაზრდის გამო, (ე. კუნიშინი) ამ პირობებში არ შეიძლებოდა მონური შრომა არარენტაბელური გამზდარიყო, რადგან არ არსებობდა უფრო იაფი წარმოება, რომელსაც ფასების დაწვეა და მონათა შრომის არარენტაბელურად ქცევა შეეძლო.

<sup>40</sup> გ. შროტის გამოანგარიშებით, მონური მეურნეობის საერთო შემოსავლიდან 50%-ზე მეტი მონათმფლობელის წმინდა შემოსავალი იყო იხ. О рентабельности сельского хозяйства в Италии в конце Республики, ВДИ, 1959 № 2, стр. 78-82.

<sup>41</sup> ციკერონის აზრით, შემოსავალი 600 ათასი სესტ. რაოდენობით სავსებით საქმარისი იყო ფუფუნებით ცხოვრებისათვის, იხ. F. R. Cowell, Cicero und the Roman Republic, London, 1956, p. 110.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა)

### დავით ბაგინძე

## საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის აღმავლობა და მშრომელთა ანაბრების ზრდა

სოციალისტური საზოგადოების მიზანია ყოველი დონისძიებით გააუმჯობესოს მშრომელთა ცხოვრება, აამაღლოს ხალხის მატერიალური და კულტურული დონე, რაც შეიძლება სრულად დააკმაყოფილოს მისი მზარდი მოთხოვნილებანი მწარმოებლური ძალების სწრაფი განვითარების საფუძველზე.

საბჭოთა ხალხის გვირუკში შრომამ შექმნა მძლავრი და ყოველმხრივ განვითარებული ეკონომიკა. სოციალისტურ საზოგადოებაში ეკონომიკისა და კულტურის განვითარებას თან სდევს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ზრდა.

ხალხის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის სისტემატური ამაღლება სოციალისტური საზოგადოების განვითარების კანონზომიერებაა. საბჭოთა ხალხის ცხოვრების სისტემატური გაუმჯობესების პირობაა ექსპლოატაციისაგან თავისუფალ ადამიანთა შემოქმედებითი და თავდადებული შრომა, შრომის მწარმოებლურობის ზრდა, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება, მომჭირნეობის რეჟიმის განხორციელება და სხვ.

საბჭოთა ხალხის კეთილდღეობა აღმავლობის ხაზით მიდის, ვინაიდან მშრომელთა რეალური შემოსავალი სისტემატურად იზრდება — ერთი მხრივ, მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასის გადიდების, კოლმეურნეთა ფულადი და ნატურალური შემოსავლის ზრდის, საცალო ფასების, აგრეთვე სხვადასხვა გადასახდელთა შემცირებისა და, მეორე მხრივ, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების გაფართოების საფუძველზე.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში აღნიშნულია: „1966 წელს 1913 წელთან შედარებით მრეწველობისა და მშენებლობის მუშაკთა რეალური შემოსავალი 6,6-ჯერ, ხოლო გლეხთა რეალური შემოსავალი ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით 8,5-ჯერ გაიზარდა“<sup>1</sup>.

მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან საბჭოთა ხალხის მიერ მიღებული თანხა მილიარდ მანეთობით წლების მიხედვით შეადგენდა: 1940 წ-ს 4,6, 1960 წ-ს — 27,3; 1966 წ-ს — 45,5, ხოლო 1967 წ-ს 49 მილ. მანეთს, რაც 7,1 პროცენტით მეტია, ვიდრე 1966 წელს<sup>2</sup> იყო.

საბჭოთა საქართველო დიდი წარმატებებით შეხვდა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს. „1966 წელს 1913 წელთან შედარებით საქართველოს მთელი მრეწველობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა გადიდ-

<sup>1</sup> დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები, თბ., 1967, გვ. 42.

<sup>2</sup> Страна Советов за 50 лет., Сборник стат., М., 1967, стр. 244.

და თითქმის 62-ჯერ. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე შეიქმნა მრეწველობის ათობით ახალი დარგი: აშენდა და მწყობრში ჩაღდა 1000-ზე მეტი მრეწველური საწარმო; სოფლის მეურნეობის პროდუქცია 1966 წელს 1913 წელთან შედარებით გადიოდა 6,0-ჯერ, ხოლო 1940 წელთან შედარებით — 2,4-ჯერ. მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობამ მარტო 1966 წელს 707 მილიონი მანეთი მიიღო, რაც მოსახლეობის ერთ სულზე საშუალოდ 153 მანეთს შეადგენს ამავე ფონდებიდან 1967 წელს მოსახლეობამ მიიღო 756 მილიონი მანეთის სხვადასხვა დახმარება და შეღავათი, რაც 6 პროცენტით მეტია, ვიდრე 1966 წელს.

ახლა ჩვენს რესპუბლიკაში სახელმწიფოებრივ პენსიას იღებს 672 ათასი კაცი, მათ შორის 228 ათასი კოლმეურნე, გაუმჯობესდა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის საბინაო პირობები. მარტო 1967 წელს სახელმწიფოებრივმა და კოოპერაციულმა საწარმოებმა და ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობებმა და მოსახლეობამ 1696 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი მიიღეს. 1966 წელს რესპუბლიკაში საცალო საქონელბრუნვამ 1647 მილიონი მანეთი შეადგინა, რაც თითქმის ოთხჯერ მეტია 1940 წლის დონესთან შედარებით<sup>3</sup>.

1967 წელს სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცულობამ შეადგინა 1770 მლნ. მანეთი და 1966 წელთან შედარებით გაიზარდა (შესადარი ფასებით) 147 მლნ მანეთით ანუ 9,1 პროცენტით.

საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის ამაღლება ბევრად არის დამოკიდებული საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებაზე. მარტო უკანასკნელ 6 წელიწადში რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის შესრულებული სამუშაოთა მოცულობა 2-ჯერ და მეტად გაიზარდა<sup>4</sup>. როგორც ვხედავთ, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დღითიდღე მაღლდება ქართველი ხალხის მატერიალურ-კულტურული ცხოვრების დონეც. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ რესპუბლიკაში ეროვნული შემოსავლის მოცულობა 1961-1965 წლებში გაიზარდა 34,9 პროცენტით, რომლის საფუძველზეც განუწყვეტლად იზრდება რესპუბლიკის მშემა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა შემოსავლები, რაზედაც მეტყველებს შემნახველ საღაროებში მშრომელთა ანაბრების რაოდენობის სისტემატური ზრდა

ვიდრე ჩვენ განვიხილავდეთ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში საშემნახველო საქმის განვითარებას და მშრომელთა ანაბრების ზრდას, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ შევხებით რევოლუციამდელ რუსეთში შეანაბრეთა მდგომარეობას, რის შესახებაც ვ. ი. ლენინმა სათანადო მონაცემების საფუძველზე საუკეთესო ანალიზი გააკეთა.

ვ. ი. ლენინმა, როცა იკვლევდა იმპერიალიზმში ეპოქაში შემნახველი საღაროების როლს, შესანიშნავად გამოიყენა რუსეთის ეკონომიკური დახასიათებისათვის შემნახველი საღაროების 1899 წლის წლიური ანგარიშგებები, რომელთა ანალიზის საფუძველზე მოგვცა იმდროინდელი მეფის რუსეთის კლასობრივ ფენებად დაშლის პროცესის დახასიათება, გააანალიზა ანაბართა განაწილება სოციალური ჯგუფების მიხედვით და გვიჩვენა, რომ უდიდესი ნაწილი ანაბრებისა შემნახველ საღაროებში ეკუთვნოდა გაბატონებულ კლასებს. ასე, მაგალითად: 1899 წელს 1,6 მილიონ წვრილ მეანაბრეს ჰქონდა ანაბრების საერთო

<sup>3</sup> უფრ, «საქართველოს კომუნისტი», № 6, 1967, გვ. 19—22.

<sup>4</sup> იქვე, 1967, გვ. 22, 23.

თანხის 8 პროცენტზე ნაკლები, ხოლო 400 ათას მსხვილ მენაბრეს დაახლოებით 54 პროცენტი ეკუთვნოდა.

ვ. ი. ლენინი თავის სტატიაში — „რუსეთის ეკონომიკური ცხოვრებიდან“, 1909 წლის მონაცემების საფუძველზე აჯგუფებს მენაბრეებს მათი საქმიანობის მიხედვით და მოაქვს საინტერესო ცნობები მეფის რუსეთის შემნახველ სალაროებში ანაბრების რაოდენობის შესახებ. ეს ცნობები ეხება 3 მილიონი (2942 ათასი) წიგნაკის პატრონთ, რომელთა ანაბრების თანხა 545 მილიონ მანეთს შეადგენდა. ცალკეულ მენაბრეზე განაწილებული თანხა ნათლად გვიჩვენებს, რომ მენაბრეთა შორის სჭარბობდნენ ის „ბედნიერნი“, რომელნიც რუსი ხალხის სრულიად უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენდნენ და რომლებიც ფლობდნენ საგვარეულო ან შენამენი ქონების უდიდეს ნაწილს. ამ დროისათვის ყველაზე მსხვილი მენაბრეები იყვნენ: სამღვდლეობა — 46 მლნ მანეთი 137 ათას წიგნაკზე, ე. ი. თითო წიგნაკზე 333 მანეთი, მიწათმფლობელები — 9 მლნ მანეთი 36 ათას წიგნაკზე — თითოზე 268 მანეთი, ვაჭრები — 59 მლნ მანეთი 268 ათას წიგნაკზე — თითოზე 222 მანეთი, ოფიცრები — თითო წიგნაკზე 219 მანეთი, სამოქალაქო მოხელეები — თითოეულ წიგნაკზე 202 მანეთი, შინამოსამსახურეები — 333 ათას წიგნაკზე 48 მლნ მანეთი, ანუ თითო წიგნაკზე 144 მანეთი, მუშები — 21 მლნ. მანეთი — თითო წიგნაკზე 133 მანეთი. ამრიგად, ერთ პირზე ანაბრების რაოდენობის მიხედვით უკანასკნელი ადგილი ეკავათ მუშებს, რომელთა უმრავლესობა თავისი ხელფასის ნაწილს შემნახველ სალაროებში ინახავდა, მაგრამ დაზოგვის მიზნით კი არა, არამედ იმისათვის, რომ დაეგროვებინათ განსაზღვრული თანხა სოფლად დარჩენილი ოჯახის დასახმარებლად, ანდა უბრალოდ შეენახათ და შეენარჩუნებინათ ხელფასი შემდეგ მიღებამდე.

ვ. ი. ლენინი ამის შესახებ წერდა: „რუსეთის საფაბრიკო-საქარხნო მუშათა საერთო რიცხვიდან (არანაკლები ორი მილიონი კაცი) დაახლოებით მხოლოდ ერთ მეექვსედ ნაწილს აქვს შესაძლებლობა სულ უმნიშვნელო ანაბარი შეიტანოს შემნახველ სალაროში და ეს მაშინ, როდესაც მუშების მთელი შემოსავალი მარტომარტო ფულადია და მათ ზშირად უხდებათ ოჯახის რჩენა სოფელში, რის გამოც მათი ანაბარი მეტწილად სრულიადაც არ არის „დანაზოგი“, ამ სიტყვის საკუთარი აზრით, არამედ მხოლოდ ის თანხა, რომელიც გადადებულია შინ მორიგ გაგზავნამდე და სხვა“<sup>5</sup>.

ჩვენ ვნახეთ, რომ წვრილ მენაბრეთა წილი შემნახველი სალაროების კაპიტალშიც კი ფრიად მცირეა და წვრილ მენაბრეს ფიქრიც არ შეუძლია მსხვილი კაპიტალის გამკვებლობაზე.

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ ამ წვრილ მენაბრეთა სიმრავლე მსხვილი კაპიტალის დაქუცმაცებას კი არ ნიშნავს, არამედ მსხვილი კაპიტალის ძლიერების გადიდებას, რომელიც თავის განკარგულებაში იღებს „ხალხის დანაზოგთა სულ უმცირეს ნამცეცხვსაც კი“.

მეფის რუსეთში 1894 წლიდან 1899 წლამდე საშუალოდ შემნახველ სალაროებში წელიწადში შეჰქონდათ 250 მლნ მანეთი, ხოლო გამოჰქონდათ 200 მლნ მანეთი, მაშასადამე, ყოველწლიურად გამოდის ორმოცდაათი მლნ მანეთი, რომელიც სესხების სახით ხმარდებოდა სახელმწიფოებრივი ხაზინის დახვეული

<sup>5</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 6, გვ. 97—98.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 101—102.

ქისის დაკერებას, ამრიგად, მეფის მთავრობას ყოველთვის შეეძლო „ხალხის დანაზოგიდან“ დაეფარა მოზრდილი თანხები. მეფის მთავრობა ამ კაპიტალს ისევე უკონტროლოდ განაგებდა, როგორც ხალხის ყოველ სხვა ქონებას, რომელიც მას ხელში უვარდებოდა.

მეფის რუსეთში „1899 წელს შემნახველი სალაროების მთელი თანხიდან 679 მილიონი მანეთიდან 613 მლნ მანეთი ფასიან ქალაქებში იყო მოთავსებული, 230 მლნ მანეთი სახელმწიფოებრივ სესხებში, 215 მლნ მანეთი საადგილმამულო ბანკების გირავნობის ფურცლებში და 168 მილიონი მანეთი — სარკინიგზო სესხებში“<sup>7</sup>. ამ ფაქტმა საბაბი მისცა ბერძნულენებს, ჰერცეგებს, ჩეროვებს, ბულგაკოვებს და მათ მსგავს ყველა ბურჟუაზიულ მოღვაწეს ემტკიცებინა, რომ შემნახველი სალაროების წვრილი მეანაბრებები რკინიგზების მესაკუთრებები, მიწის გირავნობის ფურცლების მფლობელები ხდებიანო: მსხვილი საწარმოები, რკინიგზები, ბანკები და სხვა, მათი აზრით, სულ უფრო ქუცმაცდებდა და წვრილმესაკუთრეთა ხელში გადადისო, მათს მიერ აქციების, ობლიგაციების, გირავნობის ფურცლების შესყიდვის საშუალებითო და სხვა.

ამის შესახებ ვ. ი. ლენინი წერდა: „ეს მეანაბრე 6 მანეთით „ფლობს“ რკინიგზებს, 9 მანეთით — „საადგილმამულო ქონებას“. ამით იგი ხდება თუ არა „მქონებლად“ ან „მესაკუთრედ“? არა, ის პროლეტარად რჩება, რომელიც იძულებულია გაყიდოს თავისი სამუშაო ძალა, ე. ი. მონად გაუხდეს წარმოების საშუალებათა მესაკუთრეებს“<sup>8</sup>. ამრიგად, მტკიცება წვრილი მეანაბრეების მესაკუთრეებად გადაქცევის შესახებ ძირშივე მცდარია, ვინაიდან „ხალხის დანაზოგთა“ ზრდასთან ერთად მიმდინარეობდა მთელ რუსეთში გლეხთა გალატაკების, გაჩანაგებისა და შიმშილობის საოცრად სწრაფი და მწვავე პროცესი. „სასვებით გასაგებია შიმშილობის ზრდასთან ერთად ანაბრების ზრდაც, რაც მოასწავებს არა ხალხის კეთილდღეობის ამიღლებას, არამედ ძველი დამოუკიდებელი გლეხის გამოდევნას სოფლის ახალი ბურჟუაზიის მიერ, ე. ი. შეძლებული გლეხების მიერ“<sup>9</sup>.

წვრილ მეანაბრეთა მრავალრიცხოვნობა ამტკიცებს სწორედ ღარიბთა სიმრავლეს კაპიტალისტურ საზოგადოებაში, რადგან ამ წვრილ მეანაბრეთა წილი ანაბრების საერთო ჯამში ფრიად უმნიშვნელოა, როგორც ეს ზემოთ იყო ნაჩვენები.

ქალაქსა და სოფელს შორის მოსახლეობის ანაბრები ასე ნაწილდებოდა: 1915 წელს სოფლის მეურნეობას ეკუთვნოდა შემნახველ სალაროებში მოქმედი ანგარიშების საერთო რაოდენობის 44,1 პროცენტი და ამ ანგარიშებზე ინახებოდა შემნახველი სალაროების მიერ მოზიდული ანაბრების საერთო თანხის 42,1 პროცენტი.

მეფის მთავრობა დიდად იყო დაინტერესებული შემნახველი სალაროების ორგანიზაციით, რადგან მას მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ იყენებდა, ხოლო შემნახველ სალაროებში შეტანილი ფულადი დანაზოგები ანაბრების სახით ცარიზმის პირობებში წარმოადგენდა მუშათა კლასის ექსპლოატაციის იარაღს. საშემნახველო საქმის განვითარება ქმნიდა წვრილ მეანაბრეთა დაინტერესებას სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის,

<sup>7</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 6, გვ. 101-102.

<sup>8</sup> იქვე, 105.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 96.

„მხოლოდ ეს გამარჯვება, — წერდა ვ. ი. ლენინი, — გახდის ამ წვრილ მეანბრეებს საზოგადოებრივი სიმდიდრის არა ფიქტიურ, არამედ ნამდვილ „მონაწილეებად“ და განმკარგულებად“<sup>10</sup>. მართლაც, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ეს წვრილი მეანბრეები გახდნენ ქვეყნის ბატონ-პატრონნი და ნამდვილი მეანბრე-განმკარგულბლები თავიანთი დანაზოგებისა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ძირეულად შეცვალა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პირობები, შეიცვალა აგრეთვე შემნახველი სალაროების არსი და ბუნება. შემნახველი სალაროები სოციალიზმის პირობებში წარმოადგენენ სრულიად ახალს თავისი შინაარსით და ფორმით. ისინი გადაიქცნენ სოციალისტური მშენებლობის ერთ-ერთ საშუალებად და ემსახურებოდა მშრომელთა ფართო მასების ინტერესებს.

როგორც ცნობილია, უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის პერიოდში მიმდინარეობდა მთელი სახალხო მეურნეობის ნატურალიზაცია და მასთან დაკავშირებით ფინანსებისა და კრედიტის როლი სუსტდებოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფულმა, ფინანსებმა და კრედიტმა გარკვეულად დადებითი როლი შეასრულა მატერიალური რესურსების მობილიზაციის საქმეში, ნების პერიოდი ფინანსების, ფულისა და კრედიტის როლის გაძლიერებით ხასიათდებოდა. ამ პერიოდში ფინანსურ-კრედიტული სისტემის ორგანიზაციას საფუძვლად დაედო ვ. ი. ლენინის მითითებები.

ახალ ეკონომიკურ პოლიტიკას უნდა დაეძლია სახალხო მეურნეობის ნგრევა და საფუძველი ჩაეყარა სოციალისტური ეკონომიკისათვის, განევითარებინა მსხვილი მრეწველობა, დაემყარებინა ეკონომიკური კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის, განემტკიცებინა მუშათა კლასის და გლეხობის კავშირი, განედევნა და აღმოეთხვრა კაპიტალისტური ელემენტები და დაემკვიდრებინა სოციალიზმი.

ამ ღონისძიებების განხორციელება მოითხოვდა ფინანსურ-კრედიტული სისტემის განმტკიცებას და მის სოციალისტურ სახალხო მეურნეობის მშენებლობის სხვადასხვა ეტაპზე გამოყენებას. ამ დროისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფინანსურ-ეკონომიკურ ღონისძიებას წარმოადგენდა შემნახველი სალაროების დაარსება, რომელიც დაკავშირებული იყო 1922 — 1924 წლების ფულის რეფორმის გატარებასთან. 1922 წლის 26 დეკემბერს რსფსრ სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება სახელმწიფოებრივი შემნახველი სალაროების დაარსების შესახებ. ამ დროისათვის საქართველოში შემნახველი სალაროების დაარსებისა და საშემნახველო საქმის განვითარებისათვის ჯერ კიდევ არ იყო მომზადებული სათანადო პირობები, საბჭოთა საქართველოში პირველი შემნახველი სალარო დაარსდა 1924 წლის 18 თებერვალს, თბილისში, მთავარ ფოსტატში.

1922 — 1924 წლების ფულის რეფორმის გატარების შედეგად ქვეყანაში შეიქმნა მტკიცე ფულადი სისტემა. შემნახველი სალაროები ამ დროისათვის უკვე მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ მშრომელთა ფულადი დანაზოგების მოზიდვის საქმეში. ახლად დაარსებული შემნახველი სალაროების წინაშე დასმული იქნა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ფულადი დანაზოგების აკუმულაციის ამოცანა, რომელიც დადებითად იქნა გადაჭრილი იმ მიმართულებით, რომ სისტემატურად იწყო ზრდა მშრომელთა ანაბრებმა როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

<sup>10</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 6, გვ. 107.

შემნახველი სალაროების დაარსებით საბჭოთა სახელმწიფოს შესაძლებლობა მიეცა სოციალისტური მეურნეობებიდან მიღებულ დაგროვებასთან ერთად სახალხო მეურნეობის განვითარების ინტერესებისათვის მშრომელთა პირადი დანაზოგებები გამოეყენებინა. მშრომელთა დანაზოგები, ანაბრების სახით, სისტემატურად იზრდებოდა ქალაქისა და სოფლის შემნახველ სალაროებში. სსრ კავშირში სამაჟლო ომის დასაწყისისათვის შემნახველ სალაროებში ანაბრების საერთო ნაშთმა მნიშვნელოვნად გადააჭარბა რევოლუციამდელი რუსეთის შემნახველ სალაროებში ანაბრების საერთო ნაშთს. მაგალითად, ანაბრების ნაშთი, ნაცვლად 1915 წლის 2,3 მილიონი მანეთისა, 1941 წელს შეადგენდა 725 მილიონ მანეთს, ხოლო გლეხობიდან ანაბრების თანხა კი მხოლოდ უთანაბრდებოდა 1915 წ-ის დასაწყისისათვის შემნახველ სალაროებში არსებული ანაბრების შესაბამის რაოდენობას. ქალაქისა და სოფლის მშრომელთა მატერიალურ კეთილდღეობის ზრდის საფუძველზე, განსაკუთრებით ომის შემდგომ პერიოდში, მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსახლეობის დანაზოგები ანაბრების სახით შემნახველ სალაროებში. 1947 წელს, ფულის რეფორმის გატარების შემდეგ, მოსახლეობის ანაბრების საერთო თანხა 1956 წელს 1948 წელთან შედარებით დაახლოებით 5-ჯერ გაიზარდა. ანაბართა საშუალო სიდიდე გადიდა 32%-ით. ამასთანავე სოფლის მოსახლეობის ანაბართა თანხა გაიზარდა ამავე პერიოდში 9-ჯერ, ხოლო ანაბრების საშუალო სიდიდე დაახლოებით 2-ჯერ. ანაბრების თანხამ 12,5 მლნ მანეთი შეადგინა, ხოლო მეანაბრეთა ანგარიშების რაოდენობამ კი 284 ათასს მიაღწია.

უკანასკნელი 10 წლის (1956—1966 წწ.) მანძილზე ყოველწლიურად იზრდებოდა მშრომელთა ანაბრები როგორც მოკავშირე რესპუბლიკების შემნახველ სალაროებში, ისევე მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით.

სსრ კავშირის შემნახველ სალაროებში შეტანილი ანაბრების თანხა 1956 წლიდან 1966 წლის ჩათვლით 4,2-ჯერ გაიზარდა, ხოლო ომამდელ (1940 წ.) პერიოდთან შედარებით 31,6-ჯერ; საქართველოს სსრ შემნახველ სალაროებში 1956 — 1966 წწ. ანაბართა თანხის რაოდენობა 4,5-ჯერ, ხოლო ომამდელ პერიოდთან შედარებით — 37,9-ჯერ გაიზარდა. როგორც მოტანილი მომსახურებიდან ჩანს, საქართველოს სსრ შემნახველ სალაროებში უკანასკნელი 10 წელიწადის მშრომელთა ანაბრების ზრდა სსრ კავშირის შემნახველი სალაროების ანაბრების ზრდის საერთო ტემპზე მაღალია. მშრომელთა ფულადი ანაბრების ასეთი განუზრეკი ზრდა გამოწვეულია ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ფულადი შემოსავლების გადიდებით. ასე, მაგალითად, საქართველოს სსრ-ში, 1936—1965 წწ., ქალაქის მოსახლეობის ფულადი შემოსავალი 11,8-ჯერ გაიზარდა, რესპუბლიკის ქალაქის მოსახლეობის ერთ სულზე ფულადი შემოსავლის მოცულობა — 1965 წ-ს 3-ჯერ აღემატებოდა 1940 წ-ის შესაბამის მაჩვენებელს; სოფლის მოსახლეობის ფულადი შემოსავლის მოცულობა ამავე პერიოდში 7,1-ჯერ გაიზარდა, ხოლო რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობის ერთ სულზე ფულადი შემოსავლის ოდენობა 1940—1965 წწ. 2,9-ჯერ გადიდა.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კოლმეურნე გლეხის ოჯახის საერთო შემოსავალი სისტემატურად იზრდება. ასე, მაგალითად, ერთი კოლმეურნე ოჯახის შემოსავალი 1965 წელს, 1940 წელთან შედარებით, გაიზარდა 4,1-ჯერ და უფრო მეტად, უკანასკნელი ათი წლის მანძილზე (1956—1966 წწ.) ერთი კოლმეურნე ოჯახის შემოსავლის ზრდა 20%-ს შეადგენს.

მოსახლეობის შემოსავლის ასეთი ზრდის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკაში განუხრებლად იზრდება შემნახველი სალაროების რაოდენობა, აგრეთვე ანაბრების თანხა და ანაბრის საშუალო სიდიდე — როგორც ქალაქად, ისე სოფლად. შემნახველი სალაროების რაოდენობა 1956—1966 წწ. გაიზარდა 76,3 პროცენტით, მათ შორის ქალაქად და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში 82,6 პროცენტით, ხოლო სოფლად 72,4 პროცენტით. მეანაბრეთა ანგარიშების რაოდენობა მთლიანად ამ პერიოდში გაიზარდა 61,6 პროცენტით — ქალაქად და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში 66,3 პროცენტით, ხოლო სოფლად 40,0 პროცენტით. ანაბართა თანხა მთლიანად რესპუბლიკაში გაიზარდა 278,1 პროცენტით — ქალაქად და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში 275,3 პროცენტით, ხოლო სოფლად, 301,0 პროცენტით, ანაბართა საშუალო სიდიდე მთელ რესპუბლიკაში გაიზარდა 133,7 პროცენტით, — ქალაქად და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში 125,7 პროცენტით, ხოლო სოფლად 190,3 პროცენტით. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ შემნახველი სალაროების რაოდენობა უფრო მეტია სოფლად, ვიდრე ქალაქად, ხოლო მეანაბრეთა ანგარიშების რაოდენობა, ანაბართა თანხის რაოდენობა და ანაბრის საშუალო სიდიდე კი ქალაქადაა მეტი. ასე, მაგალითად: საქართველოს სსრ რესპუბლიკაში შემნახველი სალაროების საერთო რაოდენობაში სოფლის შემნახველი სალაროები 1966 წელს შეადგენდა 59,7 პროცენტს, ხოლო ქალაქისა — 40,3 პროცენტს; რაც შეეხება სოფლად მეანაბრეთა რაოდენობის ხვედრითს წონას, იგი 1956 წელს შეადგენდა 17,8 პროცენტს, ხოლო 1966 წელს 15,4 პროცენტს.

საქართველოს მშრომელთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დიდი შემოქმედებითი მუშაობა გააჩაღა და თავისი თავდადებული შრომით წარმატებით შეასრულა ომის შემდგომი ხუთწლიელები. ხუთწლიელების წარმატებით შესრულებამ გამოიწვია ჩვენი ხალხის კეთილდღეობის დონის განუწყვეტელი გაუმჯობესება და მშრომელთა რეალური შემოსავლების გადიდება, რაც მშრომელთა ფულადი ანაბრების განუხრებელი ზრდის საფუძველი გახდა.

ინტერესს მოკლებული არ იქნება გავეცნოთ ომის შემდგომ პერიოდში შემნახველი სალაროების ქსელის რაოდენობის ზრდას ქალაქად და სოფლად (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

ომის შემდგომ პერიოდში საქართველოს სსრ შემნახველი სალაროების რაოდენობის დინამიკა (ზრდა ყოველ წინა წელთან შედარებით) <sup>11</sup>

წლები	შემნახველი სალაროების რაოდენობა			შემნახველი სალაროები ზრდა %-ობით		
	ქალაქად	სოფლად	სულ	ქალაქად	სოფლად	სულ
1946	170	309	479	—	—	—
1950	228	383	611	34,0	24,0	28,0
1955	270	424	694	18,0	11,0	14,0
1960	365	586	951	35,0	38,0	37,0
1965	494	756	1250	35,0	29,0	31,0

ცხრილიდან ჩანს, რომ ომისშემდგომ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა შემნახველი სალაროების რაოდენობა ცალკეულ ხუთწლიელებში. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ შემნახველი სალაროები აღნიშნულ ხუთწლიელებში უპირატე-

<sup>11</sup> ცხრილი შედგენილია საქართველოს სსრ შემნახველი სალაროების სამმართველოს წლიური ანგარიშგებების საფუძველზე.

სად იზრდებოდა ქალაქად, ვიდრე სოფლად, თუ არ მივიღებთ მხედველობაში 1960 წელს, როდესაც შემნახველი საღაროების რაოდენობა უფრო მეტად სოფლად გაიზარდა.

ცნობილია, რომ შემნახველი საღაროები მრავალ სხვადასხვაგვარ ოპერაციას ასრულებენ, ისინი იღებენ და გასცემენ ანაბრებს, მეანაბრეთა დავალებით ანაბრებს გზავნიან ერთი საღაროდან მეორეში, გასცემენ და ანადღებენ აკრედიტივებს, გასცემენ სახელმწიფოებრივ სესხთა მოგებებს, დახმარებებს მრავალ-შვილიანი და მარტოხელა დედებისათვის, პერსონალურ პენსიებს, ყიდიან და თავისუფლად ყიდულობენ სახელმწიფო 3%-იანი შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციებს; აგრეთვე ახორციელებენ მთელ რიგ სხვა ოპერაციებს. იმ მრავალ ოპერაციას შორის, რომლებსაც შემნახველი საღაროები ასრულებენ, მთავარია ანაბრების მიღება და გაცემა. ამ მხრივ საინტერესოა მონაცემები მშრომელთა ანაბრების მოძრაობისა და ზრდის შესახებ ომის შემდგომ ხუთწლეულებში ქალაქად და სოფლად (ცხრილი 2).

ცხრილი 2

ომის შემდგომ პერიოდში საქართველოს სსრ შემნახველ საღაროებში მშრომელთა ანაბრების ზრდა წლის ბოლოსათვის (ზრდა ყოველ წინა წელთან შედარებით)<sup>12</sup>

წლები	ანაბრის ნაშთი მლნ მანეთობით			ანაბრის ნაშთის ზრდა %-ობით		
	ქალაქად	სოფლად	სულ	ქალაქად	სოფლად	სულ
1946	15,0	1,0	16,0	—	—	—
1950	26,0	2,0	28,0	73,0	100,0	75,0
1955	84,0	1,0	94,0	223,0	400,0	236,0
1960	194,0	21,0	215,0	131,0	110,0	128,0
1965	315,0	40,0	355,0	62,0	90,0	65,0

სოფლად ანაბრების ზრდაზე უარყოფით გავლენას ახდენდა ძირითადად ორი ფაქტორი: ჯერ ერთი, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების დონე მუშა-მოსამსახურეთა შესაბამის დონეს მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა, და მეორე, მშრომელი გლეხობის ფულადი ანაბრების მოზიდვის შესახებ ახსნა-განმარტებითი მუშაობა ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე.

ახალ ხუთწლეუდში (1966—1970 წწ.) მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასი გადიდდება საშუალოდ სულ ცოტა 20 პროცენტით და ხუთწლეულის ბოლოს დაახლოებით 115 მანეთს მიაღწევს, ხოლო მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების ჩათვლით (სხვადასხვა დახმარებისა და შეღავათების გათვალისწინებით) — 155 მანეთს; საზოგადოებრივი მეურნეობიდან კოლმეურნეთა ფულადი და ნატურალური შემოსავალი საშუალოდ 35-40 პროცენტით გადიდდება და დაუახლოვდება მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების დონეს; ამით შეიქმნება მეტი მატერიალური შესაძლებლობა სოფლის მოსახლეობის შრომითი ანაბრების ზრდისათვის.

სოციალისტური წარმოების ზრდის საფუძველზე მნიშვნელოვნად მაღლდება მშრომელი მასების მატერიალური კეთილდღეობისა და ცხოვრების საერთო დონე.

1966 წელს 1965 წელთან შედარებით გაიზარდა: ეროვნული შემოსავალი — 7,5 პროცენტით, მშრომელთა რეალური შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით — 6 პროცენტით და მეტად; მუშებისა და მოსამსახურეების

<sup>12</sup> ცხრილი შედგენილია საქართველოს სსრ შემნახველი საღაროების სამმართველოს წლიური ანგარიშგებების საფუძველზე.

საშუალო თვიური ხელფასი — 3,6 პროცენტით; კოლმეურნეთა ფულადი და ნატურალური შემოსავალი საზოგადოებრივი მეურნეობიდან — 16 პროცენტით, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მოსახლეობის მიერ მიღებული დახმარებები და შეღავათები — 7,9 პროცენტით, საქონელბრუნვის მოცულობა სახელმწიფოებრივი და კოოპერაციული ვაჭრობის ქსელში — 8,7 პროცენტით.

ჩვენი ხალხის კეთილდღეობის განუწყვეტელი გაუმჯობესება სოციალისტური წარმოების განვითარებისა და შრომის მწარმოებლურობის განუხრელი ზრდის საფუძველზე მიმდინარეობს. სწრაფი ტემპით იზრდება მოსახლეობის დანაზოგთა ანაბრები, რომლებიც მნიშვნელოვნად უზრუნველყოფენ ადმინისტრაციულ-მეურნეობრივი და საოპერაციო ხარჯების თანხების რაოდენობას, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა მოზიდული თითოეული მანეთის (ანაბრის) თვითღირებულება. ანაბრის თვითღირებულება 1965 წლის 0,54 კაპიკიდან 1966 წლის 0,49 კაპიკამდე შემცირდა.

1966 წელს ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში თითოეული მანეთის ანაბრის თვითღირებულება მნიშვნელოვნად შემცირდა. უნდა აღინიშნოს, რომ ანაბრის ყველაზე დაბალი თვითღირებულება იყო საქართველოში, სომხეთისა და ესტონეთის სს რესპუბლიკებში, სადაც იგი, ადმინისტრაციულ-მეურნეობრივი და საოპერაციო ხარჯების გათვალისწინებით, შესაბამისად უდრიდა: 0,43, 0,44, 0,45 კაპიკს, რსფსრ-ში კი ეს მაჩვენებელი 0,47 კაპიკი იყო. თითოეული მოზიდული მანეთის (ანაბრის) თვითღირებულების შემცირება შემნახველი სალაროს მუშაობის გაუმჯობესების მაჩვენებელია.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველო მაღალგანვითარებული მრეწველობისა და მრავალდარგოვანი სოციალისტური სოფლის მეურნეობის რესპუბლიკა გახდა. საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს რესპუბლიკის დედაქალაქი თბილისი, რომელიც გადაიქცა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ ლამაზ, კეთილმოწყობილ და დიდ მრეწველურ ცენტრად.

ამჟამად ქალაქის ინდუსტრიულ სახეს ლითონდამუშავება და მანქანათმშენებლობა განსაზღვრავს. მრეწველობის ამ დარგებში უკანასკნელ წლებში ჩამართულია თბილისის მრეწველობის მუშაკთა დაახლოებით ორმოცი პროცენტი.

სახალხო მეურნეობის გეგმების წარმატებით შესრულება საუკეთესო საწინდარი გახდა თბილისის მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობისათვის. მარტო უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში (1956—1966 წლებში) ქალაქის კომუნალურ მეურნეობაში 1145 მილიონ მანეთზე მეტი იქნა დაბანდებული. ფართოდ გაიშალა ბინათმშენებლობა, ბოლო ათი წლის მანძილზე საექსპლოატაციოდ გადაეცა 1810 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი. გაიზარდა აგრეთვე სახელმწიფოებრივი და კოოპერაციული ვაჭრობა, რაც ქალაქის მოსახლეობის კეთილდღეობის თვალსაჩინო მაჩვენებელია. ასე, მაგალითად, 1966 წელს საცალო საქონელბრუნვამ 488 მილიონი მანეთი შეადგინა, რაც წელიწადში საშუალოდ მოსახლეობის ერთ სულზე 586 მანეთს უდრის. ქალაქის მოსახლეობის კეთილდღეობის აღმავლობაზე დამაჯერებლად ლაპარაკობს მშრომელთა ანაბრების ზრდა თბილისის შემნახველ სალაროებში (ცხრილი 3).

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, შემნახველი სალაროების რაოდენობა 1967 წელს 1951 წელთან შედარებით 1,4-ჯერ გაიზარდა, მენაბრეთა რაოდენობა — 3-ჯერ, ხოლო მოსახლეობის ანაბართა ნაშთი — 1,2-ჯერ და მეტად. მათ

შორის, მუშებისა და მათი ოჯახის წევრების ანაბარი, მილიონ მანეთობით, 2,3-ჯერ და კიდევ მეტად გაიზარდა, ხოლო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრების ანაბრები არ გაზარდილა, იგივე დარჩა.

შემნახველი სალაროები, როგორც წინათ, ისე მიმდინარე ხუთწლიეშიც უდიდეს როლს შეასრულებენ მოსახლეობიდან თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულაციის საქმეში.

შემნახველ სალაროებში ახლა უფრო კარგად არის შეხამებული მშრომელთა საზოგადოებრივი და პირადი ინტერესები; თანდათანობით იზრდება მოსახლეობის დაინტერესება შემნახველი სალაროების გამოყენებით.

შემნახველი სალაროების, შეანაბრებისა და ანაბრების რაოდ. თბილისში (წლის დასაწყისში)<sup>13</sup>

მაჩვენებლები	1946	1951	1961	1966	1967
შემნახველი სალაროების რაოდენობა . . . . .	56	86	99	123	120
შეანაბრეთა რაოდენობა (ათასი კაცი) . . . . .	30	98	274,3	277,9	294
მოსახლეობის ანაბართა ნაშთი მლნ მან.-ბით . . . . .	74	153	98,5	145,8	187,0
ა ქ ე დ ა ნ :					
მუშებისა და მათი ოჯახის წევრებისა მლნ მან. . . . .	—	22	24,3	38,8	52
მოსამსახურეებისა და მათი ოჯახების წევრ. მლნ მან. . . . .	—	91	54,5	73,0	91

შემნახველი სალაროების როლი და მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება მეურნეობრივი რეფორმის გატარების პერიოდში, რომელიც ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომ აღმავლობას და მშრომელი ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. სსრ კავშირში მოსახლეობის ანაბრები შემნახველ სალაროებში 1967 წლის განმავლობაში გადიდა 17 პროცენტით და 1968 წლის პირველი იანვრისათვის დაახლოებით 27 მილიარდი მანეთი შეადგინა, ხოლო შეანაბრეთა ანგარიშების რაოდენობამ 64 მილიონს მიაღწია. სსრ კავშირში ერთ შეანაბრეზე საშუალოდ მოდის 422 მან. ხოლო ერთ მოსახლეზე — 113 მანეთი და 40 კაპიკი<sup>14</sup>.

შემნახველ სალაროების მუშაობის მასშტაბები ყოველწლიურად იზრდება და მათი კავშირი მოსახლეობასთან დღითიდღე დიდდება; განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც შემნახველი სალაროები სახელმწიფოებრივი ბანკის სისტემაში გადავიდნენ. ამიერიდან, მოსახლეობის სახსრების მოზიდვასთან ერთად მათს წინაშე დაისახა ორგანიზაციების ანგარიშსწორებითი — საკასო მომსახურების განხორციელების, მოსახლეობისაგან კომუნალური მომსახურების გადასახადების მიღებისა და რიგი სხვა ოპერაციის შესრულება.

საქართველოს სსრ რესპუბლიკის შემნახველი სალაროების მუშაობა უნდა უზრუნველყონ მოსახლეობის სწრაფი და კულტურული მომსახურება, რათა ამ გზით გაზარდონ მოსახლეობის თავისუფალი ფულადი სახსრების შემდგომი მიზიდვა. შემნახველი სალაროების მუშაობის კარგი ორგანიზაცია კვლავაც სათანადო ზეგავლენას მოახდენს საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ აღმავლობაზე.

<sup>13</sup> თბილისი, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით, სტატისტიკური კრებული, თბ., 1967, გვ. 136.

<sup>14</sup> გაზ. „კომუნისტი“, 26, I, 68 წ.

ბიხილ გომარელი

**ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდის ტემპების  
ვაშლიანობის კონოლოგიური მუხარამების ანალიზური  
მოსწორების მეთოდით**

საგეგმო მაჩვენებელთა დინამიკის საშუალო მაჩასიათებლების ელექტრონულ-ციფრულ გამოთვლელ მანქანებზე გაანგარიშება — სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და მართვის ავტომატიზებული სისტემების შექმნის მიზნით — დღეისათვის მგეგმავი ორგანოების განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. ამ საკითხის მალაღ, მეცნიერულ დონეზე გადაჭრასთან დაკავშირებით ეკონომიკურ გამოკვლევებში საჭიროა მოვახდინოთ ქრონოლოგიური მწკრივების ანალიზური მოსწორება. ქრონოლოგიური მწკრივების სტატისტიკურ-მათემატიკური დამუშავება (მაგალითად, წლიური, დეკადური ან თვიური მონაცემების მიხედვით) წარმოადგენს ანალიზის ძალზე მნიშვნელოვან მეთოდს<sup>1</sup>.

სოციალისტურ მეურნეობაში მწკრივების ასეთი მოსწორება საჭირო ხდება, მაგალითად, კაპიტალდაბანდების, ნაციონალური შემოსავლის, რეალიზებული პროდუქციის, რენტაბელობისა და სხვა ეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკის შესწავლის დროს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით.

ქრონოლოგიური მწკრივის ანალიზური მოსწორების ერთ-ერთი მთავარი დანიშნულებაა — დაადგინოს მწკრივის განვითარების ძირითადი ტენდენციის ანალიზური სტრუქტურა და განსაზღვროს მისი ზრდის ტემპი.

სხვადასხვა მწკრივების ზრდის ტემპების სწორად განსაზღვრა საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ არსებული პროპორციები, როგორც ცალკეული ეკონომიკური მაჩვენებლების ტემპებს შორის ტერიტორიულ და დარგობრივ კრილში, ისე სხვადასხვა ეკონომიკური მაჩვენებლების ტემპებს შორის სახალხო მეურნეობის მასშტაბით, შედეგების ღრმა ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე კი შეგვიძლია მივიღოთ გადაწყვეტილება საგეგმო მაჩვენებელთა ოპტიმალურად წარმართვისათვის.

ქრონოლოგიური მწკრივების უშუალო მოსწორების პროცესი პირობით შეიძლება ორ ეტაპად დავყოთ:

1. ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების აგება;
2. მოდელების ამოხსნა.

ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების საფუძველს ამა თუ იმ განტოლებათა სისტემები წარმოადგენენ. ასეთი სისტემები ერთმანეთთან აკავშირე-

<sup>1</sup> В. С. Немчинов, Экономико-математические методы и модели, Издательство социально-экономической литературы, М., 1962, стр. 96.

ბენ ეკონომიკურ მაჩვენებლებსა და იმ მახასიათებელ პარამეტრებს, რომლებიც არსებითია მწკრივების მოსწორების ამოცანებისთვის.

მოდელების აგების დროს არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ოპტიმალობის კრიტერიუმის შერჩევის საკითხს. ცხადია, რომ კრიტერიუმის შერჩევისა და ეკონომიკურ მაჩვენებელთა მახასიათებელი პარამეტრების ურთიერთაკავშირების ამსახველ განტოლებათა სისტემის შედგენის დროს მკვლევარი არ შეიძლება მარტო ფორმალურ მათემატიკურ მსჯელობას დაეყრდნოს და უგულებელყოს ესა თუ ის ეკონომიკური კანონი ან პრინციპი. მხოლოდ ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით უზრუნველყოფს მათემატიკური მსჯელობა ცალკეული ქრონოლოგიური მწკრივებისათვის მაღალხარისხივან ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების აგებას (კონსტრუირებას).

მოდელების აგებისთანავე ბუნებრივად ისმის საკითხი მათი ამოხსნის (რეალიზაციის) შესახებ. მოდელების ამოხსნა გულისხმობს გამოთვლითი ალგორითმებისა და პროგრამების შემუშავებას და მათი საშუალებით ელექტრონულ-ციფრულ გამოთვლელ მანქანებზე საწყისი ინფორმაციის (სტატისტიკური მონაცემების) მათემატიკურ დამუშავებას. ამ თვალსაზრისით, მკვლევარები მოდელების აგების დროს ჩვეულებრივ წრფევ სისტემებს იყენებენ და ოპტიმალობის კრიტერიუმად, როგორც წესი, მინიმალურ დისპერსიას ირჩევენ, ე. ი. ქრონოლოგიური მწკრივების ანალიზური მოსწორების ყველა შემთხვევაში უმცირეს კვადრატთა მეთოდს მიმართავენ.

უმცირეს კვადრატთა მეთოდმა ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემის მათემატიკური დამუშავების დროს შეიძლება საკმაო კარგი შედეგი მოგვცეს: მაგრამ ქრონოლოგიური მწკრივების ანალიზური მოსწორების დროს შესაძლოა შემთხვევები, სადაც ეს მეთოდი არასაიმედო და უნაყოფო აღმოჩნდეს.

თანამედროვე მათემატიკური მეთოდებისა და გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების შესაძლებლობა უფლებას გვაძლევს ქრონოლოგიური მწკრივების ანალიზური მოსწორების დროს უმცირეს კვადრატთა მეთოდთან ერთად სხვა პროგრესული მეთოდებიც გამოვიყენოთ. სხვადასხვა კრიტერიუმებით მოდელების აგება და მათი სხვადასხვა მეთოდებით დამუშავება საშუალებას მოგვცემს შევადაროთ ერთმანეთს მიღებული შედეგები და ამის საფუძველზე ვიქონიოთ უკეთესი წარმოდგენა ამა თუ იმ პროცესის განვითარების კანონზომიერების აღდგენისა და მისი ზრდის ტემპის სწორად განსაზღვრის საქმეში.

ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მივიჩნევთ განგვიხილა ქრონოლოგიური მწკრივების ანალიზური მოსწორების ერთ-ერთი მეთოდი, რომელსაც ჩვენ ქვემოთ უმცირეს მოდელთა მეთოდს ვუწოდებთ.

ქრონოლოგიური მწკრივების ანალიზური მოსწორების უმცირეს მოდელთა მეთოდი გულისხმობს, რომ ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელებში ოპტიმალობის კრიტერიუმი განისაზღვროს შემდგენიარად: მოდელების ამოხსნის დროს, ემპირიულ განტოლებათა შეუთანხმებლობის შედეგად წარმოშობილ გადაჩრათა აბსოლუტურ სიდიდეთა (მოდულების) ჯამი მინიმალურა იყოს.

ქრონოლოგიური მწკრივების ანალიზური მოსწორების ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან კერძო შემთხვევას წარმოადგენს მწკრივების მოსწორება ზრდის საშუალო ტემპების გამოყენებით. მწკრივების ასეთი მოსწორების დროს ვუ-

შეებთ, რომ მწკრივის განვითარების ძირითადი ტენდენცია შემდეგი ემპირიული განტოლებით წარმოიდგინება:

$$X_t = ab^t,$$

სადაც პარამეტრი  $b$ , ზრდის საშუალო ტემპი (კოეფიციენტი) და პარამეტრი  $a$  მწკრივის მოსწორების გზით განისაზღვრებიან.

ზრდის ტემპების გამოყენების არსი მწკრივების ანალიზური მოსწორების დროს იმაში მდგომარეობს, რომ მწკრივის ძირითადი ტენდენციის დადგენა ხდება მხოლოდ საშუალო ზრდის ტემპის განსაზღვრის შემდეგ და არა პირიქით.

საკითხისადმი ასეთი მიდგომა თავისთავად გასაგებია, ვინაიდან, ერთი მხრივ, თავიდან ვიცილებთ მოდელეებში არაწრფივი პარამეტრების შემოტანას, რაც ამარტივებს მოდელეების ამოხსნის საკითხს და, მეორე მხრივ, უკეთ ვითვალისწინებთ იმ ძირითად განტოლებებს, რომლებიც არსებითია ზრდის ტემპის პარამეტრის განსაზღვრისათვის.

მეთოდის უშუალოდ განხილვასთან დაკავშირებით დაუშვათ, რომ საწყისი ქრონოლოგიური მწკრივის მოსწორების შედეგად მიღებულია თეორიული მწკრივი.

$$\begin{matrix} Y_1 & Y_2 & \dots & Y_{n-1} & Y_n \\ X_1 & X_2 & \dots & X_{n-1} & X_n \end{matrix}$$

როგორც ვიცით, საწყისი მწკრივის ეკონომიკური ზრდის საშუალო ტემპი, რომელსაც ქვემოთ  $b$  ასოთი აღვნიშნავთ, შემდეგი განტოლებიდან განისაზღვრება<sup>2</sup>.

$$X_{t+1} - X_t b = 0; \quad t=1, 2, \dots, n-1. \quad (1)$$

ეს განტოლება წარმოადგენს იმ ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელეების საფუძველს, რომლებსაც ჩვენ ქვემოთ გამოვიყენებთ.

როგორც თეორიულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა და პრაქტიკულმა გამოთვლებმა დაგვიდასტურა, მოდელეებში ზემოაღნიშნული კრიტერიუმის შემოტანა სრულებითაც არ ართულებს მათი ამოხსნის საკითხს.

როგორც გამოიჩვენა, ასეთი კრიტერიუმებიანი მოდელეებით აღწერილი ამოცანები საზოგადოდ მათემატიკური პროგრამირების ეკვივალენტურ ამოცანებს წარმოადგენენ და მათი ამოხსნის საკითხი საბოლოო ანგარიშით, როგორც წესი, ჩვეულებრივ სიმპლექს-მეთოდზე დაიყვანება. ვინაიდან სიმპლექს-მეთოდის ალგორითმი ელემენტარულ ციფრულ გამოთვლელ მანქანებზე დღეისათვის უკვე კარგადაა ათვისებული, ამიტომ არის საფუძველი, ვიფიქროთ, რომ მწკრივების სტატისტიკურ-მათემატიკური დამუშავების დროს უმცირეს მოდულთა მეთოდი მომავალში ფართო გამოყენებას პოუვებს.

ეკონომიკური ზრდის ტემპების გამოყენებით ქრონოლოგიური მწკრივების ანალიზური მოსწორების უმცირეს მოდულთა მეთოდის საილუსტრაციოდ განვიხილოთ შემდეგი ამოცანა<sup>3</sup>.

ეთქვათ, მოცემულია ნაციონალური შემოსავლის მწკრივი მილიარდ მანეთობით, წლების მიხედვით:

<sup>2</sup> მ. გ. მ ა რ ე ლ ი, „ეკონომიური ზრდის ტემპების გაზომვის ზოგიერთი სტატისტიკური ხერხი, ჟურნალი „საქართველოს სახალხო მეურნეობა“, 1969, № 7, გვ. 68.  
<sup>3</sup> O. L a n g e, Введение в эканометрику, М., 1964, стр. 50.

წლები	1932	1933	1934	1935	1936	1937	1938
ნაციონალური შემოსავალი	45,5	48,5	55,8	65,7	86,0	96,3	105,0

საჭიროა დავადგინოთ ნაციონალური შემოსავლის განვითარების ძირითადი ტენდენციის ანალიზური სტრუქტურა (ემპირიული ფუნქცია) და განვსაზღვროთ მისი ზრდის საშუალო ტემპი.

ნაციონალური შემოსავლის მწკრივის ზრდის საშუალო ტემპის განსაზღვრის მიზნით ავაგოთ შესაბამისი ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი. უნდა შევნიშნოთ, რომ ტექსტის ვადატვირთვის თავიდან აცილების მიზნით ნაშრომში მხოლოდ საბოლოო შედეგებია მოტანილი.

#### მოდელი I

$$45,5 \quad b + \Delta_1 - \Theta_1 = 48,5$$

$$48,5 \quad b + \Delta_2 - \Theta_2 = 55,8$$

$$55,8 \quad b + \Delta_3 - \Theta_3 = 65,7$$

$$65,7 \quad b + \Delta_4 - \Theta_4 = 86,0$$

$$86 \quad b + \Delta_5 - \Theta_5 = 96,3$$

$$96,3 \quad b + \Delta_6 - \Theta_6 = 105,0$$

$$b \geq 0; \quad \Delta_1 \geq 0; \dots; \quad \Delta_6 \geq 0; \quad \Theta_1 \geq 0; \dots; \quad \Theta_6 \geq 0.$$

ვიპოვოთ minimum Z:

$$Z = \Delta_1 + \Theta_1 + \dots + \Delta_6 + \Theta_6$$

ამ ამოცანის სიმპლექს-მეთოდით ამოხსნის შედეგად ვღებულობთ, რომ ნაციონალური შემოსავლის მწკრივის ზრდის საშუალო ტემპი  $b = 1,151$ .

ზრდის საშუალო ტემპის განსაზღვრის შემდეგ საჭიროა დავადგინოთ ნაციონალური შემოსავლის მწკრივის ემპირიული ფუნქცია.

ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი ამ შემთხვევაში მიიღებს შემდეგ სახეს:

#### მოდელი II.

$$1,151 \quad a + \Delta_1 - \Theta_1 = 45,5$$

$$1,151^2 \quad a + \Delta_2 - \Theta_2 = 48,5$$

$$1,151^3 \quad a + \Delta_3 - \Theta_3 = 55,8$$

$$1,151^4 \quad a + \Delta_4 - \Theta_4 = 65,7$$

$$1,151^5 \quad a + \Delta_5 - \Theta_5 = 86,0$$

$$1,151^6 \quad a + \Delta_6 - \Theta_6 = 96,3$$

$$1,151^7 \quad a + \Delta_7 - \Theta_7 = 105,0$$

$$a \geq 0; \quad \Delta_1 \geq 0; \dots; \quad \Delta_7 \geq 0; \quad \Theta_1 \geq 0; \dots; \quad \Theta_7 \geq 0.$$

ვიპოვოთ minimum Z:

$$Z = \Delta_1 + \Theta_1 + \dots + \Delta_7 + \Theta_7$$

სიმპლექს-მეთოდით ამ ამოცანის ამოხსნა გვაძლევს  $a = 39,24$ . ამრიგად ნაციონალური შემოსავლის მწკრივის ემპირიულ ფუნქციას აქვს ასეთი სახე:

$$X_t = 39,24 \cdot 1,151_t$$

ამ ფუნქციით წარმოდგენილი თეორიული მწკრივი მოცემულია ცხრილში:

წლები	1932	1933	1934	1935	1936	1937	1938
საწყისი მწკრივი . . . . .	5,5	48,5	55,8	65,3	86,0	96,3	105,0
თეორიული მწკრივი . . . . .	45,17	51,99	59,84	68,87	79,26	91,23	105,0
გადახარბი . . . . .	8,33	-3,44	-4,04	-3,17	+6,74	+5,07	—

როგორც ცხრილიდან ჩანს, აბსოლუტური ფარდობითი გადახრა 8%-ს არ აღემატება, რაც იმას გვიჩვენებს, რომ მოსწორებული ანუ თეორიული მწკრივი იძლევა ნაციონალური შემოსავლის მწკრივის ადეკვატურ წარმოდგენას. საშუალო გადახრა, როგორც ადვილი დასანახია, 3-71-ის ტოლია. ასეთი შეფასება ნაციონალური შემოსავლის მწკრივების მოსწორების დროს, ცხადია, დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან, პერსპექტიული დაგეგმვის თვალსაზრისით, ასეთი მცირე გადახრები არსებითს გავლენას ვერ მოახდენენ ნაციონალური შემოსავლის განვითარების ძირითად ტენდენციებზე.

ამასთან ერთად საჭიროა შევნიშნოთ, რომ, როგორც არ უნდა იყოს ქრონოლოგიური მწკრივების ანალიზური მოსწორების მეთოდი (სულ ერთია, იქნება ეს უმცირეს კვადრატთა, თუ უმცირეს მოდულთა ან სხვა რომელიმე მეთოდი), აუცილებელი არ არის გამოვიდეთ იმ მოსაზრებიდან, რომ ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდის ტემპების შეფასება მთელ განსახილველ პერიოდში მხოლოდ ერთი მახასიათებლებით — საშუალო ზრდის ტემპებით მოვახდინოთ როგორც ჩანს, ასეთი შეფასება ყოველთვის ვერ მოგვეცემს სასურველ შედეგს<sup>4</sup>.

აქედან გამომდინარე, ზოგიერთი მაჩვენებლის დინამიკის შესწავლის დროს საჭიროა ზრდის ტემპი შევავასოთ დროის ყოველ ინტერვალზე, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, მუდმივი (თანაბარი) ზრდის საშუალო ტემპების ნაცვლად საჭიროა განესაზღვროთ ზრდის ცვალებადი საშუალო ტემპები.

ზრდის ცვალებადი საშუალო ტემპის ცნების შემოტანა ეკონომიკურ კვლევაში საშუალებას მოგვეცემს გადავჭრათ უფრო რთული და საინტერესო საკითხები (დავადგინოთ, მაგალითად, ნაციონალური შემოსავლის ზრდის ტემპის განვითარების ძირითადი ტენდენციის ანალიზური სტრუქტურა და სხვა). ზრდის ცვალებადი საშუალო ტემპი, ანალოგიურად (თანაბარი) ზრდის საშუალო ტემპისა, შემდეგი განტოლებიდან უნდა განისაზღვროს:

$$X_{t+1} - X_t b_t = 0. \quad (2)$$

სადაც  $b_t$  ზრდის ცვალებადი საშუალო ტემპია; იგი, როგორც დროის ფუნქცია, იძლევა ზრდის ტემპის საშუალო შეფასებას განსახილველი პერიოდის ყოველ ინტერვალზე. კერძოდ, თუ დაუშვებთ, რომ ზრდის საშუალო ტემპი არ არის დამოკიდებული დროზე, ე. ი. მუდმივი სიდიდეა, მაშინ, მე-2 განტოლება გადაიქცევა 1 განტოლებად.

ამრიგად, როგორც ვხედავთ მე-2 განტოლება უფრო ზოგადია და მაშასადამე იგი უკეთესად ასახავს ეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკას.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მომავალში უფრო სრულყოფილი მოდელების აგების დროს მე-2 განტოლებას უნდა დავეყარდნოთ და მის საფუძველზე მოვახდინოთ, ქრონოლოგიური მწკრივების ანალიზური მოსწორება.

<sup>4</sup> С. Струмилини, О прогнозах оптимального планирования (Журнал «Вопросы экономики», 1967, № 1, стр. 146).

ასეთი მოდელი საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ ზრდის ტემპების ანალიზური სტრუქტურა როგორც მონოტონურად ზრდადი (კლებადი) ქრონოლოგიური მწკრივების შემთხვევაში, ისე პერიოდული მწკრივების შემთხვევაშიც და გამოვავლინოთ მწკრივის ციკლისებური და პერიოდული რხევები და გავაკეთოთ პროგნოზი ეკონომიკური მაჩვენებლების საშუალო მახასიათებლების ცვალებადობის შესახებ სახალხო მეურნეობის ოპტიმალური პერსპექტიული დაგეგმვის მიზნით.

დასასრულს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ უმცირეს მოდულთა მეთოდი, რომელიც ზემოთ გამოვიყენეთ ნაციონალური შემოსავლის მწკრივის ზრდის საშუალო ტემპის განსაზღვრისა და ემპირიული ფუნქციის დადგენისათვის ანალიზურად გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როცა ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელებს საფუძვლად მე-2 განტოლებას დავუდებთ.

რადგან უმცირეს მოდულთა მეთოდი მწკრივების მოსწორების დროს იძლევა საუკეთესო (მინიმალურ) საშუალო გადახრას, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მეთოდი დიდ გამოყენებას პოუვებს სხვადასხვა მწკრივების საშუალო მახასიათებლების შედარების დროს; განსაკუთრებით — სოციალისტური და კაპიტალისტური ეკონომიკის მაჩვენებლების შედარებისას, ვინაიდან კაპიტალისტური სისტემის წარმოების პროცესების დამახასიათებელ შემთხვევით რხევებს, სხვა ჩვენთვის ცნობილ მეთოდებთან შედარებით, უმცირეს მოდულთა მეთოდი უკეთ ითვალისწინებს მწკრივების მოსწორების დროს.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა  
აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა)

მიხეილ ჩიქოვანი

შუა საუკუნეების სამი რომანის — „ტრისტან და იზოლდას“,  
„აგნესლომ და ეთერის“ და „ვისი და რაჰინის“ ტიპოლოგიური  
პრობლემა

მხატვრული სიტყვიერი შემოქმედების განვითარება გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება. პირველი საერთო შთაბეჭდილება იმაში მდგომარეობს, რომ ყველგან და ყოველთვის სიტყვიერ ხელოვნებას ჯერ ზეპირი სახე აქვს, ხოლო შემდეგ დგება მისი განვითარების ლიტერატურული საფეხური. ეროვნული ზეპირსიტყვიერება ამზადებს ეროვნულ ლიტერატურას. ეს უკანასკნელი მაშინ იწყება, როცა ესა თუ ის ხალხი საკუთარი დამწერლობის დაფუძნებას ახერხებს. ამის შეზღუდულ პროცესს მსოფლიო ლიტერატურა და ფოლკლორი არ იცნობს. რადგან სიტყვიერი ხელოვნების აღმავლობაში სხვაგვარი სურათი არ შეიმჩნევა, ჩვენ იგი საყოველთაო კანონზომიერების გამოხატულებად მიგვაჩნია და ამოსავალ მოვლენად ვთვლით.

სიტყვიერი ხელოვნების განვითარების ეს პროცესი დროის მიხედვით შეუზღუდავია; მას შეუძლია თავი იჩინოს ყოველ დროსა და ყოველ ქვეყანაში იმისდა მიხედვით, ესა თუ ის ხალხი რა პირობებში ცხოვრობს და კულტურის რა საფეხურზე იმყოფება. როგორც წესი, ხალხი უფრო ადრე გამოდის ისტორიულ სარბიელზე, ვიდრე ლიტერატურას შექმნის; ხალხის წარმოქმნისა და დამწერლობის გაჩენის პროცესი ერთდროული არასოდეს არაა ინდური და ანტიკური ლიტერატურები შესამჩნევად გვიან ჩამოყალიბდნენ მათი წარმომქმნელი ხალხების წარმოშობასთან შედარებით. ყოველი ხალხი ზეპირსიტყვიერებით იწყებს მხატვრულ აზროვნებას, თანაც იგი ეროვნული ორგანიზმის ჩამოყალიბების სინქრონული მოვლენაა. მსოფლიო კულტურის ისტორია გვიდასტურებს, რომ ხალხს შეუძლია ათასი წლები იარსებოს მწერლობის გარეშე, მაგრამ უფოლკლორად დიდ ხანს ვერ გაჩერდება. დღესაც რამდენი ხალხი ცხოვრობს დეკამიწის ზურგზე, რომელსაც საკუთარი ენა და წარმოდგენები აქვს, მაგრამ დამწერლობა არ გააჩნია, მაშასადამე, მხატვრული მწერლობაც არ მოეპოვება. ჩვენს დროში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირში, ახალი ლიტერატურები ჩნდება და აყვავებას იწყებენ, თუმცა მათი წარმომქმნელი ხალხები საუკუნეებამოვლილ სიტყვიერებას ფლობენ. აი, რაში მდგომარეობს მხატვრული სიტყვის განვითარების მეორე კანონზომიერება.

ლიტერატურის ჩამოყალიბების დღიდან ფოლკლორის ძლიერი კონკურენტი უჩნდება, რომელიც თავისთავში ისრუტავს თაობების შექმნილ პოეტურ ღირებულებებს და ესთეტიკური აზროვნების ეტალონად გვევლინება. თავის-

თვად ლიტერატურის შექმნა არ ნიშნავს ფოლკლორის გაქრობას. სიტყვიერი ხელოვნების ორივე სფერო ერთმანეთის პარალელურად იწყებენ განვითარებას და მათ შორის გარკვეული კავშირებიც მყარდება ურთიერთ გამდიდრების თვალსაზრისით. ფოლკლორისა და ლიტერატურის თანაარსებობა მხატვრული აზროვნების მესამე კანონზომიერებას წარმოადგენს და მასაც საყოველთაო გავრცელება ახასიათებს.

ჩვენი მსჯელობის თემა სწორედ ამ მესამე კანონზომიერების სფეროს განეკუთვნება და ეპიკური შემოქმედების რთული პრობლემის ჩვენების ცდას წარმოადგენს. ეპოსი ფოლკლორშიც გვხვდება და ლიტერატურაშიც; თითოეულს საკუთარი ყანრები მოეპოვება. ჩვენი წარმოდგენით, ეროვნული სპეციფიკა ამ სფეროში თვალსაჩინოდ მქლავდება, რაც ერთი ხალხის შესახებ ითქმის, იგი შეიძლება ანალოგიას ვერ პოულობდეს მეორე, თუნდაც მეზობელი, ხალხის ცხოვრებაში. ამის გამო მსჯელობისას ყოველთვის კონკრეტული ეროვნული კულტურები გვაქვს მხედველობაში. მაგალითად, ოთხიათასწლოვანი ქართული კულტურის ისტორიაში დღესდღეობით თვალსაჩინოადაა გამოკვეთილი ეპოსის ოთხი სახე: მითოლოგიური (დალის იქმულეებები), საგმირო (ამირანიანი), სამიჯნურო (ეთერიანი, ტარიელიანი) და ისტორიული თამარ დედოფლის, შავლეგოს, სოლოდას, ზურაბის ლაშქრობის და ერეკლე მეორის ლექსები, არეშიძეთა ამოწყვეტა, არსენას ლექსი, ფირალები, მიხას ლექსი). ამგვარი დაღაგება გარკვეულ თანმიმდევრობასაც ასახავს გენეზისის თვალსაზრისით.

## I

ეპოსისმცოდნეობაში ამჟამად ყველაზე სრულიად საგმირო და მითოლოგიური ეპოსის პრობლემაა დამუშავებული. პირველყოვლისა, ეს თვითონ ამ ხასიათის ნაწარმოებთა დიდი მხატვრული ღირებულებით აიხსნება. მართლაც, რა ძვირფას მასალას იძლევიან ამ მხრივ ჰომეროსის პოემები, როლანდის სიმღერა, ნიბელუნგების სიმღერა, ძველი და ახალი ედა. კალევალა, რუსული ბილინები, მიჯაჭვული ამირანი და პრომეთე, როსტომისა და ქოროლდის იქმულეებები, გილგამეშისა და რამაიანას შესახებ რომ არაფერი ვთქვათ. საბჭოთა კავშირში უკანასკნელ ოცდაათწლიან პერიოდში უპირატესად საგმირო ეპოსის შესწავლა მიმდინარეობს. ამას მოწმობს განმარტოვებული ხასიათის პუბლიკაციები ვ. ჟირმუნსკისა სლავი და შუა აზიის ხალხების ეპიკურ შემოქმედებაზე<sup>1</sup>, ვ. პრობისა რუსული ბილინების შესახებზე<sup>2</sup>, მელეტინსკისა ეპოსის წარმოშობაზე<sup>3</sup>, ქართული საგმირო ეპოსის შესახებ ამ სტრუქტურის ავტორისა<sup>4</sup>, ი. ორბელისა სომხურ ეპოსზე<sup>5</sup>, ელ. ვირსალაძისა სამონადირეო ეპოსზე<sup>6</sup>, ი. პუხოვისა იაკუტთა ოლონოზზე<sup>7</sup>, ვ. აბაევისა ნართული ეპოსის თაობაზე<sup>8</sup> და სხვ. შეიძლება ითქვას: ამჟამად საბჭოთა მკვლევარებს უკვე შემუშავებული

<sup>1</sup> В. Жирмунский, Народный героический эпос, М.-Л., 1962.

<sup>2</sup> В. Пропп, Русский героический эпос, Л., 1955.

<sup>3</sup> Е. Мелетинский, Происхождение героического эпоса, М., 1963.

<sup>4</sup> М. Чиковани, Народный грузинский эпос о приключениях Амрамаи, М., 1966.

<sup>5</sup> И. Орбели, Армянский героический эпос, Ереван, 1956.

<sup>6</sup> Е. Вирсаладзе, Грузинский охотничий эпос, Тб., 1964.

<sup>7</sup> И. Пухов, Якутский героический эпос Олонхо, М., 1962.

<sup>8</sup> В. Абаев, Нартский эпос, 1945.

აქვთ ეპოსის, კერძოდ საგმირო ეპოსის, წარმოქმნა-განვითარების მწყობრი თეორია. ამ მიმართულებით ფართო კვლევა-ძიება მიმდინარეობს ევროპაში; ლონდონის უნივერსიტეტთან სპეციალური სემინარიც მოქმედებს, ჩვენთვის გამოგზავნილი ოქმებიდან ჩანს, რომ ეს სემინარი ნაყოფიერ მუშაობას ეწევა სხვადასხვა ეპიკური ძეგლების შესწავლის დარგში.

რა თქმა უნდა, ეპიკური შემოქმედება საგმირო და მითოლოგიური ეპიკებით არ განისაზღვრება. დღის წესრიგში დგება სამიჯნურო-რომანტიკული ეპოსის პრობლემატიკა. ახლა მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ სამი ერთმანეთისაგან ისტორიულად განსხვავებული ხალხის — ფრანგების, ქართველებისა და ირანელების სათანადო ძეგლებზე.

ტრისტან და იზოლდას სიუჟეტის ქართულ ფოლკლორთან მიმართების პრობლემას პირველად 1935 წელს შევეხეთ, ხოლო მომდევნო წლებში დაკვირვების შედეგებიც გამოვაქვეყნეთ<sup>9</sup>. უკანასკნელი სამი ათეული წლის განმავლობაში უპირატესად მასალებს ვაგროვებდით სინქრონული მოვლენების შესწავლისათვის. ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ტრისტანთან მთლიან შესატყვის ნაწარმოებს მხოლოდ „აბესალომ და ეთერის თქმულება“ ანუ „ეთერიანი“ წარმოადგენს. 30-40-იან წლებში ქართული ხალხური რომანი ისე არ იყო გამოკვლეული ეროვნული წყაროების თვალსაზრისით, რომ მისი შედარებით ანალიზი ყოფილიყო შესაძლებელი ევროპულ მასალებთან შეფარდებით. საჭირო იყო თქმულების სრული კორპუსის შექმნა, ვარიანტებისა და ვერსიების მაქსიმალური შეკრება, ძველი ტრადიციის სრული სურათის აღდგენა წერილობითი თუ ზეპირი მონაცემების საფუძველზე ამ ამოცანის გადასაწყვეტად წარმოებულ ძიება 1954 წელს დასრულდა. როცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოცემლობის მეშვეობით ქართულ ენაზე გამოვაქვეყნეთ ჩვენს მიერ დაარსებული „ხალხური სიტყვიერების“ სერიის მე-4 ტომი<sup>10</sup>, რომელიც მთლიანად ეთერიანს მიეძღვნა (ტექსტები, გამოკვლევა, შენიშვნები). ამით უკვე მტკიცე ფილოლოგიური ბაზა შეიქმნა ფოლკლორულ-ლიტერატურული და კულტურულ-ისტორიული დაკვირვებებისთვის, რაც ამჟამად რამდენიმე მიმართულებით ვითარდება.

წერილის სათაურში აღნიშნული სამი რომანიდან ორი ლიტერატურული ფორმითაა მოღწეული, ერთი კი ფოლკლორს არ გასცილება. ივარაუდება, რომ როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ ლიტერატურულ ძეგლებს, მოცემულ მაგალითზე, აღმოცენებაში ხელს უწყობდა ადრე არსებული ხალხური ტრადიცია. ამის კვალობაზე ბუნებრივი იქნება, რომ სიუჟეტურ, სახეობრივ თუ სტილურად დაკვირვებათა ცენტრში წმინდა ხალხური თქმულება დავაყენოთ და მეთოდურად შევადაროთ იგი ჯერ ფრანგულ რანდულ რომანს, ხოლო შემდეგ აღმოსავლურ სამიჯნურო-სათავგადასავლო ნაწარმოებს (ერთადერთი, გორგანისეული რედაქციით შემონახულს). შედარებათა პირველი რკალი ფოლკლორული და ლიტერატურული ნაწარმოებების საერთო მოვლენების კონსტატაციას ისახავს მიზნად, მეორე — ლიტერატურული ძეგლების ურთიერთმიმართებას ეძღვნება, მესამე რკალში კი მოცემულია ცდა გავსცოდნეთ

<sup>9</sup> მ. ჩიქოვანი, ხალხური ვეფხისტყაოსანი, 1937, გვ. 14—29.

<sup>10</sup> ეთერიანი, მ. ჩიქოვანის რედაქციით, შესავალი წერილითა და შენიშვნებით, ხალხური სიტყვიერება, ტ. IV, (შემოკლებით: ეთერ).

სამი თხზულების ფარგლებს და ქართულ ეპიკურ ტრადიციას მივმართოდ საერთოდ, ე. ი. გზა ვავხსნათ ეპიკური შემოქმედების კანონზომიერებისაკენ ზოგადი თვალსაზრისით. ამგვარად, ძიება სამ საფეხურად იყოფა. ეს საფეხურები წინასწარი ვარაუდით შეამავალ კიბეს არა ჰვავს, არამედ გაშლილი ზღვის ტალღებს, რომლებიც წრიულად ვრცელდებიან, ერთმანეთში იხლართებიან და, თანაც, თითოეულს დამოუკიდებელი აღმქვრელი ცენტრი მოეპოვება.

ა) ქართული ხალხური რომანის მიხედვით, აბესალომსა და ეთერს — ევროპული რომანის ტრისტანისა და იზოლდას მსგავსად — ერთმანეთი თავდავიწყებით უყვართ. ეს სიყვარული მარადიულია და თვით სიკვდილსაც არ ძალუძს მისი აღმოფხვრა, შეწყვეტა. ამ ორი წყვილის ურთიერთსწრაფვა წარმოშობით სხვადასხვაა. აბესალომს ეთერი ველზე შეხვედრისას შეუყვარდა, ხოლო ტრისტანისა და იზოლდას მიჯნურობის მიზეზი ჯადოსნური წამალია, რომელიც შემთხვევით დალიეს გემზე წყურვილის მოსაკლავად. თუ გავიხსენებთ, რომ სასწაულებრივი წამლის მიღებას წინ უსწრებდა წყურვილი, რასაც ქალ-ვაჟი თანაბრად განიცდიდა, უნდა ვთქვათ, რომ ტრისტანსა და იზოლდას ერთმანეთი მაგიური ჩარევის გარეშეც უყვარდათ, ისე როგორც ეს წარმოდგენილია ქართულ ფანტასტიკურ ზღაპრებში, როცა მბრძანებელი თავის ხელქვეითს ავალებს სადღეოფლოდ მზეთუნახავის მოყვანას.

ბ) დასწეულებული აბესალომის (ასევე ტრისტანის) განკურნება მხოლოდ მიჯნური ქალის ეთერის (იზოლდას) დაბრუნებით არის შესაძლებელი. სიცოცხლის წყარო — მზეთუნახავი ეთერი (იზოლდა) მურმანს (მარკი) ჰყავს გამოკეტილი ციხედარბაზში და მეთვალყურეთა გარემოცვაში იპყობება.

გ) როგორც ეთერის, ისე იზოლდას სწეულ ჰაბუტებთან მისვლა დიდ დაბრკოლებებთან არის გადასლართული. აბესალომი კარგა ხანს არჩევდა მოციქულს, რადგან დღის — უშტარ-ნათელისა და უფროსი დის — მარიამ-ვარსკვლავის ელჩობამ უშედეგოდ ჩაიარა. მისია უმცროსმა დამ — მარებ-ვარსკვლავმა იკისრა. სარეცელს მიკრული აბესალომი დას მიმართავს:

—ადექ, მარებ-ვარსკვლავო, ეთერსა კარსა უარე,  
 თუ გვითხოს ჩემი ამბავი, დაქექ და წერილად უამბე,  
 (ეთერ., № 3, გვ. 65)

ძმის ბედით შემოფოთებულმა დამ სამი თვე უტრიალა თვალუწვდენ კოშკს, სანამ ეთერთან გამოლაპარაკებას მოახერხებდა.

—სამი თვე ვარსა ვიარე, მარტი, აპრილი, მაისი,  
 ეთერო, შენის ნახვითა ძმა მომირჩინე მე ისი,  
 ავიღებ ბარსა, ნიჩაბსა, გზასა ვანგროვებ ქვიშასა,  
 შიგ და შიგ ჩაყერი ჩინარსა, არ დავანახებ მზის თვალსა.  
 (ეთერ., 3, 65)

ეთერმა შეიტყო, თუ არა აბესალომის ავადმყოფობა, მსწრაფლ მოუბრუნდა გული მიჯნურზე და მისკენ გამოეშტრა.

ეთერის გამოწვევის დრამატული ეპიზოდიდან დიდად არ განსხვავდება იზოლდას გამომგზავრება. აბესალომის დის, მარების ფუნქციას აქ ტრისტანის მძაღნაფიცი ასრულებს.

მოშხამული ტრისტანი ძმობილს ხვეწნით ეუბნება: „ნუ დააყენებთ, ჩემო საყვარელო თანამებრძოლო, და რაც შეიძლება საჩქაროდ დაბრუნდით; თუ დაიგვიანებთ, ცოცხალს ვეღარ მომისწრებთ. ორმოცი დღის ვადა მომი-

ცია ოქროსთმიანი იზოლდას მოსაყვანად... ჩემს კარგ ხომალდში ჩაჯექით; თან წაიღეთ ორი იალქანი: ერთი თეთრი და ერთიც შავი. თუ იზოლდა დედოფალს წამოიყვანთ, თეთრი აფრა აუშვით, თუ ვერ წამოიყვანთ—შავი“<sup>11</sup>. ერთგულების ბეჭედის დანახვისთანავე იზოლდამ მიატოვა სამეფო დარბაზი და მიჯნურის საშველად გამოემართა.

ამგვარი ნაბიჯით ეთერმა და იზოლდამ თავიანთი სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდეს; პირველს ეშმაკისათვის სულმიყიდული მურმანის შურისძიება ემუქრებოდა, მეორეს კი — მეფე მარკის მომაკვდინებელი რისხვა.

დ) როგორც ქართული ხალხური, ისე ევროპული რომანის მიხედვით, მიჯნურმა ქალებმა დაიგვიანეს თავიანთ რაინდებთან მისვლა. აბესალომი ეთერის მოლოდინში კედლისაკენ პირშექცეული ელოდებოდა სიკვდილსა და მიჯნურს ერთსა და იმავე დროს. ხალხური მთქმელი ამბავს ამძაფრებს იმით, რომ, როცა ეთერი სახლში შემოვიდა და აბესალომმაც თვალი შეასწრო, ვაჟმა სული განუტევა სიხარულის მაგიერ. ქართულ-კელტური სიუჟეტები დეტალებშიც კი ემთხვევიან ერთმანეთს: ეთერის გამოჩენისას აბესალომს პირი კედლისაკენ ჰქონდა მიქცეული. ეთერი ამბობს:

—აბესალომ ნისლიო, პირი კელათ გიქნიაო,  
აბა, აქეთ შამამხედ, მე რა ავი მიქნიაო.  
(ეთერ., 10, 93)

ორივე შედეგრი თითქოს ერთი ავტორის ქმნილება იყოს, ისე იმეორებენ ერთმანეთს. „ტრისტანი კედლისკენ გადაბრუნდა და თქვა: მე მეტხანს აღარ შემიძლია სულის დაჭერა! შემდეგ სამჯერ გაიმეორა: იზოლდა მეგობარო — და სული განუტევა“<sup>12</sup>.

ე) ოკეანეს ტალღების ხმაურში გაზრდილ დედოფალ იზოლდას მოქმედება ბევრ რამეში განსაცვიფრებლად ჰგავს ფშაველი თუ ქართლელი ობოლი გერის, შემდეგ ნადედოფლარი ეთერის საქციელს. მათს ყოველ ნაბიჯსა და ქცევაში ჩანს მიჯნურისადმი უსაზღვრო თავდადება, გამბედაობა და აღამიანურ უფლებათათვის ბრძოლა. როგორც რუსთაველი იტყოდა XII საუკუნეში: სიყვარული ავაამაღლებს (791,1). სწორედ ამ იდეალურ ფონზე ვითარდება სიუჟეტი და ლოგიკურ დასასრულს გმირთა ტრაგიკულ ბედში პოულობს. ნაწარმოებების დასასრულიც ერთნაირია: ეთერი (იზოლდა) ცოცხალი აღარ გამოსულა აბესალომის (ტრისტანის) სამყოფელიდან. ორივე მიჯნური ქალი თვითგანწირვით ამთავრებს სიცოცხლეს. ორთავე თავიანთი რაინდების გვერდით ეცემიან. ეთერმა აბესალომის ნაჩუქარი დანით მოისპო სიცოცხლე:

აბესალომის დანაო, უბეში დევხარ განაო,  
ამოგიღებ და დაგიკრამ მარცხენა ძუქუსთანაო.  
(ეთერ., 2, 63)

ამ შემზარავი სურათის სხვადასხვანაირი ვერსია არსებობს ფოლკლორში პროზითაც და ლექსითაც. „ამოიღო დანა, დაიცა ძუქუსთან და ეთერმა და აბესალომმა ერთად განუტევეს სული“ (ეთერ., 4,71), — არის ნათქვამი მეორე ჩანაწერში.

იზოლდამ ტრისტანის ცხედარს შურიანი ხელთებრა იზოლდა მოაშორა თუ არა: „აღმოსავლეთისაკენ მიბრუნდა და ღმერთს შეევედრა. შემდეგ ცხე-

<sup>11</sup> წიგნი ტრისტანისა და იზოლდასი, გ. ქ ი ქ ო ძ ი ს თარგმანი, 1953, გვ. 252.

<sup>12</sup> იქვე, გვ. 262.

ღარს სუღარა ოღნავ ვადანადა, გვერდით მიუწევა, პირსახე და ტუჩები დაუკოცნა და მოეხვია, სხეულით სხეულს მიეწევა, პირით-პირს და თავისი მეგობრის გვერდით სული განუტევა მისი დიდი ტანჯვის გამო<sup>13</sup>.

3) ხალხი-ეპიკოსი ვერ უტირღებდა ამბის ტრაგიკულ დასასრულს. მიუხედავად გადაულახავი დაბრკოლებების შექმნისა, კოლექტიური გენია ბრინც არ კარგავს იმედს და მარადიულ იდეალს ქმნის. აბესალომი და ეთერი, ტრისტანი და იზოლდა დაიღუპნენ, მათმა გულწრფელმა სიყვარულმა ამ უკუღმართ ქვეყანაში ვერ პოვა შესაფერი ნიადაგი, მაგრამ მათი ერთგულება მაინც უჭკნობია და მარადიული. ქართულ-კელტურ-ფრანგული ესთეტიკური შეხედულებანი პრობლემების მხატვრულ გადაწყვეტაშიც თანხვედნილი აღმოჩნდნენ: შეყვარებულ წყვილთა საფლავები მცენარეებით დამშვენდნენ. ქართველი მგოსანი საკუთარ იდეალს ზედისაგან განწირული ეთერის სიტყვებით გადმოსცემს:

აბესალომის დანაო, ჯიბეს მიღებხარ, ვანაო,  
 ამოვიღებ და დაგიცემ მარცხენა ძუძუსთანაო,  
 პირი ჩემკენ, ტარი შენკენ, შეც დაგაკვებდი თანაო,  
 ერთადღე დაეხოცებით, ერთადამე დაგემარხვიანო,  
 თავს ვარდი ამოსულიყვეს, დილის ნიავი შლიდესო,  
 ზედ მოდიოდნენ ჩიტები, ბუღობდნენ, ბარტყებს ზრდიდესო,  
 (ეთერ., 13, 103)

ქალ-ვაჟის საფლავებზე, ერთი ვერსიით, ია და ვარდი ამოვიდა, რომლევიც მუდამ ერთმანეთისაკენ იხრებოდნენ სააღერსოდ (ეთერ., 10,93), მეორე ვერსიით — მხოლოდ ვარდები. მთქმელი ენაწყლიანობის გარეშე გვიამბობს: აბესალომი და ეთერი ერთად დამარხეს. იმათ საფლავზედ ორივეზედ ვარდი ამოვიდა და ეს ვარდები, თითქოს ადამიანები არიან, ესე ერთმანეთზედ გადაიკრიხნენ; ფეხთან წყარო გამოვიდა, ვინც დალევდა, შანდობას ეუბნებოდა“ (ეთერ., 14, 109). ხალხი აქ ბოროტ მურმანსაც არ იფიწყებს; მის საფლავზე ეკალ-ძეძვი ჩნდება. ტრისტანის რომანშიც მარადიული სიყვარულის სიმბოლოს მიჯნურთა საფლავებზე ამოსული მცენარეები წარმოადგენს ტრისტანის მხარეზე აღმოცენებული სურნელოვანი მყვლის ტოტები იზოლდას საფლავში ჩაეშვა. სამჯერ სცადეს აყვავებული ნორჩი ბუჩქის ამოგდება, მაგრამ ამაოდ. ასე იქცა საქართველოში უჭკნობი სიყვარულის სიმბოლოდ აბესალომისა და ეთერის საფლავები, ხოლო ტრისტანისა და იზოლდასი კი საფრანგეთში.

სიმბოლური მცენარეების გამოყენება სლავურ ფოლკლორშიც გვხვდება ვასილისა და სოფიუშკას ბალადურ სიმღერაში<sup>14</sup>.

ზ) ქართული და კელტური სიუჟეტების მიხედვით, მიჯნურთა საფლავები ერთმანეთის გვერდითაა. ეთერიანში მზეთუნახავი ქალი სულთმობრძავ აბესალომს ნუგეშად იმას ჩასძახის, რომ ერთად დაგვმარხავენ, არ გვეგონოს, სამზეოს ვრჩებოდე მურმანის სანუგეშოდო (ეთერ., 33,177; 29,169; 28,150). მთქმელის წარმოდგენით მიჯნურთა სხეულები უხრწნელია: „ეთერი და აბესალომი შიშვლით ერთადა წვანანო, ეთერს რომ წყლული არ სჭირდეს, ნამძინარევეთა ჰგვანანო“ (ეთერ., 29,167). ეთერსა და აბესალომს სამუდამო

<sup>13</sup> იქვე, გვ. 263—64.

<sup>14</sup> В. Пропп, Русский героический эпос, Л., 1855, стр. 8.

განსასვენებელი ხალხმა ერთად მიუჩინა. ათეულობით ძველსა და ახალ ჩანაწერში ნათქვამია, რომ ქალ-ვაჟს ხალხი ერთად მარხავს; სამგლოვიარო ცერემონიალში სამეფო გვარეულობის მონაწილეობა გამოყოფით არსად აღნიშნული არაა, თუმცა აბესალომი სახელოვანი ხელმოწიფის შვილია. აბსოლუტური მონარქიის ქვეყანაში, საფრანგეთში, ტრისტანისა და იზოლდას ჭირსუფულს ისევ მეფე მარკი წარმოადგენს, რომელიც მიცვალებულთა გვამებს ბრეტანიდან ტენტაჟელში გადმოსვენებს და საკურთხეველის მახლობლად მიუჩენს ადგილს, ქრისტიანულ წესზე<sup>15</sup>.

ჩანს, ქართულ თქმულებას შენარჩუნებული აქვს უძველესი დემოკრატიული მსოფლმხედველობა და ხალხური ფილოსოფიის მხატვრულ სახეებში ამეტყველების შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს.

აქამდე ტრისტან და იზოლდას თავგადასავალს აბესალომ და ეთერის თქმულებას ვადარებდით მხოლოდ. შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ ორი ნაწარმოების სიუჟეტური და სახეობრივი თანხვედნილობა დადასტურებულია. ევროპაში ხალხურ საწყისებზე დამუშავებული რომანი თვალსაჩინო სიახლოვეს ამჟღავნებს ჩვენს ხალხში შემონახულ ქართულ რომანთან. თანხვედნილია მხატვრული სახეები, სიუჟეტის საერთო მიმდინარეობა, რამდენიმე დეტალი და, რაც მთავარია, ძირითადი ესთეტიკური პრობლემა და მისი მხატვრული გადაწყვეტა.

პირველი რეალის ძიებანი ჩვენ შეგვიძლია აქვე განვაგრძოთ და ტრისტანიანასთან შესადარებელ მასალათა შორის გამოვიყენოთ არა მარტოდენ ეთერიანი, არამედ მდიდარი ქართული ფოლკლორის სხვა ჟანრებიც, სახელდობრ — ზღაპრები და საგმირო ეპოსი, საერთოდ კი მთელი ხალხური ტრადიცია. ვფიქრობთ, ამით მეტ ნათელს მოვფენთ ტრისტანიანას ზეპირსიტყვიერ წანამძღვრებს და გარკვეულ მასალასაც შევამზადებთ ლიტერატურული რომანის რეალური ისტორიისათვის.

მაშასადამე, გავსინჯოთ რამდენიმე ფაქტი ლიტერატურულ-ფოლკლორული ურთიერთობის სფეროში ტრისტანის თავგადასავლის კვალდაკვალ.

1. კელტურ თქმულებაში საბედისწერო რომანი დაიწყო მაშინ, როცა მარკ მეფეს იზოლდას ოქროს თმები ჩაუვარდა ხელში. ამ მომენტიდან ხანდაზმული მეფე თანხმდება ცოლად შეირთოს ის, ვისაც მერცხლების მიერ მოტანილი თმები ეკუთვნოდა. კელტური თქმულების ოქროს თმა ჩვენ უნდა შევადაროთ არა ზღაპრებში ცნობილ ასეთსავე თმას, არამედ მისგან მცირედ განსხვავებულ ჯადოსნურ ოქროს პერანგს. ქართულ ზღაპარში — „სასწაულმოქმედი პერანგი“ — მეფემ ჩიტის მიერ ველზე დაგდებული ოქროს პერანგი იხილა და ცოლად იმ ქალის შერთვა განიზრახა, ვისაც ჩიტისგანვე მოქსოვილი პერანგი ეკუთვნოდა<sup>16</sup>.

2. მომავალი დედოფლის აღმომჩენსა და მოწყვანს მეფე დიდ საჩუქარს ჰპირდება. „სასწაულმოქმედი პერანგში“ ამ ფუნქციას დედაბერი ასრულებს, მაგრამ იგივე ფუნქცია სხვა პერსონაჟსაც შეუძლია იკისროს. აკი მარკ მეფის სურვილის აღმსრულებელი ტრისტანი აცხადებს: „მე წავალ ოქროსთმიანი ქალწულის საძებნელად“<sup>17</sup>.

<sup>15</sup> წიგნი ტრისტანისა და იზოლდასი, 1953, გვ. 264.

<sup>16</sup> ხალხური სიბრძნე, I, 1963, გვ. 236.

<sup>17</sup> წიგნი ტრისტანისა და იზოლდასი, 1953, გვ. 37.

3. ირლანდიელებს საშინელი ურჩხული შეეჩვია და ქალაქში არავის უშვებდნენ, თუ მსხვერპლად ქალწულს არ მიართმევდნენ<sup>18</sup>. ეს ფანტასტიკური ეპიზოდი მსოფლიოშია გავრცელებული წყლის მიმტაცებელი ურჩხულის, გველეშაპის თუ ღვევის სიუჟეტის სახით; იგი ქართულ ეპოსშიც ფართოდაა დამუშავებული და საგანგებოდ გვაქვს გამოკვლეული<sup>19</sup>.

4. ურჩხულთან საბრძოლველად რაშზე ამხედრებული ტრისტანი<sup>20</sup> ქრისტიანული წმინდა გიორგის თარგზე გამოჭრილი სახეა, გიორგის იკონოგრაფიული გამოხატულებანი კი ქართულ ხელოვნებაში გაცილებით ადრეა დადასტურებული, ვიდრე ფრანგი მწერლები XII საუკ. მეორე ნახევარში თავიანთ ნაწარმოებებს შექმნიდნენ კელტური წარმოშობის სიუჟეტზე დაყრდნობით.

5. ზღაპრულ ყაიდაზე, ირლანდიის მეფემ ურჩხულის მკვლელის ჯილდოდ მშვენიერ იზოლდასთან შეუღლება გამოაცხადა. ბევრმა რაინდმა ამაოდ წააგო თავი. ძნელი დავალების შესრულება მხოლოდ ტრისტანს არგუნა ბედმა, თუმცა მასაც ურჩხულის ცრუმკვლელობა გამოემტკიცებდა მოუხდა. მსგავსი ეპიზოდი არაერთ ზღაპარშია შესული. ზოგჯერ მზეთუნახავის მხსნელს თვითონ არ სურს გამოჩენა, მაგრამ ბოლოს მაინც წარუდგება მეფეს<sup>21</sup>.

6. მოულოდნელად იზოლდამ საშინელი დანაშაული განიზრახა ბრანციანის მიმართ: მონებს გადასცა მოსაკლავად. მსახურებმა ერთგული ქალი შეიბრაღეს, ტყეში ხეზე მიაბეს, იზოლდას კი ბრძანების შესრულების ნიშნად ლეკვის ენა მოუტანეს<sup>22</sup>. ანალოგიური მოტივი ეთერიანშიც გვხვდება დედონაცელის ვერაგობასთან დაკავშირებით. შურიანმა დედონაცელმა გერის გულ-ღვიძლი მოითხოვა. საბრალო მამამ შვილი ტყეში ვადაშალა, ხოლო დედონაცელს პატარა გოშპარას გულ-ღვიძლი მიართვა (ეთერ., 7, 74). სახალხო მთქმელი ღიმილით ამბობს: „იმას ეგონა ეთერის გულ-ღვიძლი შევჭამეო და მამამ კი ძალი დაუკლა“ (ეთერ., 7, 75).

7. ტრისტანსა და იზოლდას ფიცის ბეჭედი აკავშირებს; ბეჭდის დანახვისთანავე იზოლდა ტრისტანის სურვილს უსიტყვოდ ასრულებს<sup>23</sup>.

ეს იგივე ზღაპრული ბეჭედია, რომელიც ხშირად გვხვდება მსოფლიო ეპოსში გმირთა გამოცნობის თუ ამბის შემტყობინებლის, ერთგულების თუ ნატერის თვალის ფუნქციით. ამ ჯადოსნურ საგანს ქართული ხალხური პროზაც კარგად იცნობს.

8. მარკ მეფემ იზოლდას ცეცხლით გამოცდა მოუწყო. ქალმა შემძვია: ჩემი მბრძანებლის მარკ მეფისა და ამ ბეჩავი მწირის გარდა სხვა არავინ შემხებიაო<sup>24</sup>. „ორაზროვანი ფიცის“ ნოველისტური მოტივი ტრისტანიანას გარეშეც არის ფიქსირებული ლიტერატურასა და ფოლკლორში. ორაზროვანი ფიცის მაგალითი ქართულ ფოლკლორში რამდენიმეჯერ გვხვდება.

ა) იმერულ ზღაპარში ქალი მდინარის პირას საჯაროდ აცხადებს: „თუ მე მეორე ნაპირას გადავსულიყო (შეყვარებულთან) მას შემდეგ, რაც ეს წყალი მიდის, რომელსაც თქვენ ხედავთ, წყალში დამხრჩვავი გენახოთო“.

<sup>18</sup> წიგნი ტრისტანისა და იზოლდასი, 1953, გვ. 37.

<sup>19</sup> მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 280-97.

<sup>20</sup> წიგნი ტრისტანისა და იზოლდასი, გვ. 41.

<sup>21</sup> ქართული ხალხური ზღაპრები, I, 1938, გვ. 97.

<sup>22</sup> წიგნი ტრისტანისა და იზოლდასი, 1953, გვ. 70.

<sup>23</sup> იქვე, გვ. 151.      <sup>24</sup> იქვე, გვ. 167.

ქალი გააპართლეს, რადგან მიიჩნის, რომ იგი მდინარის შესახებ ლაპარაკობდა, ხოლო მათიცარს კი მხედველობაში ის წყალი ჰქონდა, რომელიც ყოველ წუთს იცვლებოდა კალაპოტში. ბ) ქურდმა დაიფიცა: რაც აკენიდან ამოვედი არაფერი მომიპარავსო, სინამდვილეში ფიცის წინ აკვანში ჩაწვა საგანგებოდ; გ) სხვისი მიწის მიმსაკუთრებელმა კაცმა ფესხაცმელში საკუთარი ნაკვეთის მიწა ჩაიყარა, მერე სადავო ნაკვეთში შევიდა და თამამად დაიფიცა: საკუთარ მიწაზე ვდგავარო<sup>25</sup>.

ტრისტანიანაში წარმოდგენილი ცრუ ფიცის ანალოგები გვხვდება ინდურ „ვიკრამაჩარიტრაში“, მონღოლურ „არჯი-ბორჯში“, სპარსულ „სინდბადში“, ქართულად რომ „თიმსარიანის“ სახელით არის ცნობლი, ბოკაჩოს „დეკამერონში“ (111,3) და იტალიურ თქმულებაში რომის ერთი ქანდაკების შესახებ, რომელთანაც დამანაშავეებს აფიცებდნენ. გადმოცემის მიხედვით, ქანდაკება პირლია იყო და მათიცარს პირში ხელი უნდა ჩაეყო, თუ ტყუილს იტყოდა, ქანდაკება თითებს მოკვეთდა. ორაზროვან ფიცზე ფართო ლიტერატურა არსებობს, მის განიხილავდნენ როგორც XIX საუკუნის, ისე ჩვენი დროის მკვლევრები<sup>26</sup>. ეს მოტივი ორგული ცოლის სახელს უკავშირდება საერთოდ და მისი საწყისები შეიძლება დაიძებნოს უძველეს „პანანატატრასა“ თუ სხვა კრებულებში<sup>27</sup>.

9. ტრისტანის სიუჟეტი მსგავსებას ამჟღავნებს ქართული ამირანიანის უძველეს ვარიანტებთან, რომელთა იბერია-კოლხიდაში არსებობა ანტიკური წყაროებით დასტურდება, უფრო ადრინდელ არქეოლოგიურ ძეგლებზე რომ არაფერი ვთქვათ.

ა) ტრისტანი ამირანივით ვეშაბთმებრძოლია. ტრისტანის ურჩხულთან ბრძოლა ამირანის გველეშაბთან და დევთან შებმას ჰგავს. კელტური მითოლოგიური დრაკონი ქართული მითოლოგიური გველეშაბის თვისებებს ატარებს. ტრისტანმა ისე მძლავრად ჩასცა მახვილი ურჩხულს, რომ ჰაერი შეიძრა. ასევე, როცა ამირანი ბაყბაყ დევს ეომებოდა — „მიწას გაჰქონდა გრიალი“<sup>28</sup>.

ბ) როგორც 1935 წელს აღვნიშნავდით, რაინდული რომანის იზოლდა ამირანის დედას ნადირობის ქალღმერთ დაღს მოგვაგონებს. იზოლდას ატრიბუტი ოქროსფერი თმებია; დალიც ოქროს ნაწნავებით არის სახელგანთქმული<sup>29</sup>. გენეზისითაც და მხატვრული გაფორმებითაც ეს შორს მდგომი ნაწარმოებები ერთგვარ მითოლოგიურ სუბსტრატს ემყარებიან. „ქერა უზოლდა, ოქროსთმიანი ქალწული, მშვენიერი როგორც დილის ცისკარი“<sup>30</sup> ირლანდიის ძვირფას საუნჯეს წარმოადგენს, სვანი ხალხური მგოსანი თავის სიმპათიურ გმირ ქალს მსგავსი ნიშნებით ავილდოებს: „გამოქვაბულში დალი იწვა, გასაოცარი სილამაზისა იყო, ოქროს ნაწნავები ჰქონდა“<sup>31</sup>.

<sup>25</sup> კ. კეკელიძე, ეტიუდები, II, 1945, გვ. 90—91.

<sup>26</sup> ალ. დლოტი, ქართული ხალხური ნოველა, II, 1966, გვ. 42.

<sup>27</sup> А. В е с е л о в с к и й, Собрание сочин., VII, в. I, Пет., 1921, стр. 56—63.

<sup>28</sup> მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, 1947, გვ. 315.

<sup>29</sup> მ. ჩიქოვანი, ხალხური ვეფხისტყაოსანი, 1937, გვ. 25.

<sup>30</sup> წიგნი ტრისტანისა და იზოლდასი, 1953, გვ. 27.

<sup>31</sup> მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, გვ. 356.

10. ტრისტან და იზოლდას საერთო მოტივები მოეპოვება XII საუკ. დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის პოემასთან და უფრო მეტად ამ უკანასკნელის ფოლკლორულ ვერსიასთან. ტრისტან და იზოლდა ბოლო დროს ყურადღებას იმსახურებს რუსთაველოლოგიური თვალსაზრისითაც<sup>32</sup>.

ა) რუსთაველის სწორუპოვარი ნესტანდარეჯანი (ხალხურში ლერწამ-დარეჯანი) კიდობანში ჩაქეტეს და ზღვით გაიტაცეს. ქართულ ნაწარმოებში ზღვის „კერძი“ ქალწულია, კელტურ-ფრანგულში კი ვაჟი. ფუნქციათა შორის განსხვავებაცაა: ლერწამ-დარეჯანი „წყალს მისცეს დაძალებითა, ზღვამ იბრალო, არ შთანთქა, წაილო ქანქანებითა“<sup>33</sup>. აქ წყალი გმირის მეგობარი და მშველელია. ტრისტანი თვითონ მიისწრაფვის წყლისაკენ, რათა განკურნება ჰპოვოს უცნობ მხარეში. „მე მინდა ზღვაში შევეცურო... მე მინდა, რომ ტალღებმა შორს წამიყვანონ მარტოდმართ“<sup>34</sup>. შვიდ დღესა და დამეს მიაქანებდნენ უიაღქნო და უნიჩხო ნავს ზღვის ტალღები, სანამ იზოლდას ქვეყანას არ მიაღდა, იქ კი ტრისტანმა მომავდინებულ სნეულებას თავი დააღწია იზოლდასგან მიწოდებული თერიაკის წყალობით.

ბ) ტარიელიცა და ტრისტანიც სამეფო-სადედოფლო ქალებს ეძებენ, პირველი საკუთარი ბედისთვის ზრუნავს, ხოლო მეორე მეფე-ბიძისათვის. ძიება ბედნიერად მთავრდება, თუმცა ტრისტანი ტრაგიკულ ხვედრს მაინც ვერ ასცდა.

გ) ლერწამ-დარეჯანი და ქერა იზოლდა ბეჭედებს ატარებენ. ხალხურ „ვეფხისტყაოსანში“<sup>35</sup>, როცა მონადირეებმა ქაჯებს ისრები დაუშინეს, მათი ტყვე-ქალი შეერთა და „ხელიდან ოქროს ბეჭედი გადაუარდა“, ავთანდილმა ბეჭედი ტარიელს მიუტანა. მეორე ვარიანტით, ქაჯთა ქვეყანაში ტარიელის ძმათნაფიცი ნესტანდარეჯანს ბეჭდის საშუალებით გამოიცნობს. ტრისტანსა და იზოლდას შორის ბეჭდის გამო მტკიცე შეთანხმება არსებობს: „მეგობარო ტრისტან, როგორც კი მწვანე იასპის ბეჭედს დავინახავ, ყოველივე დაბრკოლებას გადავლახავ, კოშკსაც, ციხესაც და გალავნსაც, და ჩემი მეგობრის სურვილს შევასრულებ“, ამბობს იზოლდა და პირობას სიკვდილამდე იცავს<sup>36</sup>. როგორც აღნიშნული იყო, ბეჭდის მოტივი ფართოდაა ცნობილი. ნახსენები „სასწაულმოქმედი ზერანგის“ სხვაგვარი ვერსია — „ტიტველი მგლის ზდაპარიც“ შეიცავს ამ მოტივს: ქმარი-მებაღე ბეჭედს საზამთროში მოათავსებს და ამით გააგებინებს მზეთუნახავს მხსნელის მოსვლას<sup>36</sup>.

დ) მკვდარი, თუ სიკვდილის პირზე მისული ამირანი, ტარიელი და ტრისტანი სასწაულებრივი საგნების დახმარებით განიკურნებიან. ამირანს სიცოცხლეს ბალახის საშუალებით ყამარი დაუბრუნებს<sup>37</sup>, ტარიელს თბილი სისხლით თუ ცრემლით ავთანდილი ადადგენს, ხოლო ტრისტანს იზოლდას მიწოდებული თერიაკი გადაარჩენს<sup>38</sup>.

<sup>32</sup> ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, 1966, გვ. 286.

<sup>33</sup> მ. ჩიქოვანი, ხალხური ვეფხისტყაოსანი, 1937, გვ. 74.

<sup>34</sup> წიგნი ტრისტანისა და იზოლდასი, 1953, გვ. 29.

<sup>35</sup> იქვე, გვ. 151.

<sup>36</sup> ხალხური სიბრძნე, I, 1963, გვ. 163.

<sup>37</sup> М. Чиковани, Народный грузинский эпос о прикованном Амирани, М., 1966, стр. 215.

<sup>38</sup> მ. ჩიქოვანი, ხალხური ვეფხისტყაოსანი, 1937, გვ. 29—32.

11. კელტური წარმოშობის რომანში შიშველ მახვილს მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია; ორ მიჯნურს შორის მოთავსებულმა იარაღმა სიკვდილს გადაარჩინა ტრისტანი და იზოლდა. „განა საყოველთაოდ ცნობილი არ არის, რომ შიშველი იარაღი, რომელიც ორ სხეულს ჰყოფს, უბიწოების მცველი და თავდებია!“<sup>39</sup>.

ანალოგიური შემთხვევა ცნობილია ქართულ ფოლკლორშიც, მაგრამ სხვა სიტუაციაში. ტყუპის ცალივით მსგავსი ძმა დაკარგული ძმის საშველად მიდის. ღამეს ჯერეთ უნახავი რძლის სახლში გაათევს. ქალს ჰგონია, ქმარი დაუბრუნდა, სინამდვილეში კი ძმის მძებნელია მოსული. დიასახლისი საერთო ლოგინს გაშლის, მაგრამ ვაყი მას არ ეკარება და შიშველ ხმალს მოიღებს გვერდით. ტრისტანიანს ქართულ ენაზე თარგმნამდე (1925) ჩაწერილ ზღაპარში (1884) ვკითხულობთ: „რძალმა ვერ იცნო — ჩემი მაზლი არისო, რადგანაც ძმები ერთი ვაშლისაგან იყვნენ შექმნილნი, ერთმანეთსა ჰგავდნენ... იმ ღამეს გაშალა ქალმა ლოგინი, თავისთან დააწვირა. ვაჟმა ხმალი შუაზე დადო და უთხრა: ხუმრობა არ არისო, ამაღამ გაჯავრებული ვარო, ამ ხმალს აქეთ არ გადმოხვიდე, თორემ ამ ხმლით თავს მოგჭრიო“<sup>40</sup>.

როცა დაკარგული ძმა საფრთხეს თავს დაადწევს, ეკვიანობას იწყებს. ძმა ფიცს მიმართავს: ცაში ისარს ავისგრი და სხეულის იმ ნაწილზე დამეცეს, რითაც შენს მეუღლეს შევეხებო. სამართლიანობის ისარი ნეკა თითზე დაეცა. აქაც უბიწოების სიმბოლოსთან გვაქვს საქმე, მაგრამ უფრო პირდაპირი მნიშვნელობით, ვიდრე ეს ტრისტანის თავგადასავალშია. ზემოთ ნაჩვენები შეხვედრების მიხედვით უნდა ვაღიაროთ, რომ ტრისტანისა და იზოლდას რომანსა და აბესალომისა და ეთერის თქმულებას შორის არსებითი ხასიათის სიუჟეტური და სახეობრივი მსგავსება არსებობს. ეს ერთი მხრივ, გარდა ამისა, კელტურ-ფრანგული სიუჟეტი მნიშვნელოვან სიახლოვეს ამქვადვენებს საერთოდ ქართულ ეპოსთან, ამირანისა და ტარიელის ეროვნული თქმულებების მაგალითზე.

ამ ერთობლიობის მიზეზების შესახებ ნაშრომის დასკვნითს ნაწილში გვექნება საუბარი, ახლა მეორე რკალის ძიებებს შევუდგეთ პირდაპირ.

## II

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ორიენტალისტები ხშირად შეხებიან ტრისტან და იზოლდას და ვისი და რამინის თავგადასავალთა ურთიერთობის პრობლემას. ეთედან დაწყებული არაერთ მკვლევარს უცდია გამოეთქვა აზრი აქამდე გადაუწყვეტელ საკითხზე. ვისისა და რამინის რომანი განსაკუთრებით ქართველოლოგებს აინტერესებდათ, რადგან ქართულ ენაზე შემონახულია XII საუკუნის ბრწყინვალე თარგმანი, და თანაც დიდხანს გაურკვეველი იყო როგორც ავტორის ვინაობა, ისე თარგმანის ხასიათი. დიდი შრომა ჩატარებია ამ დარგში ნიკო მარს<sup>41</sup>, რასაც ადრინდელი პუბლიკაციების გარდა 1966 წელს გამოქვეყნებული საარქივო მასალებიც ამტკიცებს. ვისრამიანის ირგვლივ კვლე-

<sup>39</sup> წიგნი ტრისტანისა და იზოლდასი, 1953, გვ. 132.

<sup>40</sup> პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ხალხური სიტყვიერება, III, 1964, გვ. 152.

<sup>41</sup> Н. М а р с, Вопросы Вепхисткассани и Висрамиани, Тбилиси, 1966.

ვაძიება საქართველოში 1884 წლის შემდეგ გაჩაღდა, როცა დაიბეჭდა თმოგველისეული თარგმანის პირველი გამოცემა (ი. ჭავჭავაძე, პ. უმიკაშვილი, ალ. სარაჯიშვილი). დღემდე ქართულად თხზულების ოთხი გამოცემა არსებობს: მეორე 1938 წელს დაიბეჭდა ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვასა და კ. კეკელიძის ღვაწლით, მესამე — 1960 წელს, ი. ლოლაშვილის რედაქციით, ხოლო მეოთხე — ყველაზე სრული და სპარსულთან შედარებული კრიტიკული გამოცემა ეკუთვნის ალ. გვახარაძისა და შ. თოდუას (1962). ქართული ლიტერატურის ისტორიაში ვისრამიანს ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა (ა. ხახანაშვილი, ი. აბულაძე, კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, გ. იმედაშვილი). ამიტომ თხზულების ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები ამომწურავადაა განხილული. ნაკლებად შესწავლილთა შორის უნდა დავასახელოთ ნაწარმოების ფოლკლორთან მიმართების მხარე. ამ უკანასკნელის გარკვევის მიზნით პირველად ტრისტან და იზოლდასთან დამოკიდებულებას უნდა შევხებით. ქართველ მკვლევარებს არც ეს მხარე დაუტოვებიათ ყურადღების გარეშე, თუმცა, ვფიქრობთ, ქართული მასალის მფლობელთა პრობლემაში მეტი სინათლე შეეძლოთ შეეტანათ<sup>42</sup>.

რა არის საერთო სპარსულ ვისრამიანსა და კელტურ ტრისტან და იზოლდას სიუჟეტს შორის? ბევრი რამ, როგორც სიუჟეტისა და ეპიზოდების, ისე პერსონაჟთა ხასიათის მხრივ. ორი თხზულების შედარებისას ჩვენ ვსარგებლობთ ჟ. ბედიეს აღდგენილი ვერსიით, რომლის „მეცნიერულ-შემეცნებითი და პოეტური ფასეულობა“ ამაჩივს<sup>43</sup>, და მე-12 საუკუნის ქართული თარგმანის კრიტიკული ტექსტით. ირანისტების მიერ ქართული თარგმანი სპარსულ გამოცემათა ტოლფასად არის მიჩნეული. „ქართული ტექსტი, მიუხედავად ცალკეული გადახვევისა (უმთავრესად თავსა და ბოლოში), წარმოადგენს ზუსტ, სიტყვა-სიტყვეთს... თარგმანს მთელი უძველესი სპარსული პოემა-რომანისა“<sup>44</sup>.

ამის შემდეგ გავცნოთ ჩვენთვის საინტერესო ძირითად მოვლენებს.

1. უხუცესთა თაობიდან კელტურ და სპარსულ რომანებში მოხუცი მეფეები მარკი და მოაზადი მონაწილეობენ. ორთავე უცოლოა და, მამასადაძე, უმემკვიდრო. ცოლებად ულამაზეს ქალწულებს ირთავენ; დედოფლებს გვერდითი მიჯნურები ჰყავთ. სიუჟეტური ფუნქციით მეფე მარკი და შაჰი მოაზადი მოტყვილებული ქმრები არიან, ხასიათით კი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. მარკი კეთილშობილი და სულგრძელია; რაკი მოხუცეა, არ სურს ცოლი შეერთოს და მემკვიდრეობა თავის დისწულ ტრისტანს დაუყარავს. სწორედ ამ მიზნით აიძულებენ დარბაისელნი ეძებოს თანამეცხედრე. ტრისტანის მიერ მოგვრილი იზოლდა მარკმა მზრუნველობით მიიღო და „დიდი პატივით წაიყვანა ტენტაქელის ციხისაკენ“<sup>45</sup>, მხოლოდ მე-18 დღეს დაინიშნა ქორწილი. საწინააღ-

<sup>42</sup> ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1966, გვ. 60-87.

<sup>43</sup> А. Смирнов, Роман о Тристане и Изольде, Вступление русского издания книги Ж. Бедье, М., 1955, стр. 4.

<sup>44</sup> ვისრამიანი, 1962, გვ. 303.

<sup>45</sup> წიგნი ტრისტანისა და იზოლდასი, 1953, გვ. 63.

მდეგო ტიპს წარმოადგენს შაპი მოაბადი. დაბადებამდე დანიშნული საცოლვე მოაბადმა მოლაღატე დედისაგან მიიღო ურციხე თვალ-მარგალიტის ფასად, ქალის გამოტაცებაშიც თვითონ იღებდა მონაწილეობას. ვისის ხელში ჩაგდების გამო „ესრე მხიარულად იყო მოაბად, ვითარ მშვიერმან ლომმან კანჭრისა ჯოგი დაინახოს, ანუ ვითარ გლახამან კაცმან საქურჭლე პოოს“<sup>46</sup>.

2. მოხუც მეფეებს ახალგაზრდა ცოლები შორეული ქვეყნებიდან მოუდიოთ საზღაბრო თავგადასავლის ფასად.

3. მომავალ დედოფლებს ჯერ სამეფო დარბაზამდე არ მიეღწიათ, რომ გზა-შივე გაუჩნდათ მიჯნურები: იზოლდას — ტრისტანი, ვისს — რამინი. პირველი წყვილი სიყვარულის სამსალამ შეკრა საბოლოოდ, ხოლო რამინი ვისის ერთი დანახვით შეიქმნა გონწართმეული. „რა რამინ ვისის პირი ნახა, ვითამცა გულსა უტევანი ისარი სცემოდა, ცხენისაგან ფურცლოს ოდნავ სუბუქად ჩამოიჭრა“, „დაუტყვევდა რამინს გული“<sup>47</sup>.

5. დედოფლებზე შეყვარებულნი მეუღლეთა სისხლით ნათესავეები არიან: ტრისტანი მარკის დისწულია, რამინი — მოაბადის ძმა.

6. ლამაზ ქალებს მოსწონთ მომტაცებელი რაინდები და არა მეფეები, რომელთათვის ისინი არიან დაწინდულნი.

7. მატყუარა ცოლებს მესაიდუმლე ქალები ჰყავთ: იზოლდას — მოახლე ბრანეიანი, ვისს — ძიძა.

8. ორგული ცოლები ქორწინებისთანავე გააცურებენ ქმრებს: გამქდავენების თავიდან ასაცილებლად იზოლდას ადგილს სარეცელზე ბრანეიანი იჭერს, ხოლო ვისისას ძიძის გრძნეულება.

9. მეფეები დიდხანს ვერ იგებენ მათს ღალატს, ბოლოს კი შურისძიების ცეცხლით აღივსებიან.

10. მეშურნე დარბაისლები მეფეს ურჩევენ, იზოლდამ წმინდა ნაწილებზე დაიფიცოს გახურებული შანთით ხელში და ამით თავისი უმწიკვლოება დაამტკიცოსო. შაპი მოაბადიც ვისისაგან იგივეს მოითხოვს: „ამა ყოველთა დიდებულთა და ლაშქართა წინა შემომფიცე ცეცხლითა“<sup>48</sup>.

11. იზოლდა დათანხმდა საშინელ გამოცდაზე: „ხელმწიფევე, დაიბარე ისინი სასახლეში (დიდებულები) და მე ფიცით თავს გავიმართლებ“<sup>49</sup>, ვისიც ამავე ნაბიჯს დგამს: „ეგრე ქმენ, შენცა გაწმინდი და მეცა გამწმინდე მაგა საქმითა“<sup>50</sup>.

12. მეფე მარკის მსახურებმა მდინარის პირას კოცონი გააჩაღეს, წმინდა ნაწილების მახლობლად ღუმელი აანთეს და საფიცარი შანთი გაავარარეს<sup>51</sup>; მოაბადმაც უხმო ცეცხლის მსახურთ და „მოედანსა შინა დიდისა მთისა ოდენი ცეცხლი დააგზებინა“<sup>52</sup>.

<sup>46</sup> ვისრამიანი, 1962, გვ. 60.

<sup>47</sup> იქვე, გვ. 61.

<sup>48</sup> იქვე, გვ. 120.

<sup>49</sup> წიგნი ტრისტანისა და იზოლდასი, 1953, გვ. 161.

<sup>50</sup> ვისრამიანი, 1962, გვ. 120.

<sup>51</sup> წიგნი ტრისტანისა და იზოლდასი, გვ. 167.

<sup>52</sup> ვისრამიანი, 1962, გვ. 121.

13. დედოფლებმა მოხერხებით გადაირჩინეს თავი საჯარო შერცხვენიდან: იზოლდამ საბრალლო მწირის (ტრისტანის) მოხვევებით იმართლა თავი, ხოლო ვისმა ამგვარ ეშმაკობას რამინთან ერთად გაქცევა ამჯობინა.

14. როგორც ტრისტანიანაში, ისე ვისრამიანში მამაკაცები თითქოს მიგნურთა გულგრილობის საპასუხოდ ცდილობენ, დროებით მაინც, დააღწიონ თავი საბედისწერო ტრფიალს და სხვა ქალებზე ქორწინდებიან: ტრისტანმა ხელთერთა იზოლდა შეირთო, რამინმა კი გული.

15. როგორც მარკ მეფე, ისე შაპი მოაბადი სატრფოსთან გაქცეულ დედოფლებს დიდხანს ეძებენ, ბოლოს იპოვიან და სასახლეში დააბრუნებენ.

16. ვისსა და რამინს მოაბადის ჯაშუშები უთვალთვალებენ ყოველ ნაბიჯზე, ასევე ტრისტანს ოთხი ფლიდი ჯარისკაცი დასდევს აჩრდილივით, მაგრამ თითოეულ მათგანს სამაგიერო მიეგების.

კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი სიუჟეტური თანხვედრილობა შეიძლება აღმოვაჩინოთ ვისრამიანსა და ტრისტანიანას შორის. მაგრამ, ვფიქრობთ, წარმოდგენილი მაგალითებითაც უეჭველად დასტურდება აღმოსავლური და დასავლური რომანების სიახლოვე, იდენტურობას მიახლოებული მსგავსება. კონკრეტულ შინაარსობრივ თანხვედრილობებთან ერთად თვით ნაწარმოებთა იდეურ ჩანაფიქრშიც იგრძნობა ნათესაობა: წყვილთა კეშირი გულწრფელ გრძნობას უნდა ემყარებოდეს; ქალს უფლება აქვს თვითონ აირჩიოს ცხოვრების თანამგზავრი და მასთან დარჩეს სამუდამოდ.

### III

დასასრულ, კიდევ ერთ კითხვაზე უნდა გავცეთ პასუხი: აქვს თუ არა რაიმე საერთო ეთერიანს ვისრამიანთან? ძლიერ ცოტა, ვიტყვოდი ჩვენ თავიდანვე. ქართული ხალხური რომანი მეტ სიახლოვეს იჩენს გეოგრაფიულად შორეულ კელტურ სიუჟეტთან, ვიდრე ტერიტორიულად შედარებით მახლობელ სპარსულ ნაწარმოებთან.

1. თავდავიწყებამდე გამიჯნურებული რამინი ვისის სიშორეს ვედარ იტანს, სატრფოსაგან დაშორება ჭაბუკის ავადმყოფობასა და დაუძლეულებას იწვევს. „რა წასვლა ვისისი დაისკუნა, შეჭირვებითა ცნობათა მიჰკდა, ვითა ფრინველი თავ-მოკუეითი ფართხალბედა“, „კულა ავად გაქდა, პირველ გამიჯნურებისა აწ უძნელე იყო“<sup>53</sup>.

ამჯერად ექვსი თვე ლოგინად გაატარა. ქართულ რომანშიც უზომოდ შეყვარებული აბესალომი ეთერის სასახლიდან წასვლისთანავე ავად ხდება, ნადირობამ და დავიწყების ცდებმა შედეგი არ გამოიღო და ჭაბუკი თანდათან ჩამოდნა და ბოლოს ლოგინში ჩავარდა. „აბესალომი საშინლად ავად გახდა, კვდებოდა, იმისი წამალი აღარსად იყო“ (ეთერ., 13, 100); „აბესალომიც ლოგინად ჩავარდა დარდით“ (ეთერ., 25, 144).

<sup>53</sup> იქვე, გვ. 110-111.

2. დაუძღვრებული რამინი გურგანსა და სარავს აპირებს სანადიროდ წასვლას, რომ ცოტა მოსულეირდეს, ჯანი აღიდგინოს და ამიტომაც რაყიფი ძმა მეფეს გამგზავრების ფირმანს სთხოვს.

ჯავრით შეჭირვებული აბესალომიც სანადიროდ მიიჩქარის, რომ ტყე-ღრეთა შორის გული გადააყოლოს ან მურმანის კოშკში გამომწყვდეულ ეთერს მისწვდეს როგორმე.

3. როგორც რამინი, ისე ტრისტანი და აბესალომი სატრფო ქალებს გაშმაგებით ეძებენ დაკარგვის შემდეგ, მრავალ გაჭირვებას გადაიტანენ კვლავ შეყრის სურვილის დასაკმაყოფილებლად. ამ მხრივ ტრისტანსა და რამინს ნაწილობრივ მაინც სწყალობთ ბედი, აბესალომი კი სამიჯნუროდ შეხვედრას ვეღარ ახერხებს და იღუპება. ვისრამიანის სიუჟეტური და იდეურ-თემატიკური რკალი ძალზე შორსაა ეთერიანისაგან. მიუხედავად სპარსული ნაწარმოების XII საუკუნისეული თარგმანის საკმაო პოპულარობისა, რომანი მაინც უცნობი დარჩა ეროვნული ზეპირსიტყვიერებისათვის. ქართულ ფოლკლორში უდავოდ შეიმჩნევა XII საუკუნის მწერლობის ზემოქმედების კვალი. ამის დამადასტურებელია მოხე ხონელისა და შოთა რუსთაველის თხზულებათა შეჭრა ზეპირსიტყვიერებაში. ამგვარი რამ ვისრამიანის მიმართ არ დასტურდება. აქედან ვასკვნით, რომ ეთერიანი და ვისრამიანი ერთმანეთისაგან ისე განსხვავებულ წანამძღვრებზე აღმოცენდნენ, რომ ურთიერთგავლენის შესაძლებლობა გამორიცხვული აღმოჩნდა. ქართული ეპოსი ისტორიულად არ იცნობს სისხლით ნათესავთა მიჯნურობას. როგორც საგმირო, ისე სატრფიალო და საზღაპრო ეპოსი ამის სრულ საწინააღმდეგო პრინციპზე შენობს. ქართველი ხალხის ყოფა და სარწმუნოებრივი მდგომარეობა სისხლის აღრევის შესაძლებლობას გამორიცხავდა. ეთერიანის რომანტიკული ეპოსი საკმაოდ დიდი ხნის ჩამოყალიბებული და დამკვიდრებული იყო ქართულ ფოლკლორში, როცა გორგანის პოემა-რომანი ითარგმნა. ამიტომაც იგი ქართველთა ეროვნული ფოლკლორისათვის შეუმჩნეველი დარჩა.

ამგვარად, აბესალომის მხატვრული სახის რამინთან ან ტრისტანთან ზოგად ხაზებში შეხვედრა აიხსნება არა გავლენით ან სესხებით, როგორც ზოგჯერ ფიქრობენ<sup>58</sup>, არამედ იმ ხალხურ-პოეტური წანამძღვრებით, რომლებიც წინ უსწრებდა, ერთი მხრივ, ტრისტან და იზოლდას რომანის ლიტერატურულ დამუშავებას ევროპაში, ხოლო, მეორე მხრივ, ვისისა და რამინის გორგანისეული წიგნის შექმნას სპარსეთში.

ახლა საკითხავია, მართლა არსებობდა თუ არა სამივე თხზულებისათვის ადგილობრივი წყაროები თავისებური ხალხური პროტოტიპების სახით? ჩვენს პასუხს აქ დადებითია. დავიწყით საქართველოდან.

X—XI საუკუნეებში პატრონჟიმობის პირობებში გაფორმებული აბესალომისა და ეთერის თქმულება შემზადებულია წინა ეპოქების ფოლკლორული მემკვიდრეობით. პირველ ყოვლისა, ეთერიანი გერ-დედინაცელის მსოფლიოში ცნობილ ზღაპრულ სიუჟეტს ემყარება. ეთერი გერია, რომელსაც დედინაცვალს იღვინის და გაჭირვებაში აგდებს. ზღაპრული სიუჟეტის მიხედვით, მშეთ-

<sup>58</sup> S. Tsouladze, Gonnaisance Roustaveli, 1966, გვ. 38—39.

უნახავს ხელმწიფის ვაჟი შეირთავს ცოლად და დედოფლად იქცევა. ეთერიანის სიუჟეტი, ერთი მხრივ, მოიცავს აღრინდელ სქემას (დედინაცვალი — გერი — მეფის ვაჟი), მეორე მხრივ, იგი გართულებული და დრამატიზებულია ფეოდალიზმის ეპოქის შესაბამისად. პატრონყმური ფეოდალიზმის ხანაში ჩამოყალიბდა სამიჯნურო ეპოსი, რომელსაც საფუძვლად დაედო მარადიული სიყვარულისა და წოდებრიობის დაძლევის იდეა. ასე გაჩნდა სიყვარულისათვის ტანჯულთა პირველი წყვილი X—XI სს-ის საქართველოში, ხოლო მალე მას მხარში ამოუდგა ახალი წყვილები: ამირან დარეჯანის ძე და ხორეშანი, ტარიელი და ნესტან-დარეჯანი, ავთანდილი და თინათინი — მოსე ხონელისა და შოთა რუსთაველის ნაწარმოებების მიხედვით. ეთერიანი მე-19 საუკუნემდე წმინდა ხალხურ მოვლენად დარჩა, პროფესიულ ხელოვნებაში ასახვა მან შედარებით გვიან პოვა. ამრიგად, ეთერიანი, როგორც რომანი, ფოლკლორში ჩამოყალიბდა და კვლავ მასშივე დარჩა.

ტრისტანისა და იზოლდას რაინდულ რომანსაც თავისი წინა ისტორია ჰქონდა ევროპაში. ლიტერატურაში მოხვედრამდე (XII ს.) სიუჟეტი ზეპირად იყო გავრცელებული კელტური მოდგმის ხალხებში. ზოგიერთი პარალელი ახლაც იძებნება VIII—XI სს-ის ირლანდიურ საგებში<sup>54</sup>. ლიტერატურის ისტორიკოსების მიერ გარკვევითაა აღიარებული: „Основным источником автору „прототипа“ (არმოდწეული ფრანგული რომანი უცნობი მწერლისა) послужила повесть, широко распространенная среди кельтских племен. Это — история страстной любви жены одного короля или вождя племени и его племянника, их бегства, скитании и, наконец трагической гибели“<sup>55</sup>.

კელტურმა თქმულებებმა თვალსაჩინო როლი ითამაშეს ფრანგული რაინდული რომანის სიუჟეტური რკალის გაფართოებაში. განსაკუთრებით ეს ე. წ. არტურის ციკლისა და მრგვალი მაგიდის ნაწარმოებების მიმართ ითქმის.

ტრისტანის სახელმა საქართველომდე გვიან მოაღწია: მას არ იცნობს ძველი ქართული ლიტერატურა და ონომასტიკა. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ამ წყვილს არ იცნობს XII საუკუნის მიწურულის თამარის ისტორიკოსი, ავტორი „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანისა“. ეს თვალსაჩინო ანონიმი მწერალი ჩამოთვლის ლიტერატურაში მიჯნურობით სახელგანთქმულ 12 წყვილულს, რომელთა შორის მოხსენიებული არიან ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“, მოსე ხონელის „ამირანდარეჯანისა“, ნიზამი განჯელის „ხოსროვშირინანის“, ბიბლიის (იაკობ და რაქელ, იოსებ და ასენათ, დავით და ბერსაბე), ბერძნული მითოლოგიის, გორგანის „ვის ო რამინის“, ონსორის „შადბეპრ“ და „აინოლპეი-ატის“, მსოფლიოში ცნობილ გმირებს<sup>56</sup>.

სიაში ჩვენთვის ახლა საინტერესო პერსონაჟებიდან მხოლოდ ვისი და რამინია შეტანილი<sup>57</sup>. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ ამ დროს ქართველები არ იცნობდნენ არც კელტურ თქმულებებს და არც ფრანგულ, ევროპულ თხზულებ-

<sup>54</sup> В. Жирмунский. Народный героический эпос, М.-Л., 1962, гл. 72—73.

<sup>55</sup> История французской литературы, М., 1946, стр. 107.

<sup>56</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდედანი, კ. ქეკელიძის რედ., 1941, გვ. 27—31.

<sup>57</sup> ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 35—36.

ბებს ტრისტან და იზოლდაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი სახელები ადგილს იპოვიდა ამ ისტორიულ-ლიტერატურულ ძეგლებში. „ისტორიანი და აზმანი შარავანდდთანის“ ცნობა საბუთს გვაძლევს ტრისტანიანსა და ეთერიანის ეპიკური შეხვედრები აეხსნათ არა ორი ქვეყნის ურთიერთგავლენის, არამედ მსგავსი მოვლენების თვით ფოლკლორში დამოუკიდებლად ჩამოყალიბების საფუძველზე. თვითყოფილება მით უფრო აშკარაა, რომ აღიარებულ მიჯნურთა შორის მოხსენიებული ვისისა და რამინის თავგადასავალი თარგმანის სახით უკვე გავრცელებული იყო XII საუკუნის საქართველოში, თუმცა რაიმე კვალი ვერ დაამჩნია როგორც საერთოდ ქართულ ფოლკლორს, ისე კერძოდ სატრფიალო ეპოსს ეთერიანის სახით.

გორგანის პოემა-რომანი ამ პოეტის სიუჟეტურად დამოუკიდებელ ნაწარმოებს არ წარმოადგენს. ავტორისეულ ცნობებში წყაროთა გამო აღნიშნულია: „ეს ამბავი მეტად მომხიბვლელია, იგი ექვს ბრძენ კაცს შეუკრებია“<sup>58</sup>. ამის შესაბამისად ძველ ქართულ თარგმანში სწერია: „კარგი ჰამო ამბავია ბრძენთა და მეცნიერთაგან თქმული“ და ფარხ-ად-დინ გორგანს ადრე ნაკლები ხელოვნებით შემუშავებული თავგადასავალი უაზრო სიტყვებიდან გაუწმენდია, სიტყვაშეწყობილად უთქვამს. ამგვარად, „ვისრამიანის ფაბულა უძველესი ჩანს“, „გორგანის ხელში ვისრამიანის ფაბულას, თვით სიუჟეტსაც კი, არ უნდა განეცადოს რაიმე არსებითი ცვლილება“<sup>59</sup>. ამ თანამედროვე მოსაზრებას არც ე. ბერტელსი უარყოფს: „Что основные сюжетные линии поэмы восходят какому-то старому преданию, весьма вероятно“<sup>60</sup>. ვ. მინორსკი უფრო იმ აზრს ადგას, რომ „ვისრამიანის“ ავტორი პართიელთა სახელმწიფოში შექმნილი ლეგენდის აღდგენას ახდენდა<sup>61</sup>.

უახლესი ფოლკლორისტული გამოკვლევები, ვფიქრობ, სამართლიანად აღიარებს ტრისტანიანას დამოუკიდებლობას ვისრამიანისაგან. აღმოსავლეთისა და დასავლეთის პირდაპირი კავშირის დამადასტურებელ ცნობას ვერ ვნახულობთ ამ თხზულებათა მაგალითზე. ჩვენ უნდა დავეთანხმოთ ვ. ჟირმუნსკის, როცა იგი წერს: „Сюжетное сходство этих произведений настолько значительно, что вопрос о восточных источниках „Тристана“ ставился неоднократно, однако совершенно безуспешно, так как, с одной стороны, отсутствуют какие-либо указания на возможные пути прямого или опосредственного влияния иранской литературы на французскую, с другой стороны, имеются довольно очевидные местные (Кельтские) источники сказания о Тристане“<sup>62</sup>.

ტრისტან და იზოლდას, აბესალომ და ეთერის, ვისისა და რამინის სიუჟეტების სტრუქტურულმა ანალიზმა ამ სხვადასხვა წარმოშობის ნაწარმოებთა

<sup>58</sup> ვისრამიანი, 1962, გვ. 7.

<sup>59</sup> იქვე, გვ. 9—11—12.

<sup>60</sup> Е. Бертельс, Избранные труды, М., 1960, гв. 284.

<sup>61</sup> იქვე, გვ. 283.

<sup>62</sup> В. Жирмунский, Народный героический эпос, М.-Л., 1962, гв. 65.

მსგავსება აჩვენა<sup>63</sup>. ანალოგიური სახეების, ეპიზოდებისა და მოტივების და-  
 დასტურებისთანავე მათი ნათესაობის პრობლემა იჩენს თავს. მსგავსება აშკა-  
 რაა, მაგრამ იგი არ ემყარება სესხების ნიადაგზე წარმოშობილ შემოქმედებითს  
 ათვისებას. ნათესაობის მიზეზი სოციალური და შემსრულებლობითი ტრადი-  
 ციის ერთგვარობაშია საგულებელი. ამგვარად, ტრისტანიანას, ეთერიანისა და  
 ვისრამიანის, აგრეთვე ამირანიანის, ტარიელიანისა და როსტომიანის სიუჟეტურ-  
 სახეობრივ სიახლოვეს ტიპოლოგიური ხასიათი აქვს და რაინდული საფრანგე-  
 თის, პატრონყმური საქართველოსა და ფეოდალური სპარსეთის საზოგადოებ-  
 რივი ყოფიდან მომდინარეობს. ამ შემთხვევაში ფოლკლორულ და ლიტერატუ-  
 რულ ნაწარმოებთა სიახლოვის მიზეზი ტიპოლოგიური ერთიანობაა, დამოუკი-  
 დებლად წარმოქმნილი ადგილობრივი პოეტური ტრადიციის ნიადაგზე თითო-  
 ეულ ქვეყანაში.

<sup>63</sup> M. Chikovani, On the problem of tipological similarities between three medi-  
 aeval novels «Tristram and Isolde», «Abessalom and Etheri» and «Vis and Ramin», Moskow,  
 1968.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა  
 აკადემიის რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის  
 ისტორიის ინსტიტუტმა)

## მერი ზუზუშვილი

### ტექსტოლოგიური შენიშვნები

რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ მუდამ იყო ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების თანამგზავრი. მან დიდი გავლენა მოახდინა შემდგომი ხანის მწერლობაზე თემატიკური, იდეური და, განსაკუთრებით, მხატვრული თვალსაზრისით. აღორძინების ხანის მწერლობაზე „ვეფხისტყაოსნის“ გავლენის საფუძვლებისა და ძირითადი ტენდენციების კვლევა რუსთველოლოგიისა და, საერთოდ, ქართული ლიტერატურის ისტორიის ერთი იმ სერიოზულ პრობლემათაგანია, რომელიც, ერთი მხრივ, გვიჩვენებს რუსთველის როლს ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების, ქართული კულტურის ტრადიციების აღდგენის, შემდგომი ხანის ქართული მწერლობის განვითარების საქმეში და, მეორე მხრივ, ნათელს ჰფენს ქართული ლიტერატურის ისტორიის ერთი დიდი უბნის — აღორძინების ხანის მწერლობის იდეურ-თემატიკური და მხატვრული თვალსაზრისით შესწავლის საქმეს. გარდა ამისა, ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ „ვეფხისტყაოსნისა“ და აღორძინების ხანის მწერლობის მხატვრული ენისა და ფრაზეოლოგიის შედარებითი შესწავლა მთელი რიგი ტექსტოლოგიური საკითხების გადაჭრის საშუალებას იძლევა. „ვეფხისტყაოსნისა“ და აღორძინების ხანის მხატვრული ენისა და ფრაზეოლოგიის შედარებითი შესწავლის შედეგად ტექსტოლოგიური ხასიათის შესწორებათა შეტანა ხერხდება როგორც „ვეფხისტყაოსანში“, ისე აღორძინების ხანის მწერალთა ნაწარმოებებში“.

წინამდებარე წერილის მიზანია რამდენიმე ასეთი შემთხვევის გაანალიზება. თეიმურაზ პირველის „შამიფარვანიანში“ ფარვანას შესახებ ნათქვამია:

მას არგეთ რამე საწყალსა, დამწვარი, დავალებულსა,  
 მას ტბილი ამხანაგობა ავასხეთ დავალებულსა,  
 წყალი დასხით მოსწრაფედ მას გულსა დავალებულსა,  
 ხელი დახურეთ თვალზედან საკედავად დალუღებულსა,  
 (თ I, 12, 25)

მეორეგან კი ფარვანა ამბობს:

ვითა ბულბული ვარდისთვის გაჭრილი, გახლებული,  
 შენ სჯობხარ ვარდსა სინათლით, მეტი ხარ არ თუ კლებული;  
 ბულბულს მე ვსჯობვარ მიჯნურად, გული უწყალოდ ღებული,  
 შენთა შუქთა და სხივთაგან დამწვარი, დავალებული,  
 (თ I, 21, 54)

ამ სტროფებში ჩვენს ყურადღებას იპყრობს პარალელურად გამოყენებული სიტყვები „და დამწვარი, დავალებული“. რას უნდა ნიშნავდეს ამ შემთხვევაში „დავალებული“? თეიმურაზის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემელებს ეს სიტყვა ლექსიკონში არ განუმარტავთ. „დამწვარის“ პარალელურად „დავალებული“ იკითხება „ვეფხისტყაოსნის“ 305-ე სტროფის პირველ

სტრიქონში (ამას დაყმუნდა ტარიელ დამწვარი, დავალებული)<sup>1</sup> ვახტანგის, ბროსეს და დ. ჩუბინაშვილის გამოცემებში. ვახტანგთან და ბროსესთან ეს სიტყვა განმარტებული არ არის, დ. ჩუბინაშვილს კი 1860 წლის გამოცემაში იგი განუმარტავს, როგორც „დავლებული, მოვალე“. ამ სიტყვას დაუფქრებია თეიმურაზ ბაგრატიონიც. მისი აზრით, „დავლებული — რადგანაც ტარიელის საქმენადა წამოვიდა ავთანდილ და რადგანაც სრულის გულით და სიყვარულით შეემსჭუთაა, ტარიელის მეგობრობას და სიყვარულს და ესრეთი ლობობიერება აჩვენა, ეს დიღს ვალად დაედვა ტარიელს. ამისთვის იწყის და იღმობს ავთანდილისათვის და სურს კმაყოფილება მისცეს ავთანდილსა“<sup>2</sup>. „დავლებული“ იკითხება ხელნაწერთა უმრავლესობაში (H—757, H—54, S—4988, H—2610, H—461, S—4499, Q—779, K—205 და სხვა), მაგრამ იგი აშკარად არ შეესაბამება სტრიქონის შინაარსს და ქართველიშვილის გამოცემაში შეიცვალა სიტყვით „დავლებული“, რომელიც დასტურდება ზოგ ხელნაწერში (H—599, S—2829, H—740). ქართველიშვილის შემდეგ ყველა გამოცემაში 1957 წლის გამოცემის ჩათვლით დაბეჭდილია: „ამას დაყმუნდა ტარიელ, დამწვარი, დავალებული“. ასეთი წაკითხვით „დამწვარი“ და „დავლებული“ სინონიმურ სიტყვებადაა გააზრებული და „დავლება“ განმარტებულია, როგორც „ცეცხლის მოკვდება“ (დ. კარიჭაშვილი, ს. კაკაბაძე), „აღად ქცევა“ (ი. აბულაძე); „დავლებული“ კი როგორც „აღმოდებული“ (ი. აბულაძე). ამრიგად, ამ სტრიქონში რუსთველისეული სინონიმურ სიტყვათა გამოკრების ზერხბა დადასტურებული. წიგნში „პოლემიკა რუსთველის გარშემო“ რუსთველისა და აღორძინების ხანის მწერლების სინონიმურ სიტყვათა გამოკრების მაგალითების შედარებითი ანალიზისას „ვეფხისტყაოსნის“ ამ სტრიქონის პარალელურად ჩვენ მოტანილი გვექონდა თეიმურაზ ბირველის ზემოთ დასახელებული სტრიქონები (მას არგეთ რამე საწყალსა, დამწვარსა, დავალებულსა; შენთა შუქთა და სხივთაგან დამწვარი, დავალებული) და შევნიშნავდით: „თუმცა თეიმურაზთან „დამწვარი, დავალებული“ იკითხება, რუსთველთან კი „დამწვარი, დავალებული“, ფაქტია, რომ აქ რუსთველისეულ სინონიმურ სიტყვათა გამოკრებასთან გვაქვს საქმე, თეიმურაზს რუსთველის მზამზარეული სინონიმები უნდა ჰქონდეს გამოყენებული. მართლაც ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა უმრავლესობაში იკითხება „დამწვარი, დავალებული“ (H—757, S—4988, H—54, H—2610...) მაგრამ „დავლებული“ „დამწვარის“ სინონიმად არ გამოდგება. ამრიგად, მხატვრული ენის თავისებურების გათვალისწინება საფუძველს გვაძლევს ტექსტის გასწორებისათვის. ჩვენი აზრით, რუსთველის ამ სტრიქონში უნდა იკითხებოდეს „დამწვარი, დავალებული“ (ასეც არის ხელ. H—2074-ში) და არა „დავლებული“. თეიმურაზთანაც, რასაკვირველია, რუსთველისეული „დამწვარი, დავალებული“ უნდა გვექონდეს“<sup>3</sup>. მართლაც, 1966 წლის გამოცემებში შესწორდა ვეფხისტყაოსნის ეს სტრიქონი და დაიბეჭდა:

( ამას დაყმუნდა ტარიელ დამწვარი, დავალებული.

„დავლებული“ დამწვარის სინონიმია, იგი ნაწარმოებია სიტყვიდან ავლი—ფერფლი და ფერფლადქცეულს ნიშნავს. აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ სინონ-

<sup>1</sup> „ვეფხისტყაოსნის“ სტროფთა ნუმერაცია და ტექსტი დამოწმებულია შემდეგი გამოცემიდან: ვეფხისტყაოსანი, ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ, ორ ტომად, ა. შანიძის და ა. ბარამიძის რედაქციით, I, თბ., 1966.

<sup>2</sup> თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გაიოზი მელდამჭვილის რედაქციით, გამოკლევითა და საძიებლით, თბ., 1960, გვ. 42.

<sup>3</sup> შერიგუგუშვილი, პოლემიკა რუსთველის გარშემო, თბ., 1966, გვ. 123.

ნიმურ სიტყვათა გამეორების ეს რუსთველისეული მაგალითი მართებული წაკითხვით შემოუნახავს „შაჰნამეს“ ქართული ვერსიების სერაპიონ სოგრატის ძე საბაშვილისეულ ტექსტს. „შაჰნამეში“ კითხულობთ:

მაშინ შეიქმნა მენაე ფერმკრალი, შეშინებული,  
სული წასვლოდა, გზასა სთხოვს და მწვარი, და ავლებული,  
ზედ აფრასიობ მოვიდა საომრად გაფიცებული,  
ნახვედ არაიენ დაუხვდა, იკერტდა გაკვირებულნი.  
(შნ, II, 3276)

და კიდევ:

წუხელის ვნახე სიზმარი, ჩვენება, გაცხადებული:  
დიდი საჭმილი ჩვენზედა ერთობით შეერთებული,  
ცოხე, მონა და მხვეალი დამწვარი, და ავლებული,  
ჩვენი საჭურჭლე ყოველი წამხდარი, მომტერებული,  
(შნ, II, 3399)

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ აშკარაა, რომ თეიმურაზის ზემოთ დასახელებულ სტრიქონებში უნდა იკითხებოდეს „დამწვარი, დაავლებული“.

მას არგეთ რამე საწყალსა, დამწვარსა, და ავლებულსა.  
(თ I, 18, 25, 1)  
შენთა შუქთა და სხივთაგან დამწვარი, და ავლებული.  
(თ I, 21, 54, 4)

ორივე სტრიქონში იგულისხმება ფარვანა, რომელიც თავისი მიჯნურის — სანთლის შუქისა და სხივისაგან დამწვარი, ფერფლადქცეულია.

უნდა გასწორდეს აგრეთვე თეიმურაზის „ლეილმეჯუნთანის“ ერთი ადგილი. მაჯნუნი მოეხვია ლეილის კუბოს და ზედ დააკვდა. მკვდარი ვერ გაჰყარეს კუბოს და

თქვეს: თუ ეს ამას გავჰყაროთ, ცოდეა მოგვხვდების, ბრალუბი!  
გვერც მიუწვინეს იგი მისგან დამწვარი, დანავლები.  
(თ I, 54, 228, 1—2)

აქ „დანავლები“ მკვდარი წაკითხვაა, უნდა იყოს „დანაავლები“.

გვერც მიუწვინეს იგი მისგან დამწვარი, დანაავლები.

ლეილისაგან დამწვარი და ფერფლადქცეული მიჯნური აწ უკვე გარდაცვლილ მიჯნურს გვერდს მიუწვინეს — ასეთია სტრიქონის შინაარსი.

ამ სიტყვასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს „შაჰნამეს“ ქართული ვერსიების შემდეგი ადგილი. დედინაცვლის ცილისწამების უარსაყოფად სიაოშმა ცეცხლში უნდა გაიაროს. სიაოში მოემზადა, ცეცხლი დაანთეს და

ნახეს ყოველთა. — გაკვირდა, — საჭმილი გაერთებული.  
თქვეს: ნუ ყოს ღმერთმა შეშება, ვიწნებით ვაგლახებული,  
აქ ანდამატი შევიდეს, ვიპოვოთ დავალებული,  
სხვა ვინ ცოცხალა დღესითგან ცეცხლითა გამართლებული?  
(შნ, II, 2999)

მესამე სტრიქონში „დავალეხულის“ ნაცვლად მართებული ფორმაა „დაავლებული“. სტრიქონის შინაარსი ასეთი იქნება: აქ (ასეთ ცეცხლში) ანდამატიც რომ შევიდეს დაავლებულს — ფერფლადქცეულს ვიპოვითო. აქ ლაპარაკია დაწვაზე, ფერფლად ქცევაზე. მართლაც, რამდენიმე სტროფის წინ სიაოში ამბობს:

მართლად დამწამა — დავიწვა, ვიპოვოთ დავალებული.  
(შნ, II, 2995, 1)

ამრიგად, „დაავლებული“ არის „დამწვარის“ სინონიმი. ისინი ერთმანეთის სინონიმებად პირველად შოთა რუსთველმა გამოიყენა სტრიქონში: „ამას დაყმუნდა ტარიელ დამწვარი, დაავლებული“, ხოლო რუსთველის გავლენით

ეს სინონიმური წყვილი გამოუყენებიათ სერაპიონ სოგრატის ძე საბაშვილსა და თეიმურაზ პირველს.

სინონიმურ სიტყვათა გამეორების რუსთველისეული ხერხის გათვალისწინება საფუძველს გვაძლევს „შაჰნამეს“ ქართული ვერსიების კიდევ ერთი ადგილის გასწორებისათვის. 5238-ე სტროფის პირველ სტრიქონში იკითხება:

სადაც მივიდეს, არ ბევდეს, სწვევდიან და დაქცევდიან,  
 (ლაპარაკია თურანელთა ლაშქარზე).

ამ სტრიქონში ხელოვნურია ფორმა „დაქცევდიან“, მართებული იქნება წაკითხვა „დაქცევდიან“. სტრიქონში „და“ კავშირი ზედმეტია. სინონიმური სიტყვები ერთმანეთისაგან მძიმეებით უნდა გამოიყოს. რუსთველთანაც და ალორძინების ხანის მწერლობაშიც სინონიმურ სიტყვათა გამეორებისას სინონიმური სიტყვები უმთავრესად პაუზითაა გამოყოფილი. ამრიგად, შესწორების შედეგად სტრიქონი ასეთ სახეს მიიღებს:

სადაც მივიდეს, არ ბევდეს, სწვევდიან, და დაქცევდიან.

ერანის ქვეყანაში მომავალი თურანელთა ლაშქრის შესახებ სინონიმურ სიტყვათა გამეორებით (არბევდეს, სწვევდიან, დაქცევდიან) ავტორი აძლიერებს ფრაზის შინაარსობრივ მხარეს. ამ შესწორებას მხარს უჭერს „შაჰნამეს“ ქართული ვერსიების ხელნაწერთა მონაცემებიც. ფორმა „დაქცევდიან“ დასტურდება A რედაქციაში, რომელშიც გამოშვებულს გაუერთიანებიათ სამი ხელნაწერი: S—428, S—1504, A—858. გამოშვებულების სიტყვით, „ეს რედაქცია უფრო ახლოა თავდაპირველ ტექსტთან და უფრო კარგად იცავს მას“<sup>4</sup>.

„ვეფხისტყაოსნის“ 1538-ე სტროფის მეოთხე სტრიქონში იკითხება:

ადრე მივიდეს მეფისა სახლად საყოფად, არებად.

„ვეფხისტყაოსნის“ ყველა გამოცემაში (მათ შორის 1966 წლის გამოცემებშიც) ეს სტრიქონი ასეთი პუნქტუაციით არის დაბეჭდილი. ალ. ბარამიძეს სტრიქონი სინონიმურ სიტყვათა გამეორების მაგალითად მიაჩნია. იგი მძიმეს სვამს „სახლად“ სიტყვის შემდეგაც და წერს: „თუ კონტექსტს კარგად დავუკვირდებით და იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ტაეპის უკანასკნელი სიტყვა უნდა წარმოადგენდეს სიტყვის „სახლად, სამყოფად“-ის მხატვრულ გამეორებას, ანუ პარალელს, მაშინ ცხადი გახდება, რომ თავდაპირველად „არებად“ სიტყვის ნაცვლად უნდა ყოფილიყო სარებად (სასახლეებად). მივიღებთ რუსთველის კონსტრუქციის გამართულ ფრაზას (ტაეპს): ადრე მივიდეს მეფისა სახლად, სამყოფად, სარებად“<sup>5</sup>. მართალია, როგორც ალ. ბარამიძე შენიშნავს ასეთი წაკითხვით სტრიქონს მეტად ამშვენებს ალიტერაციული ჟღერადობა (სახლად, სამყოფად, სარებად), მაგრამ ამ მოსაზრების გაზიარებას აბრკოლებს ის გარემოება, რომ „სარებად“, „არებად“ ფორმის ნაცვლად, არ დასტურდება არცერთ ხელნაწერში, ამასთან, როგორც კ. ჭიჭინაძემ შენიშნა, „სარებად“ არ ნიშნავს „სასახლეებად“<sup>6</sup>. „ს რ ა“ სიტყვიდან მრავლობითი რიცხვის ფორმა იქნებოდა არა „სარებად“, არამედ „სრაებად“ (შდრ. თეიმურაზ პირველი — სრაეების — 52, 213,4); ეს ფორმა კი ეწინააღმდეგება რითმას. სტროფში რითმაა „არებად“ (დარებად, დასადარებად, მიუხედავრებად, არებად). ჩვენი აზრით, ამ სტრიქონში რუსთველს გამოუყენებია მხატვრული ჩამოთვლის ხერხი, რომელიც გამეორე-

<sup>4</sup> შაჰნამე, ქართული ვერსიები, იუსტ. აბულაძის, ალ. ბარამიძის, კ. ინიგოროვას, კ. კეკელიძის და ა. შანიძის რედაქციით, ტ. II, 1934, გვ. VIII.

<sup>5</sup> ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი და მისი პოემა, თბ., 1966, გვ. 331.

<sup>6</sup> კ. ჭიჭინაძე, რუსთველი და მისი პოემა, თბ., 1960, გვ. 195.

ბასთან ახლოს დგას. ჩამოსათვლელი ცნებებია: სახლი, საყოფი, არე. სამივე არსებითი სახელია. მსგავსი მაგალითია „ვეფხისტყაოსანში“: „სრულად ნათლითა აევსო სახლი, შუკა და უბანი“. ორივე ამ შემთხვევაში გრადაციია, ჩამოსათვლელ სიტყვათა შინაარსი თანდათან ფართოვდება. „საყოფი“ აქ უნდა გავიგოთ უფრო ფართო საცხოვრებლის მნიშვნელობით ვიდრე სახლია. შდრ. „ვეფხისტყაოსნიდან“:

სახლად საყოფნი მიმაჩნდეს თხოთა და მათი ირემიანი,  
(656, 3)

ვარ უცხო ვინმე ღარიბი, საყოფთა მოშორებულნი.  
(984, 3)

იგი სადმე გაღარიბდეს, საყოფთა განა იაბეზროს.  
(178, 4)

მართებულია ალ. ბარამიძის შენიშვნა, რომ შესაძლოა თეიმურაზ პირველი „არებად“-ის ნაცვლად კითხვობდა სიტყვას „სარებად“<sup>8</sup>. ამაზე მიუთითებს „იოსებზილჩხანიანის“ შემდეგი სტრიქონი:

ოხრად დარჩების დიდება სახლი, სამყოფი, სრავებნი.  
(თ I, 52, 213, 4)

ფრაზაში სინონიმებადაა გააზრებული სახლი, სამყოფი და სრა. ამ ვარაუდს მხარს უჭერს ფეშანიცი. „შანაფაზიანში“ იკითხება:

სრა და სამყოფთა სიკეთე, ტახტი უთქს ოქროს სვეტით.  
(ფეშ., 146, 4)

აქ „სრა“ და „სამყოფი“ სინონიმებია. რუსთველის საანალიზო სტრიქონის გაცლენა შეინიშნება „ბარამულიჯანიანზეც“.

არ ჰქონდა სახლი, სამყოფი, არცა საქმელად პურები.  
(ბ. გულ., 372, 4)

ამრიგად, ამ მაგალითში საქმე გვაქვს მხატვრული ჩამოთვლის ხერხთან და ჩამოსათვლელი ცნებები ერთმანეთისაგან მძიმეებით უნდა გამოიყოს. სტრიქონი უნდა დაიბეჭდოს შემდეგნაირად:

ადრე მივიდეს მეფისა სახლად, საყოფად, არებად.

მხატვრული ჩამოთვლის რუსთაველისეული ნიმუშის: „სრულად ნათლითა აევსო სახლი, შუკა და უბანი“ (483, 3) — გაცლენით შექმნილია ფეშანიცისთან: „წიწილის ვმასა შეემყო სახლი, შუკა და ებანი“ (ფეშ., 161, 3). რუსთველთან ჩამოსათვლელი ცნებებია. სახლი, შუკა და უბანი. პირველი ორი მეორდება ფეშანიცისთან. რას ნიშნავს მესამე ცნება ებანი? სტროფი მაჯამურთა:

მულნსა ჰკრეს, ძალსა მოსწიფეს, ზილს ჰქონდა მორთვით ებანი,  
ქამანჩა მორთეს სატკობლად, დაპირამ იწყო ებანი,  
წიწილის ვმასა შეემყო სახლი, შუკა და ებანი,  
სამოთხის მგზავსად ისმოდა, იმრიგად ჯმობდა ებანი.  
(ფეშ., 161)

<sup>7</sup> „ვეფხისტყაოსანში“ ეს სიტყვა ექვსჯერ გვხვდება (178,4, 331,1, 656,3, 687,4; 984,3; 1538,4). და ტრადიციულად ყველა შემთხვევაში იკითხებოდა „სამყოფი“. ხელნაწერებში ორივე ფორმა დასტურდება. პარალელური ფორმებია აგრეთვე დადასტურებული ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში, მაგ. „ამირანდარეჯანიანში“ და სხვა. ვეფხისტყაოსნის ახალ, 1966 წლის გამოცემაში მხარი დაუჭირეს უფრო ძველ ფორმას „საყოფი“, ოღონდ აქ უნდა შეენიშნოთ, რომ ერთ შემთხვევაში 1966 წლის ა. ბარამიძისა და ა. შანიძის გამოცემაში იკითხება მანიანი ფორმა: „სამყოფთაგან იაბეზროს“. შესაძლებელია ეს გარეპობა განაპირობა იმან, რომ ამ შემთხვევაში მანიანი ფორმა იკითხება ხელნ. H-757-ში, რომელშიც სხვა შემთხვევებში გვაქვს „საყოფი“, ეფიქრობთ, აქაც უპირატესობა უნდა მიეცეთ ფორმას „საყოფთაგან იაბეზროს“.

<sup>8</sup> ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი და მისი პოემა, თბ., 1966, გვ. 331.

პირველ და მეოთხე სტრიქონში „ებანი“ დაფის, საკრავის მნიშვნელობითაა. მეორე სტრიქონში: „ქამანჩა მორთეს სატკობლად, დაპირამ იწყო ებანი“, შინაარსით ივარაუდება დაპირამ ბანი უთხრაო. საანალიზო სტრიქონში შეიძლება გვეფიქრა, რომ უნდა იყოს არა „ებანი“, არამედ „უბანი“. ასეთ შემთხვევაში აქ პირდაპირ იქნებოდა გამეორებული რუსთველისეული ჩამოსათვლელი ცნებები: სახლი, შუკა, და უბანი. მაგრამ ასეთი წაკითხვა არღვევს მაჯამას. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ერთი მხრივ, ამ სტრიქონში მაჯამა მაინც არ არის სრულყოფილი (I და IV სართიმო სიტყვა ერთი და იმავე მნიშვნელობისაა), მეორე მხრივ, ფეშანგისთანაც და საერთოდ აღორძინების ხანის მწერლობაში უკვე საკმაოდ ხშირია მაჯამური რითმების დარღვევის შემთხვევები, შესაძლებელია დაგვეშვა, რომ რითმა მესამე სტრიქონშიც დაირღვა და რუსთველური „სახლი, შუკა, და უბანი“ უნდა გვეკონდეს. შეიძლება ისიც ვიფიქროთ რომ აქ ივარაუდება სიტყვა „ბანი“ (სახლის ბანი), ასეთ შემთხვევაში სტრიქონში „ებანი“ დაყოფით უნდა დაიბეჭდოს.

წინწლის ხმას შეემკო სახლი, შუკა და ე ბანი.

„ვეფხისტყაოსნის“ გავლენით აღორძინების ხანის მწერლობაში დამკვიდრდა შავი თვალების რუსთველისეული მეტაფორა „მელნის ტბა“ და წამწამებისა — „ინდოთა რაზმი“. „მელნის ტბა“ გვხვდება „იოსებზილიხანიანის“ ანონიმურ ვერსიაშიც. მაგალითად:

მ ე ლ ნ ი ს ტ ბ ა თ ა დუღილისგან გიშრის ჯარი გაეყარა (ზილ., 47, 22).

რუსთველისეული „ინდოთა რაზმის“ გავლენით კი შეინიშნება „ინდოთა“.

ვინ მისცა ტბასა გარეშე ი ნ დ ო თ ა შემოყრილობა (ზილ., 307, 2).

აქ „ინდოთა“ შავი წამწამების მეტაფორაა. სტრიქონის დაკვირვებით წაკითხვანათელს ხდის, რომ „მისცა“-ს ნაცვლად უნდა იკითხებოდეს „მელნის“

ვინ მელნის ტბასა გარეშე ინდოთა შემოყრილობა.

სტრიქონში ორი რუსთველური მეტაფორაა „მელნის ტბა“ და „ინდოთა“. უიმედოდ შეყვარებული ბაზიყა მოთქვამს და აღწერს იოსების გარეგნობას:

ვინ გაუკეთა — მოსთქვამდა — მაგ პირსა შენაწილობა?

ვინ მელნის ტბასა გარეშე ინდოთა შემოყრილობა?

ვინა ქნა მარგალიტთ წყობა, მახედა ლალთა ცილობა?

ვინ მისცა შაქარს მაგდენი პირშია, ნეტარ, ტკბილობა?

(ზილ., 307)

სტროფის შინაარსი ასეთია: ბაზიყა კითხულობს: ვინ გაუკეთა მაგ პირს (იგულისხმება იოსები) შენაწილობა, ვინ (იგულისხმება წინა სტრიქონის შემასმენელი — გაუკეთა) თვალბს (მელნის ტბას) გარშემო ინდოთა (შავი წამწამების) შემოყრილობა? და ა. შ. ამრიგად, სავსებით მართებულია სტრიქონში „მისცა“-ს შეცვლა სიტყვით „მელნისა“.

აღორძინების ხანის მწერლობაში უხვად გვხვდება „ვეფხისტყაოსნის“ ფრაზეოლოგია. „ვეფხისტყაოსნის“ მეტაფორული ხასიათის ფრაზა: „ცა წყალობისა მთოველი“, რომელიც რუსთველს როსტევეანის დასახასიათებლად გამოუყენებია, ხშირად გვხვდება აღორძინების ხანის მწერლობაში:

შესთვალა ტბილად მოგვედა, ცა წყალობისა მთოველი.

(ფეშ., 110, 2)

ჰკადრეს მობრუნდა რისხვითა ცა წყალობისა მთოველი.

(შფ., I, 2917, 3)

გარდგობრუნდების რისხითა ცა წყალობისა მთოველი,  
(შნ, II, 3450, 4)

გვხვდება ცალკე „წყალობის მთოველი“-ც.

ყოველთა შეჭირვებულთა შენ ხარ წყალობის მთოველი.  
(მთ., 723, 4)

რადგან არიან ჩემზედა ღვთაულებ წყალობის მთოველი.  
(ფშ., 730, 1)

ყველა ამ შემთხვევისაგან განსხვავებით იოსებ თბილელის „დიდმოუწრავიანში“ იკითხება:

თქვენც კარგა მპატივებდი,— ცა წყალობითა მთოველი, (თბ., 19, 4)

ეს ფრაზა უნდა გასწორდეს რუსთველის შესაბამისად. მართებული წაკითხვა იქნება:

თქვენც კარგა მპატივებდი,—ცა წყალობისა მთოველი.

„იოსებზილიხანიანის“ ანონიმურ ვერსიაში იკითხება:

მუდამ იჯდის მოჭრუშვილი, აყოლებდის რეტად თავსა,  
რა დაღამდის, არ დაიგის, თავი მიდვის მისვე მკლავსა,  
ცოტა რამე დაეძინა მოსარულსა თვალსა შავსა,  
წამოიჭრა, დაძახა: იგივე ვნახე ვინცა მკლავსა.

(ზილ., 39)

ეს სტროფი აშკარა გამოძახილია „ვეფხისტყაოსნის“ 509-ე სტროფისა:

ქალი ადგა, გამყარა, დაეწვე, ამოდ დაემძინა,  
მაგრა შევეკრთი, საყვარელი ჩემი ვნახე ძილსა შინა,  
გამეღვიძა, აღარა მყვა, სულ-დგმულობა მომეწყინა,  
ღამე ასრე გვათენე, მისი ხმაცა არ შესმინა.

გარდა ამისა, „იოსებზილიხანიანის“ მოტიანილი სტროფის მეორე სტრიქონი: „რა დაღამდის, არ დაიგის, თავი მიდვის მისვე მკლავსა“ — მოგვაგონებს რუსთველის სტრიქონს „უჩინდის ქვეყანა ტახტად და მკლავი სადებლად თავისად“ (182, 2), ხოლო პირველი სტრიქონის გამოთქმა: „აყოლებდის რეტად თავსა“ — დამახინჯებული ჩანს და იგი სხვა არაფერია თუ არა „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილი შესიტყვება „აყოლებდა თვალთა რეტად“ (503, 1) და „თვალთა რეტად აყოლებდა“ (139, 2). ამრიგად, „იოსებზილიხანიანის“ „საანალიზო სტროფის პირველ სტრიქონში მართებული ფორმაა „თვალსა“ (ნაცვლად სიტყვისა „თავსა“). ფრაზა „აყოლებდის რეტად თავსა“ უნდა შეიცვალოს რუსთველისეული ფრაზით: „აყოლებდის რეტად თვალსა“.

იმავე „იოსებზილიხანიანში“ იკითხება:

მეფთ ძეთ ცალკე დაუდგეს [ტახტი] ერთობილია ლალისა.  
(ზილ., 73, 2)

სურა და დოსტაქანები ერთობილია ლალისა,  
(ზილ., 100, 4)

რას ნიშნავს „ერთობილია ლალისა“? „ვეფხისტყაოსანი“ გვიამბობს: ნესტანს „დაადგეს თავსა გვირგვინი ერთობილია ლალისა“ (1187,2). იუსტ. აბულაძის განმარტებით „ერთობილი“ არის მთლიანი. ნესტანს დაადგეს გვირგვინი მთლიანად ლალის, ე. ი. გვირგვინი, რომელაც მთლიანად ლალით იყო შემკული. ეს რუსთველური გამოთქმა „ერთობილია ლალისა“ უნდა იკითხებოდეს „იოსებზილიხანიანის“ დასახელებულ სტრიქონებშიც.

მეფთ ძეთ ცალკე დაუდგეს [ტახტი] ერთობილია ლალისა.  
სურა და დოსტაქანები ერთობილია ლალისა.

პირველ შემთხვევაში ავტორი გვეუბნება, რომ ტახტია მთლიანად ლალის, ხოლო მეორე შემთხვევაში სასმისები (სურა და დოსტაქანები) არის მთლიანად ლალის, მთლიანად ლალით შემკული, ისე როგორც ნესტანის გვირგვინი<sup>9</sup>.

ყურადღებას იქცევს „შაჰნავაზიანის“ ორი სტრიქონი:

კაცს ნუ დაიკლებთ, ზენაარ მოაგრანეთ ყოვლი არია.

(ფეშ., 293, 3)

მოაგრანის ტყე და მინდორსა, მათვერ დაუღამს ქვა და.

(ფეშ., 382, 3)

ორივე შემთხვევაში ლაპარაკია ბევრი ლაშქრის მოსვლაზე. ეს სტრიქონებია აშკარად მოგვაგონებენ ტარიელის სიტყვებს. ტარიელმა რომ რამაზ მეფის მუხთლობის ამბავი შეიტყო, თავის ლაშქარს კაცი გაუგზავნა და როგორც თვითონ უამბობს გვიან ავთანდილს:

შევსთვალე: ფიცხლა წამოდით, მორაგნეთ მთა და გორია (440, 4).

საუბარი აქაც ბევრი ლაშქრის მოსვლას შეეხება. „შაჰნავაზიანის“ დასახელებული სტრიქონები სწორედ „ვეფხისტყაოსნის“ ამ სტრიქონის გავლენით არის შექმნილი და ფორმაც „მოაგრანის“ || „მოაგრანეთ“ სხვა არაფერია თუ არა „ვეფხისტყაოსნის“ „მოაგრანეთ“ ფორმის დამახინჯებული სახე, მიღებული ბგერათა გადასმის შედეგად. ამრიგად, „შაჰნავაზიანის“ ზემოდასახელებული სტრიქონები უნდა გასწორდეს შემდეგნაირად:

კაცს ნუ დაიკლებთ, ზენაარ, მოგრაგნეთ ყოვლი არია.

(ფეშ., 293, 3)

მოგრაგნის ტყე და მინდორსა, მათვერ დაუღამს ქვა და.

(ფეშ., 382, 3)

„შაჰნამეს“ ქართული ვერსიების 647-ე სტროფის:

კულე გამოუშვა სხვა ქარი საროსა შესარხეულად,

შეისუნთქა და მიზიდა, შტო მოჰყვა მოსარხეულად,

ველთა აქუს მშვილდი, ისარი, მის თემის სისხლთა მზღვევლად,

შესუქება: — ახლა ცოცხალი ვეღარ წამიხვალ მე ველად,—

(შნ. I, 647)

მეორე სტრიქონში („მოსარხეულად“) დარღვეულია რითმა. სტროფში რითმაა „ელად“, ამ სტრიქონში კი ერთი შეხედვით — „ულად“. მაგრამ თუ ამ სიტყვას დავეკვირდებით ვნახავთ, რომ ფორმაში „მოსარხეულად“ უნი უმარცვლოა („შაჰნამეს“ I ტომი ძველ ორთოგრაფიას იცავს), მაშასადამე, სიტყვას აკლია ხმოვანი, სავარაუდოა ეს ხმოვანი არის რითმის შემადგენელი ფ. მართებული ფორმაა „მოსარხეულად“ (მოსარხეველად). „შეისუნთქა და მიზიდა, შტო მოჰყვა მოსარხეულად (= მოსარხეველად)“. რითმის გასწორებასთან ერთად გამოჩნდა, რომ „შაჰნამეს“ ქართული ვერსიების ამ ნაწილის გამლექსავს ბარძიმ ეარნაძეს რუსთველის ფრაზა გამოუყენებია: „ვინ მიჰყო ხელი ალვას, შტო მოჰყვა მოსარხეველად“ (1358, 2). ამრიგად, „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენისა და ფრაზეოლოგიის აღორძინების ხანის მწერლობაზე გავლენის შესწავლა და სათანადო მავალითების გაანალიზება, აღორძინების ხანის მწერალთა ნა-

<sup>9</sup> „ვეფხისტყაოსნის“ გამოთქმები დამახინჯებული ფორმით «იოსებზილხანიაში» სხვაგანაც გვხვდება, «იოსებზილხანიაში» ივითხება, «თავ-ჩამოვდებით ქეშად ჯდა...» (260, 3) და «იგი წარბ-შერქმით ქეშად ჯდა...» (156, 4). ფორმა ქეშად ჯდა||ქეშუშად ჯდა» «ვეფხისტყაოსნის» 123, 3-ე სტრიქონზე (იგი უფრობო ქეშად ჯდა...) დაყრდნობით სამართლიანად გაასწორა ალ. გვახარია ფორმით ქეშად ჯდა» (ალ. გვახარია, იოსებზილხანიაშის ქართული ვერსიების სპარსული წყაროები, თბ., 1958, გვ. 111).

წარმოებებში ტექსტოლოგიური ხასიათის შესწორებათა შეტანის საფუძველს იძლევა.

ვეფხისტყაოსნის ესა თუ ის ადგილი სხვადასხვაგვარი წაკითხვით წარმოგვიდგება ხელნაწერებსა და გამოცემებში. ასეთ შემთხვევებში გარკვეული ყურადღება უნდა მიექცეს აღორძინების ხანის მწერალთა მონაცემებს. მოვიტანო რამდენიმე მაგალითს.

1. 35-ე სტროფის მესამე სტრიქონში „ვეფხისტყაოსნის“ ყველა გამოცემაში 1957 წლის გამოცემის ჩათვლით იკითხებოდა:

მეფემან ი ხ მ ნ ა ვაზირნი, თვით ზის ლალი და წყნარია.

1966 წლის გამოცემებში „იხმნას“ ნაცვლად უპირატესობა მიენიჭა ფორმას „უხმნა“ და დაიბეჭდა: „მეფემან უ ხ მ ნ ა ვაზირნი...“ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში ორივე ფორმა დასტურდება. აღორძინების ხანის მწერლები იმეორებენ ტრადიციულ წაკითხვას.

მეფემან იხმნა აქიმი, შესჩივლა საქმე შთავარისა. (თ 1, 67, 62, 1)

მეფემან იხმნა ვაზირნი და მკურნალები სრულია. (ზილ., 25, 1)

ფორმას „იხმნა“, რომელსაც მხარს უჭერენ აღორძინების ხანის მწერლები, ადასტურებს შემდეგი ხელნაწერები: Q — 1082, S — 4988, S — 2829, W — 17, S — 5006.

2. 36, 3-ე სტრიქონი ტრადიციულად, გარდა ს. კაკაბაძის მეორე გამოცემისა, იკითხებოდა: „იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“. 1966 წლის გამოცემებში „იგი წავა და“-ს ნაცვლად (ისევე როგორც ს. კაკაბაძის II გამოცემაში) დაიბეჭდა „იგი წახდების“. ხელნაწერებში ორივე ფორმა დასტურდება. აღორძინების ხანის მწერლები მხარს უჭერენ ტრადიციულ წაკითხვას („იგი წავა და“...), რომელიც დასტურდება შემდეგ ხელნაწერებში: H—599, K—205, W—17, S—5006, H—3061.

ი გ ი წ ა ვ ა და ს ხ ვ ა მ ო ვ ა, ამით რა შეიმატოსა. (ბაქ., 28, 3)

ი გ ი წ ა ვ ა და ს ხ ვ ა მ ო ვ ა ტურფასა საბაღნაროსა.

(ონანა, ქილ. და დამანა, 239, 9)

ე რ თ ი წ ა ვ ა და ს ხ ვ ა მ ო ვ ა სოფლის სისძლოსა წვეულად.

(საბა, II, 133, 18)

3. „ვეფხისტყაოსნის“ 131-ე სტროფის მეოთხე სტრიქონში: „წა და იგი მოყმე ძებნე, ახლოს იყოს თუნდა შორად“ — ბროსესა და ს. კაკაბაძის მეორე გამოცემის გარდა სხვა გამოცემებში, 1957 წლის გამოცემის ჩათვლით, იკითხებოდა: „წადი, იგი მოყმე ძებნე...“ ამ ფორმას ადასტურებს ხელნაწერთა უმრავლესობა (H—559, S—2829, S—4988, H—2610, H—461, S—4499, K—205, Q—261, S—5006, P—10) და აღორძინების ხანის მწერლობიდან ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი.

წ ა დ ი, ი გ ი მ ო ყ მ ე ნ ა ზ ე, ვ ი ნ შ უ ქ თ ა ჰ ვ ე ნ ს მ ზ ე ბ ა რ ა. (ომ, 71, 2)

4. ვეფხისტყაოსნის 904-ე სტროფის მეოთხე სტრიქონის ტრადიციული წაკითხვა „ბედი ი, ცდა და გამარჯვება...“ 1966 წლის გამოცემებში შეიცვალა შემდეგნაირად „ბედი ცდაა, გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მოცაგხვდების“. ტრადიციულ წაკითხვას მხარს უჭერს ხელნაწერთა უმრავლესობა: H—599, S—2829, S—4988, H—2610, Q—261, H—461, S—4499, K—205. აღორძინების ხანაში ამ სტრიქონის გავლენით შექმნილი სტრიქონი გვაქვს ი. თბილელთან. ი. თბილელი ადასტურებს ტრადიციულ წაკითხვას. ჩანს ი. თბილელი „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონში რუსთაველის მხატვრული ენისათვის

დამახასიათებელ ჩამოთვლის ხერხს ხედავს და მისი მიბაძვით თვითონაც ქმნის სათანადო სტრიქონს:

ბელი, სეე და გამარჯვება, იქნას კაცზე, რაც მოჰხდებინს. (თბ., 402, 4)

5. 959-ე სტროფის მესამე სტრიქონი ტრადიციულად იკითხებოდა:

შ ე მ ო მ ყ ა რ ე კ ა ე შ ა ნ ი, ტვირთი მძიმე, ვითა ვირსა.

ასეთი წაკითხვით სინონიმურადაა გააზრებული სიტყვები „კაეშანი“ და ტვირთი მძიმე“. პ. ინგოროყვას, მ. წერეთლისა და 1966 წლის გამოცემებში იკითხება:

შ ე მ ო მ ყ ა რ ე კ ა ე შ ა ნ ი ს ა ტვირთი მძიმე, ვითა ვირსა.

ტრადიციულ წაკითხვას მხარს უჭერს ნაწილი ხელნაწერებისა (H—599, S—2829, Q—261, H—461, W—17) და აღორძინების ხანის მწერლობა:

შ ე მ ო მ ყ ა რ ე კ ა ე შ ა ნ ი, მით დამეკრა გულსა სერა. (ფშ., 642, 2)

შ ე მ ო მ ყ ა რ ო ს კ ა ე შ ა ნ ი, გული სევდით ამეცხსა. (მთ, 107, 4)

მსგავსი მავალითების დასახელება კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ აქ ამით დაკმაყოფილებით. ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს, რომ პარალელურ ფორმათაგან, რომელიც ხელნაწერებს დაუცავს, აღორძინების ხანის მწერლები ისეთ ფორმებს ადასტურებენ, რომლებიც ხელნაწერების I (H—599, S—2829, H—461...), II (S—4988, Q—1082, S—5006, H—3061...) და IV (W—17, S—4499, K—205...) რედაქციაში გვაქვს. რაც შეეხება III რედაქციას<sup>10</sup>, რომელშიც A ჯგუფის ხელნაწერებია გაერთიანებული (H—757, H—54, H—2074...) აღორძინების ხანის მწერლობა ნაკლებად ადასტურებს ამ ხელნაწერთა წაკითხვებს. ვფიქრობთ აღორძინების ხანის მწერლობის ეს ჩვენება მეტად საყურადღებო და ანგარიშგასაწევია „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ტრადიციის შესწავლისა და პოემის ტექსტის დადგენის თვალსაზრისით.

#### შემოკლებანი

ბ ა ქ. — იესე ტყლავაძე, ბაქარაინი, გამოსაცემად მოამზადა, ს. ყუბანეიშვილმა, თბ., 1962.

ბ. გ უ ლ. — ონანა მლივანი-ქობულაშვილი, ბარამგულიჯანიანი (წიგნში: დ. ბრეგაძე, ქართველი მწერლები რუსეთში, I, 1958).

ზ ი ლ. — იოსებზილიხანიანი, ანონიმური ვერსია (იოსებზილიხანიანის ქართული ვერსიები, გ. ჯაკობიას რედაქციით, თბ., 1927).

თ I — თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, აღ. ბარამიძის და გ. ჯაკობიას რედაქციით, ტფ., 1934.

თ ბ — იოსებ თბილელი, დიდმოურავიანი, გ. ლეონიძის რედაქციით, 1939.

მ თ — ნოდარ ციციშვილი, შეიდი მთიები, ბროფ. კ. კეკელიძის რედაქციით, გამოკლევით და ლექსიკონით, 1930.

ო მ — ქაიხოსრო, ომანიანი, გ. ჯაკობიას რედაქციით, ტფ., 1937.

ო ნ ა ნ ა, ქილილა და დამანა — ონანა მლივანი-ქობულაშვილი, ქილილა და დამანა (წიგნში: დ. ბრეგაძე, ქართველი მწერლები რუსეთში, I, 1958).

ს ა ბ ა, II — სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, II, აღ. ბარამიძისა და ე. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1962.

ფ ე შ. — ფეშანგი, შაჰნავაზიანი, გ. ლეონიძის და ს. იორდანიშვილის რედ., თბ., 1935.

შ ნ, I — შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, იუსტ. აბულაძის რედ., თბ., 1916.

შ ნ, II — შაჰ-ნამე, ქართული ვერსიები, იუსტ. აბულაძის, აღ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას, კ. კეკელიძის და ა. შანიძის რედ., II, ტფ., 1934.

<sup>10</sup> ხელნაწერთა რედაქციების ეს კლასიფიკაცია ეკუთვნის ს. ცაიშვილს. იხ. История текста «Витязя в тигровой шкуре», Автореферат, Тб., 1968.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა აღ. ბარამიძემ)

## თამაზ ჩხენკელი

## ღვეური და ლმთაპრივი

ორგვარი არსი ჰგვის ამ სოფლად:  
ღვეთაებრივი და ეშმაური...  
ბჰავავატტიტა (XVI.6)

## 1

და ბოლოს მოაქვს მწებულობას თოვლი, — და ყინვით  
ზამთარი ისევ იბორკება...  
ლუკრეციუსი (ბუნებისათვის საგანთა. V. 346—347)  
საშინელი ძალით არყევს ბორკილს ჭირხლით დაფარულს...  
ვალერიუს ფლავიუსი (არგონავტიკა. V. 158—259)

ამირანი. ვაჟა-ფშაველას პირველივე ლექსი (1884) ამირანის, — ქართული მითოსის ამ ცენტრალური პერსონაჟის სახელითაა დასათაურებული. ეს ფაქტი მართო ქრონოლოგიური თვალსაზრისით არ არის საგულისხმო. ვაჟას პოეტური სამყაროს მოდელში ამ ლექსში მინიშნებულ მხატვრულ-მითოლოგიურ ელემენტებს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. ისინი თანდათანობით ღრმავდებიან და კრისტალდებიან ვაჟას პოეზიაში და მის ზოგიერთ ლექსში მსოფლმხედველობრივ განზომილებას იძენენ.

ვაჟა საფუძვლიანად იცნობდა ქართულ ხალხურ თქმულებებს, კერძოდ კი ამირანის მითოსის ფშაურ ფრაგმენტებს, მით უმეტეს, რომ მიხეილ ჩიქოვანის თქმით, „სხვა კუთხეებთან შედარებით, ფშავეში ამირანიანის წრის მოთხრობები თუ ყველაზე უკეთ არაა, ბარის რაიონებზე უფრო სრულად მაინც არის შემონახული“<sup>1</sup>. ვაჟა-ფშაველა უხვად იყენებს მის ცალკეულ, მითოლოგიურ თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვან პასაჟებს თავისი უღრმესი ინტუიციების გადმოცაველად.

„ამირანიანის“ თქმულების წარმოშობა, ყოველმხრივ, — „ეთნიურ-ტოპოგრაფიულ-ენობრივად და წარმოდგენათა სისტემის მიხედვით ქართულია“, და მასში „ქართული კულტურის თავდაპირველი ფორმირების მომენტებია“<sup>2</sup> აღბეჭდილი. ცხადია, ამას თავისი კვალი უნდა დაეჩინა ქართული სიტყვიერების ისტორიაში.

უკვე ლეონტი მროველის თხზულებაში „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“, — როგორც პავლე ინგოროყვა აღ-

<sup>1</sup> მიხეილ ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, თბ., 1947, გვ. 14.

<sup>2</sup> შალვა ნუცუბიძე, კრიტიკული ნარკვევები, თბ., 1966, გვ. 208—9.

ნიშნავს, — „წყობილი სიტყვით შესრულებული არქაული ხასიათის ფოლკლორული ძეგლებია“<sup>3</sup> შესული, რომლებიც მისივე თქმით, „აღბეჭდილია ნამდვილი ხალხურობით“<sup>4</sup>. ერთ-ერთ მათგანში „გადმოცემულია — მითოსის ასპექტში — სურათი კეთილი და ბოროტი სულების ბრძოლისა ტაროსის შეცვლის დროს... აღსანიშნავია, რომ ეპოსის ამ ფრაგმენტში არის ერთგვარი შეხვედრა უძველეს ქართულ ეპიკურ თქმულებასთან ამირანის შესახებ“<sup>5</sup>. პავლე ინგოროყვა გამოწვლილივით აანალიზებს და მკითხველისათვის თვალსაჩინოს ხდის ლეონტი მროველის თხზულებისა და ამირანიანის ცალკეული მომენტების უეჭველ შესატყვისობას.

ლეონტი მროველის თხზულებაში ემბრიონული ელემენტებით არის წარმოდგენილი ამირანიანთან დაკავშირებული ტაროსის შეცვლის ეპიზოდი. XI—XII საუკუნეებში, საერო ლიტერატურის აღორძინების კვალდაკვალ, მითოსის გამოყენების არე ფართოვდება. „ამირანდარეჯანიანი“ უკვე სიუჟეტურ კავშირს ამჟღავნებს ამირანიანის ციკლის ხალხურ მოთხრობებთან და ეს შემთხვევითი არ იყო. მიხეილ ჩიქოვანი აღნიშნავს, რომ „მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი“ ფოლკლორის საფუძველზე აღმოცენდა“<sup>6</sup>. რ. ჰ. სტივენსონის აზრით, იგი „ქართული წარმოშობის ძეგლია“<sup>7</sup>. ამ ძეგლში ფართო პლანით აისახა და ეპოქის სტილის შესაბამისად გადაშუშავდა ქართული მითოსის უძველესი წარმოდგენები. სტივენსონისვე სიტყვით, ამ ნაწარმოებით იწყება XII საუკუნის „საქართველოს ლიტერატურის აყვავება... რომელიც თავის უმაღლეს საფეხურს რუსთაველის პოემაში „ვეფხისტყაოსანში“ აღწევს“<sup>8</sup>. რუსთაველის გენიას ეროვნული თვითცნობიერების უღრმეს შრეებში აქვს ფესვი გადგმული და როგორც დემნა შენგელაია აღნიშნავს, მისი პოემის „სიუჟეტი ღრმად ეროვნულია თავისი სამი ბრწყინვალე გმირის თავგადასავლითა და ამირანიანთან ფაბულარული კავშირით“<sup>9</sup>. „ვეფხისტყაოსანში“ დაპირისპირებული ძალების ბრძოლა, აკაკი სოხაძის აზრით, „ქართველი ხალხის ძველი მსოფლმხედველობის“ მოდელს ამჟღავნებს, ხოლო „ბოროტების სიმბოლოებად... დასახელებული ფანტასტიკური გველი (ვეშაპი, გველუშაპი), დევები, ქაჩები და სატანა (ეშმა, ეშმაკი)... პირდაპირი გაგებით, ხალხურ სარწმუნოებრივ იდეებს გულისხმობს“<sup>9</sup>.

XVIII საუკუნემდე მითოლოგიურ ძირებს აღარ მიბრუნებია ქართული ლიტერატურა. მხოლოდ დაეით გურამიშვილის ზოგიერთ ლექსსა და „ქაცვია მწყემსის“ პირველ თავებში კვლავ გამოჩნდება ქართული ზეპირსიტყვიერებისთვის ნიშანდობლივი მსოფლმეგობრება და მხატვრული სახეები, კერძოდ, ზამთარ-ზაფხულის, აგრეთვე ტაროსის შეცვლასთან დაკავშირებული მითოსური ელფერის მქონე ეპიზოდები.

შვიდასი წელი თვლემდა ამირანი ქართული სულის ქვეცნობიერებაში და მხოლოდ XIX საუკუნეში, ეროვნული თვითცნობიერების გაღვივებასთან ერ-

<sup>3</sup> პავლე ინგოროყვა, ვიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 726—27.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 730.

<sup>5</sup> მიხეილ ჩიქოვანი, დასახ. წიგნი, გვ. 237.

<sup>6</sup> შ. ნუცუბიძე, დასახ. წიგნი, გვ. 204.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 217.

<sup>8</sup> დემნა შენგელაია, მუდმივი თანამგზავრები, თბ., 1964, გვ. 21.

<sup>9</sup> აკ. სოხაძე, ვეფხისტყაოსანში ასახული ზოგიერთი ხალხური იდეის შესახებ, კრებ. „მთა რუსთაველი“, თბ., 1968, გვ. 158.

თად აღდგა ძილისაგან ჯერ აკაკის, ხოლო შემდეგ 23 წლის ვაჟს მაგიური ხელის შეხებისაგან. აკაკი წერეთლის შემოქმედებაში ამირანის სახეს უპირატესად პატრიოტული ელფერი ახლავს: საქართველო მიჯაჭვული ამირანია, რომელიც უნდა აღდგეს და განთავისუფლდეს. ვაჟა-ფშაველას პირველსავე ლექსში იგი მითოლოგიურ გარემოცვაშია მოცემული, თუმცა აკაკისეული მოტივების ქვეტექსტი ძალუმად იგრანობა მასში.

ამ ლექსის წაკითხვისას უცებვე ხდება საცნაური, რომ ამირანი ხტონური ღვთაებაა, მიუხედავად იმისა, რომ ეს მომენტი ჯერ კიდევ არ არის მთელი სისრულით გადმოცემული. ამირანი „კლდეში ჩანს“, მას მკლავზე „გველივით ეხვევა ჯაჭვი“, ხოლო „ტანზე ყინული“ აქვს ასხმული...

დაჰვიწყებია ეს მონა  
ძირს კაცსა მალა ზეცასა,  
არ იხსენებენ მისგანა  
ღვე-შმაყების ელუტასა...

როდის აღგება ამირან,  
ჯაჭვ-აბჯრით შემოსილიო,  
ჩამოსდნობოდეს ყინული  
და უცინოდეს პიროო...

მიწა იძროდეს, ღრუბელნი  
ფუოდენ, ხტონდენ შავადა,  
კეკლუცნი წვრილნი ვასრკველენი  
მთებზე სხდებოდნენ ჯარადა...

მუნით ჩამოწვეს ღრუბული,  
განდეს ცეცხლ-სეტყვა ხშირია,  
იახდნენ მართლის ჯვარცმენი:  
ვაჰმე, რა დიდი ჭირია... (1, 11—13)\*

ჯაჭვი ზამთრის ტრადიციული ატრიბუტია<sup>10</sup>. ვაჟას ზამთარ-ზაფხულის ციკლის სხვა ლექსებშიც, ტანზე ასხმულ „ყინულს“ „ჯაჭვ-აბჯარი“ ენაცვლება. კლდეში ჯაჭვით დაბმული ამირანის აღგომასთან და დევების მიერ „აბჯარის დაყრასთან“ (1, 54) არის დაკავშირებული გაზაფხულის მოსვლა. ამავე ლექსში, არაგვი „ამირანის ლახტით აფრთხობს დევებს“, რომლებიც ზამთარს განსახიერებენ. ჯაჭვი გველივით ეხვევა ამირანს, რადგან გველი ხტონური სამყაროს სიმბოლოა. „ყინულის ჩამოდნობას“ ამირანის „პირმცინარობა“ ანუ ბუნების გაღვიძება უნდა მოჰყვეს. ვაჟას ლექსებში „მძინარე მხარე“ იგივე ქვესკნელია, „ალ-ქაჭებისა და პირ-შავი დევების“ საუფლო (1, 172). საინტერესოა, რომ გურამიშვილის „ქაცვია მწყემსში“ ზამთარი ქვესკნელთან არის დაკავშირებული: „არ ჩამოეხსნა კეკია ქარი, სანამ არ ჩაძვრა ქვესკნეთს ზამთარი“<sup>11</sup>.

<sup>10</sup> ვ ა ხ ტ ა ნ გ კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი, ხალხური პოეზია, თბ., 1961, გვ. 350.

<sup>11</sup> დ ა ვ ი თ გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დავითიანი, თბ., 1965, გვ. 215.

\* ვაჟა-ფშაველას ყველგან ვიმოწმებთ თხზულებათა სრული ათტომეული კრებულის მიხედვით (1967).

„ამირანში“ შეფარებულად, მაგრამ მაინცა ჩანს მითოსური სამი სქენელი: ზეცა, მიწა და ზღვა. ზღვა აქაც და სხვა ლექსებშიც ქვესკნელის განმასახიერებელია. „ღრუბელთა აფუეება“ და „ზშირი ცეცხლ-სეტყვა“ გაზაფხულისა და ამავე დროს ამირანის ღრუბელთ-ბატონთან წილნაყარობის აღმნიშვნელი ატრიბუტებია („...ამირან შავსა ღრუბელსა, საავდროდ გამზადებულსა“). ამირანის აღდგომასთან აქ გაზაფხულია დაკავშირებული. ლექსის ვარიანტი აშკარას ზღის ამას:

დაბნელებია სამყარო  
 ბეჩავესა, მზე და მთვარია,  
 ვეღარც საღამოს ჟამს ხედავს,  
 ვერც რომ ეღება კარია  
 გარიჟრაჟზედა ბუნების,—  
 წითელ-ყვითელი, მწვანია, (I, 354)

„დაუსრულებელ კვენსაში“ კიდევ უფრო ცხადად ჩანს ამირანის ტონური ბუნება, მისი ქვესკნელში ყოფნა:

რა ფერისაა ქვეყანა,  
 ნეტავ მაჩვენა თვალთა:  
 მისი ზამთარი, ზაფხული  
 წყალ-ველით, მთებით მწვანითა,  
 ცა ვარსკვლავებით მორთული,  
 დღისით—მზით, ღამე მთვარითა. (I, 97)

„...ზამთარი და ზაფხული, როგორც სხვადასხვა რიგის ბუნების მოვლენები და ძალები განპიროვნებულად ჰყავდათ წარმოდგენილი, ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილთა სახით, ზამთარი — მცენარეულობის მიძინება თუ სიკვდილია, გაზაფხული — აყვავება და სიხარული. მათ შორის ურთიერთობა წარმოიდგინებოდა როგორც ბ რ ძ ო ლ ა, სადაც საბოლოო გამარჯვება გაზაფხულისა იყო“<sup>12</sup>. ამ უძველეს ხალხურ წარმოდგენებში ჰქონდა ფესვი ვეგეტაციური ღეთაებებისადმი პირველყოფილ რწმენას. ამ რწმენიდან იღებენ სათავეს მცირეზიური წარმოშობის ვეგეტაციური ღმერთები: თამუზი, ატისი, აღონისი, ქართული ამირანი. „ამირანი ვეგეტაციური ღეთაება იყო და იგი ქვეყანას ყოველ გაზაფხულს ფასკუნჯის მეშვეობით მოევლინებოდა ხოლმე ქვესკნელიდან და დედამიწა ჰყვოდა. შემოდგომით იგი კვლავ ქვესკნელში (მომავალ გაზაფხულამდე) ინთქმებოდა“<sup>13</sup>. ვაჟის ლექსებში ამირანის აღდგომა გაზაფხულთანაა დაკავშირებული და ამ ასპექტით, მის პირველსავე ლექსში, იგი წინარე დიონისური ღეთაების სახით წარმოგვიდგება.

მაგრამ ვაჟის ამირანის ეთიკური პლანი აქვს, მან უნდა „გაეღიბოს დევ-ეშმაკები“, რომლებიც „მართლის ჯვარცმელნი არიან“<sup>14</sup>. ეგვევ მოტივი მეორდება, ოღონდ უფრო სრული სახით, სხვა ლექსებში: „ბედკრული ქვეყანა დევთა სიკერპისაგან არის დაღუელი“, ამირანი ხმალს ნატრობს მათს გასაწყევლად („სიზმარი ამირანისა“, I, 172). დევებმა „გაქნეს და კაცთა ძვალით აავსეს ქვეყანა“, ხოლო ამირანი კვლავ მათს განადგურებას ნატრობს („დაუსრულებელი

<sup>12</sup> ვ ა ხ ტ ა ნ გ კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი, ხალხური პოეზია, გვ. 348.

<sup>13</sup> დ ე მ ნ ა შ ე ნ გ ე ლ ა ი ა, წერილები, თბ., 1955, გვ. 232—33.

<sup>14</sup> სინტერესოა, რომ სვანურში დ ა ვ ა ს (დევს) უპირისპირდება დ ტ კ ი ც ა, რაც მ ა რ თ ა ლ ს ნიშნავს.

ქენესა“, I, 97). საგულსხმოა, რომ ისლანდიელთა ჰეკა-ქუხილის ღმერთი ტორიკ ამირანივით ებრძვის გოლიათებს, რომლებიც ვაჟს დევების მსგავსნი არიან. „ტორმა გოლიათები რომ არ მუსროს, ისინი ისე გამრავლდებიან, რომ აღამიანთათვის სიცოცხლე შეუძლებელი გახდებოდა“<sup>15</sup>.

ამირანის აღდგომისას „ზღვა ცას მიაწოდებს ხელს“, რაკი ტონური დეტაბა ქვესენელიდან ზესკენლს აიწვეს. ამიტომვე უნდა დასხდნენ „მთებზე კეკლუტენი წვრილინი ვარსკვლავნიც“. აქ ვარსკვლავნი თითქოს არ უნდა ჩანდნენ, აკი ამ დროს „მიწა იძვრის“ და „ღრუბელნი შავად ხტიან“, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს „ვარსკვლავნი“ ამირანის ასტრალური ატირებულებია.

ვაზაფხულზე მკვდრეთით დება ფერშეცვლილი ღმერთი. „ნამძინარევი, თმწვერდაწეწილი“ ამირანი (I, 180) კვლავ ამოდის სამზოზე. ზამთრის ჯაჭვისაგან აწყვეტილი, განთავისუფლებული დეტაბა „ელვა-სეტყვითა და აფუებული შავი ღრუბლებით“ გრგვინავს ზესკენლში. „დაბნელებული სამყარო“ მზითა და მთვარით ნათდება, ხოლო დედამიწა წითელ-მწვანით იმოსება. ზემოთქმულს კარგად ესადაგება პლუტარქეს აზრი: „ფრიგიელები ფიქრობენ, რომ ღმერთს ზამთრობით სძინავს, ხოლო ზაფხულში იღვიძებს: ღმერთის მიძინებასა და გაღვიძებასაც ისინი ბაქსიური დღესასწაულით აღნიშნავენ. პაფლაგონიელები კი ამბობენ, რომ ზამთრობით ის შებოროკილი და დატყვევებულია, ხოლო გაზაფხულზე ხუნდებისაგან თავისუფლდება“<sup>16</sup>.

აქ ზოგიერთ გარემოებას უნდა მიეჭეს ყურადღება:

1. ვაჟს „ამირანული“ ციკლის ლექსებში ეს დეტაბა-გმირი „კლდეში დაბმულია“, „ყინულის ჯაჭვით შებოროკილია“. (აღსანიშნავია, რომ დუმუზის, იგივე თამუზის მიმართ გამოყენებული ეს სახეები ჯერ კიდევ უძველეს შუმერულ საგალობელში გვხვდება: „...გული ჩემი ედენს შესტირის, ადგილს, სად მოყმე დაბმულა, ადგილს, სად დუმუზი შებოროკილა“)<sup>17</sup>. ამირანი „დავიწყებულია ზეცისა და მიწისაგანაც“ და „მოუხმარები ძალით ლპება“ (I, 97). ვეღარც საღამო უამს ხედავს და ვერც ბუნების გარეყრას, ვერც ზამთარს და ვერც ზაფხულს. მის გულში „უქმად არის ორივე — მტრობაცა და ტრფიალიც“ (I, 354). მას არც დარჩომა ახლავს, არც სიკვდილი (I, 96). ამირანი თითქოს მეტათეზიკური არყოფნის სტატიურობაშია გაყინული თუ გაშეშებული იმ მარცვალივით, რომელსაც უკვე აღარ გააჩნია პირვანდელი ყოფიერება, რაკი „ლპება“ და აღარც ახალი სახე ახლავს, რაკი ეს ახალი ჯერ კიდევ ემბრიონულ მდგომარეობაშია.

ასტრალურ პლანში, ვეგეტაციური ღმერთის ასეთ მდგომარეობას მზებუდობა შეესაბამება. დამცრობილი მზე უკიდურეს სამხრეთ წერტილს, დეკანას მიეწურა. იგი ქვემოთა ნახევარსფეროში ანუ ქვესკენლის საშოშია დაბუდრებული. მზეს ანუ დღეს, ჯერ არ დაუწყია გადიდება. იგი კოსმოსური არყოფნის წიაღში უძრავადაა გაჩერებული.

<sup>15</sup> Старшая Эда, М.-Л., 1963, стр. 198.

<sup>16</sup> Вяч. Иванов, Дионис... Баку, 1923, стр. 14 (ხზავსმა აქაც და ქვემოთაც, სადაც კი არ მიუთითებთ, ჩენია),

<sup>17</sup> გლოვა დუმუზიზე (შუმერულიდან თარგმნა ზ. კიკნაძემ), «ცისკარია», № 5, 1969, გვ. 92, მთარგმნელის განმარტებით, ედენი ქვესკენლის მეტაფორაა.

ვაჟა გენიალური ინტუიციით გრძნობს ამირანის, — ბუნების ვეგეტაციისა და „მზიერი ცისა და ზღვის“ (ნ. მარი) მითოსურ ბუნებას.

2. ქვესკნელში მყოფ ამირანს არც სიცოცხლე ახლავს და არც სიკვდილი, მაგრამ მის ასეთ ყოფაში პოტენციურად მოცემულია როგორც ერთი, ისე მეორე ასპექტი. მის გულში „უქმი“ ემბრიონის სახით ბუდობს ზამთარი და ზაფხული, სიკვდილი და სიცოცხლე, მტრობა და ტრფიალი. ამირანის აღდგომა ამ ანტინომიურობის ქმედებაში გაშლასთან არის დაკავშირებული. ქმედებაში გაშლისას ეს ურთიერთდაპირისპირებული ძალები თავიანთ არსებობას ბრძოლით დაიმკვიდრებენ. ვაჟას სხვა ლექსებში, პირველი ლექსის კვლადაკვალ, წელიწადის ალოთა ციკლურ წრებრუნვას, ეთიკური თვალთახედვის პლანში ზამთართან დაკავშირებული დევებისა და გაზაფხულზე ბორკილაცილილი დვთაება-გმირის დაპირისპირება ენაცვლება, რაც მათ შორის ბრძოლის სახით ცნაურდება. ერთ მხარეს „მართლის ჯვარცმელი“ დევ-ეშმაკები დგანან, მეორე მხარეს. მათი შემუსკრელი გმირია. „ერთი მხრით ცოდვა დგას, მეორე მხრით — მაღლი“

უნდა იბრძოლონ მანამდე,  
 სანამ ქვეყანა არია,  
 სანამდე ვარსკვლავებია,  
 სანამდე მზე და მთვარე (I, 149).

დაპირისპირებულთა მარადიული ბრძოლის ეს კანონი უნივერსალურია და სათავეს იგი მითოსური მსოფლმხედველობიდან იღებს. „ხევსურთა უძველესი მსოფლმხედველობა დუალიზმის საფუძველზე იყო აგებული. ხევსურს მსოფლიო კეთილი და ბოროტი ძალების ჭიდილის ასპარეზად ჰქონდა წარმოდგენილი“<sup>18</sup>. ზურაბ კეკელიძის აზრით, ფშავ-ხევსურეთის ღვთისმშვილები „იახსარი და კობალა აპურამზდას თანამდგომი სულების მსგავსად ებრძვიან დევებს, ვითარცა არიანის ლაშქარს“<sup>19</sup>. დაპირისპირებულთა ეს მარადიული ბრძოლა ბუნებაზეც ვრცელდება და აქ ვაჟა პოეტურ პლანში ასახიერებს ელინური სამყაროსათვის ნიშანდობლივ თვალსაზრისს, რომელიც მან ქართული მითოსისა და ფშავ-ხევსურეთის საკრალურ რწმენათა მეშვეობით შეითვისა და რომლის მიხედვითაც მთელი ბუნება, დედა-მიწა და ცამყარი, — ღმერთის მსგავსი ყოვლადი ადამიანია. ამიტომ ბუნებაც —

ზოგჯერ სიყეთს იხვეჭავს,  
 ზოგჯერ შქნელია ავისა,  
 ერთფერად მტვირთველი არის  
 საქმის თეთრის და შავისა,  
 სადაც პირიმზეს ახარებს,  
 იქვე მთხრელია ზვავისა... (I, 93)

„ვაჟას მთელი კოსმოსი კეთილისა და ბოროტის ასპარეზად აქვს წარმოდგენილი. მისი აზრით, ბოროტება და სიყეთე ყველგანაა, როგორც ბუნებაში, ისე ადამიანში. დამე ბოროტების გამოვლენაა, დღე სიკეთისა. ერთი ბნელია, მეორე ნათელი“<sup>20</sup>. ვაჟას პოეზიაში „ცხოვრება და

<sup>18</sup> ვ. ბარდაველიძე, გ. ჩიტიია, ქართული ხალხური ორნამენტი, ხევსურული, I, 1939, გვ. 6.

<sup>19</sup> ზ. კიკელიძე, „ესე ამბავი სპარსული...“ — „ციცქარი“, № 5, 1968, გვ. 110.

<sup>20</sup> მ. ქვესელავა, ფალსტური პარადიგმები, II, თბ., 1961, გვ. 120.

სამყარო სინათლისა და სიბნელის, სიკეთისა და ბოროტების დაუსრულებელი ჭიდილის სახითაა წარმოდგენილი... ეს ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის კოსმოსური ხასიათისაა“<sup>21</sup>. „ბოროტი ებრძვის კეთილს და ბუნების უბეში მოპირდაპირე ძალთა მუდმივი ბრძოლა მიმდინარეობს“<sup>22</sup>. ამ ბრძოლაში ცნაურდება „ბოროტებისა და სიკეთის დიალექტიკური კავშირი“<sup>23</sup>, რაკი ვაქას თქმით, „ბოროტი ზოგჯერ ნაღდის კეთილის მშობია“ (I, 174) და მათი ბრძოლის შედეგი ლვთაებრივ პლანში მოიაზრება მხოლოდ. მანამდე კი —

მზე გვაბობს, სიცივე გვეყინავს,  
ღარღი გვაობრებს, გვატირებს,  
ტრფილი გვეკონის პირშია,  
მტრობა მუშტს შემოგვალირებს.  
კოცნა შევილა ტრფობისა  
ფურთხი და მტრობა — ზიზღისა,  
მუდამაც ასე იქნება,  
ვინც სოფლის წესი იცისა,  
ენებათა იგივეობა  
წესია დეღამიწისა, (II, 280)

3. ელინურ სამყაროში პოლარული, ანტინომიური ძალებისა და საწყისების დუალიზმი — უხილავი აიდისა და ხილული ქვეყნის, მიწისქვეშა დემონებისა და ნათელი ღმერთების, სიკვდილისა და სიცოცხლის ეს დაპირისპირება აუტანელი სულიერი წინააღმდეგობისა და გათიშულობის დასაბამი იყო... შეიძლება ითქვას, რომ დიონისურმა კათარტიკამ იხსნა ელინობა შეშლილობისაგან<sup>24</sup>, რაც სამყაროს ასეთნაირი ხილვისაგან გამომდინარეობდა. დიონისური რელიგიის ამ მხსნელ თეალსაზრისს მცირეაზიურ, ღმერთების თამუზატისა-დონისის უძველეს ორგანისტულ კულტებში ჰქონდა დასაბამი, ინდური ღმერთის შივას მსგავსად, ბერძნული დიონისეც ჩასახვისა და სიკვდილის, შექმნისა და განადგურების ცოცხალ ერთიანობას განასახიერებდა, და ამ დაპირისპირებულ ფენომენთა იგივეობისა და ერთიანობის უღრმესი იდეა იყო სწორედ დიონისური რელიგიის არსი.

„დიონისე... იგივეა, რაც ჰადესი“ (ფრაგმ. 15), „გზა ზევით და ქვევით ერთი და იგივეა“, ამბობს ჰერაკლიტე (ფრაგმ. 60). „ორფეოსელთა, პითაგორელთა და ჰერაკლიტეს აზრი სიცოცხლისა და სიკვდილის პოლარულობაზე, როგორც ერთიანი ყოფიერების ორ ურთიერთ საპირისპირო მდგომარეობაზე და სახეზე, — განათლებული ადამიანების თითქმის უმრავლესობის კუთვნილებას შეადგენდა“<sup>25</sup> ძველ საბერძნეთში. „უკვდავნი მოკვდავები არიან, მოკვდავნი უკვდავები“ (ჰერაკლიტე, ფრაგმ. 62) ან როგორც დავით გურამიშვილი იტყვის: „ცოცხალნი შობენ მკვდართა და მკვდარნი ცოცხალთა ბადებენ“<sup>26</sup>. ურთიერთდაპი-

<sup>21</sup> გ. ქიქოძე, ეტიუდები და პორტრეტები, თბ., 1946, გვ. 91, 92.

<sup>22</sup> ა. გაწერელია, ვაჟა-ფშაველა და ქართული მითოსი, კრებ. «ვაჟა-ფშაველას», თბ., 1966, გვ. 144.

<sup>23</sup> Т. М а н н, Доктор Фаустус, М., 1959, стр. 139.

<sup>24</sup> ვ. ივანოვი, დასახ. წიგნი, გვ. 192.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 167.

<sup>26</sup> დავით გურამიშვილი, დავითიანი, 1964, გვ. 176.

რისპირებული ყველა ფენომენი ერთიანი სუბსტანციის პოლარული ასპექტებია. „ღმერთი არის დღე და ღამე, ზამთარი და ზაფხული, ომი და ზავი, სიმაძღვრე და სიყმილი“ (ჰერაკლიტე, ფრაგმ. 67). ბუნება — თეთრი და შავი საქმის ერთფერად მტკიანთველია<sup>27</sup>, გვიცხადებს ნათელმზილველი ვაჟა. ჰერაკლიტე დაცინვით იხსენიებს „ბრბოს მოძღვარს ჰესიოდეს“, რაკი ბრბო „დარწმუნებულია, რომ მან ყველაზე მეტი იცის, მან, — ვინც არ იცოდა, რომ დღე და ღამე ერთია“ (ფრაგმ. 57).

ეს „თეთრი და შავი საქმე“. ეს „დღე და ღამე“ კოსმოგონიური მნიშვნელობის სახეებია: „რომელმა საცნაურჰყო ბრაჰმას დღე ათასსაუქუნოვანი და ბრაჰმას ღამე ათასსაუქუნოვანი, მან საცნაურჰყო დღე და ღამე“ (ბჰაგავატგიტა, 1963. VIII. 17), უხსნის ადამიანური სიბრძნით შეზღუდულ არჯუნას კაცურად ხორცშემოსილი კოსმოსური სიღრმეების უფალი. „აზომ არ არის სოფლისა საღამო, არცა დილია, სიზმრისა უფრო სიზმარი, ჩრდილისა უფრო ჩრდილია“, გენიალური თქმით აფორმულებს რუსთველურ შაირს ამოფარებული ანონიმი პოეტი<sup>27</sup>. გურამიშვილის თქმით „ო რ გ ე მ ა გ ე არ ს საწუთრო“ და ეს საწუთრო „ქცევადი მოზრუნავია“...<sup>28</sup>

ღლა საღამოს ნიშნს უგებს,  
 დღე ღამეს ებრძვის ძალზედა... (III, 84)

მაგრამ როცა ქმედება ამოიწურება, მოვლენის არსი შინაგანად გაიხსნება და გარდუვალი დასასრული მწიფე ნაყოფივით დაუბრუნდება ბნელ დასაბამს, — უცნაური შვენისლი „დაეფარება სანახავს წერა-მწერელის წერითა“ (III, 237). ეს ვეშაპის მსგავსი ნისლი თუ ჯანდი „აბნელებს, უხილავად ხდის ქვეყანას ხილულიანსა“ (III, 208) და „ყველაფერი ინთქმება მარადისობაში, რათა ხილულსა და უხილავს სიზმარეულის სახე მიეცეს“...<sup>29</sup>

4. ვაჟას ამირანული ციკლის ლექსებში გახსნილი სამყარო, ერთი თვალვადავლებით, „ეთიკურ დუალიზმს“ (გ ქიქოძე) ამჟღავნებს. მაგრამ მითოსური მოდელის მიხედვით აგებულს ამ სამყაროს დუალიზმი დაძლეულია უმაღლეს ინსტანციად მოაზრებული „ზეციით“ (ამირანი), „უფლით“ (დაუსრულებელი კვენესა) და „დამბადებლით“ (სიზმარი ამირანისა). ბოროტსა და კეთილზე ამაღლებული, მაგრამ კეთილი ძალების „მემწე და მეშველი“ უზენაესია ის საფუძველი, რომლის საზღვრებშია მოქცეული ორივე ეს ასპექტი. ვაჟას ამირანული ციკლის ლექსებში ნიშანწყალიც არა ჩანს ამ გმირის ღმერთთან მეტროქოლობისა, რაკი ქვესკნელში ჯაჭვით დაბმული ამირანი უზენაესი მეუფის ძეობრივი ასპექტი ან ზტონური იპოსტასია. ამიტომ ევედრება ამირანი ასე გულმხურავლედ თავის დამბადებელს: „მიშველე, მართალთ მეშველო, შენს მოწყალებას ველია“ (I, 173). ასეთი ურთიერთვაჭვშია: შესაძლოა, წმინდა მითოსური ხასიათის ყოფილიყო, რომ აშკარად არ იგრძნობოდეს ქრისტიანული ინტონაციის სიჭარბე. აღსანიშნავია, რომ „...ვ ა ჟ ა კ ა რ გ ა დ ი ც ნ ბ დ ა ბ ი ბ ლ ი ა ს... ქ ა რ თ უ ლ ო რ ი გ ი ნ ა ლ უ რ ა გ ი ო გ რ ა -

<sup>27</sup> ვეფხისტყაოსანი, კ. ქიქოძის რედაქციით. (შენიშვნები, თბ., გვ. 272,

<sup>28</sup> დავით გურამიშვილი, დავითიანი, გვ. 134.

<sup>29</sup> აკაკი გაწერელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 150.

ფიასა და ქართული ეკლესიის ისტორიის საკითხებს<sup>30</sup>. ვაჟა პირველივე ლექსში ახსენებს „სიმართლის ჯვარმცემლთ“. 1886 წელს დწერილ ლექსში („დაე, აყროლდეს სოფელი“) იგი პირდაპირ ამბობს: „კიდევოთ მოვა, რა ვიცი, იესო ქრისტეს აღდგომა“ (I, 30). თუმცა ეს აღდგომა მასთან ბუნების ვეგეტაციის განმასახიერებელი ღვთაების ადგომის ბადალია. ეს არ არის გასაკვირველი, თუნდაც იმიტომ, რომ მომავლადი და კვლავ აღმდგარი ღმერთის დიონისურმა პათოსმა შეამზადა ნიადაგი ქრისტიანობისათვის. „ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა წარმართულ-ვეგეტაციური ღმერთთკაცის მკვდრეთით აღდგომას, ბუნების საგაზაფხულო აყვავების ობას შეენაცვლა“<sup>31</sup>. (არსებობს გამოთქმა „ჯვარცმული პრომეთე“, — ვ. ივანოვი, „ჯვარცმული დიონისე“, — კ. გამსახურდია). „წარმართულ და ქრისტიანულ ნაწარმოებებს შორის მსგავსება ყოველთვის სესხების შედეგი როდია: წარმართულ და ქრისტიანულ რელიგიებში მსგავსი ელემენტები არსებობენ“<sup>32</sup>.

5. ვაჟას პოეზიაში მითოსური ელემენტების განხილვისას საჭიროა გათვალისწინებული იყოს ერთი გარემოება: „ვაჟა-ფშაველა თავისი დროის თვალსაზრისით აფასებს ფშაველთა ყოველგვარ ცრუმორწმუნეობას ეთნოგრაფიულ ნარკვევებში. მაგრამ პოეზიაში იგი ახდენს ფშაურთა წარმოდგენების მხატვრულ ფიქსაციას თავისი გმირების სულიერი ვითარებისათვის შესაფერი ფსიქოლოგიური პრიზმით და ყოველგვარი ავტოჩარევისა და სკეპტიკური შენიშვნის გარეშე (ხაზგასმა ავტორისაა, თ. ჩ.). მეტიც: იგი აღრმავებს ფშაურ მითოლოგიურ წარმოდგენებს...“ და „ეს ქმნის ფონს, რომელიც მკაფიოდ აჩენს ჩვენი ხალხის უძველეს რწმენათა მითოლოგიურ ფესვებს“<sup>33</sup>. ამიტომ არაფერია უცნაური იმაში, რომ — როგორც სერგი დანელია მართებულად აღნიშნავს: „ვაჟას შემოქმედება... ჩვენს წინაშე შლის პირველყოფილი აზროვნების ისეთ სურათს, რომელიც მსოფლიო ლიტერატურაში არსად არ არის ასე ნათლად წარმოდგენილი. თუ რამე უახლოვდება ამ მხრივ ვაჟას პოეზიას, ეს არის ძველი საბერძნეთის რამე უპირველეს ფილოსოფოსთა ნაწერები... ვაჟას პოეზია საშუალებას გვაძლევს ვიგაძნოთ ამ ძველი ფილოსოფოსთა აზრთა წყობა...“<sup>34</sup> და სწორედ ეს არის ვაჟას პოეზიის განსაცვიფრებელი და უძვირფასესი თვისება. „ვაჟა-ფშაველა იყო, — წერს კორნელი ზელინსკი, — ფასდაუდებელი რელიქტი, უკანასკნელი დიდი პოეტი კაცობრიობის პირველქმნილი ბავშვობისა“. ამ რელიქტურმა პოეტურმა აზროვნებამ მოუხვეჭა მას ახალი დროის პომეროსის სახელი. „ვაჟა-ფშაველა ჩვენში აღვიძებს თითქოსდა ცხრაკლიტულში მიმალულ ლტოლვას, გარდასულ ათასწლეულთა თუ მომავალ დღეთა ქვეცნობიერ ძახილს“<sup>35</sup>.

<sup>30</sup> ლევან მენაბდე, ვაჟა-ფშაველა და ძველი ქართული მწერლობა, კრებ. „ვაჟა-ფშაველას“, გვ. 179.

<sup>31</sup> დემნა შენგელია, დასახ. წიგნი, გვ. 193.

<sup>32</sup> М. И. Стеблин-Каменский, Культура Исландии, Л., 1967, стр. 85.

<sup>33</sup> აკაკი გაწერელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 144-145.

<sup>34</sup> ს. დანელია, ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი, თბ., 1927, გვ. 67.

<sup>35</sup> კორნელი ზელინსკი, კაცობრიობის რჩეული, ვაზ. ჟომუნისტია, 1961, 19 ივლისი, № 162.

## 2

მე დევი ვარ და კაცის სახელ ვიარები  
 საბა ორბელიანი

დევი კაცსა ჰგავს სახით, მაგრამ ზისი სახე უმსგავსია  
 ვაჟა-ფშაველა (IX, 77)

**დევების ქორწილი.** 1886—89 წლები ვაჟა-ფშაველას პოეტური შთაგონების ერუპციის ხანაა. ამ დროსაა შექმნილი მისი პოეზიის მხატვრულ-იდეური გეზის განმსაზღვრელი უბრწყინვალესი ლექსები და პოემები: 1886 — „დევების ქორწილი“, „სიმღერა“, „ხევზედ მოდიან ნისლები“, 1887 — „გოგოთურ და აფში-ნა“, 1888 — „ალუდა ქეთელაური“, 1889 — „კოპალა“.

ამ ნაწარმოებებში უკვე მთელი სისრულით ცხადდება ახალგაზრდა ვაჟას გენიალური ნიჭი და პოეტური პერსეპციის მასშტაბი, რომელსაც იგი მეტ-ნაკლები სიძლიერით ინარჩუნებს სიცოცხლის ბოლო წლებამდის. პირველად „დევების ქორწილში“ გამჟღავნდა ვაჟას განუმეორებელი, ღრმა ინტუიცია, ფანტასტიკური ხედვა და ექსპრესიული მძვინვარება. ამ ლექსში იელვა პირველად გენიოსი ვაჟას ტრავიკული ნიშნით აღბეჭდილმა თვითცნობიერებამ.

არსებობდა ძველი საკრალური წესი: ტიტანების მიერ დაგლეჯილ და შეჭმულ დიონისეს მისი მსახურები თავად სწირავდნენ მსხვერპლად ადამიანს, რომელსაც დიონისეს მსგავსად, ცოცხლად განწილავდნენ და ჭამდნენ, რომ ამით ღვთაებას ზიარებოდნენ, რაი უძველესი ორგიაზმის თანახმად, დიონისე გაორებულ იყო მზორველად და საზორველად. ცოცხლად შეჭმული მსხვერპლის სისხლი და ხორცი თავად დიონისე იყო... ეს არქაული ორგიაზმი კანიბალურ ხასიათს ატარებდა და შემდეგ ღვთაებასთან გაიგივებული ცხოველის შეჭმით შეიცვალა.

ორფეოსელმა მისტებმა გააღრმავეს ეს წესი: ხელდასხმის წმიდა ორგიის დროს, როცა დიონისესათვის შეწირული საზორველი იგლიჯებოდა, ისინი ამ ერთადერთხელ, სისხლიანი, უმი ხორციით იღებდნენ ზიარებას, რათა შემდეგ აღარასოდეს მიჰკარებოდნენ ხორცის ჭამას (ვ. ივანოვი. ვნებული ღმერთის ელინური რელიგია...).

ფშაველესურული ეთნოსის არქაულ გარემოში აღზრდილი ვაჟა ქართული ფოლკლორის წიაღში ძებნის დიონისური ორგიაზმის შესაბამის მასალას, შემოქმედის ნათელხილვით ადრმავეებს მას და „დევების ქორწილში“ შემზარავი მისტერიის მონაწილე ხელდასხმულივით განიცდის ძმის ხორციით ძლომის საშინელებას. ამ ლექსით ეზიარა 25 წლის ვაჟა სამყაროს ტრაგიკული პირველდასაბამის, სიკეთისა და ბოროტების დიონისურ საიდუმლოს. ამ ლექსით იწყება მისი, როგორც გენიოსის, თვითცნობიერება...

ლამით ცა ჰქუხდა, გრვეინავდა,  
 მთებს მოედრიკათ თავიო,  
 ტყეს გასდიოდა ფოთოლი,  
 ზღვა ბობოქარობს შაიო.  
 დევებსა აქვის ქორწილი,  
 დიდი დარბაზს ზრიალებს.  
 მეც დამბატიყეს, შევედი,—

რა შიქი სუნი ტრილეზ?!  
სამბირად ცეცხლი დაენთოთ,  
ზედ სამი ქვაბი შხიოდა,  
სტუმრების წინა ხონჩებზე  
კაცის თე-ფეხი დიოდა.  
უკენას ყურეშითა  
ქენესის ხმა გამოდიოდა:  
«ქმის ხორცი როგორა ვსკამო?»—  
ყმა ვინმე გამოჰკიოდა.  
უსმელ-უჰმელად გავძეხი,  
ყელშიაც ამოდიოდა.

ამ თვრამეტსტრიქონიან ლექსში ბევრი რამაა უცნაური და ჩვენ შევეცდებით გავარკვეოთ მასში გამოხატული ღრმა „შინა-არსი“. მითოსური სოფლებდვის ელემენტები და ახალი დროის დიდი შემოქმედის მხატვრული ინტუიციის „დევერის ქორწილში“ გაუთიშავად არის შერწყმული. ისინი იმდენად გამსჭვალავენ ურთიერთს, რომ ძნელია ამ ორი ასპექტის ერთმანეთისაგან დაუზიანებლად გამოყოფა. მაგრამ პირველის ზოგიერთი, მკვეთრად გამოკვეთილი ელემენტის გააზრება მაინც შესაძლებელია, ხოლო ეგე მეტი სიცხადით გამოაჩენს ლექსის მთლიანობას.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ვაჟას ამ ბრწყინვალე ლექსის ფშაურ ამირანიანთან და ხევსურულ იახსართან კავშირი, რაც მარტო ცალკეული სტრიქონების დამთხვევით არ ამოიწურება. ლექსის სათაურად დასმული „დევერის ქორწილი“ საკრალური მნიშვნელობის გამოთქმასა და იგი ხალხური წყაროდან მომდინარეობს<sup>36</sup>. არც ხალხურ ლექსებში და არც ვაჟას ლექსში „ქორწილს“ ჩვენთვის ცნობილი, ჩვეულებრივი გაგება არა აქვს, რაკი არსად ჩანან და ნახსენებაც არ არიან ნეფე-დედოფალი. 1890 წელს დაწერილ „ეთერშიც“ დევთა ანალოგიურ ღრეობას უბრალოდ „ლხინი“ და „მეჭლისი“ ეწოდება, რაც მათს კაციჰამიურ ზეიმს გულისხმობს:

ღვინის მაგივრად სისხლს ჰსვამდენ  
დევები სწორობაზედა,  
საცა ვისთვისმე მოესწოთ  
ხევში ან გორობაზედა,  
არჩობდენ, ეზიდებოდენ  
დამდგრები ღორობაზედა.  
სისხლი ნაწური კაცების  
ჭურჭლებში ედგათ ღვინოდა,  
მეჭლისში სისხლით თერებოდენ,  
სისხლს სვამდენ მოსალხინოდა (III, 114).

მაშ, რას უნდა გულისხმობდეს „ქორწილი“?

ქორწილი დამით ხდება (დევნი დამისა და დედამიწის შვილები — და ამიტომ დამით მოხეტიალენი, ბნელნი და პირშავნი არიან), ცის ქუხილსა და ავდრიან ტაროსში. ბუნების ეს აღრეულობა, ვაჟას შენიშვნით, მაშინ უნდა მოხდეს, როცა ამირანი ადგება (I, 355) და მის პირველ ლექსში თვალსაჩინოა ავდრიანი ბუნების ეს სურათი. „შავი ზღვის ბობოქრობა“ ვასაგებია, რაკი დევთა ხელს არის ქვესკნელის წყლების გამგებლობა. აკაკი შანიძისა (542) და ალექსი ოჩიაურის ვერსიითაც, თამარ დედოფალი, რომელიც

<sup>36</sup> იხ. ა. შანიძე, ხევსურული პოეზია, თბ., 1931, №№ 542, 542, ზ, მ ი ხ, ჩ ქ ო - ვ ა ნ ი, მიჯაჭველი ამირანი, თბ., 1947, გვ. 318, თ. ო ჩ ი ა უ რ ი, მითოსოლოგიური გადმოცემები... თბ., 1967, გვ. 141. (ალექსი ოჩიაურის რეეულიდან).

დარ-ავდრის გამგებელის შესატყვისი უნდა იყოს, „შუა ზღვაში ჩასდგამს სამანს, რომ ცაზე ცვარი არ გადმოვარდეს“ (იახსარი). ოჩიაურისეულ ჩანაწერში აქ მოტანილ პასაჟს უშუალოდ მოსდევს „ქორწილ ხქონიყო დევებსა, სიმურ ერქვიფა წყალიო“, რითაც გასაგები ხდება, რომ დევების, ვითარცა ბუნების სტიქიონური ძალების განმასახიერებელი დემონების, ქორწილი სიმურის ანუ ქვესკნელის წყლების, იმავე ვაჟასეული „შავი ზღვის“ ჩქეფასთან, აბობოქრებასთან, ხოლო ეს უკანასკნელი ავდართან არის დაკავშირებული.

ფშავში ჩაწერილი „ამირანიანის“ თანახმად (თედო რაზიკაშვილი, 1889) დევების ქორწილს ამირანი და მისი ძმები ესწრებიან. დევის პატარა შვილი მამას ლოგინიდან უკვიის:

აქი მას მიჰადებდია, ამირანს მოგაკვლევინებ,  
 ბადრისა წითელ გალოთა სადილად დაგახრვევინებ,  
 უსიბის ქამარ-ხანჯალსა წელზე შემოგარტყმევინებ...<sup>37</sup>

და აშკარა ხდება, რომ დედამიწის ნაშიერ დევებს ღვთაებათა ხორცის ქა-  
 მით ორგიასტული ღრეობა აქვთ გადაწყვეტილი. მაგრამ ღვთაებათა შეჭმას  
 ლექსში, როგორც უკვე განხორციელებული რეალობა, კანიბალური ორგიაში  
 ენაცვლება და სწორედ ეს უნდა იყოს დევების „ქორწილის“ შინაარსი.

ამავე ფშავური ვერსიით, ამირანსა და მის ძმებს დევები შეიპატიებენ:

შეგვიპატიეფს, შეველით, ამირანს პური ჰშიოდა,  
 დედობილების ნაცხობი ქადა კეცებში შხიოდა,  
 შამაჰტრეს, შამაყენეს, კაცის თაფფეხი დიოდა,  
 საღვინით ღვინო მოგვართვეს, შიგ გველბაყაყი წიოდა,  
 უსმელ-უშმელად დაფქვხით, ყელშიაც ამოგვიდოდა,  
 ამირანს შემოგხენდლით, ცრემლები ჩამოჰდლიოდა...

ეს „შეპატიება“, გარკვეული აზრით, დევებისა და ამირან-ბადრ-უსუბის  
 გამათანაბრებელ, ღვთაებრივ ერთგვარობას გულისხმობს, რაც ამ პასაჟის დიდ  
 არქაულობას მოწმობს. ამას „იახსარის“ ის ადგილიც ადასტურებს, რომლის  
 მიხედვითაც მექორწილ დევების შემყურე იახსარს „ზარი“ ეცემა. იახსარი  
 შინდება, რადგან დევი ღვთისშვილის თანაბარძალოვანი დემონია.

ამავე ლექსში ცხრათავიან დევთ დედას „თავს სალულდ ქვაბი ახურავს“. შანიძისეული „იახსარის“ ვარიანტში (542, ზ) დევებს „თავს ედგათ სალულდ ქობი“. ცხადია, რომ ეს „ქვაბი“ მათი ორგიასტული ზეიმის ანუ ქორწილის გამომხატველი ატრობუტია. იახსარს სწორედ დევების თავზე წამოცმულმა „სალულდ ქვაბმა შასდვა ზარი“, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ის თავზე ჰქონდათ წამოცმული (ეს ხალხური ფანტაზიის გვიანდელი კორექტივია), არამედ იმიტომ, რომ „სალულდ ქვაბით“ მინიშნებულ დევების ქორწილში პირველყოფილი კანიბალური ორგიაში ანუ ქვესკნელის დემონების მიერ, ამირანისა და მისი ძმების ანალოგიურად, იახსარის შეჭმაც იგულისხმებოდა. გვიანდელი კორექტივის გამომხატველი უნდა იყოს ამირანის „ცრემლებიცა“ და საღვინეში მწიფიანი „გველბაყაყიც“. ხტონური წყლების განმასახიერებელი გველ-ბაყაყები ქვესკნელს ბინადარი დევების არქაული იპოსტასებია და ღვინოში იმიტომ წივიან ისინი, რომ „ღვინო“ აქ კაცის „სისხლს“ ენაცვლება. აღსანიშნავია, რომ ვაჟას, პოემაში „სისხლის ძიება“ (1897), გამოყენებული აქვს ეს მითოსური პასაჟი: ასლანი —

<sup>37</sup> მ. ი. ჩ. ი. ქ. ვ. ა. ნ. ი, მიჯაჭვული ამირანი, გვ. 318.

„პურზე, საქმელზე იძახის... წაიღეთ, შორს გამარიღეთ, გველ-ბაყაყებით საესეა“ (III, 308).

„კანიბალიზმი თავდაპირველად მოკლულის სულიერი ძალების მითვისების მისწრაფებისგან აღმოცენდა... მსხვერპლად შეწირული ადამიანი ღმერთის საკვებად არის შეთავაზებული და ...თავად მსხვერპლის შეწირველისთვისაც მოსახმარია“<sup>38</sup>. მსხვერპლად შეწირული ღმერთისა თუ კაცის შეჭმის ამ უძველესი მაგიური წესიდან მომდინარეობს ქრისტიანული ევქარისტიაც, რაკი პურის გატეხითა და ღვინის შესმით ქრისტეს ხორცსა და სისხლს ეზიარება მორწმუნე.

ფშავ-ხევსურულ ფოლკლორში შემონახულ „ღვევების ქორწილში“ ღიონისური ორგიაზმის უძველესი სახე გამოსჭვივის. მსხვერპლის ცოცხლად დაგლეჯას და შეჭმას (ომოფაგია) ქართულ წყაროში მსხვერპლის მოხარშვა ენაცვლება, რაც ანალოგს პოულობს როგორც უძველეს მაგიურ წესებში, ისე ძველ ბერძნულ მითებში. ჯერ პირველის შესახებ: პროპი გვამცნობს, რომ ტელეუტელი შამანი ქალის კოიონის პალუცინაციის მიხედვით, რამდენიმე კაცი ნაჭრებად ჩეხს მის სხეულს და ქვაბში მოსახარშად ყრის, — „ასეთია შამანის ხილვის ტიპიური სურათი ...რატომ არის ერთგვარი ყველა შამანის პალუცინაცია და ამ ხილვათა სახეები რატომ შეესაბამება წერილმანებად (ქვაბში მოხარშვა და სხვ.) ერთი მხრივ, იმას, რაც ამერიკაში, აფრიკაში, პოლონეთშია, ავსტრალიაში წესის სახით სრულდება და მეორე მხრივ, იმ მასალას, რასაც ზღაპარი გვაწვდის?“

წესში ჩვენა გვაქვს უფრო ძველი ფორმა... ხოლო ზღაპარი ამავე მასალას რელიქტის საფეხურზე შეიცავს... შეიძლება აღინიშნოს, რომ ანტიკური და ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოების სტადიაზე ეს მოტივი საცნაურია რელიგიაში, მაგრამ უკვე სხვა ფორმით: აქ ი ფ ლ ი თ ე ბ ა არა შამანი, არამედ ღმერთი ან გამირი. ყველაზე უფრო ცნობილი მაგალითია ო რ ფ ე ო ს ი. მაგრამ იხეხება აგრეთვე ეგვიპტეში ო ზ ი რ ი ს ი, სირიაში ა დ ო ნ ი ს ი, თრაკიაში დ ი ო ნ ი ს ე ზ ა გ რ ე უ ს ი, პ ე ნ თ ე ო ს ი და სხვ.“<sup>39</sup>

ზოგიერთი ბერძნული მითის მიხედვით, ღიონისე არა მარტო იგლიჯება, არამედ — განწვალული — შემდეგ იხარშება: „ამბობენ, რომ იყო რა ზევსისა და დემეტრეს ძე, — ღიონისე განწვალეს მიწის ნაშიერებმა და მოხარშეს... სხეულის ნაწილების მოხარშვაზე მითებში იმიტომაც საუბარი, რომ... მოხარშვისა და ღვინით განწვევების გზით იგი უფრო სურნელოვანი და უკეთესი ხარისხისა ხდება“ (დიოდორე სიცილიელი)<sup>40</sup>. სხვა შემთხვევაში, ტიტანებმა ჩვილი ღიონისეს „სხვადასხვა ასონი მოხარშეს და შთანთქქეს იმ მიზნით, რომ მანადე არნახული, კაცის გვამით შემზადებული ჭამადით დამტკბარიყვნენ“ (ფირმიკ მატერნი), ანდა, როგორც კლიმენტე ალექსანდრიელი მოგვითხრობს, „ტიტანებმა დაგლიჯეს ღიონისე, ერთგვარი სამფეხა ქვაბი აავსეს ღიონისეს სხეულის ნაწილებით, ჯერ მოხარშეს, ხოლო შემდეგ შამფურზე წამოაგეს და „ჰეფეს-

<sup>38</sup> В. В у н д т, Миф и религия, СПб, стр. 302.

<sup>39</sup> В. Я. П р о п п, Исторические корни волшебной сказки, Л., 1946, стр. 81.

<sup>40</sup> ესა და მომდევნო მაგალითები ამოღებულია ა. ლ ო ს ვ ე ი ს წიგნიდან: Античная мифология, М., 1957, стр. 164, 165, 167.

ტოზე ეჭირათ იგი<sup>41</sup> (ჰევესტოზე, — ე. ი. ცეცხლზე. ჰომეროსისეული გამოთქმაა „ილიადიდან“, 11, 426). ამრიგად, ქართულ წყაროში, როგორც ზემოთ ითქვა, ომოფაგის მსხვერპლის მოხარშვა ენაცვლება. მაგრამ აქ კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ ზემოთ დასმული კითხვა: რატომ უნდა დარქმეოდა ფშავ-ხევსურულ ფოლკლორში გამოხატულ უძველეს დიონისურ ორგიაზს ქორწილი?

ვაქას ლექსის მიხედვით, დევების ქორწილის დროს „ბუნების არეულობა“ ხდება, რაც ავდარს გულისხმობს და მისივე შენიშვნით, „ამირანის ადგომასთან“ ანუ გაზაფხულთან არის დაკავშირებული. ხალხურ წყაროში ამაზე არაფერია თქმული: ვაქა მითოსური თვალსაზრისით სწორი დეტალით აღრმავებს ქორწილის სურათს. ქორწილი დევებისაა, ხოლო ეს უკანასკნელი მითოსის არქაულ წრეში ბუნების სტიქიურ ძალებს განასახიერებენ. დევები მიწის ნაშიერნი, დედამიწის შვილები არიან და ამიტომ ნაყოფიერებისა და ვეგეტაციის დემონებს წარმოადგენენ. ბუნების ვეგეტაციის უამი მათი დღესასწაულია.

მცირე აზიის რელიგიების უფრო გვიანდელ საფეხურზე, გაზაფხულზე „წმიდა ქორწილს“ იხილდნენ ზეთების ცა-ღრუბლის ღმერთი თეშუბი და დიდი დედა მა, ღრუბელ მეუფე ზევსი და დემეტრა, ხატორტეფნუტი და შუ-ონური სი. ედ. მეიერის აზრით, ეს ქორწინება ახლდებოდა ყოველწლიურად, რათა შემდეგ უცბათვე შეწყვეტილიყო<sup>42</sup>. დევების ანუ მიწის ნაყოფიერების განმასახიერებელი დემონების ქორწილი არქაული პლასტია მცირეაზიულ ღვთაებათა ამ საგაზაფხულო ქორწინებისა. ვასათვალისწინებელია აგრეთვე ის გარემოება, რომ „ქორწილი“ თავისთავად განაყოფიერებისა და ამიტომ გამრავლების აღმნიშვნელი მოქმედებაა: ერთი ანუ მარცვალე თავთავად ანუ სიმრავლედ უნდა იქცეს და ტიტანების მიერ დიონისეს შეჭმა სხვა არაფერია თუ არ ერთის ანუ ღმერთის სიმრავლედ ანუ ყოფიერებად მოქცევა...

აღსანიშნავია ფოლკლორული წყაროს ერთი დეტალი, რომელსაც ვაქა უცვლელად იმეორებს: ფშაური ლექსი გვეუბნება, რომ ცეცხლზე კაცის „თავ-ფეხი“ იხარშება. შესაძლოა, ეს „თავ-ფეხი“ მსხვერპლის ღვთაებრივი განწილის აღმნიშვნელი ტერმინი იყოს. მსხვერპლი როგორც ეგვიპტურ, ისე ბერძნულ მითოსურ წყაროებში სხეულის ასეთა მიხედვით განიწვავებოდა და ამას საკრალური მნიშვნელობა ჰქონდა. (მაგ. ოზირისის 14 ნაწილად განწვავვა მთვარის დამკლევება-მოვანების 14 ფაზას გამოხატავდა). ერთ ხევსურულ ლექსში მოსაკლავად შემზადებული კაცის მიმართ დევების შეძახილი: „ჩვენის გულისად დაწვალდი“ (იხ. „მშვენიერი მკლევარი“, 9) — შესაძლოა, მსხვერპლის საკრალური წესისამებრ დანაწილებას და არა მის უთავბოლო დანაკუწებას გულისხმობდეს.

აღსანიშნავია კიდევ ერთი დეტალი, რომელიც ფოლკლორულ წყაროში არა ვაქას, ვაქას „დევების ქორწილში“ კი გვხვდება. ეს არის „უკვენას ყურე“...

<sup>41</sup> აქ შეუძლებელია არ გავახსენდეს ვაქასეული ძეგლი ვაქს მწკადად შესწავლა, დედა ბატარას ქალასა (1888, I, 50). ვაქას ამ უცნაური ხილის ფესვი ფშავ-ხევსურული მითოსის რელიქტურ მსოფლშეგრძნებაშია.

<sup>42</sup> ვ. ივანოვი, დასახ. წიგნი, გვ. 272.

უკვენას ყურეშითა  
კენესის ხმა გამოლიოდა:  
«ძმის ხორცი როგორა ვსჭამო—  
ყმა ვინმე გამოჭიოდა.

რას უნდა ნიშნავდეს ეს „უკვენას ყურე“, უკანა ოთახი, შენობის თუ  
ეზოს ის ადგილი, საიდანაც ხმა კი გამოოდის, მაგრამ ხმის გამღები არა ჩანს?

ღვეები სტუმრებს დარბაზში იპატეებენ, სადაც —

სამპირად ცეცხლი ღვენოთ,  
ზედ სამი ქვაბი შხიოდა, <sup>43</sup>  
სტუმრების წინა ხონჩებზე  
კაცის თაე-ფეხი ღიოდა.

უნდა ვიგულისხმობთ, რომ ეს „ყმა“ ისეთივე სტუმარია, როგორც ახლად მოპა-  
ტიეებული, ღექსის პირველი პირით მოლაპარაკე სუბიექტი, რაკი ორივესათვის  
თანაბრად საშინელი განსაცდელია კაცის ანუ „ძმის“ ხორცის ჭამა (პირველი  
კენესის, „ძმის ხორცი როგორ ვსჭამო“, ხოლო მეორეს „უსმელ-უჭმელად ყელ-  
ში ამოსდის“ კაციჭამიების ნადიმო). მაშ, რატომ არის „ვინმე ყმა“ სხვა ადგი-  
ლას? ხომ არ უნდა ვიფიქრობთ, რომ მან მონაწილეობა არ მიიღო ღვეების შემ-  
ზარავ ნადიმში, რომ მან არ შეჭამა კაცის ხორცი მიუხედავად იმისა, რომ ღე-  
ვებმა, ალბათ, დააძალეს კაციჭამიობა?

„ეთერსა“ და „ალუდა ქეთელაურში“ ვაქას აქცენტირებული აქვს ასეთ-  
ნაირი დაძალება:

შერეს უკივლეს: «ტვინთხელო  
შერევე, საღ მიელეტები?  
რატომ არ მოხვალ ვახშამადა,  
რო თაეში ღაცხოთ კეტები?  
მაინც ხომ სული ჩვენ მოგვეც,  
ხორციოთა ჩვენკე იარე... (III, 114)

„ალუდა ქეთელაურში“:

ჭამეო, — რამამ მიძახა,  
ნუ ჰხდები გაშტერებული:  
კიღვე მიმირთვით ალუდას  
წვენ-ხორცი გაცხელბული». (III, 67)

„გველისმჭამელში“ ქაჯები გველის ხორცი თუ მასპინძლებიან მინდიას და  
„არა ზარობენ სათქმელად — შენცა ჭამეო, მინდიავე“. ზემოთ მოტანილი ნა-  
წყვეტებიდან ის აზრია გამოსატანი, რომ ღვეები ადამიანს უგვანო და საშინელი  
საჭმის აღსრულებას აძალებენ, რათა დათრგუნონ მათში კაცური და  
მით დევურს აზიარონ. ასეთია ვაქასეული ინტერპრეტაცია და მისი გათვა-  
ლისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ვინმე ყმა“, კაცის ხორცის არშეჭ-  
მის ალტერნატივად, თვითონ მოელის დაკვლა. უნდა ვიფიქრობთ, რომ  
მისი განწირული კენესაც იმიტომ მოისმის უკანა ყურედან, რომ სწორედ იქ  
იგულისხმება მსხვერპლის დასაკლავი ადგილი — სამსხვერპლო.

<sup>43</sup> «სამპირი ცეცხლი» და «სამი ქვაბი» თითქოს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ისინი სამი არსები-  
სათვის, ამირან-ბაღრ-უსტუპისთვის არიან განკუთვნილი, რაც შესაძლოა, ფშაური ამირანის  
ანარეკლი იყოს.

პრობის აზრით, ზიარების წესის ადრეულ საფეხურზე ზიარებულთა დაჩეხვა, შეწვა და მოხარშვა „მეზობელთა ხშირად“ (იაკობტური ზღაპარი), „საკუჭნაოში“ (გრიმი) ხდება, — იქ, სადაც „აკრძალულია შეხედვა“<sup>44</sup>. აღსანიშნავია, რომ პრობის მიერ მოტანილი მასალა უცნაურ წვრილმანებამდე ემთხვევა „დევეების ქორწილის“ ზოგიერთ დეტალს, მაგ. ზიარებულს პატოქებენ — „შემოდით, ისაღიღეთო“ (ჩრდილოური ზღაპრები), მას კაცის მოხარშული ხელ-ფეხის წვეცნს უსხამენ (იქვე), მისთვის ლანგარზე გამოაქვთ მოხარშული ბიჭი<sup>45</sup> (შეადარე: სტუმრების წინა ხონებზე კაცის თავ-ფეხი დიოდა“) და სხვ.

„უკვენას ყურე“ — ადამიანის მსხვერპლშეწირვის უძველეს რიტუალში (რომლის ფორმები ისტორიულად ცვალებადი იყო) ყველაზე მდგრადი ელემენტია. „უკვენას ყურე“ წარმართული ტაძრების საკურთხეველის შიდა მხარე, სადაც მსხვერპლი იწირება და ქურუმის გარდა ვერავინ შევა. „უკვენას ყურე“ ძველბერძნულ ტრაგედიებში სცენის მიღმა მხარე, რაკი გვირის „სასიკვდილო კატასტროფა“, მისი „ტრაგიკული დაღუპვა მაყურებლის წინაშე კი არ ხდება, არამედ სცენის უკან“<sup>46</sup> და იქ მომხდარ ამბავს „მაცნე“ აუწყებს მაყურებელს. ნ. ნ. ევრენოვს, ბერძნული ტრაგედიების ამ საერთო ნიშანთვისების პროტოტიპად ებრაული „ეც-განტევების“ საკულტო რიტუალი მიაჩნია<sup>47</sup>.

როგორც ჩანს, ვაჟა სწორ და ღრმა გაგებას იძლევა მითისას, რომლის არქეტოპულ მოდელს იგი გენიალური ინტუიციით სწვდება. აკაკი გაწერელიას ზუსტი შენიშვნა — „ვაჟა აღრმავებს ფშაურ მითოლოგიურ წარმოდგენებსო“, ამ პასაჟითაც დასტურდება.

„დევეების ქორწილის“ მთავარ პერსონაჟად „ვინმე ყმა“ უნდა ვიგულოთ. ლექსის პირველი პირით მოლაპარაკე სუბიექტი მისი alter ego-ა. „ვინმე ყმა“, კაცი თუ მოძმე — უდიდესი მნიშვნელობის ზნეობრივი დილემის წინაშე დგას. იგი ეთიკური ხასიათის სასტიკ და გამოუვალ სიტუაციაშია ჩაყენებული, რომელშიც მან არჩევანი უნდა მოახდინოს. მისი სულის კვილი შემზარავია. იგი იძულებულია უარყოს საკუთარი არსობა და თავისივე მსგავსის ანუ ადამიანის ხორცი შეჭამოს, არადა, თითონაც საზარელი სიკვდილი მოელის, მან ეს იცის, მაგრამ მან იცის ისიც, რომ ამ არაბუნებრივი და შემზარავი აქტით სიკვდილამდე განადგურდება როგორც ადამიანი, როგორც კაცობრიული სული, როგორც ის, რაც მის ჭეშმარიტ არსობას წარმოადგენს. „მის ხორცი როგორა ვქაშო“, — ჰკვივის „ვინმე ყმა“ და ეს „ვინმე“ ყოველ ადამიანში დაეანებული სინდიდისია<sup>48</sup>. ამ კითხვაშია

<sup>44</sup> ე. პრობი, დასახ. წიგნი, გვ. 82, 83.

<sup>45</sup> იქვე, გვ. 82.

<sup>46</sup> Н. Н. Евреинов, Азazel и Дионис, Л., 1924, стр. 102.

<sup>47</sup> იქვე, გვ. 98—102.

<sup>48</sup> „სინდისო“ ბერძნული სიტყვა... ქართველებს იგი სხეებისგან გვისხებია, ნასესხები სინდისით კი ისტორია არ შეიქმნება, — წერდა სერგი და ნელია (ვაჟა-ფშაველა და ქართველი ვერი, 1927, გვ. 85). ბერძნული syn-eidesis — თანა-ციოდნისო კალკირების შედეგად არის მიღებული ლათინური con-scientia, რუსული со-вѣсть, აგრეთვე ამ ცნების აღმნიშვნელი იტალიური, ესპანური, ფრანგული და ინგლისური სიტყვები, ამ ვერბმა კალკირებულთა სინდისით შექმნეს თავიანთი ისტორია... სინდისი — მამხილებელი გონება (ს ა ბ ა).

მოქცეული ადამიანის პიროვნული მეობის, მისი კაცური ღირსების, მისი როგორც ადამიანის ყოფნა-არყოფნის ალტერნატივა. ამ თავზარდამცემ შეძახილშია კონცენტრირებული ვაჟას „დევების ქორწილის“ იდეური დერიტა.

ეს „დაუსრულებელი“ კვილი თუ კვნესა ტრაგიკულ ექოსავით ისმის ვაჟაფშაველას პოეზიაში. „დევების ქორწილის“ ხშირებიდან იღებს სათავეს ვაჟას ქვესკნელური ვიზიონები, რომლებიც თავისი შემზარავი სიცხადით დანტეს ჯოჯოხეთის სისხლიან ჩვენებებს გვაგონებს (ამ უჟანასკნელს თომას მანმა „დაუნდობელი აღწერა“<sup>49</sup> უწოდა). „დევების ქორწილიდან“ გამომჟღავნებული ხედვა განსაზღვრავს ვაჟაფშაველას თვალსაზრისს ადამიანში ბესტიალური და ღვთაებრივი საწყისების არსებობისა. „გამხეცებული“ ანუ ბესტიად ქცეული ადამიანი „ადამიანის ხორცსა სჭამს პურად, ადამიანის სისხლსა სვამს წყლად“ (ლექსი „სად არის ქრისტე ან მისი სწავლა“, II, 313). ასეთი ადამიანი დევური ცხოვრების განმასახიერებელია ან ადამიანის სახით მოართული დევია. ჰემზარიტი ადამიანი „ადამიანს ძმად იწამებს“. ვაჟაფშაველას „ძმა“ — ქრისტიანულად მოაზრებული „მოყვასია“, რომელიც სახარების მიხედვით, ისევე უნდა გიყვარდეს, როგორც „თავი თვისი“. დიაბოლურ გზაზე დამდგარი ანუ დევურთან ზიარებული მხეცკაცი „თვალებსა თხრის ძმას“ და საგულისხმოა, რომ ამას ღმერთის არმოიმედე, სასოწარკვეთილი ადამიანები სჩადიან. ეს მდგომარეობა ვაჟას ღმერთის საშინელ სიბნელესთან, ცის დაქცევასა და ეშმაკის მიერ სამყაროს ნგრევასთან აქვს გაიგივებული (ხსენებული ლექსი)...

ბარემ მეც ჩამთქით, ნისღებო,  
 დამნაცრეთ, დამაფერფლეთო,  
 თვალნი დამთხარეთ, გულისაც  
 სადელი გამიკეთეთო.

(1886, I, 24)

„თვალთა დათხრა“ ამ კონტექსტში შეძრწუნებული ნათელკაცის უმძიმესი სულიერი კრიზისის, პიროვნების შინაგანი, სიკვდილის მსგავსი მდგომარეობის გამოხატველი გამოთქმაა. ბოროტებასთან წილნაყარი და ამიტომ შინაგანად მკვდარი შერეც ამიტომ ითხრის თვალებს<sup>50</sup>. თვალების დათხრა — იმავე სულიერ მდგომარეობას გამოხატავს, რასაც „ცოცხლად დამარხვა“ („ვაჟა, მკვდართ ვაჟაყობაო, ცოცხლად დამარხვავ თავისა“, გოგოთურ და აფშინა, III, 49) და თავისი შინაარსით პიროვნების შინაგან სიკვდილს უღრის.

<sup>49</sup> Т. М а н и, Доктор Фаустус, стр. 205 («жестокое живописание»).

<sup>50</sup> მ. კ ე ე ს ე ლ ა ვ ა მ, როგორც ჩანს, უნებლიე შეცდომა დაუშვა, როცა შერგეს თვალების დათხრა «ოიდიპოსის კომპლექსს» დაუკავშირა (იხ. მისი «დაუსრულებელი პარადიგმები II, 1961, გვ. 120-122). «ოიდიპოსის კომპლექსი» ფროიდული ცნებაა და ქვეყნობიერი ინტელექტუელი ხასიათის მიდრეკილების აღმნიშვნელია. ოიდიპოსი თვალებს ითხრის და ფროიდისტული განმარტებით, ეს აქტი თვითკასტრაციას გამოხატავს, მაგრამ ვაჟაფშაველას შერგეს თვალების დათხრისა და «ოიდიპოსის კომპლექსის» გაიგივება,

„ბარემ მეც ჩამნთქით, ნისლებო“, — წერს ვაჟა. „ნისლი“ აქ იგივე „ჯან-ღია“, რომელიც „შავი ზღვის პირღია ვეშაპივით... საჭმელად გვეპირება“ (ღამე მთაში, I, 92—3). ვაჟას პოეზიაში ნისლის, ჯანლის თუ ღრუბლის განმასახიერებელი ვეშაპი უპირატესად ამირანის ჩამყლაპავი მითოსური ვეშაპის პოეტურად ტრანსფორმირებული სახეა...

შავი იკვროდა ღრუბელი,  
 დაბლა წვებოდა ციდანა,  
 «ხალხო, მოიდა ვეშაპი»—  
 კაცი იბახის მთიდანა, (I, 85)

„გულისაგან სადილის გამკეთებელ ნისლებში“ ფშაური ამირანის დევები გამოსჭვივიან, — ის დევები, რომელთაც ამირანისა და მისი ძმების „სადილად დახრა“ ჰქონდათ განზრახული... იგინივე არიან გამოხატულნი ვაჟას „დევების ქორწილში“.

მართებულად აღნიშნავს აკაკი გაწერელია, რომ „ამ დევებთან იყო ტყვედ მინდია... ხოლო სიზმრად შავეთში ჩასულ ალუდა ქეთელაურსაც კაცის ხორცის ჭამა ზარავს“<sup>51</sup>. ვაჟას ლექსებში გვხვდება სიტუაციები, როცა მოქმედ პირს „პური გველად ექცევა“ (სიზმარი სასოწარკვეთილისა, I, 76) ან როცა სისხლში მცურავი კაცის თავ-ფეხი „გველად ეჩვენება“ (სიზმარი, II, 85). აშკარა ხდება, რომ „პურისჭამად“ დაძალბებული გველი და კაცის თავ-ფეხი ვაჟასთან ერთი, ზოგადმნიშვნელოვანი მოქმედების ელემენტებად არის გააზრებული. მითოსურ პლანში ეს მოქმედება კანიბალური ორგიაზმით აღბეჭდილ დიონისურ წილნაყარობას გამოხატავს და ტრაგედისა და ტრაგიკულის ქვედა გენეტიკურ საზღვარს, მისი ისტორიული ფორმის უმარტივეს უჯრედს წარმოადგენს. დიონისური კულტის ამ „უმარტივესი უჯრედი“ შედარდება ის არსებითი და საერთო, რაც ნიშანდობლივია ტრაგიკულისათვის<sup>52</sup>.

ვაჟას „დევების ქორწილის“ მითოსური არქეტაპი (კაცის ხორცის ჭამა) „ალუდა ქეთელაურის“ მხატვრულ-იდეურ სტრუქტურაში პიროვნების შინაგანი გარდაქმნის აღმნიშვნელ მასალად არის გამოყენებული.

## 3

ამ სასტიკ, მზაკვარ და გულბოროტ არარაობათ  
 მე მარადღე სამხარასა და ეშაურ სენელთა  
 შინა დაწთქავ...

ბპავავტიტა (XVI, 19)

კოპალა. ვაჟას პოეზიაში განხმული სამყაროს სურათის გაგებისათვის უპირველესი მნიშვნელობა აქვს მის განსაცვიფრებელ „კოპალას“, რომელსაც ნაკლებად ან სულ არ აქცევდნენ ყურადღებას მკვლევრები. ამ მცირე მოცულობის მითოსურ-ფილოსოფიურ პოემაში წმინდა სახითა და სრული დანაწევრებით

<sup>51</sup> აკაკი გაწერელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 146. იხ. აგრეთვე Gr. Кавкасиელი, Поэт Важа-Пшавела, журн. «Русская мысль», 1911, стр. 25.

<sup>52</sup> Ю. Боров, О трагическом, М., 1961, стр. 17, 19.

აირეკლა ეთოსის პლანით წარმოდგენილი მოდელი ყოფიერებისა, რომელიც მეტნაკლები საჩინოებით გამოსჭვივის ვაჟას სხვა „დიდ პოემებში“. ამ პოემაში კოსმოგონიური ხასიათის ადამიანურ-ღვთაებრივი ეთოსის შესაქმნა აღბეჭდილი. მითოსურად არქაული არე ზედროული ჩარჩოებით კეტავს პოემას იმდენად, რომ ვაჟას გენიალური ინსპირაციით მონუსხულ მკითხველს დაუჭერებლადაც კი ეჩვენება ამ ნაწარმოების XIX საუკუნის მიწურულში შექმნა. „...მითოსის ხმებზე განსაცვიფრებელი სიზუსტით, შინაგან ერთგვარობაში ფესვგადგმული უღრმესი ინტუიციით არის დაჭერილი. მითოსის ენა მხატვრულ შემოქმედებაში უბადლო, თანდაყოლილი ბუნებრივობითაა აღორძინებული. ეს არის ორმაგი „გარდასულის“ ენა, რომელიც თავის თავში მოიცავს „ყოფილსა“ და „ყოფადს“, იმას, რაც იყო და იმას, რაც იქნება“<sup>53</sup>.

„კოპალაში“ წარმოჩენილი სამყარო მითოსისათვის ნიშანდობლივ სამსკნელს მოიცავს: ზესკნელს, ქვეყანასა და ქვესკნელს. ქვეყანა აქ „ფშავია“, მაგრამ იგი გლობალური მასშტაბით არის წარმოდგენილი. პოემაში — ფშავი პირველყოფილი დედამიწა ან პირველმიწა...

სამყაროს შესაქმნე ახლახან დასრულდა. კოსმოგონიური ნისლით მოცული ცა და ქვეყანა, ხმელი და წყალი, დღე და ღამე განწვალულია. ცარგვალზე მნათობები და ვარსკვლავები ბრწყინავენ... „სრულ იქმნეს ცაი და ქვეყანა და ყოველი სამკაული მათი... და შექმნა ღმერთმან მტვერისა მიმღებელმან ქვეყანისაგან კაცი ხატად თვისად... და შთაბერა პირსა მისსა სული სიცოცხლისა... და აკურთხა იგინი ღმერთმან მეტყველმან: აღორძინდით და განმრავლდით და აღავსეთ ქვეყანა და ეუფლენით მას“ (შესაქმე) ...ქაოსი მოწესრიგდა. დედამიწის პირველკაცი მადლს სწირავენ, მსხვერპლით ემსახურებიან და ადიდებენ დამბადებელს:

«დიდება შენა, ღმერთო მალაო, ცათა და ხმელთა დაამარსებლო, ღმერთო ჩენო სალოცავო, დასწერეთ ჯვარი ამ მოყენებულთა ძღვენთა, თქვენთა სამსახურთა, ძალი და ბრძანება თქვენგან არის, თორო ხორციელნი — ჩვენ ხმელთაზეთ სახელს ვერა გგადრებდით.

ღმერთმა ხმელეთი დაარსა, ცარგალი დახურა, მზე-მთვარე დააფინა, ხმელეთზე ცხოველნი და კაცი გააჩინა და მწვანელნი იმით საზრდოდ მოიყვანა, გაკურთხნით ღვთის შვილნი ღვთისშვილად და ჩაგაბარათ ჩვენი თავი მოსამსახურედ და თქვენ და სადიდებლად თქვენი გამგენის ღვთის ბრძანებითა თქვენ აწესრიგებთ ხმელეთზე არსებულთა კაცთა და ცხოველთა...»<sup>54</sup>

მაგრამ ქაოსის ინერცია ჯერ კიდევ არ არის ალაგმული. კაცთა საუფლოს დევები ეუფლებიან და ვაჟა პირქუში ვიზიონით იწყებს პოემას...

მთვარე არა ჩნდა ცაზედა,  
ვარსკვლავნიც მიჩქმალულიყვნენ,  
ნისლში დაღლილნი ცურვითა  
მთის ყურეთ მიმალულიყვნენ... (III, 75),

<sup>53</sup> Т. Мани, Т. Х. М., 1961, стр. 112 (ვაგნერის მიმართ).

<sup>54</sup> В. В. Бардавелидзе, По этапам... 1957, стр. 24 (ფშავრი ლოცვა).

ღრმა ფიქრით შეებურვილი მთები, რომელთა შუბლზე ჯერ კიდევ აღბეჭდილია შესაქმის ღეთაებრივი აზრი, მაღლით დასცქერიან შეძრწუნებულ დედამიწას, რომელიც „მკედართა ბინასა“ ჰგავს. უკაცრიელ ქვეყანაზე ღვთის მახსენებელი კაცის ჭაჭანება არაა და „სიკედლომა ლამის სიცოცხლის სახელი დაისაკუთროს“.

ღვეები კაცობრიობის მტრები არიან. მათ მიერ არის „გაბლანტებული“ მთელი ქვეყანა. იშვიათი მითოსური ხატითა აქვს გადმოცემული ვაჟის ეს მდგომარეობა: ღვეები, იგივე არქაული ვეშაპები, წყალთა მცველნი და წყაროთა მფლობელნი არიან ძველ მითებში. ვაჟა ზუსტად იცავს ამ თვალსაზრისს:

სინჯავენ, წყლის კიდებზედ  
 ხომ არსად არის კვალი,  
 კაცმა ან მხეცმა იღუმალ  
 წყალი ხომ არეინ დალია, (III, 76),

ეს წყალი — ცოდნის, უკვდავებისა და სიბრძნის მომნიჭებელი ჭვესკნელის ვეშა-წყაროა და „კოპალაში“ მას სპირიტუალური მნიშვნელობა ახლავს, რაკი მისი შეუსმელობა კაცთა გულსა და გონებას აშრობს. ღვეები წყალს არ აკარებენ ხალხს და ამის გამო —

შრება გული და ვონება,  
 ძმა სისხლსა მსომდა ძმისასა,  
 ძმას ძმები შამაველივნის,  
 სისხლსა ეძებდის სხვისასა.

გულისა და გონების დაშრეტას ვაჟა სხვაგანაც შემზარავ კაცუკამიობას უკავშირებს („აზრი და გრძნობა“, 1908):

რა ჭმნა ქვეყანამ მაშინა,  
 უგრძნობ-უაზროდ გდებულმა?  
 ერთმანეთს ჭამა დაუწყო  
 ყოველმა მიროცხებულმა.  
 ძმამ ძმას სამარე უთხარა,  
 შვილი დაარჩვა დეღამა... (II, 90).

სწორედ ამ წყალს დაარჯობენ „კაცის სისხლით პირშეღებილი“ ღვეები, ვითარცა კაცობრიობის მტრები. მაგრამ ეგვე მომენტი იმაზე მიგვანიშნებს, რომ მათ რადანაირი კავშირი აქვთ სულიერ ძალებთან. „კოპალაში“ გარკვევით არის ნათქვამი: „ზესკნელს ჩვენ აღარ გვეცხოვრის, ბნელი აღარ გვშველს ღამისა“ (II, 80), რითაც აშკარა ხდება მათი ზეციურ ძალებთან წილნაყარობა. ეს ღვეები ერთ ღროს ზეციური დემონები იყვნენ, სულიერი ძალების გარკვეული იერარქიის გამომხატველნი. ზვესურულ მითოლოგიაში ნათლად ჩანს ეს: როგორც ვერა ბარდაველიძე გვამცნობს, „მზის დაბრუნვისას“ ანუ მზის ჩასვლის შემდეგ, ღვთის — იგივე მორივე ღმერთის კარზე თავს იყრიდნენ არა მარტო ღვთის-შვილები, არამედ ავსულნი ქაჯებიც<sup>55</sup>. ვერა ბარდაველიძე იქვე განმარტავს: ღვთის კარზე „მზის დაბრუნვისას“ შეყრა იმაზე მეტყველებსო, რომ ხალხური წარმოდგენით მორივე ღმერთი ღამეული მნათობის ღეთაება არისო. თეად სიტყვა ღმერთი მისივე ვარაუდით, ღამეს უკავშირდება. ივანე ჯავახიშვილისა და ნ. მარის გამოკვლევების თანახმად, „ღმერთის“ პირვანდელი სახეა ღამერ ან ღამარ. ეს ღამეული მნათობი მთვარეა და „კოპალა“

<sup>55</sup> В. В. Бардавелидзе, По этапам..., стр. 11.

მთვარისა და ვარსკვლავების ანუ ღვთის და ღვთისშვილების<sup>56</sup> გაუჩინარებისა თუ მიჩქმალვის სურათით იწყება.

ღმერთი არა ჩანს. მეუფის გარეშე დარჩენილ ქვეყანას დევები ეუფლებიან. დევები ღამეულნი, „ღამით მოხეტიალენი“ (83) არიან. ისინი ზესკნელს ცხოვრობენ და ბნელ კოსმოსურ ძალებს განასახიერებენ. შავი, შავბნელი და შავნაბ-დიანი დევები კაცთათვის ღვთისაგან ნაწყალობევე გულისა და გონების დამარწყულბეულ სპირიტუალურ წყალს ანუ სულიერ ძალებს განაგებენ დედამიწაზე. ვაჟა არ გვეუბნება პოემისაში, მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ, რომ დევებს წილი უდევთ ადამიანთა შესაქმნეში, წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა, რატომა აქვთ მათ მორკმული ძალა კაცობრიობაზე, რატომ განაგებენ მათი ყოფიერების განმსაზღვრელ წყაროს.

მაგრამ დევების კოსმოსური კარმა ამოწურულია. მათი ქვეყანაზე მეუფება შემაფერხებელია კაცისა და ღმერთის ურთიერთობაში. „ღვთის საამურ ვალს“ (83) აცდენილი მათი ხელმწიფების ინერცია კაცობრიობის წინააღმდეგ და ამიტომ ღვთის წინააღმდეგ არის მიმართული. კოსმოსური დპარმისაგან გამოთიშული დევები თვითნებობენ და ამიტომ უნდა დაისაჯონ.

ღვეთა დამსჯელი კოპალაა (საინტერესოა, რომ პოემის დასაწყისში, რომელიც შეძრწუნებული ბუნებისა და ნადირ-ფრინველის აღწერით იწყება, ცხოველთაგან პირველად ირემი ჩნდება. ირემი მზის განმსახიერებელი ცხოველია. ხევესურულ მითში იგი თვითონ კოპალას ასტრალური სახეა და ვაჟა შეუძმდარი გუმანით იყენებს ამ მითოსურ დეტალს). ვაჟას პოემის მიხედვით კოპალა ბერია. მისი საყდარი უდაბურ ადგილას დგას და მასზე დახავესებული ჯვარია აღმართული. ეს დეტალები იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქვეყანა დევების მიერ არის დაჭერილი და კიდევ იმაზე, რომ ეგვეე ქვეყანა თითქოს ღვთისაგან დავიწყებული და ამიტომ სულიერ პლანში ხავსმოკიდებულიცაა.

კოპალა კაცობრიობის განმსახიერებელი გმირია. იგი ნათელი, აპოლონური საწყისის გამომხატველი, რწმენით გულსავე კაცია და არა ღვთის შვილი. ვაჟასეული კოპალას სახე ფშავ-ხევესურული მითოლოგიური თქმულებების, ძირითადად კოპალა-იახსარის, ხოლო ნაწილობრივ წმიდა გიორგისა<sup>57</sup> და კვირიას<sup>58</sup> მოდელის მიხედვით არის შექმნილი. მაგრამ ვაჟას პოემის ხაზგასმულია, რომ იგი ქვეყნიერი კაცია და არა ზეცის ბინადარი ღვთაება.

<sup>56</sup> ხალხურ რწმენათა განვითარების გარკვეულ საფეხურზე ღვთისშვილნი ვარსკვლავებს განსახიერებდნენ, იქვე, გვ. 15.

<sup>57</sup> წმინდა გიორგი შახმტერებზე დევებს, — ნუ ხართ ცუდებიც, ნუ სკამთ ხალხსაც, ნუ სწოვთ სისხლსაც (თინათინ ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები... 1967, გვ. 180).

<sup>58</sup> კვირია ხებელთ მოურავიც, ღვთისა და კაცთა შორის „შუამდგომელი“ და ღვთის წინაშე ბრალეულთა ცეცხლით დამსჯელია (В. В. Бардавелидзе, По этапам... стр. 19, 21). და ზედღაც ხომ უფალთან შუამავლობას ეხვეწება კოპალას. ბერძნულ სამყაროში ღმერთსა და კაცს შორის შუამავლობა ან შუამდგომლობა აპოლონს მიეწერებოდა.

პოემის მიხედვით, ამ მოხუც ბერშია კონცენტრირებული კაცობრიობის ღვთისადმი რწმენა. მხოლოდ ცხარე ცრემლით უფლისად მავედრებელი კოპალას გულში ანთია ღვთაებრივი რწმენა და იმედი. კოპალას ვედრების შინაარსი შესაძლოა, პირველი თავის ბოლოს, ავტორისეული რემარკის შესატყვისი იყოს:

რატომ არ ჩნდება უფლისა  
 მეშველობა ციად სრული?  
 რად არ იშლება დევების  
 შხამით ავსილი სხეული?  
 ღმერთმ რად ვახადა ქვეყანა  
 დევთა სათრევლად ნეტარა?..  
 მითამ იმედით ისა გვეყ  
 განსაცდელის დროს, ყველგანა,  
 მითამ ის არის მთარველი  
 განუშორებლევ ჩვენთანა,  
 არ-ოთ გასწირავს ქვეყანას,  
 არ გაასწორებს მტკეპრთა ნაა...

(III, 77—78)

აქ არის მწუხარე, გულის შემადონებელი კითხვები, მტკივნეული, შემფოთებუ-  
 ლი განცდა, მაგრამ იჭვი — არა, პირიქით, დასასრული რწმენითა არის სავსე  
 და სწორედ მის პასუხად კოპალას ციდან ანგელოზებივით ევლინებიან ვარ-  
 სკელავთა განმასახიერებელი ღვთისშვილები და „მთელი ქვეყანა ცხრის მზით  
 და ოცის მთვარით ნათდება“ (79), რადგან „მლოცავთ ვედრებას შაისმენს, ზნე  
 ისეთია ხატისა“ (II, 292).

ცხრა მზის და ოცი მთვარის<sup>59</sup> ნათელმა დათრგუნა დევების დამე-  
 ული ბუნება. მაგრამ უმთავრესი ის იყო, რომ ღვთისშვილებმა კოპალას აცნო-  
 ბეს ღვთის ნება, — ძალით აღეზოცა ისინი: „ღმერთმ ნება მოგვცა,  
 ძალითა დალიე ქვეყნის მღვლები“.

მხოლოდ ღვთის ნებითა და თანადგომით შეეძლო  
 კოპალას დაემხო „კაცთა ტომის მწამლავი“ დევების  
 მეუფება, ვინაიდან კაცისათვის დევი „ხელშეუქცევი  
 მტერია“ და მის წინაშე უძლურია საკუთრივ ადამიან-  
 ური ძალმოსილება. პოემაში მკაფიოდ არის ნათქვამი, რომ თუმცა  
 კოპალა ხოცავს დევებს, იგი „სხვა-რიგის“ ძალით ანუ ღვთაებრივი  
 ძალით არის მორჭმული და ამ აზრით, კოპალა ზენაარის საჭურველია.

აღსანიშნავია, რომ ვაჟას ლექსების ამირანი სწორედ ამ დევების შემუსვრას  
 ევედრება უფალს (აღსანიშნავია ისიც, რომ „ამირანული“ ციკლის ლექსების  
 სიტყვიერი ფაქტურა, ამ შემთხვევაში, ზუსტად ემთხვევა „კოპალასას“). მაგრამ  
 ამირანი ბოლომდე ქვესკნელის ტყვეობასა და მავედრებლის სტატიურობაშია  
 მოცემული. კოპალა თითქოს მკვდრეთით აღმდგარი ამირანია. „წითელი  
 ფარიც“ მისი შუასკნელში ქმედების აღმნიშვნელი ატრიბუტია, ამირანის  
 სიზმარში ნაოცნებარსა და პოტენციური დამარხულ წადილს კოპა-  
 ლა ცხადში ქმედებით გამოხატავს და ამ აზრით, იგი ვაჟასეული ამი-  
 რანის მიწისზედა, მოქმედი იპოსტასია.

<sup>59</sup> არსებობს საკრალური ხასიათის გამოთქმა «ცხრა ოც და სამო წმ, გიორგი» (მასალები სა-  
 ქართველოს ეთნოგრაფიისათვის, 1, 1938, გვ. 24), ვაჟას ცხრა და ოცი, როგორც ჩანს, სმენით  
 გაშინაგნებული ამ გამოთქმიდან მიმდინარეობს.

„კოპალას“ უფალი ერთი მხრივ, ფშავ-ხევსურულ მორიგე ღმერთთან კავშირს ამკლავებს (მითის მიხედვით, კოპალაცა და ღვთისშვილნიც მისი ნების აღმსრულებელნი არიან), ხოლო მეორე მხრივ, როგორც კაცობრიობის ზნეობრივი წინამძღვარი და რაც მთავარია, როგორც მონანულთა ღმერთი ქრისტიანული ელფერით წარმოგვიდგება. კოპალას საყდრის წინ დაჩოქილი ბელელა, რომელსაც მის წინაშე მოაქვს „დევთა საომარი აბჯარი და ოქრო-ვერცხლი“ და თავს ავედრებს კოპალას: „მინდა ღმერთს შენებრ მივაჩნდე, შენებრ სიწმინდის მქონიო“ (83) უეჭველად ამ გრძნობას ამკლავებს. ბელელას ასეთი მეტამორფოზა თვალსაჩინოს ხდის მონანიების შესაძლებლობას. ბელელას მისწრაფებაში ეჭვი არ უნდა შეგვივიდეს. იგი საკუთარი სიცოცხლის ფასად, ჯვრის მოხვევის აქტით ადასტურებს ამას. მაგრამ კოპალამ იცის, რომ მისი არსება უცვალვებლად ბოროტია, რომ მასში „კეთილიც იმავე წამს შხამად გადაიქცევა“ (83). კოპალას აზრით, ცოცხლად დარჩენილი ბელელა „ბოროტს ხმლად, ხოლო კეთილს ფარად“ გამოიყენებს და ამრიგად, შენიღბული, კიდევ უფრო ძნელად დასაძლევე დიაბოლიზმის განსახიერება იქნება. პოემაში ბელელას მონანიების სწრაფვასა და ღვთის ნების აღმსრულებელ კოპალას თვალსაზრისს შორის აშკარა წინააღმდეგობაა. როგორ უნდა აიხსნას ეს წინააღმდეგობა?

გასათვალისწინებელია შემდეგი: დევთა შემუსვრა, მითოსურ პლანში მათი ჩვეულებრივი დამარცხება როდია. ამ დამარცხებით ისინი არა მარტო შესვენელსა და ქვეყანაზე მეუფებას, ან ბუნების ძალების მართვის ხელმწიფებას პკარგავენ, —

როცა გამოჩნდის ღრუბელი,  
წვიმამ დაიწყის შრიალი,  
დევთ ლახტი მიუღირიან  
და ასტეხიან ღრიალი.  
გაქრის წვიმა და ღრუბლებმა  
უკვენ იწყიან ტრიალი...

არამედ უპირველეს ყოვლისა, ფიზიკურ პლანში ხელახლა განხორციელების უნარსაც. მათი შემუსვრა ამ აზრით, ტოტალურია. დევები „უძეოდ“ უნდა გადაეგონ, ხორცშემოსილ შთამომავლობას ისინი ვერ დატოვებენ. დევები „ვერც თავს მაიბმენ ხელახლად, ვერც გულს გაჭვრეთილს ისრითა“. ე. ი. ჰკარგავენ როგორც პიროვნულ მატერიალობას, ისე ხელახალი განხორციელების დემონურ ძალას. მითოსის დახშულ გარემოში მოქმედი ამირანისა და მისი ძმების მიერ მოკლული დევების სხეულიდან ამომძვრალი ჭიები კვლავ გველუშაებად იქცევიან, მაგრამ „კოპალაში“ შემუსვრილი დევების ფერფლიდან დაჩენილი ჭიები ჭიებადვე რჩებიან და მათ აღარ უწყრიათ სრული სუბსტანციურობით აღორძინება. „დევთ სულნი დაკოდილები ქვესვენელში ჩაიყარინან“ და ეს ქვესვენელი ქრისტიანულად მოაზრებული ჯოჯოხეთია. ისინი ძველ დროს იგონებენ, და რაკი მათი დრო წასულია — თავი „სიზმარში ჰგონიათ“. „აღდგომის იმედი მათთვის არსად არი“, იმიტომ, რომ საბოლოოდ, ერთხელ და სამუდამოდ ჯოჯოხეთში ხედებიან. დევებისა და მათი ბელადის შემუსვრით მთავრდება მათივე

ხატი განცხადებული პაგანიტური ეპი და ამრიგად, დრო ახალ განზომილებას იძენს. დევებისა და დევურის დამარცხება პოემაში სასტიკი და დრომოკმული მსოფლმხედველობის ახალ ეთიკურ ღირებულებებთან დამარცხების ბადალია. სწორედ ეს იცის კოპალამ, — ამ შემთხვევაში იგი ავტორის თვალსაზრისს გამოხატავს, — როცა მონანიების მიუხედავად, გარდაუქმნელ და უცვალებად ბოროტ არსებად გულისხმობს ბედელას, აკი ჯვრის მთხვევად ლაშმიმართულმა ბედელამ პირიკ ვერ ახლო ჯვარს. კოპალასა და დევებს შორის, ლეთაებრივსა და ეშმაურს შორის ბრძოლა დამთავრებულია. ეს ბრძოლა ზეგისა და კრონიდებს შორის ატეხილი ბრძოლის მოგონებას აღძრავს. ბერძნულ მითშიც კრონისის ხელმწიფების აღგვითა და მისი ტარტაროსში ჩამწყვდევეთ დასრულდა ახალი მსოფლმხედველობის გამარჯვება. დევები ქვესკნელს ილალებიან სამუდამოდ და „გზაკვალაშლილი ქვეყანა“ კვლავ წაღმა იწყებს ტრიასს.

კოპალა წარმართული ლახტისა და ქრისტიანული ჯვრის შემწეობით მუსრავს დევებსა და დევურს. დახოცილი დევების სისხლიდან და ბედელას ფერფლიდან, ბერძნული მითოლოგიის ანალოგიურად (ტიტანების სისხლიდან შხამიანი ობობები და უწმინდური მთვლითმეტურავე გველები აღმოცენდნენ)<sup>60</sup> — „შავი გველები“ და „შავი ბუჭყანი და ჭიანი“ გამოდიან. „ავზნიანი ჭიის“ (II, 272) სახით დევური მაინც განაგრძობს სიცოცხლეს უკვე, როგორც საპყაროს მთლიანლეთაებრივ სტრუქტურაში, თავად ბუნების საფუძველშივე არსებული განუსაზღვრელი ნეგატიური ელემენტი...

ია თალხ-კაბა ამოვა, —  
 ქალი მგლოვარე ძმაზედა,  
 ზაფხულის ცქერა სწადიან,  
 პირის დაბანა ნამზედა,  
 არ დააცილიან იცოცხლოს,  
 მიუხედავად კარზედა,  
 შმაგად უჭამენ ფესვებსა,  
 მერმე გადავლენ თმაზედა,  
 მოკლე სიცოცხლე იასა  
 იმ ეპით აწვეს თავზედა. (84)

ერთი მხრივ, ეს ია, პირიმზის მსგავსად, მთიელი მადონას სახით წარმოდგენილი „მგლოვარე“ ქალწული ან „თმიანი სადედუფლოა“ და აქ ერთი ძველი მითი უნდა გავიხსენოთ: ნიმფა ნანა დაორსულდა ბროწეულის მარცვლის შექმით და ამ უმანკო ჩასახებით შვა ფრიგიული ნაყოფიერების ღმერთი ატისი (ეს ის ატისია, რომლის გამო ნეტარი ავგუსტინე ქურთუმის პირით გვიცხადებს: „ფრიგიულად თავდახურულა ღმერთიც ქრისტიანიაო“)<sup>61</sup>. ღმერთების დიდი დედა რეა-კიბელა უმიჯნურდება ულამაზეს ჭაბუკს, მაგრამ მას უტურფესი ქალღმერთი ია უყვარს, რისთვისაც კიბელამ ტახს დაავლეჯინა ატისი. ნანა — „ბაბილონელი იშთარის ერთ-ერთი მეტსახელია“<sup>62</sup> და ამავე დროს, ქართული

<sup>60</sup> ა, ლოსევი, დასახ. წიგნი, გვ. 169.

<sup>61</sup> Мифологический словарь, Л., 1961, стр. 38.

<sup>62</sup> Т, М а н н, Т. X. стр. 104.

შხის ქალღმერთის ბარბოლის მთავარი იპოსტასის — ნანას სახელი, რომელიც ღვთაებრივ ცოცხლობს ჩვენს „იავ-ნანასა“ და ქალთა სახელებში. რაც შეეხება ქალღმერთ იას-ს, იგი ქართულ იას ნიშნავს („ее имя, к слову сказать, означает „*φιαλκα*“<sup>63</sup>) და მითოსის უღრმესი ფენებიდან ამოზრდილი ინტუიციის მეოხებით ვაჟა ზუსტ განსახებას უძებნის „იას“, როგორც „თიან სადღეღფლოსა“ და „ძმაზე მგლოვარე ქალს“...

მეორე მხრივ, ია „თითქოს ცით ჩამოსული ღმერთია“ (II, 273). „კოპალაში“ იის ტურფა გვირგვინი სიყვარულს ადგას, ხოლო ეს სიყვარული კაცობრიობის უმაღლესი გამოხატულებაა. ვაჟას ია — სინაზედ და მშვენირებად სუბლიმირებული კაცობრიული სიყვთე და უმაღლეს ღირებულება დასახული ადამიანი გრძობის სიმბოლოა, ურომილისოდაც ფასი ეკარგება სამყაროს არსებობას („რადღა ვის უნდა მაშინა ან მზე ან მთვარე ცაზედა“...). ამავე დროს, ღვთაებრივ და დევეურ სულთა კოსმოგონიური ყოფიერების ფონზე „იის მოკლე სიცოცხლე“ თითქოს ადამიანის წუთისოფლის განმასახიერებელია.

პოემაში განსმული სამი სკენელი — ზეცა, ქვეყანა და ქვესკნელი — კაცობრიული ცხოვრების სამ ელემენტს — ღმერთს, ადამიანსა და დიაბოლურ ძალებს გულისხმობს. ამ სამსახოვანი ყოფიერების შუაგულად ვაჟა ადამიანს მიიჩნევს. ღვთის მახსენებელი ადამიანია სამყაროში ორი პოლარული ასპექტით, ერთი მხრივ, ღმერთითა და ღვთისშვილებით, ხოლო მეორე მხრივ ეშმაური ელემენტით პროეცირებული სიცოცხლის განმსაზღვრელი ცენტრი. კაცობრიობა ღვთაებრივი და დევეური ძალების ბრძოლის ასპარეზია, — (უხალხოდ თვით დევსაც არ უნდა დევობა). კაცობრიობა ღვთის მიერ ნაწყალობევი გულითა და განებით უკავშირდება თავის ღვთაებრივ დასაბამს, ადამიანური არსებობის პირველწყაროს. სწორედ ამ კავშირის მტერია დევი. გულდაგონებადარეტილი კაცობრიობა თვითონვეა დევეური ცხოვრების განმასახიერებელი, რაკი „ძმა ძმის სისხლის მსმელი ხდება“<sup>64</sup>. ქვემარტი კაცობრიობა კი, ვაჟას თვალსაზრისით, ღვთაებრივი პირველდასაბამით გაერთიანებული ძმობაა. ეს ძმობა, ერთი მხრივ, ადამიანთა ქრისტესმიერი მოყვასობის („როდისღა უნდა ადამიანმა ადამიანი იწამოს ძმადა“?.. ლექსი „სად არის ქრისტე ან მისი სწავლა“, II, 313), ხოლო მეორე მხრივ, ფშავ-ხევსურეთის უძველესი წარმართული სარწმუნოებისათვის ნიშანდობლივი, ღვთისშვილთა მოძმეობის შესაბამისია. ფშაური „დიდებაის“ თანახმად, ღვთისშვილნი „ღვთის მოთანაყმენი, ერთურთის მოღე-მოძმენი და სტუმარ-მასპინძელნი არიან“<sup>65</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ ვაჟას პოემის „სტუმარ-მასპინძლის“ სათაური საკრალური ხასიათის ამ იდიომიდან მოდის და მას ღრმა ქვეტექსტი ახლავს: კაცნი, ღვთისშვილთა მსგავსად, ერთმანეთის ძმები, სტუმარ-მასპინძლები ან, რაც იგივეა, — მოყ-

<sup>63</sup> Ф. Ф. Зелинский, Религия эллинизма, II. 1922, стр. 42.

<sup>64</sup> პლუტარქეს აზრით ძველები ტიტანს უწოდებენ იმას, რაც უგუნური, უსახო, ძალადური, არა ღვთაებრივი, არამედ დემონურია ჩვენში. და ეგე... დასჯასა და პასუხის მიგებას იმსახურებს. იხ. ა. ლოსკვის დასახ. წიგნი, გვ. 169.

<sup>65</sup> В. В. Бардавелидзе, По этапам... стр. 14.

ვასნი, და მამასადამე, სწორფერნი ანუ თანასწორნი არიან მამალმერთის წინაშე. „კოპალა“ წარმართული და ქრისტიანული წარმოდგენებისა და აზრობრივ-მხატვრული ელემენტების უცნაური სიმბიოზით არის აღბეჭდილი. არსებითად, იგი სინთეზური ნაწარმოებია, რომელშიც ფშავ-ხევსურეთის ღვთის-შვილთა წარმართული პანთეონით პროეცირებული სამყაროს მითოსური მოდეელი ბოროტების დათრგუნვის ზოგადქრისტიანულ იდეასთან არის შეჯვარებული. „კოპალაში“ გაშლილი ფილოსოფიურ-ეთიკური ხასიათის კოსმოსური დრამა თითოეული ადამიანის გულში მიმდინარე შინაგანი ბრძოლის ანარქლიცაა და ამ აზრით, ეს პოემა ახალი დროის სულით აღბეჭდილ მისტერიად წარმოგვიდგება.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა  
 აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა)

## ელიზბარ ჯაფელიძე

## თურქული სატირის ჩასახვისათვის

ძველი თურქული ლიტერატურა სატირული ნაკადით მდიდარია, მაგრამ იგი ჯერ-ჯერობით ჯერონად შესწავლილი არ არის; ამ საკითხის შესახებ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჰ. იუჯებაშის „თურქული სატირული ლიტერატურის ანთოლოგიას“<sup>1</sup>, სადაც თურქი მწერლების სატირული ნაწარმოებები ქრონოლოგიურად არის წარმოდგენილი, სპეციალური გამოკვლევა არც კი არსებობს. მართალია, როგორც თურქი ლიტერატურათმცოდნეების<sup>2</sup>, ასევე დასავლეთისა<sup>3</sup> და რუსი ორიენტალისტების<sup>4</sup> გამოკვლევებსა და ნაშრომებში ვხვდებით ცალკეული სატირიკოსების შესახებ ყურადსაღებ ცნობებს, მაგრამ დღემდე არც ერთ მკვლევარს არ გაუხდია სატირა გამოკვლევის სპეციალურ ობიექტად. შეუსწავლელია თურქული სატირის ზოგადი ისტორია, მისი განვითარების ეტაპები. ამჯერად ჩვენ მოკლედ შევეხებით მისი წარმოშობის საკითხს.

მახლობელ აღმოსავლეთში სატირას შორეული ტრადიციები აქვს. იგი პირველად არაბეთში აღმოცენდა. მის ნიმუშებს ვხვდებით ჯერ კიდევ ისლამის წინა პერიოდში მოღვაწე მწერლებთან<sup>5</sup>. არაბულ ლიტერატურაში სატირა ატარებდა

<sup>1</sup> H. Yücebaşı, *Hiciv Edebiyatı Antolojisi*, İstanbul, 1955.

<sup>2</sup> A. Gölpınarlı, *Divan Şiiri (XV—XVI, yüzyıllar)*, İstanbul, 1954, გვ. 13—14; მ. ისიჯე, *Nesimi—Usuli—Ruhi*, İstanbul, 1953, A. S. Levend, *Edebiyat Tarihi Dersleri*, İstanbul, 1943, S. Nüzhet, *Türk Edebiyatı Tarihi*, İstanbul, 1939, გვ. 132—134; H. Ali, *Türk Edebiyatına Toplu bir Bakış*, 1932, გვ. 35, M. Uraz, *Türk Edip ve Sairleri*, c. II İstanbul, 1939, გვ. 114, N. S. Banarlı, *Resimli Türk Edebiyatı Tarihi*, İstanbul, 1948, გვ. 135, J. Alaettin, *Meshur Adamlar*, İstanbul, 1936, c. III, გვ. 1495, 1169, M. H. Benderli, *Edebiyat ve Edebiyat Tarihi*, İstanbul, 1937, გვ. 80, 85, V. M. Kocatürk, *Türk Edebiyatı Tarihi (başlangıçtan bugüne kadar)*, Ankara, 1964, გვ. 856, A. Kabaklı, *Türk Edebiyatı*, c. II, Ankara, 1966, გვ. 218, 281, Faruk K. Timurtaş, *Harname, TDED*, III, 1949, გვ. 5370—5381.

<sup>3</sup> Diez, *Frungruben des Orients*, Wien, B. I 1809, გვ. 249—274, J. Hammer, *Geschichte der Osmanischen Dichtkunst bis auf unsere Zeit*, B. I, Pest, 1836, გვ. 104—108; B. II, 1837, გვ. 18—19, B. III, 1837, გვ. 234—244 და სხვა. E. Gibb, *A history of ottoman poetry*, London, vol., 1909, გვ. 299—335 და სხვა. F. Babinger, *Enziklopedil des Islam*, B. III, გვ. 971—972, G. Jacob, *Türkische Litteraturgeschichte in Einzeldarstellungen*, Berlin, 1900, გვ. 64—65, 65—67, J. Deny, *Enziclopaedie des Islam*, B. IV, გვ. 301—303, F. Taeschner, *Die osmanische Literatur*, *Handbuch der Orientalistik*, B. V, Leiden, Kolen, 1963, გვ. 251, 355, A. Bombacci, *Storia Della Letteratura Turca*, Milano, 1957, გვ. 299—302.

<sup>4</sup> В. Д. Смирнов, *Кочубей Гомюрджинский и другие османские писатели XVII века о причинах упадка Турции*, СПб. 1837, მ. ისიჯე, *Очерки истории Турецкой литературы*, Всеобщая история литературы, т. IV, 1892, გვ. 496, 505, А. Крымский, *История Турции и ее литературы*, т. II, М., 1910, стр. 119, 136.

<sup>5</sup> Ханна Аль-Фохური, *История арабской литературы*, М., 1959, стр. 87, 109, 126 და სხვა.

9. „მაცნე“, 1970, № 1

მწვავე კლასობრივი და პოლიტიკური ბრძოლის ხასიათს. სხვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თვით ღმერთკაცი მუჰამედი და მისი ყურანი, აღმოსავლური აზროვნებისა და ქმედების ქვაკუთხედი, სატირის ქამანდს ვერ გადაურჩა<sup>6</sup>.

სატირა გაჩნდა X საუკუნის სპარსულ ლიტერატურაში. დაიწერა ცნობილი სატირა სულთან მაჰმუდ დაზნელზე, რომელსაც ფირდოუსის მიაწერენ<sup>7</sup>. შემდგომ პერიოდში სატირის ელემენტები ქარბად მოიპოვება თითქმის ყველა მწერალთან<sup>8</sup>.

დაბოლოს, XV საუკუნეში სატირამ ნოყიერი ნიადაგი პოვა თურქულ ლიტერატურაშიც.

მაგრამ სატირის განვითარების ეს ზოგადი ხაზი საცესბით არ ნიშნავს იმას, რომ მახლობელ აღმოსავლეთში სატირის სამშობლო არაბეთია და აქედან გავრცელდა იგი სპარსეთსა და შემდგომ თურქეთში. მართალია, ეს ხალხები სულიერ თუ კულტურულ სფეროებში უდიდეს ზეგავლენას ახდენდნენ ურთიერთზე, მაგრამ სატირას სხვა კუთხით უნდა მივუდგეთ. ჭეშმარიტი სატირის ერთ-ერთ სპეციფიკურობა ის არის, რომ მის დაწერასა თუ შექმნას ყოველთვის მიზეზად უდევს წინააღმდეგობა, კონფლიქტი, რომელიც ჩნდება პიროვნებებს, პიროვნებასა და საზოგადოების ფენებსა, კლასებსა თუ სახელმწიფოებს შორის. ეს კონფლიქტი კი უმეტეს შემთხვევაში (გარდა პირველისა) დაკავშირებულია სოციალურ-ეკონომიურ ყოფასთან და ქვეყნის შიგნით მომხდარ საზოგადოებრივ და კლასობრივ ძვრებთან. სწორედ ეს გარემოება უქმნის სატირის წარმოშობას ეროვნულ-ნაციონალურ ნიადაგს.

თუკი სატირის ამ სპეციფიკურობას გავითვალისწინებთ, შეგვიძლია წინასწარ ვთქვათ, რომ თურქული სატირა ეროვნულ ნიადაგზეა აღმოცენებული. მის წარმოშობას ხელი შეუწყო იმ პოლიტიკურ-სოციალურმა კრიზისმა, რომელსაც განიცდიდა XV საუკუნეში თურქეთის სახელმწიფო. საერთოდ, შეიძლება ითქვას, ძველ თურქულ ლიტერატურაში თუ რაზე ჭეშმარიტად ნაციონალური ელფერისა და სულის მატარებელია — ეს სატირაა, იგი პირდაპირი გამოძახილია თურქული ზეპირსიტყვიერების მდიდარი ტრადიციებისა.

თურქ მომთაბარე ტომებს კომიზმისაკენ მიდრეკილება და აბუჩად აგდების ტენდენციები ოდითგანვე უნდა ჰქონოდათ<sup>9</sup>. რადგან საყოველთაოდ ცნობილია, რომ განვითარების, დაბალ საფეხურზე მყოფ ხალხს აქვს მისწრაფება სასაცილო ობიექტის აღქმისადმი<sup>10</sup>. და ეს სიცილი განვითარების მეტად პრიმიტიულ საფეხურზე იღებს უკვე ორგანიზებულ სახეს<sup>11</sup>.

მართლაც, უკვე ადრეული საუკუნეების დესტანებში („სეიდ ბათალი“, „დანიშმენდ ნამე“, „დედე ქორქუთი“), რომლებიც XI—XV საუკუნეებით თა-

<sup>6</sup> J. Hamer, Geschichte der Osmanischen Dichtkunst, B. I, pp. 4-6; P. Дози, Очерки истории ислама, СПб, 1904, pp. 37, 53.

<sup>7</sup> Е. Э. Бертельс, История Персидско-Таджикской литературы, Избранные труды, М., 1960, стр. 183.

<sup>8</sup> И. С. Брагинский, Из истории таджикской народной поэзии, М., 1956, pp. 319, 346, 394, 397.

<sup>9</sup> უკვე კილიჯ არსლან II-ის დროს (1156—1188) კონიის სასახლეებში იმართებოდა კომიკური წარმოდგენები, სადაც აბუჩად იგდებდნენ იმპერატორ ალექსის. როგორც პროფ. გ. იაკობი და აკად. ვ. გორდლევისი ფიქრობენ, ეს უნდა იყოს ხალხური პოლიტიკური ფარსის ჩანასახი. (იხ. В. Г о р д л е в с к и й, Избр. соч. т. I, pp. 19 ვ.).

<sup>10</sup> Э. Броссе, Происхождение искусства, М., 1899, pp. 228.

<sup>11</sup> А. Луначарский, О смехе. «Литературный Критик», 1935, № 4, pp. 6.

რილდებიან<sup>12</sup>, მოიპოვება მეტნაკლებად გროტესკულ-სატირული ელემენტები, რომელთაგან ზოგიერთი, მაგალითად, დედე ქორუთისა და სულელი კარჩარის ამბავი უძველესია<sup>13</sup> და, ალბათ, თავის დროზე ის აშკარად ამსახველი იყო კომიკური სიტუაციისა, დღეს კი მხოლოდ ფხიზელ თვალს თუ შეუძლია შეამჩნიოს ეს კომიზმი; ზოგიერთს კი, როგორც არის მაგალითად, კაზან ბეგისა და მწყემსი კარაჯუკის ინცინდენტი<sup>14</sup>, უფრო გვიანდელი დამუშავება ეტყობა და მასში უკვე ნათლად გამოსჭვივის კლასობრივი წინააღმდეგობის შედეგად გაჩენილი ირონიული სიცილი. ამჯერად ჩვენ ყველა გროტესკულ-სატირულ ელემენტებს დეტალურად ვერ განვიხილავთ<sup>15</sup>. მაგრამ გმირული ეპოსი სატირის თვალსაზრისით სხვა მხრივაც საინტერესოა: შერკინების წინ რაინდები ერთმანეთს დამცინავი და დამამცირებელი სიტყვებით უმასპინძლებიან და აბუჩად იგდებენ თავის მოწინააღმდეგეს<sup>16</sup>, რაც, გარდა იმისა, რომ საბრძოლველად აქეზებს და აღაგზნებს მოწინააღმდეგეს, მასზე ფსიქოლოგიურ ზეგავლენასაც ახდენს და მისი სულიერი სიმტკიცის შერყევას ცდილობს. აქ უკვე სატირასთან გვაქვს საქმე, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ თურქული გმირული ეპოსის სპეციფიკურობა არ არის.

თურქულ ფოლკლორში სატირისა და იუმორის წარმოშობა უფრო მკიდროდ არის დაკავშირებული ხოჯა ნასრედინის ანეკდოტების ციკლთან. ხოჯა ნასრედინის სახის ფორმირება ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნის ზეპირსიტყვიერებაში სატირისა და იუმორის განვითარებაზე. XIII საუკუნეში, როცა მონღოლები განუწყვეტელი ლაშქრობებით წელში გაწყვეტილი სელჩუკთა სახელმწიფო მძიმე სოციალ-ეკონომიურ კრიზისს განიცდიდა, უნდა შემზადებულიყო ნოყიერი ნიადაგი თურქული სატირის მძლავრი ნაკადის აღმოცენებისათვის ზეპირსიტყვიერებაში. სწორედ ამ დროს იწყება ხოჯა ნასრედინის ლეგენდარული პოპულარიზაცია და მისი ანეკდოტების ხალხში გავრცელება<sup>17</sup>. მართლაც, შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ამ არეულ ხანაში ცხოვრობდა გონებაამახვილი ხოჯა ნასრედინი!<sup>18</sup> ცხოვრობდა კი? ანდა ვინ იყო ის? ამაზე კონკრეტულად პასუხის გაცემა არ შეგვიძლია და არც აქვს ჩვენთვის გადაწყვეტი მნიშვნელობა. არ იქნებოდა ხოჯა ნასრედინი, იქნებოდა სხვა ვინმე. ყოველ შემთხვევაში,

<sup>12</sup> В. М. Жирмунский, Огузский героический эпос и «Книга Коркута», в кн. «Книга моего деда Коркута», М.-Л., 1962, гл. 145, В. С. Гарбузова, Сказание о Мелике Данышменде, М., 1959,

<sup>13</sup> О. С. Гöküay, Dede Korkut, Istanbul, 1938, гл. 30—33.

<sup>14</sup> Ibid, гл. 33—34.

<sup>15</sup> ნაზ.: عزوات سيد بطال غازی, ლითოგრ. გამოც. 1887, გვ. 14-15, 29, 43 და სხვ.

<sup>16</sup> О. С. Гöküay, Dede Korkut, гл. 15, В. С. Гарбузова, Сказание о Мелике Данышменде, стр. 122.

<sup>17</sup> ახლა ძნელია კონკრეტულად იმის თქმა, არსებობდა თუ არა XIII საუკუნეში ანეკდოტების ციკლი თურქულ ფოლკლორში, იმის მოწმობა, რომ ვალაღ-დინ რუმისთან, რომელიც კარგად იცნობდა არაბულ და სპარსულ ფოლკლორსა და პოეზიას, მოიპოვება რამდენიმე ანეკდოტ-ჯუხას შესახებ, არ ნიშნავს, რომ ეს ანეკდოტები ხალხშიც იყო გავრცელებული, (იხ. В. А. Гордлевский, Ходжа Насреддин, стр. 340). ისიც ადვილი შესაძლებელია, რომ ამ მთავრულ ანეკდოტებს ხალხიც იცნობდა, მაგრამ მის შემეცნებაში ეს ანეკდოტები ვაგებულ იქნებოდა, როგორც არაბული ოხუნჯობანი, ამ ანეკდოტების თურქულ ცლოტებზე დამყნობა, თუკი ასეთი არმაკურთი მოხდა, ჩვენ აზრით, უნდა დაწყებულიყო XIII საუკუნეში (უფრო დაწერილობით ხოჯა ნასრედინისა და ჯუხას შესახებ იხ. Enziklopaedie des Islam, В. III, гл. 946—948).

<sup>18</sup> В. А. Гордлевский, Ходжа Насреддин, Избр, соч. т. II, М., 1961, гл. 347.

ამას მოითხოვდა ეპოქალური სუნთქვა და ხალხი გამოკვეთდა კიდევ თავის მფარველ გმირს. ერთი უდავოა, ხოჯა ნასრედინის მსგავსი გონებამახვილი და ენაშაწარებელი ადამიანები ბევრი ჩამოითვლება თურქეთის ისტორიის მანძილზე, მაგრამ სწორედ ეპოქამ არგუნა მას ესოდენ დიდი პოპულარობა.

ამ მოსაზრებას აპირობებს ის არგუმენტიც, რომ XV საუკუნეში, როცა თემურ-ლენგმა დაარბია და გააპარტახა ახლად ფეხადგმული ოსმალეთის სახელმწიფო<sup>19</sup>, ხალხმა კვლავ გააცოცხლა ნასრედინის სახე და თავის დამპყრობელს დაუბირისპირა: „Утешая себя, — წერს ვ. გორდლევსკი, — народ противопоставил грубым разрушениям, физической силе Тимура духовную мощь, силу ума и находчивости Ходжи Насреддина. Народная память перепутала монгольское нашествие XIII в. и нашествие Тимура XV в. сконцентрировав всю горечь страданий испытанных Малой Азией... вокруг этого имени...“<sup>20</sup>.

თემურლენგისა და ხოჯა ნასრედინის შესახებ შეიქმნა გრძელი ჯაჭვი ანექდოტებისა, რომელთა უმეტესობა უნდა წარმოშობილიყო დაახლოებით XV—XVI საუკუნეებში. ზოგიერთი მათგანი საყურადღებოა სატირის თვალსაზრისითაც, რადგანაც მათში მკაფიოდ მოჩანს ირონიული სიცილი, რომელიც კონკრეტული გამოზნულობით ხასიათდება<sup>21</sup>.

XIV—XV საუკუნეების მიჯნაზე თურქეთის მძიმე სოციალურ-პოლიტიკურმა ვითარებამ ხელი შეუწყო სატირული ტრადიციების განმტკიცებასა და გამდიდრებას ფოლკლორში და მის აღმოცენებას ლიტერატურაში, რაზედაც დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი. ამის შემდეგ ხალხური აზროვნების მიღმა აღარ გასულა გონებამახვილი ხოჯა. მალე მისმა ანექდოტებმა ლიტერატურული ფორმირება მიიღეს<sup>22</sup>.

თურქი ხალხი თავის ირონიას აქსოვდა ანდაზებში, ზღაპრებში, ანექდოტებში, მაგრამ მისმა უქმყოფილებამ, დაუნდობელმა ტონმა თავი იჩინა პოეზიაში და განსაკუთრებით სატირულ ლექსებში — თაშლამებში<sup>23</sup>.

ამჟამად არ მოგვეპოვება XV—XVI საუკუნით დათარიღებული ხალხური სატირული პოეზიის ნიმუშები, რათა გარკვეული და კატეგორიული აზრი ჩამოყალიბდეს ამ პერიოდის შესახებ, მაგრამ თუ ვიმსჯელებთ ამ ხანის საზისა და დერვიში პოეტების მიხედვით, რომლებიც ხალხურ პოეზიასთან მჭიდრო კავშირს ამყარებენ, მაშინ სარწმუნო ვახდება, რომ ამ საუკუნეში ხალხურ პოეზიაში სატირული დინება ჩქეფდა<sup>24</sup>.

<sup>19</sup> D u k a s, Bizans Tarihi, İstanbul, 1956, გვ. 44—45.

<sup>20</sup> В. А. Гордлевский, Ходжа Насреддин, стр. 343. -

<sup>21</sup> იხ. Анекдоты о Ходже Насреддине, М., 1957, ანექდოტები № 53, 54, 55, 82, 83, 108, 128, 134, 220, 254, 333, 338, 341, 343, 360 და სხვ.

<sup>22</sup> В. А. Гордлевский, Ходжа Насреддин, стр. 344.

<sup>23</sup> Н. Y ü s e b a ş, დასახ. ნაშრომი, გვ. 110—125.

<sup>24</sup> ღიქობენ, რომ ამ პერიოდისათვის ხალხმა უნდა ვერცელებულყო ყარაიზოს თეატრი (იხ. № S. B a n a r l ı, Resimli Türk Edebiyatı Tarihi, გვ. 143, ამ თეატრის რეპერტუარში საკმაოდ დიდი ადგილი ეჭირა სატირასა და იუმორს ნახ. G. Y a c o b, Türkische Literatur geschichte in Einzeldarstellungen, გვ. 62.

\* \* \*

თურქული წერილობითი ლიტერატურა სუფიზმით დაიწყო. როცა პირველი თურქული პოეტური ნაწარმოებები იქმნებოდა, მთელ ისლამის სამყაროში სუფიზმი ბატონობდა<sup>25</sup>. მცირე აზიაში სუფიზმის მძლავრ განვითარებას ხელი შეუწყო ქვეყნის მძიმე ეკონომიურ-სოციალურმა პირობებმა<sup>26</sup>.

სუფიზმი თავისი ჩასახვის პირველსავე ეტაპზე ერთგვარ ოპოზიციურ განწყობილებას გამოხატავდა. იგი იყო მსოფლმხედველობა გარკვეული ფენისა, რომელმაც თავისი იდეები დაუპირისპირა იმდროინდელ ისლამში არსებულ დოგმებს. მათ ერთგვარი პროტესტი გამოუცხადეს არსებულ წყობას, დაგმეს ეს „ბოროტი“ ქვეყანა უფრო „მაღალი“ იდეალებისათვის და მიეცნენ მისტიციზმს, რათა აბსტრაქტულად მაინც მოეპოვებინათ ჭეშმარიტება<sup>27</sup>. ფრიდრიხ ენგელსი წერდა „Эта аскетическая строгость нравов, это требование отказа от всех удовольствий и радостей жизни, с одной стороны, означает движение против господствующих классов принципа спартанского равенства, а с другой — является необходимой переходной ступенью, без которой низкий слой общества никогда не может прийти в движение“<sup>28</sup>.

სუფიზმმა, უპირველეს ყოვლისა, ნაცვლად ბრმა მორჩილებისა, წამოაყენა შემეცნების გზა<sup>29</sup>; ნაცვლად ქრისტიანული სქოლასტიკური სილოგიზმისა — მისტიკური ჩაძირვა სულის არსში<sup>30</sup>. და, რაც მთავარია, პირველ პლანზე წამოსწია სიყვარული ღმერთისადმი<sup>31</sup>.

მთავარია შინაგანი სიწმინდე. გარეგანი, ფორმალური მხარე მეორეხარისხოვანია. სწორედ ამ ფორმალური მხარის, ე. ი. შარიათის კანონებისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით სუფიზმი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე განიცდიდა ევოლუციას.

თუმცა სუფიზმის პირველი ჯგუფი ამჯობნებდა ისლამის კანონების ფორმალურ შესრულებას „გულით“ ქმედებას“, მაგრამ ისინი არ უარყოფდნენ შარიათის ღირსებას, მოითხოვდნენ ისლამის ფორმალური კანონებისადმი დამორჩილებას და მის მიხედვით ცხოვრების არსის ძებნას<sup>32</sup>.

მეორე ჯგუფი კი ისლამის ფორმალურ მხარეს სავეცებით უარყოფდა. ვინც კი შეიცნობს ღმერთს, მას არავითარი კანონი აღარ სჭირდება<sup>33</sup>.

ერთი სიტყვით, სუფიზმის ევოლუციის შედეგად ძირითადად ორი განშტოება შეიქმნა: ისლამის ოფიციალური კანონების მადიარებელი და უარყოფელი. აქედან ცხადია, სუფიურ ლიტერატურაში შეიძლება გაჩენილიყო ტენდენცია ოფიციალური კანონის, შარიათის აბუჩად ავდებისა და ის პირნი, რომლებიც მის (შარიათის) აუცილებლობას ქადაგებდნენ და მის კანონებს ცხოვრებაში

<sup>25</sup> იხ. გვ. 218, 1918 كويرىلى زاده محمد فواد، تورك ادبياتىندە ايلك متصوفلر، استانبول،

<sup>26</sup> Ibid, გვ. 229.

<sup>27</sup> И. Гольдциер, Лекций об исламе, 1912, стр. 127.

<sup>28</sup> К. Маркс, Ф. Энгельс, Сочинения, VII, стр. 377.

<sup>29</sup> Т. Вигкхардт, An Introduction to sufi doctrine, 1959, გვ. 4.

<sup>30</sup> И. Гольдциер, დასახ. ნაშრ., 155.

<sup>31</sup> იქვე, გვ. 155.

<sup>32</sup> იქვე, გვ. 153.

<sup>33</sup> იქვე.

ახორციელებდნენ, სატირის ობიექტად გამხდარიყვნენ. ასე შეიქმნა სამსაფეხურიანი კიბე: მქადაგებელი — ხოჯა — ულმა, რომელთა წინააღმდეგ შუა საუკუნეების სუფიზში საკმაოდ ძლიერი გალაშქრება მოჩანს.

მეორე მხრივ, საინტერესოა სუფიზმისა და ასკეტიზმის ურთიერთობა.

სუფიზში თავისი განვითარების დაწყებითს ეტაპზე უშეკველად მოიცავდა ასკეტიზმის ელემენტს<sup>34</sup>, რომელიც პრინციპული უნდა ყოფილიყო მისი მსოფლმხედველობის ქვაკუთხედისათვის — განდგომა ამა ქვეყნიდან<sup>35</sup>. მაგრამ სუფიზმის ევოლუციის შედეგად ასკეტიზმის ელემენტი ძალიან შემცირდა და იგი კარიკატურამდე დავიდა<sup>36</sup>. სუფიზმა თავის არსში არა თუ მინიმუმამდე დაიყვანა ასკეტიზმი, არამედ პრინციპში დაუპირისპირდა მას. ცხადია, სუფი პოეტები თავის მოწინააღმდეგე ასკეტებს ანუ ზაჰიდებს (ასე უწოდებენ მათ სუფიები) მწარე ირონიას მიუხადავებდნენ. სუფიურ ლიტერატურაში ეს ირონიული ნაკადი თვალნათლივ შეიმჩნევა. გარდა ამისა, სუფიზში ოდიოზანე იყო ტენდენცია გაეკილათ პირფერი მორწმუნე, რომელიც გარეგნულ ქმედებით გამოხატავს სიყვარულს ღმერთისადმი<sup>37</sup>. ამ ორ ოპოზიციურ ელემენტს მოგვიანებით დერვიშულ ლიტერატურაში მიემატა მესამეც — სუფი. სუფიზმიდან ნაბარტყმა „შეამბოხე“ დერვიშულმა პოეზიამ დაცინვის ობიექტად გაიხადა თვით სუფი, რომელიც წმინდანურ ცხოვრებას ეწევა. კვლავ შეიქმნა სამსაფეხურიანი კიბე: ფარისეველი — ზაჰიდი — სუფი. შემდგომში ეს სამი კომპონენტი ერთ დიაგონალზე განლაგდა და მოქმედების არეში თითქმის ერთი ცნების ეკვივალენტურ გაგებას გაუტოლდა. ბოლოსდაბოლოს მათი საქმიანობა კვლავ შარიათთან დამოკიდებულებით ფასდება.

ამრიგად, სუფიზმის განვითარების ევოლუციური ხაზი ნიადაგ მოიცავდა პოტენციაში ირონიულ სიცილს, მაგრამ მის ძლიერ ნაკადად ამოფრქვევას ხელს უშლიდა სუფიური მორალი და ეთიკა, რომელიც სამ ძირითად პუნქტს ითვალისწინებს: 1. სიღარიბესა და გაჭირვებასთან შეგუებას, 2. გულკეთილობას და მოწყალებას და 3. ყოველგვარი შეპასუხებისა და წინააღმდეგობის უკუგდებას<sup>38</sup>.

პირველი თურქი სუფიები, ჯელალ-ედ-დინ რუმი და სულთან ველედი იქნებამთ თუ იუნუს ემრე და აზიკ ფაშა, შეიძლება სუფიური მორალის ქურთუმებად ჩაითვალოს. მათს ნაწარმოებებს წითელ ხაზად გასდევს სუფიური მორალის ქადაგება. გარდა ამისა ყველანი, შარიათისადმი კომპრომისის გზას ადგანან. ამდენად, მათს შემოქმედებაში სატირა და იუმორი ნაკლებად მოსალოდნელია. მაგრამ კომიკურ-სატირული ელემენტები უკვე მათს ნაწარმოებებშიაც შეიმჩნევა.

ჯელალ-ედ-დინ რუმის მესწვევებში ეხედებით მრავალ იგავს, რომლებიც აშკარად კომიკურ-ცინიკურ ხასიათს ატარებს. აქ ჩამოვთვლით მხოლოდ რამდენიმეს: „ბაყალი და თუთიყუში, რომელმაც ერბო დაღვარა“<sup>39</sup>, „თუთიყუში

<sup>34</sup> И. Гольдциер, Ислам, СПб, 1911, стр. 26.

<sup>35</sup> ასეთი რამ მისტციზმისათვისაც დამახასიათებელია, მაგრამ სხვა სახით.

<sup>36</sup> И. Гольдциер, Ислам, გვ. 27.

<sup>37</sup> М. И. Занд, Шесть веков славы, М., 1964, стр. 175.

<sup>38</sup> جلال الدين الرومي، مثنوی منوی، سعی و اهتمام و تصیح رینولد لین

ob. გვ. 13, 1933 — 1952 نیکاسون، چاٹ پیروز.

და ვაჰარი<sup>40</sup>, „ყავზინელი და დალაქი“<sup>41</sup>, „ყრუმ ავადმყოფი მეზობელი მოინახულა“<sup>42</sup>, „ამბავი მუხთასიბისა და ლოთისა“<sup>43</sup>, „ოთხი ინდოელი მეჩეთში“<sup>44</sup>, „თურქი ოღუზები და ორი ტყვე“<sup>45</sup>, „ჭუხა და ბიჭი, რომელიც მამას დასტიროდა“<sup>46</sup>, „თავვი და აქლემი“<sup>47</sup> და სხვა.

მოთხრობილ ამბებში მკაფიოდ მოჩანს კომიკური ელემენტი. მსუბუქი იუმორი სადა ფერებში იღვრება, მაგრამ თვით პოეტის მრწამსი ვინმეს გასაკიცხად როდია გამიზნული. ჯელალ-ედ-დინ რუმი ამ იგავეებს იმიტომ მიმართავს, რომ მკითხველი ან მსმენელი გაიტაცოს, მონიბლოს და შემდეგ თავისი სუფიური შეგონება შეაპაროს. ეს ჩვეულებრივ დამახასიათებელი იყო ყველა სუფი მწერლისათვის<sup>48</sup>. თუმცა ჯელალ-ედ-დინ რუმისთან ეს პატარა ჰექაეტები იმდენად რეალისტური ხასიათისაა, რომ ზოგჯერ მათი სუფიური აზრის სიმბოლურად გადმოცემის დანიშნულება ავიწყდება მკითხველს<sup>49</sup>. მაგრამ თვით პოეტი ამის შესახებ არასოდეს იგიწყებს და არაერთხელ იმეორებს, რომ ამ ჰექაეტების დანიშნულებაა არა სიცილი, არამედ დიდაქტიკა<sup>50</sup>. მართლაც, ყველა ჰექაეტის დასასრულს მწერალი სუფიურ სენტენციას გვაწვდის<sup>51</sup>. მაგრამ დიდ მოაზროვნე პოეტს კარგად ესმოდა სიცილის პოპულარობა, ამიტომაც თავისი იდეების საილუსტრაციოდ მას ხშირად მიმართავდა. სულ სხვა საკითხია, თუ როგორ აღიქვამდა და გაიაზრებდა ხალხი ამ ჰექაეტებს, მაგრამ ამჟერად ჩვენ გვინტერესებს მწერლის სიცილის მიზანდასახულობა და არა მისი კონკრეტული აღქმა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველი სუფი პოეტები მორალისტები იყვნენ. აჰმედ იესევის დივანი სავსეა სუფიური მორალის ქადაგებით. პოეტი არ ეწინააღმდეგება შარიათის კანონებს, პირუტყვ, იგი ღორს უწოდებს იმ კაცს, ვინც ნამახს არ ასრულებს<sup>52</sup>. ის ასკეტური ცხოვრების მომხრე იყო და მოხუცობის უამს ასკეტად აღიკვეცა<sup>53</sup>. თუმცა არც იფუნს ემრე არის შარიათისადმი ოპოზიციურად განწყობილი. ის ქადაგებს შარიათის უმნიშვნელო დეტალების დაცვას, რადგან, მისი აზრით, შარიათი არის თარიქათის ფუნდამენტი<sup>54</sup>. მაგრამ პოეტი, გაივლის რა თავისი სრულყოფის პირველ საფეხურს (ე. ი. შარიათს) და აღწევს მეორე საფეხურს (ე. ი. თარიქათს), ამბობს, რომ შარიათის ხალხს არ შესწევს უნარი ამადლდეს სიყვარულის არსის გაგებამდე. მისი რწმენით, სიყვარულის ხალხი უაფთესოდ და უნამაზოდ მიაღწევს მეგობრობის მიპარბს<sup>55</sup>.

<sup>40</sup> Ibid, გვ. 76.

<sup>41</sup> Ibid, გვ. 147.

<sup>42</sup> Ibid, გვ. 166.

<sup>43</sup> Ibid, გვ. 312.

<sup>44</sup> Ibid, გვ. 343.

<sup>45</sup> Ibid, გვ. 344.

<sup>46</sup> Ibid, გვ. 347.

<sup>47</sup> Ibid, გვ. 346.

<sup>48</sup> E. Berthels, Grundlinien der Entwicklungs-Geschichte des Sufischen Lehrgedichts in Persien, Islamica, vol. III, Fase., Apr. MCM XVII, გვ. 18.

<sup>49</sup> Ibid, გვ. 27.

<sup>50</sup> И. Брагинский, Из истории таджикской поэзии, М., 1956, стр. 319, 346, 394. 397.

<sup>51</sup> გვ. 76-94, جلال الدين الرومي، مثنوی معنوی

<sup>52</sup> كوپرلى زاده محمد فواد، داستان، ნაშრ., გვ. 351.

<sup>53</sup> Ibid, გვ. 85.

<sup>54</sup> Ibid, გვ. 235.

<sup>55</sup> Ibid, გვ. 349.

მართალია, განვითარების გარკვეულ საფეხურზე<sup>56</sup> იუნუს ემრე უპირისპირდება შარიათს და მის დამცველებს, მაგრამ აქ გვაქვს მხოლოდ დაპირისპირება და არავითარ შემთხვევაში შარიათის წინააღმდეგ გალაშქრება. გარდა ამისა, აოტეჩ ზოგიერთ ლექსში ალეგორიული ენით ოღანე შესამჩნევი ირონიით ცილავს გაამპარტავებულ ადამიანს<sup>57</sup>. ზოგჯერ კი პირდაპირ ხმას იმალდებს ამქვეყნიურ უსამართლობაზე და ცრემლნარევი სიცილით ამზეურებს გათავხედებულ ბეგების ძაღომორებას<sup>58</sup>.

მაგრამ ეს „გადახვევები“ იუნუს ემრეს პოეზიაში ეპიზოდური ხასიათისაა. მისი შემოქმედება ძირითადად შარიათის ფარგლებს არ სცილდება.

სატირის თვალსაზრისით არც აშუკ ფაშა წასულა იუნუს ემრეზე შორს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ფაქტს, რომ აშუკ ფაშა თავისი წინამორბედი სულეი პოეტების საპირისპიროდ სამოცდათორმეტ მილეთს ტოლფარდოვანი ღირსებით აღარ უტყეირს, ის ყველაზე მაღლა აყენებს მუსლიმანებს, ხოლო ქრისტიანულ რელიგიას გადაკრული სიტყვებით ასვენებს.

პირველი თურქი სუფიების ქმნილებებში იშვიათად თუ გვხვით თვალში სატირის ელემენტები, მაგრამ ის ბზარი, რომელიც ოდითგანვე არსებობდა სუფიზმსა და ოფიციალურ რელიგიას შორის, მათს შემოქმედებაშიც აირეკლა. აქ უკვე იკვეთება მემამოხე რახანდის სახე, რომელიც შემდეგ თავის მწვევე ირონიულ სიცილს რელიგიის მსახურთ და, განსაკუთრებით, ფარისეველ ზაპიდებს უსადაგებს.

სუფიზმისა და აგრეთვე მისი ევოლუციის შედეგად განვითარებულ სხვადასხვა დერვიშთა ორდენების იდეოლოგიაში შარიათისადმი ოპოზიციური განწყობილება თვალნათლივ წარმოჩინდება კონკრეტულ-ისტორიულ ვითარებაში, როცა საზოგადოებრივი ურთიერთობანი უაღრესად მწვეავდება<sup>59</sup>.

XV საუკუნის დასაწყისი თურქეთისათვის მეტად მძიმე ხანა იყო. თემურ-ლენგის მიერ მიყენებული ჭრილობები ქვეყანამ დიდხანს ვერ მოიშუშა. ოსმალების სახელმწიფო დაიშალა. გამოიფიტა ქვეყნის ეკონომიური რესურსები, დაიწყო მწვევე სოციალ-ეკონომიური კრიზისი. იფეთქა საკმაოდ დიდმა და მნიშვნელოვანმა აჯანყებამ, რომელსაც მეთაურობდნენ შეიხი ბედრედინი და მისი მოწაფეები — ბერკლუჯე მუსტაფა და თორლაკ ქემალი. აჯანყებამ მოიცვა დასავლეთ ანატოლიის უმეტესი ნაწილი<sup>60</sup>.

როგორც შუა საუკუნეების ყველა ანტიფეოდალური მოძრაობა, ეს აჯანყებაც რელიგიურ საბურველში იყო გახვეული. ბედრედინის ფილოსოფიურ-რელიგიური მსოფლმხედველობის ქვაკუთხედს პანთეისტური იდეები წარმოადგენდა. მისი აზრით, ყველა არსებულისათვის, მიუხედავად მათი მრავალსახეო-

<sup>56</sup> სრულყოფის მეორე საფეხურზე ნამაზის არ მიღება ჩვეულებრივი რამ არის სუფისტებისათვის, (ნახ. П. Позднев, დასახ. ნაშრ., გვ. 118—119).

<sup>57</sup> P. W. Boratav, H. V. Tiratlı, İzahlı halkşiiir antolojisi, Ankara, 1943, გვ. 31-32.

<sup>58</sup> M. Bağöz, Türk Halk Edebiyatı Antolojisi, İstanbul, 1956, გვ. 131.

<sup>59</sup> აქვე უნდა დავძინოთ, რომ სუფიზმი თავისი სრულყოფის ერთსა და იმავე ეტაპზე მრავალგანსტოვებლად ვითარდება და მრავალ ასპექტში ავლენს თავის თავს: თუ ერთი გარკვეული ჭრუფის მსოფლმხედველობა საესეებით არ ეწინააღმდეგება ოფიციალური რელიგიის კანონებს, მეორე ოპოზიციის უღდას მას.

<sup>60</sup> А. Д. Новичев, Крестьянское восстание в Турции в начале XV века, Проблемы Востоковедения, 1960, III, стр. 69.

ბისა, ამოსავალი არის ერთი სუბსტანცია — ღმერთი<sup>61</sup>. გარდა ამისა, იგი ცნობდა პიროვნულ თავისუფლებას, აღიარებდა მუსლიმანებისა და არამუსლიმანების ტოლუფლებიანობას, მოითხოვდა ადამიანთა თანასწორობას და ყოველგვარი საკუთრების გაერთიანებას<sup>62</sup>.

ბედრედინის სუფიურ მსოფლმხედველობაზე გარკვეული გავლენა უნდა მოეხდინა შიიტურ და, განსაკუთრებით, უკიდურესი შიიტების — ჰურუფების იდეებს<sup>63</sup>.

აჯანყებულებმა რამდენჯერმე აგემეს დამარცხება ფეოდალთა ლაშქარს, რომელიც მცირე აზიის დასავლეთ მხარეში შეიკრიბა. მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ (1416 წ.) სულთანის ჯარებმა სასტიკად ჩაახშეს ეს აჯანყება<sup>64</sup>.

ასეთ მიმე ვითარებაში მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა თურქულენოვანი ლიტერატურის ორ დიდ პოეტს — ნესიმის, რომელსაც სწორედ პანთეისტური იდეების ქადაგების გამო ცოცხლად გააძრეს ტყავი, და შეიხის, რომლის შემოქმედებაშიაც თავისებურად აირეკლა იმდროინდელი თურქეთის ეპოქალური მაჯისცემა.

ნესიმი აზერბაიჯანულ ენაზე წერდა და აზერბაიჯანულ ლიტერატურას განეკუთვნება, მაგრამ მან ისეთი მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თურქული ლიტერატურის შემდგომ განვითარებაში, რომ მისი ამოკვეთა თურქული ლიტერატურის სამყაროდან თითქმის შეუძლებელია<sup>65</sup>. პოეტი ჰურუფთა მიმდინარეობას ეკუთვნოდა და ამ მიმდინარეობის დამაარსებლის — ფაზლულ ლაჰის მურიდი იყო<sup>66</sup>.

ნესიმის მსოფლმხედველობა და პოეტური კრედიო მთლიანად ჰურუფების იდეოლოგიითა და სუფიური იდეებით იკვებება. ამჯერად ჩვენ დაწვრილებით გერ განვიხილავთ ჰურუფთა დოქტრინებს<sup>67</sup>. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ეს იყო უკიდურესი შიიტური მიმდინარეობა, რომელმაც მწვავე ბრძოლა გამოუცხადა შარიათს. ჰურუფები პანთეისტურ იდეებს ქადაგებდნენ, მათ ყოველივე არსებულში ღმერთი გაასხეულეს: ყოველი სულიერი არსება თუ უსუსლო საგანი თავის თავში მომცველია აბსოლუტური ჭეშმარიტებისა და პირუტყუ... ნესიმი თითქმის ყოველ თავის ლექსში პანთეისტურ იდეებს გვაწვდის.

პოეტი უარყოფს ყოველგვარ რელიგიურ რიტუალს და შარიათის მიერ დაწესებულ ადათ-წესებს. იგი მწარე ირონიით ღერდავს:

تسبیحله طاعتك بازاری کساد او لدی  
 دکانی بیق آنک کوی ابله خر ابندن

(ალაჰზე ლოცვის უაზრო სიტყვების ბაზარი ქესატი განხდა, მისი ღუქანი დაანგრიე და მისი ნანგრევებიდან ვადასახლი)<sup>68</sup>,

<sup>61</sup> იქვე, გვ. 71.

<sup>62</sup> იქვე, გვ. 71—72.

<sup>63</sup> Г. И. Ибрагимов, Крестьянские восстания в Турции в XIV—XV вв., Византийский Временник, 1957, VII, стр. 137.

<sup>64</sup> А. Д. Новичев, დასახ. ნაშრ., გვ. 79.

<sup>65</sup> A. Gölpınarlı, Nesimi-Usulî-Ruhi, გვ. 4.

<sup>66</sup> E. Gibb, A History of ottoman Poetry, vol, I, გვ. 225.

<sup>67</sup> ამის შესახებ იხ. ე. ჯაველიძე, რუჰი ბაღდადი (ცხოვრება, მსოფლმხედველობა, ლირიკა), თბ., 1968, გვ. 48—58.

<sup>68</sup> იხ. გვ. 135, 1926, سلمان ممتاز، سيد عماد الدين نسیمی، ساکو

როგორც ყველა პურფუდ პოეტს, ნესიმისაც სწამს, რომ ღმერთმა ქვეყნიერების შექმნას მიზეზად სიყვარული დაუდო. გარდა ამისა, პოეტი ერთადერთ რეალობას — ღმერთს, სადაც ირეალურ სამყაროში კი არ წარმოიდგენს, არამედ მიწიერი, სულიერი თუ უსულო საგნების ყველა ნაწილაკში ეძებს და შეიცნობს. ამდენად, პოეტის ჭეშმარიტების შემეცნების გზა ამქვეყნიური ცხოვრების რეალური იფარგლება და ამ შემეცნების მამოძრავებელ ძალად ჭეშმარიტი სიყვარულია მოაზრებული. ამიტომ პოეტისათვის უცხოა განდგომა ამა ქვეყნიდან; ის ყოველდღიური ამქვეყნიურობით ცხოვრობს — რადგან სიყვარულით დაებადებულვარ ამ ქვეყნად, არ დაეტოვებ მას<sup>69</sup>, — აცხადებს იგი და სარკასტული ღიმილით დასძენს:

خالت اربعينه كيمسه ايرشمدى حقه

زهدي و صلاحه ميل ايدن فكر محاله دوشمسون

(ორმოცდღიანი განდგომით არავის მიუღწევია ჭეშმარიტებისათვის, ასკეტობის და განდგომის მოსურნე შეცდომაში არ შეივდეს),<sup>70</sup>

ნესიმი პირდაპირ აცხადებს ღმერთს მშვენიერების თვალსაზრისით მისი სატრფოს დარი ქმნილება არ შეუქმნია, რომ მისი რწმენა მისი სატრფოს სახეა, ხოლო სალოცავი მეჩეთი — სატრფოს კარიბჭეა. მისთვის, შეყვარებულისათვის, ისლამი და ურჯულოება ერთი და იგივეა. ჭეშმარიტი სიყვარულის მაძიებელი პოეტი დაუნდობლად ილაშქრებს რელიგიის მსახურთა წინააღმდეგ, რომლებიც უარყოფენ სიმშვენიერის აღქმისა და ნამდვილი სიყვარულის განცდის სინატიფეს:

ای عشقه عدو و حسنه منکر  
 تروريله چکمه بونجه آهي  
 کر نعمت (جاودان) ديلرسن  
 حيو انرله قوی بو آپ و کاهی  
 ای عشقه کنه دين کنهکار  
 ترک ايلزم بن اول کنهای

(ეი, სიყვარულის მტერო და მშვენიერების უარმყოფელო, მაცდურობით ნუ ეწევი ამდენ ოხერას, თუ ესტრის მარადისობის მოწყალება მოიპოვო, ცხოველებს დაუდგი ეგ წყალი და თევზი, ეი, სიყვარულს ცოდვას რომ უწოდებ, შე ცოდვილო, არ მივატოვებ მე ამ ცოდვას)<sup>71</sup>.

ნესიმის მთელ შემოქმედებას წითელ ზოლად გასდევს ასკეტოზმის წინააღმდეგ ბრძოლა. ის განსაკუთრებული მცდელობით კილავს ზაპიდებს და იმ სუფიებს, რომლებიც უარყოფენ ყველაფერს და ყოველივეს ამქვეყნიურს, და სურთ ლოცვითა და მარხვით მიადწიონ უკვდავებას და იმქვეყნიურ სამოთხეს<sup>72</sup>. ნესიმი, ჩვენი აზრით, თურქულ ლიტერატურაში ერთ-ერთი იმ პოეტთაგანია, რომელთაც შარიათის კანონების დიამეტრალურად საწინააღმდეგო აზრები გა-

<sup>69</sup> Ibid, გვ. 19.

<sup>70</sup> იქვე.

<sup>71</sup> Ibid, გვ. 30.

<sup>72</sup> Ibid, იხ. მაგ., გვ. 19, 131, 166 და სხვ.

მოთქეეს. მან ზომიერი ირონიით გაყენებითი სტროფები მიუსადაგა ყველა „განდგომილს“.

იმდროინდელი უკულმართი საზოგადოებრივი ყოფა ხშირად აფიქრებდა მორწმუნე პოეტს, იგი ცრემლნარევი სიცილით მოგვეთხრობს თავის გარემოზე, სადაც მან ვერ ნახა ვერცერთი მართალი გულის ადამიანი, რომელიც ჭეშმარიტ სიტყვას ეტყვის მას; ვერ შეხვდა მორწმუნე ადამიანს, რომელიც წმინდა სიყვარულით არის შეპყრობილი და გული ბოროტებით არ აქვს ადგსილი<sup>73</sup>. ამიტომაც პოეტს ჭკვეყნის ხალხი მორიელებად და გველებად ეჩვენება. იგი ზიზღნარევი სარკაზმით გვისუხრათებს იმდროინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებას:

عقرب اولدى عالمك خلقى و مار  
 قنه ياسلدى على قوم الشرار  
 قنده وار بر ارى باطن طو غرى يار  
 قانى انصاف و مروت كيمده وار

(ჭკვეყნის ხალხი მორიელებად და გველებად იქცა,  
 შფოთავს გაბოროტებული ხალხი,  
 სად არის ერთი შინაგანად წმინდა, მართალი მეგობარი,  
 სად არის სამართლიანობა და მოწყალება ვისა აქვს)<sup>74</sup>.

ნესიმის ზოგჯერ გულწრფელი და ზოგჯერ სარკასტული სიცილით გაყენებითი ლექსები ფართო საზოგადოებაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ხალხი ღრმად გრძნობდა მისი გამჭვირვალე ენით დაწერილი ლექსების ჯანსაღ ირონიას და მას ხოჯა ნასრედინს ადარებდა<sup>75</sup>. მაგრამ აქვე უნდა დავსძინოთ, რომ როცა პოეტი ილაშქრებს რელიგიის ოფიციალური კანონების წინააღმდეგ და საერთოდ უდიერად და ცინიკურად იხსენიებს მუსლიმურ სარწმუნოებას, ასევეტებსა თუ შაჰიდებს, ის ამოდის ჰურუფთა იდეოლოგიის ქვაკუთხედებიდან, რომელიც აპირობებს თვით ჩვენი პოეტის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას და პოეტურ მრწამსსაც. ამიტომ ჩვენ არამართებულად მიგვაჩნია ზოგიერთი მკვლევრის აზრი, რომ თითქოს ნესიმის შემოქმედებაში ცალკე, ჰურუფთა მსოფლშეგრძნებისაგან მოწყვეტით, დამუშავებული იყოს ანტიფეოდალური მოტივები და სოციალური პრობლემები<sup>76</sup>. თავისთავად კი, როცა ნესიმი ჰურუფიზმის პლატფორმიდან ილაშქრებს შარიათის წინააღმდეგ, ამავე დროს ეს ნიშნავს არსებული წყობის წინააღმდეგ ხმის ამაღლებასა და პოეტის პიროვნულ ჯანყსაც. პოეტის გალაშქრება ოფიციალური რელიგიის წინააღმდეგ მაშინ სოციალურ-პოლიტიკურ ასპექტში ტყდებოდა<sup>77</sup>.

სინან შეიხი გერმიანელიც, რომელსაც პოეტთა შეიხსაც (شيخ الشعراء) უწოდებდნენ, სუფიზმს ზიარებული მწერალი იყო<sup>78</sup>. სუფიზმმა, რომელიც იმ დროისათვის თურქეთში პროგრესულ მიმდინარეობად რჩებოდა, მისი მსოფლ-

<sup>73</sup> Азербайжан әдәбијјаты тарихи, ч. I, Бақы, 1960, გვ. 27, 276.

<sup>74</sup> გვ. 209. سيد عماد الدين نسیمی

<sup>75</sup> В. А. Гордлевский, Ходжа Насреддин, гв. 344.

<sup>76</sup> Азербайжан әдәбијјаты тарихи, I, гв. 278

<sup>77</sup> К. Маркс, Ф. Энгельс, Сочинения, т. VII, гв. 360—361.

<sup>78</sup> об. гв. 215. 1314. قسطنطينى لطيفى، تذکره لطيفى، دار سعادت.

მხედველობის ფორმირებაზე დიდი გავლენა მოახდინა<sup>79</sup>. მაგრამ შეიხი უფრო საზოგადოებრივი ცხოვრების ყოფითობით იყო დაინტერესებული, ვიდრე რელიგიის სადავო საკითხების გადაჭრით.

სამწუხაროდ, მისი ცხოვრების შესახებ ძნელია რაიმე გარკვეული წარმოდგენის შექმნა, თუმცა პოეტი შუა საუკუნეების თურქეთში დიდი პოპულარობით სარგებლობდა და მის შესახებ თითქმის ყველა თეზქერეში მოიხსენიება ცნობები<sup>80</sup>. მაგრამ თეზქერეების ავტორთაგან არცერთი არ იყო შეიხის თანამედროვე, ამიტომ მათი ცნობები ბუნდოვანია და არასწორი. მართალია, ჰამერი<sup>81</sup> და გიბი<sup>82</sup> სხვადასხვა წყაროების შერწყმით გვაძლევენ გარკვეულ სურათს მწერლის ცხოვრების შესახებ, მაგრამ ეს მეტად საეჭვო და სათუო უნდა იყოს. როგორც დენი ფიქრობს, აქ საქმე გვაქვს ორი პოეტის ბიოგრაფიულ ცნობათა აღრევასთან<sup>83</sup>.

ამჟამად ჩვენ არ შევუძლებით მწერლის ბიოგრაფიის ახლებურად გამოქვეყნებას, შევვებებით მხოლოდ იმ ცხოვრებისეულ ფაქტს, რომელმაც განაპირობა ჩვენთვის საინტერესო მესწვევის დაწერა.

სპარსეთიდან, სადაც განათლების მისაღებად იყო წასული, დაბრუნებულმა პოეტმა სახელი მოიხვეჭა პოეზიისა და მედიცინის დარგებში<sup>84</sup>. განათლებულმა სულთანმა მურად II-მ განიზრახა ნიჭიერი პოეტის დაახლოება და დაავალა მას ნიზამის „ხუთულის“ თარგმნა. პოეტმა მალე წარუდგინა სულთანს „ხოსროვუ-შირინის“ თავისუფალი თარგმანი, რომელიც უფრო ნაზირედ უნდა ჩაითვალოს. სულთანს ძალზე მოეწონა პოეტის ეს ნახელავი და მას პატარა თიმარი დოქტულარი აჩუქა<sup>85</sup>. მაშინ ამ სოფლის ყოფილი მებატონეები თავს დაესხნენ შეიხის, დაუხოცეს ხალხი, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და ყველაფერი წაართვეს, რაც კი ებოდა. ამ მიზეზით დაწერა პოეტმა თავისი პატარა მესწვევი „خز“<sup>86</sup>, რომელიც პირველი სატირული ნაწარმოებია თურქულ ლიტერატურაში და დაწერილია ლექსის ზომით — ჰაფიფი. ( — — — | — — — | — — — .

შეიხის ლირიკულ პოეზიაშიც ძალუმაღლად არის დამუშავებული რინდობის თემა. პოეტი არაშედათად ცინიზმით შეფერილი ირონიით კილავს სუფიებს, ზაჰიდებსა და ასკეტურ ცხოვრებას. ზაჰიდებისა და სუფიების წინააღმდეგ გალაშქრება საყვარელ თემად იქცა დივანის პოეტებისათვის. შემდგომ ეს თემა ფართოდ დამუშავდა და რინდულ-ზაჰიდურ საზოგადოებრივ ინსტიტუტად ჩამოყალიბდა. მაგრამ ჩვენ ამჟამად უფრო სხვა მხარე გვაინტერესებს შეიხის შემოქმედებაში. პოეტს ნიადაგ აწუხებდა და აღლევებდა საზოგადოებრივი ცხოვრების სტრუქტურა, ცხოვრების რაობის არსი, ერთ-ერთ ბეითში იგი ამბობს:

<sup>79</sup> F. K. Timurtaş, Seyhî nin Husrev u Şirin i, Istanbul, 1963, გვ. XXII.

<sup>80</sup> F. K. Timurtaş, Seyhî nin şöhreti ve tesiri, TDED, Istanbul, 1958 c. VIII, გვ. 84.

<sup>81</sup> J. Hammer, Geschichte der Osmanischen Dichtkunst, B. I, გვ. 104.

<sup>82</sup> E. Gibb, A history of ottoman poetry, vol. I, გვ. 299.

<sup>83</sup> Enziclopaedie des Islam, B. V, გვ. 301—303.

<sup>84</sup> F. K. Timurtaş, Seyhî nin Husrev u Şirini, გვ. XIX—XXII.

<sup>85</sup> ზოგიერთი მკვლევარის ცნობით ეს თიმარი მურად II — მ პოეტს აჩუქა არა მისი პოეტური ქმნილებისთვის, არამედ ექიმბაშობისთვის (ნახ. მაგ., A. Gölpınarlı, Divan Siiri (XV—XVI, yüzyıllar), გვ. 12.

<sup>86</sup> F. K. Timurtaş, Harname, TDED, III, 1949, გვ. 370—387.

عجبا بو دور ایچنده نیچون صفایلمز  
ستم و حفا چوغندان کرم و وفا بلرمز<sup>87</sup>

(ნეტავი, ამ დროებაში რად არ ჩანს მხიარულება?)

დესპოტიზმის და ჩაგვრის მომრავლებისაგან მოწყალეობა და ერთგულება არა ჩანს,)

სწორედ ამ „ტანჯვისა და დესპოტიზმის მომრავლება“ იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ პოეტმა შექმნა მშვენიერი სატირული ნაწარმოები „ხარნამე“, რომელშიც მკაფიოდ გამოიხატურდა მისი მსოფლმხედველობა და შეხედულება სამყაროზე.

თურქულ კრიტიკაში ამ ნაწარმოების შესახებ გარკვეული ჩამოყალიბებული აზრი არ არსებობს. ზოგი მას იუმორისტულ ნაწარმოებად მიიჩნევს<sup>88</sup>, ზოგი კი — სატირულად<sup>89</sup>. გარდა ამისა, ძველი თურქული ლიტერატურის ისეთი კარგი მცოდნე, როგორც არის აბდულ ბაკი გოლფინარლი, კატეგორიულად აცხადებს, რომ ეს ნაწარმოები ორიგინალური არააო. იგი წერს: „ხარნამე“, რომელიც თურქულ დივანის ლიტერატურაში პირველ იუმორისტულ ნიმუშად ითვლება, ორიგინალური არ არის“<sup>90</sup>. და ამის მიზეზად მკვლევარს მიაჩნია ის ფაქტი, რომ იგავი, რომელიც ფაბულად უდევს ამ ნაწარმოებს, გვხვდება სპარსელი პოეტის ემირ ჰუსეინის (გარდ. 1317 წ.) წიგნში „Zâdal Müsafirîn“ (სავგალი). გოლფინარლის აზრით, არაბულ ანდაზაზე<sup>91</sup> დაყრდნობით, ემირ ჰუსეინმა სპარსულად დაწერა ეს იგავი, ხოლო შემდეგ მისგან შეიხიმ ისესხა თავისი ნაწარმოების ფაბულისათვის<sup>92</sup>.

ფეიქრობთ, გოლფინარლის ეს კატეგორიული განცხადება მტკიცებასა და საფუძველს სავსებით მოკლებულია. ჯერ ერთი, ასე ხელაღებით არ შეიძლება ითქვას, რომ ემირ ჰუსეინმა მხოლოდ არაბული ანდაზის საფუძველზე შექმნა იგავი. უფრო სარწმუნოა, რომ ემირ ჰუსეინმა არაბული ფოლკლორიდან ისესხა უკვე მზა იგავი. ჩვენ რომ ახლა იმის მტკიცებას შევუდგეთ, ანდაზის საფუძველზე შეიქმნა იგავი, თუ იგავის საფუძველზე — ანდაზა, წყლის ნაყვა გამოგვივა. ისე კი — უფრო უკანასკნელი ვარიანტია სარწმუნო. მეორეც, არც იმის თქმა შეიძლება კატეგორიულად, რომ ემირ ჰუსეინს, რომელიც ნაკლებად იყო ცნობილი თვით სპარსეთშიც, დაესესხა შეიხი ამ იგავს<sup>93</sup>. სავსებით ადვილი შესაძლებელია, რომ ეს მოარული ხასიათის იგავი ფართოდ იყო გავრცელებული როგორც არაბულ და სპარსულ ფოლკლორში<sup>94</sup>, ასევე თურქულ ზეპირსიტყვიერებაშიც და სწორედ ამ უკანასკნელს უნდა ეყრდნობოდეს ჩვენი მწერალიც.

<sup>87</sup> აქ და შემდგომ დატულია გამოცემის ორთოგრაფია: იხ. გვ. 131, 1942,

ديوان شيخی، استانبول.

<sup>88</sup> A. S. Levend, Edebiyat Tarihi Dersleri Tanzimata kadar, Istanbul, 1943, გვ. 93; A. Gölpınarlı, Divan Şiiri, გვ. 13.

<sup>89</sup> Sadettin Nüzhet, Türk Edebiyatı Tarihi, გვ. 132—134.

<sup>90</sup> A. Gölpınarlı, Divan Şiiri, გვ. 13.

<sup>91</sup> ეს ანდაზა დაახლოებით ასე ედერს: ვირს რქები უნდოდა და ყურებიც დაყარა,

<sup>92</sup> A. Gölpınarlı, დასახ. ნაშრ., გვ. 13.

<sup>93</sup> ალესიო ბომბაჯიცი აღნიშნავს, რომ ნაწარმოების ფაბულა სპარსულ ლატერატურაში (დამუშავებული იყო. იხ. Alessio Bombaci, Storia Della Letteratura Turca, გვ. 302,

<sup>94</sup> მისი ვარიანტი გვხვდება სირიულ ფოლკლორში და ადვილად შესაძლებელია, რომ იგი სწორედ სირიული წარმოშობის იყოს. იხ. მ. თ. დ. უ. ა., «ქეილა და დამანას» საბასეული ვერსია, თბ., 1967, გვ. 312—313.

დაბოლოს, თუნდაც გოლფინარლის ზემომოტიანილი მოსაზრება ნაწარმოების ფაბულის შესახებ მართებული იყოს, განა ის უფლებას გვაძლევს, ვილაპარაკოთ ამ ნაწარმოების არაორიგინალურობაზე? რა თქმა უნდა, არა! როგორც ამ ნაწარმოების ანალიზიდანაც დავინახავთ, შეიხ სინანიმ ეს იგავი სავსებით ახლებურად გადაამუშავა, თავისი ემოციური სული შთაბერა და ორიგინალურ ასპექტში გადატეხა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ სატირული ნაწარმოების დაწერას საფუძვლად დასდებია მწერლის პირადი ფათერაკი. მაგრამ ეს შემთხვევა, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, საბაბი გამხდარა იმისა, რომ პოეტს ნატიფი იუმორით აღეწერა თავისი თანამედროვე თურქეთის ცხოვრების სინამდვილე.

მწერალს ლაკონიური, მაგრამ თავისი დროისათვის საკმაოდ არქაული ენით შევყავართ ცხოველთა სამყაროში. აქ იგი ეზოპეს ენით გადმოგვცემს იმ ალტანელ ატმოსფეროს, რომელშიაც უხდებოდა ცხოვრება როგორც თვითონ მას, ასევე მის თანამედროვეებს. იგი სიმბოლურად ხატავს გაძვალტყავებულ, დღე-ღამე მომუშავე ვირის სახეს:

بر اشك وار ایدی ضعیف و نزار  
 بك النندن قتی شكسته و زار  
 كاه اودوندنه كاه صوده ایدی  
 دن و كن قهرله قصوده ایدی

(ერთი ვირი იყო, სუსტი და გამხდარი,  
 ტვირთისაგან მაგრად დამტვრეული და მტირალი,  
 ხან შეშის ზიდვაში იყო და ხან წყლის თრევაში,  
 დღე-ღამე მწუხარებასა და გვემაში მყოფი). <sup>95</sup>

მუქ ფერებსა და მკვეთრ სარკასტულ ტონებში გადმოგვცემს შეიხი თავის გატანჯულ ყოფას. პოეტი წვრილი მესაკუთრის მსოფლმხედველობის გამომხატველია. წარმოდგენილი სურათიც, სწორედ ამ ფენისა თუ წრის სავალალო მდგომარეობას ასახავს.

ერთ დღეს პატრონმა როგორღაც შეიბრალა ეს ჯავახი ვირი და გაუშვა საბალახოდ. გზად მას შეეყარა ხარები, რომლებიც ამაყად მონაჯარობდნენ:

كوردی او تلقده یورور او كز لر  
 اودلو كز لر ی كز لر كو كوز لر  
 سمیریب ایله یر لر او تلاغی  
 كه قطن چكیچك طامار یاغی  
 بو ینوزی بعضیسنك ای بکی  
 كمنك حلقه حلقه یای بکی  
 یكزشب جون ورر لر آواز ه  
 ینقولانردی طاغ و درواز ه

(ნახა, რომ საბალახოზე დადიან ხარები,  
 ცეცხლოვანი თვალებით და წინ წამოგდებული მკერდით,  
 ისეთ საბალახოზე ძოვდნენ,  
 რომ რაც ბეწვს ამოგლეჯდით, ძარღვის ქონი (იღვრებოდა).)

ზოგიერთის რქები მთვარის მსგავსია,  
 ზოგის კი მშვილდივით მოგარეხილია,  
 როცა შეიკრიბებოდნენ და დაცემდნენ აეზს,  
 თაღნი, დარბაზნი ექოს გამოსცემდნენ<sup>96</sup>.

ასეთად წარმოგვიდგენს შეიხი თავის მოწინააღმდეგეებს, აღზევებულ და გა-  
 თავებდებულ სიფაჰიებს და ბეგლარბეგებს, რომლებიც არ ემორჩილებოდნენ  
 სულთნის ბრძანებას და ყოველგვარ უმსავსეობას სჩადიოდნენ.

შეიხი შეფერილ იუმორში, მაგრამ მაინც მკვეთრი კონტურებით გვიხატავს  
 ვირისა და ხარების ცხოვრების განსხვავებულ სურათს. ცხადია, ამით მას სურს  
 ხაზი გაუსვას იმ ქონებრივ და სოციალურ დიფერენციაციას, რაც თვალნათლივ  
 შეიმჩნეოდა იმდროინდელ თურქეთში და რაც, პოეტის აზრით, იყო ყოველგვა-  
 რი უსამართლობის ძირითადი მიზეზი.

დაჩაჩანაკებული ვირის გონებას არ ძალუძს გაარკვიოს ამ უკუღმართობის  
 მიზეზი. ამიტომ იგი მიმართავს უფრო გამოცდილ და გახედნილ ვირს, რომელ-  
 მაც შეიხის სიბრძნესაც კი მიაღწია. სინანიმ მოხერხებულად შემოიყვანა ნა-  
 წარმოებში სასულიერო პირიც. იგი ბებერი ვირის დახასიათებით, შეუდარებ-  
 ელი უშუალობით ძერწავს მუსლიმანთა წინამძღვრის, შეიხის სახეს:

وار دی بر اشك فراستلو  
 هم او لو يوللو هم كياستلو  
 چوق كجرمش زمانه دن جاغلر  
 يكلر التنده سيزوب ياغلر  
 نوخ يغامبرك كميسنه اول  
 قير و غيلر ايلسه ورمش يول

(იყო ერთი წინადახედული ვირი,  
 თან დიდი გზაგაეილი, თან გამჭირიხი,  
 ბევრი ყაში და დრო განვლო,  
 ტვირთის ქვეშ სდიოდა ქონი,  
 ნოე წინასწარმეტყველის კიდობანში  
 მან თავისი კუღით ეშმაკს მისცა გზა<sup>97</sup>.)

აი, ამ მორწმუნეთა წინამძღვართან მიდის დაჩაგრული ვირი და სთხოვს  
 გააგებინოს, თუ რად არის ასე უსამართლო ეს ქვეყანა. არ არის, რომ ზოგიერთს  
 სულთნის გვირგვინი აღდას თავზე, ზოგისთვის კი ცაზე ვარსკვლავიც არ ანა-  
 თებს. რატომ არის, რომ ვირი ყველა ხარზე ჯაბანი და უარესია. ალბათ, იმიტომ,  
 ფიქრობს იგი, რომ ის თავიდანვე მიეჩვია ტვირთის ზიდვას:

خرا کر خوار و بی تمیز اولدی  
 خون که یک درتر اول عزیز اولدی  
 بار ککداده جون بزز لایق  
 بویزه نیحون اولمدق لایق

(ვირი თუ მდაბალი და უსუფთოა გახდა,  
 რადგანაც ის ტვირთის ზიდვაში ვარგისია,  
 თუ ტვირთის ზიდვაში ჩვენ ვართ რჩეულნი,  
 რქებისთვის რატომ არა ვართ შესაფერისი?)<sup>98</sup>

<sup>96</sup> Ibid. გვ. 65.

<sup>97</sup> Ibid. გვ. 66.

<sup>98</sup> Ibid. გვ. 69.

ეს სტროფი საინტერესოა მწერლის მსოფლმხედველობის გასარკვევად. მხოლოდ საკითხის დაყენებაც იმის შესახებ, თუ რატომ არ შეიძლება შავი სამუშაოსათვის ვარგისი აღამიანი ღირსი იყოს მალალი გვირგვინისა, იმ ღროსათვის ძალზე პროგრესულ აზრად უნდა ჩაითვალოს.

მორწმუნეთა წინამძღვარმა ვირმა რელიგიური მორალი წაუკითხა საწყალ ვირს, მან აღხსნა, რომ ხარების შექმნას ღმერთმა სხვა წმინდა საბაბი დაუდო საფუძვლად, ამიტომაც დააჯილდოვა ისინი საკვების შოვნის უნარით და დაადგათ მათ ქვეყნის გვირგვინი თავზე, ხოლო ვირები გააჩინა შავი სამუშაოსათვის. ეს კანონიერია და ზეციურია. და თუკი ვინმე მის წინააღმდეგ გვაქეზებს, ის სულმდაბალი და გარეწარიაო.

თუმცა ასეთი მსჯელობა შეიხის მსოფლმხედველობისათვის საესებით ლოგიკურია, ნაწარმოების მთლიანი სული მაინც გვაფიქრებინებს, რომ „ზეციური და განსწავლული“ მამის ეს ჭკუის დამრიგებელი მონოლოგი ირონიით უნდა იყოს შეფერილი.

იმედგაცრუებულმა სახედარმა გადაწყვიტა მაინც ეგემა ამქვეყნიური სიამოვნება და ამწვანებულ ჯავილში გადაეშვა. ვნებაშლილმა ხან წიხლებით და ხან კბილებით სულ გაჯევა იქაურობა. ნათესი, გადაძოვა, კარგად გამოძღა და, როგორც ჩვეულებრივ ხდება, დაივიწყა ყოველგვარი შიში და ყოყინი მართო. ვირის საშინელ ყოყინზე მოვარდა ყანის პატრონი და გათავგებდებულ ვირს ყურები და კული დააჭრა. ასეთი წუთიერი გამოდგა ვირის ბედნიერება. გამწარებული ვირი გარბოდა და თავის ბედს წყევლიდა: უნდოდა რქები დასდგომოდა თავზე, მაგრამ კუღსა და ყურებსაც გამოეთხოვა.

მესნევის დასასრულს პოეტი იხსენებს სწორედ იმ შემთხვევას, რომელიც მას თავს გადახდა. იგი მწარედ წუხს იმის გამო, რომ უსამართლოდ თავს დაესხნენ და გაძარცვეს. დაბოლოს, შეიხი მიმართავს ფადიშაჰს, უხსნის თავის მღვთმარეობას და მოუწოდებს სამართლიანობისაკენ<sup>99</sup>.

ასეთია მოკლე ამ ნაწარმოების იდეურ-შინაარსობრივი ხასიათი. გარემო, რომელშიაც ის დაიწერა, საესებით მომწიფებული იყო სატირის აღმოცენებისათვის. შეიძლება ნაწარმოების ირონია მიმართული იყოს ამა თუ იმ კონკრეტული პიროვნებისადმი, მაგრამ მასში ჩამოკვეთილი სახეები იმდენად ტიპურია იმდროინდელი თურქეთისათვის, რომ მათი განზოგადება არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

თურქული სატირა ნაციონალურ ნიადაგზეა აღმოცენებული. მისი წარმოშობა განაპირობა იმ სოციალურ-ეკონომიურმა კრიზისმა, რომელიც არსებობდა XV საუკუნის თურქეთში. დივანის ლიტერატურაში გამოკვეთილი სატირა პირობითად ორ შტოდ იყოფა: პირველი შტო წმინდა რელიგიურ საკითხებს მოიცავს, მეორე — საზოგადოებრივ-ყოფითს. მაგრამ ეს ორივე რგოლი ჩასახვის პირველსავე სტადიაზე მჭიდრო კავშირს ამყარებს ერთმანეთთან და ერთ ასპექტშია გაერთიანებული.

<sup>99</sup> Ibid, გვ. 69.

ВАСИЛИЯ ИВШИН

## КОММУНИКАТИВНАЯ ПЕРСПЕКТИВА ПРЕДЛОЖЕНИЯ

Произведенное Соссюром более 50 лет тому назад теоретическое разграничение понятий о языке и речи послужило основой для создания целого ряда теорий о языке как средстве общения в отвлечении от конкретного применения и о речи как средстве общения с конкретным содержанием. Отсюда следовало, что средство общения в возможности (потенции) — это язык, а то же средство в действии (реализации) — речь. На основе такого подразделения язык в самом общем отвлеченном понимании, по нашему мнению, есть не что иное, как потенциальная инстанция коммуникации, а речь — конкретная инстанция коммуникации.

Понятия язык и речь разграничивались в языкознании и раньше, но без специального описания и разъяснения (В. Гумбольдт, Г. Штейнталь, Г. Шухардт, А. А. Потебня, Ф. Ф. Фортунатов, Н. В. Крушевский, И. А. Бодуэн и др.)<sup>1</sup>.

Речь не представляет из себя ничего единого и всегда индивидуальна по своему творческому характеру и ситуативна. В речи единицы языка могут приобретать такие значения и осмысления, которые неизвестны в языке вообще. Речь — частное проявление языка, одна из многих форм общего языка как логического конструкта. В письменном виде она может выступать в виде сочинения, рассказа, повести, романа и т. п. А общее выражается и осуществляется в отдельном, частном, в индивидуальной речи в той или иной форме изложения или в подязыке, по терминологии Н. Д. Андреева<sup>2</sup>.

В речи не обязательны полярные противопоставления, имеющиеся в структуре суждения и не обязательно поэтому в назывных и безличных предложениях отыскивать, где выражен субъект суждения. В речи он может быть не выражен словесно вовсе, а мыслиться в ситуации или контексте. Но в предложении, как единице языка и речи, субъект обязательно находит свое выражение в самостоятельной форме существитель-

<sup>1</sup> Б. Н. Головин, Введение в языкознание, М., 1966, стр. 25.

<sup>2</sup> Н. Д. Андреев, Система устной речи как объект статистико-комбинаторного моделирования, в сб. «Теория и практика лингвистического описания разговорной речи». Тезисы докладов к межвузовской научной конференции (декабрь 1966), Горький, 1966, стр. 12.



ного в именительном падеже (в назывных предложениях типа «Мороз», когда при помощи одной из функций интонации — предикативной — создается бинарность суждения и выражающего его предложения) и путем соотношения одного слова-понятия с реальной действительностью или ситуацией (например, «Великолепно!»).

По этому поводу еще И. И. Мещанинов отмечал, что «каждое законченное высказывание строится на предикативных отношениях. Они передаются сочетанием субъекта и предиката даже тогда, когда один из них не получает требуемой грамматической формы... Предикативные отношения могут сосредотачиваться в одной лексической единице без грамматического выражения субъекта или предиката, если один из них подразумевается, восстанавливается или восполняется контекстом».<sup>3</sup>

Если бы все предметы, факты и явления окружающей действительности находили выражение в языке в виде их названия или обозначения в той или иной словесной форме, то любая индивидуальная речь (подъязык), устная или письменная, была бы беспредельно избыточна и крайне неудобна в обращении. Например, вместо краткого и ясного предложения в начале повествования «Москва 1812 года» автор вынужден был бы писать примерно в такой форме: «То, о чем я хочу рассказать вначале, было в старой столице России, городе Москве в 1812 году».

При использовании языка в конкретной инстанции коммуникации минимальной единицей речевой деятельности является предложение или высказывание, как один из речевых вариантов предложения. Всякое минимальное высказывание — это предложение.<sup>4</sup> В природе любого предложения заложена коммуникация, сообщение чего-то о чем-то, так как «нет ни одного предложения (и высказывания), которое оказалось бы лишено категории коммуникативности. Внешним показателем этой категории служит... прежде всего интонация».<sup>5</sup>

Как указывает А. И. Смирницкий, «в письменной речи интонация как таковая не изображается; понять ее помогает смысл и отчасти пунктуация, которая служит главным образом для того, чтобы разобраться в структуре предложения».<sup>6</sup> Ведь слово, взятое само по себе, интонации не имеет. Интонация, и притом определенного рода, заложена только в высказывании или логической фразе. Она определяет и коммуникативную перспективу предложения (сокращенно: КПП). Следовательно, под коммуникативной перспективой предложения мы понимаем

<sup>3</sup> И. И. Мещанинов. Структура предложения, М.-Л., 1963, стр. 6.

<sup>4</sup> У. Ф. Леман. Преемственность языкознания, ВЯ, 1966, № 1, стр. 52. См. также: И. П. Распопов, Предложение как единица языка и единица речи, в сб. «Вопросы общего и романско-германского языкознания». Тезисы докладов, вып. 3, Синтаксис, Уфа, 1965, стр. 89—94.

<sup>5</sup> Б. Н. Головин, указ. соч., стр. 202.

<sup>6</sup> А. И. Смирницкий, Синтаксис английского языка, М., 1957, стр. 106.

интонационно-семантическую направленность предложения. Одним словом, любое предложение коммуникативно и поэтому следует говорить о КПП, а не о функциональной перспективе, как это делают чешские языковеды, имея в виду синтаксический уровень. Если Я. Фирбас говорит об изменении ФПП от порядка слов<sup>7</sup>, то безусловно имеется в виду изменение предикативных отношений, т. е. изменение в членении предложения на коммуникативном уровне. Ведь меняется не функция предложения (она остается коммуникативной при любом изменении порядка слов), а меняются лишь предикативные отношения, т. е. КПП. Меняется, следовательно, функция частей предложения на коммуникативном уровне. При изменении предикативных отношений, скажем, при помощи порядка слов функция членов предложения на синтаксическом уровне останется неизменной, т. е. они не перестают быть теми или иными членами предложения. На коммуникативном же уровне они могут при этом оказываться то в составе темы, то в составе предикемы выказывания<sup>8</sup>.

Функция обычно определяется частью от целого. Например, в грамматике говорят о функции того или иного члена предложения, как части предложения. Если же говорить о функции целого предложения, то она может быть только коммуникативной, поскольку основное назначение предложения — коммуникация, сообщение, передача мысли, информация в устной или письменной форме.

Поскольку в английском языке слово *communicative* означает «общительный, разговорчивый» и его значение не совпадает со значением «коммуникативный» в русском языке, представляется возможным по словообразовательной аналогии с прилагательным *conversational* от существительного *conversation* образовать в качестве термина новое прилагательное от существительного *communication* — *communicational* со значением «информационно значимый, коммуникативный». В соответствии с этим КПП можно обозначить сокращенно по-английски CSP (*Communicational Sentence Perspective* — коммуникативная перспектива предложения). Но, возможно, целесообразнее продолжать пользоваться термином *communicative* в значении «коммуникативный», поскольку в этом новом значении он уже давно употребляется в работах чешских языковедов.

<sup>7</sup> J. Firbas, *Thoughts on the communicative function of the verb in English, German and Czech*, Brno Studies in English, Volume one, Praha, 1959, p. 66.

<sup>8</sup> Эти новые термины вводятся и обосновываются нами в отдельной статье «К вопросу о терминологии в синтаксисе (в связи с проблемой соотношения логических и грамматических категорий в языке)», которая находится в печати, а также см. тезисы моих двух докладов, опубликованные ранее: К вопросу о терминологии в синтаксисе, в сб. «Тезисы докладов Республиканской конференции по вопросам языковедения и методики преподавания иностранных языков», т. 2, Алма-Ата, 1964, стр. 30—32; К вопросу о терминологии в синтаксисе (в связи с проблемой коммуникативного членения предложения), в сб. «Вопросы общего и романско-германского языковедения». Тезисы докладов, вып. 3, Уфа, 1965, стр. 99—101.

Поскольку КПП внешне определяется явно или неявно выраженной интонацией, как супraseгментным (надсегментным) элементом структуры предложения, а также в той или иной степени другими составными элементами структуры предложения, постольку с логической и философской точки зрения КПП более точно отражает сущность языка и речи, соответствует диалектическому принципу отражения действительности и позволяет сформулировать закон единства КПП, интонации и отчасти структуры. Этот закон представляется возможным определить развернуто и пояснить на примерах, как единство интонации, семантической значимости и структурно правильного расположения непосредственно составляющих элементов высказывания.

Если действие одного из этих условий закона будет нарушено, то чтение и понимание написанного с листа или услышанного б дет также соответствующим образом нарушено вплоть до полного непонимания или обнаружения бессмысленного синтаксического построения.

Поясним функционирование каждого принципа закона в отдельности. I. КПП. Например, предложение *He came home* в зависимости от интонационно-семантической направленности при неизменном расположении структурных элементов может выражать столько высказываний, сколько имеется синтаксических членов в данном предложении плюс еще одно высказывание, подаваемое как единое логически нечленимое сообщение, а именно:

- |                               |   |
|-------------------------------|---|
| a) He came ↓ home             | $\frac{\cdot \cdot \cdot \cdot}{\cdot \cdot \cdot \cdot} \parallel$   |
| b) He ↓ came home             | $\frac{\cdot \cdot \cdot \cdot}{\cdot \cdot \cdot \cdot} \parallel$   |
| c) ↓ He came home             | $\frac{\cdot \cdot \cdot \cdot}{\cdot \cdot \cdot \cdot} \parallel$   |
| or: It was ↓ he who came home | $\frac{\cdot \cdot \cdot \cdot}{\cdot \cdot \cdot \cdot} \parallel$   |
| d) He 'came ↓ home            | $\frac{\cdot \cdot \cdot \cdot}{\cdot \cdot \cdot \cdot} \parallel$   |
| or: 'He 'came 'home           | $\frac{\cdot \cdot \cdot \cdot}{\cdot \cdot \cdot \cdot} \parallel$ or: $\frac{\cdot \cdot \cdot \cdot}{\cdot \cdot \cdot \cdot} \parallel$ |

В последнем случае предложение произносится с равномерными ударениями на всех знаменательных словах, и оно воспринимается в контексте как ответ на возможные вопросы: Что нового? Какие новости? Что случилось?

2. В синтаксическом построении может быть проявлена интонация, структурно-оформленное расположение элементов высказывания, но семантически опустошенных, не соотносимых ни с какими понятиями или явлениями объективной реальности, как, например, это наблюдается в примере Н. Хомского *Pirots karulize elatically*,<sup>9</sup> имеющем лишь видимость предложения, благодаря морфологическим показателям слов, характерным соответственно для имени существительного,

<sup>9</sup> Н. Хомский, Синтаксические структуры, в сб. «Новое в лингвистике», вып. II, М., 1962, стр. 517.

глагола и наречия в английском языке, а также, благодаря интонации, как надсегментному элементу данной искусственной и неосмысленной структуры. Фактически здесь налицо интонация и структурная оформленность высказывания, но смысла нет. Следовательно, нарушение одного из условий закона единства КПП, интонации и структуры, а именно отсутствие семантической значимости НС, приводит лишь к построению синтаксически правильно оформленных, но бессмысленных предложений-макетов.

3. А нарушение принципа структурного расположения семантически полнозначных элементов высказывания приводит к разрушению высказывания. Например, произвольное расположение слов в виде перечисления — She, a, was, party, at, evening, the, in — не создает предложения, где также и интонация не проявляет свою функцию надсегментного элемента структуры предложения, поскольку в синтаксическом и бессистемном линейном расположении даже значимых элементов нет никакой структуры, хотя общий смысл может быть выведен из данных элементов, как это нередко и делается при выполнении упражнений на составление грамматически правильных предложений из разных слов, данных в разрозненном порядке.

Если «для всех языков универсальным средством выражения предикации является интонация»<sup>10</sup>, то постольку же во всех языках существует и действует закон единства КПП и интонации. При этом следует иметь в виду, что изменение интонации не создает нового предложения, а создает новое высказывание в рамках этого же предложения. Поэтому тезис, выдвинутый у нас более десяти лет тому назад<sup>11</sup>, о том, что изменение интонации (фразового ударения) всякий раз создает новое предложение, выражающее новое суждение, представляется теперь неверным. Фактически при переносе фразового ударения с одного члена на другой предложение не меняется формально, оно остается одним и тем же «формально-грамматическим», как говорил В. В. Виноградов (под напором логиков в языкознании). Кажется, нет оснований брать это выражение в кавычки.

И действительно, разве изменяется основная характеристика и грамматические признаки предложения, например, «Сергей Данилович едет в Ленинград» — при перемещении фразового ударения по структуре этого предложения, начиная со слова Сергей и кончая словом Ленинград? Разве изменяется его бытийность, выражение завершенности или незавершенности действия, состояния, времени, разве изменяются грамматические формы слов как частей предложения и т. д.? Нет. Все грамматические признаки предложения остаются те же. Что меняется при изменении или переносе ударения? Меняется КПП.

<sup>10</sup> А. И. Смирницкий, указ. соч., стр. 105.

<sup>11</sup> М. Н. Алексеев и Г. В. Колшанский, О соотношении логических и грамматических категорий, ВЯ, 1955, № 5, стр. 13.

Следовательно, предложение как таковое на коммуникативном уровне становится коммуникативной фразой, выражающей новое сообщение, как новое высказывание.

Так, при постановке равномерных ударений на всех членах приведенного предложения подается новая информация в виде одного сообщения. А при постановке фразового, точнее говоря, предикативного ударения<sup>12</sup> на подлежащем Сергей сообщается, что едет Сергей Данилович, а не его брат Иван Данилович. Если ударение в возможном контексте будет на определении Данилович, то сообщается, что едет Сергей Данилович, а не его, скажем, тезка Сергей Иванович. Если ударение на сказуемом «едет», то сообщается, что он все же едет вопреки предполагавшимся сомнениям с чьей-либо стороны. И, наконец, при постановке ударения на обстоятельстве места — в Ленинград — сообщается, что Сергей Данилович едет в Ленинград, а не в Киев, допустим.

Таким образом, мы видим, что интонация способна создавать и создает не новое предложение, а новое высказывание в словесной оболочке одного и того же формально-грамматического предложения.

При таком подходе в предложении Сергѣй Данилович ѣдет в Ленинград; Сергѣй | Данилович едет в Ленинград; Сергей | Данилович едет в Ленинград; Сергей Данилович | ѣдет в Ленинград; Сергей Данилович едет | в Ленинград — обнаруживается одна «потенциально-синтаксическая величина, которую, следуя традиции, удобно назвать предложением», но пять «актуально-синтаксических величин, которые можно назвать сообщениями»<sup>13</sup>. Однако с точки зрения актуального членения все эти пять коммуникативных фраз считаются разными предложениями, обладающими разными структурами. Но эти структуры чисто интонационные как актуально-синтаксические величины, свойственные сообщению или высказыванию, а не предложению как номинативной и потенциально-синтаксической единице. Но если приведенные отрезки текста суть варианты одного предложения, «они не могут быть разными предложениями. Если же они разные предложения, то они не могут быть вариантами одного предложения»<sup>14</sup>, замечает И. Ф. Вардуль.

Предикативное ударение при построении таких вариантов высказываний в рамках одного и того же формально-грамматического предложения выступает, если можно сделать такое сравнение, как навесное орудие на тракторе. Независимо от количества навесных орудий трактор остается трактором и не становится чем-то другим, хотя меняется

<sup>12</sup> Термин заимствован нами у В. Е. Шевяковой, См.: Интонация в современном английском языке, автореф. канд. дисс., М., 1954, стр. 9, где дано определение: «Предикативным ударением называется такое ударение, при помощи которого в повествовательном предложении выделяется слово, выражающее предикат суждения, а в вопросительном предложении — слово, выражающее вопросительный предикат». В связи с этим см. также: А. А. Алхазивили, Интонация простого повествовательного предложения в грузинском языке, автореф. канд. дисс., Тбилиси, 1955, стр. 5 и др.

<sup>13</sup> И. Ф. Вардуль, О двух синтаксических уровнях языка, в сб. «Исследования по японскому языку», М., 1967, стр. 6.

<sup>14</sup> Там же, стр. 6.

его назначение. Так же и с предложением. Независимо от количества и места предикативных ударений оно остается одним и тем же формально-грамматическим. Меняется лишь его коммуникативная перспектива.

Каждое высказывание имеет интонационный центр тяжести или коммуникативное ядро. Оно определяется вопросом, контекстом и методом преобразования. При помощи последнего предложение также интонационно преобразуется в разные варианты коммуникативных фраз, но каждый раз интонационный центр тяжести возвращает предложение в грамматически нормальное состояние подобно ипрушке ваньке-встаньке, т. е. какие бы преобразования мы ни делали и сколько бы ни перемещали предикативное ударение по его структуре, предложение останется одним и тем же формально-грамматическим, так как его непосредственно составляющие элементы не меняют при этом своих грамматических форм.

Следовательно, на коммуникативном уровне мы имеем дело фактически не с предложением как обычным синтаксическим понятием, а с высказыванием, как понятием актуального (коммуникативного) синтаксиса, принадлежащим другому языковому уровню и другому синтаксическому разделу грамматики. А высказывание уже в свою очередь непосредственно соотносится с суждением. Косвенно это признает и Г. В. Колшанский, когда утверждает, что «существенным признаком любого предложения является как раз такая его форма, которая так или иначе передает сообщение, логический строй которого укладывается в общую форму суждения»<sup>15</sup>.

Отсюда возможно говорить о том, что на основе действия закона единства КПП и интонации и благодаря изменению того или другого, изменяется всякий раз сообщение, выражаемое предложением. То или иное высказывание всякий раз будет члениться на коммуникативном уровне по-разному, так как разные высказывания всегда прямо соотносятся с разными суждениями, иными словами, разные суждения подаются в устной или письменной речи разными высказываниями.

Следовательно, логические категории субъекта и предиката (S и P) соотносятся с членами высказывания, а не с членами предложения. Отсюда представляется обоснованным рассматривать термин Аристотеля *πρότασις* — протасис, обозначающим высказывание, а не суждение, не предложение и не посылку силлогизма, как этот термин переводили у нас раньше<sup>16</sup>, а его определение речи относить лишь к кон-

<sup>15</sup> Г. В. Колшанский, Проблемы логического анализа структуры языка, автореф. докт. дисс., М., 1964, стр. 17.

<sup>16</sup> Ср. «Суждение есть речь что-нибудь о чем-нибудь утверждающая или отрицающая», Аристотель, Первая аналитика. Перевод Н. Н. Ланге, СПб., 1894, стр. 2. «Посылка есть высказывание утверждающее или отрицающее что-нибудь о чем-нибудь», Аристотель, Первая аналитика. Перевод Б. А. Фехта, М., 1952. Ср. также: Древнегреческо-русский словарь, ред. С. И. Соболевского, т. 2, М., 1958 — *πρότασις ἐστὶ λόγος καταφατικός ἢ ἀποφατικός τινός κατὰ τινός* «Предложение есть утверждение или отрицание чего-либо о чем-либо», И, наконец, наш вариант перевода: **Высказывание** есть речь, утверждающая или отрицающая что-либо о чем-либо.

кретной инстанции коммуникации. Сходное замечание по этому поводу имеется у М. Блэка, который между прочим отмечает, что в настоящее время широко признано толкование аристотелевского протасиса (proposition) как весьма частного случая (a very special case) и что «утвердительные предложения (statements) не следует анализировать только по схеме «субъект—предикат»<sup>17</sup>.

КПП может быть, если можно так выразиться, с прямой последовательностью предикативных отношений, например, John lives in London и с обратной (reverse sentence perspective) — London lives in John, т. е. в нем, в его, допустим, картинах. Последняя встречается редко и потому ею пренебрегают, как будто предложение London lives in John не может быть отмеченным.

Если А. Н. Гвоздев говорит о связи структуры предложения и интонации<sup>18</sup>, то по нашему мнению, правильнее было бы говорить о единстве КПП и интонации. Структура — понятие скорее потенциально-синтаксическое. По структуре предложение может квалифицироваться как первобытное или примитивное, соответствующее уровню развития носителей данного языка, и высокоорганизованным, с большой степенью абстрагирования. И другое дело, когда совершается акт коммуникации в устной или письменной форме. КПП часто и как правило не зависит от словесной структуры предложения. То, что говорящий или пишущий имел в виду выразить, понимается читающим или слушающим, объясняется только тем, что всякое предложение обладает коммуникативной перспективой, которая непосредственно обусловлена интонацией, часто явно не выраженной или редко обозначенной на письме каким-либо графическими знаками (знаками ударений, пауз и другими символами). Мы привыкли к такому положению и никогда не возникает вопроса, почему интонация не изображается. Лишь потому, что она заложена в КПП и иногда, а декламатору и артисту часто при изучении новой роли, приходится воспроизводить и обозначать при помощи графических знаков ту интонацию, которая мыслится автором при написании произведения. Однако графические знаки и пунктуация лишь приблизительно указывают на характер интонационного оформления предложения или высказывания. Для непосредственного восприятия КПП целесообразно было бы применять в начале предложения какие-то интонационные символы подобно тому, как в испанском языке в начале вопросительных и восклицательных предложений ставятся соответствующие знаки как и в конце. Но это весьма осложнило бы печатание и сделало бы печатный текст непривычным для глаза, хотя постановки графических интонационных знаков в начале предложения помогает читающему моментально определять интонационное оформление предложения и вместе с этим его КП. Тот или иной

<sup>17</sup> M. Black, *Language and Philosophy*, N. Y., 1949, p. 229.

<sup>18</sup> А. Н. Гвоздев, *Современный русский литературный язык*, т. II. Синтаксис, М., 1958, стр. 284.

вид интонации заложен автором произведения в КПП. В контексте одна перспектива исходит и разворачивается из другой. Например, в предложениях из диалогической речи „It was a bad fight... See this ear?“ Mac indicated the stump of the member alluded to. „He did that“ (J. Reed, Mac-American, in: Modern American Short Stories, Moscow, 1960, p. 103) достаточно выпукло видно, как синтаксические механизмы языка «работают», по выражению Н. Хомского<sup>19</sup>, в коммуникативном направлении, заставляя читающего делать предикативное ударение на личном, обычно неударном, местоимении he. То же самое наблюдается в предложениях из рассказа другого современного американского автора: „Nell ainot no fool“, he said, „She dbidn’t ask me | to marry her. I | want to marry her. I | want to settle down | and have kids“ (Sh. Anderson, The Untold Lie, *ibid.*, p. 126).

Подлежащие he и I выделяются в качестве выразителей предикатов интонацией только (предикативным ударением) как единственным способом, благодаря малому контексту.

В ином окружении или вне контекста эти же подлежащие были бы предикативно выделены при помощи синтаксического оборота it is (was)... that (who), а в переводе на русский, газуется, другими средствами. Например, It was he| that ruin'd the Bourbons|and Mr. John Sedley (W. Thackeray, Vanity Fair, Vol. I, M., 1950, p. 193),—„Это он (Наполон—В. И.) погубил Бурбонов и вместе а Джона Седлиа (В. Токкерей, Ямарка тшаславия, ч. I. Перевод М. А. Дьяконога, М.—Л., 1933, стр. 387).

It's | I | that forbid it (*ibid.*, p. 215).  
—«Это я запрещаю». (Там же, стр. 426).

Таким образом, в зависимости от контекста и стиля писателя этот синтаксический оборот иногда снимается, как мы видели уже выше в двух примерах из рассказов современных американских писателей. Это наблюдается в том случае, когда предикативное ударение локализуется по смыслу предложения в основном на подлежащем<sup>20</sup>. В порядке иллюстрации достаточно привести еще один пример: Lady Caroline: health | is what we want | in modern life (O. Wilde Plays, A Woman of no Importance, Moscow, 1961, p. 104). По существу данное предложение выступает как трансформация предложения It is|health| that we want | in modern life, в котором, как и в приведенных двух предложениях из Токкерей, предикативное ударение локализуется на подлежащем синтаксическим оборотом it is (was)... that (who), этим искусственным способом: улогкой (exp. dient)<sup>21</sup>, по замечанию Г. Поутсмэ.

Следовательно, только благодаря КПП представляется возможным воспроизвести устно или при чтении про себя то, что хотел выразить

<sup>19</sup> Н. Хомский, указ. соч. и сб рник, стр. 504.

<sup>20</sup> В. Д. Ившин, Грамматические средства логического выделения главных членов предложения в английском языке, в сб. «Выделение подлежащего и сказуемого в английском языке», Ученые записки Новгородского государственного университета, т. VI, вып. 2, Новгород, 1962, стр. 27—31.

<sup>21</sup> H. Poutsma, A Grammar of Late Modern English, p. I, The Sentence, First Half, Noordhoff, 1928, p. 388.

автор, несмотря на то, что устный вид речи значительно более эмоционален, чем письменный.

Индивидуальная речь, письменная или устная, весьма ненормирована и в ней у некоторых авторов не все иногда бывает правильно с лексической и грамматической точки зрения. Тем не менее это речь, называемая часто языком автора.

В речи могут быть предложения с одним выраженным членом суждения, но они (предложения) воспринимаются как суждения. Для логики и языка в общем плане это кажется ненормальным, а для речи это явление вполне нормально, естественно и часто встречающееся в диалогах.

При этом мы различаем обычный диалог как разговор двух-трех лиц или персонажей в литературном произведении и диалог между автором произведения и читателем. Первый — это микродиалог, а последний — макродиалог. Исходя из этого различия, представляется возможным полагать, что коммуникативная перспектива присуща не только отдельному предложению, абзацу, но и всему произведению в целом как макродиалогу, в какой бы форме оно ни было написано, будь то статья, очерк, доклад, роман и т. п. Поэтому не каждый перевод любого произведения делается (да и это едва ли возможно) без прочтения всего произведения, т. е. без уяснения его коммуникативной перспективы, особенно в переводах современных технических, научных и политических текстов. Зачастую без уяснения КП произведения невозможно перевести само название произведения (романа, повести, рассказа и т. п.). В художественной литературе такие примеры хорошо известны, например, в переводах с английского и других языков (J. Aldridge, Signed with their Honour—Дело чести; G. Greene, A Burnt-Out Case—Ценой потери; М. Шолохов, Тихий Дон—And Quiet Flows the Don и др.).

Таким образом, на коммуникативном уровне сколько имеется перспектив, столько и высказываний, сколько высказываний<sup>22</sup>, столько и суждений, в то время как на потенциально-синтаксическом уровне функциональных перспектив может быть только одна. Эти выводы явились результатом нашего исследования о грамматических способах выражения логического предиката и аудитивного эксперимента на материале современного английского языка.

<sup>22</sup> В данной статье автор был склонен заменить прежний термин «сообщение» более лингвистическим терминем «высказывание», понимая под последним синтаксическое построение в рамках одного предложения как логическую фразу, произносимую с определенной интонацией, устанавливающей коммуникативную перспективу и законченность выражаемой им мысли. См. также его доклад о коммуникативной перспективе предложения на научной конференции по языкознанию в Башкирском государственном университете, в Уфе в 1967 г., в сб. «Вопросы романо-германского языкознания». Тезисы докладов, Уфа, 1969.

## ღამანა მელიქიშვილი

### ბერძნობები იოანე პეტრიწის მნაში

XI-XII საუკუნეთა გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსი მწერლის იოანე პეტრიწის ენა მუდამ იქცევა და იქცევს მკვლევართა თუ მწერალთა ყურადღებას.

იოანე პეტრიწმა დიდი გავლენა მოახდინა თავისი დროის სამწერლობო ენაზე. პეტრიწი და მისი ენა უდიდეს ინტერესს იწვევდა ქართული მწერლობის აღორძინების ხანაში. XVII-XVIII საუკუნეთა მოღვაწენი აღმერთებენ იოანე პეტრიწს, როგორც ფილოსოფოსს და აღტაცებულნი არიან მისი „ენამზებობათა“ და „კეთილხელოვნებით“. ამ საუკუნეთა ხელნაწერები იოანე პეტრიწის ენა არ იხსენიებენ, თუ არ ეპითეტებით: „ქართულისა ენისა მზე — იოანე პეტრიწი“, „მამზევებელი და მადღებელი ენისა ჩუენისა“.

სულხან-საბა ორბელიანს პეტრიწის ენა რთულად, მაგრამ ამავე დროს „გემოანად“ და „საწადელად“ მიაჩნდა. თუ რამდენად აფასებდა ის პეტრიწის ენას, ეს კარგად ჩანს იქიდან, რომ მისი „სიტყვის კონის“ ერთ-ერთ ძირითად წყაროს იოანე პეტრიწის თარგმანები: პროკლე დიადოხოსის „კავშირნი“ და ნემესიოს ემესელის „ბუნებისათჳს კაცისა“ წარმოადგენენ.

საყოველთაოდაა ცნობილი ანტონ კათალიკოსის აზრი იოანე პეტრიწის ენის შესახებ.

XVIII საუკუნეში ფილოსოფიითა და, საზოგადოდ, ლიტერატურით დაინტერესებულ პირთათვის იოანე პეტრიწის ენა იდეალად იქცა და მისი მიბაძვა რიტორიკასა და ფილოსოფიის დარგის მწერლობაში უპირველეს ამოცანად დაიქსახეს. ეს მისწრაფება, სრულიად ბუნებრივი და კანონზომიერი, სამწუხაროდ, მეტად დაგვიანებული იყო; XVIII-ში, თითქმის შეიღი საუკუნის შუალედის შემდეგ, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო იოანე პეტრიწის ენის აღდგენა. XVIII ს-ში XI საუკუნის მწერლის ენისაკენ დაბრუნება ბევრ შეუსაბამობას გამოიწვევდა და გამოიწვია კიდევ. იოანე პეტრიწის მიმბაძველებმა, ანტონ I-ის სკოლის წარმომადგენლებმა, გააბატონეს მართლაც დღვარჭნილი, უაღრესად რთული და ხელოვნური ენა, თავისი დროისათვის მოძველებული და ხშირად ფსევდოლარქაინებით გადატვირთული<sup>1</sup>.

სხვა აზრი შეიქმნა იოანე პეტრიწის ენის შესახებ ჩვენს დროში. თუმცა ამ საუკუნის დასაწყისში იოანე პეტრიწის პირველი მკვლევარი, ნიკო მარი აღტაცებული იყო იოანე პეტრიწის უდიდესი გამოჩნატველობითი ძალის მქონე

<sup>1</sup> ზედმეტად არ იქნება, თუ აქვე აღვნიშნავთ, რომ ასეთი მექანიკური მიბაძვით იოანე პეტრიწის თავიანთსებებში, კერძოდ, ანტონმა და მისმა მიმდევრებმა მეტად ცუდი სამსახური გაუწიეს პეტრიწს, რადგანაც ზოგჯერ სწორედ ამათა (როგორც პეტრიწის მიმბაძველების) ენის მიხედვით აფასდნენ ხ.ლმე იოანე პეტრიწის ენასაც.

ენით, მაგრამ მის ენას მაინც არაჩვეულებრივად ხელოვნურად მიიჩნევდა<sup>2</sup>. აკად. კ. კეკელიძის აზრით, იოანე პეტრიწის ენა მეტად ხელოვნური, რთული და განყენებულია. ქართველ მეცნიერთა შორის უპირატესად ეს შეხედულებაა დღესაც გავრცელებული.

იოანე პეტრიწის ენის ხელოვნურად გამოცხადება მის ღირსებებს ჩრდილში აყენებდა და შეუზღვევს ხდიდა. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ქართული ენის ისტორიის ცალკეული საკითხების კვლევისას იოანე პეტრიწის შრომებს გვერდს უვლიან, ხოლო მის ტერმინოლოგიას თანამედროვე მეცნიერული ტერმინოლოგიის დამუშავებისას ყურადღებას არ აქცევენ. ქართული ენის ისტორიისადმი მიძღვნილ გამოკვლევებში სათანადოდ არ იყენებენ, ან სრულიად უგულვებლყოფენ იოანე პეტრიწის ენის მონაცემებს, რომელთაც ქართული ენის ისტორიის საკითხთა კვლევისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვთ.

ძველი ქართული სამწერლობო ენის ნორმების რღვევისა და ახალი სალიტერატურო ენის სათავეების კვლევისას იოანე პეტრიწის ენის მონაცემებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ამ ხანის მწერალთაგან ყველაზე მეტად სწორედ იოანე პეტრიწის ენაში გვხვდება ახალი ქართული ენის ელემენტების ერთობლივი მომძლავრება. მისი ენა ამ პერიოდის ქართული სამწერლობო ენის ლექსიკის, ფონეტიკის, მორფოლოგიისა თუ სინტაქსის სფეროში მომხდარი დიდი ძვლების, ცოცხალი მეტყველებიდან შემოჭრილი ყველა სიახლის ზუსტი და უტყუარი ამსახვლია. ამდენად, იგი მეტად მნიშვნელოვანი წყაროა საზოგადოდ ქართული ენის ისტორიის სრულად წარმოსადგენად და, კერძოდ, ქართული სამწერლობო ენის განვითარების ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდის — XI—XII საუკუნეთა სალიტერატურო ენის საფუძვლიანი კვლევისათვის. გარდა ამისა, იოანე პეტრიწის ენა, მისი სიტყვათა აგების ტექნიკა, სასარგებლო წყაროს წარმოადგენს თანამედროვე მეცნიერული (კერძოდ, ფილოსოფიური, ბიოლოგიური, ენათმეცნიერული) ტერმინოლოგიის გამდიდრებისათვის.

აი, სწორედ იოანე პეტრიწის ენის ეს ორი მეტად მნიშვნელოვანი ღირსება იჩქმალება მაშინ, როდესაც მის ენას ხელაღებით ხელოვნურად აცხადებენ.

მაგრამ ყოველივე ზემოთქმული არ ნიშნავს იმას, რომ იოანე პეტრიწის ენა არ არის რთული, ან ზოგიერთ შემთხვევაში ხელოვნური კონსტრუქციების შემცველიც.

საქმე ისაა, რომ იოანე პეტრიწის შრომები ფილოსოფიური ხასიათისაა: ეს განაპირობებს მისი ენის სირთულეს. პეტრიწის სტილი, ბუნებრივია, მეცნიერული, კერძოდ ფილოსოფიური სტილის დამახასიათებელ ნიშნებს შეიცავს (ფილოსოფიური ცნებების სიმრავლე, შესაბამისად, მათი გამომხატველი ფილოსოფიური ტერმინების სიუხვე, რთული სინტაქსური კონსტრუქციები, გრძელი პერიოდები); 2. იოანე პეტრიწი, როგორც ფილოსოფოსი, აღიზარდა საბერძნეთში. იგი თარგმნის ბერძნულიდან და გასაგებია, რომ ხშირად თავს ვერ აღწევს ბერძნული ენისა და დედნის გავლენას, რის შედეგადაც ზოგჯერ ქართულისათვის არადამახასიათებელ, ხელოვნურ კონსტრუქციებს ხმარობს.

ბერძნული ენის გავლენა იოანე პეტრიწის ენაში ძალიან იშვიათად იჩენს თავს ტერმინთა წარმოებისას, უფრო ხშირად კი — სინტაქსის სფეროში.

<sup>2</sup> Н. Я. Марр, «Иоанн Петрициевский грузинский неоплатоник XI-XII века», 1909, («Речь его, несмотря на идеальную правильность, необычайно искусственна»).

წინამდებარე წერილში განვიხილავთ სწორედ ასეთი, ქართულისთვის არადამახასიათებელი, ბერძნული სინტაქსური კონსტრუქციების ხმარების შემთხვევებს იოანე პეტრიწის ენაში. ვფიქრობთ, ამ თავისებურებათა გათვალისწინება რამდენადმე გააადვილებს იოანე პეტრიწის ენის გაგებას.

\* \* \*

ბერძნული ენის სინტაქსის გავლენა იოანე პეტრიწის ენაზე, შეიძლება ითქვას, მხოლოდ უშემასმენლო წინადადებებისა და მიმღებურ და ინფინიტურ კონსტრუქციითა ზოგი სახის ხმარებით ამოიწურება. აქვე განვიხილავთ „და“ კავშირის მნიშვნელობით „ც“ ნაწილაკის ხმარების შემთხვევებსაც. წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ მსგავსი ბერძნობები (უშემასმენლის, ძირითადად „არს“ მეშველი ზმნის ჩავარდნა, მიმღებურ, ინფინიტურ და პასიურ კონსტრუქციითა ხმარება, და კავშირის „ც“ ნაწილაკის მნიშვნელობით გამოიყენება) არცთუ იშვიათია ძველი ქართული ენის ბერძნულიდან თარგმნილი ძეგლების ენაში. მთარგმნელები თავიდან ვერ იცილებდნენ, თუ შეგნებულად არ არიდებდნენ თავს ბერძნული ენისა და ბერძნული დედნის გავლენას. ასეთი გავლენის შესაძლებლობა, ჩვეულებრივ, სწორედ სინტაქსურ კონსტრუქციებზე ვრცელდება. დედნის გავლენისა და უცხო სინტაქსური კონსტრუქციების თარგმანში გადმოტანის საკითხი იოანე პეტრიწამდეც იყო და ახლაც მეტად მტკივნეული საკითხია მთარგმნელობითს საქმიანობაში საერთოდ.

### I. უშემასმენლო წინადადებები

ბერძნული ენის გავლენა აშკარად იგრძნობა უშემასმენლო წინადადებების ხმარებაში. ჩვეულებრივ, ჩავარდნილია „არს“ მეშველი ზმნა.

რადგანაც ქართული ენისათვის უცხოა უზმნო წინადადებები, ამიტომ უშემასმენლის გამოტოვება მეტად აძნელებს აზრის გაგებას.

ასე, მაგალითად, „რამეთუ იგივეობა ერთი და კეთილი“ (I, 18, 17) ნიშნავს: „რადგანაც იგივეობაა ერთი და კეთილი“ (αὐτὸς ὁ ἕξ ἐν καὶ ἄχρηστος: § XX, Plot.—Поскольку тождественны диное и благо)“.

მაგრამ იოანე პეტრიწის ენაში უშემასმენლო წინადადებების სამი სახე შეიძლება განვასხვავოთ:

1. ისეთი უშემასმენლო წინადადებები, რომლებშიც გამოტოვებული შემასმენელი ადვილად აღდება წინამავალი წინადადების მიხედვით, სადაც შესაბამისი შემასმენელი სახეზეა. ამიტომ ასეთ შემთხვევაში მეორე წინადადება შეიძლება უბრალოდ უსრულ წინადადებადაც ჩაითვალოს. მსგავსი უშემასმენლო წინადადების აზრი ძნელი გასაგები არ არის.

სიტყვიერით ვიდრემე მოიპოვა ფალოსიფოსობამან, ხოლო საქმიერობით — ტკივლით-მოყვარობამან (II, 225, 35); რამეთუ საყოველთაოსა და პირველსა საუკუნესა შეუცვან ყოველი ნაწილებითა საუკუნენი, და პირველსა საყოველთაოსა ეამსა — ყოველი ნაწილებითი ეამსა (II, 117, 1-2); რამეთუ საყოველთაო სული ყოვლობასა ბუნებისა და ცისასა წარმოიჩენს, ხოლო ნაწილებითი სული — ნაწილებითსა სხელსა და ბუნებასა (II, 127, 17-18); რამეთუ რაცხენი არსებებთან ი გუარნი არიან, ხოლო სული — გუარითი-გუარად გამოვნი (II, 200, 21); და არცა გამოვნი სხუა არს და არცა გამოვნი, არამედ გამოვნი-გამონებული და გამოვნი-უა-გამონე (II, 186, 22) და სხვ.

მსგავსი წინადადებები უმეტეს შემთხვევაში რთული თანაწყობილი წინადადებების მეორე ნაწილს წარმოადგენს, რომელშიც პირველი ნაწილის შემასმენელი აღარ არის გამოვარდებული. გამოტოვებული შეიძლება იყოს ყოველგვარი შემასმენელი, რომლის ადგილზეც აუცილებელია ტირე დაიწეროს. მსგავსი გამოტოვება შემასმენლებისა ქართული ენისათვის უჩვეულო არ არის და აბიტომ წინადადების აზრიც ადვილი გასაგებია; შემასმენელი წინადადებების პირველი ნაწილის მიხედვით ადვილად იგულისხმება.

შემასმენლების მიხედვით უსრული წინადადებები ძველ ქართულშიც ხშირად გვხვდება:

მისწოდნა რქანი მისნი ზღუამდე და მდინარემდე — მწერგალნი მისნი (ფსალ. 79, 12); ვითარცა უძლურთა უქმს მკურნალი, აგრეთვე უგუნურთა-სიბრძნე (სოლომ. 93, 26); უკეთურებისა მიმართ ჩჩქლ იყვენით, ხოლო გონებთა — სრულ (სოლომ. 98, 7-8); ქათამნი კაცრიელი რამჟე და კაცთმოყარულ არიან და სხუან—შემთელ და უდაბნოსს—მოყარე (ექუსთ. 94, 26); რომელნიმე მგმობარე არიან და მეტყუელ და რომელნიმე მდღესარე (ექუსთ. 94, 29).

მსგავსად აგებული წინადადებები დინამიურს ხდის თხრობას. როგორც ვთქვით, ისინი ქართული ენისათვის ჩვეულებრივია.

2. მეორე სახის უშემასმენლო წინადადებებში ჩავარდნილია არს || არიან მეშველი ზმნა, იგი შეიძლება მარტივი შემასმენელიც იყოს. ასეთ შემთხვევებში კი უფრო ხშირად შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილია. იგი ქართული წინადადების აუცილებელ შემადგენელს წარმოადგენს და ხშირად შემოკლებული, წინამაჟღერ სიტყვასთან შერწყმული სახით გვხვდება (ამის მაგალითები ხშირია იოანე პეტრიწთანაც).

რადგანაც მსგავს შემთხვევებში ქართულისათვის არს ზმნის გამოტოვება უჩვეულოა, აბიტომ ძალიან ჭირს ამგვარ წინადადებათა აზრის ერთბაშად აღქმა. ბერძნულისათვის კი ამ ტიპის უშემასმენლო წინადადებები ისევე ბუნებრივია, როგორც შემასმენლიანი. თუმცა წინასწარვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც ბერძნულ დედანში არს (ἐστί) სახეზეა, ხოლო იოანე პეტრიწის თარგმანში — გამოტოვებული. ესეც რომ არ იყოს, ამ ტიპის წინადადებები „განმარტებაშიც“ ისევე ხშირად გვხვდება, როგორც თარგმანში.

ა) ჯერ განვიხილოთ მაგალითებს, სადაც გამოტოვებული არს ზმნით მარტივი შემასმენელია გამოხატული. ამგვარ შემთხვევებში მისი ერთბაშად აღდგენა უფრო ჭირს, ვიდრე სხვა შემთხვევებში:<sup>3</sup>

ვინამ მის შორის V ცაჲ და ყოველი ნაწილი მისი (II, 52, 10-14); რამეთუ რომელნიმე მოქმედებით ოდენ Vp შორის დენასა, ხოლო არსებობა—იგივეობასა და მასევეობასა ზედა (II, 109, 32-33); ხოლო უსაზღვრო გუარობამა მათ შორის V, რომელთა შორის უსაზღვროობამა (I, 96, 10).

რბ ბბ ობსიბბბბბ. ბბ ბბ რბ რბ ობსიბბბ (Plot., CII, 2);

ვის გამოცა V მიზეზი მყოფობისაჲ, მის მიერცა და კეთილობამ (II, 82, 30); რამეთუ თითოეულისა თუთუბასა შორის V მყოფობამ თითოეულისაჲ და გონებასაცა შორის მყოფობამცა და არსებამცა: მაგრა თანზიარებით და ორეუ გონებრივ (რამეთუ მყოფობამ გონებისათვის საფონო და საუწყო V ხოლო ცხოველობამ ცნობა და საუწყო V) (I, 64, 20-23);

ხატა რბთა უბრ მარჯბბ, ხაი ბბ რბ უბ ხაი ლბ რბ რბ ხაი ხაი ხაი ხაი, ხატა მბმბბბ ხაი ხსბბბ ბხატბბბ ხაი უბ რბ ბბბ რბ ხბ ხბ ხაი ხაი ხაი, ხაი რ ლბ რ ხაი ხაი (Plot. CIII, 45-48).

<sup>3</sup> გამოტოვებული არს ზმნის ნაცლად ჩავსვამთ V ნიშანს; მის მრავლობისს ფორმას (არიან) აღვნიშნავთ Vp ნიშნით.

რამეთუ ყოფილა შორის V ცხოველობაცა და გონებაცა (I, 64, 3).

γὰρ ἔν τῷ ἑνὶ καὶ ἡ ἴσῃ καὶ ὁ αἰὼς (Plot. § CIII, 30) და სხვა.

ბ) მარტივი არს (არიან) შემასმენლის გამოტოვების შემთხვევები უფრო იშვიათია. გაცილებით ხშირად გვხვდება ისეთი უშემასმენლო წინადადებები, სადაც გამოტოვებული არს ზმნა შედგენილი შემასმენლის ზმნურ ნაწილს წარმოადგენს. შედგენილი შემასმენლის სახელადს ნაწილად შეიძლება იყოს ჩვეულებრივი ზედსართავი სახელი, ხშირად — ზედსართავი სახელის უფროობითი ხარისხის ფორმა და გაცილებით უფრო ხშირად — მიმღეობა.

რადგანაც ასეთი უშემასმენლო კონსტრუქციები არ არის ბუნებრივი ქართული ენისათვის, ძნელი ხდება აზრის გაგება. მაგრამ არს (არიან) მეშველი ზმნის აღდგენა, წინა შემთხვევებთან შედარებით, მაინც უფრო ადვილია, რადგანაც შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი ძალაუტენებურად ზმნურ ნაწილს გვაჯარაჟდებინებს.

შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი ზედსართავი სახელის დადებითი ფორმად, რიცხვითი სახელია, ან არსებითი სახელი;

ყოველი უსხეულოა უდიდო V, რამეთუ, რომელსა არა ჰქონდეს რავე სიდიდით წარმოდგომა, უცხო V ადგილისაგან: II, 52, 1; ხოლო სრული მხოლოდ კმა V თჳს შორის, მაგრა არა მზა თანმიცემად სხუათადი (I, 81, 8-9).

τὸ δὲ πλῆρες μὲν ἑσπᾶν δὲ εἰς ματῆμισιν ἔστιμιον (Plot. XCIII, 39, § CXXXI);

ხოლო რომელთა გაგონებად ერთ და იგივე V, და იყოს არსებაცა მათი ერთ და იგივე (I, 102, 8-9); ხოლო გუარნი გულისყურამისანი სამ V (ბ.კ. 108, 1).

Εἰς ἡ δὲ τῆς θυσίας τρία (Migne, 692, 12).

არ ვიდრემე სხეულ V სული (ბ.კ. 26, 20).

ἰσὺ ἄρα σῶμα ἡ ψυχὴ (Migne, 541, 30).

და ორევე ესე ერთობა V (I 126, 8).

καὶ ἐκἀπρεῖς μὲν ἐναξ ἔσται;

უსხეულოა ეინავე Vp და რიცხუნცა (ბ.კ. 29, 2).

ασῶματοι δὲ οἱ ἀρῆμοι (Migne, 545, 23-24);

რამეთუ იგივეობა V ერთი და კეთილი, და დასაბამ ყოველთა V კეთილი, ვითარ აღმოჩინა (I, 18, 17) და სხვ.

ზოგ შემთხვევაში წინადადებაში არც ქვემდებარეა წარმოდგენილი (მაშინ, როდესაც რთულ ქვეწყობილ წინადადებაში ქვემდებარის როლს მისამართი სიტყვა — ნაცვალსახელი უნდა ასრულებდეს), ასე რომ, მდგომარეობა კიდევ უფრო რთულდება:

ხოლო თუ რადმე უსაზღვრო V, უცნაურცა ჩუენგან (ბ.კ. 171, 9-10),

Εἰ δὲ ἄπειρος, καὶ ἀγῶστος ἦμιν (Migne, 809, 33-34),

Но раз беспределен, то и неизвестен для нас (Влад., 202).

რაცა ერთ თვისრულ V, ღმერთ V ზიარებით (I, 70, 11).

εἰ ἔστιν ἀνσιτῆς ἑνάξ, ἕδὲ ἔσται (Plot. CXIV, 36-37).

რამეთუ რომელსა არა ჰქონდის რავე სიდიდით წარმოდგომა, უცხო V ადგილისაგან (II, 52, 1); არამედ უკეთუ არა ნივთ V, უნივთო ვიდრემე (ბ.კ. 26, 1)

Εἰ δὲ ἰσὺ ἡ, ἄλλο ἄρα (Migne, 540, 22-23);

Если же не материя, то нематериально (Влад. 12).

შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმად ხშირად:

უზესთაეს და უფრო V საყოველთაო მამებრივი მიზეზი შემოქმედებითა მიზეზსა (II, 179, 28). რამეთუ უსაყოველთაო V მშობითი ცხოველობითა და უმხლობელს V დასაბამსა (I, 93, 28);

ὄλιγοτέρα γὰρ ἢ γυνυρική τῆς λωογινικής, καὶ ἐγχεσέω τῆς ἀρχῆς (Plot. § 155).

რამეთუ უმჯობეს V ყოველთა გონებათა განღრთობილი გონებაჲ (I, 96, 19-20)

παντὸς γὰρ οὐκ ἔχειται ὁ ἐπιεικισμὸς οὐδὲν (Plot. § LX) და სხე.

როგორც ვთქვით, ყველაზე ხშირად არს / არიან ხმელთი ნაწილი მაინც მიმღეობის ფორმასთანაა გამოტოვებული. შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად შეიძლება იყოს სასუბიექტო მიმღეობაც და საობიექტოც:

რამეთუ მეცნიერ V თვისა აობისა გონიერი სული (II, 20, 12); ხოლო ყოველი მიღმოქცევისა შემწყნარებელი ღმრთებრთა მიმდომ Vp ოდესჲ (I, 110, 28); უპირველესნი მიზეზნი უშორეს განმჯავნ Vp თვსთა ძალთა და მოქედებათა (II, 148, 25-26); თუ ვითარ განუყოფელ V მიზეზისაგან მიზეზთან (II, 105, 31); ორთავე უმსავსესნი ურთავრთას შეტებელ Vp (I, 109, 1-2)

τὰ γὰρ κατ' ἄμφω ἀόσιμα ἀσύσχετα ἀλλήλοις (Plot. § CLXXXI);

ხოლო თუ გათვთებულ Vp, განყოფილ Vp ყოველი შეურვეხლად (I, 118, 1).

καὶ εἰ γὰρ, διήρηται πάλιν ἀσύγχητος (Plot. § CXCVII);

და ესე არა ყოველი ყოველთათჳს საენოქმნილ V (I, 124, 8); ესე ვიდრე უსაზღვრობაჲდგ, რომელი შეუძლებელ V (I, 6, 18).

καὶ τῆς εἰς ἀπειρον ἑαυτὸν ἀδύνατον (Plot., LII, 17-18) და სხე.

სხვათა შორის, ამგვარი უშემასმენლო წინადადებები ხშირად გვხვდება „სინთერ მრავალთაგში“. მაგ.:

აჲ მე არღარა დღათა შორის კურთხეულ V (ტომ. იერუს: 98, 16); ხოლო აქა ძველი იგი გლია განახლებული წინაშემდგომ V და თანამზრახვალ და თანაზარ სადღემლოჲსა მის (ოქტ., 194, 8; იხ. აგრეთვე, 83, 13-15; 194, 13; 79, 14) და სხე.

პირიანი ხმნის ნაცვლად შეიძლება მასღარის ვითარებითში დასმული ფორმაც (ინფინიტივი) შეგვხვდეს, რაც, რა თქმა უნდა, ქართული ენის ბუნებას სრულეებით არ ეგუება (ამის შესახებ იხ. ქვემოთ, „ინფინიტიური კონსტრუქცია“).

როგორც ვთქვით, რადგანაც ამგვარი უშემასმენლო წინადადებები ქართული ენისათვის უცხოა, მათ შორის ერთბაშად გარკვევა ძნელი ხდება. მაგრამ თუ ვიცით იოანე პეტრიწის ენის ეს თავისებურება, მისი გათვალისწინებით ძნელი აღარ იქნება პეტრიწის ნაწერებში გზის გაკვლევა. შეიძლება ითქვას, რომ ძირითადად სწორედ ამგვარი არაქართული კონსტრუქციები აბრკოლებს იოანე პეტრიწის თხზულებათა შინაარსში გარკვევას.

## II. მიმღეობური კონსტრუქციები

1. იოანე პეტრიწის ენაში მიმღეობური კონსტრუქციის ორ სახეს გამოვყოფთ. პირველი ისეთი სახის მიმღეობური კონსტრუქციაა, რომელიც ქვეწყობილს (პიპოტაქსურს) ენაცვლება. ამგვარი კონსტრუქციული მონაცვლეობა ცნობილი ფაქტია ძველ ქართულში. დ. ჩხუბიანაშვილი თავის წერილში, „ზოგიერთი სინტაქსური კონსტრუქციის მონაცვლეობისათვის ძველ ქართულში“<sup>4</sup>, აღარებს ოთხთავის ადივისა და ჳრუჭ-პარხლის რედაქციებს. ირკიევა, რომ DE რედაქციის განსაზღვრებითს დამოკიდებულ წინადადებას C რედაქციაში ხშირად მიმღეობური კონსტრუქციის მარტივი წინადადება უპირისპირდება. ასე მაგ.:

იხილა კაცი, რომელი ჳდა საზურესა ჳდა (მ. 9, 9 DE).

მაგრამ:

იხილა კაცი, მჯღომარჳ საზურესა ჳდა. (მ. 9, 9)

<sup>4</sup> იხ. დ. ჩხუბიანაშვილი, „ზოგიერთი სინტაქსური კონსტრუქციის მონაცვლეობისათვის ძველ ქართულში“, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, 1961, გვ. 192.

ასეთივე მონაცვლეობაა „ფსალმუნთა“ რედაქციებშიც:

ალიძარნ ზღუაჲ... სოფელი და ყოველი, რაჲ არს მას შინა ფსალმ. 97,7C

მაგრამ:

ალიძარნ ზღუაჲ... სოფელი და ყოველი დამკვდრებულნი მას შინა (U).

ყურად იღეთ ყოველთა, რომელნი დამკვდრებულ ხართ სოფელსა U

მაგრამ:

მეჩრდით მე ყოველნი, დამკვდრებულნი სოფლისანი: T და სხვ.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული იმ მოსაზრების საფუძველზე, რომ პარატაქსული კონსტრუქცია ისტორიულად წინ უსწრებდა ჰიპოტაქსურს, ავტორი ასკენის, რომ მის მიერ განხილული მიმდებარე (და მასდარული) ფორმები უძველეს ფორმებად უნდა ჩაითვალოს<sup>5</sup>.

უფრო ადრე, კ. დონდუა აღნიშნავდა, რომ ჰიპოტაქსური შინაარსის ძველი („შეკუმშული“) ფორმით გადმოცემის კვალი ქართველურ ენებშიც მოიპოვება: ჰანურში, მაგალითად, ერთი ტიპის დაქვემდებარებულობა უკავშიროდ იწარმოება, კერძოდ — მიმდებარის საშუალებით<sup>6</sup>.

ამგვარად, იოანე პეტრიწის მიერ მიმდებარე კონსტრუქციების ხმარება, ჰიპოტაქსური შინაარსის „შეკუმშული“ ფორმით გადმოცემა, არ ეწინააღმდეგება ქართული ენის ბუნებას. თვალში საცემია მხოლოდ ის ფაქტი, რომ იგი ამგვარ „შეკუმშულ“ კონსტრუქციებს ძალიან ხშირად ხმარობს (ისევე, როგორც იძულებულია, ხშირად იხმაროს რთული კონსტრუქციებიც)<sup>7</sup>. რთული წინადადებების შეცვლა მიმდებარე კონსტრუქციით ერთ-ერთი საშუალებაა რთული კონსტრუქციებისაგან ენის განტვირთვისა. სამაგიეროდ ასეთი მიმდებარე კონსტრუქციები, ჩვეულებრივ, განკერძოებული განსაზღვრებებით ტვირთავს ენას. ასეთ შემთხვევაში შემასწავლელის როლს მიმდებარე ასრულებს და, ამგვარად, ზმნა კიდევ ერთხელ უკუგდებულა წინადადებად.

განკერძოებული განსაზღვრებით შეიძლება გამარტივდეს როგორც განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებები (ხშირად), ასევე — ქვემდებარული, დამატებითი.

მიმდებარე კონსტრუქცია ცვლის განსაზღვრებითს დამოკიდებულ წინადადებას (უფრო ხშირად სასუბიექტო მიმდებარე):

ხოლო ეკლესიასტე, ბუნებით მეტყველებისა შემსებნი, გამოაცხადებს აწინდელს ცხორებისა ამაოებასა (II, 226, 33); ვიწყო ქენათათ, წესსა დამცუელი არისტოტელის გამოთასა: (II, 111, 30); ხილი პლატონ, ერთყოფასასულისასა დამრავალყოფასა აღმოჩენელი, ერთად უკუე იტყუ ყოველთა სულსა (ბ.კ. 46,1);

Πλάτωνος δὲ καὶ μάλιστα καὶ πωλλὰς τὰς ψυχὰς, ἀποφαινεταί. μάλιστα καὶ ἄλλοις ναὶ παυοῖς τῶν ψυχῶν (Migne, 580, 4-5);

რამეთუ თალი, წყლისა მხოლოდ მეტყუელი ასოდ, მეცადინობს გამოჩინებად სხუათა სამთა ამისაგან ქმნილად (ბ. კ. 70, 26-27)

<sup>5</sup> იქვე, 198.

<sup>6</sup> კ. დონდუა, დამოკიდებული წინადადების განვითარების ისტორიიდან ძველ ქართულში, უნივ. შრ., 37, 1949.

<sup>7</sup> როგორც ნ. კეჭაღმაძე აღნიშნავს თავის დისერტაციაში, „კავშირის“ თარგმანში თითქმის თანაბარი რაოდენობითაა გადმოცემული ზმნა მიმდებარეობით და მიმდებარეობა — ზმნით. იხ. ნ. კეჭაღმაძე, პროვლე დიდიოზოსი, კავშირი ღმრთისმეტყველებითი, ძველი ქართული თარგმანი, საკანდ. დისერტაცია, 1948, გვ. 309.

καὶ γὰρ Θάλγῃ τὸ ἄνωρον μόνον λέγων εἶναι: πασι γένειον, περιῶται  
 θεῖον: τὰλλα τρία ὑπὸ παύσεως γίνεσθαι: (Migne, 629, 26-27);

რამეთუ ჯერ არს სხეულისა, ძალად ცხობების მქონებლისაჲ, პირველ თუთ  
 მოქმედებით ყოფად სხეულისა მის (ბ. კ. 37, 24-25)

Δεῖ δὲ τὸ σῶμα, τὸ ἰσχυρὸν ἔχον (ἐνέσταν) πρῶτον ἐναρξεία  
 σῶμα εἶναι: (Migne, 564, 13-15);

ყოველი წესი, მხოლოდობისაგან დამწყებელი, იწარმოებს სიმრავლისადმი (I, 18, 21)

πᾶσα τᾶξίς ἀπὸ μονᾶδος ἀρχιμένη πρῶτος: εἰς πληθύν: (Plot, § XXI, 7-8);

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი განკერძოებუ-  
 ლი განსაზღვრების როლში ხშირად საობიექტო მიმღეობაც არის:

არიან ერთნი, მხოლოდ ოდენ გონებით ზიარებულნი (II 167 20); ესთვე სახლი,  
 ქმნასა შორის ხილული, ვითარცა სახლ არს და არა სახლ (II, 105, 4-5) კუალად არს სხუა  
 სამარადისობაჲ, და კლებული ცხობებისაგან (II 51, 11); ყოველი სიმრავლე ერთთაჲ, ზი-  
 არებული ორასაგან გრძნობადისა სხეულისა, აღმკელის შორისი არს (I, 165, 28).

როგორც ვხედავთ, საობიექტო მიმღეობიანი კონსტრუქციები ქართულისა-  
 თვის ბუნებრივია. ამას ვერ ვიტყვით სასუბიექტო მიმღეობით შექმნილი: გან-  
 კერძოებულ განსაზღვრებებზე, მით უფრო ისეთ შემთხვევებში, როდესაც მიმ-  
 ლეობად გადაკეთებულია „მეტყველება წრის“ ზმნა:

ისიოდცა... თან მოუქმობს, მეტყუელი (II, 213, 5); ზოლო ამჟინის, „საძიებელსა  
 ამას ესრესახედ დაქვსნის, მთქუმელი, ვითარმედ. (ბ.კ., 53, 2-3). არამედ პანეტოს ფილოსო-  
 ფოსსა, წმონობითი მიმართობითი მიდრეკასა ნაწილყოფად ეგულებს, მთქუმელსა უმართ-  
 ლესისასა: (ბ.კ. 94, 11).

...ლესეთ ირმბატა.

მიმღეობური კონსტრუქცია ზოგჯერ ქვემდებარულსა და დამატებითს დამო-  
 კიდებულ წინადადებებსაც ცლის:

რამეთუ იტყვს, მსწრაფლ დამწყებელი, დასაბამსავე პირველისა წიგნისასა (ბ.კ.  
 50, 8-9) ბერძნულში არ არის მიმღეობური კონსტრუქცია:

λέγει γὰρ ἐπιμὲν ἕν αρχῆν τὴν πρῶταν βίβλιν: (Migne, 588, 30);

სულისა თქუა მორთულობაჲ, ესრეთ მთქუმელმან (ბ.კ. 31, 18); ლადღებს, მეტ-  
 ყუელი (II, 218, 20); უქმ-პყოფს მეტყუელი ესთა ტიმეოსა შორის (II, 47, 28).

როგორც ვხედავთ, თუ შემასმენელი, რომელთანაც მისამართი სიტყვა იგუ-  
 ლისხმება, წინ უძღვის მიმღეობური კონსტრუქციით შეცვლილ დამოკიდებულ  
 წინადადებას (ასეთ შემთხვევაში საზღვრულწავარდნილ განკერძოებულ განსაზ-  
 ღვრებასთან გვაქვს საქმე), წინადადება მაინც მძიმეა და აზრი ძელი აღსაქმე-  
 ლია. მაგრამ როცა დამოკიდებული წინადადების შემცველი მიმღეობა წინადა-  
 დების თავშია, ასეთი კონსტრუქცია მსუბუქია, ქართულისთვის ბუნებრივი და  
 ამიტომ ადვილად გასაგებია:

ზოლო მომხდომთა ბუნება შეუსაზღვრებელ [არს] (გვ. 144, 2-5).

2. მიმღეობური კონსტრუქციების მეორე ტიპად გამოვყოფთ ისეთ მიმღე-  
 ობიან წინადადებებს, რომელთაც მეშველი ზმნა ახლავთ თან: მარტივად რომ  
 ვთქვათ, შედგენილშემასმენლიან წინადადებებს, სადაც სახელად ნაწილად მიმ-  
 ლეობაა გამოყენებული. ავტორი, ნაცვლად იმისა, რომ აქტიური, ორგანული  
 წარმოების ზმნა იხმაროს, იყენებს აღწერიტს წარმოებას: სასუბიექტო მიმ-  
 ლეობა+მეშველი ზმნა.

სე, მაგალითად:

ხოლო რიცხვა, სამისა და ოთხისა უმეტეს, ერთითა მიხედვითა ვერ მნახველ ვართ. (ბ.კ. 77, 32).

ნაცვლად აქტიური კონსტრუქციისა — „ვერ ვხედავთ“ — ნახმარია მიმდებარეობის „ვერ მნახველ ვართ“. საქმე ისაა, რომ ამგვარ შემთხვევათა უმეტესობაში ბერძნულშიც მიმდებარეობის კონსტრუქციაა:

τὸν δὲ ἀρμαῖον τῶν θρωακῶν, τὸν ἰσῆρ τρεῖς, ἣ ἄλλα ἀρα, τὸν ἁπατῆρα πρῶτον ἰὴν καὶ ἰσραῖον (Migne, 644,45).

ასევე:

კულად მწუხარებასა სიცხისა—შორისსა და შიმშლისა შორისსა მიმთუალველ ვართ (ბ.კ. 102, 23), მომხუეწელ არს ენისაგან ყოველსა ბარბაროზებრობასა და თანამბრძოლ და შემწე და გურიან—ყოფელ ექმნების ელაღლთა ემასა (11 223, 22); ამის მიზეზისათჳს საზრდელსა და სამოსსა მოქეწე ვართ (ბ.კ. 15, 4-5) სხვ.

ასეთ შემთხვევებში, როგორც ზემოთ ვნახეთ, ზოგჯერ კოპულა ჩავარდნილია და, ამგვარად, უშემასმენლო წინადადებები წარმოიქმნება:

თვთმდგომარე ვიდრემე V ყოველი თჳსდადემ უკუნეცეად შემდე (I,32.5).

### III. ინფინიტიური კონსტრუქცია

როგორც ცნობილია, ვითარებითში დასმული მასდარი ძველ ქართულში ინფინიტივის მნიშვნელობით იხმარებოდა. ისევე, როგორც სხვა ენათა ინფინიტივი, ვითარებითში დასმული მასდარი ხშირად რთული წინადადების მონაცვლეა ძველ ქართულში<sup>8</sup>. ასეთ შემთხვევაში მისი შემცველი მარტივი წინადადება ჰიპოტაქსურ შინაარსს გამოხატავდა<sup>9</sup>.

უბრძანა მათ ცემაღ მისა პური (მრკ. 5, 43);

მაგრამ:

უბრძანა მათ, რაჟთა მისენ მას ქამაღ (იქვე).

ინფინიტიური კონსტრუქცია ქართულში გვიანდელი წარმოშობისად (თარგმნისას გამოწვეული საჭიროებით) მიაჩნიათ. როგორც საუკეთესო ლიტერატურაშია აღნიშნული, მისი, როგორც „ინფინიტივის“ ჩამოყალიბების პროცესი, ამჟამად ჩანს V—X საუკუნეების ნათარგმნი და ორიგინალური ძეგლების მიხედვით<sup>10</sup>. ასეთი ინფინიტივის ერთ-ერთი სინტაქსური ფუნქცია, რომელიც მას XII—XIII საუკუნეებში ჰქონდა შემორჩენილი, იყო მიზნის გარემოების გამოხატვა. „ამ ფუნქციის გამოხატვა ფართოდ იყო გავრცელებული ძველ ქართულში“<sup>11</sup>.

ამგვარად, სრულიადაც არ არის მოულოდნელი, რომ იონანე პეტრიწიც ხშირად მიმართავს ამგვარ კონსტრუქციას: იგი ჰიპოტაქსურ შინაარსის მარტივი წინადადებებით გადმოცემის კიდევ ერთი საშუალებაა.

მასდარი ვითარების ბრუნვაში ხშირად იხმარება ირიბი ნათქვამის ნაცვლად „მეტყველება“ წრის ზმნების შემდეგ:

<sup>8</sup> არ. მარტიროსოვი, მასდარული კონსტრუქციის გენეზისისათვის ქართულში, ივ VIII, გვ. 45.

<sup>9</sup> დ. ჩხუბიანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 194.

<sup>10</sup> არ. მარტიროსოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 42.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 45; დ. ჩხუბიანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 194.

მაშინღა ვიტყუათ ცნობად, ოდეს მიზეზნი ვითყვნეთ პირველნი (II, 42, 1-2); იტყვან აღყვანებად (ბ.კ. 45, 22); შევკალებად ვიტყუთ: ბ.კ. 55, 29

ინფინიტიური კონსტრუქციით ხშირად შეცვლილია მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება. ჩვეულებრივ, იგი იმ ზმნების შემდეგ იხმარება, რომლებიც სურველს, შესაძლებლობას, საჭიროებას, საკმარობას გამოხატავენ: შეუძლებს, ძალუც, თანა გუაძ, უტმს, სათანადო არს, საქირო არს, ჯერ არს, კმა არს და სხვ.:

შეუძლებენ ზიარებად (II 154, 4); ვერ უძლებს... თან გაყოლად (II, 133, 21); ვერ... შეუძლებს შეკრებად (II, 65, 2); შეუძლებელ არს ყოფად (I 37, 9); ძალ უც შთასლვად (I, 123, 25); ძალ უც დგომად: (II, 16, 15-16); არსად ძალ უყო ზიარებად (I, 153, 6); გუარსა თანა-გუაძ ცნობად (II, 3, 3); თანა-გუაძ გუარსა... დაჭურებად (II, 10, 7); თანა აც მას წარმოკლენად მოქმედებად (ბ.კ. 46, 27); წინა გუც ცნობად (II, 7, 24); უტმს... უტყუსუად თულა (II 94, 7); სათანადო არს აწ დაჭურებად (II, 64, 25); სათანადო არს... ცნობად (II, 6, 21); საჭირო არს... მიღებად, (ბ.კ. 13, 2); კმა არს შეკრებად (II, 65, 1-2); ეკმაების თანგანზიდვად (II, 45, 14); ვერ... ეკმა განყრად და წარკლენად (II, 59, 3) და სხვ.

ამას გარდა, ინფინიტიური კონსტრუქცია ზოგ სხვა ზმნასთანაც გვხვდება: იწყებს, აღძრავს, აღადგენს, მოვალს:

იწყო წარმოდგებად (II, 34, 17); იწყოს წარმოჩენად (II, 163, 11); აღსძრავს მოქმედებად (II, 101, 23); რამან აღძრაო... წარმოქმნად (II, 68, 23); მოვა ცვალება (II, 70, 16). აღადგენდეს შობად... და წარმოაყენებად (I, 92, 16); მეუადინეობს სული ცნობად (II, 113, 9).

ხშირად ინფინიტიური კონსტრუქცია გვხვდება მიმღებობური კონსტრუქციის შემდეგ. უფრო ხშირად მიმღებობები იმავე მნიშვნელობისაა, რაც ზემოთ დასახელებული ზმნები:

შემძლებელმან ცნობად ... მაშინ იწყოს, ოდეს მიზეზთა შორის პირველ იწყოს თვებზეა თუი (I, 111, 21); ყოველი შემდეგ უკუქცევად თვსადღე, განყენებულად იზიარების (I, 53, 2); ამღქმენლი ვნებად (I, 51, 17); არც რაჲ, მომპარჯუე ზიარებად მათად, იქმნების მზა (I, 86, 13);

აქ, როგორც ვხედავთ, ორი დამოკიდებული წინადადება მართვდება: მიმღებობური კონსტრუქციით შეცვლილია განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება, ხოლო მასდარულობით — მიზნის გარემოებითი ან სხვა ტიპისა.

მასდარული კონსტრუქციების დროსაც შეიძლება წინადადება უშემასმენლოდ იყოს წარმოდგენილი: ამ შემთხვევაში უშემასმენლის როლს ინფინიტივი (მასდარი ვითარებითს ბრუნვაში) ასრულებს:

არამედ არა ყოვლისა გამგონედ თქუმაჲ და ღაჭზრვად მისდა გონებად (I, 102, 14-16); და კულად უუეჲ, სიტყუაებრ მისისა, არა სავსეყოფად ხოფელა, არამედ ნახევარსრულად (ბ.კ. 43, 3-4).

თემცა შესაბამის ადგილას ბერძნულში ზმნა სახეზეა:

Ἐλλὰς ἔσ, κατ' ἀνδρ ὄπισθ ἡλκήρης ἕσ τὶ ν ἰ χόσμαις; (Migne, 576, 2-3);

რამეთუ არცა კვლავნებანი... არცა სხუანი რამეჲ მიმოგონებინი, ყოფად მათ შორის, ბერძნულში ზმნა არის:

ὄπισθ ἔχρ ἔχχαι... ὄπισθ ἔλλῃ τὶ ἔσν βῆσθῃ: ἔσ τὶ ν (Migne, 584, 15-17).

ხოლო ზიარებად ვიდრეჲე მორთულობისად, სული არა უჭერო თქუმაჲ (ბ.კ. 33, 1).

ამგვარი შემთხვევები იშვიათია.

განსხვავებით ინფინიტიური კონსტრუქციისაგან, მასდარული კონსტრუქცია უძველესადაა მიჩნეული. მასაც ჰიპოტაქსური შინაარსის გადმოცემა აქვს-რია. ორიოდე მაგალითს მოვიყვანთ პეტრიწის შრომებიდან:

აღსრულებასა ოდესმე თეატროსასა და ჯღომასა ვრისასა, მწეროთა წარიდრინეს (ბ.კ. 164, 1-3); და არა მცირედ მიღებთან, არამედ მყის თანავე ამლოჩენასა მზისა დისკოსასა ამა და მოფენადეა შარავანდლოთა (II, 7, 14-16).

#### IV. პასიური კონსტრუქცია

პასიური კონსტრუქცია ხშირად იქმნება ორგანული წარმოების ზმნებით. კერძოდ ერთპირიანი — ინიანი ვნებითით. ასეთ შემთხვევაში წინადადებაში მოქმედების ჩამდენი ან არ ჩანს, ან მიერ თანდებულისა სახელითაა წარმოდგენილი:

არცა ყოველი ერთგობი... და სულისგანა თან იზიარების (I, 167, 16); არ ვინათა შორის იხილვოს უხადოდ უმოქმენობა (I, 30, 16-17); ყოველი, შემდეგ უქმნებდად თქსადღე, განყენებულად იზიარების (I, 53, 2-3);

მცირეთა მიერ შემოსასხვრეა კანონი არისტოტელის „ორღანოთა“ (II, 11, 28); თვინერ მის პირველობისა მიერ არცა მოიგონებთან (II, 216, 19); მთავრად მათდა დაიდგინა (ბ.კ. 18, 30); იკლვოდა რაად ესე ვიეთ-მე მიერ ...იხილნა ვინა-მე მწერონი (ბ.კ. 163, 28-30)

ბერძნულში მედიოპასივის მიმღობა:

ფიჯესტმესიჯ ვჰრ ანთჯ სან რუსთ... მთარქვას ჯრჰიუს (Migne, 784, 19-20).

ვინა მორთო და იმუსიკელა ყოველთა მბაღისა მიერ (II, 75, 33).

ინიანი ვნებითების შემცველი პასიური კონსტრუქციები ტიპიურია იონე პეტრიწის ენისათვის. რა თქმა უნდა, ასეთი კონსტრუქცია უცხო არ არის ქართულისათვის, მაგრამ როგორც ა. შანიძე აღნიშნავს თავის „საფუძვლებში“, „ქართული ენა უმეტესად აქტიური ფორმების ენაა და პასიურ გამოთქმებში ზომიერებას იცავს“<sup>12</sup>. პასიური კონსტრუქციების ხმარება ძალიან გაიზარდა მხოლოდ უკანასკნელ ხანებში „სამეცნიეროსა და ტექნიკურ ლიტერატურაში. აგრეთვე საგაზეთო წერილებში; რაც ნაწილობრივ იმით აიხსნება, რომ ითარგმნება დიდძალი ლიტერატურა რუსულიდან და სხვა ენებიდან. ზოგჯერ პასიური ფორმები ისეთი ფუძეებისაგან იწარმოება, რომლებიც წინათ მხოლოდ აქტიურად იხმარებოდა...“<sup>13</sup> პასიური ფორმების ხმარება მეტად დამახასიათებელია ბერძნული ენისათვის. როგორც ა. შანიძე აღნიშნავს იქვე, თარგმანს „ამ საკითხში ძველადაც ჰქონდა გავლენა. მაგალითად, ძვ. ქართულში „ამოიყვანა“ ვნებითად უნდა გავიგოთ შემდეგ წინადადებაში: „ამაინ იესუ აღმოიყვანა სულისაგან უდაბნოდ“ (მათ. 4, 1 ჯრ. -პარხ.), რაც ბერძნული გამოთქმის ზუსტად გადმოცემის ბრალია:

Τότε ἦ Ἰησοῦς ἀνήχθη εἰς τὴν ἔρημον ἵνα τὴν πνεύματος.

მაგრამ იმავე ფუძის ზმნასხვა პრევერბით მოქმედებითაა აქ:

„და მეყსულად სულმან განიყვანა იგი უდაბნოდ“ (I, 12)<sup>14</sup>.

ამგვარად, პასიური კონსტრუქციების ხშირი ხმარება იონე პეტრიწის ენაში ბერძნული ენის გავლენითაა გამოწვეული.

<sup>12</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 309, § 367.

<sup>13</sup> იქვე, § 367.

<sup>14</sup> იქვე, § 367, შენიშვნა.

V. „და“ კავშირის ხმარება „ც“ ნაწილაკის მნიშვნელობით<sup>15</sup>

ნ. კეჭელაძე თავის დისერტაციაში იოანე პეტრიწის, როგორც მთარგმნელის, თავისებურებად თვლის იმას, რომ იგი და კავშირის ხმარობს ქართულისათვის უჩვეულო მნიშვნელობით: „ბერძნული ენის გავლენა ხშირად იჩენს თავს კავშირის მოხმარებაში. ცნობილია, რომ ბერძნული *χαί* ორმხრივია და უდრის 1) „და“ კავშირს და 2) „ცა“ ნაწილს. ძალიან ხშირად ეს განსხვავება ჩვენი მთარგმნელის მიერ სწორად არის გაგებული. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ბუნებრივად თავს იჩენს ბერძნულის გავლენა და მთარგმნელი შეუცნობლად გადმოგვეცემს მას „და“-თი იქაც, სადაც ეს ქართულისათვის სრულიად ზედმეტია“<sup>16</sup>. ცხადია, ასეთ შემთხვევებში ბერძნულის გავლენა აშკარაა. მაგრამ ისიც ცხადია, რომ, იოანე პეტრიწს ყველა შემთხვევაში სწორად აქვს გაგებული *χαί* -ს მნიშვნელობა: მაშინაც, როცა მას და კავშირით თარგმნის და მაშინაც, როცა ც ნაწილს თარგმნის. ამ უკანასკნელი მნიშვნელობით ხმარება და კავშირისა შემთხვევითი არ არის: ამის შესაძლებლობას იძლევა თვით ამ კავშირის ძირითადი ფუნქცია: მისი მნიშვნელობა, როგორც ერთგვარ წევრთან მაკავშირებელისა, რამდენადმე იგივეობის გაგებასაც მოიცავს. ამას გარდა, მისი „ც“ ნაწილაკის მნიშვნელობით ხმარებას, როგორც ჩანს, იმანაც შეუწყობ ხელი, რომ ქართულში და კავშირის ნაწილაკის ფუნქციით ხმარება, საერთოდ, უჩვეულო არ არის. ამ უკანასკნელი შემთხვევების შესახებ უფრო ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, ახლა კი განვიხილავთ და კავშირის „ც“ ნაწილაკის მნიშვნელობით ხმარების შემთხვევებს.

1. „ც“ ნაწილაკის მნიშვნელობით და კავშირის იოანე პეტრიწი მართლაც ძალიან ხშირად ხმარობს.

ა) შემთხვევათა უმეტესობაში იგი შესაბამის სიტყვას „ც“ ნაწილაკსაც ურთავს და, ამგვარად, ასეთ შემთხვევაში, თუ შეიძლება ითქვას, გრამატიკულ პენდიანდისთან გვაქვს საქმე:

ვინაჲ ესევე სიტყუაჲ და ვაშლსაცა ზედა (ბ.კ. 79, 28).

ნ ანბძ ღნყჲ და ი ზი თმ მჩღთ (Migne, 645, 35);

არამედ არტიტელი და მესტეთსაცა შემოიღებს სხელსა ეთერისასა (ბ.კ. 68, 26-27),

\*Αριστοτέλης δὲ καὶ πέμπτον εἰσάγει σῶμα, τὸ αἰθέριον (Migne, 625, 29);

ამისათვის უკუე და კმა ესეცა (ბ.კ. 23, 16).

პერი μὲν οὖν τῆς αἰ, ἰχανὲ καὶ τῆς α (Migne, 536, 9);

ყოველი, რომელიცა გონებისადა ზიარებულ არს, და ცხოვლობისადაცა ზიარებულ არს (I, 63, 8-9.)

პῶς γὰρ οἷς νῆς μέτεσσι, καὶ ζῶης μέτεσσι (Plot., § CI) და სხვ.

ამ მნიშვნელობით და კავშირი ხშირად გვხვდება არა მარტო თარგმანში, არამედ ორიგინალურ თხზულებაშიც — „განმარტებაში“:

მუნცა და პირველი უსწიერებაჲ (II, 76, 31-2); განიწილებს და ძლითაცა (II, 128, 11); შესწავლვ და ესეცა (I, 16, 14); იყვენ და მრგულნიცა (II, 85, 7-6) და სხვ.

<sup>15</sup> ამ საკითხის შესახებ იხ. ნ. ყაუხჩიშვილი, გიორგი ამარტოლის ხრონოგრაფის ქართული თარგმანი, ნაწ. II, 1926, გვ. 21-22; კ. კეკელიძე, ქართული თარგმანი გიორგი ამარტოლის ხრონოგრაფისა, ეტრუდები, I, 1956, გვ. 255.

<sup>16</sup> ნ. კეჭელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 255.

ნაწილაკის ფუნქციით ნახმარი „და“ ხშირად ვე ნაწილაკთან ერთად გვხვდება. შეიძლება მათ ვ ნაწილაკებიც ახლდეს თან და, ამგვარად, ერთი და იმავე შინაარსის გადმოსაცემად სამი ერთეული მოგვევლინოს: ვე ნაწილაკი იხმარება მაშინ, როცა შედარებაა გადმოცემული.

### ვე+და+ც:

ვითარცა-იგი ბიჯებამ სულითი არს, და ეგრეთვე სულისკუთადაცა: (ბ.კ. 120, 17-18); ესრეთვე და გრძობადნიცა ყოველნი (I, 104, 2); ნაწილებითნი, ვითარ უსახურეს, ესთავე და შორსცა (II, 120, 8); მსგავსადვე და სულსადაცა (ბ.კ. 13, 24-25) და სხვ.

### ვე+და:

ეგრეთვე და რომელობისა მსგავსი (ბ.კ. 19, 7); ეგრეთვე და სრული (I, 22, 12); ესთავე და მიიღებენ და ეეთობასასა (II, 35, 28); ეგრეთვე და ძალი (II, 18, 14) და სხვ.

ბ) უფრო იშვიათია შემთხვევები, როდესაც ვ და ვე ნაწილაკების მნიშვნელობით მხოლოდ და გვხვდება:

სადათ წარმოშობამ თვითულისამ. მისდა და შერაბამებული უეუნქცევიამ (I, 101, 3); (და-ვე) ხოლო ვეთთვე, რომელთაჲნი არს და პლოტინოს (ბ.კ. 4, 1) (და-ც); ემძლურეს და მსგავსად თსდადნი და თანტომასა (I, 70, 1-2),

ἤξειται καὶ ἴσται παρὰ αὐτὸ καὶ σαγῆσιν (Plot., § CXIII) და სხვ.

ცხადია, *καὶ (-ც)*-ს მნიშვნელობა ხშირად ოდენ ვ ნაწილაკითაცა ხოლო მე გადმოცემული:

თუ რამე უსაზღურო [არს], უცნაურცა ჩუენგან (ბ.კ. 17).

εἰ δὲ ἀπειρισ, καὶ ἀγνοῦται ἦμῖν (Migne, 809, 32).

2. და სხვა მნიშვნელობებითაც შეიძლება იხმარებოდეს:

ა) ბერძნულში *καὶ* იხმარება ხარისხის სახელებთან და მაშინ მას გამაძლიერებელი მნიშვნელობა აქვს: ვ — კი, კი (даже). ასეთ შემთხვევებშიც იგი ხშირად და-ს და ვ ნაწილაკის კომბინაციითაა გადმოცემული:

რამეთუ იყენეს და უფროასლა ხოლო და არიან აწცა (ბ.კ. 12, 16).

Ἦσαν ἄρ' ἀλλῶν ἐν εἰσὶν ἐν καὶ ἑν (Migne, 516, 16) უფროას ხოლო და მყოფადცა (II, 142, 24).

სხვა შემთხვევაშიც შეიძლება მას „*ვ-კი, კი დე ვა*“ ნაწილაკების მნიშვნელობა ჰქონდეს:

ხოლო ღალინოს სულისათს უეუ არას განაჩინებს, არამედ და წამებსცა (ბ.კ. 33, 4).

...ἀλλὰ καὶ διαμαρτυρεται (Migne. 553, 23);

И даже сам удостоверяет (Влад., 49, 37);

რამეთუ შედგა რამ და ერთ იქმნა: (II, 164, 16) (=კიდევაც): რამცა გაივონა და ქმნა (II, 188, 30), (=კიდევაც „რაც, იფიქრა, გააკეთა კიდევაც“)

ბ) ხშირად ვ ნაწილაკის მნიშვნელობით და თან სდევს არამედ კავშირს:

ἀλλὰ—καὶ ἢ—II

მოქმედებენ არა ხოლო სულ-ერად, არამედ და ღმრთივცა (I, 120, 18)—  
ἐνεργῆσαν ἐν ψαυχῶν ἄνθρωπος, ἀλλὰ καὶ ἐν εἰσῶν (Plot., § 661).

ხოლო კაცი მხოლოდ არა სიტყვურ ოდენ არს, არამედ და ცხოველცა (ბ.კ. 16, 20):  
 ἄνθρωπος, ὁ μόνος ἔστι λογικόν, ἀλλὰ καὶ ζῷον (Migne, 521, 23).

გ) გინა თუ და, — „თუნდაც“, „კიდევ რომ“:

... განვიშარნეთ ჩუენგან, გინა თუ და მარჯულობდეს ბოროტი, გინა თუ და მარ-  
 ტულოს (II, 207, 23-24);

დ) ხშირად ნაწილაკის ფუნქციის მქონე და გვხვდება პირობითი დამოკი-  
 დებული წინადადებების მთავარ წინადადებაში. „მაშინ“ მისამართი სიტყვის  
 ადგილას: თუ... და.

ἐάν ... καὶ, εἰ ... καὶ, εἰ καὶ—το,

არამედ თუ რადმე მებრ გუარითა განყოფილება შეიცვალოს, და ცხოველიცა ვიდრემე  
 შეიცვალოს (ბ.კ. 38, 18);

Ἐάν γάρ ἦ κατὰ τὸ εἰς διαφορά μεταλλαγή, μεταλλάττεται: καὶ τὸ ζῷον  
 (Migne, 565, 42);

თუ არა განეკმალოს, და ესეცა შეემთხუეს მას (ბ.კ. 36, 9); და თუ ესრეთ, და არსები-  
 საცა მეზიარე (I, 113, 30);

Εἰ δὲ τῆς, καὶ ἰστίας μετέχον (Plot).

ხოლო თუ იუწყოს მიზეზი, და წარმომადგენელი უპირატესი თვის იუწყოს (I, 100, 25)  
 და სხვ.

ასეთ შემთხვევებში და-ს წინ აუცილებელია მიმის დასმა.

ზოგჯერ ბერძნულში καὶ არც არის ნახმარი:

ხოლო თუ არს თვითი, იყოს და პირველ მზიარებელიცა მისი (17, 25)—

Εἰ γὰρ ἔσται τὸ αὐτὸν, ἔσται τὸ πρῶτον αὐτὸν μετέχον (Plot., § VI).

ასეთი შემთხვევები ბევრია.

ამგვარი ბერძნობის მაგალითები არა მარტო პეტრიწთან გვხვდება. და  
 კავშირს ც (და ვე) ნაწილაკის მნიშვნელობით ბერძნული დედნების გავლენით  
 ზოგჯერ გიორგი მთაწმიდელთან და ეფრემ მცირესთანაც ვხვდებით. ასე მაგ.

და ამის მიერ არა ხოლო თუ უხილავ ხოლო იყო ქუეყანა, არამედ და განუშაადებელცა  
 (ექუსთ. 18, 16-17) შდრ. ექ. დღ. ქართ. თარგმანი: და არა თუ ამით ოდენ იყო უხილავ  
 ქუეყანა, არამედ განუშაადებელცა იყო იგი (32, 8-9), რომლისა არს თესება იგი, ვერათვე და  
 სიგმელეცა თვის არს ქუეყანისა (ექუსთ. 46, 27); ვერათვე და წყალნიცა: (ექუსთ. 45, 2-3),  
 არა ხოლო ვიტყვოდენ, არამედ და დავამტკიცებცა (ექუსთ. 92, 23); რომელმან მოგუმაღლა ჩუენ  
 სიბრძნეთა განცდად... მანვე მოგუანიჭენ და დიდაგანცა უღარესისა გულისწმის-ყოფისა მოგ-  
 ბად (ექუსთ.) შდრ. ექ. დღ.: რომელმან იგი მოგუანიჭა ჩუენ გულისწმის-ყოფად ... მოგუანიჭენ  
 ჩუენ დიდაგანცა განზრახვად დიდი (95, 5-8); სხვა და სხვა დასაბამისა და მიზეზისაგან იყ-  
 ნენ და კეთილიცა და ბოროტიცა (პ. იბ. 49, 7) და სხვ.

ე) ცნობილია, რომ და გარდა მათრთებელი კავშირისა, ქართულშიც შეიძ-  
 ლება ნაწილაკის ფუნქციითაც იხმარებოდეს<sup>17</sup>. იგი გვხვდება დართული აგრეთ-

<sup>17</sup> იხ. ქართული განმარტებითი ლექსიკონი, ტ. III, 1953, გვ. 2.

ვე კავშირებსა, ზმნისართებსა და ნაწილაკებზე: არა-და აქაო-და, ვითომც-და, თითქოს-და, მართლაც-და...<sup>18</sup>

ასეთი ფუნქციით იგი გიორგი მთაწმიდელთან და ეფრემ მცირესთანაც გვხვდება:

არიან უკუე და ჩუენ შორისცა (ექუსთ. 107, 35); ნუ უკუემცა და ვითარ სადათ მიილო ღირსი გულისჯმის-ყოფაჲ ღმრთისაჲ (ექუსთა, I, 15); ნუ უკუე და მრავლად გამოძიებასა შენსა სიტყუა იობისი შეეხოს (ექუსთ. II, 17); ნუ უკუე და თქუას ვინმე (პ. იბ. 19, 7); კინდა და ოთხმოციასა წლისამან იხილა ღმერთი (ექუსთ. 81, 15) და სხვ.

ამგვარი გაიოყენება, როგორც ჩანს, და-ს ცოცხალ მეტყველებაში უნდა ჰქონოდა. იოანე პეტრიწს ცოცხალი მეტყველებიდან ბევრი რამ შემოაქვს სამწერლო ენაში. ასევე იქცევა ამ შემთხვევაშიც:

მერმეცა უკუე და სული წინაღმდეგომ არს სხეულისა (ბ.კ. 32, 10); მოიღე და სხეცა უპოთ სიციხისათჳს (II, 8, 10); მოიღე და იყოს ნამდულ მყოფი (II, 130, 27); (=მოიღე და...); მოიღე სახედ იგივე რიიხჳ, იყოს და ხუთი (II, 24, 14) და სხვ.

\* \* \*

ამგვარად, ზემოვანხილული ზოგი ტიპის უშემამენლო წინადადება, მიმღეობური კონსტრუქციის ზოგი სახე (თუმცა მიმღეობური კონსტრუქცია ქართულში უძველესადაა მიჩნეული) და ინფინიტიური და პასიური კონსტრუქციების ხშირი ხმარება ბერძნული ენის გავლენით უნდა აიხსნას. ასევე, და კავშირის „ც“ ნაწილაკისა (და მსგავსი მნიშვნელობით) ხმარება, ცხადია, ბერძნულ კონსტრუქციათა გავლენით აიხსნება (მიუხედავად იმისა, რომ ქართულშიც არის საფუძველი და კავშირის ნაწილაკის ფუნქციით ხმარებისა).

ზემოჩამოთვლილ სხვა თავისებურებებთან ერთად, ხშირად სწორედ ამგვარი, ქართული ენისათვის არადამახასიათებელი (ან ნაკლებ დამახასიათებელი) და არაბუნებრივი კონსტრუქციების არსებობა არის იმის მიზეზი, რომ იოანე პეტრიწის ენა ძნელი გასაგებია.

#### შემოკლებანი

1. I—იოანე პეტრიწის შრომები, I, პროკლე დიადოხოსისა პლატონურისა ფილოსოფოსისა კავშირნი, ქართული ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სიმ. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1940.
1. II—იოანე პეტრიწის შრომები, II, განმარტება პროკლესთვის დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფოსისათჳს, ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1937.
3. ბ. კ.—ნემსიოს ემესელი, ბუნებისათჳს კაცისა, ბერძნულითგან გადმოღებული იოანე პეტრიწის მიერ. ქართული ტექსტი შეისწავლა, გამოსაცემად დაამზადა და ლექსიკონ-საძიებლები დაურთო ს. რ. გორგაძემ, ტფილისი, 1914.
4. ექ. დღ.—ბასილი კესარიელი, „ექუსთა დღეთათჳს“, უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთათჳს“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათჳს“, X-XIII სს. ხელნაწერთა მიხედვით გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი, 1964.

5. ექუსთა — ბასილი დიდი, „ექუსთა დღეთაჲ“, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. კახაძემ (მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 1), თბილისი, 1947.
6. მ. — (მათე) ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული რედაქციის მიხედვით, გამოსცა ა. შანიძემ, თბილისი, 1945.
7. მრკ. — (მარკოზ), იხ. მ.
8. ოქრ. — საკითხავი, თქმული იოვანე აქროპირისა, სინური მრავალთავი 864 წლისა, აკაკი შანის რედაქციით, წინასიტყვაობითა და გამოკვლევით, თბილისი, 1959.
9. პ. იბ. — პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, ეფრემ მცირის თარგმანი, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ს. ენუქაშვილმა, თბილისი, 1961.
10. სოლომ. — თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისი, დაწვებითათჳს სოლომონის ივათაჲსა, ექვთიმე ათონელის თარგმანი, ტექსტი დაბეჭდა და გამოკვლევა დაურთო თ. ქყონიამ, იხ. „ძველი ქართული მწერლობის ი.თხი ძეგლი“, 1965.
11. ფხალმ. — ძველი ქართული ენის ძეგლები, ფხალმუნის ძველი ქართული რედაქციები, X-XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა მზ. შანიძემ, I, ტექსტი, 1960.
11. Влад. — Ф. Владимирский, Немезий, епископ эмесский, „О природе человека“ пер. с греческого.
13. Лос. — აღნიშნულია ფ. ა. ლოსევის მიერ პროკლე დიადოხოსის „კავშირის“, რუსულად თარგმნილი ტექსტი, ხელნაწერი.
14. Migne — Νεμεσιου ἐπιστοπια Εμεσις, Περι φυσικῶν ἀνθρῶπων, Patrologiae cursus completus, series graeca, edit. S. P. Migne, 1858, pp. 505-818.
15. Plot. — Πρὸς τὴν Διὰ δέχτου πλάτωνιου Στοιχειώσεως μελετητικῆ, Plotini, Enneades, Parisiis, MDCCCLV, pp., LI-CXVII.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა შ. ძიძიგურმა)

ნინო შალაგზერიძე

**„ღაბაღმბისათჳს კაცისას“ გიორგი მთაწმიდლისეული  
თარგმანის საბუნებისმეტყველო-სამედიცინო ტერმინოლოგია**

ქართული ფილოსოფიური, კერძოდ სამედიცინო-საბუნებისმეტყველო ტერმინოლოგია დიდად არის დავალებული იმ ენებისაგან, რომლებიდანაც უამრავი ლიტერატურა ითარგმნებოდა. ერთი რიგი ლექსიკური ერთეულებისა უთარგმნელად შე, მოდიოდა, ასეთებია: არტირია (205v), დაფნა (207r), ეთერი (131v), ნოტია (152v)-ორლანო (134r), სტომაქი (157v) და სხვ.; მეორე რიგი კი სათარგმნი ენის ლექსიკის გავლენით, მისი ანალოგიით ქართული ენის ლექსიკური და გრამატიკული საშუალებების მიხედვით იქმნებოდა და ყალიბდებოდა.

საინტერესო ვითარებაა ამ მხრივ „დაბადებისათჳს კაცისას“ გიორგი მთაწმიდლისეულ თარგმანში.

ძველში უხვად არის წარმოდგენილი სამედიცინო-საბუნებისმეტყველო ტერმინები, რომლებიც შეიძლება შემდეგნაირად დავაჯგუფოთ:

I ჯგუფში გავეთიანეთ ტერმინები, რომლებიც აღრიდანვე არსებობდნენ ჩვენს ენაში და სიახლის იერს არ ატარებენ. აქ შედის მარტივი სიტყვებიც, წარმოებულიც და თხუელიც. უძველეს თარგმანთან<sup>1</sup> (VIII-IX სს-ისა, ილ. აბულაძის გამოც.) შედარებამ ცხადყო, რომ ამ ჯგუფის ტერმინები საერთოა ორივე თარგმანისათვის, ჩანს, რომ მათ, როგორც ტერმინებს VIII-IX საუკუნეებისათვის უკვე მოქალაქეობრივობა ჰქონიათ მოპოვებული (ასეთებია, მაგალითად, გული, ფირტუ, განმრავლება, ჭამაღი, გემოთ-მოყუარება, გემოას ხილვა და სხვ.).

II ჯგუფში თავსდება ტერმინები, რომელთა წარმოშობა გაპირობებულია საბუნებისმეტყველო-სამედიცინო აზროვნების განვითარებასთან დაკავშირებით და რამდენადაც განსაზღვრული საჭიროებისათვის არიან წარმოებულნი, ისინი ყველაზე მეტად ატარებენ ტერმინის იერს<sup>2</sup>.

საერთოდ ჭირს I და II ჯგუფის ტერმინ-ლექსიკურ ერთეულთა შორის ზღვარის დაღება და თითქმის შეუძლებელიცაა იმის ზუსტად დადგენა, თუ რომელ ჯგუფს მიეკუთვნება ესა თუ ის ტერმინი—მისი შექმნა საბუნებისმეტყველო აზროვნებასთანა დაკავშირებული, თუ უფრო აღრიდნულ ეპოქებშია ენის ლექსიკაში

<sup>1</sup> უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთასა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა ავებულებისათჳს“, X-XIII სს-ის ხელნაწერთა მიხედვით გამოისცა, გამოკლევია და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ, თბ., 1964, გვ. 137-273.

<sup>2</sup> სათარგმნი თხუელებაში ხელავენური ტერმინების წარმოების საკითხს ეხება ნ. კეკელიძე. განიხილავს რა იოანე პეტრიწის ენის საკითხებს, ავტორი აღნიშნავს, რომ ხელოვნური წარმოება ენაში მოქმედ კანონებს ემყარება, მაგრამ გაცილებით უფრო გავრცელებულად, ვიდრე ეს ჩვეულებრივ ქართული ენისათვის არის დამახასიათებელი. იოანე პეტრიწის ენის საკითხისათვის, თსუ შრ., 51, 1953, გვ. 244—246.

ტერმინთა შექმნის ეს ხერხი, როგორც დაეინახეთ, პეტრიწამდე ყოველთა ცნობილი ქართველ მთარგმნელთათვის.

დამკვიდრებული. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც შევეცადეთ I ჯგუფისაგან ცალკე გამოგვეყო II ჯგუფის ტერმინები, როგორც სპეციფიკური და დამახასიათებელი სამედიცინო-საბუნებისმეტყველო აზროვნებისათვის.

ტერმინები II ჯგუფში შემდეგი ნიშნების მიხედვით ვაგვიერთიანეთ: 1. ანგარიში ვაგუწიეთ ახალ შინაარსს, ახალ ნიუანსს; 2. II ჯგუფში შემავალი ტერმინები ხშირად აბსტრაქტულობას გამოხატავენ; 3. წარმოქმნილი სიტყვა ხშირად ხელმოვრედა ნაწარმოები; 4. ჭარბადაა გამოყენებული მაწარმოებლებად მოქმედებითი ბრუნვის -ით და ვითარებითი ბრუნვის -ად ნიშნები, აგრეთვე თანდებულუბი -გან, -იერ; 5. კომპოზიტები ხელოვნურ იერს ატარებენ.

იმის გარკვევით, თუ რა მიმართებაშია ჩვენი ძეგლის II ჯგუფის ტერმინები ბერძნულ დედანთან და უძველეს თარგმანთან, ცხადი გახდება გიორგი მთაწმიდლის ცდა და რულუნება ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის გამდიდრება განვითარებისათვის.

ტერმინთა ერთი ნაწილი ორივე თარგმანს ერთგვარი აქვს: ბუნებითი (198r 152<sub>2</sub>); ვნებადი (161v, 177<sub>12</sub>); ნივთიერი (151v, 175<sub>13</sub>); გორციელი (38v, 156<sub>36</sub>) და სხვ. (ბერძნ. *φύσις*; *τὸ ἐπιπέδον*, *ἰσχυρὸς*; *συναγωγὴ*); ე. ო. ეს ტერმინები უკვე დასტურდება VIII-IX საუკუნეების ქართულ საბუნებისმეტყველო ლექსიკაში.

ტერმინების შექმნის დროს გიორგი მთაწმიდელი ბერძნულს ეყარება და ცდილობს ზუსტად გადმოსცეს შინაარსი ქართული ენის საშუალებებით. ამისათვის იგი მიმართავს:

ა) ზუსტ თარგმანს. ასეა მიღებული ბერძნულის კალკი კომპოზიტები: მრავალ-ნაწევარი (144v) — *πλυστοιχῆσι*; მრავალ-ნაწილი (144v) — *πλυσμερῆς*; გორც-მრავალი (170r) — *πλυσπερῆσι*; ბუნებათა მეტყუელება (126r) — *ψευδομαθῆσι*; მიზეზთ მეტყუელება (151v) — *αὐτομαθῆσι*. ეს ტერმინები სულ არ გვხვდება უძველეს თარგმანში.

ბერძნული *ἡ ἀνεύρεσις* „სიმკვრივეს“ აღნიშნავს და უძველეს თარგმანში ეს სიტყვა კიდევ დასტურდება. მთაწმიდელი ამ სიტყვას „წინააღმდეგობა“ (202v) „წინააღმდეგობა“-თი (182v) თარგმნის და უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში აბუნდოვანებს აზრს.

ბ) გიორგი მთაწმიდელი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, იყენებს ხელოვნურ წარმოებას, რომელიც არც უძველესი თარგმანისათვის არის უცხო: ბუნებითი (198r); უძვ.—152<sub>2</sub>; ვნებადი (161v); უძვ.—177<sub>12</sub>; მკურვალეობა (202r); უძვ.—169<sub>22</sub>; თესლოვნება (198r);—უძვ. განთესულობა (217<sub>22-23</sub>).

ტერმინის შესაქმნელად საწარმოქმნო აფიქსების ჭარბად გამოყენება, ჩანს, საერთოდ ჩვეული ყოფილა ქართულისათვის, მაგრამ უძველეს თარგმანთან შედარებით ასეთი წარმოების ტერმინები გაცილებით მეტია გიორგი მთაწმიდლის თარგმანში. აღსანიშნავია, რომ იგი ხელოვნურ წარმოებას მიმართავს მაშინაც, როდესაც არც არის ამის საჭიროება.

გიორგი მთაწმიდელი

მოზარდობა (154v)

ფეროვნება (207v)

ვმეანობა )141v)

უძველესი თარგმანი

მოზარდი (230<sub>15</sub>)

ფერი (228<sub>3</sub>)

ვმა 158<sub>32</sub>) და სხვ.



გიორგი მთაწმიდლის ტერმინების ხელოვნური იერი ბერძნულის გავლენით არ აისნება. ეს *μορφή*, ერთგვარი უფლებით შეიძლება ითარგმნოს „მოზარდი-თ“ და „მოზარდობ-ით“; *ἡ γράμα*, *αἴμα* — „ფერი“ და „ფეროვნებით“; *ἡ φήμη* *ἡ φωνή* — „კმით“ და „კმეანობით“.

ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში გიორგი მთაწმიდელი ხელოვნურ ფორმებს იმიტომ მიმართავს, რომ ტერმინებს სპეციფიკური, დარგობრივი ნიუანსი მი სცეს.

განსაკუთრებული, სპეციფიკური დარგობრივი მანიშნელობისაა გიორგი მთაწმიდლის თარგმანისათვის დამახასიათებელი რამდენიმე ტერმინი, რომლებზედაც განსაკუთრებით გვინდა ყურადღება შევაჩეროთ.

### 1. სპანელი

„საქანელი ცათანი“, საბას განმარტებით, „კარად ითქმის, გინა სარკმლად“; ნ. ჩუბინაშვილით „საქანელი ცათანი წყალთ გამოსადინელი პირი, ანუ ჩამომჩქერვალე“; დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში დამოწმებულია „ქანარა“, „ქანარი“, რომლებიც ავტორის სპარსულ ს. ტყეყეზად მიანინა და ასე განმარტავს: „ნაღარასავით საკერელი“, „труба музыкальная“. სავიჭრებელია, რომ „საქანელსა“, „ქანარასა“ და „ქანარში“ ერთი საერთო „ქან“ ძირი გამოიყოფა. ამას მხარს უჭერს ჩვენი ტექსტისეული „საქანელი“, რომელიც აშკარად ღრუიანი მილის, სანათურის აღმნიშვნელია, „ნესტუს“ სინონიმი, იხმარება „ნესტუსთან“ შესიტყვებაშიც და მასთან სინონიმურ წყვილსაც ქმნის. გიორგი მთაწმიდელი „საქანელით“ თარგმნი ბერძნულ *ἡ σπῆρα*-ს და *ἡ σπῆρα*-ს, ხოლო უძველეს თარგმანში შესაბამისად იხსმარება ტერმინები: ნესტ (164<sub>ა</sub>), განსავლი (164<sub>ბ</sub>), საღინელი (227<sub>17-11</sub>).

გიორგი მთაწმიდელი:

გარდარულთა მწუხარებათაგან დაივშვიან და დაყოფვიან ნესტუნი და საქანელი ნუგამისანი (147r),

... ἡ σπῆρα ἡ σπῆρα καὶ ἡ σπῆρα καὶ ἡ σπῆρα καὶ ἡ σπῆρα... (157D<sub>15</sub>)

უძველესი:

ვითარმედ ნესტუნი იგი განსავალი ნანემარტნიან და შვკრბიან (164<sub>ა</sub>).

გიორგი მთაწმიდელი:

დაფარულთა მათ საქანელთა თულთა მიმართ გამოცეს წარბთა შექმუხვითა მიზიდული და ნესტუთა მათ მიმართ თულთაგან გამოვიდის სახედ წუეთთა (148r),

ἡ σπῆρα ἡ σπῆρα καὶ ἡ σπῆρα καὶ ἡ σπῆρα καὶ ἡ σπῆρα καὶ ἡ σπῆρα... (160C<sub>5</sub>).

უძველესი:

განსჯის იგი განსავალითაგან თულად შემქუთითა და მოზიდვითა წარბთათა, შთამოვიდის ნოტიუბად იგი და დასწუთის 165<sub>17-18</sub>).

გიორგი მთაწმიდელი:

რათა არა სიწრფელთა მით საქანელი სავით ადვილად განსთხვედეს (205v),

ὡς ἂν μὴ ἡ σπῆρα ἡ σπῆρα καὶ ἡ σπῆρα καὶ ἡ σπῆρα καὶ ἡ σπῆρα... (249A<sub>12-13</sub>).

გიორგი მთაწმიდელი:

წულოლსა მას და წიდასა საქანელთა რათმე მიერ მიუტუალებს ბქეთა მიმართ ღქლასათა (205v),

... ἡ σπῆρα ἡ σπῆρα καὶ ἡ σπῆρα καὶ ἡ σπῆρα καὶ ἡ σπῆρα... (249A<sub>7</sub>),

უძველესი:

და წულოლი იგი მიიწიის საღინელთაგან თუსთა ღქლად (227<sub>10-11</sub>);

„საქანელი“ გვხვდება აგრეთვე გრიგოლ ნოსელის თხზულების „მაკრინას ცხოვრების“ ექვთიმე მთაწმიდლისეულ თარგმანში<sup>3</sup>, სადაც იგი წყაროს მიღს თუ კალაპოტს აღნიშნავს:

ვითარცა წყაროა რამე შთა საქანელსა მდინარე (70v).

## 2. ნასხმანი, ნახმარი, ზნაღვანი || ზღვამღვანობა

ამ სიტყვებს, როგორც სამედიცინო ტერმინებს, დღევანდელი ქართული არცნობს, არც ძველ ქართულში ყოველიან ისინი პოპულარული. ვფიქრობთ, ესენი ტიპობრივი სამედიცინო ტერმინებია, სწორედ სამედიცინო-ბიოლოგიური ტერმინების წარმოშობასთან დაკავშირებულნი და მოცემული ეპოქისათვის იძლედა ახალი, რომ ჯერ კიდევ არ მიუღიათ კონკრეტულობა და, შესაძლოა, სწორედ ამის გამო ისინი ხშირად სინონიმურ წყვილებად და ერთიმეორის ადგილასაც იხმარებიან. არსებულ ლექსიკონებში ეს სიტყვები შემდეგნაირადაა განმარტებული:

ნ ა ს ხ მ ა ნ ი :

საბა: „ნასხამი—ასოთ-ასო მიბმული“.

„ნასხმანი“, „ნასხამის“ მრავლობითი ფორმაა („ნასხამნი“ მეტათეზისით „ნასხმანი“), ფორმით წარსული დროის მიმღეობა.

ნ. ჩუბინაშვილი: „იგივე ნაწევარი, სახსარი ასოთა, ნასხამი ძვალთა — „состав костей“.

ს. გორგაძე<sup>4</sup>: „ნასხამნი—артерія, мускул“.

მ. კახაძეს „ექუსთა ღლეთას“<sup>5</sup> გიორგი მთაწმიდლისეულ თარგმანში დადგენილი აქვს ამ სიტყვის შემდეგი მნიშვნელობები:

1. ნასხმანი—ნაკეცი, ნაოჭი ოქსის. *ნაჟცა*.

2. ნასხმანი—სახსარი—*ნაჟრავა*.

3. ნასხმანი—ასო, კიდური—*ნაჟსო*.

ჩვენს ტექსტში ამ სიტყვის შემდეგი მნიშვნელობები დასტურდება:

ა) ასო — *ნაჟრავა*.

ქელისა მიმოკვეთა და თვისა მოდრეკა და აღმართება და წუერთა იგი მოძრავობა და საქმე და წამთა იგი ახუმა და განღება და დაწვება... და სხუთა მათ ნასხმანთა მოძრავობა (203v).

აქი *ნაჟსო* *ნაჟრავა* *ნაჟსო* *ნაჟრავა* (244C<sub>9</sub>).

უძველეს თარგმანში სათანადო ადგილზე გვხვდება სიტყვა „ლარი“:

და სხუთა მათ ძრავანი ორთავანი ლართავანი, რომელნი შოიკებიან და განიშრებებიან (223<sub>20-21</sub>).

ბ) შეკავშირება, აღნავგობა, შენაწევრება—*ნაჟრავა*,

ყოველთავე ძალთა და ნასხმანთა შედგმულებითა და ჯორცთა და ნაწევართა აგებულებითა (206v).

*ნაჟრავა* *ნაჟრავა* *ნაჟრავა* *ნაჟრავა* *ნაჟრავა* (249D<sub>12</sub>).

გ) კისრის მალა—*ნაჟრავა*,

ნასხმანთა მათ ქელისათა (206v).

<sup>3</sup> საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A—142 ხელნაწერი.

<sup>4</sup> ნემესოსი ემესელი, ბუნებისათვის კაცისა, ბერძნულიდან გადმოღებული იოანე პეტრიწის მიერ, ქართული ტექსტი შეისწავლა, გამოსაცემად დაამზადა და ლექსიკონ-საძიებლები დაურთო ს. რ. გორგაძემ, ტფ., 1914.

<sup>5</sup> ბასილი დიდი, ექუსთა ღლეთა, ტექსტი გამოისცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. კახაძემ, თბ., 1947.

ბ:ζ τὼν καμῆξῆς σπινθῆλων (249D<sub>8</sub>).

კისრის მალეების აღსანიშნავად უძველეს თარგმანში „გოჯნი ზურგისა-  
ნი“ (227<sub>4</sub>) დასტურდება.

ღ) გარდა ზემოაღნიშნული მნიშვნელობისა, „ნასხმანი“ გადმოსცემს ბერძ-  
ნულ ἴ-ს თარგმანს (შეკავებრება, შენაწევრება, შერწყმა) და ἄ-ს თარგმანს (მყესი,  
свѣзка). „ნასხმანი“ რომ მრავალი მნიშვნელობა აკისრია, ჩანს წინადადებიდან,  
სადაც „ნასხმანი“ რამდენიმე ბერძნული სიტყვის ფარად იხმარება:

ხოლო შესაძენი დიდი შეამტკიცებს თავით თვით და შენაწევრებს განყოფილთა ნასხმანი  
თა და მოუზავებს და განავებს (202r).

Ϟ Η ἢ ἐ τῆρῖθ ἄναμῆξ σπινθῆ: ἴ: ἔαυτῆξ κατὰ τὴνα σπινθῆλῖν τε καὶ ἄρμῖ-  
νῖἰἰν τα ἄναμῆξμῆνα τὼν ἄρμῖον τῖξ παρ' ἔαυτῆξ σπινθῆσμῖξ ἀρμῆσῖσῖ  
(241C<sub>10-15</sub>).

უძველესი თარგმანი ასე გადმოსცემს ამ წინადადებას:

და ძალი იგი შესამეღ შემკრებელ არს განხეულთა მათ შეერთებთა იოგთა და თა, რომელ-  
ნი შენაწევრებულ არიან ყოველთა ასოთა ძალითა მით მოძრავითა თავით თვით (221<sub>8-20</sub>).

### ნაწევარი

საბა: „სახსართ შედგმულობა“.

ნ. ჩუბინაშვილი: „ნასხამი, სახსართ შედგმულება, член, уд, состав“.

ღ. ჩუბინაშვილი: „სახსარი, ნასხამთ შედგმულობა, ასო“.

ილ. აბულაძე: „ნაწევარს“, „შენაწევრებულით“ განმარტავს, რომელიც თავის  
მხრივ შეერთებულს, შეუღლებულს, შემტკიცებულს, გამაგრებულს ნიშნავს.

გიორგი მთაწმიდლის „ექუსთა ღლეთას“ თარგმანში „ნაწევარი“ „მალის“, ἄ  
σπινθῆξ -ის მნიშვნელობით იხმარება.

ფორმის მიხედვით „ნაწევარი“ წარსული დროის მიმღობაა.

ჩვენს ძეგლში „ნაწევარი“ უმეტესად იხმარება თავისუფლად ნათარგმნ აღ-  
გილებში და ამის გამო ბერძნული ღდნის, აგრეთვე უძველესი თარგმანის შესაბა-  
მის ადგილებში ამ სიტყვის ფარდის მოძებნა არ ხერხდება. ჭმინც შევეცდებით  
რამდენადმე დავაზუსტოთ მისი მნიშვნელობანი.

ა) „ნაწევარი“ შესახსრებას აღნიშნავს: იხმარება ნასხმანის სინონიმურ  
წყვილად:

გიორგი მთაწმიდელი:

მოძრავობა ნასხმანთა და ნაწევართა (205r),

... ἄρμῖთა ἰσῖσῖξ (249C<sub>13</sub>).

უძველესი:

არს ძრვა ყოველთა იოგთა შეოქვა და განმარტება ლართა (226<sub>30-31</sub>),

მოძრავობისა და მოძრავებისა ძალი ნაწევართა მიერ და ნასხმანთა დაამტკიცა კორცთა  
შორის (203r).

იმავე მნიშვნელობით „ნაწევარი“ გვხვდება ცალკეც:

შავალად და მოქმედად შემზადა ორანოზ იგი გუამისად ღონისძიებითა მით ნაწევართა  
და (203r).

ბ) „ნაწევარი“ მალის (თუ მყესის) აღმნიშვნელია:

... და ძარლუთა და ნაწევართა თავისა და ქედისთა (206r).

<sup>6</sup> უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა ღლეთასა“ და გრიგოლ ნოსელის  
თარგმანებისა „კაცისა“ ავტულებისათვის...

გ) „ნაწევარი“ იხმარება აგრეთვე ღრუიანი მილის აღმნიშვნელად, თარგმნის, ἀρραία-ს და აგრეთვე ნაწლევთან ერთად სინონიმურ წყვილს ქმნის. უძველეს თარგმანში შეესატყვისება „ნესტჳ“ და „ჯორჯი“.

გიორგი მთაწმიდელი:

...ნაიე მახლობელსა მისჳან ნაწლევსა და ასიასა შეყუანების, რომელსა ჰრქჳან ფირ-ტჳ.. და ნაწევართა მათ მერ თჳსისა აგებულებისათა პირადჳე მიწვეს დასასად (203V, B),  
 ...ნა აწჳე ჰყუამაოჳდ აგრჳრად აწჳე აწჳე თჳ სარჳა ბიჳიასოჳდ (245<sub>1-6</sub>).

უძველესი:

...მიმყანებელი ნესტჳსა მის მიერ (224<sub>31</sub>).

გიორგი მთაწმიდელი:

სული ნაწევართაგან და სასულეთა ჳურჳელთა იძულებული ... მიემგაგისს...  
 ვმასა (141v),

ნჳნჳმა ბიჳ აწჳე აგრჳრად აწჳე თჳს ნჳნჳმარბიჳიჳ (249C<sub>14-15</sub>).

უძველესი:

ჳარმან... ვანელის ჳორჯი კაცისაჳ (158<sub>31-32</sub>).

გიორგი მთაწმიდელი:

და აღსა თჳსსა აღატყინებს და მახლობელთა მათ ნაწევართა და ნაწლევთა მი-  
 თენს. (204r).

აჳი თბ პარბიჳე ჳაჳარჳე ჳარჳინჳიჳთჳ, თაჳდ ჳარჳიჳიჳიჳე აგრჳრად ჳჳარჳე (244C<sub>10-12</sub>)

უძველესი:

და მერჳე მოსციის ნესტუთა გულისათა მკრომალეთა 225<sub>6-8</sub>.

როგორც ვხედავთ, ამ უკანასკნელი მნიშვნელობით „ნაწევარი“ განსხვავდება ჩვენი ძველისეული „ნასხმანისაგან“, მაგრამ საერთოდ ასეთი მნიშვნელობა „ნასხ-მანისათვისაც“ არ იყო უცხო, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ბუნებისათჳს კა-ცისას“ თარგმანში იოანე ბეჭირიცი „ნასხმანა“ აგრჳრად მანაშენლობით ხსარობს

შენადგამი, შედგმულება

საბა: „შენადგამი ესე არს, რაჳც ზედეთსა ქვეშელამ შეუგლო, ანუ თანა მი-  
 ადგა, ანუ პირველსა უკან შედგმული აქუნდეს, ანუ მალსა შედგმული რამ იდ-  
 გას“. ამ განმარტებიდან ჩანს, რომ საბა „შენადგამს“, როგორც ტერმინს არ  
 იცნობს.

დ. ჩუბინაშვილი: „შენადგამი — შენადგენი“, შეთხზული „составной“: შე-  
 დგმული, შედგმულება—შენაწევრება, ნაწევარი „составные части“.

ს. გორგაძე: „შედგმა, შედგმული, შედგმულება—საყუამოჳდ, состав, შედგე-  
 ნილობა“.

მ. კახაძე: „შედგმა — დაკავშირება, ერთმანეთზე მოყოლება, განუწყვეტლო-  
 ბა—საყუარჳე 2“.

ოლ. აბულაძე: „შედგმული—შეერთებული, შედგენილი“.

ჩვენს ტექსტში ეს სიტყვები გვხვდება შემდეგი მნიშვნელობებით:

ა) შესახსრება, ნაკერი, ოჳ სჳმჳიჳიჳ,

გიორგი მთაწმიდელი:

და ყოველთაჳე ძჳალთა და ნასხმანთა შედგმულებითა და ჳორცთა და ნაწევართა  
 აგებულებითა (206v),

ნაჳაჳე ბჳჳათჳს თჳ აჳი აგრჳიჳთჳ სჳმჳიჳიჳიჳე აჳი მათჳ (249D<sub>12</sub>).

უძველესი:

რომელი-იგი შედგმულ არს ძჳალებითა და იოგებითა და მრავლითა (227<sub>25</sub>).

გიორგი მთაწმიდელი:

და საკრელოთა მით ძარლუთაჲთა შენადგამნი მათნი შემატკიცნა (203r),  
თინჯ და მინა რთა ვსერათა სთხმსაჲც რჯდ სთხმსილჯდ აბთათ ჰპიფიჯაჲთა  
(244A<sub>12</sub>).

უძველესი:

და იქმნეს შედგმულ და შენაწვევებულ ურთიერთსა და შეძერწულ ლართა 223<sub>7-8</sub>.

ბ) კუთთი — ბ მანთ, ანის; უძველეს თარგმანში შეესატყვისება ასო:

გიორგი მთაწმიდელი:

სადაჲ იგი ყოველივე მოძრაობაჲ ნასხმანთა და ნაწვევართა და ყოველთავე შენადგამ-  
თა ძლიერებაჲ (206r)

...აჲ? რქ პაჲთა მუნ აჲრთათა ჰინჲრად პაჲთა ბჲ მანთა სთინჯ... (249C<sub>12</sub>),

უძველესი:

რომლისაგან არს ძრვაჲ ყოველთა იოვთაჲ, შეოჲვაჲ და განმარტებაჲ ლართაჲ, რომელი  
ძრავს ყოველთა ასოთა გუამისათა (226<sub>30</sub>).

როგორც ვხედავთ, ტერმინები ნასხმანი, ნაწვევარი და შედგმულე-  
ბა II შენადგამი ერთიმეორის ნაცვლად და ერთიმეორის გვერდით იხმარება, მათ  
შორის მკვეთრი ზღვარი არ არსებობს, წინაშენლობით ახლოს დგანან ერთმანეთ-  
თან და თითქმის ისეთსავე ზომარებაში არიან, როგორც უძველესი თარგმანის  
შესაბამისი ტერმინები იოვი, ლარი, ასო, რომლებიც აგრეთვე არ არიან  
ერთმანეთისაგან ზუსტად განიჯნული. კონკრეტულად აქლია აგრეთვე მათს შესა-  
ტყვის ბერძნულ ტერმინებსაც (ἀρτηρία, ἄρθρον, ἀρμυρία, μανθ, σπινθηρις, σπινθηρις,  
σπινθηρις).

შედგმულეობა II შენადგამი დორმის მხრივაც არ არის ჯერ ჩამოყალი-  
ბებული და ჩვენს ტექსტში ორივე სახით გვხვდება, მაგრამ აშკარად შენადგამს  
ეძლევა უპირატესობა, რომელიც ისეთივე წარმოებისაა, როგორისაც ნასხმანი  
და ნაწვევარი.

ტერმინებს მივაკუთვნებთ და III ჯგუფად გავაერთიანებთ აღწერილად გადმო-  
ცემული სამედიცინო-საბუნებისმეტყველო ხასიათის ცნება-შესიტყვებანი<sup>7</sup>, რომლე-  
ბიც ტერმინის ნაცვლად და მისი ღირებულებით იხმარებიან და რომელთაგან ზოვი  
ჩვენს თვალწინ ქცეულა ტერმინად.

1. ამ ჯგუფის ცნება-შესიტყვებათა ერთი ნაწილი ორზე მეტი სიტყვისაგან  
შედგება: გულისა კერძა შეიწრება (147v), თმათა აღმომაცნებელი ორთქლი  
(208r), მიზეზი ზორცთა არსებისა (198v) — ჩასახვა; მსოფლიოთა ნივთთა ნაწილი  
(202r) — ელემენტი; ნადლის დამკრები ქურქელი (147v) — ნადლის ბუშტი; ძალი  
მოძრავე და ჯერმჩინებელი (202r) — სული, პანემა; ძალნი ჯორცთა ცხორებისანი  
(135r); წინა კერძონი იგი მჰარნი (137r); ჯსოვნებითი სახე სულისა (154r) — მესხი-  
ერება და სხვ.

<sup>7</sup> შენადგამი-ს უპირატესობაზე მეტყველებს მისი ხმარება XVI საუკუნის კარაბაღნიში:  
ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი, სამკურნალო წიგნი კარაბაღნი, ტექსტ-დაამუშა-  
ვა გამოსაცემად, გამოკვლევები და ლექსიკონი დაურთო მ. შენაგელიამ, თბ., 1959.

<sup>8</sup> ჩვენს მიერ პირბოთად ნახმარი „ცნება—შესიტყვება აღწერითად გადმოცემულა აზრია, ცნე-  
ბაა, რომელიც მოცემულ ტექსტში გარკვეულ ტერმინის ღირებულებითაა ნახმარი.

2. ამ ჯგუფის ცნება-შესიტყვებათა უმრავლესობა მსაზღვრელ-საზღვრულს წარმოადგენს: აღმოცენებისა ძალი (199v), ბჟე ლეიძლისა (205v), ეზო გულისა (204r), ეზო მუცლისა (205r), ეზო ფირტჯსა (205r), მაკუდინებელი წამალი (177r), ნესტჯ საცნობელთა (152v), საშოა დედობრივი (194r) და სხვ. ხშირად ეს მსაზღვრელ-საზღვრული ბერძნულის ზუსტი თარგმანია, მაგრამ ზოგჯერ მსაზღვრელ-საზღვრულს მთარგმნელი მაშინაც მიმართავს, როცა ბერძნული ტერმინი (ერთი სიტყვა) შესიტყვების გარეშე ზუსტად ვერ გადმოიცემა:

გემოას ხილვა (143v—144r) — ἡ ὑέσις, εω (153B<sub>7</sub>).

სალმოზანი შობადანსა (188r) — ἡ ἄνις Ἰνυς (220A<sub>8</sub>).

სატჯე არე (147v—148r) — ἡ μαῖνις, ἰγγას (160B<sub>4</sub>).

წაილი ჭამისა (205v) — ἡ ἡრესიς, εω (248D<sub>13</sub>).

წყლისა ცხოველი (195v) — ἡ ξυბრი (232A<sub>10</sub>).

ტერმინებზე და ცნება-შეტყვისებებზე დაკვირვებისს შეიმჩნევა ცნების განვითარების შემდეგი საფეხურები:

1. ცნება გადმოცემულია ვრცელი შესიტყვებით (იხ. I მუხლი).

2. ცნება წარმოდგენილია მსაზღვრელ-საზღვრულით, რომელთა შორის კავშირი ჯერ კიდევ მყარი არ არის (იხ. II მუხლი). საინტერესოა, რომ შესიტყვება „მარჩბივი ნესტჯ“ (159r)—ნესტოები—შემდეგში იმდენად დამკვიდრდა, რომ ერთ-ერთი კომპონენტი დაიკარგა, ხოლო მეორე კომპონენტი დღეს უკვე ცალკე გარკვეულ ცნებას აღნიშნავს.

3. შესიტყვება კომპოზიტადაა ქცეული, უკვე იგრძნობა, ერთი გარკვეული მთლიანი ცნება-ტერმინის ჩამოყალიბება: ბეჭთ-საშოვლი (206v), გონება-ცთომილება (157r), მიზეზთ-მეტყუელება (151v), მრავალ-ურჩხი (205v), მრავლის მშობელი (170r), სიბრძნის მეტყუელება (137r), ძუალმსხლი (207v), წყლის ცხოველი (195v), გმელ-ძარღვ (207v), გორტ-მოყვარე (160v) და სხვ.

აქ ჩამოთვლილ კომპოზიტთა ერთი რიგი დღესაც ამავე ფორმით იხმარება. ხოლო ბერძნულის კალკი „ბუნებათა მეტყუელება“ (126v)—ἡ φύσις-ληΐα, იმდენად მოხდენილიაა გადმოცემული, რომ ჩვენს თანამედროვე სამეცნიერო ტერმინოლოგიაშიც ამ სახითაა დამკვიდრებული.

აღსანიშნავია, რომ ჩამოყალიბებულ ტერმინები არც ბერძნულ დედანს მოპოვება და იქაც განოყოფა ტერმინთა განვითარების ზემოხსენებული საფეხურები.

1. ვრცელი აღწერითი შესიტყვება:

ἡ πῆξις τῆς τῆς πέριχέρου μέρου (160A<sub>8</sub>).

რის ὑέσις εω ἀφορμαῖς συνιῶν ταμένι (236B<sub>13</sub>) იგივე ἡ ἀλλήλῃς, εω

(236B<sub>14</sub>).

2. მსაზღვრელ-საზღვრულს შორის კავშირი მყარი არ არის:

τα διόχῃον τῆς τροφῆς (248D<sub>9-10</sub>).

რის ὑέσις εω μετέχουτα φύσεως (176C<sub>8</sub>).

3. კომპოზიტები:

πῆξις (156A<sub>2</sub>), πῆξις (249<sub>10</sub>), πῆξις (192C<sub>2</sub>), πῆξις (148<sub>11</sub>), πῆξις (156A<sub>2</sub>), πῆξις (224C<sub>3</sub>), ἡ ἡ (160A<sub>12</sub>).



ტერმინთა ჩალოუყალიბლობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ აშკარად გამოხატული სამედიცინო ტერმინები ტექსტშივეა განმარტებული.

πύρις νευρῶν (αρχαία... σύμαλῆται) — (249B<sub>გ</sub>),  
ძარღუთა მიერ, რომელთა არტორით უწოდენ (205V).

ὁ καλῆται μὲν πνεύμας, ἕσται δὲ τὸν ἀέρις ὀχρεῖον (245C<sub>2-3</sub>),  
რომელსა პრქვან ფირტჳ, ხოლო არს იგი საუნჭე ჰაერისა (203vB).

... λέγει τὴν μῆνιν (ὄψα γὰρ σύμαλῆται τὸν περιεχτικὸν τὸν ἐκχευόμενον) (157<sub>13-14</sub>),  
იტყვან თავსა და სიტუნთა მით ნესტუთა და აჰათა და ტყავსა თავისასა (146r-v).

„დაბადებისათჳს კაცისას“ უძველესი თარგმანი ცნების გამოსახატავად ნაკლებად მიმართავს ვრცელ შესიტყვებებს, მსაზღვრელ-საზღრულიცა და კომპოზიტებიც კი ისე ხშირად არ არის გაიყენებული, როგორც ეს ბერძნულორიგინალში და გიორგი მთაწმიდლის თარგმანში გვაქვს, მაგრამ ცნების განვითარების ზემოხსენებული საფეხურები უძველეს თარგმანშიც შეინიშნება:

1. ვრცელი შესიტყვება:  
დაღვრომაჲ შერეგრებისაჲ და დატკრემაჲ ნთესავობისაჲ (221<sub>24</sub>)—გამრავლება.
2. მსაზღვრულ-საზღვრული:  
გამოსავალსა პირისასა (166<sub>22</sub>), მაკლდინებელი წამალი (228<sub>10-11</sub>), ზურგის ძვალი (227<sub>32</sub>), გოჭნი ზურგისანი (227<sub>4</sub>) და სხვ.
3. კომპოზიტები:  
გემო.მს.-მოყუარება (185<sub>27</sub>), სულის-ღება (225<sub>22</sub>).

როგორც ვხედავთ, ტერმინთა განვითარების ზემოხსენებული საფეხურები საერთოდ უცხო არ უნდა ყოფილიყო ქართულისათვის, მაგრამ განვითარების ასეთი მიმართულება უფრო გვიანდელი თარგმანებისათვის ჩანს დამახასიათებელი. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც მთარგმნელი ცდილობს ზუსტად მიხედოს დედანს.

\* \* \*

ყოველივე ზემონათქვამის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ:

1. „დაბადებისათჳს კაცისას“ გიორგი მთაწმიდლისეული და უძველესი თარგმა ნის სარგაცილო-ზოლოგიური ტერმინების ის ძირითადი ნაწილი, რომელსაც ჩვენ I ჯგუფად ვაგერთიანეთ, ერთგვარია, ე. ი. VIII-IX საუკუნისათვის გვაქვს სამედიცინო-საზღუნებისეულო ტერმინთა აუცილებელი მიწოდება, რომელიც XI საუკუნისათვის უკვე ჰქონდა მოპოებული მოქალაქეობრიობა.
2. II ჯგუფად ვაგერთიანებულ ხელთნაწილს წარმოების ტერმინთა ერთი ნაწილი ორივე თარგმანს საერთო აქვს, ახალი ტერმინის შექმნის დროს ასეთ წარმოებას მიმართავენ გიორგი მთაწმიდლისეული, ხოლო მან სიტყვათწარმოქმნის ეს საშუალება უფრო ფართოდ და ქარბად გამოიყენა.
3. III ჯგუფად ვაგერთიანებული ცნება-შესიტყვებანი ბერძნულისა და მთაწმიდლისეული მთარგმანისათვის არის დამახასიათებელი. გომონაქლისის სახით უძველესი თარგმანისათვისაც არ არის უცხო ცნებათა აღწერითად ვადმოცემა.

აზრის ზუსტად გადმოსაცემად გიორგი მთაწმიდელი ბერძნულის თარგმანს უხამებს ქართულ სიტყვებსა და ფორმებს, იგი მოქნილად იყენებს ქართული ენის გამომხატველობითს სიძლიერეს, რათა გადმოსცეს უცხო ერის კულტურის მონაპოვარი ისე, რომ ქართველი მკითხველისათვის მისაღები და ადვილად შესათვისებელი იყოს; ზოგჯერ ვერ გაურბის უცხოური ენის გავლენით გამოწვეულ ფორმებსაც, მაგრამ ეს იყო ძიების გზა ქართული საბუნებისმეტყველო ტერმინოლოგიის განვითარებისათვის.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ  
 მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა  
 გ. ახვლედიანმა)

## ნიკო რეხვიაშვილი

## ქართულ-კავკასიური რკინის ზრეხილი „ხელაღი“\*

როგორც ცნობილია, ლითონთა დამუშავების კულტურამ დიდი როლი ითამაშა კაცობრიობის განვითარების ისტორიაში. განსაკუთრებით რკინის მეტალურგიამ ერთობ დააჩქარა საზოგადოებრივი და სამეურნეო ცხოვრების წინსვლა. ამ საკაცობრიო კულტურის საქმეში თავისი წვლილი აქვთ შეტანილი კავკასიის ხალხებს, რომელთა შორის მეღიფთონეობამ ადრევე მოიკიდა ფეხი<sup>1</sup>. ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე კავკასიის ხალხთა სამყარო ძველადვე დეფუფლა სხვადასხვა ლითონის მადნეულის მოპოვებას, მის დამუშავებას და მიღებული მასალისაგან სამეურნეო და სამხედრო საქურველის დამზადებას. ამ მიზნით სხვა ლითონთა შორის გამოირჩეოდა რკინა. ეს უკანასკნელი შეუდარებლად მარჯვე და გამოსადეგი მასალა იყო ყოველგვარი იარაღის გასაკეთებლად. ამიტომ რკინის მჭედლობამ ღრმად მოიკიდა ფეხი და საყოველთაო გავრცელება პოვა აღნიშნულ ხალხთა ყოფაში. ხანგრძლივი გამოცდილების და საწარმოო პრაქტიკის ნიადაგზე გამომუშავდა რკინის დამორჩილების ბევრი ისეთი წესი და ტექნიკური ხერხი, რომელთა შესწავლასა და გარკვევას როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც ქართველთა და მოძვე კავკასიის ხალხებმა დღემდე მოიტანეს მეღიფთონეობის, კერძოდ, რკინის დამორჩილების დარგში, წარმოადგენს ხალხური გამოცდილების მდიდარ და საყურადღებო განძს, საუკუნეთა მანძილზე გამომუშავებულ პრაქტიკულ სიბრძნეს.

ამ საკითხთან დაკავშირებით რკინის დამორჩილების ხელოვნებაში ყურადღებას იქცევს თავისებური და ორიგინალური ტექნიკური ხერხი — რკინის „გრეხა“. თუ რამდენად ძველია თავისთავად ეს ხერხი, იქედან ჩანს, რომ ჩვენ მას ეხედებით ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში. მაგალითად, ტარდაგრებილი ბრინჯაოს ჩანგალი (ალაგირის ხეობიდან) ქ. ორჯონიკიძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული. არქეოლოგიური მასალის მეცნიერული ანალიზის შექმნის ირკვევა, რომ რკინის გრეხის წესი, რომელმაც მე-20 ს-ის დასაწყისამდე მოაღწია (იგულისხმება რკინის მჭედლობის სინამდვილე), სათავეს იღებს სპილენძ-ბრინ-

<sup>1</sup> იხ. Ф. Борк, Заметки о кавк. языках, СМК, ФХХХVIII, отд. III, 18. შტრ. Н. Я. Марр, Батум, Ардаган, Карс исторический узел межнациональных отношений Кавказа, Птрг., 1922, стр. 37.

\* „ხელაღი“ რაჭაში ჰქვია ხელოსნურად გაკეთებულ რაიმე ნაწარმს, „ნახელავს“, განსაკუთრებით კი რკინისაგან, თიხისაგან დამზადებულ ნივთს. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ ამჯერად გამართლებულია ამ კუთხური ტერმინის ხმარება.

ჯაოს ხანაში, აგრეთვე კეთილშობილი ლითონების — ოქროსა და ვერცხლის წარმოების პრაქტიკიდან. რამდენადაც რბილი ლითონები, როგორც მასალა, შედარებით ადვილად ემორჩილება ზეგავლენას მჭედლის კვერქვეშ.

ჩვენი წერილი მიზნად ისახავს წარმოაჩინოს ხალხური მჭედლობის ხელოვნებაში დამკვიდრებული რკინის გრეხის ტექნიკა, მისი ძირითადი ხასიათი და მნიშვნელობა ხელადის დამზადების საქმეში (წესები, სახმარი დანიშნულება, გავრცელების არე). როგორც წესი, გრეხით კეთდებოდა და კეთდება რკინის გარკვეული საგნები. თუ რით იყო გამოწვეული მჭედლური ხელადის გრეხა, ამის შესახებ ბოლოს იქნება ნათქვამი. მანამდე საჭიროა აღინიშნოს, რომ ნივთის ტანი ან მთლიანად იგრისებოდა, ან ნაწილობრივ, რამდენადაც ეს მისაღები იყო პრაქტიკულად.

უკანასკნელ დროს კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალის მეცნიერული ანალიზის შუქზე ირკვევა, რომ აქ მელითონობის კულტურას ადრევე ჩაეყარა საფუძველი, რამაც ფართო გამოხატულება პოვა აქ მოსახლე ხალხების ნივთიერი და სულიერი კულტურის მრავალ სფეროში. ლითონთა დამუშავების მაღალი ხელოვნების პირობებში გამოიშვა და განვითარდა ბევრი ისეთი ტექნიკური წესი და ხერხი ლითონების დამორჩილების საქმეში, რომელთაც თავისი პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა დღემდე არ დაუკარგავს. ამის ერთ-ერთ მაგალითად უნდა მივიჩნიოთ ლითონის გრეხა-წმასნა, რომელიც წარმოადგენს ლითონის დამორჩილებისა და ხელოვნების თავისებურ ხერხს. როგორც ჩანს, რკინის გრეხა-წმასნა იმითაც იყო გამართლებული, რომ რკინიუხე ხელადის შემკობა სხვა გზით ძალზე რთული, ძნელი და ხშირად შეუძლებელიც იყო. ვინაიდან რკინის მასალა ამგვარ ოპერაციებს ძნელად ემორჩილებოდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევაში მასალის განსაკუთრებულმა ხასიათმა განაპირობა რკინის ხელადის მოსართავად ხალხური წესის წმასნა-გრეხის გამოყენება. მაგრამ ამის საჭიროება ჩანს, უფრო სხვა მიზეზით, პრაქტიკული დანიშნულებით იყო გამოწვეული. ამით აიხსნება ის ამბავი, რომ რკინის დამუშავების ეს ხალხური მეთოდი მხოლოდ გარკვეული ნივთების დასამზადებლად იხმარებოდა.

გრეხა-წმასნას<sup>2</sup> განსაკუთრებით კარგად ემორჩილება სპილენძი და ოქრო-ვერცხლი. ამიტომ ამ მასალისაგან დამზადებული დაგრეხილი ტანის მქონე ძველი ნივთები საკმაოდ ბევრია. ოქრო-ვერცხლისა და სპილენძ-ბრინჯაოს ტექნოლოგიაში გამოყენებული ეს ხერხი შემდეგში გავრცელდა და გადატანილი იქნა რკინის კულტურაშიც, მაგრამ აქ უფრო შეზღუდული სახე მიიღო. გრეხა და გრეხილი ორნამენტები განსაკუთრებით წარმატებით გამოიყენებოდა მცირე ხელოვნების ოქრო-ვერცხლის საგნებზე. ქართულ-კავკასიური ოქრომჭედლობის სინამდვილეში წარსულის ეს ტრადიციები დღემდე გრძელდება. სხვადასხვა იარაღისა და სამკაულის მოსართავად ფართოდაა გამოყენებული გრეხილი და მისი სახესხვაობანი — ხვები, ღრუ სპირალები, გულსასვე გრეხილები. ეს ორნამენტები უხვადაა წარმოდგენილი აგრეთვე ქვის, ხის, ქსოვილისა და ტყავის საგნებზეც.

<sup>2</sup> შდრ. მწმასნელი დღმერთიანი და მქანდაკებელნი ურგებთა (დაბადება, ესაია 44, 10); საბას მიხედვით, „წმასნა-გრეხეა“.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოსხმის ტექნიკაში გრებილი სახე — საკმაოდ იშვიათია და ზოგიერთ შემთხვევაში განუხორციელებელიც. მაგალითად, ტემნიკურად რთული და ძნელი განსახორციელებელი იყო, თითქმის მეტრნახევარი სიგრძის ასტმის ტარისა და მისი ნიჰისებური პირის ისე ჩამოსხმა, რომ ტარი დაგრებილი და პირი კი ბრტყელი ჰქონოდა. ან კიდევ, ჩამოსხმით მიეღოთ ხუთქიმიანი „ხათრიკი“ (შამფური) გრებილი ტანისა. უფრო დასაშვებია, თავიდანვე გრებილი ხელადის დამზადება ჰედღური ხერხით. თუ ეს მოსაზრება საფუძვლიანია, უნდა ვიფიქროთ, რომ კეთილშობილი ლითონებისა და სპილენძ-ბრინჯაოს ნივთების გრებილი ტანი, ან რომელიმე ნაწილი დამზადებული უნდა იყოს კვერვის ჰედღური წესით. თავის მხრივ, ეს გარემოება მოითხოვს, რომ არქეოლოგიური მასალის ანალიზის დროს გავთვალისწინოთ აღნიშნული ფაქტი.

საერთოდ, გრების ხერხი საყოველთაოდ გავრცელებული ჩანს<sup>3</sup>. განსაკუთრებით მკვეთრად იგი წარმოდგენილი საქართველოს მთიანეთში, აგრეთვე ჩრდილო კავკასიის მთიანეთში. მხედველობაში გვაქვს ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი მე-19 ს-ის ნივთიერი ძეგლები.

როგორც ცნობილია, გრების მეთოდს, გარდა ლითონებისა, პირწმინდად ემორჩილება — თიხა, ტყავი, რქა, ხე და სხვა მასალა. გრება ძირითადად ემსახურება ნივთის სიმაგრეს, სილამაზესა და სიმარჯვეს. ამის კვალობაზე ეთნოგრაფიული ყოფის დამახასიათებელი ქართულ-კავკასიური რკინის გრებილი ხელადის სახეობანი შეიძლება დავაჯგუფოთ ზემოხსენებული ერთი რომელიმე ნიშნის მიხედვით.

გრებისათვის რკინის მასალა ჯერ უნდა დაკუთხულიყო ე. ი. მას გრძლად გაიყვანდა მჭედელი (გამართული იყო 3-4 კუთხედ). დასაგრებლად უმთავრესად არჩევდნენ ოთხწახნაგოვან რკინას, ვინაიდან ამ სახით დაკუთხული რკინა დაგრების შემდეგ ლამაზი სახის გამოდიოდა. როდესაც იგი თანაზომიერად დაიგრინებოდა, მისი ტანი სპირალურ გულსავსე ხეიანაირი მოყვანილობის ფორმას იღებდა და წახნაგის წიბოები „ამოსერილი“ ხდებოდა. მათ შორის არეკლანდ ზოლად იქცეოდა. გარეგნულად ასეთი ფორმა ლამაზი და მოხდენილი იყო. როგორც ითქვა, ამ სახის ტანი ყველა საგნისათვის არ იყო მიზანშეწონილი. მხოლოდ გარკვეული ჯგუფის ხელადს სჭირდებოდა გრებილი ტანი, ან ტანის ნაწილი. ეს გამოწვეული იყო სამი გარემოებით: 1. დაგრებილი რკინა უფრო მაგარი და მტკიცეა; 2. დაგრებილი რკინა სახმარად მარჯვეა (ხელში არ ცურავს); 3. დაგრებილი რკინა, როგორც საერთოდ ყველა ლითონი, გარეგნულადაც ლამაზია. ცხადია, ფოლადისა და რკინის „გამპრელი“ იარაღის კეთებისას, ან კიდევ, ზოგიერთი სამეურნეო იარაღის დამზადებისას ამგვარი რამის გაკეთება სრულიად ზედმეტი და უმიზნო იყო. ასე რომ, გრების საჭიროებას განსაზღვრავდა ამა თუ იმ რკინის ნივთის ტანის აგებულება და ფუნქცია. გრება იმ შემთხვევაში იყო გამართლებული, თუ იგი ხელს არ უშლიდა ხელადის სამოქმედო პროცესს, რაც შეეხება მასალის როლს, როგორც ითქვა, გრების საქმეში მას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ერთი სახის ნივთიერი მასალა გრების ყოველმხრივ ეგუებოდა. განსაკუთრებით რბილი ლითონები — სირმა ვერ-

<sup>3</sup> შტრ. Zwigniew Jasiewicz, Studia historyczno — etnograficzne nad kowalstwem wiejskim w Wielkopolsce, Poznan, 1963, გვ. 278. სურ. 56.

ცხლი, ოქრო და სპილენძი. მაგრამ იგივე არ ითქმის ზოგიერთი სხვა ხასიათის მქონე მასალის მიმართ.

გრების ტექნიკაში<sup>4</sup> საერთოდ უნდა გავარჩიოთ ორი ძირითადი სახე — დასაგრები საგნის ვარგვანი აგებულების კვალობაზე: გრება-წმასნის შედეგად ზღება ერთი „ტანის“ და ფორმას სხეულის სხვა ფორმაში გადაყვანა. ერთ შემთხვევაში „ღვლაჭნით“, მეორე შემთხვევაში — „ლოჭვით“. როგორც ერთი, ისე მეორე პროცესის შედეგად, როგორც ითქვა, იცვლება საგნის მოყვანილობა. მაგრამ სულ სხვადასხვა სახით. პირველი წესით გრებებისას საგრები საგნის ტანი ისე იღვლიჭება, რომ თითოეული წახნაგის წიბო გრებილის სერად იქცევა, რაც გარეგნულად ხრახნილის სახეს იღებს. მეორე წესის დროს კი დასაგრები მასალა მიხვეულ-მოხვეულად ტოტდება და „ილოჭება“. არსებობს გრების მესამე სახეც — ესაა ორტოლი, ანუ ორმაგი — რამდენიმე რკინის ღეროს ერთიმეორეზე სპირალურად დახვევა. სამივე ეს სახე ღღესაც წარმატებით გამოიყენება ლითონის ტექნოლოგიაში — კერძოდ, ქსოვილი ოქრო-ვერცხლის ნივთების დამზადებასა და სხვადასხვა სამკაულებს „მოსასახავად“.

რკინის ხელადის გრებას, როგორც ითქვა, გარკვეული მიზანი ჰქონდა. გრება ტექნიკურად შემდეგი სახით სრულდებოდა: რკინის ღერის ერთი ბოლო ჩამაგრდებოდა გირაგში<sup>5</sup>. მეორე ბოლოს მარწყვით დაიჭერდნენ და „მოლოჭავდნენ“ როგორც სურდათ — მარჯვნივ ან მარცხნივ. ამგვარი გრება გრძელდებოდა ვიდრე რკინა „შანთი“ (ე. ი. მხურვალე) იყო. შემდეგ როდესაც ხელში შემოაცივდებოდათ დასაგრები რკინის ღერი, მას კვლავ მიაბრუნებდნენ ქურაში, ხელახლა ვახურებდნენ და ისევ ამ წესით შეგრებდნენ. საყურადღებოა, რომ გრებილი ტანის ხელადს აწრთობდნენ კიდევ, თუ ამას საწრთობლის ჭურჭელი — „ჯიროლი“ იტევდა. აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც გრების შედეგად მიღებული ხელადის ტანი მეტ სიმტკიცესა და ამტანობას მოითხოვდა, როდესაც ანა თუ იმ ნივთს განსაკუთრებული სისაღე მართებდა, მაგალითად, საკიდელს, ნამვალს, სადაგის, მახე-ხაფანგის ჯაჭვებს და საერთოდ სპეციალური ხასიათისა და დანიშნულების საგნებს.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ლითონის ფონდში ინახება ნაირი სახისა და სხვადასხვა დანიშნულების რკინის გრებილი ხელადი, რომლებიც მუზეუმში შემოსულია სხვადასხვა დროსა და პირთაგან, როგორც საქართველოს, ისე მისი მეზობელი კავკასიის სხვა მხარეებიდან.


მუზეუმში დაცული ამ ნივთებიდან ზოგს მთელი ტანი აქვს დაგრებილი, ზოგს კი მხოლოდ ნაწილი. ეს ნივთები უმთავრესად კერასთან დაკავშირებული საგნებია: საკიდლები, ანუ საქვაბეები, „სამკერებები“, ანუ სანათურები, ასტამ-საკეცურები, შამფურ-„ხათრიკები“, კერა-სამუგუზლები, სახორცე და სავარ-

<sup>4</sup> ამჟამად რკინის მასალის გრება მიღებულია და ტექნიკის ეს საშუალება დიდად უწყობს ხელს მასალის სიმტკიცესა და ამტანობას. გრება ხისა (ღვლეჭვა) ასევე, აძლიერებს მის გამძლეობას და მოქნილობას შდრ. გოლათს დარქმეული ჰქონდა „ჩაუხუტი რვალისა თავსა ზედა და ჯაჭვი“ ვითარცა დასხმული შეგრებილი რომლითა შემოსილ იყო და წონა ჯაჭვისა მისისა ზეთითათსი სიკვლა რვალისა და რკინისა“ (I მეფ., თ. იზ., ვ).

<sup>5</sup> იხ. საბა, „გირაგი ვაზივით არის ხეთავან, ანუ რკინისა შემზადებული საქლიბავთა და მისთანათა საპყრობელი შდ. ხალხური „გირა, მუქის გირა, ხელის გირა“, იმავე მნიშვნელობით.

ცლე ხოწები, საქორწილო „ჩირაღები“, აგრეთვე ქალვიანი ნამგლები, „ხატის უღლები“, სადგისები და სხვა. მოკლედ შევეხებით ზოგი მათგანის ნიმუშებს.

საკიდელი უქანასკნელ ხანამდე მთელ საქართველოში საყოველთაოდ იყო გავრცელებული. იგი წარმოადგენდა ოჯახისთვის აუცილებელ საჭირო საგანს, როგორც შუაეცესლიან, ისე ბუბრიან საცხოვრებელ სახლებსა და სამზარეულოებში სახმარად. განსაკუთრებით უხდებოდა იგი დარბაზული ტიპის გვირგვინიან სახლებს. საკიდელი გამართული იყო ყვერფის თავზე. იგი სპეციალური სამაგრი „გამირით“ ეკიდა სხვენის ქვეშ, ცეცხლის თავზე (სურ. 1).




სურ. 1

საკიდელზე ჰკიდებდნენ ქებას ყოველგვარი საგბოლველისათვის და სხვა საოჯახო საქმისათვის. ამგვარად, საკიდელთან იყო შერწყმული კერასთან დაკავშირებული საქმიანობა. იგი შედიოდა კერა-სხვენის კომპლექსში და ითვლებოდა ერთ-ერთ მის ძირითად შემადგენელ ნაწილად, საპატიო ნივთად.

საკიდლის დამზადება რთულ საქმედ ითვლებოდა. მისი გაჭედვა მოითხოვდა დახელოვნებულ მჭედელს; რადგან იგი გრებით კეთდებოდა, საჭირო იყო გარკვეული წესების დაცვა და ზუსტი ზომების აღება. საკიდლის სამასალე რკინა რბილი უნდა ყოფილიყო, რათა ადვილად დამორჩილებოდა გრებს. ამისათვის შეარჩევდნენ „რბილ რკინას“, მას თანაზომიერად დაჭრიდნენ, როგორც სიგრძით, ისე სიშსხო-სიგანით. საზომად მჭედელს მინიშნული ჰქონდა ქურის წინმდგომი გრდემლის ძირი, დასაჭრელად ხმარობდა თეგსა და კვერს. საპყრობად ბრტყელტუჩიან მარწუხს. საკვეთი თეგი ყუნწით ჩამაგრებული იყო გრდემლის ერთ თავში. მასზე დაადებდა გადასაჭრელ რკინას და ქვეშადები თეგის ნაცვლად ზედსადგმელ თეგს იყენებდა და მას ზემოდან სცემდა ხოლმე კვერს.<sup>6</sup>

\* სურ. თეგის ხმარების წესი: ფ. თავაძე, ი. ანდრიაშვილი, თეგური ხელოვნების იარაღები, „საბჭოთა ხელოვნება“, № 19, 1963, გვ. 59.

თანაბარ რკინის ღერებს, რომელთა რაოდენობა დამოკიდებული იყო საკილის სიგრძე-სივანესა და მოყვანილობაზე, საითათოდ გაკუთხავდა, შემდეგ თითოეულ მათგანს დაგრებდა და შექმნიდა ჯერ რკალად, შემდეგ რაიმე სახედ. გრებსა წინ უძღოდა გახურება. გახურება ნება-ნება მიმდინარეობდა. საერთოდ, გახურების ხარისხი დამოკიდებული იყო დასაგრები სავნის სიდიდესა და ხელსაწყოების სიმარჯვეზე. მაგალითად, ოოდესაც სავრები ნივთი წვრილი და პატარა იყო მას ადვილად ერეოდა მჭედელი, მაგრამ ზოგიერთ სავანს — დიდსა და ტან-



სურ. 2

ვის, რომ მისეული ხელადი გამორჩეული და სანაქებო ყოფილიყო. ვფიქრობთ, ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ სხვადასხვა მჭედლის დამზადებული საკიდელები ორიგინალურია და ვირტუოზულადაა შესრულებული (სურ. 2).

მიუხედავად იმისა, რომ რკინა ძნელად დასამორჩილებელია და მისი ნებისმიერად მოყვანა დიდ სიძნელეს წარმოადგენდა, მჭედელი მაინც არ ჰღალატობდა თავის ტრადიციას განუხორციელებინა ერთობლიობა „სახმარი“ და „სამშენი“ მზარისა და მათი შერწყმით შეექმნა ფორმა-შინაარსის სისასუე. გრეხილ საკიდელებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მათი სახით მჭედელს კარგად

მსხვილს — სჭირდებოდა იარაღების გამოყენება. მჭედელი როდესაც მთლიანად დაასრულებდა საკილის ყველა მალის გრებსა, მორკალას შეუდგებოდა, შემდეგ იწყებოდა ამ რკალთა მოყვანა სახიერად, ერთმანეთში გაყრა-გადაბმა, ანუ აჯაჭვა. აჯაჭვისას უერთებდნენ თითოეული რკალის ღია თავებს და მათ ერთი რომელიმე გამიზნული თარგის მიხედვით გამოიყვანდნენ. მართალია, ამისათვის მჭედელს არ გააჩნდა წინასწარ მომზადებული ნახაზი გასაჭედი საკილისა, მაგრამ ჰქონდა ტრადიციული გამოცდილება და, რაც მთავარია, ახლის მიგნების და ძველის შემოქმედებითად განვითარების კარგი ალღო. ქართველი მჭედლების ნათქვამი — ძველ მამა-პაპურ ნაქმნარს, ზოგს ჩვენსას ვუმატებდით და ასე მივდიოდით წინო, არსებითად ამასვე ნიშნავს. უნდა ითქვას, რომ ხშირად მჭედელი თავისებური არქიტექტორი და მხატვარიც იყო. იგი ერთგვარ შეჯიბრებაში იყო მეორე მჭედელთან და განსაკუთრებულ მონდომებას იჩენდა იმისათ-

გაღუფყვეტია საგნის პრაქტიკული და ესთეტიკური მხარე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რკინის გრება ამ შემთხვევაშიც გამოწვეულია არა მარტო სილამაზისათვის, არამედ საგნის პრაქტიკული გამოყენების სიმარჯვისათვის.

დავუბრუნდეთ ისევ საკიდლის აჯაჭვას. როდესაც ჯაჭვი დასრულდებოდა და მთლიანად აისხმებოდა, ერთ ბოლოში მას უკეთებდნენ თავმოკაულ ენას, ანუ კავს. მეორე ბოლოზე კი — საკილარ „კილოს“. გარდა ამისა, საკიდელს შუა ტანზე უკეთდებოდა თავკავებოლოიანი მცირე ჯაჭვი, დამოკლება-დაგარქელები-სათვის. მას სახელად „აზნი-დაზნი“, „ასაქობ-ჩამოსაქობი“ ან „ასაკიდელი“ ეწოდებოდა<sup>7</sup>.

ზოგიერთ საკიდელს რამდენიმე ენა და საკილი კავი ჰქონდა, რათა საჭირო შემთხვევაში ერთდროულად შესაძლებელი ყოფილიყო ორი-სამი ქვაბის ერთ ცეცხლზე და ერთ საქვაბზე ჩამოკიდება.

საკიდლები ერთმანეთისაგან განირჩევიან ჯაჭვის სიგრძე-სიგანით, ჯაჭვის მალეების მოყვანილობით, სიდიდით, გრებილით, გადაბმის წესით, ბადურის სახეობითა და კომპოზიციით, ბოლოების ფორმითა და კილო-ენების რაოდენობით. ამ მხრივ განსხვავება თავს იჩენს არა მარტო სხვადასხვა კუთხისა და ხალხის მიხედვით, არამედ ერთსა და იმავე მხარის საკიდლებშიც. კუთხურ-ეთნიური თავისებურება შეიძინევა გრების თანაზომიერების, ჯაჭვის ბადურის კომპოზიციისა და საკილარი ენა-კილოების მიხედვით. ყველა ეს ნიშანი გაპირობებულია, როგორც ითქვა, სახმარი და სამშენი ფუნქციებით, ოჯახის ძირეული მოთხოვნილებებით. ცხადია, ერთ ჰერქვეშ მოქცეული დიდი ოჯახისათვის საკმარისი არ იყო ჩვეულებრივი ზომის უბრალო და ცალმავი საკიდელი. ამისათვის მიზანშეწონილი იყო უფრო დიდი, განიერი და ორი-სამი ენიანი საკიდლები.


„სამკვრე“ (საკვარე) გრებილი ხელადის ერთ-ერთი ტიპური და საყურადღებო ნიმუშია. იგი გამოირჩევა სილამაზითა და შემკულობით, სახეობით, კომპოზიციით. თვალდობით ისევე მდიდარი და მოხდენილია, როგორც ქართული საღვინე სასმისი — „მარანი“. უნდა აღინიშნოს, რომ კერის კომპლექსში სამკვრეს სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. სამკვრე დამახასიათებელი იყო უფრო მთიანეთისათვის, კერძოდ, იმ ადგილებისათვის, სადაც წიწვიანი ტყეები ხარობდა. იქ, სადაც კვარი არ იზოვებოდა, ცხადია, სამკვრეებიც არ ჰქონდათ. ძველად ასეთ ადგილებში მას ცვლიდა საზეთე ლამპარი ან სასანთლე ჭრავი, კანდელი და სხვა. კვარს ძლიერ სქელი, ჰვარტლით სავსე და ფისიანი კვამლი ჰქონდა. გაღმოცემით სამკვრე ეკიდა კერის თავზე ამართულ ერთ-ერთ დედაბოძე. ზედ იყო წმინდად დაწვინული ანთებული კვარი და ანათებდა სახლის „შინას“. დიდ ოჯახში მას მიჩენილი ჰყავდა ერთი პირი — მემკვრე, რომელიც დროდარდო ასწორებდა მბეჭუტავ კვარს და ხელახლა აკამკამებდა, განსაკუთრებით სერობისა და, საერთოდ, წვეულების დროს.

სამკვრე შედგება „ნერჩისა“, „ტოტებისა“, „გუმბათისა“ და „საკილარი ჯაჭვისაგან“. თითოეული ეს ნაწილი მთლიანად ან ნაწილობრივ გრებილი ტანისაა. ნერჩი თავის მხრივ შეიცავს რამდენიმე კონცენტრულ წრეს. ნერჩის გარეთა რკალი — „გარეწანა“ დაკავშირებულია ერთიანი „უწყვეტი“ შიგნითა რკალთან, ხოლო 3-4-გან მას გაკეთებული აქვს საკიდრის კავები, რომლითაც მასზე გადაბმულია გუმბათოვანი, გულთა ტოტები. ისინი თავს იყრიან ცენტრში. ტოტები შეიძლება დაგრებილი და მორკალური იყოს ან ერთიანი და

<sup>7</sup> შდრ. მეგრული სახელწოდება საკიდლისა-„ნაჭა“, „ლანჭა“, აგრეთვე „ეონაჭალი“ (ასაკიდელი კავი).

მკვეთრად მოხრილი, რაც სამკერეს ზარის ან საცეცხლურის გარეგნობას აძლევს. კამარის (გუმბათის) წვერზე მიმაგრებულია საკიდარი ჯაჭვი, რომელსაც ბოლოზე აქვს კავი ან მორგებული აქვს დახურული „კილო“ მასში გარას გასაყრელად.

ჩვეულებრივად, სამკერე შემკულია ორნამენტებითა და ცხოველთა — ჯიხვების, ხარების, ირმების, ვაცების, არჩების, ვერძების „თავრეულის“ გამოსახულებით (სურ. 3). ეს ის ცხოველები არიან, რომლებიც გარს ერტყნენ ადგი-



სურ. 3

ლობრივ მოსახლეობას და მისი სამეურნეო და რიტუალური ცხოვრების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ ცხოველთა თავრეულის მიხედვით წარმოდგენილია მამალი ცხოველები — ხარი, ხარირემი, ხარჯიხვი, ვერძი, ვაცი ... ამ მიმართულებით, შეიძლება შემთხვევითი არ იყოს, რომ საერთოდ რკინის საგნებზე, რომლებიც ქართველ ხალხსა და კავკასიის მთიელებში მიჩნეულია კაცი „მამაქედლის“ — ამირანის, წმ. გიორგი-კვირიას, სოლომოს (სამეგრ.) „შაში“-ს (აფხაზ.) ნამოქმედრად, ხშირად მამალი ცხოველების სიმბოლოებაა გამოსახული.

ერთი შეხედვით, სამკვრე უბრალო და მარტივი კონსტრუქციის ნივთი ჩანს, მაგრამ თუ მისი კომპოზიციას დაუკვირდება კაცი, ადვილად დინახავს, რა დიდ და ღრმა აზრის გამოხატველია იგი. ამას განსაკუთრებით ვიგრძნობთ, როდესაც წარმოვიდგენთ ძველ ვიწროსარკმლიან სახლს, სადაც ბინდ-ბუნდში კერის თავზე ჩამოკიდებული სამკვრე, მასზე დანთებული კვარის<sup>8</sup> შუქზე, ძველთაძველი თქმულების — ცით „შობით“ ჩამობმული გვირგვინივით გამოიყურება. ამასთანავე, თუ გავითვალისწინებთ იმ ამბავს, რომ სამკვრეზე წარმოდგენილი ცხოველთა თავრიელის გამოსახულებანი ასახავენ რეალურად არსებულ საღვთო ცხოველებს და, ამავე დროს წარმოდგენენ ნიშანს, „ზერანს“<sup>9</sup> (ამანათის, საწინდრის მნიშვნელობით), სამკვრეს მხატვრულ-ეთნოგრაფიული მნიშვნელობა კიდევ უფრო საინტერესოდ წარმოგვიდგება.


საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სამკვრეზე წარმოდგენილი ცხოველთა მოტივები გარკვეულ მსგავსებას ამქლავებს ბრინჯაოს ძველ სარტყლებზე მოცემულ გამოსახულებებთან. მიუხედავად მათ შორის არსებული გრძელი ქრონოლოგიური თარიღისა, ისინი ერთგვარ მოტივებს შეიცავენ. ამის მთავარი არის მდგომარეობს იმაში, რომ ძველი რწმენით, ყოველი გამოსახულება წარმოდგენს რეალური საგნის „ორეულს“, „ზერანს“, რომლის მიმართ ზემოქმედება იმავე მნიშვნელობისაა, რაც ნამდვილი საგნის მიმართ. ამის საფუძველზე არსებობს გარკვეული რწმენა-შეხედულება და წეს-ჩვეულება. ამ ნიადაგზე უნდა იყოს წარმოდგენილი ნადირთა და შინაურ ცხოველთა ქანდაკებანი სამკვრეზე. სამკვრე ხომ კერასთან იყო დაკავშირებული და ეს უკანასკნელი სინათლისა და სითბოს ციურ წყაროსთან — მზე-მთვარესთან, მზე-„ღამბადებელთან“ და მთვარე „შემქმნელთან“. ამ შემთხვევაში სამკვრე განასახიერებდა იმავე კერას, რომელიც ძლიერ და წმინდა ადგილად იყო მიჩნეული. მისი სიმრგვალეც, ხომ მზე-მთვარის მოყვანილობას გამოსახავდა. ნათქვამის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ ქართული კერა და მის გარშემო შემოწყობილი კერის ჭურჭელი ისე, როგორც იგი წარმოდგენილია სინამდვილეში.

კერა გრებილი რკინის ხელადის ერთ-ერთი საყურადღებო სახეობაა. იგი სხვადასხვა სახისაა. განირჩევა მოყვანილობით, სიდიდითა და შემკულობით. ჩვენი მსჯელობა ეხება ე. წ. ქართულ კერას, რომელიც უფრო ქართლში იყო გავრცელებული. აქ მისი გამოყენება ძირითადად დარბაზულ შუაეცხლიან სახლებს ახასიათებდა (სურ. 1, 4). რკინის კერის მთავარი ფუნქცია იყო „ცეცხლმსახურება“. იგი წარმოდგენდა მუგუზლების თავსაყრდენს, რომელთა ქვეშ გაწყობილი იყო კერის ყვერფი და მასზე დანთებული ცეცხლი. მუგუზლებს გრძლად და თავწაშვერილად აწყობდნენ მათზე დამხობილი თიხის

<sup>8</sup> როგორც ცნობილია, კვარი ფართოდ იყო გამოყენებული რაჭის სარკინეთში, მდინის მოპოვებასთან დაკავშირებით, შიგნი გვირაბებში საშუქებლად. ანთებული კვარი სპეციალურად ეჭირა ერთ კაცს-მემკვრეს, რომელიც უმარჯვებდა შუქს მომუშავე ვირთ.

<sup>9</sup> „ზერანი“ — იგივე საწინდარი, ნიშანი, რეალურის შესატყვისი გამოსახულება. საქართველოში მრავალეული იყო მაგიური ხასიათის „ზერანის“ დამზადება ლითონის, მიწისა და პურეულის მასალით.

კეცების გასახურებლად. უნდა ითქვას, რომ რკინის კერას საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ცვლიდა ქვის კერა. ეს უკანასკნელი შედგებოდა ორი ნაწილისაგან, რომლებიც კუთხედად იყო გამოყვანილი და საძირე „ქალამნით“ ერთდებოდა. თითოეული თავი წარმოადგენდა კუბისებურ მოყვანილობის „მხარს“. ერთზე გამოხატული იყო „მთვარე“, მეორეზე — „მზე“.



სურ. 4

რკინის კერა ნაწილობრივ ან მთლიანად გრეხილი ტანისა იყო. გარეგნულად იგი ქვის კერას ჰგავდა. შედგებოდა მარჯვენა, მარცხენა ფეხებისა და მათ შორის გაწვდილი ბრტყელი გამირისაგან, რომელიც შეიძლება ცალი ან წყვილი ყოფილიყო, ანდა სამ და ოთხმაგი. გამირებს შორის მოქცეული ცარიელი არე გაწყობილი იყო ხარიხული წესით ან გაწვდილი სახით გრეხილი რკინის რიკულებით. ამგვარი კონსტრუქციის მიხედვით, კერა ღამაში და მოხერხებული ნივთი იყო. მის განზე გადგმულ ფეხებს, როგორც სამკვრეს, ცხოველთა გამოსახლება „თავრიელი“ ამშვენებდა. გამოსახლებათა შორის და კიდეებზე კერა დაჭრელებული იყო გეომეტრიული სახის ორნამენტებით<sup>10</sup>.

კერის აგებულებაში გრეხილი ნაწილები არსებითად სამკაულს წარმოადგენდა და უფრო სამშენისი მნიშვნელობა ჰქონდა. საინტერესოა, რომ კერის შემადგენელი გრეხილი ელემენტები თავის გამოხატულებას ჰკოვებს სამკვრესა და საკდილის ცალკეულ დეტალებთან. ამ მიმართულებით შეიმჩნევა, რომ მკედ-

<sup>10</sup> საბას განმარტებით—„კერა მუგუზის (მუგუზის) თავის სადები“-ა, ასევე ნ. ჩუბინაშვილის მიხედვით კერა, ანუ კერაკი მუგუზის თავსადები გრძელი ზესადგარი (მითითებულია: დაბადება, იერემია, თ.36. 23. სადაც ვკითხულობთ: „მეფე ჯდა სახლსა შინა საზამოროსა, თუესა მეცხრესა, და კერაკნი ცეცხლისანი პირისპირ მისსა“).

ლის შემოქმედებითი უნარი და ფანტაზია, ტექნიკური შესრულების სიძნელის გამო, გარკვეულ ერთფეროვნებას ემორჩილება და გამოსახვის გავაფულ სტილს იცავს. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მჭედელი, პირადი ნიჭისა და უნარის მიხედვით, მაინც აღწევს საგნების გამოსახვის მაღალ ჰედურ ხელოვნებას.

ასტამი. გრებილი ტანით გამოირჩევა აგრეთვე პურის ცხობის აუცილებელი იარაღი რკინის — ასტამი. იგი ძირითადად სამნაირია: შუაეცხლთან სახმარი, სავარცლუ და სათონე. პირველი განკუთვნილი იყო პურის საცხობი კეცების ხმარებისას „ღველფის“, ცხელი ნაცრის ასაღებად და ყვერფში ჩასასმელი პურების ჩასმა-აყენებისათვის. იგი დიდი და გრძელტარხანი კეთდებოდა. პირი ნიჩბის მსგავსი, მხრებდაქნილი და ოდნავ „კუტი“, ან „გულდადრეკილი“ ჰქონდა. ტარი გრძელი და ბოლო „კობანებიანი“. კობანები ზოგი ღია თვლიანი იყო, ზოგიერთი დახშული. ასტამის ტარი, რომლის სიგრძე ხშირად 1,5 მეტრს აღწევდა მთლიანად დაგრებილი იყო, მხოლოდ დასაწყისში ინარჩუნებდა ოთხკუთხიანობას. საერთოდ, იგი დიდი ტანის კეთდებოდა, ვინაიდან დიასახლისი მხოლოდ მცირედით უნდა დახრილიყო ძირს მისი ხმარების დროს. დაახლოებით ორი მეტრის სიგრძის რკინის ღეროს დამუშავება ასტამის ტარად, ნაწილ-ნაწილ წარმოებდა, რომელთაც შემდეგ ერთიმეორეს ოსტატურად მიადგამდნენ და მიამთვლებდნენ. ასტამს და საკეცურს, ვითარცა „ნაწილიან“ საგნებს, მაგიური მნიშვნელობა ენიჭებოდათ. კერძოდ, საქართველოს თემებში ასტამ-საკეცურით გადენიდა დედა თავის შვილებს ეზოში „ჩიტა-ფაფის“ დღეობის დროს. დიასახლისი ასტამითა და საკეცურით ხელში, შეუხებელი იყო და მისი ამ დროს განრისხება უბატიო საქციელად ითვლებოდა. იგი თვითონაც იკავებდა თავს და თუ ეს იარაღები ხელთ ეყურა, ვინმეს დაწვევლას მოერიდებოდა. ასტამი ძვირადღირებული სამზითო ნივთი იყო. როდესაც ასტამს ეცხლში ხშირი ხმარების გამო პირი დაეწოდა, ან დაუზიანდებოდა მჭედელი ახალ პირს მოაბამდა მის ლამაზ ტანს. განსაკუთრებით ვერ ელეოდნენ მის დაგრებილ ტარს. მართალია ზოგიერთი ასტამი დაუგრებილი ტარისა გვხვდება, მაგრამ ეს უფრო სიიაფისა და ოსტატის მუშაობის გადავილებით აიხსნება. წესით ასტამი ძირითადად ტანგრებილი გვხვდება. დაგრებილ ტანს ის უპირატესობა აქვს, რომ ხელში არ ცურავს, სახმარად მარჯვეა და სიგრძის მიუხედავად მისი ვიწრო ტარი არ იღუნება, თანაც ბევრად ლამაზია.

დიდი ასტამის გარდა, იჭედებოდა ვარცლის ასტამი, რომელიც პატარა ტანისა კეთდებოდა. იგი ცომის ასაფხეკად და მსგავსი საქმისათვის იხმარებოდა. ასევე, თონეზე პურის ცხობისას გამოყენებული იყო სათონე ასტამი. იგი ნაირსახისა იყო. ზოგიერთ შემთხვევაში კუთხედი ტანით ხასიათდებოდა, მაინცდამაინც აუცილებელი არ იყო მისი ტანგრება, ვინაიდან გამომცხვარი პურის ამოსმისა და დამთენილ კეცზე პურის ჩაფხეკის დროს დიდი ჯაფა არ ადგა.

სამივე ეს ასტამი თავისი აგებულების და ძირითადი ხასიათით დაკავშირებულია პურის ცხობასთან და ამ მიზნით დიასახლისის არსებობის ინსტიტუტთან. საქართველოს ეთნოგრაფიის სინამდვილეში უკანასკნელ დრომდე შემოინახა დიასახლისის არჩევა „ზარბალობას“ ერთი წლის ვადით<sup>11</sup>.

<sup>11</sup> ყოველ ზარბალობას (4 დეკემბერი ძვ. სტილით.) რაჭასა და ლეჩხუმში ირჩევდნენ დიასახლისს, მორიგეობით, მეორე წლის ზარბალობამდე, რომელსაც ცერემონიით გადასცემდნენ ასტამ-საკეცურს, როგორც წმინდა საგნებს.

სახორცე ჩანგალსაც გრეხილი ტარი ახასიათებს. იგი რამდენიმე სახისაა: ორთითა, სამითა და ოთხითა. თითოეული თითი მოხრილია და წამახული წვერი აქვს. ტარი ძირიდანვე დაგრეხილია და თავდება კაცი თან ყუნწში გამობმული რგოლით, რომელიც „საკიდრის“ მოვალეობას ასრულებს. სახორცე ჩანგლისათვის გრეხილი ტარის საჭიროება ყველაზე აშკარად ჩანს. იგი იხმარება ქებაში ნაჭრებად ჩადგმული ხორცის მოხარშვის შესამოწმებლად ან მოხარშული ხორცის ამოსაღებად. ამიტომ მისი ტარი მტკიცე და გამძლე კეთდება, რომ მდლდარედან ხორცის ამოღების საიმედო იარაღი ყოფილიყო.

თუ რამდენად ძველია თავისი ფორმა მოყვანილობის სახორცე ჩანგალი („კონკარი“ მეგრ.). იქიდან ჩანს, რომ ზუსტად რკინის ჩანგლის ტიპის ბრინჯაოს ჩანგალი აღმოჩენილია ყობანის კულტურის გათხრების წყალობით. ხორცის ჩანგალი ერთნაირად იყო გავრცელებული კავკასიის მთა-ბარში. სახორცე ჩანგალი იჭედებოდა ორგვარი დანიშნულებით — საოჯახოდ და სახატოდ. ეს უკანასკნელი მიჰქონდათ ხატში საწირავად, ისე როგორც რკინის შამფურები, უღლები და სხვა საგნები. მათ მჭედელი ამზადებდა დიდ ხუთშაბათს უბრადა.

საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ გრეხილი ტარის ნივთების დამზადება და მოხდენილად გამართვას წმინდა ესთეტიკური დანიშნულებაც ჰქონდა. ამის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს ქართლის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული საქორწინო კანდელი, (კოლ. 16-44-25), რომელიც ტარდაგრეხილი ნივთის საუკეთესო ნიმუშად ჩაითვლება.

ცნობილია, რომ ქართულმა ხალხურმა მჭედლობამ დღემდე შემოინახა ბევრი ისეთი წესი და გამოცდილება ლითონთა დამორჩილების საქმეში, რომელთაც ღრმა წარსულში უდგია ფეხი. რკინის შემზადებისა და დამუშავების ხერხები, რაც გამოიხატება მადნეულის რკინად დაწურვის, მომწიფების, კვერვისა და წრთობის სხვადასხვა წესში, დამაჯერებლად ასახავს ქართული ხალხის ძველ შრომითს ჩვევებსა და დიდ საწარმოო გამოცდილებას მელითონეობის დარგში. ქართული ეთნოგრაფიული გარემო იცნობს, როგორც ითქვა, რთული და მრავალნაირი სახის წრთობას, რკინის მოპოვების, დამუშავებისა და მისგან ნაირ-ნაირი სახისა და დანიშნულების „ხელადის“ ქედვის ხელობას.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ ს. ჯანაშიას სახ.  
სახელმწიფო მუზეუმმა)

Б. Л. ФОНКИЧ

## МАТЕРИАЛЫ ДЛЯ ИСТОРИИ ГРЕЧЕСКИХ СРЕДНЕВЕКОВЫХ БИБЛИОТЕК

### Библиотека Иверского монастыря на Афоне в конце XV — начале XVI вв.

Среди греческих рукописей, привезенных в Москву в 1655 г. Арсением Сухановым из Иверского монастыря на Афоне и хранящихся ныне в Государственном Историческом Музее, имеются семь древних кодексов, изучение которых позволяет осветить один из моментов жизни библиотеки крупнейшей афонской обители на рубеже XV—XVI вв.

1. № 361, XI в., пергамен; минея-четырь на ноябрь;
  2. № 372, XI в., пергамен; минея-четырь на декабрь и январь;
  3. № 378, XI в., пергамен; жития святых;
  4. № 388, XI в., пергамен; жития святых;
  5. № 391, XIII—XIV вв., пергамен (лл. 1—32, 91, 94) и бумага (лл. 33—90, 92—93, 95—314); жития святых и другие статьи;
  6. № 393, XIV, XVI вв., бумага; жития святых и другие статьи;
  7. № 413, XIV в., бумага; творения Иоанна Дамаскина и Феодора Продрома<sup>1</sup>.
- Все эти рукописи в конце XV — начале XVI вв. были реставрированы в тем книгохранилище, где судьба соединила их в указанное время.

Судя по тому, что рукопись № 388 с момента своего появления на свет до середины XVII в. принадлежала Иверскому монастырю<sup>2</sup>, можно заключить, что реставрация наших манускриптов была проведена в библиотеке Ивера. Этот вывод подтверждается наличием в рукописи № 391 грузинских помет XIII — XIV вв. (лл. 1, нижнее поле; 314 об.) и кусочка пергамена с остатками грузинского афонского письма XI в. (которым подклеен л. 89), а в рукописи № 413 — записи о принадлежности книги Иверу в XV—XVI вв. (л. 273 об.).

Датировка реставрации рубежом XV—XVI вв. определяется филиграммами бумаги, использованной для подклейки листов рукописей и дополнения утраченного текста: Briquet<sup>2</sup> 11154 (1479, 1480, 1482 гг.; № 391), 11159 (1483 г.; № 372), 6662 (1496 г.; №№ 361, 393), 10718 (1499—1500 гг.; № 413), 12845 (1518 г.; № 413).

<sup>1</sup> Номера рукописей приводятся по каталогу архим. Владимира: Систематическое описание рукописей Московской Синодальной (Патриаршей) Библиотеки. Часть первая. Рукописи греческие. Сост. архим. Владимир. М., 1894.

<sup>2</sup> Рукопись написана иверским писцом Феофаном в нач. XI в. См.: Б. Л. Фонкич. Переводческая деятельность Евфимия Святогорца и библиотека Иверского монастыря на Афоне в начале XI века. Палестинский Сборник, 19 (82), 1968. Помета τὸν Ἱβήρων, имеющаяся в рукописях №№ 388, 372, 378, 391, 393 и 413, проставлена иверским библиотекарем в 1654 г., во время покупки этих кодексов Арсением Сухановым.



При реставрации манускриптов была проведена следующая работа:

1. подклейка бумагой (в № 391, лл. 89, 194 — пергаментом) обветшавших и разорванных листов, углов и полей, заклейка дыр (№№ 372, 388, 391, 393, 413);
2. восполнение текста утраченных листов рукописей (№ 372, лл. 2 — 5 об., 173 — 174; № 393, лл. 2—3об.; № 413, лл. 263 — 269 об.);
3. восполнение текста утраченных частей отдельных листов (№ 413, лл. 191—199);
4. составление пинакса (оглавления) реставрируемой книги (№ 361, л. 2; № 372, л. 1 об.; № 378, л. 1 об.; № 391, л. 1 об.; № 393, л. 1), нумерация в соответствии с пинаксом каждого текста в самой рукописи и указание количества листов, занимаемых в рукописи данным текстом (№№ 361, 378, 391, 393).

Нужно думать, что работа по реставрации и систематизации (см. ниже) рукописного фонда была проведена иверским библиотекарем, хранителем «книжной казны».

Судя по почерку, которым восполнен текст утраченных листов рукописей и писаны оглавления, реставрацией книг занимались два человека: первый работал с кодексами №№ 361, 372, 378, 393, 413, второй — с №№ 388, 391. Почерки, бумага, использованная для подклейки листов и дополнений текста, приемы реставрации рукописей позволяют признать работу обоих реставраторов одновременной и предполагать, что один из них (первый), был «главным» библиотекарем, другой — его помощником.

Иверские книгохранители не ограничились реставрацией манускриптов. Встречающиеся в житийных сборниках принадлежащие им пометы: βιβλίον β-ον τὸ πανηγυρικόν (№ 388, л. 1 об.), βιβλίον πανηγυρικόν ε-ον (№ 378, л. 1 об.), βιβλίον ς-ον τὸ πανηγυρικόν (№ 391, л. 1 об.), βιβλίον πανεγυρικόν ιβ-ον (№ 393, л. 1 об.)<sup>3</sup>, — дают возможность считать, что библиотекари Иверского монастыря на грани XV — XVI вв. занимались систематизацией своего фонда, либо укрепив в указанной нумерации уже существовавший порядок расположения рукописей на полках, либо предложив свою систему группировки кодексов по содержанию<sup>4</sup>.

<sup>3</sup> В рукописи № 372 «главный» библиотекарь в нижнем углу подклеенного им листа 176 сделал следующую помету (л. 176 об.): ὁ παρὸν λόγος τῆς ἀγίας μελάνης τῆς ῥωμαίας ὑπάρχει εἰς τὸ γ-ον πανηγυρικόν καὶ ζήτει ἐκείσε λόγον γ-ον.

<sup>4</sup> Ср. порядок расстановки книг в библиотеке Лавры св. Афанасия: Б. Л. Ф о н к и ч. Библиотека Лавры св. Афанасия на Афоне в X—XIII вв. Палестинский Сборник, 17 (80), 1967, стр. 172, 174.

## საკადემიოს სავსოგადოებრივ მაცნებრებათა განყოფილვბის ინსტიტუტები 1969 წელს

### ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

1969 წელს ინსტიტუტი განავრცობდა მუშაობას საქართველოს, მისი მეზობელი ქვეყნების, მსოფლიოსა და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ხალხების სოციალ-პოლიტიკური ისტორიის, მატერიალური კულტურის, ყოფისა და სულიერი კულტურის ისტორიის ფართო პრობლემები-კაზე.

დავევარების მიხედვით პრობლემური თემების უმრავლესობის საბოლოო დამუშავება 1970 წელს დასრულდება.

ინსტიტუტი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრებით. ინსტიტუტში თანამშრომლობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის 2 ნამდვილი წევრი (გ. მელიქიშვილი, გ. ჩიტაია); 2 წევრ-კორესპონდენტი (ა. ავაქიძე, შ. მესხია); 30 მეცნიერებათა დოქტორი, 126 კანდიდატი; ინსტიტუტში 122 უფროსი მეცნიერი თანამშრომელია, 98 — უმცროსი.

შარშანდელ წელთან შედარებით ინსტიტუტის სტრუქტურა არსებითად არ შეცვლილა. საანგარიშო პერიოდში ინსტიტუტში არსებული ევროპის ქვეყნების ისტორიის შემსწავლელი პრობლემური ჯგუფის საფუძველზე შეიქმნა ცალკე განყოფილება (ხელმძღვანელი — ისტ. მეცნ. დოქტორი ი. ტაბაღა).

ინსტიტუტის 1968-1969 წწ-ის სამეცნიერო-კვლევითი გეგმები და ზოთწლიანი პერსპექტიული გეგმაც გადაისინჯა და დამუშავდა სკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ სავსოგადოებრივ მეცნიერებათა შემდგომი განვითარებისა და კომუნისტების მშენებლობაში მათი როლის გაზარდის შესახებ 1967 წ-ის 14 აგვისტოს მიღებული დადგენილებების საფუძველზე. აღნიშნულ დადგენილებასთან დაკავშირებით ინსტიტუტმა დიდი შრომა გასწია განმარტავადი ნაშრომების შესაქმნელად საქართველოს ისტორიის საკანონო საკითხებზე. ყურადღება გამახვილდა საკვლევით თემების განსაკუთრებულ აქტუალობაზე, ისტორიის ანტიკომუნისტურ ფალსიფიკატორთა მეცნიერულ კრიტიკაზე, სავსოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ფორმების კონკრეტულ-სოციალოგიურ შესწავლაზე.

ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, ქართული ისტორიული აზროვნების ცენტრი, დიდი პასუხისმგებლობით შეუდგა მზადებას გ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის. ინსტიტუტის დირექციამ და პარტორგანიზაციამ დასახეს და გაატარეს მთელი რიგი ღონისძიებანი, რაც ქართველ მკითხველს უფრო ღრმად და ნათლად წარმოუდგენს დიდი ლენინის სახეს, ლენინიზმის იდეების სიცოცხლისუნარიანობას. განსაკუთრებული ადგილი დაეთმო გამოვლენას იმ დიდი როლისას, რომელიც შეასრულეს გ. ი. ლენინის შრომებმა საქართველოში სოციალ-დემოკრატიული და ისტორიული მეცნიერების განვითარების საქმეში.

სავსოგადოებრივი გეგმით 1969-1970 წწ-ში გათვალისწინებულია შემდეგი საიუბილეო მონოგრაფიული ნაშრომების გამოცემა: გ. ი. ლენინი და ქართული ისტორიული მეცნიერება (პროფ. პ. რატიანი); გ. ი. ლენინი და სოციალისტური მშენებლობა საქართველოში (პროფ. ნ. მახარაძე); გ. ი. ლენინი ნაციონალური საკითხის შესახებ (ისტ. მეცნ. კანდ. უ. სიღამონიძე); გ. ი. ლენინი საფრანგეთის შესახებ (ისტ. მეცნ. დოქტ. ი. ტაბაღა); კულტურისა და სავსოგადოებრივი აზროვნების საკითხები (გ. ი. ლენინის შრომებში (ისტ. მეცნ. კანდ. მ. გაფრინდაშვილი).

ამავე გეგმით გათვალისწინებულია, რომ გამოიცეს ავტორთა კოლექტივების ორი კრებული, რომლებიც მიეძღვნება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 50 წლისთავის იუბილეს.

1969 წ-ის ინსტიტუტმა დაასრულა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რედაქციულზე



მუშაობა და გადასცა იგი გამომცემლობას, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერცხრობით არცერთი ტომი არ გამოქვეყნებულა, თუმცა კი ზემდგომი ორგანოების დადგენილებათა საფუძველზე აღნიშნული შრომის ნაწილის დაბეჭდვა გამიზნული იყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 50 წლისთავის იუბილეუთათვის. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ უმნიშვნელოვანესი სამუშაოა ინსტიტუტის მიერ უკანასკნელ პერიოდში შესრულებულ სხვა სამუშაოთა შორის.

ინსტიტუტი მუშაობს სამი ძირითადი მიმართულებით:

1. საბჭოთა კავშირის ხალხთა და კომუნისტური პარტიის ისტორია.

2 საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციათა ისტორიული ფორმები და მათი მონაცვლეობის რეგისტრირება.

3. მსოფლიო კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია.

I მიმართულებით ინსტიტუტში მუშაედებოდა 2 პრობლემა და 9 თემა, II მიმართულებით — 4 პრობლემა და 17 თემა, ხოლო III მიმართულებით — 3 პრობლემა და 18 თემა.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ დაგეგმარების მიხედვით პრობლემურ თემათა უმრავლესობა გარდამავალია და ამდენად საინგარიშო წესს საბოლოოდ დასრულდა მხოლოდ 4 თემა. ისტ. მეცნ. კანდიდატმა ბ. ლომინაძემ წლების მანძილზე მონოგრაფიულად შეისწავლა ქართული ფეოდალური ეკლესია, აჩვენა მისი ადგილი გლეხობის ფეოდალური ექსპლუატაციის საქმეში და გამოავლინა ეკლესიის ბატონობის კლასობრივი არსი. დასრულებული თემის სახელწოდებაა „ფეოდალური საქართველოს ეკლესიის პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურა (IV—XIX სს.)“.

ბ. გიორგაძემ ვადაზე ადრე დაასრულა და გამოცემლობას გადასცა ქრისტეფორე კასტელის ალბომის ფრაგმენტების თარგმანი.

როგორც ზემოთ აღნიშნული იყო, დასრულდა და გამომცემლობას გადაცა „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ 8 ტომი, სადაც ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის უკანასკნელი პერიოდის მიღწევების საფუძველზე მეცნიერულად განზოგადებულია და სისტემატიზირებული საქართველოს ისტორიის კარდინალური საკითხები; მოცემულია საქართველოს პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიური და კულტურის ისტორია უძველესი დროიდან დღემდე.

ინსტიტუტში საინგარიშო წესს შესრულებული იქნა განმარტავებული ხასიათის კოლექტიური ნაშრომი: ძველი ისტორიის განყოფილებამ დაასრულა რამდენიმე წლის სამუშაო — დაიწერა ნარკვევები, მიძღვნილი ძველი შუამდინარეთის, ეგვიპტის, ხეთების სახელმწიფოს, მი-

თანის, ურარტუს, ძველი ირანის და სხვ. ისტორიისადმი. წიგნი რედაქტირების შემდეგ გამოქვეყნდება უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელოს სახით.

წარმატებით გრძელდება მუშაობა სხვადასხვა თემიკურ კრებულებზე. გამომცემლობაში გადაცემული „ქართული ისტორიოგრაფიის“ II კრებული.

ძველი და შუა საუკუნეების წყაროთმცოდნეობის განყოფილებაში საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობითი კურსისათვის დაიწერა 3 თავი (შემსრულებლები ბ. ალექსიძე, ბ. სილაგაძე, ლ. დავლიანიძე). ამ ნაშრომებში შესწავლილ-შეფასებულია საქართველოს ისტორიის არაბული და სომხური წყაროები.

გრძელდება შრომა მრავალი წლით დაგეგმილ სხვადასხვა თემატურ ატლასებზე. აკად. გ. ჩიტაიამ დაწერა შესავალი-გამოკვლევა ატლასის I ტომისათვის — „ატლასის შედგენის მეთოდი, მიზანი და ამოცანები“. შედგენილია კარტოგრაფიული თემატზე — „ქართველთა ეთნიკური ისტორია“, „საქართველოს მოსახლეობის ანთროპოლოგიური და ენობრივი შემადგენლობა“, 12 კარტოგრაფია თემატზე — „მიწათმოქმედება საქართველოში“ 18 კარტოგრაფია მუსიკალური ფოლკლორის დარგში და სხვ.

მეტად ინტენსიური მუშაობა ჩაატარა კონკრეტულ სოციალურ კვლევა-ძიებითა ლაბორატორიამ (ხელმძღვანელი — ისტ. მეცნ. დოქტორი მ. გეგეშიძე), სადაც დასრულდა მუშაობა კოლექტიურ თემატზე „ახალი სამგორი (კომპლექსურ-სოციალური შესწავლა)“. ლაბორატორია ცდილობს, რომ მის მეცნიერულ კვლევა-ძიებას კონკრეტული ქმედითი შედეგები ახლდეს.

დიდ წარმატებებს მიაღწია კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილებამ მდ. არდონის ოსების, კავკასიის სხვა მთიელი ხალხების ეთნოგრაფიული შესწავლისა და ამ მასალის განზოგადების საფუძველზე.

საინგარიშო წესს წინ წაიხდია მუშაობა საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული ატლასის შედგენის საქმეში. დასრულდა მუშაობა ქვემო ქართლის რუკების შედგენაზე (განვითარებული ფეოდალიზმის ხანა და გვიანი შუა საუკუნეები). შედგენილი იქნა საქართველოს ისტორიული რუკა (IV—VI სს.). ჩატარებული მუშაობის საერთო მოცულობითა და ხარისხით ისტორიული გეოგრაფიის კაბინეტი დიდი ხანია განყოფილებაში უტოლოდობა.

არქეოლოგიურ ექსპედიციებში თანამშრომელთა მეტად ინტენსიურად დაკავების გამო ერთგვარად შეფერხდა მუშაობა საქართველოს არქეოლოგიურ ატლასზე, მაგრამ არქეოლოგიის მიუღმა სექტორმა მეტად ნაყოფიერად იმუშავა. თეორიული და პრაქტიკული ხასიათის უმნიშ-

ვენელოვანესი შედეგები ჰქონდა ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღვანელი — პროფ. ო. ლორთქიფანიძე) მონაბოვარს — ზოგადად საქართველოს და ანტიკური გარემოცველი სამყაროს ურთიერთობათა, ძველი საქართველოს ქალაქების გენეზისის ისტორიის თვალსაზრისით. კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გურჯაანის რაიონში დაადასტურა მუსტიეს ეპოქის კერა, რაც იშვიათია საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და თითქმის უნიკალურია საქართველოს სინამდვილისათვის. ქვემო ქართლის ექსპედიციამ დაასრულა თეთრი წყაროს რაიონში უძველესი სამოსახლოს შესწავლა, რის შედეგადაც გამოვლინდა კერამიკული წარმოების თავისებური ტექნოლოგია, რომელიც თავისი პრინციპებით მჭიდრო კავშირშია მაიკოპის ცნობილ კულტურასთან. მაღალი მეცნიერული წარმატებები აქვს არუხლოს ექსპედიციას (ხელმძღვანელი — უფრ. მეცნ. თანამშრომელი ტ. ჩუბინიშვილი).

ინსტიტუტი კვლავაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას აქცევდა საქართველოს უახლესი ისტორიის აქტუალური პრობლემების შესწავლის საქმეს.

პრობლემაზე — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისტორია — მუშაობდნენ საქართველოს უახლესი ისტორიის განყოფილების თანამშრომლები. შესწავლილი იქნა საქართველოს მეშუათა კლასის ნაციონალური შემადგენლობა და სტრუქტურა XX საუკუნის I ნახევარში; სხვადასხვა პარტიების ბრძოლა ნაციონალური საკითხის შესახებ; გლეხობის რევოლუციური ბრძოლის თავისებურებანი; მენშევიკური მთავრობის პოლიტიკის რეაქციული არსი; სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება საქართველოში; ამ საკითხზე ისტორიის ბურჟუაზიულ ფალსიფიკატორთა კრიტიკა და სხვ. აღნიშნულ თემატიკაზე მუშაობდნენ: ისტ. მეცნ. დოქტორი ნ. მახარაძე, ისტ. მეცნ. კანდიდატები — გ. ზაქარაძე, ს. მამულა, კ. ჭიჭია და ა. ათანელიშვილი.

უნდა აღინიშნოს ფასილებათა იმ დოკუმენტური მასალებისა, რომლებიც გამოაგლინა ს. მამულამ და რომელიც მივიითიებენ ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის კრახზე, მენშევიკური მთავრობის ანტიხალხურ პოლიტიკაზე 1918-1920 წწ.ში.

თემაზე — კავასიის მშრომელთა რევოლუციური ოანამეგობრობა სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლაში მუშაობდა კავასიის ხალხთა ისტორიის განყოფილება. იბეჭდება და მალე გამოვა გ. თოგოშვილის მონოგრაფია

„ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა 1801—1921 წწ.“ (9 თაბახ).

7 გამსწავლებელ თემას აერთიანებს პრობლემა — სოციალიზმისა და კომუნისმის მშენებლობა სსრკ.ში. ამ თემაზე მუშაობდნენ საქართველოს უახლესი ისტორიის, საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილებების, კონკრეტულ სოციალოგიურ კვლევა-ძიებათა ლაბორატორიის თანამშრომლები.

საქართველოს უახლესი ისტორიის განყოფილების თანამშრომლებმა შეისწავლეს შემდეგი საკითხები: ლენინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელება საქართველოში; ტექნიკური კვალიფიკაციის დონის ზრდა, რეკონსტრუქციის მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობის საკითხები; საქართველოს მუშათა და გლეხთა კავშირის შემდგომი გამტკიცება; საქართველოს მშრომელების მონაწილეობა დიდ სამამულო ომში (პარტიზანულ ბრძოლაში და ევროპელი ხალხების „წინააღმდეგობის ფრონტისათვის“ მხარდაჭერაში).

განყოფილების თანამშრომლებმა შეისწავლეს საქართველოს მშრომელების ბრძოლა საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის. აღნიშნულ პრობლემატიკაზე მუშაობდნენ: ისტ. მეცნ. დოქტორი, პროფ. ი. კაჭარავა (ხელმძღვანელი), ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორები: ე. ახობაძე, გ. ბრეგაძე, ა. კოკლავაშვილი, დ. მაისურაძე, ისტ. მეცნ. კანდიდატები: მ. ჯიქიშვილი, თ. უფენიძე, მ. კანტერე, მ. ჭოჩიაშვილი, გ. თევზაძე, ს. შარიჭაძე, ნ. ჩაფიძე, ი. ჩიჭავა, ა. ჩხატარაშვილი, უმცროსი მეცნიერი თანამშრომლები: ლ. ბერიძე, მ. გველესიანი, ნ. დათეშიძე, დ. კეკელიძე, რ. კოკლავაშვილი.

საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების თანამშრომელმა გ. ჯავახიშვილმა შეისწავლა „ქ. ფოთის ნავსადგურის მუშათა საწარმოო და საზოგადოებრივი ყოფა“. დადგინდა მუშათა კადრების ჩამოყალიბების პროცესი. შესწავლილია მუშების ძველი და ახალი ყოფა ურთიერთდაპირისპირებაში.

პრობლემას — პირველყოფილი და მონათმფლობელური საზოგადოების ისტორია სწავლობდა ინსტიტუტის რამდენიმე განყოფილება. ზემოთ აღნიშნული იყო ქვეს ხანის არქეოლოგიის განყოფილების თანამშრომლის თ. ბუგიაწიშვილის მიერ გურჯაანის რაიონში მიკვლევული მუსტიერული სადგომის შესახებ. იგივე განყოფილება (ხელმძღვანელი ისტ. მეცნ. დოქ-

ტორი ა. კალანდაძე) განაგრძობდა ნეოლითისა და გვიანი კულტურების შესწავლას სამეგრელოს ბორცვიან ზონაში, მდ. ენჯურის მიყოლებით (ექსპედიციის ხელმძღვანელი — გ. გრივლია). გამოვლენილი და განსაზღვრული იქნა კულტურული ნაშთები დარკვეთში, ეხში (კიათურის რაიონი). დადასტურებულია ნეოლითიდან ენეოლითში გარდამავალი ეტაპი. დადგენილი იქნა გენეტიკური კავშირი ამ კულტურათა შორის (ექსპედიცია სახელმწიფო მუზეუმისა, მოსწილე — ლ. ნებიერიძე).

ბრინჯაოს და ადრეული რკინის ხანის განყოფილებაში (ხელმძღვანელი — ისტ. მეცნ. კანდ. გ. გობეგიშვილი) საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების თემით დაასრულა თეთრი წყაროს უძველესი ნამოსახლარის შესწავლა (შემსრულებელი — განყოფილების ხელმძღვანელი გ. გობეგიშვილი). ნაშრომში გარკვეულია ამ ნამოსახლარის ადგილი ლითონის ხანის კავკასიის უძველეს ძეგლთა შორის. მოცემულია მოსახლეობის მეურნეობის და იდეოლოგიურ წარმოდგენათა დახასიათება.

თემით — ადრეული ლითონის კულტურა კავკასიაში დამუშავებულია 9 გამოკვლევა.

ძველი კერების — დაბლაგომი, საჩხერე, აგრეთვე ახალი კერების — მოწამეთის „მღვიმისა“ და არგვეთის ნამოსახლარის მასალების საფუძველზე უფრ. მეცნ. თანაშრომელმა გ. ფხაკაძემ დამუშავა IV—III ათასწლეულის მატერიალური კულტურის ძეგლები იმერეთიდან“. ხზგანმედილი აღნიშნული კულტურის კავშირი მტკვარ-არაქსის კულტურასთან.

ნაშრომში „დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური კულტურა გვიანი ბრინჯაო ადრე რკინის ხანაში“ უფროსმა მეცნიერ მუშაკებმა თ. მიქელაძემ და რ. აბრამიშვილმა შეისწავლეს ბრინჯაოს იარაღი, მათი გაგრეცვლების სფეროები, ქრონოლოგია და სხვ. ნაშრომში წამოყენებულია მოსაზრება კოლხური კულტურის ძირითად და წამყვან კერად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შინაწილს შესახებ.

თემის მიხედვით — სამხრეთ-აღმოსავლეთ ეპიზოდის პირველი გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანაში — უმცროსმა მეცნიერ თანაშრომელმა ალ. რამიშვილმა გამოკვლია „ფიქვნარის ზღვისპირა სადგომები“. ნაშრომში გარკვეულია ამ სადგომების რობო. ისინი დაკავშირებულია მაგნეტური მადნებისაგან რკინის მიმღებ მეტალურგ მოსახლეობასთან.

ამვე განყოფილების თანაშრომლების მიერ სპეციალურად იქნა შესწავლილი გვიანი ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანის მიივები საქართველოს ტერიტორიაზე, ადრეანტიკური ხანის სამარხები სოფ. ლიდან, ადრეული და შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლები სვანეთიდან, ადრეუ-

ლი ლითონის ხანის სამხრეთ საქართველოს კულტურა (არტხლო, იპირის გორა, სამშვილდე), კახეთის, შიდა ქართლის შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლები (შემსრულებლები — ისტ. მეცნ. კანდიდატები: ნ. ტროპიჩიძე, ლ. წითლანაძე, ტ. ჩუბინაშვილი, უმცროსი მეცნიერი თანაშრომლები: შ. ჩართლანი, შ. დედაბრეშვილი, გ. მირცხულავა, ზ. შატბერაშვილი).

ამვე განყოფილებაში იქნა დამუშავებული: ცენტრალური და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომთა კულტურა გვიანი ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანაში (თემის ნაწილი); ამვე რკინის სამეურნეო იარაღები აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე; გვიანი ბრინჯაოს ხანის ძეგლები მესხეთ-ჭავჭავთში; ადრეანტიკური ხანის ძეგლები თეთრი წყაროს რაიონში; სპეციალურად იქნა შესწავლილი კავკასიის ბრტყელი უღლი, მისი გაგრეცვლების რაიონები, ქრონოლოგია; ასევე სპეციალურად იქნა შესწავლილი მადნისკლის სამაროვანი, რომელიც იმდევა დასაბუთების ვილაპარაკოთ ალგეთის ხეობის მოსახლეობის სამეურნეო ყოფის შესახებ, დაეახსიათით ამ მოსახლეობის რაიონური წარმოდგენები გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზე. (შემსრულებლები — ე. ფიცკელაური, მ. ბარამიძე, თ. დამაშვიძე, კ. კვიციანიძე, ნ. თუშიშვილი).

ანტიკური ქალაქებისა და სამოსახლეობის შესწავლის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ვანისა და ბიჭვინთის არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის განზოგადებას. 1966—1968 წწ. ვანის არქეოლოგიური გათხრების მოსაზოვარი განზოგადებულია კოლექტიურ ნაშრომში „ვანის არქეოლოგიური ძეგლები“ (ნ. ზოშტარია, თ. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე, ე. თლორდია, გ. ლორთქიფანიძე, ნ. მათიაშვილი, მ. მიწისვილი). 1969 წ-ს ნაშრომი შეიქმნა დამატებითი მასალთ — კერამიკული წარმოება ელენისტური ხანის ვანში და ვანის ადრეანტიკური ხანის კერამიკა.

უფროსმა მეცნიერ მუშაკმა გ. ლევაძემ ქსენოფონტესა და ფსევდოპოპოკრატეს ცნობების საფუძველზე მოახდინა ძველი კოლხური საცხოვრისების მეცნიერული რეკონსტრუქცია. ავტორის აზრით, სვანური არქიტექტურის საწყისები ჩამოყალიბებულია ანტიკურ ხანაში.

ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების ისტორიის თვალსაზრისით შესწავლილი იქნა ურბანისის ნაქალაქარისა და ფიქვნარის კოლბტიკური ძეგლები (უფრ. მეცნ. თანაშრომელი მ. ლორთქიფანიძე, უმცრ. მეცნ. თანაშრომელი ქ. რამიშვილი).

საანგარიშო წესს წარმატებით გრძელდება საქართველოს მოსახლეობის ანთროპოლოგიური შესწავლა. და-

მეშველა თემები: 1. საქართველოს რკინის წარმოების ფართო ათვისების ხანის მოსახლეობის ანთროპოლოგია (შემსწრელებელი — განყოფილების გამგე, ისტ. მეცნ. დოქტორი მ. აბღუშელიშვილი). 2. ქართველური ჯგუფების ანთროპოლოგიური ურთიერთობა აზიანო-ჩერქეზულ ჯგუფებთან (დ. შარაშიძე). 3. ფეოდალური პერიოდის კრანოლოგიური მასალა არმაზის ხეივანზე.

განსაკუთრებული ღირებულება აქვს განყოფილების მიერ შარშიშვილმა შეგროვილ პემატოლოგიურ და ოდონტოლოგიურ მასალებს.

პრობლემით — ფეოდალიზმის გენეზისი და განვითარება შუა საუკუნეთა არქეოლოგიის განყოფილების თემატიკაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქალაქების, სამოსახლოთა და შუა საუკუნეთა პერიოდის საქართველოს საწარმოო კერების შესწავლის საქმეს.

მცხეთის უკანასკნელი პერიოდის არქეოლოგიურმა შესწავლამ გამოავლინა, რომ მის დაბლობ ნაწილში მოსახლეობა გაჩნდა ახ. წელთაღრიცხვის III ს-ის დამლევს და განადგურდა VIII საუკუნეში არაბთა შემოსევების შედეგად (უფრ. მეცნ. თანამშრ. ა. ბოხრაძე).

ფეოდალურ ქალაქებს — თელავსა და ახალქალაქს სპეციალურად რამდენიმე წლის განმავლობაში სწავლობენ ე. ჩიკოძე და ე. ჯანდიერი.

ერწოს სოფ. მაგრანეთთან ჩვენს წელთაღრიცხვის III—IV საუკუნეების მდიდრული სამარხები გათხარა და შესწავლა ისტ. მეცნ. კანდიდატმა რ. რამიშვილმა. ამით ერწო-თანეთი პირველად მოჩანს, როგორც ქართლ-კახეთის მიწაზე მდებარე არქეოლოგიურად მდიადი ქვეყანა.

საანგარიშო წელს დასრულდა ორბეთის საწარმოო კერის შემსწავლელი მონოგრაფია „ადრეულ შუა საუკუნეთა მინის საწარმო ორბეთში“ (უფრ. მეცნ. თანამშრომელი ე. უგრეძელი). ამ უნიკალურ ძეგლს ვერცერთობთ არც არ უჩანს არც ჩვენში და არც უცხოეთში.

ფეოდალურ ხანაში თბილისში და კახეთის ყარაღაში ირანიდან შემოტანილი იმპორტული მინის უტრეკელი და ფიანსი შესწავლეს უმცრ. მეცნ. თანამშრომლებმა მ. ჩხატარაშვილმა და ნ. მაიაშვილმა. პარალელურად მიხედვით დადგენილია მინისა და ფიანსის შემოზიდვის ქრონოლოგია.

საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა წარმოშობასა და განვითარებას შესწავლის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის განყოფილება (ხელმძღვანელი — ისტ. მეცნ. დოქტ. პროფ. მ. ლუმაბაძე, 20 მეცნიერი თანამშრომელი). საანგარიშო წელს განყოფილებამ დაამთავრა მრავალტომეული III და IV ტომების რედაქტირება და დასაბუქდად მომზადდ-

ბა. IV ტომის დასაბუქდად მომზადების საქმეს ხელმძღვანელობდა პროფ. მ. ლუმაბაძე, ხოლო ტომის შევსება-დახუსტებაში მონაწილეობას იღებდნენ უფრ. მეცნ. თანამშრომლები ვ. გუჩუა და ქ. ჩხატარაშვილი. III ტომის ცალკეული თავები შეავსეს და დაახუსტეს უფრ. მეცნ. თანამშრომლებმა პროფ. მ. ლორთქიფანიძემ და თ. პაპუაშვილმა.

მრავალტომეულისათვის გამიზნული მასალის გარდა განყოფილების თანამშრომლებმა წარმოადგინეს 12 გამოკვლევა ფეოდალური საქართველოს ისტორიის სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე: ადრეული ფეოდალიზმი საქართველოში და სომხეთში (ა. ბაგვატაძე); გლეხთა ბეგარა-გადასახლება XIX ს. პირველ ნახევარში (დ. გოგოლაძე); საბატონო გადასახადები („ძღვენი“, „სამასპინძლო“), გამოკვლევები ქართული და სომხური ხალხების ისტორიული და ისტორიოგრაფიული ურთიერთობათა შესახებ (ლ. ტუხაშვილი, გ. მაისურაძე).

განყოფილების ახალმა თანამშრომელმა ა. ბაქრაძემ ქართული ეკლესიის ფეოდალური იერარქიის თვალსაზრისით განყოფილებაში წარმოადგინა ე. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის სახელმწიფო გეგმით შესრულებული გამოკვლევა და კატალოგი — „ფეოდალური ხანის საქართველოს სასულიერო პირთა ბეჭედები“.

საერთო თემით: ამიერკავკასიის ხალხების ერთობლივი ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის განყოფილების თანამშრომლებმა მ. ქიქოძემ, გ. ჯამბურამ დაამუშავეს გამოკვლევები XVII—XVIII სს-ის საქართველოს ისტორიიდან.

განყოფილებამ, რომელიც შესწავლის საქართველოს ურთიერთობას საბჭოთა კავშირის ხალხებთან (ხელმძღვანელი — ისტ. მეცნ. დოქტორი გ. პაიჭაძე), გეგმით გათვალისწინებულ უველა სამუშაო შესრულა.

გ. პაიჭაძემ დაამუშავა გამოკვლევა „რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის შესახებ XVIII ს. 60-იან წლებში“ (2 თაბანი). ც. კალანდაძემ დაასრულა „საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიოგრაფია“ (10 თაბანი).

ქ. ვატიშვილმა წარმოადგინა 4 თაბახიანი ნაშრომი „Освещение в «Тифлисских ведомостях» русско-турецкой войны 1828—1829 гг. и история русско-грузинского боевого содружества“.

მ. სამონაძემ შესწავლა „საქართველოს სამრევველო განვითარების დონე რუსეთთან შეერთების პერიოდში“ (2 თაბ.). თ. ტვიპაძემ წარმოადგინა XVII საუკუნის საქართველოს ისტორიის მასალები, შეგროვილი რუსეთ-ირანის

ურთიერთობათა ისტორიის საარქივო ფონდში (5 თაბახი).

გ. ჟორჯოლიანმა საარქივო მასალების საფუძველზე გამოიკვლია კიევის უმაღლეს სასწავლებლებში ქართველ სტუდენტთა სწავლა-მოდერნიზაცია (2 თაბახი).

საანგარიშო პერიოდში შესასრულებლად გათვალისწინებული შინაარსი თემისა — საქართველოს ურთიერთობა მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან მთლიანად შესარულა ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს წყაროთმცოდნეობის განყოფილებაში (ხელმძღვანელი — ისტ. მეცნ. კანდ. რ. კიკნაძე). გამოკვლეული იქნა საქართველო-ირანის ურთიერთობა XIV ს-ის I მეოთხედში (რ. კიკნაძე); საქართველო და მცირე აზიის სელჩუკები (ნ. შენგელია); სამხრეთ საქართველოს სოციალ-ეკონომიური ვითარება XVIII—XIX სს.-ის მიჯნაზე ოსმალური წყაროების მიხედვით (ა. ავალიანი).

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილებათა თანამშრომლებმა მოამზადეს სათანადო მასალები ქართული ისტორიული დოკუმენტების პუბლიკაციისათვის. თ. ენუქიძემ — „ერთიანობის“ პერიოდის დოკუმენტები, X—XVIII სს-ის დოკუმენტების ნაწილი — თ. სოსელიამ, გ. აკოფაშვილმა, დ. მეგრელიაძემ.

წყაროთმცოდნეობის განყოფილებაში უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა პროფ. თ. ყაუხჩიშვილმა ბერძნულიდან თარგმნა დიონისე პალეოკარნასელის ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტი აღუშტურებია კომენტარითა და სათანადო გამოკვლევით.

თავის დიდი შრომის ერთ ნაწილად უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა თ. ხაჯოშიამ საანგარიშო წელს შეადგინა დავითის ისტორიკოსისა და ლაშა გიორგის დროინდელი მემბრანის ოხსულებათა სიმდენობა.

წყაროთმცოდნეობის განყოფილებამ წამოიწყო მეტად ფართო მნიშვნელობის, შორს გამხიზული სამუშაო: დაწყებულია საქართლის ცხოვრების „რუსულად და ინგლისურად თარგმნა“. ამ საქმეში ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად ჩაბმული არიან სხვა სამეცნიერო დაწესებულებებში მომუშავე სპეციალისტებიც. თითქმის მთლიანად დასრულდა ლეონტი მროველის ოხსულების რუსულად თარგმნა. ლეონტი მროველი თარგმნება ინგლისურადაც (ა. პანტურია; რედაქტორი — ტ. ფრესოსი).

წელს იწყება „მატიანე ქართლისაჲს“, დავითის ისტორიკოსის და ვახუშტის ოხსულებათა

რუსულად თარგმნა: ინგლისურად — ლეონტი-სა და აგრეთვე, სუმბატ დავითის ძის ქრონიკისა.

პრობლემაზე — კაპიტალიზმის გენეზისისა და განვითარების ისტორია ძირითადად მუშაობდა საქართველოს ახალი პერიოდის განყოფილება (ხელმძღვანელი — ისტ. მეცნ. დოქტორი, პროფ. ი. ანთელავა). გამსხვილებულ თემის — კაპიტალიზმის განვითარება საქართველოს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში ასრულებდა განყოფილების რამდენიმე თანამშრომელი ე. ხოშტარიაშვილი გამორჩეულია „საქართველოს სოციალ-სამეურნეო სოფლებსა და ადგილებში სავაჭრო-სამრეწველო მოსახლეობის კონცენტრაციის საკითხები XIX ს. II ნახევარში“.

ისტ. მეცნ. დოქტორმა ალ. ბენდიანიშვილმა შეისწავლა „ქუთაისის საქალაქო თვითმმართველობა 1875—1917 წწ.“, მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათი. ნაწევრებია ამ თვითმმართველობის ბურჟუაზიული არსი.

თ. ბერიაშვილმა შეისწავლა „სოციალური ურთიერთობანი და კლასობრივი ბრძოლა თბილისში 1865—1900 წწ.“ ნაშრომში გამოვლინდა, რომ კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარებასთან ერთად დაჩქარებულია ქალაქის მოსახლეობის კლასობრივი დიფერენციაციის პროცესი; ნათლად ისახება კლასობრივი ანტაგონიზმი.

საანგარიშო წელს პროფ. ი. ანთელავა და უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ე. ორჯონიკიძე თემისათვის — სოციალ-ეკონომიური ხასიათის ცვლილებანი XVIII საუკუნის ქართულ სოფელში, ეცნობოდნენ სათანადო მასალებს, პუბლიკაციებს, შრომებს (პ. ობელაიანი, ს. ჩხეიძე, ე. თაყაიშვილი, ნ. ბერძენიშვილი და სხვა). მათი წინასწარი დასკვნები XVIII საუკუნის II ნახევრის სავაჭრო პოლიტიკური ურთიერთობა ხელს არ უწყობდა ქვეყანაში რაიმე სერიოზულ სოციალურ ძევებს. ფოცალური საკითხების რღვევის პროცესი არ შეიმჩნევა და ძველი ყოფის შემარყეველი აშკარა ნიშნები არ მოჩანს. ქართული სოფლის სოციალური საკითხების კვლევის უძღვრენა თავისი გამოკვლევა პროფ. ა. კიციქიძემ, რომელმაც შეისწავლა ხიზნების მდგომარეობა XIX საუკუნეში. შრომაში ხიზნობის ინსტიტუტი შესწავლილია ისტორიულ დინამიკაში.

ო. ჟორჯიანიამ ლიტერატურული და აგრეთვე ახალი საარქივო მასალების საფუძველზე გამოიკვლია გლხთა ანტიფეოდალური ბრძოლის მომენტები საქართველოში XIX საუკუნის 40—50-იან წლებში.

თ. გიცამი ასევე ახალი საარქივო მასალები-სა და სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენე-

ბით შესწავლა კლასობრივი ბრძოლის საკითხები, რაც თან ახლდა სავლევრო რეფორმის გატარებას დასავლეთ საქართველოში.

განყოფილების თანამშრომლები ცალკე, თემბიტურად სწავლობდნენ საზოგადოებრივი მოძრაობებისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიას ბურჟუაზიულ ურთიერთობათა წარმოშობისა და განვითარების პერიოდში. შესწავლილი იქნა დ. გურამიშვილის (შემსრ. მ. ვაჭარინდაშვილი), ხომელის (შემსრ. ლ. წინამძღვრიშვილი), პ. უმიკაშვილის (შემსრ. ნ. პაპავა) საზოგადოებრივ-ისტორიული აზროვნების საკითხები; ქართული თავადაზნაურობის პოზიციები რეფორმამდელ ხანაში (შემსრ. ნ. ნაცელიშვილი); ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში XIX ს. 60—90-იან წლებში (პროფ. ა. სურგულაძე), ნაციონალური მოძრაობის გაღრმავება, ნაციონალისტურ პარტიათა წარმოშობა და ქართველი მარქსისტების ბრძოლა ბურჟუაზიულ ნაციონალიზმის წინააღმდეგ (პროფ. ა. იოსელიანი).

საზოგადოებრივი აზროვნებისა და მსოფლიო კულტურის ისტორიის მიმართულებით შესწავლას ისტორიული მეცნიერების ისტორია. ბუნებრივია ამ საკითხებს ინსტიტუტში სწავლობს ისტორიული მეცნიერების ისტორიის განყოფილება (ხელმძღვანელი პროფ. პ. რატიანი). აღნიშნული თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა მიექცა XVIII—XIX სს-ის ქართული ისტორიოგრაფიის წარმომადგენელთა — ე. ბაგრატიონის, პ. იოსელიანის, ალ. ცაგარის ისტორიული მიმკვიდრების მეცნიერულ შესწავლას (შემსრულებლები: შ. ხანთაძე, ა. ბარამიძე, უ. სიღამონიძე). გამოკვლევებში, კრიტიკულად, ჯეროვან მეცნიერულ დონეზე შეფასებულია ამაღლარი მკვლევრების დეაწლი, მათი მსოფლმხედველობა.

განყოფილებაში დამუშავდა შრომები „მე-19 საუკუნის II ნახ. საქართველოს გლეხთა მოძრაობის ისტორიოგრაფია“ (ნ. როდონია); „XIX ს. 60-იანი წლების საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები ქართულ ისტორიოგრაფიაში“ (შემსრ. უმირ. მეცნიერი თანამშრომელი ა. ასათიანი). ნაშრომში ყურადღებას იპყრობს 1865 წლის „ამქართა ბუნტის“ ახლებური, მართებული შეფასება.

უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა გ. მარგალიტამ ნაშრომში „კაპიტალიზმის განვითარების პრობლემები ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში“ ნათლად აჩვენა, რომ კაპიტალიზმის გენეზისისა და განვითარების პრობლემები ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში შექმნილია ზოგადად, ვულგარულ-სოციალოგიური მეთოდოლოგიის გავლენით. მიუხედავად

საგარეო ღონისძიებებისა კაპიტალიზმის გენეზისისა და განვითარების არცერთი, ან თითქმის არცერთი ასპექტი გადაწყვეტილი არ შეიძლება ჩათვალოს. განსაკუთრებულ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს კაპიტალიზმის გენეზისის საკითხი.

წარმატებით მუშაობდა საანგარიშო პერიოდში საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილება (ხელმძღვანელი — პროფ. ვ. ბარდუღაძე) განყოფილების თანამშრომლები ჯგუფურად მუშაობდნენ ფართო პრობლემატიკაზე — მესაქონლეობის, ნაგებობების, მევენახეობა-მეღვინეობისა და ზედნაშენური კატეგორიების შესასწავლად.

უფრ. მეცნიერი თანამშრომელმა ნ. აბესაძემ შესარულა ნაშრომი „ხელისნობის ცენტრები დასავლეთ საქართველოში“. გამოკვლევაში, ადგილზე მოპოვებული მასალების საფუძველზე, ფიქსირებულია ხელისნობის ისეთი ტიპი, რომელშიც დიდი რაოდენობით არიან ჩაბმული ქარგლები, რაც მიუთითებს ამ სახელისნობა კაპიტალისტურ ხასიათზე.

მთის მოსახლეობის მეურნეობაში მევენახეობის როლის გააძეგვავზე ნაყოფიერად განაგრძობს მუშაობას ისტ. მეცნ. კანდიდატი ლ. ფრუძე, რომელმაც საანგარიშო პერიოდში წარმოადგინა მოხსენება „მეღვინეობა ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში“.

საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების ყველა თანამშრომელს დავალებული ჰქონდა გარკვეული სამუშაო გამიზნული საქართველოს ეთნოგრაფიული არქსისათვის. ამასთანავე განყოფილება განაგრძობდა მუშაობას ზოგადი ეთნოგრაფიის, საქართველოს ეთნოგრაფიის პრობლემატიკაზე. უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა ა. ლეკიაშვილმა დაამუშავა თემა „ამერიკული ისტორიულ-ეთნოგრაფიული სკოლა და შეფარდებები ქრონოლოგიის პრინციპები“.

მემინდერეობის, ეთნოგრაფიისა და ხალხური ავთოროლოგიის საკითხებზე გამოკვლევები წარმოადგინეს უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ჯ. რუხაძემ, ნ. ბერგაძემ.

მიმდინარეობს ქართული მეურნეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი დარგის — მეღვინე-მევენახეობის ფართო ეთნოგრაფიული თემატიკის შესწავლა (ჭ. სონღულაშვილი, ლ. ფრუძე, ლ. გაბუნია).

უფროსმა მეცნ. თანამშრომელმა ი. ჭყონიამ შესწავლა „შრომის განაწილება-დანაწილება სოფელსა და ოჯახში“ (წარმოადგინა მასალები და ანგარიში).

საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასოფლო-სამეურნეო იარაღების, საოჯახო ინვენტარისა და ოჯახურ ურთიერთობათა შეს-



წელს. საანგარიშო წელს განყოფილებაში შესწავლილი იქნა აგრეთვე ხალხური მუსიკალური ფოლკლორის პრეპარატები (თ. მამალაძე, ნ. მაისურაძე); წარმართული და ქრისტიანული რელიგიური რწმენების საკითხები (თ. ოჩიაური, შ. კანდელაკი, დ. გიორგაძე).

განყოფილების გამგე პროფ. ვ. ბარდაველიძე წარმატებით განაგრძობს შრომას მონოგრაფიაზე „რელიგია და საზოგადოება“; საანგარიშო წელს მან დაამუშავა — „ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ცენტრები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“.

კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილება (ხელმძღვ. ისტ. მეცნ. დოქტ. ა. რობაქიძე) სწავლობს კავკასიის ხალხების ყოფილსა და კულტურას, ამ ხალხთა საცხოვრებელ ნაგებობებსა და დასახლების ტიპებს, რელიგიურ რწმენებს.

საანგარიშო პერიოდში კომპლექსურად იქნა შესწავლილი მდ. არდონის ოსთა დასახლების ფორმები (შემსრ. ისტ. მეცნ. დოქტორი ა. რობაქიძე). მათი საცხოვრებელი ნაგებობანი (უმცრ. მეცნ. თანამშრ. გ. გეგუკორი). ნაშრომებში განხილულია პატრონიმული უბნის, როგორც დასახლების ერთ-ერთი ფორმის თავისებურებანი; სამოსახლო ადგილის შერჩევის ხალხური წესები, საამშენებლო მასალის მომზადება-მომარაგება; სახლის მშენებლობის ორგანიზაცია ოს სტ. შესწავლილი იქნა არდონის სათავეებში მცხოვრებ ოსთა ოჯახის ფორმები (უმცრ. მეცნ. თან. გ. ითანიშვილი), კოლექტიური შრომის ფორმები მთ შორის (ისტ. მეცნ. დოქტ. თ. ჩიქვაძე); მათი სათესობის სისტემა (უმცრ. მეცნ. თანამშრომელი ნ. ჯავახიძე), მიწათმოქმედება და მისაქონლობა არდონის ხეობის სათავეებში (ისტ. მეცნ. კანდ. შ. ჭანთარია, უმცრ. მეცნ. თანამშრომელი ბ. გამყრელიძე). აღნიშნულ ნაშრომებში სამეცნიერო ლიტერატურისა და ცოცხალი ეთნოგრაფიული მასალის სათავეებში შესწავლილია როგორც საოჯახო თემის გადმონაშობები, ისე მისი დამოსაფუძვლები შექმნილი ინდივიდუალური ოჯახი; კოლექტიური შრომის ფორმები საერთოდ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ოსთა შორის. მისი ორგანიზაციის ხასიათი და როლი სამეცნიერო ყოფაში; გამოკლინილი ოსთა სისტემით ნათესობის აღნიშვნული სპეციალური ტერმინოლოგია. შესწავლილია ხილვინური ნათესობაც. შესწავლა-გამოკლივის შედეგად გამოჩნდა, რომ ჩრდ. ოსეთის მთიან ნაწილში მიწათმოქმედება ძველი და ტრადიციული ოჯახი იყო. მოსახლობამ, ადგილობრივ-მეცნიერ პირობების გამო, შრავალი ეთიქური ღონისძიება შეიმუშავა მოსაგლის გაზრდის მიზნით. ასეთივე დიდი მნიშვნელობა ენიჭებო-

და მისაქონლობას. გაირკვა სქონლის მოვლა-პატრონობის წლიური ციკლი, შრომის ორგანიზაციის ფორმები, პარალელური სამეურნეო ბაზები და სხვ.

განყოფილებაში წავიხველი იქნა გამოკლივები — „წოვა-თუშების საცხოვრებელი ნაგებობანი“ (თ. შავხელიშვილი); „ათიალეთის მატერიალური კულტურის ძეგლები (ქვა-ქვარები)“ (თ. სიხარულიძე). ნათესობის სისტემის აღნიშვნული ტერმინები წალკა ურთუმებში (უმცრ. მეცნ. თანამშრ. ლ. ფაშავეა); ნიშნობა ფშავეში (უმცრ. მეცნ. თანამშრ. ლ. მელიქიშვილი); სანახო რაჟის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით (უმცრ. მეცნ. თანამშრ. გ. ჩიქვაძე).



მიმდინარე წელს ინსტიტუტის თანამშრომლებმა სამეცნიერო მონოგრაფიების, სტატიების, საფორნალო და საგანგებო სტატიების სახით გამოაქვეყნეს 130-მდე ნაშრომი, მათ შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია შემდეგი შრომები:

ი. კუპარავა — საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის შესწავლის ახლანდელი მდგომარეობა;

მისივე — კ. მარქსი და ფ. ენგელსი საქართველოს შესახებ.

აეტორი იძლევა ანალიზს გამოქვეყნებულ ნაშრომებსა, რომელნიც საქართველოს აღნიშნულ პერიოდს შეეხებათ.

ი. ჩიქვაძე წიგნში — საქართველო სოციალისტური რევოლუციის პერიოდში გაშუქებულია სოციალიზმის გამარჯვებისათვის ქართველი ხალხის თავგანწირული ბრძოლისა და შრომის ისტორია. შესწავლილია სოციალიზმის გამარჯვების შედეგად საზოგადოების სტრუქტურის შეცვლის საკითხები.

ი. ანთელავამ მონოგრაფიულად შეისწავლა სახელმწიფო გლეხების ცალკე წოდება ჩამოყალიბების ისტორიული პროცესი. მისი წიგნი „სახელმწიფო გლეხები XIX საუკუნის საქართველოში“ (ტ. I, 1969 წ. 27 თაბახი) სოციალურ ურთიერთობათა ისტორიის შესწავლის საქმისათვის მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს.

შუა საუკუნეების ისტორიის განყოფილების თანამშრომლებმა პროფ. შ. მესხიამ და დოც. ვ. გუჩუამ შეადგინეს საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო საშუალო სკოლებისათვის. წიგნმა განათლების სამინისტროს მიერ დაწესებული I პრემია მოიპოვა.

უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა გ. გიორგაძემ „ძველი ისტორიის მაცნეში“ გამოაქვეყნა რამდენიმე წერილი, სადაც ძველი ტექსტების შესწავლის საფუძველზე განხილულია

ხეთლოვაციის მნიშვნელოვანი საკითხები (1969 წ. BDU, № 1/2).

პროფ. თ. ყაუხჩიშვილის II წიგნი — ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, მნიშვნელოვანი შენაძენია წყარომცოდნეობითი ლიტერატურისათვის.

ნარკვევებში ჩრდილო კავკასიის ისტორიის შესახებ ქართულ ენაზე პირველად არის მოცემული ამ ხალხების თანმიმდევრული ისტორია უძველესი დროიდან XVIII საუკუნემდე.

პროფ. ზ. ანჩაბაძემ (თანაავტორი პროფ. გ. ძიძაძისა) გამოსცა მონოგრაფია — ქართველი და აფხაზი ხალხების საუკუნოვანი ურღვევი მეგობრობა.

მონოგრაფიაში — ქართულ-ოსური ურთიერთობანი XV-XVIII სს. (12 თაბახი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“), უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა გ. თოგოშვილმა შეისწავლა ქართველი და ოსა ხალხების ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის ძირითადი საკითხები.

კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომებში (ტომი I) შესწავლილია ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის არქეოლოგიური ძეგლები, მოკიდებული პალეოლითიდან, ვიდრე შუა საუკუნეებამდე.

უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა მ. ლორთქიფანიძემ გამოსცა — ძველი საქართველოს გლობალური ძეგლების კორპუსი.

პოლონურ ჟურნალში — „არქეოლოგია“ გამოქვეყნდა პროფ. თ. ლორთქიფანიძის მეტად მნიშვნელოვანი სტატია: „ადრეანტიკური კოლხეთი და მისი ურთიერთობა ანტიკურ სამყაროსთან“.

პროფ. და პრესტიჟიოსთა VII საერთაშორისო კონგრესის აქტებში (პარაღ, 1969 წ.) თ. მიქელაძემ და რ. აბრამშვილმა გამოაქვეყნეს წერილი „რკინის ათვისების ისტორიისათვის მცირე აზიასა და ამიერკავკასიაში“. უახლესი მონაცემების საფუძველზე წერილში დამტკიცებულია, რომ ამიერკავკასიაში რკინის წარმოება ძალიან ადრეულ ეტაპზე დაიწყო.

ნ. ბრეგაძის მონოგრაფიაში, მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველის შოშიში, თბ., 1969 წ. (19 თაბახი, რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე), ავტორის მიერ შეგროვილი საველე ეთნოგრაფიული მასალის, არქეოლოგიის ენათმეცნიერებისა და საბუნებისმეტყველო მიცინიერებათა მონაცემების საფუძველზე შესწავლილია მემინდვრობის რთული კომპლექსი, მასთან დაკავშირებული წესჩვეულებანი, ხალხური მეტროლოგიის სისტემა და სხვ.

ეთნოგრაფიულ და ანთროპოლოგიურ მეცნიერებათა VIII საერთაშორისო კონგრესზე (ტოკიო, 1968) ინგლისურ ენაზე გამოიცა პროფ. ვ. ბარდაველიძისა და აკად. გ. ჩიტაის

შრომები (შესაბამისად — 1. კავკასიის ტრადიციული სოციალ-რელიგიური ძეგლების ისტორიული ფეხავი. 2. უძველესი საძალი ინსტრუმენტები და მათი მნიშვნელობა სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში).

ძარძან ინსტიტუტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს შემდეგ სესიებსა და კონფერენციებში:

1. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის XVIII სამეცნიერო სესია (13 თანამშრომელი).

2. ასპირანტებისა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაეთა საინსტიტუტო სესია (27 თანამშრომელი და ასპირანტი). ტრადიციულად დიდი ამაგი დასდო კონფერენციას აკად. გ. ჩიტაიამ. წაკითხული 21 მოხსენებიდან მან გასსაკუთრებით გამოყო გ. მისურაძის, თ. კორდანიას, ხ. ჩხეტიანის, ლ. ფრუძის, გ. ჩიქოვანის, ჯ. გვასიას, შ. ჩაროიანის და ე. ხუბუტიას მოხსენებები (იხ. თეზისები).

3. არქეოლოგთა XVIII რესპუბლიკური სესია, მიმდინილი 1968 წ-ის საველე საქმეოების შეჯამებისათვის (31 თანამშრომელი). აკადემიის წევრ-კორესპონდენტ ა. აფაქიძის შეფასებით კარგი მოხსენებებით წარადგინეს სესიაზე მ. ბარამიძე, გ. მთოცხლავა, გ. შერვაშიძე და სხვ. სესია ერთგვარად მოუხსადებელი იყო ფორტ-საილუსტრაციო მასალის, ნახაზების დემონსტრირების თვალსაზრისით.

4. II გაერთიანებული სესია უკრაინის სსრ ე. ი. ლენინის ორდენისანი ისტორიის ინსტიტუტისა და ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა, მიძღვნილი ე. ი. ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი, თემაზე: უკრაინული და ქართველი ხალხების ისტორიული კავშირი და მეგობრობა (4 თანამშრომელი). სესია ჩატარდა 10—12 ივნისს კიევიში.

5. არქეოლოგთა საკავშირო სესია ლენინგრადში (7 თანამშრომელი).

6. კაბტალზნის გენეზისისადმი მიძღვნილი საკავშირო სესია ბაქოში (25—29 მარტს, 4 თანამშრომელი).

7. ტარტუს მუზეუმის იუბილესადმი მიძღვნილი სესია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო აკად. გ. ჩიტაიამ.

8. კლასიკური არქეოლოგიის IX კონგრესი (დამასკო, 3 თანამშრომელი, ოქტომბერი). პროფ. თ. ლორთქიფანიძემ წაიკითხა მოხსენება — „უანის არქეოლოგიური აღმოჩენები“.

9. კავსიკური ფილოლოგიის საკავშირო კონფერენცია (თბილისი, 4 თანამშრომელი).

10. აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების ისტორიკოსთა საერთაშორისო სიმპოზიუმში, მიძღვნილი ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლენინური მოძღვრე-

ბისა და განვითარების გზაზე შემდგარი ქვეყნების სოციალური პროგრესის თანამედროვე ეტაპისადმი (ალმა-ათა, 3 თანამშრომელი).

\* \* \*

ძველი ქვის ხანის განყოფილებას საანგარიშო პერიოდში ჰქონდა ექსპედიციები დაზვერვითი სამუშაოების საწარმოებლად ძირითადად მდ. ენგურის გაყოლებით (ხელმძღვანელი გ. გრიგოლია). განყოფილების წევრები აგრეთვე მონაწილეობდნენ კახეთის, ზემო იმერეთის ექსპედიციებში. ბრინჯაოსა და აღდგული რკინის ხანის განყოფილებამ განახორციელა შემდეგი ექსპედიციები: 1. თეთრი წყაროს (ხელმძღვ. გ. გობეჯიშვილი); 2. ქვემო ქართლის (ხელმძღვ. ტ. ზუბინიშვილი); 3. დიდმის (ხელმძღვ. რ. აბრამიშვილი); 4. მესხეთ-ჯავახეთის (რაზმის ხელმძღვ. ო. ლამბაძე). გარდა ამ ექსპედიციებისა განყოფილების თანამშრომლები მონაწილეობდნენ: კახეთის, ენგურის, ერწოს ველის და სხვ. ექსპედიციებში.

ანტიკური პერიოდის არქეოლოგიის გახყოფილებას საანგარიშო პერიოდში ჰქონდა 2 დიდი ექსპედიცია ვანსა და ბიჭვინთაში.

შუა საუკუნეთა არქეოლოგიის განყოფილებას ჰქონდა 5 ექსპედიცია 1) ერწო-თიანეთში, 2) მარტაშისხევში, 3) ჭავჭავეთის ახალქალაქში, 4) თორ-ლიკანში, 5) გარციხეში. განყოფილება საველე სამუშაოებს ატარებდა აგრეთვე თბილისის დედაციხეში.

კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილებამ მოაწყო ორი ეთნოგრაფიული ექსპედიცია: 1) ფრეხის ხეობაში (ხელმძღვ. ვ. ითონიშვილი), 2) მცირე კავკასიონის ეთნოგრაფიული ექსპედიცია (ხელმძღვ. თ. ჩიქოვანი).

\* \* \*

მაღალკვალიფიციური კადრებით ინსტიტუტის დაკომპლექტება, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ზრდა ნაწილობრივ ხდება ასპირანტურის მეშვეობით. ამჟამად ინსტიტუტის სხვადასხვა განყოფილებებზე მიმარგებულა 20 ასპირანტი, რომელთაც ხელმძღვანელობენ მაღალკვალიფიციური მეცნიერები. ამდენად ასპირანტებს სწავლისა და მეცნიერული დახელოვნების ყველა პირობა აქვთ შექმნილი. მათთვის დროულად არის შედგენილი სამეცნიერო ვეგმები: გამოკვეთილი აქვთ სადისერტაციო ნაშრომები. მიუხედავად აღნიშნულისა, იდეალური შემთხვევების გარდა, 3 წელიწადში საკანდიდატო მინიმუმით ვათვალისწინებელი საგნების ჩაბარება და დისერტაციის დაცვა ვერ ხერხდება.

ინსტიტუტის თანამშრომელთა უდიდესი უმრავლესობა გამუდმებით იღწვის თავის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. უმრავლესობას

მთლიანად ჩაბარებული აქვს საკანდიდატო მინიმუმით ვათვალისწინებელი საგნები, მრავალი ვისაც დასრულებული აქვს სადისერტაციო ნაშრომი და ტექნიკურად აფორმებს მას.

\* \* \*

საანგარიშო წელს ინსტიტუტს გარკვეულ კონტაქტები ჰქონდა საზღვარგარეთის რიგ სამეცნიერო დაწესებულებებთან, მეცნიერ მუშაკებთან. ინსტიტუტის ბიბლიოთეკა ახორციელებდა ლიტერატურის გაცვლას უცხოეთის ბიბლიოთეკებთან და ცალკეულ მეცნიერებთან. ქართული კულტურისა და მეცნიერების პროპაგანდისათვის, მეცნიერულ მუშაობის საწარმოებლად გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მივლინებული იყო პროფ. მ. ლორთქიფანიძე, ავღანეთსა და ავსტრიაში — ისტ. მეცნ. დოქტორი ი. ტაბალუა. ლექციების წასაკითხად ბულგარეთში იმყოფებოდა ისტ. მეცნ. დოქტორი ნ. ჩიქოვანი.

ინსტიტუტის წამყვანი თანამშრომლები არიან საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების წევრები და აქტიურ მონაწილეობას იღებენ ამ საზოგადოებათა საქმიანობაში. მაგალითად აკად. გ. ჩიტაია არის ეურნალ Ethnographica-ს სარედაქციო კოლეგიის, აგრეთვე ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების ხალხური მევენახეობა-მეღვინეობის შემსწავლელი კომისიის აქტიური წევრი.

საანგარიშო წელს საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილებას ეწვივნენ ფრანგი ეთნოგრაფი ე. პიგერი, პოლონელი პროფესორი, ისტორიკოსი-ეთნოგრაფი ბ. ბარანოვსკი, იუგოსლაველი ეთნოგრაფი ვ. ჩულონივიჩ-კონსტანტინოვიჩი. უცხოელი მეცნიერები მუშაობდნენ განყოფილების თანამშრომელთა კონსულტაციებით, როგორც არქივში, ისე ველზე.

შუა საუკუნეთა არქეოლოგიის განყოფილებაში 10 დღის განმავლობაში მუშაობდა პოლონელი არქეოლოგი მარია დეკა.

\* \* \*

საანგარიშო პერიოდში ინსტიტუტში მუშაობდა ორი სამეცნიერო საბჭო. საინსტიტუტო საბჭოს (თავმჯდომარე აკად. გ. მელქიშვილი) საინსტიტუტო საორგანიზაციო საკითხების განსახილველად, ინსტიტუტის მთელი მეცნიერული საქმიანობის წარსამართავად ჰქონდა 7 სამეცნიერო სხდომა, სადაც აისახა ინსტიტუტის თითქმის მთელი საქმიანობა.

განსაკუთრებული წარმატებით იმუშავა საანგარიშო პერიოდში ინსტიტუტის სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელმა საბჭომ (თავმჯდომარე აკად. წევრ-კორ. ა. აფაქიძე). მარტო ინსტიტუტის თანამშრომელთაგან 1969 წ. ამ საბჭოზე დატული იქნა 14 სადოქტორო დისერტაცია და 5 — საკანდიდატო.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული წარმატებებისა, ცხადია, ინსტიტუტს თავის მრავალმხრივ მუშაობაში მრავალი ნაკლიც გაჩნია. პირველ რიგში ეს შეეხება წლიური გეგმით შესრულებული ნაშრომების რეცენზირებას, თანამშრომელთაგან მათ გაეცნობას, ნაშრომების გაფორმებას.

ინსტიტუტის მუშაობის სუსტი ადგილია წლების მანძილზე დაგროვილი უზარმაზარი არქი-

ლოგური მასალის გამოუქვეყნებლობა, რაც განსაკუთრებით საშიშია საექსპედიციო სამუშაოების პერმანენტული გაფართოების ტენდენციების გამო.

ინსტიტუტის სამეცნიერო მუშაობის შემდგომ გასვლას აფერხებს სათანადო შენობის უქონლობა, ჭირ კიდევ შედარებით დაბალი დონე სამეცნიერო-ტექნიკური აღჭურვილობისა, ბუკე-დვითი პროდუქციის შეზღუდული ლიმიტი.

## პრონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში

სკკპ ყრილობებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებით დიდი ამოცანებია დასმული ეკონომიკური და სამართლებრივი მეცნიერების წინაშე. ამ ამოცანათა განხორციელების მიზნით ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში 1969 წელს ჩატარებულია მნიშვნელოვანი მეცნიერულ-კვლევითი მუშაობა ეკონომიკური და სამართლებრივი მეცნიერების უმნიშვნელოვანეს თეორიულ და პრაქტიკულ პრობლემებზე.

ეკონომიკურ მეცნიერებათა სფეროში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ახალი მეურნეობრივი რეფორმის პირობებში მრეწველურ საწარმოთა გამოცდილების შესწავლასა და განზოგადებას, წარმოებრივ ურთიერთობათა სრულყოფისა და წარმოების ეკონომიკური ეფექტურობის ამაღლების საკითხებს სოფლის მეურნეობაში. დამუშავდა სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის პრობლემები, პირველად მოკავშირე რესპუბლიკის მავალითზე შესწავლილია სოციალისტური აღწარმოების ტემპები და პრობორაკიები. გრძელდებოდა მუშაობა საქართველოსა და ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის კომპლექსური განვითარებისა და ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიის პრობლემებზე. შესწავლილი იქნა ახალი მოვლენები თანამედროვე კაპიტალიზმის განვითარებაში. საინტერესო სამუშაო შესრულდა მრეწველობის მუშათა დროის ბიუჯეტის კონკრეტულ-სოციალოგიური შესწავლისათვის.

სამართლებრივი მეცნიერების სფეროში წარმოებდა მუშაობა კომუნისტური ურთიერთობათა ფორმირება და საერთაშორისო ურთიერთობისა და ქართული სახელმწიფოსა სამართლის პრობლემებზე. კერძოდ შესწავლილია სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესის, სამოქალაქო სამართლისა და სამოქალაქო სამართლის პროცესის კანონმდებლობის საკითხები.

ძირითადი მიმართულება, რომელზეც ინსტიტუტი შარშან მუშაობდა, არის: „სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების

სა და მათი კომუნისტურში გადაზრდის კანონზომიერებანი“, „სოციალისტური სახელმწიფოსა და სამართლის განვითარება“. აქედან დამუშავებულია რამდენიმე პრობლემა.

1 პრობლემა — კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ეკონომიკური კანონზომიერებანი და საკუთრების ფორმების განვითარება.

აქედან 1969 წელს დამუშავდა: „საქართველოს სსრ სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების განვითარების საკითხები“. ნაშრომში გაანალიზებულია კვების მრეწველობისა და მისი სანედლეულო ბაზის განვითარების ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები, შესწავლილია მთლიანი პროდუქციის დინამიკა და სტრუქტურა, ნაჩვენებია მოვალეწილი ნარგავთა მეურნეობისა და კვების მრეწველობის ადგილი და როლი რესპუბლიკის ეკონომიკისა და შრომის საერთო საკავშირო დანაწილებაში.

კვების მრეწველობის სანედლეულო ბაზის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია გამოუყენებელი რეზერვები და შემუშავებულია პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და წარმოების რენტაბელობის დონის ამაღლების ღონისძიებანი.

გარკვეული ადგილი დაეთმო აგრეთვე ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხებს. კერძოდ გამოკვლეულია ვაზ. „ივერიის“ პუბლიცისტთა საზოგადოებრივ-ეკონომიკური შეხედულებანი. შესწავლილია XIX სთის 70—80-იანი წლების ქართული პუბლიცისტთა შეხედულებანი ასოციაციებისა და სხვა აშხანაგობათა შექმნის აუცილებლობის შესახებ უშუალო მწარმოებელთა, ძირითადად გლეხობის პირობების გასათვქვობისებლად.

მნიშვნელოვანი მუშაობა მიმდინარეობს მეცნიერულ ეკონომიკური ტერმინოლოგიის საკითხებზე. დასაბუთდა გადაეცა ეკონომიკური ტერმინოლოგია (მეორე-



მოცემა) რუსულ-ქართული, ამჟამად მზადდება ქართულ-რუსული.

რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ეკონომიკური ტერმინოლოგია წარმოადგენს თანამედროვე რუსულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ცოცხალი ყველა ზოგადი ეკონომიკური ტერმინის ადეკვატური ქართული ტერმინით თარგმნისა და, ამასთანავე, ქართული მარქსისტული ეკონომიკური ტერმინოლოგიის შემუშავების ცდას; როდესაც ქართულში რუსულის ეკვივალენტური ტერმინი არ მოიპოვებოდა, ასეთი ტერმინი ახლად იქმნებოდა (კლდეზობოდა), რა თქმა უნდა, მდიდარი ქართული სიტყვიერი მასალის საფუძველზე და ქართული სიტყვაწარმოების შესაბამისად.

II პრობლემა — სრული მეურნეობრივი ანგარიშთან განხორციელება დაგეგმვის ახალი ხისტემისა და ეკონომიკური სტიმულაციის პირობებში. აქედან შესწავლილია საქართველოს სსრ თამბაქოს მრეწველობაში პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და მოგების განაწილების, ეკონომიკური სტიმულაციის ფონდების, პროდუქციის, ასორტიმენტის, თამბაქოს მრეწველობის ძირითადი ფონდების გამოყენების საკითხები და შემუშავებულია რეკომენდაციები მეურნეობრივი საქმიანობის მიჩვენებულა გამოყენებისათვის.

დიდი ადგილი აქვს დათმობილი მეურნეობრივი რეფორმის თეორიული საფუძველების, საქართველოს სსრ მრეწველობაში წმინდა პროდუქციის განაწილების, მოგების ზრდისა და რენტაბელობის ამაღლების, მინერალური სასუქების წარმოების ეკონომიკის, საქართველოს სსრ სამშენებლო მრეწველობაში წარმოებრივი ფონდების გამოყენების ეკონომიკური ეფექტურობის საკითხებს ახალი მეურნეობრივი რეფორმის პირობებში.

1969 წლიდან გაიშალა მუშაობა ეკონომიკურ კვლევაში მათემატიკური მეთოდების გამოყენების საკითხებზე და დამუშავდა ისეთი აქტუალური საკითხები, როგორცაა: „ოპერაციითა სისტემის დაგეგვა“ და „საქართველოს სსრ მანქანათმშენებლობის დამამზადებელ წარმოებაში სპეციალიზაციისა და კოოპერირების ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების გამოყენებით“.

დასახელებულ ნაშრომებში განხილულია ისეთი აქტუალური საკითხები, როგორცაა: გრან-

ტის დიავრამის აგება, ოპერაციითა ალბათობის წრის დაგეგვა და შესაბამისი გეგმური სტრატეგიის შემუშავება, სისტემათა ფუნქციონირების დროითი ინტერვალის დაგეგვა და გაშლილი ოპერაციების გრაფის განსაზღვრა.

ამასთანავე შედგენილია საქართველოს სსრ მანქანათმშენებლობის დამამზადებელ წარმოებაში სპეციალიზაციისა და კოოპერირების ოპტიმალური ვარიანტის შერჩევის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი, რომლის მიზანია მათემატიკური მეთოდების გამოყენებით მოიჭეროს თუჩის, ფოლდის, ფერადი ლითონის სმულებების, ასევე, ნაჭედებისა და ნატეფერების წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების ისეთი ოპტიმალური ვარიანტი, რომელიც დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას აღნიშნულ პროდუქტებზე მინიმალური დანახარებით.

III პრობლემა — საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლების პერსპექტივები 15—20 წელიწადში.

აქედან 1969 წელს შესწავლილია საქართველოს სსრ კოლმეურნეობრივი მეფუტკრეობის ეკონომიკური ეფექტურობის, კერძოდ, შრომის მწარმოებულობის, პროდუქციის თვითღირებულებისა და რენტაბელობის საკითხები.

საქართველოს სსრ სოფლისმეურნეობრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლების რეზერვებზე მსჯელობისას დიდი ადგილი აქვს დათმობილი მგლობრაციის, კერძოდ, კოლხეთის დაბლობის მთლიანად ათვისებისა და გამოყენების საკითხებს.

დაწერილითაა გამოკვლევები საქართველოს სსრ მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში მეურნეობრივი ანგარიშთან განხორციელების ეკონომიკური სტიმულაციის, თბილისის საგარეუბნო ზონის კოლმეურნეობებში მებოსტნეობის ინტენსიფიკაციის, კოლმეურნეობებში რენტაბელობისა და გაფართოებული აღწარმოების ტემპების, საბჭოთამეურნეობრივი წარმოების სტრუქტურის სრულყოფისა და სოციალისტური სოფლისმეურნეობრივი წარმოების რაციონალური გადგილებისა და სპეციალიზაციის საკითხები.

IV პრობლემა — სოციალიზმისა და კაპიტალიზმის ეკონომიკური შერჩევისა თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში და სსრკ საგარეო ეკონომიკური კავშირების საკითხები. აქ პირველ რიგში გამახვილებულია ყურადღება სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის გამოვლინების ფორმებზე თანამედროვე პირობებში. მოცემულია სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური კაპიტალიზმის ბუნების შესახებ ბურჟუაზიულ, რეფორმისტულ და რევოიონისტურ შეხედულებათა მეცნიერულად დასაბუთებული კრიტიკა.

V პრობლემა — სოციალისტური სახელმწიფოებრიობის განვითარება. სოციალისტური სა-

ხელმწიფოსა და სამართლის შესახებ ძირითადი ლენინური იდეების განსორცხვების პრაქტიკის თეორიული განვითარება.

ამ პრობლემიდან შარშან დამუშავდა შემდეგი თემები: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუშაობის ორგანიზაცია და მისი სამართლებრივი ვაჭორბეზა (ნაწ. III, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მდღეობის კომისიები), ადგილობრივი საბჭოების როლი მოქალაქეთა უფლებებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში (ნაწ. II: ადგილობრივი საბჭოების მიერ მოქალაქეთა სოციალურ-პოლიტიკური უფლებებისა და თავის უფლებების უზრუნველყოფა); სახელმწიფოებრივი მმართველობა კულტურის დარგში (ნაწ. I: კინემატოგრაფიის მმართველობა საქართველოს სსრ-ში), ეკონომიკისა და სამართლის თანაფარდობის ზოგიერთი საკითხი ეკონომიკური რეფორმის პირობებში (ნაწ. I: ეკონომიკისა და სამართლის თანაფარდობის თეორიული პრობლემები).

VI პრობლემა — **საერთაშორისო სამართლის საკითხები.**

1969 წელს გრძელდებოდა მუშაობა ამ პრობლემაზე და დამუშავებულია შემდეგი თემები: საერთაშორისო ჩვეულება (ნაწ. I), აგრესიული პოლიტიკის სენტოს საერთაშორისო მართლწინააღმდეგობა (ირანის მონაწილეობა სენტოში).

VII პრობლემა — **სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცებისა, მოქალაქეთა უფლებებისა და მოვალეობების განვითარების ძირითადი პრობლემები.** ამ პრობლემიდან 1969 წელს დამუშავდა: დანაშაულის საზოგადოებრივი საშინაობა და მართლწინააღმდეგობა, სასამართლო პრაქტიკის როლი საბჭოთა სისხლის სამართლის განვითარებასა და გაუმჯობესებაში. აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი დანაშაული, არასრულწლოვანთა დანაშაულობა საქართველოს სსრ მასალების მიხედვით, სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და წინასწარი გამოძიება, ახალი საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობის თავისებურებანი, საბჭოთა სამოქალაქო სამართლის და სამოქალაქო პროცესის ურთიერთობა.

VIII პრობლემა — **საქართველოს სახელმწიფოს და სამართლის ისტორია.** 1969 წელს ამ პრობლემიდან დამუშავდა ორი თემა: „არზაოქმები (XVII—XVIII სს.)“ და „ქართული სანივთო სამართალი“.

1969 წელს ინსტიტუტის თანამშრომლებმა გამოაქვეყნეს რამდენიმე მონოგრაფია და საჭურნალო სტატიები.

Проф. П. В. Гугушвили, Развитие сельского хозяйства в Грузии и Закавказье в XIX—XX вв., т. I (მოც. 29 თაბახი).

Проф. А. Л. Гуния, К вопросу о темпах и прорPriority воспроизводства в экономике Грузии (მოც. 23 თაბახი).

ეკონომიკა, ტ. I (მოც. 18 თაბახი).

ა. ბრეგვაძე, ჩაის მრეწველობის განვითარება საბჭოთა საქართველოში (მოც. 10 თაბახი).

ე. ჩაღუნელი, ვახ. „ღროების“ პუბლიცისტთა საზოგადოებრივ-ეკონომიკური შეხედულებები (მოც. 6,5 თაბახი).

ი. დლიძე, „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. III, (მოც. 50 თაბახი) ტომში შევიდა XI—XX სს. საეკლესიო ნორმატიული აქტები.

ი. ფუტყარაძე, საბჭოთა სახელმწიფოებრიობის განვითარება საქართველოში (მოც. 10,5 თაბახი).

ო. ავალიშვილი, ფასები და რენტაბელობა საქართველოს სსრ შამახურის ლენის მრეწველობაში (მოც. 6 თაბახი).

თ. წერეთელი, ტყეშეულიაძე, მოძღვრება დანაშაულზე (ნაწილი პირველი, მოც. 20 თაბახი).

ა. შუშანაშვილი, საქვეყნობის პრინციპი სისხლის სამართლის პროცესში (მოც. 7 თაბახი).

ა. მენაბდე, საქართველოს სსრ ეროვნული სახელმწიფოებრიობის ზოგიერთი საკითხი (მოც. 11 თაბახი).

დაიბეჭდა აგრეთვე ა. ვაბიანის ნაშრომი — დანაშაულთა მიზეზების შესახებ.

1969 წელს ინსტიტუტმა ჩატარა რამოდენიმე სესია და კონფერენცია. ვარდა ამისა ინსტიტუტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სხვა დაწესებულებათა კონფერენციებსა და სესიებში.

1969 წლის 29 აპრილს ჩატარდა ინსტიტუტის მორიგი XXVII სესია მიძღვნილი ინსტიტუტის დაარსების 25 წლისთავისადმი.

ა/წ. აპრილს ინსტიტუტმა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტთან ერთად მოაწყო სამეცნიერო კონფერენცია თამბაქოს № 1 ფაბრიკაში, ხოლო დეკემბერში საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტთან და სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის ინსტიტუტთან ერთად ჩატარდა საქალაქო ეკონომიკური კონფერენცია.

პროფ. თ. წერეთელმა სისხლის სამართლის მეათე საერთაშორისო კონგრესზე რომში წაიკითხა მოხსენება თემაზე „საფრთხის შემქმნელი დანაშაულთა მართლწინააღმდეგობის შესახებ“.

პროფ. თ. წერეთელმა მონაწილეობა მიიღო საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირის თურისტების მეორე მეცნიერულ სიმპოზიუმში, რომელიც შესდგა მოსკოვში 1969 წლის ივნისში, და იყო ამ სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი.

გ. ფირცხალავამ მონაწილეობა მიიღო გავრთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1969 წლის სექტემბერში ქ. კიევიში ჩატარებულ დემოგრაფიის პრობლემებისადმი მიძღვნილ რეგიონალურ სემინარის მუშაობაში.

ინსტიტუტის თანამშრომლები მოხსენებებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ ახალგაზრდა მეცნიერმუშაეთა და ასპირანტთა I რესპუბლიკურ კონფერენციაზე.

იურიდ. მეცნ. კანდიდატმა ი. ფუტყარაძემ 1964 წლის ოქტომბერს მონაწილეობა მიიღო ქ. ალმათაში მოწყობილ საერთაშორისო სიმპოზიუმის მუშაობაში, სადაც გამოვიდა მოხსენებები „სახელმწიფოებრივი მშენებლობა საქართველოს სსრ-ში“.

ინსტიტუტის თანამშრომლები მონაწილეობენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების ოპერატიული და პერსპექტიული გეგმების შედგენაში, სხვადასხვა კოდექსებისა და საკანონმდებლო აქტების შემუშავებაში და სხვ.

სამართლის სექტორის თანამშრომლებს აქვთ კავშირი სხვადასხვა იურიდიულ დაწესებულებებთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი მონაწილეობა საქორწინო და საოჯახო კოდექსის შემუშავებაში.

ინსტიტუტს საქმიანი მიმოწერა აქვს საზღვარგარეთის რიგ სამეცნიერო დაწესებულებებთან და ცალკე მეცნიერებთან. განსაკუთრებით მკვიდრო კავშირია დამყარებული პოლონეთის, ბულგარეთის, გერმანიის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, ვიეტნამის, დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტებთან.

1969 წელს ინსტიტუტს ეწვივნენ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ამავე აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი იშტვან ფრაში, მასთან ერთად იყვნენ მისი მეუღლე ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ირენი ფრაში და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სტატისტიკურ-ეკონომიკური ინსტიტუტის განყოფილების გამგე ეკონომიკურ

მეცნიერებათა კანდიდატი კონსტანტინე ლოვის ძე გორთმანი; ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის, ფილოსოფიის და სამართლის განყოფილების აკადემიკოსი მიღვანი ევგენი გეორგიევიძის ძე მატევეი (სოფია), რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, რუმინეთის კ. ც. ლექტორი იონ დესმიჩიანუ, ზაგრების ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი პროფ. რაიკარდ ლანგი, აშშ მოსკოვერი საელჩოს თანამშრომლები ტომას ნილსი და სვატი (საელჩოს საერთო განყოფილების თანამშრომელი). პირველი ეკონომისტი (პარავარდის უნივერსიტეტი).

გამოცდილების გაზიარების მიზნით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორს ეწვივნენ ცნობილი ფრანგი სწავლული იურისტები, რომლებიც მუშაობენ შედარებით სამართალმცოდნეობის დარგში.

ფრანგი იურისტების დელეგაციას ხელმძღვანელობდა გამოჩენილი ფრანგი კრიმინალისტი, საფრანგეთის საკანონმდებლო სასამართლოს თავმჯდომარე პროფ. ასნელე. ამავე მიზნით სამართლის სექტორს ეწვივნენ აგრეთვე სწავლული იურისტები ბულგარეთიდან და პოლონეთიდან.

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს აქვს საკანდიდატო დისერტაციების მიღებისა და განხილვის უფლება. 1969 წელს საკანდიდატო დისერტაციები დაიცვეს ფ. ანანიაშვილმა, ი. ნორაკიძემ, ვ. დგებუაძემ, ვ. ყანდაშვილმა, ჯ. ბედუკაძემ, ი. ჭადარაძემ, რ. გველეხიანმა, ა. ჯავახიშვილმა, ა. ჩხეიძემ, ბ. აშუბამ, რ. გელაშვილმა, რ. ქუტიძემ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ საჯარო სხდომაზე სადოქტორო დისერტაციის დაცვის საფუძველზე ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიანიჭა ინსტიტუტის უფროს მეცნიერთანამშრომელს დოც. რ. ხარბედიას თემაზე „სოციალიზმის ეკონომიკური კანონების სისტემა და მათი გამოყენება“.

## ფილოსოფიის ინსტიტუტი

1969 წელს ინსტიტუტში მუშავდებოდა დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის, ფილოსოფიის ისტორიის, ესთეტიკის, ლოგიკის, ეთიკის, მეცნიერული ათეიზმის აქტუალური პრობლემები.

დიალექტიკური მატერიალიზმის პრობლემებიდან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კატეგორიების, როგორც შემეცნების საკვანძო წერტილისა და შემეცნების პროცესის დიალექტიკის კვლევას. მარქსიზმ-ლენინიზმის კლა-

სიკოსების, განსაკუთრებით ვ. ი. ლენინის, შრომებზე დაყრდნობით გამოკვლეულია აუცილებლობისა და შემთხვევითობის, სასრულოსა და უსასრულოს, ზოგადისა და ერთეულის, საგნის, თვისებისა და მიმართების კატეგორიების შემეცნებითი მნიშვნელობა, ნაჩვენებია, რომ სინამდვილის იალკველ სიფრთხილსათვის სპეციფიური კანონზომიერების წვდომა შეუძლებელია ზოგადფილოსოფიური კატეგორიების გამოყენების გარეშე.

შემეცნების პროცესის დიალექტიკის კვლევამ მოითხოვა კრიტიკული ანალიზი იმ ტრადიციულ გნოსეოლოგიურ კონცეფციათა, რომლებიც თავისებურად აყენებდნენ და წყვეტდნენ გრძნობადისა და რაციონალურის ურთიერთობის პრობლემას. ამ მიზნით ნაჩვენები იყო ის შინაგანი წინააღმდეგობები, რომლებიც გააჩნდათ ახალი ფილოსოფიის წარმომადგენლების — ბეკონის, დეკარტის, სპინოზას, ბერკლის, იუმის, ლაიბნიცის ნააზრევს. მოცემულია ცდა სინთეზურ და ანალიზურ მსჯელობათა ტრადიციული გაგების გადასინჯვისა, კერძოდ, გატარებულია აზრი იმის შესახებ, რომ ამ მსჯელობებს აქვს ერთი წყარო, ხოლო განსხვავება მათ შორის პირობადებულია აგების სხვადასხვა მეთოდით.

გასულ წელს დიდი ყურადღება დაეთმო ისტორიული მატერიალიზმის მეთოდოლოგიური საკითხების კვლევა-ძიებას, კერძოდ, ისტორიული მატერიალიზმისა და სხვა მეცნიერული დისციპლინების ურთიერთმიმართების ვარკვევას. შრომაში კრიტიკულად არის შეფასებული ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში ვაერცელებული აზრი, რომლის თანახმადაც ისტორიული მატერიალიზმი წარმოადგენს დიალექტიკური მატერიალიზმისაგან გამოყოფილ ფილოსოფიურ დისციპლინას. ამ თვალსაზრისს უპირისპირდება დებულება იმის შესახებ, რომ ისტორიული მატერიალიზმი არის დიალექტიკური მატერიალიზმის ორგანული ნაწილი. ნაჩვენებია, რომ ისტორიული მატერიალიზმი მოიცავს, როგორც ისტორიის ფილოსოფიის, ისევე ზოგადი სოციოლოგიის პრობლემებს: ის იკვლევს როგორც ისტორიის საზრისის საკითხს, ისევე საზოგადოებრივ-ისტორიული განვითარების ზოგად კანონებს. ისტორია, როგორც მეცნიერება, თავის წინამძღვრებს ისტორიული მასალის ამორჩევისა და გააზრებისათვის ისტორიული მატერიალიზმისაგან იღებს.

შრომაში დახასიათებულია სოციალური ფსიქოლოგიის როგორც საზოგადოებრივი მოვლენის ადგილი ისტორიული პროცესის სტრუქტურაში. ნაჩვენებია ის, რომ სოციალურ-ფსიქოლოგიური მოვლენების (განწყობილება, ინტერესები, ფსიქიკური წყობა და სხვ.) გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია გავიგოთ ისტორიული აქტივობლების რეალიზაცია, მისი სპეციფიკა. სოციალური ფსიქოლოგია თავის დასესხვას საზოგადოების სულიერი ცხოვრების ისეთ სფეროებსაც, როგორცაა მეცნიერება, ფილოსოფია, ხელოვნება და სხვ. მკვრამ სოციალური ფსიქოლოგია არსებითად საზოგადოებრივი ყოფიერების ასახვის პასუხისმგებელია და ამიტომ მას არ შეუძლია განსაზღვროს საზოგადოების წინაშე მდგარი ამოცანები და მათს

გამოსახატავად მოწოდებული ფორმები ადამიანთა სულიერი ცხოვრებისა.

დიდი ადგილი აქვს დათმობილი ადამიანის ფილოსოფიური პრობლემის კვლევას. გაანალიზებულია ის სპეციფიკური მიმართება, რომელიც არსებობს ფილოსოფიასა და ფილოსოფიურ ანთროპოლოგიასა და სპეციალურ ანთროპოლოგიურ მეცნიერებათა შორის. ნაჩვენებია ის მნიშვნელობა, რომელიც აქვს ამ მეცნიერებებს ერთმანეთისთვის. ფილოსოფიური ანთროპოლოგია სპეციფიკური შემეცნებითი მიდგომის საფუძველზე ითვისებს იმ მასალას, რომელსაც კერძო მეცნიერებანი იძლევიან; მეორე მხრივ, კერძო მეცნიერებებს ამოსაღლად აქვთ ადამიანის, როგორც გაერკვეული მივლის, ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური ცნება.

შრომაში კრიტიკულად არის განხილული პაიდეგაგის კონცეფცია, რომელშიც ადამიანის მატერიალური უპირისპირდება ფილოსოფიურ ანთროპოლოგიას. ნაჩვენებია, რომ ეს დაპირისპირება ეფუძნება ფილოსოფიური ანთროპოლოგიის სტრუქტურისა და გნოსეოლოგიური ბუნების წინასწარ მიღებულსა და დაუზღვევებელ წინამძღვრს. ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ადამიანის არსების წვდომა სრულიად არ წარმოადგენს ფილოსოფიური პრობლემატიკის გახსნისა და გაგების წინასწარ პირობას. ფენომენოლოგიის გააზრება ონტოლოგიის სახით ხდება ყოფიერების ცნების იდეალიზაციის ხარჯზე, რაც სრულიად აუქმებს ფენომენოლოგიის სპეციფიკას.

ადამიანის ფილოსოფიური პრობლემის დამუშავებასთან დაკავშირებით გაკრიტიკებულია თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის თვალსაჩინო წარმომადგენლების — იასპერსის, შიომისის, სარტრის თეორიები, პერმენეტიკის, როგორც ადამიანის კვლევის მეთოდის, იდეალისტური გაგება.

ისტორიული განაგრძობა კონკრეტულ სოციალურ კვლევას. ამ მხრივ ძირითადად შესწავლილი იყო ორი საკითხი: მცირე სოციალური ჯგუფის ცნება და მცირე სოციალური ჯგუფების შიდასწარმო ურთიერთობანი. მცირე სოციალური ჯგუფი განსაზღვრულია როგორც სოციალური სისტემის პირველადი ფუნქციური უჯრედი. დადგენილია მცირე სოციალური ჯგუფის შიდასწარმო ურთიერთობა ძირითად მოვლენებში (შრომის დანაწილების, კვალიფიკაციური დონის, პიროვნული მიმართებებისა და სხვა ურთიერთობანი) და მათი როლი მცირე სოციალურ ჯგუფთა ფუნქციონებაში.

ესთეტიკის დარგში ყურადღება გამახვილებული იყო თანამედროვე დასავლეთის ხელოვნებაში არსებული რეალიკალური დეფორმაციის ტენ-



დენციის კვლევაზე. კრიტიკულად იყო გაანალიზებული კანტის, პირანდელოს, კაუფმანის, დიუფრენის ესთეტიკური ნააზრევები, დამუშავდა მუსსკაში ინდივიდუალურისა და ზოგადი ურთიერთმიმართების საკითხი და ესთეტიკის მეთოდში არსებული ინტროსპექტიული მომენტების თავისებურებების პრობლემა.

ქართული ფილოსოფიის ისტორიის დარგში განხილულია ესთეტიკური შეხედულებანი XI-XII სს.-ის საქართველოში და ამ შეხედულებათა ფილოსოფიური საფუძვლები. შრომის ამ ნაწილში ყურადღება გამახვილებულია ისეთ თეოლოგიურ-ფილოსოფიურ მოძღვრებებზე, რომლებიც ორთოქსალური რწმენის დასაბუთებას ისახავდნენ მიზნად და გააბრუნებულ მღვდლმარობაში იმყოფებოდნენ. კერძოდ, წარმოადგენდნენ ზეცისა და მიწიერის დუალიზმის თეორიულ საფუძველს. კერძოდ, ნაშრომი ეხება იოანე დამასკელის მთავარ ფილოსოფიურ თხზულებას და არსენ იაკოლოვის „ღვგმატიკონში“ შესულ ტრაქტატს „პირმშოსათვის“. ვახინდელი ესთეტიკური შეხედულებანი და მათი ფილოსოფიური საფუძვლები იდეურად უპირისპირდება ნეოპლატონიზმს და, კერძოდ, ქართულ ნეოპლატონიზმს. ამის დამადასტურებელ პირდაპირ ფაქტს წარმოადგენს „პირმშოს“ ავტორის პოლემიკა ნეოპლატონისტურ შეხედულებების წინააღმდეგ.

გამოკვლეულია XVIII საუკუნეში არსებული რუსულ-ქართული იდეური კავშირები, ზეცისა და მიწიერის ურთიერთმიმართების პრობლემა ქართულ პავიოგრაფიაში, XX საუკუნის ქართული ფილოსოფიური აზროვნების ზოგიერთი საკითხი, დიალექტიკის ელემენტები ფსევდო დიონისე არეოპაგელისა და რუსთაველის სხვა წინამორბედთა ნააზრევებში.

## დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი

დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში, ისევე როგორც წინა წლებში, შარშანად გაძედილებოდა მუშაობა პიროვნების ზოგადფსიქოლოგიური თეორიის — განწყობის თეორიის პრობლემაზე. შესწავლილ იქნა განწყობის ძირითადი განზომილებები, რომელთა სახეცვლილება საფუძვლად ედება განწყობის გამოვლენის სხვადასხვა ფორმებს.

ინსტიტუტში 1969 წ. მუშაობა წარმოებდა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით: ზოგადი ფსიქოლოგია, გენეტიკური

ბურკეზიული ფილოსოფიის კრიტიკის დარგში პირველ რიგში მიექცა ყურადღება ირაციონალიზმის და ფუქნების ცდებს. ამ მხრივ კრიტიკულად იყო გაანალიზებული ნიქმესა და პუსერის ფილოსოფია, შოპენაუერის ეთიკური შეხედულებები, დიდი ადგილი დაეთმო ნეოპოზიტივიზმის კრიტიკას, რაციონალურისა და რეაქციული მომენტების ანალიზს ჰეგლის ისტორიის ფილოსოფიაში.

მეცნიერული ათეიზმის დარგში შესწავლილია ბიბლიის მიმართება პირველყოფილ რელიგიებთან — ანიმიზმთან, მაგურობასთან, ფეტრშიზმთან, ტრემშიზმთან და სხვა. ბიბლიური მონოთეიზმის პირველყოფილ რელიგიებთან დამოკიდებულების გარკვევისას ნაჩვენებია, თუ როგორ იქცა პრიმიტიული რელიგიური წარმოდგენები განვითარებულ მონოთეისტურ რელიგიად. შრომაში მონახულია პირველყოფილი რელიგიების ნაშთები ბიბლიურ მონოთეიზმში, რაც ერთხელ კიდევ ააშკარავებს მონოთეიზმის ნამდვილ არსს, მის მიწიერ წარმოშობას, კლასობრიობას და სხვა წინააღმდეგობებს.

ინსტიტუტის კოლექტივმა გამოცდა რამდენიმე შრომა, მიძღვნილი ფილოსოფიის სხვადასხვა აქტუალურ საკითხებსადმი.

ე. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით გამოიცა მონოგრაფიები: ბ. ბაქრაძე — „ლენინი როგორც ფილოსოფოსი“, ნ. ცხაკაია — „ე. ი. ლენინი სოციალისტურ რევოლუციაში სუბიექტური ფაქტორის როლის შესახებ“, ე. კერძაძე — „ბერკლისა და იუმის ფილოსოფიის ლენინური კრიტიკა“, კოლექტიური მშრომა „ე. ი. ლენინი და დიალექტიკური მატერიალიზმის პრობლემა“. გარდა აღნიშნული შრომებისა, ინსტიტუტმა გამოცდა მ. კაკაბაძის მონოგრაფია — „ადამიანი როგორც ფილოსოფიური პრობლემა“, ა. ბეგიაშვილის „ცოდნის საწყისის პრობლემა რასელის და პუსერლთან“, კოლექტიური შრომა — „ფილოსოფიური ანთროპოლოგია (კრიტიკული ანალიზი)“ და სხვ.

ფსიქოლოგია, პედაგოგიური ფსიქოლოგია, სამედიცინო ფსიქოლოგია და შრომის ფსიქოლოგია. საანგარიშო პერიოდში სულ დამუშავებული იქნა 9 გამსხვილებული თემა. ამათგან ზოგადი ფსიქოლოგიის განყოფილებაში დაშუშებულია 2 თემა: 1. განწყობის თეორია და 11. მეტყველებისა და აზროვნების ფსიქოლოგია.

პირველი თემის ირგვლივ შესწავლილ იქნა შემდეგი საკითხები: „გადანაცვლების ფიგურ-

რული ეფექტები“ კლერისა და ვალახის ცდებში, როგორც მანილის აღქმის კონტრასტული ობიექტები (ზ. ხოჯავა), „ურთიერთკავშირი ცნებებს შორის: „განწყობა“, „მოტივი“, „კონცეპტი“ და „პიროვნების ნიშანი“ (ა. ფრანკ-ვიშლი), „ფსიქორბული განწყობის ფიზიოლოგიური მექანიზმი მობორულ სფეროში“ (ა. ავალოვილი, თ. ჭავჭავაძე); მეორე თემის ირვევლ დაშუშავებულია საკითხები: „კონტაქტის ზოგიერთი სახეების ექსპერიმენტული გამოკვლევა“ (დ. რამიშვილი), „ირელევანტური გამაღიზიანებელი და ხანმოკლე მესხიერება“ (ვ. გრიგოლავა), „პიროვნებისეულ თავისებურებათა გავლენა ამოცანის გადაჭრის პროცესზე“ (ნ. დიავა).

ზოგადი ფსიქოლოგიის განყოფილების თანამშრომელთა მიერ შესრულებული შრომებიდან ფსიქოლოგთა XIX საერთაშორისო კონგრესის სამუშაო დღის წესრიგში შეტანილ იქნა 2 მოხსენება: ა. ფრანკ-ვიშლის „ფსიქოლოგიური ცნების საკითხისათვის ხალხურ ფსიქოლოგიაში“ და ვ. გრიგოლავას „ირელევანტურ გამაღიზიანებელთა აღქმის საკითხისათვის“ (ლონდონი, 1969 წ. აგვისტო).

1969 წელს გამოქვეყნებულ იქნა განყოფილების თანამშრომელთა შემდეგი შრომები: ა. ფრანკ-ვიშლის სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისათვის „სწავლების ფსიქოლოგიური საკითხები“, მისივე სტატია „სწავლების ფსიქოლოგიური საკითხები“ კრებულში „აქტუალური“ ზ. ხოჯავას „Последствие перемещения в опытах Келера и Валаха как контрастная иллюзия установки“ (ყურნალი „მაცნე“, 1969, № 2), ვ. გრიგოლავას „К вопросу о восприятии иррелевантного раздражителя“ („Вопросы психологии“ № 5, 1969) მისივე „К вопросу о восприятии некоторых простых взаимоотношений“ (Анотации и тезисы докладов. XXV научная сессия, посвященная дню радио и дню физиста. М. 1969).

ყურნალი „საბჭოთა ხელოვნება“ (№ 10, 1969 წ.) დაბეჭდილია ვ. გრიგოლავას სტატია „რეკლამა და ფსიქოლოგია“. ფსიქოლოგთა XIX საერთაშორისო კონგრესის მასალებში („Abstracts“, London, 1969) მოთავსებულია ვ. გრიგოლავას მოხსენების თეზისები ამ კონგრესზე („A Contribution to the Problem of the Perception of Irrelevant Stimuli“), ხოლო „მაცნეს“ № 6-ში გამოქვეყნდა მისივე სტატია „რელევანტურ და ირელევანტურ გამაღიზიანებელთა აღქმის საკითხი“. ამავე განყოფილების თანამშრომლებმა ნ. ჭოჩიაშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის სამეცნიერო საბჭოზე დასაცავად წარადგინა საკანდიდატო დისერტაცია.

გენეტიკური ფსიქოლოგიის პრობლემიდან შესრულებულია ორი გამსხვილებული თემა: 1. მოზარდის სოციალურ დამოკიდებულებათა ფსიქოლოგიური თავისებურებანი და 2. შეგუენებებითი აქტიუობის განვითარების ანომალიები. პირველი თემის ირვევლ დაშუშავებულია შემდეგი საკითხები: „თანამშრომლობის განვითარების თავისებურებანი მოზარდების ასაკში“ (6—8 კლასი) (ფ. ზუნდაძე), „დასჯისა და კონტროლის, როგორც ზემოქმედების ზომის გავლენის თავისებურებანი მოზარდობის ასაკში“ (ე. კეჭერაძე), „ფსიქოლოგიურ ფაქტორთა შესწავლა რომელიც გავლენას ახდენენ ერთსა და იმავე სოციალურ ურთიერთობათა სპეციფიკაზე განსხვავებული რაოდენობის მცირე ჯგუფებში“ (ნ. კურაშვილი).

დაშუშავებულია აგრეთვე მეორე თემის შემდეგი საკითხები: „შეტყველების ძირითადი სახის ანომალიების დასასიათება და მათი ფსიქოლოგიური ბუნება“ (ზ. ვაბაშვილი), „ჩვევის გადატანა ოლიგოფრენებთან“ (ე. გერსამია), „მოტივების გავლენა ოლიგოფრენის დამასოვირების პროდუქტულობაზე მეორე სასკოლო ასაკში“ (მ. ყოლბაია).

გენეტიკური ფსიქოლოგიის განყოფილების თანამშრომელთა მიერ წარდგენილი შრომებიდან ფსიქოლოგთა XIX საერთაშორისო კონგრესის დღის წესრიგში შეტანილ იქნა ვ. ნორაიძის მოხსენება „წარმოსახულ სიტუაციათა და აბსტრაქტულ მიმართებაზე შექმნილი ფიქსირებული განწყობის თავისებურებანი გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვებთან“.

ამავე განყოფილების თანამშრომლებმა შარშან გამოქვეყნეს შემდეგი შრომები: ვ. ნორაიძის „მოსწავლის პედაგოგისა და ფსიქოლოგიური დახასიათება“, მ. ყოლბაიას „ოლიგოფრენ ბავშვთა ინტელექტუალური განვითარების თავისებურებანი“, ე. გერსამიას „ოლიგოფრენ ბავშვთა ინტელექტის ზოგიერთი თავისებურებანი“ (ყურნ. „Дефектология“, Москва, 1969); და აგრეთვე ალქმის თეორიის ზოგიერთი საკითხი (თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიული კრებული, 1969), ე. ნეფარიძის „ყურადღების სახეები და განწყობა“ („მაცნე“, 1969, № 4). ამავე განყოფილების თანამშრომელმა მ. ყოლბაიამ წარადგინა სადოქტორო დისერტაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის საბჭოზე დასაცავად.

გენეტიკური ფსიქოლოგიის განყოფილების თანამშრომლები ვ. ნორაიძე, ე. გერსამია, ზ. ვაბაშვილი და მ. ყოლბაია მიწვეული არიან ვარშაის საერთაშორისო კონგრესზე, რომელიც განიხილავს ბავშვის გონებრივი ანომალიების ფსიქოლოგიის საკითხებს.

პედაგოგიური ფსიქოლოგიის პრობლემებიდან შესრულებულია ორი გამსხვილებული თემა: 1. გაკვეთილის პედაგოგიური ფსიქოლოგია და 2. მოზარდის ქცევის სოციალური მოტივები.

პირველი თემის ირგვლივ დამუშავებულია შემდეგი საკითხები: „გაკვეთილი როგორც სოციალურ ურთიერთობათა სისტემა“ (ნ. ხარტიშვილი), „მოლოდინისა და ასაკოლო წარმატების შეფასების გავლენა გაკვეთილის მიმდინარეობაზე“ (გ. მჭედლიშვილი), „მოსწავლეთა დამოკიდებულება სანქციებისადმი (დასჯა, წახალისება), რომელთაც მასწავლებელი მიმართავს გაკვეთილზე“ (ნ. როგავა), „მასწავლებლის ავტორიტეტის გავლენა კლასის აქტიურობაზე“ (მ. ზარანდა), „განწყობის როლი მეორე ენის დღეფლებების საქმეში“ (ნ. იმედაძე), „ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ სწავლის განწყობასა და დარღვევაზე გაკვეთილზე“ (ნ. ნასრაშვილი), „სწავლებისა და განვითარების ურთიერთობის პრობლემა ე. პაიფის გამოკვლევების საფუძველზე“ (ი. კოტეტიშვილი).

მეორე თემის ირგვლივ დამუშავებულია ორი საკითხი: „მოსწავლის პიროვნების ზოგიერთი ინდივიდუალური თავისებურება და წესილი“ (ა. აღხაზიშვილი) და „აყალიბებული მოსწავრების ცვალებადობა კლასების მიხედვით“ (თ. მუსერძე).

პედაგოგიური განყოფილების თანამშრომლების მიერ საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნებულია შემდეგი შრომები: შ. ჩხარტიშვილის სტატიები — „აღზრდა და განვითარება“, „მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებანი“, „დადებითა და შრომისუნარიანობა გარდამავალ ასაკში“ (კრებული „პედაგოგია“, გამომც. „განათლება“, 1969), მისივე „მოქმედების ვეგმა, სტიმულაციური ხატი და განწყობა“ („მაცნე“, № 2, 1969), ნ. როგავას „სასჯელის განსხვავებულ ფორმებისადმი მოსწავლეთა დამოკიდებულების საკითხისათვის“ (ეურნ. „სკოლა და ცხოვრება“, № 9, 1969), ა. აღხაზიშვილისა და ნ. იმედაძის მოხსენება „წესილის დონის გამოკვლევა ექსპერიმენტულ და ჩვეულებრივ კლასში“ (I საკავშირო სიმპოზიუმი თემაზე: დაწყების სკოლაში სწავლების გარდაქმნის პრობლემათა დაკავშირებით დაკავშირებული ექსპერიმენტული გამოკვლევები, თბილისი, 1969), მ. ზარანდას „გონებრივი ოპერაციების განვითარება სკოლაშედილი ასაკის ბავშვებში“ („მაცნე“, № 1, 1969) და „სქოლამდელი ასაკის ბავშვის გონებრივ შესაძლებლობათა საკითხისათვის“ (I საკავშირო სიმპოზიუმი თემაზე: დაწყებით სკოლაში სწავლების გარდაქმნის პრობლემათა დაკავშირებული ექსპერიმენტული გამოკვლევები, თბილისი, 1969). ნ. იმედაძემ მოსკოვში წაიკითხა მოხსენება თემაზე: „რუსული ენის ათე-

სებაში სემანტიკური სიძნელეების ფსიქოლოგიური ბუნებისათვის“ (Материалы международной конференции Учителей русского языка, Москва, 1969).

ჯარა ამისა, შ. ჩხარტიშვილმა წაიკითხა მოხსენება „მოთხოვნისა და ნებისყოფა“ ნოვოსიბირსკის II საკავშირო სიმპოზიუმზე — „სულიერ მოთხოვნისა და აღზრდის პრობლემაზე“. ნ. როგავას მოხსენების („О природе воли младшего школьного возраста“) თეზისები დაიბეჭდა კიევის სიმპოზიუმის მასალებში. იმავე სიმპოზიუმზე წაიკითხა იქნა შ. ჩხარტიშვილისა და ა. აღხაზიშვილის მოხსენება „ინტელექტუალურ მოთხოვნისა და კლასიფიკაციის საკითხისათვის“. შ. ჩხარტიშვილმა წაიკითხა მოხსენება აგრეთვე საინჟინრო ფსიქოლოგიის სიმპოზიუმზე (თბილისი): „მოთხოვნის გავლენა აღქმაზე“ („Проблемы инженерной психологии“, Тбилиси, 1969).

განყოფილების თანამშრომლების — ნ. იმედაძის („მეორე ენის ათვისებაში სემანტიკური სიძნელეების ლინგვო-ფსიქოლოგიური ინტერპრეტაცია“) და მ. ზარანდას მოხსენებები („ინტელექტუალური განვითარების აქსელერაცია სკოლამდელ ასაკში“) შეტანილი იქნა XIX სთავითაშორისო კონგრესის დღის წესრიგში (ლონდონი, 1969).

ფსიქოპათოლოგიის პრობლემიდან დამუშავებულია ორი გამსხვილებული თემა: 1. ინტელექტუალურ ფუნქციათა კლინიკურ-ექსპერიმენტული შესწავლა და 2. განწყობის ფსიქოპათოლოგია.

ამ თემებიდან დამუშავებულია შემდეგი საკითხები: „ზარდების თავისებურება შიზოფრენიული პროცესის განვითარების სხვადასხვა სტადიაზე“ (მ. საყვარელიძე), „სიმბოლური ზარდებზე შიზოფრენიის სხვადასხვა სტადიაზე“ (ე. ვაჩაძე), „ლოგიკური მეხსიერების თავისებურება შიზოფრენიის დროს“ (ბ. ბეკინიშვილი), „განწყობის ელექტროენცეფლოგრაფიული გრადიენტი (ი. ბუღალავა)“, „შემადგომელების ზოგიერთი ფაქტი განწყობის თეორიის თვალსაზრისის მიხედვით (ფსიქოპათოლოგიის მონაცემების საფუძველზე“ (ქ. ცინცაძე), „ფიქსირებული განწყობა შიზოფრენიის განვითარების სხვადასხვა სტადიაში“ (მ. ჯაფარიძე), „ფიქსირებული განწყობა შევცლილი ცნობიერების სხვადასხვა ფორმის დროს“ (მ. ბარკალია).

ფსიქოპათოლოგიის განყოფილების მიერ საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნებულია შემდეგი შრომები: ი. ბუღალავა — „განწყობის ელექტროენცეფლოგრაფიული გრადიენტი“ („Вопросы психологии“, № 2, 1969) და მისივე „განწყობა და ტინის მექანიზმები (გამომც. „მეცნიერება“).

გარდა ამისა, განყოფილების თანამშრომლები მონაწილეობდნენ სხვადასხვა კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში.

შრომის ფსიქოლოგიის განყოფილების თანამშრომლებმა გამოაქვეყნეს შემდეგი შრომები: ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა და ასპირანტთა კონფერენციის მასალებში დაიბეჭდა: ა. ნებეტიძის „ფსიქირებულ განწყობის თავისებურებანი ფსიქიური აქტიობის სხვადასხვა დონეზე“ და თ. ბერეკაშვილის „პიკის კანონი არჩევის რეაქციის დროში და განწყობა“, მისევე აარჩევის რეაქციის დრო და განწყობა“ (საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. 53, № 2, 1969) და წაიკითხა მოხსენება თბილისის საინჟინრო ფსიქოლოგიის სიმპოზიუმზე „სტიმულის ინფორმაციის რაოდენობის კავშირი რეაქციის დროსთან“ („Проблемы инженерной психологии“, Тбилиси, 1969). დაიბეჭდა შ. ნადირაშვილის „Новый этап в изучении процессов восприятия в советской психологии“ („Вопросы психологии“, № 4, 1969).

ინსტიტუტმა გამოსცა ა. შეროზიას მონოგრაფია „К проблеме сознания и бессознательного психического“).

1969 წ. განახლდა და მომავალ წლებში რეგულარულად გამოქვეყნდება ინსტიტუტის შრომები („ფსიქოლოგია“), რომლის გამოცემა არამდენიმე წლის მანძილზე შეწყვეტილი იყო. საანგარიშო პერიოდში გამოვიდა ამ შრომების XV ტომი, რომელშიც გამოქვეყნებულია ფსიქოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელთა 16 სტატია (თ. ბერეკაშვილი, ი. ბეკალა, ვ. გრიგოლაყა, ა. კინწურაშვილი, ე. კეყერაძე, ქ. მდივანი, ნ. ნასრაშვილი, ვ. ნორაკიძე, ნ. როვაყა, მ. საყვარელიძე, ქ. ცინცაძე, ნ. ქოჩიაშვილი, შ. ჩხარტიშვილი, ფ. ზუნდაძე, მ. ყოლბაია, მ. ჯაფარიძე).

საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნდა აგრეთვე „Экспериментальные исследования по психологии установок“, т. IV, რომელშიც დაბეჭდილია ფსიქოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლების (ი. ბეკალა, ე. ვიხანძე, თ. ჯაფარიშვილი და ა. ავალიშვილი, ნ. ქოჩიაშვილი, ე. ნეფარიძე, ვ. ნორაკიძე, დ. რამიშვილი, მ. საყვარელიძე, ზ. ხოჭავაძე, შ. ჩხარტიშვილი, ნ. ელიავა) სტატიები და კანადელი ფსიქოლოგის რ. გერცოკის სადოქტორო დისერტაცია „ლინგვისტური კოდის განწყობილების დახასიათება“.

სსრკ ფსიქოლოგთა საზოგადოებამ და სსრკ პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიამ რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოაქვეყნეს დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლების (ვ. გრიგოლაყა, ა. ფრანგი-

შვილი, დ. რამიშვილი, ვ. ნორაკიძე, ე. კეკერაძე, ნ. ჭრელაშვილი, ნ. იმედაძე, ქ. მდივანი, თ. ჯაფარიშვილი და ა. ავალიშვილი, შ. ჩხარტიშვილი, მ. ზარანდია, ნ. ელიავა) მოხსენებათა თეზისები, რომლებიც წარდგენილი იყო XIX საერთაშორისო კონგრესზე (ლონდონი, 1969 წ.).

პოლონეთის სამეცნიერო გამომცემლობისა და უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობისათვის ინსტიტუტმა მოამზადა გამოსაცემად ინსტიტუტის თანამშრომელთა შრომების კრებულები განწყობის ფსიქოლოგიის საკითხებზე.

თბილისის უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრის მიერ გამოცემულ კრებულში „სოციოლოგიური გამოკვლევები“ დაიბეჭდა ფსიქოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელთა 3 სტატია: ი. ვომელაურის „სოციალური მოლოდინები და როლის კონფლიქტი“, ვ. გრიგოლაყას „პროფესიული ორიენტაციის საკითხები“ და შ. ნადირაშვილის „განწყობა და ღირებულება“.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ სსრკ ფსიქოლოგთა საზოგადოების პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ფსიქოლოგთა IV საკავშირო ყრილობა ჩატარდება თბილისში 1971 წელს. ეს ფაქტი უდავოდ იმაზე მიუთითებს, რომ ქართულმა ფსიქოლოგიურმა სკოლამ ღირსეული ადგილი დაიკავა საბჭოთა ფსიქოლოგიაში და იგი წარმოადგენს ფსიქოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთ ძლიერ კერას საბჭოთა კავშირში.

ინსტიტუტის მონაწილეობითვე 1970 წელს თბილისში ეწყობა საერთაშორისო კოლოკვიუმი სოციალური ფსიქოლოგიის საკითხებზე.

როგორც წინა წლებშიც, ინსტიტუტში სტაჟირებას გადიოდნენ განწყობის ფსიქოლოგიის საკითხებზე უცხოელი მეცნიერები: გეორგ ეკერტი (გერმანიის დემოკრ. რესპუბლიკა), ვან შინ ხაიკი, ნიან ვან ლი (ვიეტნამის დემოკრ. რესპ.), გ. ზეიფერტი (ქ. იენის უნივერსიტეტის ასპირანტი, გერმანიის დემოკრ. რესპ.).

თბილისში ინსტიტუტის მუშაობის გასაძლიერებლად აგრეთვე ჩამოვიდა ცნობილი მეცნიერი ი. ბროთევი (აშშ).

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა („ოთხშაბათობები“) და განყოფილების სხდომებზე რეგულარულად ხდებოდა თანამშრომელთა წლიური შრომების განხილვა. გარდა ამისა, თანამშრომლები საბჭოს ღია სხდომებზე კითხულობდნენ რეფერატებს და მოხსენებებს თანამედროვე საბჭოთა და უცხოური ფსიქოლოგიის აქტუალურ საკითხებზე. ისევე, როგორც წინა წლებში, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა იმ გამოკვლევებს, რომლებიც განწყობის ფსიქოლოგიის საკითხებს ეხება და უშუალო კავშირი აქვს უზნაძის სკოლის სამეცნიერო კვლევის მუშაობასთან.



### ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი

1969 წელს მუშაობა მიმდინარეობდა 7 მთავარი დარგის მიხედვით სამ განყოფილებაში: არქიტექტურის შესწავლის განყოფილება; ქართული საბჭოთა არქიტექტურისა და შუა საუკუნეების არქიტექტურის შესწავლა.

მხატვრობისა და ქანდაკების შესწავლის განყოფილება: ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნებისა და შესავსევუნების სახვითი ხელოვნების შესწავლა.

მცირე (დეკორატიულ) ხელოვნებათა შესწავლის განყოფილება: ქართული საბჭოთა დეკორატიულ ხელოვნებისა და ძველი ქართული დეკორატიული ხელოვნების შესწავლა.

ინსტიტუტის ყველა განყოფილების საერთო სამუშაო თემა არის „ქართული ხელოვნების ისტორიის“ შედგენა.

თემები შესრულებულია გეგმით გათვალისწინებული მოცულობით. 8 თემიდან, გეგმის თანახმად, მუშაობა მთლიანად დამთავრებულია 19 ცალკე დამოუკიდებელ ნაწილზე.

ინსტიტუტის საკლდეო მუშაობა ეხებოდა ქართული ხელოვნების მნიშვნელოვან უბნებს.

ქართული საბჭოთა არქიტექტურის ხაზით მუშავდებოდა ძველი ქალაქების და გეგმვისა და რეკონსტრუქციის საკითხები. რაც შეეხება შუა საუკუნეების არქიტექტურას, გამოკვლეულია უშგულის ციხესიმაგრე სენეთში, დამუშავებულია რაჭის ისტორიული პროვინციის ახლად გამოვლენილ არქიტექტურულ ძეგლთა ერთი თავისებური ჯგუფი, გამოკვლეულია სოფელ ვანის (ორჯონიძის რაიონი) არქიტექტურული ძეგლი; აღმოჩნდა, რომ ძველი ფენა მიეკუთვნება X—XI საუკუნეს, ხოლო მეორე ფენა, მასზე შერჩენილი ისტორიულ პირთა პორტრეტებით, მიეკუთვნება XVI საუკუნეს — ისევე როგორც ჰეღვთის ხელოვნების ნაწარმოები — საკურონელისწინა ჯვარი; დამუშავდა და დათარიღდა წილქნის ტაძრის დეკორის ფრაგმენტები, აღმოჩენილი ძეგლის გაწმენდის დროს;

საბჭოთა სახვითი ხელოვნების ხაზით მონოგრაფიულად შესწავლილია ახალი ქართული რეალისტური მხატვრობის ერთ-ერთი დამფუძნებლის ალექსანდრე პრეველშვილის შემოქმედება. მონოგრაფიულად შესწავლილია შემოქმედება ელენე ახვლედიანისა, როგორც თეატრალური დეკორაციების მხატვრისა, გრაფიკოსისა და ფერმწერისა; ნაშრომში მახვლელება უჩრადლება პეიზაჟურ ფერწერაზე, რომელშიც ყველაზე მკვეთრად გამოვლენილია მხატვრის ინდივიდუალობა; ქართული საბჭოთა სახალხო ქანდაკება პირველად მუშავდება საქართველოს

მასალაზე. გარჩეულია ამ ქანდაკებების მხატვრულ-სტილისტიკური მხარე, იმ გარემოს გათვალისწინებით, სადაც ისინი ხდებოდა არაა.

შუა საუკუნეების სახვითი ხელოვნების შესწავლის მხრივ გამოკვლეულია ბერთუნის მთავარი ეკლესიის კედლის მხატვრობა — ერთერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი დავით-გარეჯაში. გამოვლენილია მისი კავშირი სხვა მონახტულობებთან, კერძოდ, სტარაპნოთა მონახტულობებთან. შესწავლილია ალავერდის ტაძრის ახლად გახსნილი (1968 წლამდე) საკურონელის ეკლესიის მხატვრობა; დადგინდა, რომ ის ორ ფენას შეიცავს, ქვედა ფენა XI საუკუნისაა, ზედა XV საუკუნის ბოლოს არის შექმნილი; იკონოგრაფიული და სტილისტური თვალსაზრისით შესწავლილია ე. წ. გელათის სახარების მინიატურები და XVIII საუკუნის ქართული ხელნაწერის „ქილია და დამანას“ მინიატურები; შუა საუკუნეების პლასტიკურ ხელოვნების ძეგლთან გამოკვლეულია ეძანის ეკლესიის ფასადზე გამოკვეთილი რელიეფი ადრეული ფეოდალური დროისა VI ს. და ზარზმის წყაროში ჩატანებული რელიეფური ფილები (X ს.).

ქართული საბჭოთა დეკორატიული ხელოვნების ხაზით გრძელდებოდა ექსპერიმენტული ძიებანი მხატვრული კერამიკის დარგში.

ძველი ქართული დეკორატიული ხელოვნების მხრივ მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით შესწავლილია არამზისხევის საცავის ადრეფეოდალური ხანის სტელების ჯგუფი; გამოკვლეულია ქორთლოს ჰეღვთის ხაზები, რომლებიც შეადგენენ ერთ სტილისტურ ჯგუფს, თარიღდება XIV — XV საუკუნით და გამოსული თემა იყენენ ერთი სახელოსნოდან; ცალკე უნდა მიეძღვნა უძველეს ტრადიციებს ძველ ქართულ ხელოვნებაში, სახელდობრ, მხატვრულ ხასიათის დროშებს, დამუშავებულია ძველ მხატვრულ სტილითა გადარჩენილი ფრაგმენტები სოფ. ქვემო ჭალიდან, დადგინდა მათი თარიღები: XV—XVI საუკ. მიმდინარეობდა მოსაზრდებული მუშაობა „ქართული ხელოვნების ისტორიის“ მრავალტომეულის გამოსაცემად და სხვ.

ყველათს მუშაობას თან სდევდა გაშლილი სხიველ მუშაობა. შესრულებულია ექსპედიციებისა და მივლინებების გეგმა, დაკავშირებული ძირითადად სამუშაო თემატიკურ გეგმასთან. მოწოდებულია ექსპედიციები, მივლინებები როგორც საქართველოს ფარგლებში, ისე მოსკოვში, ლენინგრადში, ვლადიმერში, სუხბალში, ეოლოგრადაში, ტალნში, ვილნიუსში.

როგორც წინა წლებში, ინსტიტუტში სრულდებოდა გეგმის გარეშე სამუშაოები, დაკავში-

რებული ხელოვნების საკითხებთან. იწერებოდა რეცენზიები, წარმოებდა რედაქტირება სხვა დაწესებულებათაგან წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომებისა, მზადდებოდა ახალი წერილები, ნარკვევები, ბუკლეტები, ტრადუბოდა მეცადინეობა სტაჟირებთან და ახალგაზრდა მეცნიერ თანამშრომლებთან.

ჩატარდა მუშაობა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სიტყვიარის შედგენაზე (ხელოვნების ხაზით), ამ გამოცემისათვის დაწერილია სტატიები. აგრეთვე ჩატარდა მუშაობა ინსტიტუტის შრომების გამოსაცემად მომზადებაზე.

1969 წელს ინსტიტუტში გამოიცა შემდეგი წიგნები:

გ. ნ. ჩუბინაშვილი, წრომი. VII საუკუნის პირველი მესამედის ქართული არქიტექტურის ისტორიიდან (რუსულ ენაზე).

ვახტანგ ბერიძე, რუსულან მეფისაშვილი, ლევან რჩეულიშვილი, რენე შმერლინგი, მეტეხის ტაძარი თბილისში. (ქართულ ენაზე, რუსული და ფრანგული რეზუმეებით).

ნიკო ჩუბინაშვილი. სამშვილდე (რუსულ ენაზე).

იბეჭდება კ. მაჩაბლის წიგნი ანტიკური ქედური ხელოვნების შესახებ. დასაბეჭდად გადაცემულია აგრეთვე სხვა წიგნები.

დასახელებული წიგნების გარდა კრებულებსა და ჟურნალებში გამოქვეყნდა ინსტიტუტის მუშაობა მრავალი წერილი და ნაშრომი:

გიორგი ჩუბინაშვილი. პასუხი რეცენზენტებს. „მაცნე“, № 4 (რუსულ ენაზე).

თ. ბარნაველი. უსანეთისა და წრომის სტელების საკითხისათვის. „მაცნე“, № 1.

რ. შმერლინგი, აიკიკისა და ბზის ნასოფლარების არქიტექტურული ძეგლები. „მაცნე“, № 2 (რუს. ენაზე).

კ. მაჩაბელი. გვიანანტიკური საქართველოს მხატვრული ფერცხლის დამუშავების რამდენიმე საკითხი. „მაცნე“, № 4 (რუსულ ენაზე).

ლ. ხუსკივაძე. წმ. გიორგის 1651 წლის ხატი ილორიდან. „მაცნე“, № 3.

ლ. ხუსკივაძე. ქედური ხელოვნების მნიშვნელოვანი კერა გვიანფეოდალურ საქართველოში. „საბჭოთა ხელოვნება“, № 1.

კ. მაჩაბელი. ევროპული მცირე ხელოვნების ერთი ძეგლი სვანეთში. „საბჭოთა ხელოვნება“, № 4.

რ. მეფისაშვილი. X—XI საუკუნეთა მიჯნის რელიეფები მშენებლობის სტენებით სოფ. ქორლოსთან ახლო მდებარე ტაძარზე. „სოვეტსკაია არხიტექტურა“, № 4.

მ. კარბელაშვილი. ს. ქობულაძის ილუსტრაციები ქართულ ზღაპრებისათვის. „მნათობი“, № 3.

ი. ლორთქიფანიძე. ნაზახტევის ძეგლის დათარიღებისათვის. „ენისკარი“, 1969, № 1 და სხვ.

ინსტიტუტი აქტიურად მონაწილეობდა მსკელონაში ხელოვნების საკითხების შესახებ:

ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერ თანამშრომლებმა მიიღეს მონაწილეობა ვ. ი. ლუნინის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციაში — ქართული ხელოვნების ისტორიის სექცია.

პროფ. ვ. ბერიძემ და ახალგაზრდა მეცნიერ თანამშრომელმა გ. ხოშტარია მიიღეს მონაწილეობა საქ. ალკკ ცკ-ს მიერ მოწყობილ ახალგაზრდა მეცნიერთა და შემოქმედთა სიმპოზიუმში, რომელიც შედგა ბაკურიანში.

მეცნ. კანდ. რ. ყენიამ წაიკითხა მოხსენება „ქართული ოქრომედილიზა“, ტალინში, კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა ლითონის მხატვრულ და მუშავეების საკითხებს.

მეცნ. კანდ. ვ. ცინცაძემ და მეცნ. კანდ. მ. დვალმა მიიღეს მონაწილეობა კულტურის ძეგლთა დაცვისადმი მიძღვნილ საქავშირო თათბირში.

მეცნ. კანდ. ვ. დოლიძემ მიიღო მონაწილეობა არქიტექტურთა კავშირის საკოორდინაციო თათბირზე ვოლოგრადაში.

მეცნ. კანდ. ნ. ჯანბერიძემ მიიღო მონაწილეობა საქართველოს არქიტექტურთა რესპუბლიკურ თათბირში.

მანვე მიიღო მონაწილეობა ესტონეთისა და ლიტვის არქიტექტურთა ყრილობების მუშაობაში.

პროფ. ვ. ბერიძემ, მეცნიერებათა კანდიდატებმა ლ. რჩეულიშვილმა, თ. ვირსალაძემ, ვ. ცინცაძემ მიიღეს მონაწილეობა ხელოვნების მცოდნეთა საერთაშორისო კონგრესზე ქ. ბუდაპეშტში.

მეცნ. კანდ. ვ. დოლიძემ მიიღო მონაწილეობა სამხედრო-საშეფო მუშაობისადმი მიძღვნილ საქავშირო თათბირში საქართველოს არქიტექტურთა კავშირის ხაზით (ქ. მოსკოვი).

მეცნ. კანდ. გ. ალბეგაშვილმა წაიკითხა მოხსენება „ქართული მინიატურული ფერწერის შესწავლა“ არქეოგრაფიისა და ძველ ხელნაწერთა შესწავლა საკითხებისადმი მიძღვნილი საქავშირო კონფერენციაზე ქ. თბილისში.

მეცნ. კანდიდატებმა კ. მაჩაბელმა და ი. ხუსკივაძემ მიიღეს მონაწილეობა ირანის ხელოვნებისა და არქეოლოგიისათვის მიძღვნილ კონფერენციაში (მოსკოვი).

პროფ. ვ. ბერიძემ მიიღო მონაწილეობა კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების კასპის სარაიონო კონფერენციაზე.

მეცნ. აკად. ე. პრივალოვამ წაიკითხა მოხსენება „ფაენისის საქტიტორო პორტრეტის შესწავლის გამო“ სამამულო საქურვის ისტორიისადმი მიძღვნილ მეორე საკავშირო სამეცნიერო კონფერენციაზე, თბილისში.

წყაიხებული იყო ლექციები:

პროფ. ვ. ბერიძემ გდრ-ში მოწყობილ ქართული ხელოვნების დეკადის დროს წაიკითხა 3 ლექცია: 2 — ქართული ხუროთმოძღვრების შესახებ დრეზდენის „ალბერტინუმიში“, დრეზდენის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში და კულტურის ძეგლთა დაცვის ინსტიტუტში. მანვე და თ. სანიკიძემ წაიკითხეს ლექციები კულტურის ძეგლთა საკითხებზე და ქართულ არქიტექტურაზე საზოგადოება „კოდინის“ ხაზით და სხვ.

ინსტიტუტის თანამშრომლები სისტემატურად გამოდიოდნენ ტელევიზიითა და რადიოთი ლექციებით ქართული ხელოვნების ძეგლების შესახებ და ხელოვნების სხვა საკითხებზე.

ინსტიტუტის თანამშრომლები, გასული წლების მაგალითის მიხედვით, იღებდნენ მონაწილეობას მუშაობაში, რომელიც დაკავშირებულია გამოფენებთან.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებული იყო სამეცნიერო საბჭოს 6 სხდომა. მეცნიერ თანამშრომელთა და ასპირანტთა სხდომებზე ტარდებოდა სამეცნიერო-საგამომკვლევო მუშაობის მსვლელობის შემოწმება. სულ წლის განმავლობაში შედგა 27 სხდომა და წაიკითხული იყო სადისერტაციო ნაშრომები, სხვა მოხსენებები და ინფორმაციები.

ინსტიტუტის სტრუქტურაში 1969 წლის განმავლობაში ცვლილებები არ იყო.

ინსტიტუტში 32 მეცნიერი თანამშრომელია, მათგან ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი — 3 და ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი — 22.

1969 წელს ერთმა მეცნიერმა თანამშრომელმა დაიცვა დისერტაცია არქიტექტურის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად და ერთმა მეცნიერმა თანამშრომელმა — ხელოვნების მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

ინსტიტუტის ასპირანტურაში 5 ასპირანტია. ერთი ასპირანტი გამოგზავნილია უნგრეთის სახალხო რესპუბლიკიდან ინსტიტუტის ასპირანტურაში.

ინსტიტუტის თანამშრომლების კოლექტივი დიდ სამუშაოს ატარებს კულტურის ძეგლთა დაცვის ხაზით. აკად. გ. ჩუბინაშვილი, ვ. ცინცაძე არიან კულტურის ძეგლთა დაცვის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის წევრები. პრეზიდიუმის თავმჯდომარე — პროფ. ვ. ბერიძე.

პროფ. ვ. ბერიძემ კულტურის ძეგლთა დაცვის რესპუბლიკურ ყრილობაზე წაიკითხა ძირითადი მოხსენება ძეგლთა დაცვის შესახებ.

მეცნიერი თანამშრომლები სისტემატურად იღებენ მონაწილეობას კულტურის ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის საქმეში. მეცნ. კანდ. თ. სანიკიძე მუშაობს საქართველოს მეცნ. აკადემიის კულტურის ძეგლთა დაცვის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს სწავლულ მდივნად. ვ. ცინცაძე, მ. დვალი და თ. ვირსალაძე მონაწილეობდნენ სხვადასხვა კომისიებში საქ. მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს ხაზით და კულტურის სამინისტროსთან არსებულ სახვითი ხელოვნებისა და ძეგლთა დაცვის სამეცნიერო საბჭოს ხაზით.

ინსტიტუტი მჭიდრო კონტაქტშია არქიტექტორებისა და მხატვრების შემოქმედებითს კავშირებთან.

ინსტიტუტს აქვს სპეციალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა ხელოვნების ისტორიის დარგში, ინსტიტუტის გამოცემები ეგზავნება შესატყვისი პროფილის დაწესებულებებს და საზღვარგარეთის სპეციალისტებს.

ინსტიტუტი არის „სსრკ-იტალიის“ და „სსრკ-რუმინეთის“ მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის ქართული განყოფილების კოლექტიური წევრი.

ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი პროფ. ვ. ბერიძე არის „სსრკ-რუმინეთის“ ქართული განყოფილების თავმჯდომარე, ძეგლებისა და ღირსშესანიშნავ ადგილთა დაცვის საერთაშორისო საბჭოთა კომიტეტის ნამდვილი წევრი, საზოგადოება „სსრკ-საფრანგეთის“ საქართველოს განყოფილების გამგეობის წევრი.

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ნ. ჯანბერიძე არის უცხოეთთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების არქიტექტურის სექციის ვიცე-პრეზიდენტი. იგივე არის საზოგადოება „ბულგარეთ-საქართველოს სსრ“ გაგვილის წევრი.

იგივე დანიშნულია ხელოვნების სახალხო უნივერსიტეტის რექტორად. უნივერსიტეტი ჩამოყალიბდა „ინსტიტუტისთან“, გამოვლითა კვალიფიკაციისა და ხელოვნების ძეგლთა უკეთ პროპაგანდის მიზნით.

ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები ატარებდნენ საუბარს საქართველოს სსრ კულტურის ძეგლების შესახებ არქიტექტორებთან, ხელოვნებისმცოდნეებთან და სხვ., რომლებიც ჩამოდიოდნენ საკავშირო რესპუბლიკებიდან და საზღვარგარეთიდან.

## შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი

ინსტიტუტმა 1969 წელს ნაყოფიერი და მრავალმხრივი მუშაობა ჩაატარა. შესრულდა გეგმით დასახული ყველა თემა და ღონისძიება.

1969 წელს ინსტიტუტის მუშაობაში ძირითადი ყურადღება ექცეოდა იმ მეცნიერული და ორგანიზაციული ღონისძიებების შესრულებას, რომლებიც გამიზნულია დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის. დასრულდა მუშაობა თემაზე — ლენინი და ლიტერატურის საკითხები. ამ თემის მიხედვით დაიწერა შვიდი ნაშრომი, რომლებშიც განხილულია ლენინის მეცნიერობის მნიშვნელობა ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხების სწორი იდეოლოგიური პოზიციებიდან გადაწყვეტილებისათვის, საბჭოთა ლიტერატურის მეთოდისა და მისი ისტორიული განვითარების გარკვევისათვის. გარდა ამისა, სპეციალური შრომები მიეძღვნა ლენინის სახის ანალიზს ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში.

1969 წელს დამთავრდა აგრეთვე მუშაობა თემაზე — ლენინის სახე ქართულ ფოლკლორში ამ შრომების საფუძველზე შეიქმნა და გამოცემულია „მეცნიერებას“ გადაეცა ორი კრებული: „ლენინი და ლიტერატურის საკითხები“ და „ლენინის სახე ქართულ ფოლკლორში“. პირველი კრებული გამოიცემა იუბილესათვის. გარდა ამისა, გამოცემულია გადაეცა პრფ. შ. დუღუჩავას „ლენინი და ესთეტიკის საკითხები“. გამზადებულია დასაბეჭდად ფილოლ. მეცნ. დოქტორის შ. გოზალიშვილის „ქართული მხატვრული ლენინიანა“.

შარშან ინსტიტუტმა და მისმა თანამშრომლებმა გამოსცეს 20 წიგნი (მონოგრაფიული გამოკვლევები, კრებულები, მეცნიერულად დადგენილი ტექსტები), დაბეჭდეს 80-ზე მეტი სამეცნიერო წერილი, წარმოება-დაწესებულებებში წაიკითხეს 200-ზე მეტი ლექცია და მოხსენება.

1969 წელს გამოიცა: ქართული ლიტერატურის ისტორიის ექვსტომეულის მესამე ტომი. წიგნივ გამოცემულია მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ლიტერატურის განვითარების პროცესი და მონოგრაფიული ნარკვევების სახით წარმოდგენილია გამოჩენილი მწერლების შემოქმედება, მე-19 საუკუნის I ნახევრის ქართული ლიტერატურა;

ქართული საბჭოთა ლიტერატურის საკითხები (ავტორთა კოლექტივი);

ლიტერატურული ურთიერთობანი, წიგნი II (ავტორთა კოლექტივი);

ქართული ფოლკლორი, წიგნი III (ავტორთა კოლექტივი);

გ. ციციშვილი, ქართული საზოგადოებრიობა და მაქსიმ გორკი, მონოგრაფია, ნაწილი I; ახალი ქართული ლიტერატურის საკითხები, წიგნი I.

კალაქ წიგნბად და ბროშურბად დაიბეჭდა აგრეთვე ინსტიტუტის თემატიკით შესრულებული შემდეგი შრომები:

მ. დუღუჩავა, მხატვრული სტილის არსის გარკვევისათვის (რუსულ ენაზე);

პ. შარია, თანამედროვე ბურჟუაზიული ესთეტიკის ძირითად მიმართულებათა კრიტიკა;

გ. მარგველიანი, გიორგი ლერონძე;

ფ. ბერიძე, პოეზია უპირველეს ყოვლისა;

გ. კანკავა, ისტორიული რომანი და მისი ქართული ტრადიციები;

გ. დუღუჩავა, კომედიის ჟანრობრივი თავისებურების პრობლემა;

ბ. არველაძე, ნარკვევების მე-20 საუკუნის ქართულ-სომხური ურთიერთობის ისტორიიდან;

გ. აკიაშვილი, გორკი და საქართველო;

დ. იოვანავილი, ლიტერატურული ნარკვევები;

გ. ზუტუაშვილი, ილია ჭავჭავაძის სტილის ზოგიერთი საკითხი.

საინგარტუშო წელს სამეცნიერო გეგმის გარეშე ინსტიტუტმა გამოსცა შემდეგი წიგნები:

კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია;

მ. დუღუჩავა, ხელოვნების თავისებურების პრობლემა;

გ. ასათიანი, მერანი და მისი ავტორი;

ბ. არველაძე, ოვანეს თუმანიანი და საქართველო;

გ. თევზაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე;

გ. მიქაძე, მ. ბარათაშვილის თხზულებათა მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტი.

ინსტიტუტმა გამოსცა შ. ჭავჭავაძის თხზულებათა ხუთტომეულის I ტომი.

1969 წელს წარმოებას გადაეცა მთელი რიგი ნაშრომები: „ქართული ლიტერატურის ისტორია“, V ტომი, ქართული ხალხური პოეზიის რვატომეულის პირველი ორი ტომი, ლიტერატურის თეორიისა და ესთეტიკის საკითხები (წიგნი V), მ. ჭავჭავაძის თხზულებათა რვატომეული, ტექსტოლოგიის საკითხები (წიგნი II), ახალი ქართული ლიტერატურის საკითხები (წიგნი II), ქართული საბჭოთა მწერლობის საკითხები (წიგნი II).

ინსტიტუტმა 1969 წელს ჩაატარა რამდენიმე სამეცნიერო სესია: ინსტიტუტის მორიგი 29-ე სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა აკად. კ. კეკელიძის დაბადების 90 წლისთავს; ფოლკლორისათა საკოორდინაციო საბჭოს რესპუბლიკური IX სამეცნიერო კონფერენცია, ლიტერატურათმცოდნეობის საკოორდინაციო საბ-



ქოს რესპუბლიკური IV სამეცნიერო სესია. თეორიული კონფერენცია მხატვრული სტილის საკითხებზე.

ინსტიტუტსა და მის თანამშრომლებს ფართო და საქმიანი ურთიერთობა აქვთ მოძმე რესპუბლიკების თუ საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეებთან. ლიტერატურული ურთიერთობის მე-2 ტომში დაიბეჭდა უნგრელი მეცნიერის დ. რადოს „უნგრული კრიტიკული ლიტერატურა შოთა რუსთაველის პოემისა და უნგრული თარგმანების ილუსტრაციებისა და გამოცემების შესახებ“, ინდოელი მეცნიერის ს. ჩატარჯის — „შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანი“, უკრაინელი მეცნიერის ი. ლუცენკოს შრომა — „საქართველო და უკრაინული კულტურის მოღვაწენი“, ადიღეელი მეცნიერის ლ. ზანეშის — „ომისშემდგომი წლების ადიღეური ლიტერატურა“, მოსკოველი მეცნიერის, ფილოლ. მეცნ. დოქტორის ი. ნუბუპოკოვას გამოკვლევა — „ნიკოლოზ ბარათაშვილი და ევროპული პოეზია“.

აკად. ალ. ბარამიძემ უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტში წაიკითხა მოხსენება — „ეგრეთწოდებული ქართული რენესანსის საკითხისათვის“.

პროფ. მ. ჩიქოვანმა და პროფ. ქს. სიხარულძემ მონაწილეობა მიიღეს ფოლკლორისტთა V საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში, რომელიც ბუქარესტში (რუმინეთი) გაიმართა. კონგრესმა ქს. სიხარულძემ და მ. ჩიქოვანი აირჩია ფოლკლორისტთა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების ნამდვილ წევრებად.

პროფ. ქს. სიხარულძემ და უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა თ. ოქრონიძემ მონა-

წილეობა მიიღეს ფოლკლორისტთა საკავშირო კონფერენციის მუშაობაში (ლენინგრადში).

ფილოლ. მეცნ. დოქტორი ელ. ვირსალაძემ მონაწილეობა საკავშირო კონფერენციის მუშაობაში, რომელიც ლენინგრადში ჩატარდა და მიეძღვნა საკითხს — „ლენინი ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ“.

უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა ჯ. ბარაძემ მიიღო კიევის საკავშირო ინსტიტუტში წაიკითხა მოხსენება „მუსიკალური ელემენტების როლი ხალხური ლექსის ჩამოყალიბებაში“.

ლიტერატურულ ურთიერთობათა განყოფილების ხელმძღვანელმა გ. ციციშვილმა მონაწილეობა მიიღო მოსკოვში გამართულ ო. თუშინაინის საიუბილეო საღამოზე.

გ. ციციშვილმა და ბ. არველაძემ მონაწილეობა მიიღეს ოფანეს თუშინაინის იუბილეულში მიძღვნილ სამეცნიერო სესიის მუშაობაში ქ. ერევანში.

საგონწობლად ამაღლდა ინსტიტუტის თანამშრომელია მეცნიერული კვლევითაცა. სადოქტორო დისერტაცია დაიცვა გ. ციციშვილმა („მაქსიმ გორკი და საქართველო“). საკანდიდატო დისერტაციები დაიცვეს ლ. დათიაშვილმა, გ. შეთქაურმა, გ. ქეღელიძემ, ლ. ანდლულაძემ, შ. შიქაშვილმა, ი. ჩხეიძემ.

ინსტიტუტი საქმიან დახმარებას უწევს აჭარის, სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთის და ჩრდილო კავკასიის ავტონომიურ რესპუბლიკებს სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში.

1969 წელს ინსტიტუტში დაიცვეს საკანდიდატო დისერტაციები ე. შიზინსკაი (ადიღეს ავტონომიური რესპუბლიკიდან), ი. შიზინსკაი (სამხრეთ ოსეთიდან).

### აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ინსტიტუტი საბჭოთა ორიენტალისტიკის ერთ-ერთი ძირითადი ცენტრია. ქართველ აღმოსავლეთმცოდნეთა გამოკვლევები ყოველთვის იმსახურებენ მსოფლიოს წამყვანი სპეციალისტების მაღალ შეფასებას.

ჩვენი აღმოსავლეთმცოდნეობის დიდი გამარჯვება და აღიარებაა ინსტიტუტის თანამშრომლების — პროფესორ სიმონ ყაუხჩიშვილისა და პროფესორ სერგი ციქიას არჩევა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრებად.

ინსტიტუტის მუშაობა ძირითადად მიმდინარეობს 2 მიმართულებით ა) მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის, ლიტერატურისა და ენების აქტუალური პრობლემების შესწავლა; ბ) ამიერკავკასიაში, პირველ რიგში კი საქართველოსთან, აღმოსავლეთის ხალხების კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის საკითხების კვლევა-ძიება.

ამ მიმართულებათა შესაბამისად წარმართვდა თავის მუშაობას 1969 წელს აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის კოლექტივი.

დიდი მუშაობა იქნა გაწეული ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობის, ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის გენეზისისა და განვითარების საკანძო პრობლემათიკის შესწავლისათვის.

დამუშავებულ იქნა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა ავტარული ურთიერთობანი თურქეთსა და ირანში, სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ვითარება ერაყში. ეს საკითხები სათანადოდ გაშუქებულია ო. მონთე-შაშვილის მიერ გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში „Ирак в годы английского мандата“ და გამოსაცემად მომზადებულ რიგ შრომებში



(გ. ჭიპაშვილი, ლ. შენგელია, ო. გვილია, ხ. შარაშენიძე).

მეცნიერ-მუშაკთა ჩვეუთი პროფ. ვ. გაბაშვილის ხელმძღვანელობით წარმატებით მუშაობდა ახლო აღმოსავლეთის და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის საქალაქო წყობილების შესწავლაზე. შესრულდა მნიშვნელოვანი გამოკვლევები: საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII საუკუნეებში (1578—1639 წლები) ისტ. მეცნ. შ. სვანიძე), საქალაქის რაიონები XI—XII ირანში (გ. ბერაძე).

გრძელდებოდა ახლო და შუა აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურის განვითარების კანონზომიერებათა შესწავლა. დამთავრდა მუშაობა თემაზე „ქართულ-აზერბაიჯანული ანტიკური პოეზია“ (ფილ. მეცნ. კანდიდატი გ. შუყულაშვილი). ფილოლოგ. მეცნ. დოქტორმა მ. თოდუამ და უფრ. მეცნ. თანამშრომელმა ა. გვახარიამ გამოსაცემად მოამზადეს გორგანის პოემის „ვის ო რამისის“ ტექსტი და გამოკვლევა. პირველად სპარსული ლიტერატურის ისტორიაში დადგინდა ამ პოემის სპარსული რედანის კრიტიკული ტექსტი. აქამდე არსებული გამოკვლევებისაგან განსხვავებით, ავტორებმა გაითვალისწინეს პოემის სხვადასხვა ვარიანტი და პირველად გამოიყენეს მისი ყველა ხელნაწერი, რომელიც დაცულია საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის (ირანი, ინგლისი, თურქეთი) წიგნალბუფებში.

ასანინიანავია, რომ ამ შრომით დაინტერესდნენ ირანის კულტურული ორგანიზაციები. ირანის კულტურული ფონდისა და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე ნაშრომი იბეჭდება ირანში.

გრძელდებოდა მუშაობა ბაბილონური ფილოლოგიური ლიტერატურის ისტორიის საკითხებზე. კერძოდ, დამუშავდა მესოპოტამიური კონცეფციები ადამიანის დანიშნულებაზე (ფილ. მეცნ. კანდიდატი ხ. კიკნაძე).

შუა საუკუნეების ქართულმა ძეგლმა „ბალავარიანმა“ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. სწორედ ამ ძეგლი მიუძღვნა, თავისი გამოკვლევა აკადემიკოსმა სიმონ ყუბხიშვილმა. ნაშრომში მოცემულია ძეგლის ბიზანტიური ტექსტის ანალიზი, დადგინდა მისი ენობრივი თავისებურებანი, ლიტერატურული მნიშვნელობა და ურთიერთკავშირი ქართულ ორიგინალთან.

ახლო აღმოსავლეთის ენათა სტრუქტურა ქართველ აღმოსავლეთმცოდნეობის კვლევის ტრადიციული ობიექტია. ამ მხრივ ინსტიტუტში დიდი მუშაობა გაწეული.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა თ. გამარტლიძემ მოამზადა გამოკვლევა „ინდოევროპული პერფექტი ხეთურში“. ნაშრომში განხილულია ინდოევროპული პერფექტის პარადიგმა. ისმის საკითხი ინდოევროპული პერფექტის პირველადი ბუნების შესახებ.

ფილოლოგიის მეცნ. დოქტორის გ. გვახარიას შრომაში „ზმნა ურარტულში“, გამოკვლეულია ურარტული ზმნის სტრუქტურა. განხილულია ამ საკითხის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული სხვადასხვა თეორიები. შესწავლილია ზმნის კონსტრუქცია, გარდამავლობა-გარდაუვალობის საკითხი და სხვა.

საშუალო სპარსული ტექსტი „ჰარნამაჟ-ი არდაშირი-ი პაპაკან“ შეიცავს ცნობებს ირანის ცნობილი მეფის არდაშირ პაპაკანის ეპოქის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური ისტორიის შესახებ. ვარდა ამისა, ტექსტს აქვს წმინდა ფილოლოგიური მნიშვნელობაც. სწორედ ამ თვალსაზრისით იქნა შესწავლილი აღნიშნული ტექსტი (ფილ. მეცნ. კანდიდატი თეო ჩხეიძე).

გრძელდებოდა მუშაობა თემაზე — სპარსული ენის ფონეტიკა და ფონოლოგია (პროფ. ჩ. გიუნაშვილი), აკად. ს. ჭიქია განავრობდა შესხეთის ქართული მოსახლეობის თურქული მეტყველების ფონეტიკურ და მორფოლოგიურ თავისებურებათა შესწავლას. კერძოდ, მის მიერ შესწავლილ იქნა აღნიშნული დიალექტის ფონეტიკური თავისებურებანი.

წარმატებით გრძელდებოდა ორენოვანი ლექსიკონების შედგენა. გამოსაცემად მომზადდა ქართულ-თურქული ლექსიკონი (45000 სალექსიკონო ერთეული. ხელმძღვანელო აკად. ს. ჭიქია). წარმატებით მიმდინარეობდა მუშაობა თურქულ-ქართულ (ხელმძღვანელო აკად. ს. ჭიქია), არაბულ-ქართულ (ხელმძღვანელო აკად. გ. წერეთელი), სპარსულ-ქართულ (ხელმძღვანელო მ. თოდუა) და ბერძნულ-ქართულ (ხელმძღვანელო აკად. ს. ყუბხიშვილი) ლექსიკონების შედგენაზე.

ამავე პერიოდში სასარგებლო მუშაობას ეწეოდნენ ინსტიტუტის ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორია (ხელმძღვანელო გ. ხშიადაშვილი) და ფორტოგრაფიკული ლაბორატორია (ხელმძღვანელო ა. ბიულუქციანი). დიდი მუშაობა ჩატარდა ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში (გამდგ. თ. ფრადიანი) ფონდების შეკვებისა და მოწესრიგების მხრივ.

გასულ წელს ინსტიტუტის თანამშრომლებმა გამოსცეს შედგენილი მონოგრაფიები:



ა. მენტეშავილი, **Ирак в годы английско-го мандата;**

თო ჩხეიძე, **Именное словообразование в персидском языке;**

ზ. შარაშენიძე, ახალი მასალები ფერეიდნელი ქართველების შესახებ.

სანჭოთა კავშირისა და უცხოეთის პერიოდულ გამოცემებში დაისტამბა ინსტიტუტის თანამშრომელთა 40-ზე მეტი გამოცემა.

1969 წელს ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ დაიკულ იქნა ორი სადოქტორო (ო. ცქიტიძეური და მ. სევანიძე), ერთი საკანდიდატო (მ. მოღვბაძე) დისერტაცია.

ინსტიტუტის თანამშრომლებმა მიიღეს მონაწილეობა საკავშირო და საერთაშორისო კონფერენციებში და სიმპოზიუმებში, პროფ. თ. გამყრელიძე მიწვეული იყო პოლანდიაში. მან წაიკითხა ლექციები ლეიფენის, გრონინგენის და ამსტერდამის უნივერსიტეტებში.

სამეცნიერო მუშაობასთან ერთად ინსტიტუტის თანამშრომლები ეწეოდნენ დიდ მუშაობას აღმოსავლეთის ქვეყნებში.

1969 წელს აღმოსავლეთში პრაქტიკულ სამუშაოზე იყვნენ შ. კურდულელაშვილი, მ. თოდუა, გ. ჯავახიძე, ა. გვახარია, ლ. რუხაძე.

1969 წელს ინსტიტუტი ინტენსიურად ემზადებოდა დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავის შესახებ. სპეციალურად ამ თარიღს მიეძღვნა სამეცნიერო სესია, რომელიც გაიმართა 1970 წლის თებერვალში.

ახლო და შუა აღმოსავლეთის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსმა მეცნიერ თანამშრომლებმა ზ. შარაშენიძემ და გ. ჭიბაშვილმა მოამზადეს სპეციალური კრებული „**გ. ო. ლენინი და აღმოსავლეთი**“. პირველად, ქართულ ენაზე, ცალკე კრებულის სახით გამოდის გ. ო. ლენინის შრომები აღმოსავლეთის ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესახებ.

### ენათმეცნიერების ინსტიტუტი

1969 წელს ინსტიტუტი მუშაობდა ხუთ პრობლემაზე:

1. ენათმეცნიერების თეორიის და მეთოდოლოგიის ზოგადი საკითხები,
2. ერის მეტყველების კულტურის ამაღლება,
3. ენის სტრუქტურის შესწავლა: იბეროულ-კავკასიური ენები,
4. მეტყველების შესწავლის მეთოდები,
5. ლექსიკოლოგია და ლექსიკოგრაფია.

აღნიშნული პრობლემები ინსტიტუტის 1969 წლის სამუშაო გეგმაში წარმოდგენილი იყო 21 თემით. სამუშაო გეგმის მიხედვით 1969 წელს მთლიანად უნდა დასრულებულიყო 2 თემა:

- ა) სინტაქსური ვალენტურობის ცნება და ტრანსფორმაციული წარმომქმნელი გრამატიკა,
- ბ) ქართული სალიტერატურო ენის ხმოვანთა ძირითადი ფორმანტების სიხშირითი საზღვრების გამოკვლევა სინთეზის საშუალებით.

ორივე თემა მთლიანად დამთავრებულია. დანარჩენი თემები გარდამავალია და მათი საბოლოო დამთავრება უახლოესი წლებისათვის ივარაუდება.

1969 წელს გეგმით გათვალისწინებულ შესრულებულ სამუშაოთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

ა) პრობლემის „ენათმეცნიერების თეორიისა და მეთოდოლოგიის ზოგადი საკითხები“ მიხედვით (შემსრ. ზოგადი ენათმეცნ. განყოფილება გამგე — პროფ. თ. შარაშენიძე) დაიწერა შემდეგი ნაშრომები:

1. „დეკრიფციული ლინგვისტიკის სტრუქტურა და დეკრიფციული ლინგვისტიკის მიმართება სხვა ენათმეცნიერულ დისციპლინებთან“.

2. „მნიშვნელობის საკითხი ლონდონის სტრუქტურალისტურ სკოლაში“.

3. „ფონოლოგიური სინტაგმატიკისა და პარადიგმატიკის ურთიერთმიმართების საკითხი“.

4. „სინონიმის ადგილი ენის ლექსიკურ-სემანტიკურ სისტემაში (სოციალურ და ტერიტორიალურ დიალექტებთან დაკავშირებული ლექსიკური ფენების თვალსაზრისით)“.

5. „ინგლისური ლინგვისტიკური ფილოსოფია. ენის ანალიზის ოქსფორდის ფილოსოფიური სკოლა“.

6. „სტილოსტატიკის მეთოდების გამოყენება ქართული ენის მასალაზე“ (ვაია-ფშაველასა და სულხან-საბა ორბელიანის ნაწარმოებთა ანალიზი).

7. „ბრტმის სტატისტიკური შესწავლა, ფონემათა სიხშირისა და სიტყვათმწარმოებელი ელემენტების განაწილების სიხშირე პოეტური და პროზაული სტილის შედარების თვალსაზრისით“.

8. „ქართული ენის ზმნის ვალენტობის საკითხი და მისი მნიშვნელობა ქართული ენის ტრანსფორმაციული წარმომქმნელი გრამატიკის აგებისათვის“.

9. „მარკირებულობა-არამარკირებულობის პრინციპი და მისი მნიშვნელობა ლინგვისტიკური უნივერსალების პრობლემის შესწავლისას“.

პრობლემის „ერის მეტყველების კულტურის ამაღლება“ (შემსრ. მეტყველების კულტურის

განყოფილება, გამგე — უფრ. მეცნ. თანამშრ. ივ. გიგინეიშვილი) მიხედვით განყოფილება მუშაობდა თემაზე: თანამედროვე ქართული ენის პრაქტიკული სტილი სტიკა (ლექსიკონითურთ)“.

გარდა ამისა, განყოფილებამ შესწავლა და დაამუშავა შემდეგი საკითხები  
ა) „სახელობით-მიცემით პრუნეთა მონაცვლობა გარემოებათა გამოხატვისას თანამედროვე სალიტერატურო ქართულში“.

ბ) „მე — ე პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები სახელები თანამედროვე ქართულში“.

გ) „სიადურობის სახელთა წარმოება — ეთ და — ის სუფიქსებიან ფუძეთგან თანამედროვე სალიტერატურო ქართულში“.

დ) „ზმნისწინთა სრულ და გამარტივებულ სახეობათა ხმარება როგორც სემანტიკური გარჩევის დამამყარებელი საშუალება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში“.

ე) „რთული ზმნების მართლწერის საკითხი თანამედროვე სალიტერატურო ქართულში“.

ვ) „რუსულ სახელ-მამრახელობით მიმართვის ფორმათა გადმოცემა ქართულში (მხატვრული ნაწარმოების თარგმანებში)“.

ზ) „სახლერული სახელის რიცხვი ორ და მეტ მსახლერულთან (დიდი და პატარა სახლი თუ სასლები?)“.

თ) „ი. წ. შვიოკლებული ზმნები თანამედროვე ქართულში“.

ი) „მყავს“ და „მჰაქვს“ ზმნათა სემანტიკურ ფუნქციათა გარჩევისათვის თანამედროვე სალიტერატურო ქართულში“.

კ) „ება და — ობა სუფიქსიან წარმოებათა გამოცენისათვის თანამედროვე სალიტერატურო ქართულში“.

ლ) „დარღვევები სხვადასხვა სიტყვათა და გამოთქმათა გამოყენებისას თანამედროვე სალიტერატურო ქართულში“.

ამავე პრობლემის კიდევ ერთი თემა „ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის უნიფიკაცია“ მუშავდებოდა ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებაში (გამგე — უფრ. მეცნ. თანამშრ. რ. დამბაშიძე).

1969 წელს განყოფილებამ შესრულა გეგმით გათვალისწინებული სამუშაო: გამოიცა „ქიმიის ტერმინოლოგიის მასალები“, დამუშავდა და რედაქცია გაუკეთდა „სამშენებლო ტერმინოლოგიას“.

პრობლემის — „ენის სტრუქტურის შესწავლა: იბერიულ-კავკასიური ენების“ — მიხედვით 1969 წელს მუშავდებოდა სამი თემა:

1. „იბერიულ-კავკასიურ ენათა ფონეტიკის, გრამატიკული სტრუქტურებისა და ლექსიკის აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი შესწავლა“ (შემსრ. მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილება. გამგე — საქართველოს სსრ

მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფ. არნ. ჩიქობავა).

2. „თანამედროვე ქართული ენა. თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია“ (შემსრ. ქართველურ ენათა განყოფილება. გამგე — პროფ. ელ. ფანჭვიქ).

3. „თანამედროვე ქართული ენა. თანამედროვე ქართული ენის ფონეტიკა“ (შემსრ. ინსტიტუტის ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორია. გამგე — უფრ. მეცნ. თანამშრ. ზ. ჯაფარიძე).

პირველი თემის მიხედვით 1969 წელს დაიწერა კრებლისი მონოგრაფიული ნარკვევები მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ფონეტიკური სისტემისა და ფონეტიკური პროცესების საკითხებზე:

ა) აფხაზურ-ადიღურ ენათა ჯგუფში;

ბ) დაღესტნურ ენათა ზუნტურ-ადიღურ-დიღურ ქვეჯგუფში;

გ) ლაქურ-დარგულ ქვეჯგუფში;

დ) დაღესტნურ ენათა ლეზგიურ ქვეჯგუფში;

ე) ნახურ ენათა ჯგუფში.

მეორე თემის მიხედვით 1969 წელს ქართველურ ენათა განყოფილება განაგრძობდა „ქართული ენის სისტემატური კურსის“ მესამე თავის — ზმნის გრამატიკულ კატეგორიებთან დაკავშირებული საკითხების დამუშავებას. ამოწერილ იქნა სათანადო საილუსტრაციო მასალა ქართველ მწერალთა (ი. ჰაქავაძე, ა. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ი. გოგებაშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, რ. გვეტაძე, მ. ჯავახიშვილი, მიხ. მრეველიშვილი, გ. შატერაშვილი, ს. კლიაშვილი) მხატვრული ნაწარმოებებიდან ამოწერილი მასალა ნავარაუდევია შედგევი თემების დასამუშავებლად:

ა) „ვნებითი გვარი, წარმოება და ფუნქციები“;

ბ) „პირველადი ზმნების საკითხი ქართულში“;

გ) „ქცევის კატეგორია (რაობა და ქცევათა სახეობანი)“;

დ) „პრევერბები, მათი სახეობანი და ფუნქციები“;

ე) „ნაკეთელთა სისტემა (პარადიმატული ერთეულები) სხვადასხვა სახეობის ზმნათათვის“.

მესამე თემის („თანამედროვე ქართული ენის ფონეტიკა“) მიხედვით დამთავრებულია გამოკვლევის ერთი მონაკვეთი — ვოკალიზმი.

პრობლემის „ლექსიკოლოგია და ლექსიკოგრაფია“ მიხედვით გათვალისწინებული იყო 6 თემის დამუშავება. (შემსრულებულია: ლექსიკოლოგიის განყოფილება, გამგე — უფრ. მეცნ. თანამშრ. მ. კუბაშვილი) და თარგმნითი ლექსიკონების განყოფილება (გამგე — უფრ. მეცნ. თანამშრ. ალ. კობახიძე).

1969 წელს დასრულდა გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები. კერძოდ:

ა) დამთავრდა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის (ერთტომეულის) საჩუქრული შემზადება (შემზადდა 25.000 სიტყვა).

ბ) დამთავრდა „ფშური ლექსიკონის“ სიტყვათა განმარტება.

გ) დამთავრდა „ქართულ-რუსული ლექსიკონის (ერთტომეული) შედგენა.

დ) განიხილეს „ქანური ლექსიკონის“ შ-ჩ მონაკვეთი.

ამ პრობლემის ერთი თემა „სვანურ-ქართული ლექსიკონი“ (ერთტომეული) მუშავდებოდა ქართულენოვანი ენათა განყოფილებაში (შემსრ. პროფ. თ. შარაძენიძე და უფრ. მეცნ. თანამშრ. მ. ქალღანი).

1969 წელს ინსტიტუტმა გამოცხადდა: თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები. 1.

მეტყველების ანალიზის საკითხები (ინსტიტუტის ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიის შესაბამისად).

ქიშის ტერმინოლოგიის მასალები.  
ა. კიზირია — რთული წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში.

მ. ქალღანი — სვანური ენის ფონეტიკა.  
1. უძველესი სისტემა სვანურში.

1969 წელს ინსტიტუტის თანამშრომლებმა გამოაქვეყნეს შემდეგი სამეცნიერო სტატიები:  
არს. ჩიქობავა — „იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის პრობლემა“ (კრებულში „იბერიულ-კავკასიურ ენათა შედარებით-ისტორიული შესწავლის I სესიის მასალები“, მახაჩყალა, 1969 წ.).

ტ. გუდავა — „მახვილის ადგილისათვის მეგრულში“ (აქად. გ. ახვლედიანის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში).

ალ. მაჰომეტოვი — „ფარინგოლოგიის ხმოვნები დარგულში (საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. 53, № 3, 1969 წ.).“

მისივე: „არნოლდ ჩიქობავა“ (დაბადების 70 წლისთავისათვის). (კრებულში „იბერიულ-კავკასიურ ენათა შედარებით-ისტორიული შესწავლის I სესიის მასალები“, მახაჩყალა, 1969 წ.).

ვლ. ფანჩიძე, ალ. მაჰომეტოვი — „იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა და ამოცანები“ (კრებულში „იბერიულ-კავკასიურ ენათა შედარებით-ისტორიული შესწავლის I სესიის მასალები“, მახაჩყალა, 1969 წ.).

გ. თოფურია — „ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის შესახებ ლეზგიურ ენებში“ (კრებულში „იბერიულ-კავკასიურ ენათა შედარებით-ისტორიული შესწავლის I სესიის მასალები“, მახაჩყალა, 1969 წ.).

მ. ძიძიშვილი — „ნაწილაკდართულ ნაკვალსახელთა ზოგიერთი თავისებურების შესახებ“ („მაცნე“, № 3, 1969 წ.).

ა. თაყაიშვილი — „ფრაზეოლოგიური ვარიანტულობა“ („მაცნე“, № 1, 1969 წ. რუსულ ენაზე).

ალ. კინჭარული — „ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი“ („მაცნე“, № 1, 1969 წ.).

მისივე: „დ. გურამიშვილის ზოგი მკაჟის წაკითხვისა და გავებისათვის“ („მაცნე“, № 5, 1969 წ.).

რ. ლამბაძე (ი. ლეშვიციანი ვრთად) — „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი და მისი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა“ (ქურნ. „ეპოროსი იაზიკონიანი“, № 2, 1969 წ.).

1969 წლის 17—19 ივნისს ჩატარდა ინსტიტუტის XXV სამეცნიერო სესია, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა.

სესიაზე მოსმენილ იქნა 15 მოხსენება:

პროფ. ვლ. ფანჩიძე — „ენის ძირითადი ფუნქციები ვ. ი. ლენინის შემეცნების თეორიის შუქზე“.

პროფ. არს. ჩიქობავა — „ზმნის გარდამავლობის ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიისა და სისტემის თვალსაზრისით“.

პროფ. თ. შარაძენიძე — „ზოგიერთი შენიშენა სინტაქსში უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზის შესახებ“.

უფრ. მეცნ. თანამშრ. ივ. გვიგენიშვილი — „რთული წინადადების ერთი თავისებური სახეობა „ვეფხისტყაოსნის“ ენაში“.

პროფ. ტ. გუდავა — „უან დაბოლოების შესახებ ზანური ენის კუზატიკებში“.

პროფ. ილ. ცერცვაძე — „ქლასნიშინი და უკლასნიშინი ზმნები ხუნძურში“.

პროფ. ა. მაჰომეტოვი — „ინფინიტივის პიროვანი ფორმები დარგულში“.

უფრ. მეცნ. თანამშრ. ლ. ლევაია — „მსაზღვრულთა რიგი არაერთგვარი პრეზონიციური მსაზღვრელების შემცველ შესიტყვებაში თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში“.

უფრ. მეცნ. თანამშრ. ალ. კინჭარული — „ნათესაობითი ბრუნვა ლოკატივის ფუნქციით ქართულში“.

უფრ. მეცნ. თანამშრ. თ. კახაძე — „ერთი კლასნიშინის მნიშვნელობის ცვლისათვის არჩიბულში“.

უფრ. მეცნ. თანამშრ. გ. თოფურია — „ქართულ-ქარაივულური ეთნონიმის ლინგვისტური საკითხები 1. მეს-ეთნონიმის ისტორიისათვის“.

უფრ. მეცნ. თანამშრ. თ. უთურგაძე — „ილენტურ ბგერათა ფონემური კვალიფიკაციისათვის“.

უმცრ. მეცნ. თანამშრ. ი. ქობალავა — „კონსონანტური ჯგუფების დისტრიბუციული ანალიზისათვის ქართულში“.

უფრ. მეცნ. თანამშრ. ა. ონიანი — „სუბიექტურ პირთა მორფემები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში“.

უმრ. მეცნ. თანამშრ. ნ. როსტაშვილი — „ინვილოური ლექსიკის დახასიათება“.

ზარშანი, 17—19 ნომერს, ენათმეცნიერების ინსტიტუტში ჩატარდა საკავშირო თაბიბირი „დიალექტოლოგიისა და ენის ისტორიის ზოგად საკითხებზე“.

თაბიბირი მოზადებული იქნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დიალექტოლოგიისა და ენის ისტორიის სამეცნიერო საბჭოსთან ერთად.

ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლებმა თაბიბირზე წაიკითხეს მოხსენებები:

არნ. ჩიქობავა — „დიალექტოლოგია და ენის ისტორიის საკითხები“.

ვლ. ფანჯიძე — „ავსტრიის საკითხისათვის უფურ ენაში (დიალექტების მონაცემების გათვალისწინებით)“.

ტ. გუღავა — „ფონეტიკურ პროცესთა შედარდებითი ქრონოლოგიის საკითხები ზუნძურ-ანდიურ ენათა დიალექტებში“.

ა. მარტიროსოვი — „ქართული ენის დიალექტოლოგიური ატლასის შედგენის შესახებ“.

ს. უფრავაძე — „სტრუქტურული შესატყვისობებისათვის მონათესავე და არამონათესავე სისტემებში ფონოლოგიურ დონეზე“.

ა. მაპომეტოვი — „ხული სამეულებისა და ითხეულების სისტემისა და სპირანტი წყვილულებისა და სამეულების სისტემის კორელაციის შესახებ დარგული ენის დიალექტებში“.

გ. თოფურია — „ზოგი ზუნძური ფუძის ისტორიისათვის ლეზგიურ ენაში (დიალექტების მონაცემების მიხედვით)“.

გ) 1969 წლის 14—15 აპრილს ინსტიტუტში ჩატარდა ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაეთა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა. მოსმენილ იქნა 6 მოხსენება:

ი. მელიქიშვილი — ცარიელ უკრათა ვანაწილება ენათა პარადიგმატულ ფონოლოგიურ სისტემებში.

ლ. ენუქიძე — სინტაქსური ვალენტობის ცნების რაობისათვის.

ქ. ლერერი — შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდის ძირითადი სახეობისათვის.

ვ. შენგელია — თანამოვანთა თავკიდური ჭფუდები ადილურ სალიტერატურო ენაში.

იხ. ჩანტლაძე — სახელობითი პრუენის -ე ფორმანტის შესახებ სვანურში.

მ. სუბიშვილი — ქვევის კატეგორიის შესწავლის ისტორიისათვის ქართულში.

\* \* \*

ინსტიტუტის თანამშრომლები საანგარიშო პერიოდში მონაწილეობას იღებდნენ საკავშირო

და რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციებისა და სესიების მუშაობაში.

1. 1969 წლის სექტემბერში ქ. მოსკოვში ჩატარდა ქართული მეცნიერების ლენინური დღეები. მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა, პროფ. არნ. ჩიქობავამ. 18 სექტემბერს მან წაიკითხა მოხსენება: „იბერიულ-კავკასიური და ზოგადი ენათმეცნიერება საქართველოში“.

2. შარშანი, ივისში ქ. მისსში ჩატარდა საკავშირო თაბიბირი ექსპერიმენტულ-ფონეტიკური აპარატურის სტანდარტიზაციის საკითხებზე. თაბიბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ლაბორატორიის ინჟინრმა ი. სტრელნიკოვმა.

სექტემბერში, ქ. სოხუმში მოწოდული იყო ფონეტიკური სკოლა-სემინარი „ბგერითი სახეების ავტომატური გამოცნობა“, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ექსპერიმენტული ლაბორატორიის გამგემ — ზ. ჭაფარიძემ და ლაბორატორიის ინჟინრებმა ი. სტრელნიკოვმა და ლ. ბელოზეროვამ.

3. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ინსტიტუტის მონაწილეობა მესამე რეგიონალური სამეცნიერო სესიის მოზადებასა და ჩატარებაში.

სესია ჩატარდა ქ. გროზნოში, 1969 წლის 8—13 სექტემბერს. იგი მიეძღვნა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს. სესია განიხილავდა იბერიულ-კავკასიური ენათა დარგობრივი ლექსიკის პრობლემურ საკითხებს. ენათმეცნიერების ინსტიტუტიდან მოსმენილი იქნა 10 მოხსენება.

არნ. ჩიქობავა — „დარგობრივი ლექსიკა და მისი შესწავლის აქტუალურობა“.

ქ. ლომთათიძე — „თვეების სახელწოდებანი აფხაზურ ენაში“.

დ. იმნაიშვილი — „მეცხოველეობის ლექსიკის ზოგი ჭფუდი ჩანძური ენის დიალექტებში“.

ო. კახაძე — „ჩანძურ-ქართული ლექსიკური შეხვედრები“.

ალ. მაპომეტოვი — „კუბანელ ოქრომწველთა ტერმინოლოგია“.

გ. თოფურია — „იბერიულ-კავკასიურ ენათა ნომინკატურის უნიფიკაციის საკითხისათვის“.

თ. ვინაშვილი — „სამშენებლო ტერმინების შესახებ ნახურ ენებში“.

ზ. ჭაფარიძე — „შინაური ცხოველთა ასაკის აღნიშვნის სისტემა ზუნძურ ენაში“.

ალ. კინკარაული — „ქართულ-ნახური ენობრივი შეხვედრები დარგობრივი ლექსიკის მიხედვით“.

ვ. შენგელია — „ხეების სახელებისათვის ადილურ ენაში“.



1969 წელს ჩატარდა სამეცნიერო საბჭოს 27 სხდომა და განყოფილების გამგეთა თათბირი. სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომებზე სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციები დაიცვა 11 კაცმა. აქედან სადოქტოროა 3, საკანდიდატო — 8.

ინსტიტუტის თანამშრომლებიდან საინგარიზო პერიოდში დისერტაცია დაიცვა 5 კაცმა. აქედან ორი სადოქტოროა (თ. უფთრგაიძე, მ. ქალდანი), სამი კი — საკანდიდატო (ლ. ენუქიძე, ლ. სანიციძე, იზ. ჩანტლაძე).

ამათ გარდა სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციები დაიცვეს: ზ. კერაშევამ (სადოქტორო დისერტაცია: ქ. მაიკოი, სამეცნ.-კვლევ. ინსტიტუტი).

ბ. ბერსიროვმა (საკანდიდატო დისერტაცია ქ. მაიკოი, აღმდეს სამეცნ.-კვლევითი ინსტიტუტი).

ნ. გიშევა (საკანდიდატო დისერტაცია ქ. მაიკოი, აღმდეს სახელმწიფო პედინსტიტუტი).

ე. კონჯარიამ (საკანდიდატო დისერტაცია ქ. სოხუმი, აფხაზეთის დ. ვულაის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი).

ს. ამბუბამ (საკანდიდატო დისერტაცია ქ. სოხუმი მ. ჯვარის სახ. პედინსტიტუტი).

ლ. ქაჯიაიამ (ქ. თბილისი, ხელნაწერთა ინსტიტუტი).

1969 წელს ენათმეცნიერების ინსტიტუტში მუშაობდა 107 თანამშრომელი. ამთგან მეცნიერი თანამშრომელი — 81, ფილოლ. მეცნ. დოქტორი — 10, ფილოლ. მეცნ. კანდიდატი — 46 (აქედან: უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — 30, უმცროსი მეცნიერ თანამშრ. — 16). სამეცნ. ხარისხის არქიმენ უმცროსი მეცნიერი მუშაი — 25.

### პ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

პ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი.

ინსტიტუტი მუშაობს ერთ მთავარ პრობლემაზე — „არქეოგრაფია და სპეციალური საისტორიო დისციპლინები“. 1969 წლის სამეცნიერო-კვლევითი გეგმით გათვალისწინებული იყო 12 თემა, გაყოფილი 40 ქვეთემად. საინგარიზო წელს დამთავრდა 32 ქვეთემა. დანარჩენი 8 ქვეთემა გარდამავალია.

ხელნაწერთა ინსტიტუტის გეგმაში, მისი ძირითადი პრობლემების შესაბამისად, ყოველ წელს შედის ერთი თემა — ხელნაწერთა აღწერა-ილოება. ამ სამუშაოს შინაარსი განისაზღვრება როგორც ინსტიტუტში დაცულ ხელნაწერთა აუწერელი ნაწილით, ისე ახლადმეჩენილი ხელნაწერებით (ახალი ხელნაწერები კი ყოველ წელს ემატება ინსტიტუტის ფონდებს). 1969 წელსაც ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ელ. მეტრეველის ხელმძღვანელობით გრძელდებოდა A ფონდის (ყოფილი საეკლესიო მუზეუმის კოლექცია) ქართული ხელნაწერთა აღწერა-ილოება. აღიწერა 120 ხელნაწერი. სამუშაო შესარულეს უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ლ. ქუთათელაძემ, მ. ქაჯიარიამ, თ. ბრეგაძემ, ც. ჭანკეიამ და ფილოლ. მეცნ. კანდიდატმა ც. კახაბრიშვილმა.

აღწერილია აგრეთვე სინისა და იერუსალიმის კოლექციის ქართული „ძლისპირთა“ ხელნაწერები. აღწერილობის შემდგენელმა ელ. მეტრეველმა ამ მასალის მიხედვით მოახდინა ქართულ „ძლისპირთა“ ტექსტის რედაქციული კლასიფიკაცია.

გრძელდება ქართულ მოხატულ ხელნაწერთა ილუსტრირებული კატალოგის შედგენა. შემ-

სრულებელმა უფრ. მეცნ. თანამშრომელმა ელ. მაჭავარიანმა მიმდინარე წელს დაამუშავა XII ს-ის მოხატული ხელნაწერი. კატალოგს ერთვის სტილუსტრაციო მასალა: ხელნაწერის საერთო სივრცის სივხადისათვის დეკორის რამდენიმე ელემენტიდან გადაღებული ერთი ფერადი ასლი, მხატვრულ ინიციალთა ფერადი და ორნამენტის გრაფიკული ჩანახატები.

ლ. ქუთათელაძის ნაშრომში — XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული პოეზიის ხელნაწერი ანთოლოგიები — განხილულია დასახელებული პერიოდის შრავალრიცხოვანი კრებულები, რომელთგან ყველაზე ვრცელი არის დავით რექტორის ანთოლოგია.

შედგა S ფონდის (ტტ. V—VI) ქართულ ხელნაწერთა ავტორებისა და ვადამწერების ანდერმ-მინაწერთა კატალოგი ფოტოილუსტრაციებითურთ (უმცრ. მეცნ. თანამშრომელი ი. გაჩეჩილაძე) და S და H ფონდის კრებოგრაამების ფოტოკატალოგი (ფილოლ. მეცნ. კანდიდატი ი. აიანიშვილი).

მიმდინარეობს მუშაობა აგრეთვე ხელნაწერთა ინსტიტუტის აღმოსავლურ ხელნაწერთა აღწერა-ილოებაზე. 1969 წელს აკადემიკოს ნ. წერეთლის ხელმძღვანელობით აღიწერა 45 ანაბული ხელნაწერი. სამუშაოს ასრულებდნენ უფრო. მეცნ. თანამშრომელი რ. ჯიარამია და უმცრ. მეცნ. თანამშრომელი ნ. ყანაყული. 36 სპარსული ხელნაწერი აღწერა უფრ. მეცნ. თანამშრომელმა მ. მამაცაშვილმა.

დამუშავდა რ. ერისთავისა (უმცრ. მეცნ. თანამშრომელი ელ. კელენჭერიძე) და ვრ. ორბელიანის (უმცრ. მეცნ. თანამშრომელი რ. კავილაძე) პირადი საარქივო ფონდები.

ინსტიტუტში არსებული ქართული დიპლომატიკის განყოფილება აგრძელებს მუშაობას X-XVIII სს-თა საქართველოს ისტორიის მასალების შესწავლასა და გამოსაცემად მომზადებაზე. 1969 წელს გამოსაქვეყნებლად მომზადდა მასალები XVIII ს-ის II ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოში არსებული დიქონაგებული ლაშქრის ისტორიისათვის.

გრძელდება მუშაობა ქართული ისტორიული დოკუმენტების პირთა და გეოგრაფიული სახელთა ანოტირებულ საძიებლების შედგენაზე. ამ სამუშაოზე დაყრდნობით გამოსაცემად მზადდება I წიგნი — „მასალები საქართველოს ონომასტიკისათვის (IX—XVII სს.) ქართული ისტორიული დოკუმენტების მიხედვით“, რომელშიაც გაერთიანებული და რედაქტირებულია ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული X-XVII სს-თა ქართული ისტორიული დოკუმენტების პირთა ანოტირებული საძიებლების ნაწილი.

ქართული პალეოგრაფიის საკითხებიდან შესრულებულია ორი ნაშრომი: ქართული მხედრული დამწერლობის განვითარება XVI-XVII სს-ში (უფრ. მეცნ. თანამშრომელი ნ. შოშიაშვილი) და საბაწმიდის კალიგრაფიული სკოლა (ე. ჭანკიევი).

გრძელდებოდა ძველი ქართული ორიგინალური და ნაორკმნი ძეგლების ფილოლოგიური შესწავლა და ტექსტების გამოსაცემად მომზადება.

საანგარიშო წელს დამუშავდა თემის — ძველი ქართული ჰიმნოგრაფიული და აპოფთეგმატური ლიტერატურის ძეგლები — ნაწილი (ორი ქვეთემა): 1. იოანე მინჩხის საგალობლები X საუკუნის ჰიმნოგრაფიული კრებულების მიხედვით (უფრ. მეცნ. თანამშრ. ლ. ჯღამაია). ამ ნაშრომში განხილულია იოანე მინჩხის ჰიმნოგრაფიული შემკვიდრება X ს-ის სინური ჰიმნოგრაფიული კრებულებისა და მიქელ მოდრეკილის საგალობელთა კრებულის მიხედვით. დამუშავდა იოანე მინჩხის ზოგიერთი დღემდე ორიგინალურად ცნობილი საგალობლის ბერძნული დედანი. 2. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის ჰიმნოგრაფიული მოღვაწეობა (უფრ. მეცნ. თანამშრომელი მ. ქეთარია). გამოსაცემად მომზადდა ნ. ჩერქეზიშვილის (რომლის მოღვაწეობა დავით-გარეჯის ლიტერატურულ სკოლას უკავშირდება) ჰიმნების ტექსტი.

გრძელდება აგრეთვე ქართული მრავალთავების წყაროთა კვლევა (ხელმძღვანელი — ფილოლ. მეცნ. კანდ. ალ. გამყრელიძე). მანვე შეისწავლა იოანე ოქროპირის „იოანეს თავისუფეთის საკითხავის“ (მეორე) ტექსტის წყაროების საკითხი. მორავი ქვეთემა, რომელიც აგრეთვე ქართული მრავალთავების მიხედვითაა შესრულებული, არის „სინა-

რაითის მამათა მოსტრვის“ ქართული ვერსიები (რ. გვარამია), ავტორის შესწავლილი და შეჯამებული აქვს ბერძნულ ორიგინალთან ჩვენადღე მოღწეული ყველა არაბული ნუსხა ამონიისის „სინა-რაითის მამათა მოსტრვისა“. არაბული ნუსხებიდან გამოყოფილია ორი რედაქცია. დადგენილია, რომ ქართული ვერსია წარმოადგენს არაბული მოკლე რედაქციის თარგმანს. ამ მოსაზრებას ადასტურებს როგორც სხვადასხვა რიგის რედაქციული ხასიათის დამთხვევები, ასევე ქართული ტექსტში დადასტურებული ლექსიკური და სინტაქსური არაბიზმები.

1969 წელს დამთავრდა მუშაობა თემაზე — ქართული დან სომხურად თარგმნილი ორი ფილოლოგიური და ერთი პოლემიკური ძეგლი. საბოლოო ნაწილი ამ თემისა, რომელიც წელს შესრულდა, არის ლექსიკონი პოკლე დიადოხოზის „კავშირნი ღვთისმეტყველებითისა“ და იოანე პეტრიწის კომენტარებისა (უფრ. მეცნ. თანამშრ. მ. რაფაეა).

დამთავრდა მუშაობა „დიდი სჯულისკანონის“ ძირითად ტექსტსა და დამატებითი სტატიების ტექსტებზე. 1969 წელს გამოსაცემად მომზადდა შემდეგი ტექსტები გამოკვლევებითურთ: 1. „დიდი სჯულისკანონის“ კანონიურ ეპისტოლეთა კანონები (ფილოლ. მეცნ. კანდიდატი გ. ნინუა); 2. „დიდი სჯულისკანონის“ დამატებითი სტატია „ოთხშაბათ-პარასკევის მარხვათათვის“ (უმცრ. მეცნ. თანამშრ. ე. გუნუაშვილი); 3. „დიდი სჯულისკანონის“ დამატებითი სტატია — მაქსიმე აღმსარებლის პასქისათვის“ (ფილოლ. მეცნ. კანდიდატი ე. ვაბიაშვილი). კანონიურ ეპისტოლეთა კანონების ტექსტით მთავრდება „დიდი სჯულისკანონის“ ძირითადი ტექსტი. დამატებით სტატიათაგან საყურადღებოა მაქსიმე აღმსარებლის ასტროლოგიური ტრაქტატი — „პასქისათვის“, რომლის ტექსტი დადგენილია ყველა არსებული ქართული ნუსხის მონაცემებითა და ბერძნულ დედანთან შეჯერებით (ეს იყო საერთოდ მთელ ტექსტზე მუშაობის პრიორიტატი პრინციპი). გამოკვლევაში ახსნილია ზოგიერთი ებრაული და ქრისტიანული მოძრავი დღესასწაულის გამოთვლის ხერხი და საეკლესიო ქრონოლოგიის რიგი სხვა მნიშვნელოვანი საკითხი.

1969 წელს ინსტიტუტის თანამშრომელთა ჩვეუმა მუშაობა დაიწყო ძველი აღთქმის წიგნთა სიმფონიაზე. სამუშაოს ხელმძღვანელობს ფილოლ. მეცნ. კანდიდატი მ. შანიძე. ამოწერილია და ანაზნუკლავებული სასიმფონიო მასალა ძველი აღთქმის შემდეგი წიგნებიდან: ივდიითი (ფილოლ. მეცნ. კანდიდატი გ. კიკნაძე), მეფეთა I (ფილოლ. მეცნ. კანდიდატი უ. ცინდელიანი), ქება-ქებათა

და ეკლესიისტე (ფილოლ. მეცნ. კანდიდატი ზ. სარჭველაძე). დაწვებულია მუშაობა აგრეთვე ქართული ორიგინალური ავთოგრაფული ძეგლების სიმფონიაზე. წელს სასიმფონიო მასალა ამოიწერა „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ ტექსტიდან (ფურ. მეცნ. თანამშრომელი ნ. გოგუაძე).

1969 წელს გამოქვეყნდა ხელნაწერთა ინსტიტუტის შემდეგი გამოცემები:

პალეოგრაფიული ძიებანი, ტ. II;

ც. აბულაძე, რ. გვარამია, მ. მამაცაშვილი,

ხელნაწერთა ინსტიტუტის აღმოსავლურ ხელნაწერთა კატალოგი, ნაკვ. I;

მოსე ხონელი, „ამირანდარეჯანიანი“ (გამოცემად მოამზადა ლ. ათანელიშვილი, გამოსცა გამომცემლობა „მერანია“). ხელებული წიგნი წარმოადგენს ამ ძეგლის სრული კრიტიკული გამოცემის ტექსტის გამოცემას ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის შესავლითა და ვრცელი ლექსიკონებითურთ.

1969 წლის საგამომცემლო გეგმით გათვალისწინებული იყო და ინსტიტუტის მიერ გამომცემლობას დროულად ჩაპარდა 4 წიგნი (ჭერ გამოცემული არაა).

შარშანვე ინსტიტუტის თანამშრომლებმა სხვადასხვა სამეცნიერო და პოპულარულ ჟურნალში გამოაქვეყნეს რამდენიმე სტატია.

1969 წელს ინსტიტუტში ჩატარდა სამეცნიერო სესია და საკავშირო კონფერენცია. ინსტიტუტის მორიგი XI სამეცნიერო სესია მიძღვნიდა ლენინის დაბადების ასი წლისთავს, რომელზე-ღაც წაითხზული იქნა 7 მოხსენება.

1969 წლის 3-5 ნოემბერს ჩატარდა აგრეთვე საკავშირო კონფერენცია, მიძღვნილი არქეოგრაფიისა და ძველ ხელნაწერთა შესწავლის საკითხებისადმი, რომელიც მოეწყო საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის განყოფილებასთან არსებული არქეოგრაფიის კომისიისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის თაოსნობით. პირველი კონფერენცია მიძღვნილი იმავ საკითხებისადმი ჩატარდა 1960 წ. ჯერვანში. ახლანდელი კონფერენცია რამდენადმე თიფქმის ათი წლის მუშაობის შეჯამებას წარმოადგენდა ამ დარგში. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, ლვოვის, ნოვოსიბირსკის, ბაქოსა და ერევნის მეცნიერები, აგრეთვე, რასაკვირველია, საქართველოს სხვა სამეცნიერო ცენტრების — თბილისის უნივერსიტეტისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხვა ინსტიტუტების მეცნიერი თანამშრომლები. კონფერენციაზე მუშაობდა სამი სექცია: არქეოგრაფიის, ფილოლოგიისა და ხელოვნებათმცოდნეობისა. მოსმენილი იქნა 54 მოხსენება. მოხსენებები ეხებოდა არქეოგრაფიისა და ძველ

ხელნაწერთა შესწავლის თეორიულ და პრაქტიკულ პრობლემებს — ხელნაწერებისა და დოკუმენტების მეცნიერული აღწერილობის პრინციპებსა და მეთოდებს, სხვადასხვა შინაარსისა და ხასიათის ტექსტთა უბუღიკაციებს. მოსმენილი იქნა აგრეთვე მოხსენებები, ცალკეული მეტად მნიშვნელოვან ტექსტებისა და ისტორიული დოკუმენტების შესწავლის შედეგების შესახებაც.

ინსტიტუტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს საკავშირო კონფერენციაში — „Гихо-мировские чтения“, რომელიც ჩატარდა ლენინგრადში 1969 წ-ის ივნისში.

1969 წელს ერთმა თანამშრომელმა (ლ. ქაჯია) დიაცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო ერთი საკანდიდატო სადისერტაციო ნაშრომი წარდგინდა დასაცემად.

1969 წელს ინსტიტუტმა შეიძინა 12 ქართული, 1 სომხური, 1 რუსული, 1 თურქული, 2 სპარსული, 2 არაბული ხელნაწერი წიგნი; 43 ქართული, ერთი რუსული და სამი სპარსული ისტორიული დოკუმენტი.

ინსტიტუტის ბიბლიოთეკამ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის (БАИ) გაცვლითი ფონდიდან წელს უსასყიდლოდ მიიღო 400-მდე ძვირფასი მეცნიერული გამოცემა, რომლებიც უკვე მუშავდება. გარდა ამისა, ბიბლიოთეკის ფონდები შეივსო 866 ერთეულით.

მიზღვნიარე წელს მოეწყო სამეცნიერო ექსპედიცია სვანეთში. ექსპედიციის დროს ძველ ნაბეჭდ წიგნთა შორის სოფ. კალის წმინდა კვირიკისა და ივლიტეს ეკლესიაში აღმოჩენილ იქნა დაჯავშლად მიჩნეული XIII ს-ის ხელნაწერი. ექსპედიციამ გადილო მკვლევარში XIV ს-ის ორი ხელნაწერისა, რომლებიც დღესაც ეულ პირობებში ინახება. ვადალებულია აგრეთვე ცნობილი იენაშის ოთხთავის დეკარი. ექსპედიციის წევრები მუშაობდნენ ამასთავზე სვანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ხელნაწერების აღწერილობაზე.

საერთოდ, ექსპედიციის მუშაობიდან და მის მიერ შეკრებილი მასალებიდან კიდევ ერთხელ თვალნათლივ ვლინდება ის ფაქტი, რომ სვანეთის საისტორიო ძეგლები, როგორც წერილობითი, ისე ჰედური და სხვა ხელოვნების ნიმუშები, სასწრაფო და საგანგებო ღონისძიებების განხორციელებას მოითხოვენ მათი ჭარბიანი მოვლა-დაცვისა და შესწავლის მიზნით.

ამ ძეგლების ნაწილს, განსაკუთრებით ხელნაწერებს, უდიდესი საფრთხე ემუქრება, რადგან, თანამედროვე თვალსაზრისით, ვრდიად მნიშვნელოვან პირობებში არიან დაცულნი — ბევრი მათგანი სერიოზულად არის დაზიანებული, ესპერიება სასწრაფო მკურნალობა და რესტავრაცია, აგრეთვე ფოტოგრაფირება და მკვლევარობა.

გრძელდება ინტენსიური მუშაობა ხელნაწერთა მოვლა-დაცვის ხაზით. რესტავირებულია 9000 ხელნაწერის ფურცელი. აკინძულია და ტყავის ყდაშია ჩასმული 84 ხელნაწერი. გადაღებულია 76000 მიკროფილმის კადრი და 4200 ფოტოაბეჭდი დოკუმენტებიდან და ხელნაწერებიდან, ფოტოლაბორატორიამ წელს განახლა მუშაობა პალიმფესტების გადაღებაზეც. ამ მეთად მნიშვნელოვან საქმეში უკეთესი შედეგის მიღწევასთვის ინსტიტუტში კვლავ მოწვეული იქნა ლენინგრადელი სპეციალისტი — დ. ერასტოვი. მისი მონაწილეობითა და დახმარებით გადაღებულია 130 ფოტო, რომლებშიაც ძველი ტექსტის ახალი მეთოდების გამოყენებით უკეთაა წარმოჩენილი.

ინსტიტუტში ახლად დაარსებულ პროფილია აბულაძის სახელობის კაბინეტში მიმდინარე წელს ჩატარებულია შემდეგი სამუშაოები: ა) დამუშავდა მისი პირადი, 4500 ნაბეჭდი ერთეულისაგან შემდგარი, ბიბლიოთეკა (რომელიც განსვენებულის ნათესავეებმა უსასყიდლოდ გადაოსციეს ინსტიტუტს), ბ) დამუშავებულია ილია აბულაძის პირადი არქივი (800 ერთ.), გ) მომზადდა გამოსაქვეყნებლად და გამოცემლად „მეცნიერებას“ გადაეცა ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“.

ინსტიტუტის სამკითხველო დარბაზი მოემ-

სახურა 150-ზე მეტ მეცნიერ მუშაკს, რომელთაც 1350-ჯერ იმუშავეს დარბაზში.

ინსტიტუტის საგამოფენო დარბაზს წელსაც მრავალი დამთვალიერებელი ჰყავდა როგორც ადგილობრივი, ისე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან და უცხოეთიდანაც.

ინსტიტუტს კავშირი აქვს უცხოელ ქართველოლოგებთან, რომელნიც განსაკუთრებით ძველი ქართული ფილოლოგიისა და პალეოგრაფიის დარგში მუშაობენ. მათ ინტენსიურ სამეცნიერო კონსულტაციებს უწევენ ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები. წელს ნოემბერ-დეკემბერში ქართულ პალეოგრაფიაში სავარჯიშოდ და ძველ ქართულ ტექსტებზე სამუშაოდ ინსტიტუტში მოგზინებული იყო გამოჩენილი ბელგიელი ქართველოლოგის პროფ. ეერარ ვარიტის მოწვევ დოქტორი ანდრე ვაკობი, რომელიც სპეციალდება სწორედ ძველ ქართულ ფილოლოგიაში და მიზნად აქვს აგრეთვე ახალი ქართული ენის შესწავლაც; რათა თანამედროვე ქართული ფილოლოგიური მეცნიერების მიღწევები დედანში გაიყნოს. მან ნაყოფიერად იმუშავა ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლების კონსულტაციით, რაც ხელს შეუწყობდა მას საზღვარგარეთ დაეკული ძველი ქართული ხელნაწერების შემდგომი მეცნიერული შესწავლისა და პუბლიკაციის საქმეში.

## პროზისა

### აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამეცნიერო პრემიის მინიჭება

26 იანვარს გაიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა, რომელიც მიეძღვნა თბილისის უნივერსიტეტის აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამეცნიერო პრემიის მინიჭებას. სხდომა გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა, სოციალისტური შრომის გმირმა აკადემიკოსმა ი. ნ. ვეკუამ.

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია საზოგადოებრივ-ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგში საუკეთესო მეცნიერული ნაშრომებისათვის ენიჭებათ 1969 წლიდან ორ წელიწადში ერთხელ.

1969 წელს პრემიის მისაბოვებლად წარდგენილი იყო 7 ნაშრომი. ყველა ნაშრომი შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე და გარკვეული წვლილი შეაქვს ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების განვითარებაში. ფაქულტეტებზე და სპეციალურად გამოყოფილი ეთერის განხილვის შემდეგ, ეთერისა, რომლის შემადგენლობაში შედის უნივერსიტეტის სამეც-

ნიერო საბჭოს 21 წევრი, ფართული კენჭისყრით აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია მიენიჭა უნივერსიტეტის პროფესორს ოთარ ჯაფარიძეს ნაშრომისათვის „თრიალეთის არქეოლოგიური ვახტერები“.

ეს ნაშრომი მრავალი წლის არქეოლოგიური კვლევის ნაყოფია, რომელიც თვით ავტორის ხელმძღვანელობით წარმოებდა საქართველოს სამხრეთ რაიონებში — თრიალეთში. ამ ნაშრომში არათუ აღწერილი და კლასიფიცირებულია არქეოლოგიური მასალები, არამედ განზოგადებულია ისინი, აღბრუნა ძველი ქართული ტომების ეთნიკური ისტორიის, სხვა ხალხებთან მათი ურთიერთობის პრობლემები, ნაჩვენებია ევრეთწოდებული თრიალეთის კულტურის მატარებელი ხალხების მალად სამეურნეო და კულტურული დონე. ამასთან პროფესორ ო. ჯაფარიძის ნაშრომში დიდად საინტერესოა წინა და მცირე აზიის ძველი ისტორიის მკვლევარებისათვისაც. იგი დიდი და ორიგინალური გამოკვლევაა, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქართული ისტორიული მეცნიერების შემდგომ განვითარებაში.

კ ნ თ კ ა ტ ი ე ბ ი

ახალი წიგნები

გამომცემლობა „მეცნიერება“

**ვ. ი. ლენინი და დიალექტიკური მატერიალიზმის პრობლემები.**

კრებულში ვ. ი. ლენინის ფილოსოფიური მემკვიდრეობის შუქზე განხილულია დიალექტიკური მატერიალიზმის რამდენიმე ძირითადი პრობლემა. იგი ნაგარაუდევია როგორც სპეციალისტების, ასევე ფართო ინტელიგენციისათვის.

კრებული მიძღვნილია მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი. რედაქტორი: ს. ავალიანი. (229 გვ., ტირაჟი 1000, ფასი 1 მან. 20 კაპ.).

**ნ. ცხაკაია — ვ. ი. ლენინი სოციალისტურ რევოლუციაში სუბიექტური ფაქტორის როლის შესახებ.**

ნაშრომში გაშუქებულია ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ცნებები, ვ. ი. ლენინის შეხედულებები სოციალისტური რევოლუციისა და მის სტრუქტურაში სუბიექტური ფაქტორის მნიშვნელობაზე, სოციალისტურ რევოლუციაში ობიექტური პირობებისა და სუბიექტური ფაქტორის დიალექტიკური ერთიანობის პრობლემაზე. კომუნისტური საზოგადოების განვითარებაში სუბიექტური ფაქტორის თვისობრივად ახალ, მზარდ როლზე. რედაქტორი: ო. ბაკურაძე. (136 გვ., ტირაჟი 1000, ფასი 64 კაპ.).

**ი. ფუტყარაძე, საქართველოს საბჭოთა სახელმწიფოებრიობის განვითარება.**

ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოს საბჭოთა სახელმწიფოებრიობა ისტორიულ-სამართლებრივი თვალსაზრისით და განვითარების თანამედროვე ეტაპზე. ძირითადი თემის გან-

ხილვისათვის წამძღვარებული ისტორიული ექსკურსი ემსახურება ქართული სახელმწიფოებრიობის მთლიანი სურათის შექმნას; იგი ზოგი საკითხის რამდენადმე ახლებურად დაყენება-გადაწყვეტის ცდასაც შეიცავს. რედაქტორი: დ. ფურცელაძე. (166 გვ., ტირაჟი 1000, ფასი 99 კაპ.).

**ვ. კერძევაძე, ჯორჯ ბერკლისა და დავით ჰიუმის იდეალიზმის ლენინური კრიტიკა.**

ნაშრომში ვ. ი. ლენინის პრინციპულ დებულებათა გამოყენებით კრიტიკულადაა განხილული და შეფასებული ჯ. ბერკლისა და დ. ჰიუმის იდეალისტური ფილოსოფია. ამასთან ნაჩვენებია აღნიშნულ ფილოსოფოსთა გავლენა როგორც ნეოპოზიტივისტებზე, ისე თანამედროვე რევიზიონისტებზე და აგრეთვე ვ. ი. ლენინის ფილოსოფიური იდეების აქტუალობა მათ მცდარ შეხედულებათა წინააღმდეგ ბრძოლაში. რედაქტორი: ო. ჯუღელი. (133 გვ., ტირაჟი 700, ფასი 60 კაპ.).

**საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XXVIII — B.**

ტომში შეტანილი ნაშრომები შეეხება საქართველოს არქეოლოგიის ფეოდალური და ბურჟუაზიული ხანის მატერიალური კულტურის ისტორიის, ნუმისმატიკის, ეპიგრაფიკისა და ეთნოგრაფიის რიგ მნიშვნელოვან საკითხებს.

კრებულში განხილულია გვიანბრინჯაოს ხანის ახლად აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები; ფეოდალური ხანის ნაქალაქარ დმანისის გათხრის ძირითადი შედეგები; ამავე ხანის ხელოსნობის ზოგიერთი დარგის პროდუქცია (ლითონის ჭურჭელი, მინის სამაჯურები), ახლად აღ-

მოჩენილი მონეტების ორი განძი, ბურჯუაზიუ-ლი ხანის საქართველოს მრეწველობის ზოგიერთი დარგი, ქართული ხალხური ხელოვნების ნიმუშები და სხვა.

ნაშრომებს თან ერთვის მრავალი ილუსტრაცია. რედაქტორი: ვ. ჯაფარიძე. (312 გვ., ტირაჟი 1000, ფასი 2 მან. 41 კაპ.).

**თედო სახოკია.** კრებული. (სარედაქციო კოლეგია: ა. აფაქიძე, შ. მესხი, გ. ჩიტაია (პ/მგ. რედაქტორი), მ. ჩიქოვანი, ლ. ჯანაშია (მდივანი).

კრებული შეიცავს თედო სახოკიას სამეცნიერო მოღვაწეობის მიმზილვას ეთნოგრაფიის, ფოლკლორისა და ლექსიკოლოგიის დარგში, აგრეთვე მოგონებებს თედო სახოკიაზე, ეთნოგრაფიულ წერილებს მესხეთის, სვანეთის, ხევის, სამეგრელოს, ჯავახეთის და ქართლის ეთნოგრაფიიდან. კრებულს ერთვის თედო სახოკიას ავტობიოგრაფია, მისი ნაწერების სრული ბიბლიოგრაფია და თედო სახოკიას და ა. აზულაძის ნაშრომი — ქართული ენის ფონეტიკა. (293 გვ., ტირაჟი 3000, ფასი 1 მან. 55 კაპ.).

## ს. თურნაძეა, რენე ლაფონი და საქართველო.

წიგნი მიძღვნილია გამოჩენილი ფრანგი ბასკოლოგისა და კავკასიოლოგის პროფ. რენე ლაფონის დაბადების 70 და პედაგოგიურ-სამეცნიერო მოღვაწეობის 44 წლისთავისადმი.

შესავალ ნაწილში მოკლედ განხილულია ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხები მე-17 საუკუნიდან დაწყებული დღემდე.

ავტორი ზოგადად მიმოიხილავს პროფ. რენე ლაფონის მეცნიერულ მუშაობას, რომელსაც კარ წლების განმავლობაში ეწევა საფრანგეთში ქართველი ენისა და ლიტერატურის პოპულარიზაციის საქმეში. სახელდობრ, წიგნში გაანალიზებულია რეცენზიები, რომლებიც ფრანგმა მკვლევარმა მიუძღვნა ქართველი ენათმეცნიერების ნაშრომებს.

გარდა ამისა, ავტორი საკუთარი პოზიციებიდან განიხილავს ფრანგი მკვლევრის წერილებსა და თარგმანებს.

წიგნს დართული აქვს პროფ. რენე ლაფონის უმოკრესი დაბეჭდილი ნაშრომების ბიბლიოგრაფია. ამავე დროს მას თან ერთვის პროფ. რენე ლაფონის შესახებ დაბეჭდილი ნაშრომების ბიბლიოგრაფია. რედაქტორი: რ. მიმიონოშვილი, (94 გვ., ტირაჟი 2100, ფასი 41 კაპ.).

**ზ. ანჩაბაძე, თ. ბოცვაძე, გ. თოგოშვილი, მ. ცინცაძე, ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები.**

ნარკვევებში განხილულია ჩრდილო კავკასიის ხალხების — ადიღელების, ჩერქეზების, ყაბარდოელების, ყარაჩაელებისა და ბალყარების, ოსების, ინგუშების, ჩეჩნებისა და დაღესტნელ ხალხთა სოციალურ-ეკონომიური, პოლიტიკური და ეკონომიური ისტორია უძველესი დროიდან XVIII ს. ბოლომდე.

საქართველოს საუკუნეების მანძილზე მჭიდრო ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდა ამ ხალხებთან და, ბუნებრივია, ამან ნარკვევებში გარკვეული ასახვა პოვა. ამითვე აიხსნება ქართველი საზოგადოებრიობის ინტერესი საკუთრივ ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიისადმიც. რედაქტორი: ზ. ანჩაბაძე, (259 გვ., ტირაჟი, 800, ფასი 1 მან. 23 კაპ.).

## ც. აბესაძე, ლითონის წარმოება ამიერკავკასიაში ძვ. წ. III ათასწლეულში.

ნაშრომში შესწავლილია ძვ. წ. III ათასწლეულის მტკვარ-არაქსის კულტურის სპილენძის წარმოება. ამ კულტურის მატარებელმა ტომებმა ამიერკავკასიაში დიდი როლი შეასრულეს სპილენძის მეტალურგიის განვითარების საქმეში. ლითონის ნაწარმის ქიმიურ-ტექნოლოგიური და ტიპოლოგიური შესწავლის საფუძველზე ავტორი ცდილობს გაარკვიოს ლითონის წარმოების ცენტრები მტკვარ-არაქსის კულტურაში. მისი ურთიერთობა თანადროულ კულტურებთან (ჩრდილო კავკასია, წინა აზია და სხვ.).

ნაშრომში განხილულია სპილენძის გამოდნობის უძველესი ხერხი — ალდგენითი დნობა და ადრეული ხანის ლითონში შემავალი დარღმანის წარმომავლობის საკითხი. რედაქტორი: რ. ბახტაძე. (137 გვ., ტირაჟი 600, ფასი 96 კაპ.).

## ა. ხინთიბიძე — „ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკიდან.

ა. ხინთიბიძის ნარკვევებში განხილულია „ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკის რამდენიმე საკითხი.

ერეკლი საილუსტრაციო მასალით დადასტურებულია „ვეფხისტყაოსანში“ შიდარითვის არსებობა. მოცემულია მისი კლასიფიკაცია, ყურადღება გამახვილებულია „ვეფხისტყაოსნის“ შიდარითვის რაობასა და ხასიათზე, მის ხალხურ ძირებსა და მხატვრულ ღირსებებზე.



ამასთან ერთად, ავტორი გვთავაზობს თავის დაკვირვებებს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა იქნეს შედგენილი პოემის რითმთა სიმფონია — ლექსიკონი, რა უნდა ეწოდოს „ვეფხისტყაოსნის საზომს და რამდენად აუცილებელია რიტმული ფაქტორის გათვალისწინება პოემის ტექსტის დადგენის დროს. რედაქტორი: გ. შიშკაძე, (50 გვ., ტირაჟი 700, ფასი 23 კაპ.).

**მ. ციკოლია, აფხაზური ენის აბუღურ დიალექტი.**

ნაშრომში განხილულია აფხაზური ენის აბუღური დიალექტის ძირითადი ფონეტიკური, მორფოლოგიური და ლექსიკური თავისებურებანი. რედაქტორი: ქ. ლომთათიძე, (161 გვ., ტირაჟი 600, ფასი 77 კაპ.).

**თბილისის სასელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა**

**ნიკონიკოლაძე — თხზულებანი, ტ. VI**

ნაშრომში შესულია ცნობილი ქართველი პუბლიცისტის ნიკო ნიკოლაძის სტატიები, რომლებიც გამოქვეყნდა გაზეთ „ოზზორში“ 1878 წლის ივნის-ნოემბერში. სტატიათა უმრავლესობა ხელმოუწერელია და დღემდე არ იყო დადგენილი მათი ავტორობა. წერილები შეეხება ლიტერატურულ კრიტიკას, სოციოლოგიას, ფილოსოფიასა და ეკონომიკას. რედაქტორი — დ. გამეზარდაშვილი (36 თაბახი, ტირაჟი—5000).

**ხსრ კავშირის ფინანსები და კრედიტი (ავტორთა კოლექტივი პროფ. ვ. ჩანტლაძის ხელმძღვანელობით)**

ნაშრომში გაშუქებულია სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა ფინანსურ-საკრედიტო კატეგორია. იგი განკუთვნილია ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტებისათვის.

დამხმარე სახელმძღვანელო შედგენილია თბილისის სასელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსებისა და კრედიტის კათედრის წევრთა მიერ. ცალკეული თავები დაწერეს: პროფ. ნ. ქოიავამ — II, VIII პროფ. ნ. ქოიავამ და დოც. ნ. გამრეკელმა — III და XIII. პროფ. ვ. ჩანტლაძემ — I, IV და XII; დოც. ნ. გამრეკელმა — XIV და XVIII; დოც. ვ. ლებანიძემ — IX, XV, XVI და XI თავის §§ 1—5; დოც. გ. ხელაია — V და VI; დოც. შ. ქისტაურმა — VII; დოც. ვ. ტრაპაიძემ — X; დოც. ა. ეგრემელიძემ და

მასწ. ი. ზაუტაშვილმა — XVII; ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა პ. მუსერბიძემ — XI თავის § 6 და უფრ. მასწ. თ. მგელაძემ — XI თავის § 7 (29 თაბახი, ტირაჟი—1000).

**გ. გოშაძე — სოციალიზმის კომუნიზმში გადაზრდის ეკონომიური კანონზომიერებანი**

ნაშრომში განხილულია სოციალიზმის კომუნიზმში გადაზრდის ეკონომიურ კანონზომიერებათა ყველა ძირითადი საკითხი. იგი შედგენილია პოლიტიკური ეკონომიის კურსის მოქმედი პროგრამის მიხედვით.

წიგნი განკუთვნილია დამხმარე სახელმძღვანელოდ სტუდენტებისათვის. იგი დიდ დახმარებით დაინტერესებულ მკითხველთა ფარგლებს გაუწევს პოლიტიკური ეკონომიის სათო წრეს. (9 თაბახი, ტირაჟი — 1000).

**დიალექტიკური მატერიალიზმი (ავტორთა კორექტივი)**

წიგნში განხილულია დიალექტიკური მატერიალიზმის უმნიშვნელოვანესი საკითხები. ნაჩვენებია ფილოსოფიური პრობლემათიკის სწორად გადაწყვეტის შეუძლებლობა მარქსამდელ და არამარქსისტულ ფილოსოფიაში.

ნაშრომი განკუთვნილია სახელმძღვანელოდ ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის. იგი დიდ დახმარებას გაუწევს დღის სწავლების ყველა ფაკულტეტის სტუდენტებსა და ფილოსოფიის საკითხებით

დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს. რედაქტორებია კ. ბაქრაძე, შ. გაბილიაი, ე. კოლუა (36 თაბახი, ტირაქი — 5000).

**ა. ცანავა — ქართული ზეპირ-სიტყვიერების საკითხები.**

ქართული ზეპირსიტყვიერების საკითხები (შეგრული მასალების მიხედვით) პირველად ქვეყნდება. ამ საკითხს დღემდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა. 1965—1968 წლებში ჩატარდა ოთხი სამეცნიერო-ფოლკლორული ექსპედიცია ამ კუთხეში. ავტორი ძირითადად ამ ექსპედიციების დროს მოპოვებულ მასალებს ეყრდნობა.

ნაშრომი ოთხი თავისაგან შედგება. პირველ თავში განხილულია მითოლოგიის საკითხები (ნადირობის ღვთაებები—მესეფი, ტყაშმაფა, ოჩოკოჩი); მეორეში — ეპიკური ტრადიცია, რომელიც ზღაპრებით არის წარმოდგენილი; მესამეში — ხალხური პოეზიის ტრადიცია და მისი სახეები; ბოლო, მეოთხე თავი ეძღვნება ანდაზებსა და გამოცანებს, რომლებიც წარმოდგენილია ტექსტებითურთ.

ნაშრომი განკუთვნილია ფილოლოგებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის. რედაქტორი — შალამბერიძე (12 თაბახი, ტირაქი—2000).

**მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის ახალი უცხოური ლიტერატურიდან**

**Karl Bouda — Introducción à la linguística caucásica.**

კარლ ბუდა — კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი. წიგნში მოკლედ არის მიმოხილული კავკასიური ენები. გამოცემულია მადრიდში, 1960, 90 გვ.

**Georgiua Buckler — Anna Comnena.**

ჯ. ბუკლერი — ანა კომნენა, ოქსფორდი, 1968, 558 გვ. ახლავს ბიბლიოგრაფია.

**Winston S. Churchill — The second World War.**

უინსტონ ჩერჩილი — მეორე მსოფლიო ომი, 6 წიგნად, გამოცემულია ნიუ-იორკში, 1961—1962 წწ.

**Simon Davis — The Decipherment of the Minoan linear A and Pictographic. Scripts.**

ს. დევისი — მიწათა ხაზოვანი A და პიკტოგრაფიული დამწერლობების გაშიფვრა. წიგნი გამოცემულია ოქსფორდში, 1967 წ. 342 გვ., ახლავს ბიბლიოგრაფია.

**H. M. Thomson — Turkish-English Dictionary.**

ჰ. მ. ტომსონი — თურქულ-ინგლისური ლექსიკონი. ნიუ-იორკი, 1965 წ., 575 გვ.

**G. W. Thatcher — Arabic Grammar of the Written Language.**

ჯ. თაჩერი — არაბული ენის გრამატიკა. ნიუ-იორკი, 559 გვ.

**Edward William Lane — Arabic-English Lexicon.**

ე. ლეინი — არაბულ-ინგლისური ლექსიკონი. 8 ტომად. გამოცემულია ნიუ-იორკში, 1955 წ.

**Iskender Fahrettin — English-Turkish Dictionary.**

ი. ფახრეტინი — ინგლისურ-თურქული ლექსიკონი. ნიუ-იორკი, 1967 წ. 694 გვ.

**Dictionnaire de spiritualité Ascétique et mystique. Doctrine et histoire.**

ასკეტური და მისტიკური სპირიტუალიზმის ლექსიკონი, დოქტრინა და ისტორია. გამოცემულია პარიზში 7 ტომად (15 წიგნი), 1937—1968, წლებში.

**Jan Rupka — History of Iranian Literature.**

იან რუპკა — ირანული ლიტერატურის ისტორია. დორდრეხტი, პოლანდია, 1968, 928 გვ. ახლავს ბიბლიოგრაფია.

ფასი 1 მან.

Индекс 76182

6 28/50

